საქართველო და ჯვაროსნული აღმოსავლეთი ჟაკ დე ვიტრის ცნობების მიხედვით

ანდრო გოგოლაძე, თეა წითლანაძე,
თეა ქარჩავა, ნიკოლოზ სილაგაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2015

აღნიშნული პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში მოპოვებული გრანტის – „საქართველო და ჯვაროსნული აღმოსავლეთი ჟაკ დე ვიტრის ცნობების მიხედვით“ (N31/38) – მეშვეობით.

ავტორები მადლობას უხდიან შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური მხარდაჭერისათვის.

წიგნს შესავალი, შენიშვნები და კომენტარები დაურთეს ანდრო გოგოლაძემ, თეა წითლანაძემ, თეა ქარჩავამ და ნიკოლოზ სილაგაძემ.

ჟაკ დე ვიტრის წერილები ფრანგულიდან თარგმნა თ. წითლანაძემ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის „ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის (N 04/22) „საქართველო და ჯვაროსნების ურთიერთობები ჟაკ დე ვიტრის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში“ ფარგლებში.

სამეცნიერო რედაქტორი	პროფ. **გ. ჯაფარიძე**
რეცენზენტი	პროფ. **ალ. თვარაძე**
ტექნიკური რედაქტორი	**თ. კოშორიძე**

არაკომერციული გამოცემა

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015

© ავტორთა ჯგუფი

ISBN 978-9941-10-984-3

შესავალი

წინამდებარე წიგნი – „საქართველო და ჯვაროსნული აღმოსავლეთი ჟაკ დე ვიტრის ცნობების მიხედვით“ – რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ფუნდამენტური კვლევის შედეგია. იგი მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილისა და თვითმხილველის თხზულებებს მოიცავს, რომელშიც განხილულია ევროპისა და მახლობელი აღმოსავლეთის ურთიერთობა. ასევე საუბარია ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდში საქართველოს ადგილისა და როლის განსაზღვრაზე.

წიგნი ეხება ჟაკ დე ვიტრის, მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის მქადაგებლის, ლაშქრობის მონაწილისა და თვითმხილველის ცნობებს[1], სადაც დამუშავებული, გაანალიზებული და კომპლექსურად წარმოჩენილია XIII საუკუნის პირველი ნახევრის მახლობელი აღმოსავლეთი მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის კონტექსტში.

ჩვენი ნაშრომი ძირითადად ჟაკ დე ვიტრის ეპისტოლარულ მემკვიდრეობას ეყრდნობა. კერძოდ, მისი შვიდი წერილის თარგმანს და მათ შედარება-შევსებას როგორც მის მეორე უმნიშვნელოვანეს ნაშრომთან („აღმოსავლეთის ისტორია“ ანუ „იერუსალიმის ისტორია“), ასევე მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის თანადროულ სხვა წყაროებთან. აღსანიშნავია, რომ მანამდე, პრაქტიკულად, ყველა ქართველი მკვლევარი, რომელიც ჟაკ დე ვიტრის წერილების შინაარსს ეხებოდა, ობიექტური მიზეზების გამო მხოლოდ საქართველოს შესახებ მოკლე ამონარიდებით იფარგლებოდა. ეს არის პირველი ცდა, რომ ამ მემატიანის მემკვიდრეობა (ეპისტოლარული და ნარატიული) უფრო სრული სახით შემოგვეტანა ჩვენს ისტორიოგრაფიულ სივრცეში. აქტუალობის ხაზგასასმელად, საგულისხმოდ მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ წიგნში, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ვამახვილებთ მის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაზე – წერილებზე. ისინი, ფაქტობრივად, იმ მიმდინარე მოვლენების კორესპონდენციას წარმოადგენს, რომლის თვითმხილველიც ჟაკ დე ვიტრია. მიუხედავად იმისა, რომ XIII საუკუნის დამდეგის ჯვაროსნული აღმოსავლეთი ჟაკ დე ვიტრის განხილული აქვს თავის ფუნდამენტურ ნაშრომში

[1] ჟაკ დე ვიტრის მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის წერილები – Lettres de Jacques de Vitry ed. R. B. C. Huygens. Traduit et présenté par G. Duchet-Suchaux, Brepols, 1998; James of Vitry, Epostolae, 1216-1221, ed. R. Rohricht, Zeitschrift für Kirchengeschichten- XIV (1892-1894); XV (1894-1895); XVI (1895-1896); მისი თხზულება „აღმოსავლეთის ისტორია“ (Historia orientalis, ed. Bongars, Gesta Dei per Francos, I; French tr. in Guizot Collection des memoires, XXII: Daunou, Jacques de Vitry (Histoire litteraire de la France), XVIII (1835); Barroux, Jacques de Vitry Paris, 1885, James of Vitry, Historia Hierosolimitana, in Bongars [ed.], Jacoues de Vitry, History of Jerusalem, Pilgrims' Text Society, London, (1896)

„აღმოსავლეთის ისტორია“, ის ამ წერილების მასალაზეც (სხვა მასალებთან ერთად) არის დამყარებული და შედარებით მოგვიანო ხანისაა, რადგან ჟაკ დე ვიტრის ცხოვრების ბოლო წლებშია დაწერილი. ეს ფაქტორი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს წიგნში წარმოჩენილი კორესპონდენციის მნიშვნელობას.

გარდა ზემოთქმულისა, წიგნის აქტუალობა განპირობებულია იმითაც, რომ ჟაკ დე ვიტრის ცნობები საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს აღნიშნული ეპოქის საქართველოს ისტორიის შესასწავლად, რაც ფასეულია ქართული სამონასტრო ცენტრების როლის წარმოსაჩენად, ასევე საქართველოსა და ჯვაროსანთა მმართველი წრეების ურთიერთობების გამოსავლენად. ამან, თავის მხრივ, ბევრად გაამდიდრა ჩვენი წარმოდგენა იმ დროის მახლობელი აღმოსავლეთის ვითარებაზე. ახლებურად იქნა გააზრებული XIII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს ურთიერთობები ჯვაროსნებთან, რომის პაპის კურიასთან და მის დიპლომატიურ მისიებთან. აღნიშნულ წყაროებზე დაყრდნობით მოგვეცა საშუალება, უფრო ვრცლად შეგვესწავლა იმ ეპოქის საქართველო-ჯვაროსნების კონტაქტები და ქართული კოლონიების საკითხი წმინდა მიწაზე; გამოგვეთქვა ვარაუდები, სად და როდის იქნა გადაწყვეტილი ქართველების მოწვევა მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობაში და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რამაც შესაძლებლობა მოგვცა საქართველო მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენათა ფონზე განგვეხილა.

გარდა ამისა, შესაძლებელი გახდა მკითხველისათვის გაგვეცნო იმ დროს ახლო აღმოსავლეთში არსებული პოლიტიკური ვითარება, ჯვაროსანთა კონტროლის ქვეშ არსებული ქალაქების სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ყოფა, ქალაქების მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და მათი რელიგიური კონფესიები, ასევე ჯვაროსნული ქალაქების სავაჭრო ურთიერთობები ევროპის და ახლო აღმოსავლეთის სხვა პოლიტიკურ ერთეულებთან.

წიგნი სტრუქტურულად შედგება შესავალის, მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის წინაპირობების მიმოხილვის და ჟაკ დე ვიტრის წერილებისაგან. მას თან ახლავს გეოგრაფიულ და საკუთარ სახელთა საძიებელი, ასევე გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია. წიგნის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ძირითადი კვლევის სიმძიმე კომენტარებზეა გადატანილი, რომელიც თან ერთვის დე ვიტრის წერილებს. ვინაიდან კვლევითი მუშაობა სწორედ აქ გაიშალა, კომენტარები მოცულობით საკმაოდ ვრცელი და ანალიტიკურია, იგი არ ატარებს ე.წ. სქოლიოს დატვირთვას. არსებითად, ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევითი სამუშაო, სწორედ კომენტარების სახითაა გადმოცემული, და, რიგ შემთხვევებში, კომენტარები კვლევით ხასიათს ატარებს.

ჩვენი ნაშრომის მთავარი პერსონა – მემატიანე ჟაკ დე ვიტრი თავისი ეპოქის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე იყო. მასზე შემორჩენილი ბიოგრაფიული ცნობები საკმაოდ მწირია. ჟაკ დე ვიტრი, სავარაუდოდ, უნდა დაბადებულიყო 1160-1170 წლებს შორის რეიმსის სამხრეთით, ვიტრი-სურ-სინში. ისტორიულ ლიტერატურაში მის წარმომავლობაზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ისტორიკოს დიუშეს ცნობით, იგი დაბალ ფენას განეკუთვნებოდა, მისი მამა ღარიბი გლეხი ყოფილა. სამწუხაროდ, დიუშე არ ასახელებს წყაროს, თუ საიდან აქვს მას ეს ინფორმაცია აღებული, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს ცნობები ლეგენდის დონეზე აქვს თავის ნაშრომში შეტანილი. ისტორიკოსი ფუნკი კი ფიქრობს, რომ დე ვიტრი კეთილშობილთა წრიდან – მდიდარი ოჯახიდან უნდა ყოფილიყო, ვინაიდან მისი მოგზაურობის აღწერაში უამრავი ისეთი ნივთია ჩამოთვლილი, რომელიც მდაბიო ფენის წარმომადგენელს არ შეიძლებოდა ჰქონოდა. პარიზის უნივერსიტეტში სწავლისას ვიტრი ცნობილი იყო პიერ ლე შანტრის სახელით. უანიეს (Abbaye d’Oignies) წმ. ნიკოლოზის მონასტერში (ავგუსტინური მონასტერი დღევანდელი ბელგიის ტერიტორიაზე) ვიზიტმა ჟაკ დე ვიტრის ბერობა გადააწყვეტინა. ის, სავარაუდოდ, 1210 წლამდე უნდა გამხდარიყო მღვდელი. ამის შემდეგ მალევე ვიტრი ვილებრუკში, ბრაბანტის პროვინციაში, ავგუსტინელი კანონიკი ხდება. შემდგომში მისი კვალი ლიეჟის ეპისკოპოსის გარემოცვაში ჩანს და თანდათანობით ცნობილი მქადაგებელი ხდება.[2]

1213 წელს პაპმა ინოკენტი III-მ (1198-1216) ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა და 1214 წლიდან ჟაკ დე ვიტრიც აქტიურად ჩაერთო მის ქადაგებაში. პაპის პოლიტიკის ერთგული აგენტი, ლეგატი რობერტ კურსონელი, წარმოშობით ინგლისელი იყო. ამის გამო ის საფრანგეთის მეფის თვალში საეჭვო პიროვნებად აღიქმებოდა. სწორედ ამიტომ, პაპმა, სავარაუდოდ, მეფის რჩევით, საფრანგეთში ჯვაროსნული ლაშქრობის მქადაგებლად ჟაკ დე ვიტრი შეარჩია. თუმცა, საფრანგეთის პოლიტიკური კლიმატი ნაკლებად ხელსაყრელი აღმოჩნდა ამგვარი

[2] მისი ცხოვრების შესახებ ყველაზე სრულყოფილი ნაშრომი აქვს ფ. ფუნკს (Philipp Funk, Jakob von Vitry, Leben und Werke, Diss. Heidelberg, Leipzig 1909; Beiträge zur Kulturgeschichte des Mittelalters und der Renaissance, Bd. 3, Neudruck Hildesheim 1973). დე ვიტრის ცხოვრების შესახებ თხრობისას ჩვენ ფუნკისა და რამდენიმე სხვა ავტორის ნაშრომით ვისარგებლეთ (R. Röhricht, Regesta Regni Hierosolymitani (MXCVII-MCCXCI), Oeniponti, 1893; Lettres de Jacques de Vitry ed. R. B. C. Huygens. Traduit et présenté par G. Duchet-Suchaux, Brepols, 1998; Histoire occidentale (traduction de G. Duchet-Suchaux, introduction et notes de J. Longère), Paris, 1997; I. Schöndorfer, Orient und Okzident nach den Hauptwerken des Jakob von Vitry. Peter Lang GmbH, europäischer Verlag der Wissenschaften, Frankfurt am Main, 1997.

საქმიანობისათვის, რადგან საფრანგეთის მონარქია ინგლისთან და საღვთო რომის იმპერატორთან ომში იყო ჩაბმული. ამასთანავე, პაპობა დემონსტრაციულად ითხოვდა ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობაში ევროპელი მონარქების ჩართვას და აცხადებდა, რომ ჯვაროსნების მიერ ნებისმიერი ახლადდაპყრობილი ადგილი მისი პროტექტორატისა და იურისდიქციის ქვეშ უნდა მოქცეულიყო. ამან უკმაყოფილების დიდი ტალღა გამოიწვია, განსაკუთრებით საფრანგეთში, რაც კიდევ უფრო გაამწვავა ახალი ფულადი გადასახადების დაწესებამ. ამ და სხვა მიზეზებიდან გამომდინარე მეფე ფილიპ ოგიუსტმა ინტერესი დაკარგა, ჩართულიყო ჯვაროსნულ ლაშქრობაში. მეფის მიბაძვით ბევრმა დიდმა ფეოდალმა უარი თქვა მონაწილეობაზე. ამ პერიოდში ფეოდალების ნაწილი ალბიგოელების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში იყო ჩართული. ვინაიდან, XIII საუკუნეში ჯვაროსნული ლაშქრობის მოწოდებაზე ისეთი გამოხმაურება აღარ შეინიშნებოდა, რაც თავის დროზე ურბან II-ის ქადაგებას მოჰყვა, შესაბამისად, ამ ეპოქაში მგზნებარე მქადაგებლებს კიდევ უფრო დიდი როლი მიენიჭათ.

უნდა ითქვას, რომ ჟაკ დე ვიტრი საკმაოდ ცნობილი პიროვნება და მქადაგებელი გახლდათ. იგი მუდამ დიდი ამალით გადაადგილდებოდა. როგორც პაპის წარმომადგენელს, მას თავისი გამოჩენით ხალხზე შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა. ჟაკ დე ვიტრიმ განსაკუთრებული ორატორული ნიჭიც გამოავლინა, მისი ხმა დამატყვევებლად მოქმედებდა ადამიანებზე და თავად მასაც უყვარდა საზეიმო სიტყვით გამოსვლა. ჟაკ დე ვიტრი მალე თავისი დროის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა ხდება და, თუკი თანამედროვეთა გადმოცემებს დავუჯერებთ, XIII საუკუნის ჯვაროსნულ ლაშქრობებზე მისი გავლენა ისეთივე დიდი იყო, როგორც პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი მთავარი მქადაგებლის პეტრე მწირისა. თავის პირველსავე ქადაგებაში ჟაკ დე ვიტრიმ ჯვაროსნებს მოუწოდა, თავი ქრისტეს ვასალებად გამოეცხადებინათ. როგორც ფეოდალური ეპოქის წარმომადგენელი, იგი მოუწოდებდა ერთგულ ჯვაროსნებს, რომ როგორც ვასალები ასრულებენ სიუზერენის მიმართ ვალდებულებას, ასევე აღესრულებინათ თავიანთი მოვალეობა ქრისტეს წინაშე. ჟაკ დე ვიტრი თავის ერთ-ერთ ანდერძში შალის წითელ ჯვარს ფეოდალური ინვესტიტურის დროს გადაცემულ ნიშანთან (მას, ამ შემთხვევაში, საკრალური დატვირთვა ჰქონდა) აიგივებს, რომელსაც ჯვაროსნები მარჯვენა მხარზე იმაგრებდნენ.

ჟაკ დე ვიტრის ქადაგებებმა დიდი გავლენა მოახდინა მის თანამედროვეებზე. როგორც მქადაგებელი, პირველად იგი ალბიგოელთა წინააღმდეგ წარმოებულ ჯვაროსნულ ლაშქრობაში (1210-1213 წწ.) გამოჩნდა და შემდეგ მთელი თავისი სიცოცხლე მაცხოვრის წმინდა საფლავის დაბრუნების საქმეს მიუძღვნა. ლატერანის დიდმა საკლესიო კრებამ, რომელიც 1215 წელს ჩატარდა და „წმინდა ომი“ გამოაცხადა, დე ვიტრის იმედი მისცა, რომ ლათინთა სამეფო პალესტინაში ისევ ძველი დიდებით აღდგებოდა. მისი ორატორული ნიჭი პაპ ჰონორიუს III-ს შეუმჩნეველი არ დარჩენია და 1217 წელს ვიტრი აკრის ეპისკოპოსად დანიშნა. დე ვიტრი, რომლისთვისაც 1096 წლის პირველი ჯვაროსნების ენთუზიაზმი უცხო არ იყო, წმინდა მიწაზე გენუიდან გაემგზავრა. ამ გარემოების გამო, იგი მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის თვითმხილველი და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირველწყაროების ავტორია.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ XIII საუკუნის დამდეგს ჯვაროსნების რეკრუტირება ე.წ. „რევივალიზმის“ (Revivalism, ე.წ. განწმენდა) სწავლების საფუძველზე მოხდა. ჯვრის მიღება და ჯვაროსნობა დროებით რელიგიურ პირად გარდასახვას გულისხმობდა. ჯვრის მიმღები როცა ხდებოდა cruces-ignatus, ეს ნიშნავდა ამქვეყნიურობიდან განდგომას, საკუთარი თავის ჩაბმას განწმენდის პროცესში, პილიგრიმობის განსაცდელით ქრისტეს გზის იმიტირებას, ასევე წმინდანებისა და რელიგიური პირების მიბაძვას. ინდივიდუალური და სოციალური ტრანსფორმირება მიჩნეული იყო როგორც ჯვაროსნული სამზადისის, ასევე ჯვაროსნული ლაშქრის ცხოვრების არსებითი ნაწილი. ამ დამოკიდებულების თანახმად, ცოდვა განაპირობებდა სულიერ და სამხედრო მარცხს, სისპეტაკე და ზნესრულობა – გამარჯვებას. პილიგრიმებს მოეთხოვებოდათ, რომ მომწყდარიყვნენ საკუთარ ოჯახებს, მშობლიურ მიწას და საკუთრებას, შეენახათ ცელიბატი, ყოფილიყვნენ მოკრძალებულნი ქცევასა თუ ჩაცმაში და გულუხვნი – მოწყალების გაღებაში.

საგულისხმოა, რომ დე ვიტრი და სხვა მქადაგებელი პირები იმავეს ურჩევდნენ თავშეყრის ადგილებში ჯვაროსნებს, როცა ისინი წმინდა მიწაზე გასამგზავრებლად ემზადებოდნენ. აკრის ეპისკოპოსად არჩეულმა ჟაკ დე ვიტრიმ ქადაგება პირველად აკრაში, თავის საკათედრო საეპისკოპოსო ქალაქში დაიწყო. ეს ქალაქი საყოველთაოდ ცნობილი მთავარი პორტი იყო, საიდანაც პილიგრიმები წმინდა მიწაზე მიემგზავრებოდნენ.

ჟაკ დე ვიტრი, რომელიც მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის მზადების და განვითარების აქტიური მონაწილე გახლდათ, ყურადღებით აკვირდებოდა მიმდინარე მოვლენებს, მოსახლეობას და ჯვაროსნული აღმოსავლეთის ქვეყნების მდგომარეობას. მის ცნობებს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღმოსავლეთის ქრისტიანობის ისტორიისა და ჯვაროსნული ლაშქრობის შესასწავლად.

1217 წლის პალესტინის კამპანიის დროს, როცა გალილეა იქნა აღე-

ბული, ჟაკ დე ვიტრი ამ მოვლენათა შუაგულში იყო. თუმცა, თაბორის მთასთან ჯვაროსანთა წარუმატებლობის შემდგომ უნგრელთა ჯარი მეფის მეთაურობით ევროპაში დაბრუნდა, დარჩენილმა ჯვაროსნებმა კი დამიეტის აღებით ეგვიპტის სულთნის იძულებაში დაინახეს იერუსალიმის გამოხსნის გზა. შესაბამისად, შემდეგი წლიდან, ჟაკ დე ვიტრიც ახლდა ქრისტიანთა ჯარს დამიეტის ალყაში, სადაც ისევ მოვლენების ეპიცენტრში მოექცა. უშუალო თვითმხილველი ჟაკ დე ვიტრი არაერთხელ მდგარა საფრთხის წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ იგი პაპის ლეგატი იყო, მისი ბანაკი საომარ მოქმედებებთან ახლოს მდებარეობდა და თავის წერილებში აღნიშნავს, რომ რამდენჯერმე სიკვდილისთვისაც კი ჩაუხედავს თვალებში. როგორც ქვემოთ ვნახავთ, საბოლოოდ ეს კამპანიაც ფიასკოთი დამთავრდა.

ჟაკ დე ვიტრიმ, როგორც პაპის ერთგულმა პიროვნებამ, მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, როდესაც დამიეტას ალყა ჰქონდა შემორტყმული, გაიზიარა პაპის ლეგატის პელაგიუსის საკამათო შეხედულებები (იხ. ქვემოთ). ის, როგორც სარაცინების მტერი, შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, რომ მუსლიმები მხდალ, მატყუარა და ვერაგ მეომრებად წარმოაჩინოს. ჟაკ დე ვიტრი ცდილობს გაამხნევოს თავისი მეომრები და ხაზი გაუსვას მათ სიმამაცეს, თუმცა არ ფარავს ჯვაროსანთა რიგებში მყოფი უამრავი პიროვნების უკეთურ თვისებებს. იგი ააშკარავებს იმ ხალხს, რომლებსაც არც რწმენა, არც მორალი არ გააჩნიათ და ჩირქს სცხებენ იმ ადამიანებს, ვინც აღმოსავლეთში რწმენით იბრძვის. ამ უკანასკნელთ ჟაკ დე ვიტრი იცავს და მორალურ მაგალითებად იყენებს. ის დაუფარავად აღწერს ჯვაროსნების ტაქტიკურ შეცდომებს, მათ უდისციპლინობას, რომლის გამოც სარაცინების ხელით მრავალი ჯვაროსანი დაიღუპა ან ტყვედ ჩავარდა. თავის მხრივ, ჯვაროსნული ლაშქრობის ლიდერები ჩიოდნენ მის მომთხოვნ ხასიათთან დაკავშირებით. ამ წერილებს ერთგვარად რეპორტაჟის სახეც აქვს და ავტორი საოცარი ნიჭიერებით გადმოგვცემს დანახულს.

1216 წლიდან 1221 წლამდე წმინდა მიწასა და ეგვიპტეში ყოფნის დროს ჟაკ დე ვიტრიმ შვიდი წერილი დაწერა. იგი ამ წერილების შინაარსს თავის მდივანს ჟან დე კამბრეს კარნახობდა, რომელიც მას ხშირად რამდენიმე ეგზემპლარად ამრავლებდა და სხვადასხვა ადრესატს უგზავნიდა. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ავტორი თავის წერილებში ხშირად იყენებდა მისი წინარე ეპოქის მემატიანეთა შრომებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია XII საუკუნის ცნობილი ისტორიკოსის გიიომ ტირელის „იერუსალიმის ისტორია“ (დაწერილი, სავარუდოდ, 1184 წელს). მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობაში გიიომ ტირელის ისტორია ცნობილი იყო ოლ-

ივერუსისთვის, რომელიც ამ ლაშქრობის კიდევ ერთი თვითმხილველი გახლდათ. ცნობილია, რომ ჟაკ დე ვიტრი გიიომ ტირელის თხზულებიდან საკმაოდ დიდ ნაწილებს იღებდა და თავის „აღმოსავლეთის ისტორიას“ ურთავდა, ხოლო წერილებში პირველი ჯვაროსნების შესახებ დაწერილ ტირელის ფრაზებსაც კი იყენებდა. ამას იმიტომ აკეთებდა, რომ ჯეროვნად გადმოეცა ჯვაროსანთა ბანაკში არსებული ვითარება. ორივე მემატიანე, ჟაკ დე ვიტრიცა და ოლივერუსიც, პრაქტიკაში იყენებდა როგორც ჯვაროსანი მქადაგებლების, ისევე იმ ეპოქის ისტორიკოსების ნაღვაწს.

აღსანიშნავია, რომ 1225 წლის ნოემბერში ჟაკ დე ვიტრი ფრიდრიხ II-ისა და იერუსალიმის სამეფოს მემკვიდრის, ჟან დე ბრიენის ასულის, იზაბელას (იმავე იოლანდას), ქორწილს ესწრებოდა, რომელიც ბრინდიზიში გაიმართა. იგი რომის საღვთო იმპერატორის კარზე ტირის მთავარეპისკოპოსთან და სხვა დიდებულებთან ერთად იმყოფებოდა.

1227 წელს ჟაკ დე ვიტრი საბოლოოდ ტოვებს პალესტინას და რომში მიემგზავრება, თუმცა მას მალევე აგზავნიან ლიმოჟის დიოცეზში, სადაც ის ერეტიკოსების წინააღმდეგ ბრძოლაში ერთვება. 1229 წელს მას რომში ვხედავთ, სადაც პაპ გრიგოლ IX-ს აკრის ეპისკოპოსის ინსიგნიები მიართვა, თუმცა პაპმა მას ისევ დაუბრუნა აკრის საეპისკოპოსო ტახტი. მეტიც, პაპის ბრძანებით დე ვიტრი კარდინალი და ტუსკულუმის ეპისკოპოსი გახდა, ხოლო მოგვიანებით – პაპის ლეგატი საფრანგეთსა და გერმანიაში და ბოლოს, იერუსალიმის პატრიარქადაც დაასახელეს, მაგრამ, სანამ ამ საპატიო და საპასუხისმგებლო საქმეს შეუდგებოდა, 1240 წლის 30 აპრილს, იგი რომში გარდაიცვალა. ანდერძის თანახმად, მისი ნეშტი უანიეს მონასტერში გადაასვენეს.

ჟაკ დე ვიტრის წერილების თარგმნისას ჩვენ შემდეგი წყაროთი ვიხელმძღვანელეთ: „ჟაკ დე ვიტრი: წერილები მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის შესახებ“, 1960 და 1998 წლების გამოცემები. 1998 წელს გამოცემული ტექსტი სხვადასხვა ხელნაწერის მიხედვით დადგენილია რ. ბ. ც. იუჟენის მიერ, ხოლო კომენტარები გ. დიუშე-სიუშომ დაურთო (Lettres de Jacques de Vitry ed. R. B. C. Huygens. Traduit et présenté par G. Duchet-Suchaux, Brepols, 1998; R. B. C. Huygens, ed., Lettres de Jacques de Vitry, edition critique, Leiden: Brill, 1960). წყაროში პარალელური ტექსტია მოცემული ლათინურ და ფრანგულ ენებზე. 1216-1221 წლებში წმინდა მიწაზე ყოფნის დროს ვიტრიმ შვიდი წერილი დაწერა, რომელიც სხვადასხვა ადრესატს გაეგზავნა. დღეს ეს წერილები 14 ხელნაწერშია გაფანტული, რომელიც ევროპის ქალაქების სხვადასხვა ბიბლიოთეკასა და არქივშია დაცული. 1894-1896 წლებში პირველად რ. რორიხტმა ისინი

ერთ კორპუსად შეკრიბა და გამოაქვეყნა. რ. ბ. ც. იუჟენმა კი ეს ხელნაწერები თარგმნა, შეისწავლა, მათ კრიტიკული კომენტარები დაურთო და გამოსცა. ჟაკ დე ვიტრის კალამს ეკუთვნის ასევე „დასავლეთის ისტორია“ და „აღმოსავლეთის ისტორია“, რომელიც ხშირად სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იერუსალიმის ისტორიადაც მოიხსენიება.[3]

ჟაკ დე ვიტრის „აღმოსავლეთის ისტორიაში“ განხილულია მუსლიმების რელიგია, შემდეგ გადმოცემულია ჯვაროსნული ლაშქრობის მიზეზები და მოკლედ არის აღწერილი პირველი ოთხი ლაშქრობის ისტორია (1096-1192). იქვე საუბარია წმინდა მიწის ქალაქების, ხალხის, ფლორისა და ფაუნის, ასევე მისი გეოგრაფიული თავისებურებების შესახებ. დასავლეთ ევროპელი მკითხველისათვის „აღმოსავლეთის ისტორია“ ორიგინალურ, საინტერესო და მდიდარ ინფორმაციას შეიცავდა იმ ქვეყნებსა და ხალხებზე, რომლებიც იქ იყო მოხსენიებული. თუმცა, ხშირად ამ ხალხებს დასავლელი მკითხველი კარგად არც კი იცნობდა. საგულისხმოა, რომ „აღმოსავლეთის ისტორია“, რომელიც ფრანგულ ენაზე პირველად XIII საუკუნეშივე ითარგმნა, ხოლო ხელმეორედ – XIX საუკუნეში ფ. გიზოს მიერ, საინტერესო ცნობებს შეიცავს ქართველების შესახებაც. დე ვიტრის ამ თხზულებაზე მუშაობისას „პალესტინის პილიგრიმული ტექსტების საზოგადოების“ გამოცემით ვიხელმძღვანელეთ, რომლის თარგმანი ლათინურიდან ინგლისურად ო. სტიუარტის მიერ არის შესრულებული. „აღმოსავლეთის ისტორიიდან“ (ამ ვარიანტში მას „იერუსალიმის ისტორია“ ეწოდება (History of Jerusalem by Jacaues de Vitry, Palestine Pilgrims’ Text Society, trans. From the Original Latin by Aubrey Stewart,

[3] დაზუსტებისთვის უნდა ითქვას, რომ ჟაკ დე ვიტრის ნაშრომი „აღმოსავლეთის ისტორია“ (Historia Orientalis) მისი „იერუსალიმის ისტორიის“ (Historia Hierosolomitana) მხოლოდ ნაწილია, უფრო ზუსტად კი მეორე წიგნი. თუმცა, ამ მეორე ნაწილის პოპულარობიდან გამომდინარე, სწორედ მისი გაიგივება ხდება „იერუსალიმის ისტორიასთან“, რომლის პირველი წიგნი „დასავლეთის ისტორია“ (Historia Occidentalis) გახლავთ, სადაც ავტორის ის იმედებია წარმოჩენილი, რასაც დასავლეთის ეკლესიის მდგომარეობის რეფორმირებასთან დაკავშირებით ლატერანის მეოთხე კრება გეგმავდა. მედიევისტი ისტორიკოსი ჯ. ლ. ბირდი, რომლის კვლევაც ჟაკ დე ვიტრის „აღმოსავლეთის ისტორიის“ ტექსტების იდენტიფიცირებასა და კომენტარების წარმომავლობის დადგენას ეხება, თავის სტატიაში (The Historia Orientalis of Jacques de Vitry: Vizual and Written Commentaries as Evidence of a Text’s Audience, Reception, and Utilization, at Essays in Medieval Studies, Vol. 20, 2003, pp.56-74) აღნიშნავს, რომ „იერუსალიმის ისტორიას“ მესამე წიგნიც უნდა ჰქონოდა, რომელიც მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობისა და ლატერანის კრების ტრიუმფს უნდა მიძღვნოდა, თუმცა ეს მესამე ნაწილი ვიტრის კალამს არ მიეკუთვნება. შემდგომში მოხდა მისი შევსება ჰეიმარუსის ცნობებიდან პალესტინის შესახებ (Haymarus, Bibliotheca Geographica Palestinae) და ასევე ჟაკ დე ვიტრის თანამედროვის, ოლივერუსის ნაწარმოებიდან, სადაც ვრცლად არის მოთხრობილი დამიეტასთან გამართული პერიპეტიები.

M.A.)) ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა LXVII და LXXIX თავები, სადაც კომპაქტურადაა თავმოყრილი ცნობები ქართველების შესახებ[4]. დღესდღეობით „აღმოსავლეთის ისტორიის“ 24 ხელნაწერია შემორჩენილი, რომელიც „დასავლეთის ისტორიის“ გაგრძელებას წარმოადგენს. სამი ხელნაწერი მეორე მსოფლიო ომის დროს დაიკარგა. ხუთი მათგანი XIII საუკუნეს განეკუთვნება, ხოლო დანარჩენები უფრო გვიანდელია. ტექსტები ხშირად სრული სახით არ არის წარმოდგენილი. სავარაუდოდ, ორიგინალთან ყველაზე ახლოს მდგომი ხელნაწერი ლონდონში ინახება. აღსანიშნავია, რომ ჟაკ დე ვიტრის „იერუსალიმის ისტორია“ (თხზულების როგორც ჟაკ დე ვიტრისეული, ასევე შემდგომში მის სახელთან ასოცირებული ნაწილები) მისი თანამედროვის ოლივერუსის თხზულებასთან ერთად, მოგვიანებით ფრიდრიხ II-ის ლიდერობით დაწყებული მეექვსე ჯვაროსნული ლაშქრობის პროპაგანდად გამოიყენებოდა.[5]

ჟაკ დე ვიტრის წერილებისა და „აღმოსავლეთის ისტორიის“ გარდა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის ყველაზე უფრო ცნობილი და მნიშვნელოვანი ქრონიკა გახლავთ ოლივერუსის „დამიეტის ისტორია“ (Historia Damiatina, ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში მას დამიეტის აღება ეწოდება – Capture of Damieta[6]). ავტორი კიოლნისა და პადერნბორნის სქოლასტი, მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი მქადაგებელი, მისი აქტიური მონაწილე და თვითმხილველი იყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოლივერუსი ასევე ქადაგებდა ჯვაროსნულ ლაშქრობას და მჭიდროდ იყო ჩართული როგორც მის ორგანიზებასა და პოლიტიკაში, ასევე დროდადრო სამხედრო მოქმედებებშიც. მისი ნაშრომი დაწერილია 1217-1222 წლებს შორის. იგი წარმოადგენს არა მხოლოდ მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის ნარატიულ ქრონიკას, არამედ ახსნა-დასაბუთებას, თუ რატომ განიცადა მათმა ჯარმა მარცხი. ოლივერუსი ასევე მოუწოდებს შემდგომი ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ, რომელიც საღმრთო რომის იმპერატორის ფრიდრიხ II შტაუფენის ჯვაროსნული

[4] უნდა შევნიშნოთ, რომ მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის ჩვენ მიერ დასახელებული მეორე თვითმხილველის, ოლივერუსის თხზულების – „დამიეტის ისტორიის“ 35-ე თავი, პრაქტიკულად, იდენტურია ჟაკ დე ვიტრის ზემოთ ნახსენებ პასაჟებთან ქართველების შესახებ (იხ. Oliver of Paderborn, The Capture of Damietta, in Crusade and Christendom, Annotated Documents in Translation drom Innocent III to the Fall of Acre, 1187-1291, (Ed. J. Bird, Ed. Peters, J.M. Powell), University of Pensilvania Press, Philadelphia, 2013.

[5] Jessalyn Lea Bird, The Historia Orientalis of Jacques de Vitry: Vizual and Written Commentaries as Evidence of a Text’s Audience, Reception, and Utilization, at Essays in Medieval Studies, Vol. 20, 2003, pp. 57

[6] Capture of Damieta, იხ. - Crusade and Christendom [annotated Documnts in translation drom Innocent III to the fall of Acre, 1187-1291], ed. Jessalynn Bird, Edward Peters, James M. Powell, Philadelphia, 2013

ლაშქრობის რეკრუტირებისთვის იქნა გამოყენებული (ოლივერუსი მასში ჩართული იყო არა მხოლოდ როგორც მქადაგებელი, არამედ საორგანიზაციო შეკრებებსაც ესწრებოდა). იგი, ჟაკ დე ვიტრისა და პაპ ინოკენტი III-ის მსგავსად, სწავლობდა პარიზის სკოლაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი წიგნის მთავარი ფიგურანტი – ჟაკ დე ვიტრი სარგებლობდა ოლივერუსის ამ თხზულებით, როდესაც თავის „აღმოსავლეთის“ იმავე „იერუსალიმის ისტორიას“ წერდა. ამგვარად, ოლივერუსის მონათხრობი და მსოფლმხედველობა ისეთსავე დიდ მნიშვნელობას იმსახურებს, როგორსაც მის მიერ ლაშქრობის ირგვლივ აღწერილი ფაქტები.

ოლივერუსის ქრონიკა თვითმხილველის ყოვლისმომცველ ანგარიშს წარმოადგენს. აქ კარგად ჩანს მთავარი, რომ ლაშქრობა აღინიშნა მნიშვნელოვანი გადანაცვლებით ჯვაროსნულ სტრატეგიაში – სირიის ნაცვლად ეგვიპტე ამოიღეს მიზანში. ეს სტრატეგიული ცვლილება მიზნად ისახავდა, რომ დაეკავებინათ ეგვიპტის საკვანძო პუნქტები და ამით იერუსალიმის დასაბრუნებლად ევაჭრათ. ის ფაქტი, რომ შედეგი თითქმის მიღწეული იყო, თავდაპირველი ტაქტიკის სისწორეს ასახავდა.

მართალია, ჟაკ დე ვიტრისა და ოლივერუსის ცნობები მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის ირგვლივ არსებულ წყაროებს შორის ყველაზე მნიშვნელოვნად ითვლება, მისი მიმდინარეობა და დამიეტასთან მომხდარი სავალალო შედეგები დასავლეთ ევროპაში რამდენიმე წყაროდან გავრცელდა და რომის კურიას მიაღწია. ზემოთ ჩამოთვლილი ორი ავტორის გარდა, საგულისხმოა როჯერ ვენდოვერის ქრონიკა[7] (Roger of Wendover, Flores Historiarum), რომელშიც, გარდა მეოთხე ლატერანის კრების ირგვლივ მსჯელობისა, მოიპოვება ცნობები, თუ როგორ გამოეხმაურნენ კიოლნის მაცხოვრებლები და ფრიზები მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის მოწოდებას და რა სამზადისი გასწიეს. ამ ქრონიკაში ასევე ჩართულია სამი წერილი: აქედან, აღმოსავლეთიდან გაგზავნილი ორი წერილი პიტერ მონტეგიუს – ტამპლიერების მაგისტრს მიეკუთვნება და, სავარაუდოდ, 1221 წელს ელნის (საეპისკოპოსო საფრანგეთში) ეპისკოპოსისადმი უნდა მიეწერა, ხოლო მეორე – 1222 წელს ინგლისში ტამპლიერთა ზედამხედველისადმი უნდა გაეგზავნა. ამავე პერიოდის მესამე წერილის ავტორი პიტერ ალბანია. ის ჩესტერის გრაფის რანულფის სახელზეა მიწერილი და დამარცხების შემდგომ დეტალებს ასახავს.

ჯვაროსნული ეპოქის ირგვლივ არსებულ მდიდარ ბიბლიორაფიაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო იმ ისტორიულ წყაროთა კლასიფიკაცია, რომლებიც კონკრეტულად ამა თუ იმ ლაშქრობას ეხება.

[7] იხ. Crusade and Christendom [annotated Documnts in translation drom Innocent III to the fall of Acre, 1187-1291], ed. Jessalynn Bird, Edward Peters, James M. Powell, Philadelphia, 2013

XIX საუკუნეში ისტორიკოსები აქტიურად მუშაობდნენ წყაროების ტექსტების დადგენაზე. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია XIX საუკუნის მეორე ნახევრის წყაროების კრებულები ჯვაროსნული ეპოქის შესახებ. შეიქმნა ნაშრომთა მთელი ციკლი: „გალიისა და საფრანგეთის ისტორიკოსების კოლექციისა: „Le Recueil des historiens des Gaules et de la France“(1738-1904) ; ასევე მინეს „პატროლოგია“ (Migne J-P, Patrologiae cursus completes. Patres…ecclesiae latinae, 221 vol., P., 1844-1864.) და რ. რორიხტის მიერ შეკრებილი – Qurnti sacri scriptores minors (Genève, 1879) და Testimonia minora de quinto bello sacra (Genève,1882). ორივე კრებული აღმოსავლეთის შემსწავლელმა საზოგადოებამ გამოსცა; ასევე მიშოს „ჯვაროსნების ბიბლიოთეკა“ 4 ტომად, რომელიც 1829 წელს გამოიცა. XIX საუკუნის მეორე ნახევრის დიდი მიღწევა იყო „ჯვაროსნული ეპოქის ისტორიკოსების კოლექცია“ (Recueil des Historiens des Croisades, P., 1844-1895), რომელიც 5 ტომად გამოიცა, ხოლო XX საუკუნეში კი აღსანიშნავია 1948 წლიდან 17 ტომად გამოსული „დოკუმენტები ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ“ (les Documents relatifs à l'histoire des croisades).

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ახალი წყარო ხელმისაწვდომი გახდა მეცნიერებისათვის, რომელთა დაწვრილებით ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. წყაროების კლასიფიკაციისას ყურადღება გავამახვილეთ და ძირითადი აქცენტი გადავიტანეთ იმ მასალაზე, რომელიც კონკრეტულად მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობას ეხებოდა, რაც მოიცავს საკუთრივ, ჩვენ მიერ არაერთგზის ნახსენებ, თვითმხილველთა ცნობებს, ანუ: კორესპონდენციებსა და თხზულებებს (Jacoues de Vitry, History of Jerusalem, Pilgrims' Text Society, London, 1896, James of Vitry, Epistolae, 1216-1221, ed. R. Rohricht, Zeitschrift fur Kirchengeschichten- XIV [1892-1894], 97-118; XV [1894-1895], 568-587; XVI [1895-1896], 72-114; Oliver Scholasticus, Historia Damiatina (ed. H. Hoogeweg, Die Striften des Kolner Domscholasters, spdteren Bitch oft aeon Paderborn and Kardinal-Bischofts von S.Sabina Oliverus, in Bibliothek des litterarischen Vereins in Stuttgart, CCII [TGbingen 1894] 159-282;), ლაშქრობის ინიციატორი პაპების წერილებსა და დადგენილებებს (Innocents' III epistolae, in PL, vols. CCXIVCCXVI and in RHGF, XIX; Gervasii Praemonstratensis Abbatis epp. Ad Innocentium et Honorium, in GHGF, XIX, 604-605, 618-620), aseve imave epoqis qronikebs (Roger of Wendover, Flores Historiarum (ed. H.G. Hewlett, 3 vols., 1886-1889, Rolls Series, LXXXIV); Matthew Paris, Chronica majora, (ed. H.R. Luard, 7 vols, 1872-1873, Rolls Series, LVII), Chronique d'Ernoul et de Bernard le Tresior (ed. L.de Mas Latrie, Paris, 1871), Chronica regia Colomensis, in Scriptores rerum Germanicarum in usum scholarum (ed. G. Waitz, Hanover, 1880), Emo, Chronicon (ed.L.Weiland, MGH,

SS., XXIII), L'Estoire d'Eracles empereur(RHC, Occ., II), Gesta Deiper Franc, (Hanover, x611), I, 1-47-1124, Ex Thomae historia pontifuum Salonitanorum et Spadatinorum(ed. L.von Heinemann, MGH, SS., XXIX, 569-598. აგრეთვე მნიშვნელოვანია შუა საუკუნეების პერიოდში შექმნილი კომპილაციური ქრონიკები, რომლებიც მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობას ეხება, თუმცა შორიდან აფასებს მას. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის შესახებაა სენ-ბერტინის მონასტრის ქრონიკაც (Les Annales de Saint-Bertin). მისი გადამწერი, XIV საუკუნეში მოღვაწე ჟან იპრიელი, სენ-ბერტინის მონასტრის აბატი იყო. ეს ქრონიკა მრავალი ავტორის კომპილაციურ ნაშრომს წარმოადგენს, რასაც ჟან იპრიელი პროლოგშივე აღნიშნავს და ავტორთა შორის დე ვიტრისაც ასახელებს. ქრონიკა VII საუკუნიდან იწყება და 1292 წლამდე მოდის. აქ მეტ-ნაკლებად დეტალურადაა აღწერილი ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ არსებული ინფორმაცია. ჟან იპრიელი თავადაც იყენებს ჟაკ დე ვიტრის წყაროს. მისი თხრობის მანერა, რომელიც დამიეტის აღებას ეხება, თანხვედრაშია ჟაკ დე ვიტრის მეოთხე წერილთან, სადაც იგი იმავე მოვლენებზე საუბრობს[8].

რაც შეეხება თანამედროვე ავტორთა მიერ შედგენილ წყაროების კრებულებს, აქაც ძირითადად იმავე გზას მივყევით, და გამოვყავით საკუთრივ მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის ირგვლივ ფოკუსირებულად შედგენილი წყაროთა კრებულები. თარგმანისა და კლასიფიკაციის კუთხით მომუშავე თანამედროვე ავტორების ნაშრომებიდან, რომლებიც კონკრეტულად მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის ირგვლივ არსებულ წყაროებს ეხება, გახლავთ ჩვენ მიერ ზემოთ ციტირებული ჯ. ბირდის, ე. პიტერსისა და ჯ. პაუელის წყაროთა ფუნდამენტური კრებული – „ჯვაროსნები და ქრისტიანული სამყარო" (Crusade and Christendom [annotated Documnts in translation drom Innocent III to the fall of Acre, 1187-1291], ed. Jessalynn Bird, Edward Peters, James M. Powell, Philadelphia, 2013), რომელშიც თავმოყრილია ინგლისურად თარგმნილი დოკუმენტები ინოკენტი III-ის წერილებიდან მოყოლებული 1291 წლამდე, ანუ აკრის დაცემამდე. ჩვენი სამეცნიერო მუშაობის პროცესში სწორედ ამ წყაროთა კრებულით ვსარგებლობდით.

კვლევისას ასევე მნიშვნელოვნად გამოგვადგა ისტორიკოს ე. პიტერსის მიერ შედგენილი წყაროთა კრებული – „ქრისტიანული საზოგადოება და ჯვაროსნული ლაშქრობები" (Christian Society and the Crusades 1198-1229, ed. Edward Peters, Philadelphia, 1971), რომელიც XIII საუკუნის პირველი ნახევრის, კერძოდ, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ჯვაროსნული

[8] Bibliothèque des croisades, par Mr. Michaud, Première partie. Chroniques de France. Paris, 1829. გვ. 413-414

ლაშქრობების ირგვლივ სამზადისს, მსვლელობას, შედეგების მიმოხილვას და, შემდგომ, შესაბამის წყაროთა ამონარიდებს გვთავაზობს.

ასევე სინტერესოა ჯ. ბრანდიჯის დოკუმენტების კრებული – „ჯვაროსნები: დოკუმენტური მიმოხილვა" (The Crusades, a Documentary Survey, ed. James. A. Brundage, Wisconsin, 1962). კრებული მოიცავს მთელ ჯვაროსნულ ეპოქას და ისეთი დიდი დოზით არ ეხება კონკრეტულად მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობას, როგორც წინა ავტორების უფრო ფოკუსირებული კრებულები. შესაბამისად, უფრო მცირე ამონარიდებს გვთავაზობს წყაროებიდან, თუმცა – ფასეულს.

ჯვაროსნული აღმოსავლეთის ნებისმიერი კონკრეტული პერიოდის შესწავლა სრულყოფილი არ იქნება არაბული წყაროების გარეშე. კვლევითი მუშაობის პროცესში ჟაკ დე ვიტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის დაზუსტება და განვრცობა დაგვჭირდა, რაც დაგვეხმარებოდა ჯვაროსნული აღმოსავლეთის პოლიტიკური ვითარების, ყოფის, ეთნოგრაფიის, რელიგიური მრავალფეროვნებისა და ყოველდღიურობის დასადგენად. პოლიტიკური ისტორიის რეკონსტრუქციისთვის ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოდგა იბნ-ვასილის, იბნ-ალ-ასირის, იბნ ჯუბაირის, ალ-მაქრიზის, აბუ-შამას ცნობები. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდის ჯვაროსნული აღმოსავლეთის ფართო სოციალური ფონის აღსაქმელად დავეყრდენით უსამა იბნ მუნკიზისა და იბნ ჯუბაირის ნაშრომებს, ხოლო სამხედრო ისტორიის კუთხით კი აღნიშვნის ღირსია ატ-თარსუსისა და ალ-ხამავის თხზულებები[9].

ევროპულმა ისტორიოგრაფიამ ყველა პერიოდში სცადა ჯვაროსნული ეპოქის შეფასება და ამ პროცესში ეპოქის ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს ხშირად გვერდი ვერ აუარა. აღორძინების ხანის, რეფორმაციისა თუ განმანათლებლობის პერიოდის მოღვწენი ჯვაროსნული პერიოდის ირგვლივ განსხვავებულ შეფასებებს გვაძლევდნენ. ამ წყაროების მეცნიერული და მეტ-ნაკლებად მიუკერძოებელი დამუშავება მაინც XIX-XX საუკუნეებზე მოდის. ისინი ეტაპობრივად ივსებოდა, რადგანაც ევროპულ ლიტერატურაში ყოველთვის ვერ ხერხდებოდა არაბული, ზოგადად მუსლიმური, ბიზანტიური, სომხური და ქართული წყაროების ჩართვა და გამოყენება. ეს ხარვეზი ბოლომდე არა აქვს დაძლეული დასავლურ ისტორიოგრაფიას. დღესაც ეს ეპოქა, გამომდინარე მსოფლიოში მიმდინარე კულტურათა და ცივილიზაციათა ჭიდილისა თუ დიალოგის მუდმივი პროცესისა, კვლავაც არ კარგავს აქტუალობას და

[9] ჩამოთვლილი მუსლიმი ისტორიკოსების დიდ უმრავლესობას ჩვენ კ. ჰილენბრანდის ფუნდამენტური ნაშრომის – „ჯვაროსნები, ისლამური პერსპექტივები" (C. Hillenbrand, The Crusades, Islamic Perspectives, Edinbugrh University press, Edinbugrh, 2006) – წყალობით გავეცანით.

ისტორიკოს-მკვლევართა მთავარი ინტერესის საგანს წარმოადგენს.

ბუნებრივია, ისეთი მნიშვნელოვანი პერიოდი, როგორიც ჯვაროსნული ეპოქაა, ძალიან მდიდარია ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით. თუმცა, ჩვენ აქ, ძირითადად, იმ ნაშრომებს შევეხებით, რომლებიც ჯვაროსნული აღმოსავლეთის და, კერძოდ, XIII საუკუნის პირველი ნახევრის ლათინური სახელმწიფოების ირგვლივ კვლევისას, ასევე განსაკუთრებით ჟაკ დე ვიტრის მონაცემების დადგენა-დაზუსტებისას გამოგვადგა.

XX საუკუნეში არაერთი მცდელობა იყო, ჯვაროსნულ ეპოქაზე რამდენიმე ბიბლიოგრაფიული გზამკვლევი შეედგინათ. 1960 წელს. ჰ. მაიერმა პირველი ამომწურავი ბიბლიოგრაფია წარმოადგინა (Mayer, H. E., Bibliographie zur Geschichte der Kreuzzüge, Hanovre, 1960). ჰ.მაიერი 1958-1967 წწ. გამოცემული ნაშრომებით შემოიფარგლა. მას მიბაძა ისტორიკოსმა ა. ატიამ (Atiyah, A. The Crusades, Historiography and Bibliography, Bloomington, 1962), რომელმაც თავის თხზულებაში მოკლედ და კომპაქტურად წარმოაჩინა საკითხის ირგვლივ არსებული ისტორიოგრაფიული ევოლუცია გიიომ ტირელიდან მოყოლებული. ეს ორი ნაშრომი საშუალებას გვაძლევს, ნათლად დავინახოთ ისტორიული პანორამა.

ჩვენი მუშაობის პროცესში ისტორიკოს ა. ატიას ზემოაღნიშნული ნაშრომი ფასეულად კიდევ იმიტომაც ჩავთვალეთ, რომ მან ის ხარვეზები წარმოაჩინა, რომლებიც შეიძლება ჰქონოდა ჯვაროსნებზე არსებულ თვით ისეთ ფუნდამენტურ ნაშრომებს, როგორიც ს. რანსიმენის და რ. გრუსეს თხზულებებია (მაგალითად, აღმოსავლური წყაროების სათანადო რაოდენობით არასახვა). მან ასევე კრიტიკულად შეაფასა ჯვაროსნული ისტორიოგრაფიის შესახებ სრულყოფილი მონოგრაფიის არარსებობა. ამასთან, არა მარტო ბიბლიოგრაფიის კუთხით მოგვცა ჩამონათვალი დასავლეთ ევროპელი მნიშვნელოვანი ავტორებისა, რომელთა გარეშე ჯვაროსნული ეპოქის დამუშავება ნაკლული იქნებოდა, არამედ წარმოაჩინა ის ავტორებიც, რომლებმაც აღმოსავლური წყაროების (ბერძნული, არაბული და სხვ.) კვლევითა და ორიენტალისტიკაში გაკეთებული მიღწევებით ჯვაროსნული ეპოქის თემის გამდიდრებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს.

ეპოქის ისტორიოგრაფიული მიმოხილვისთვის და განსაკუთრებით შუა საუკუნეების ავტორთა დამოკიდებულების შესწავლისათვის საინტერესოა ქ. ტირმანის წიგნი „დებატები ჯვაროსნების შესახებ“ (Christopher Tyerman, The Debate on the Crusades, Manchester and NY, 2011), რომელიც კიდევ უფრო თანამედროვე ისტორიოგრაფიულ მიმოხილვას გვთავაზობს, ვიდრე წინამორბედი ავტორები.

ჩვენ საფუძვლიანად მივიჩნიეთ თანამედროვე მკვლევრების მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მხოლოდ ევროპული წყაროების შესწავლა ვერ შექმნიდა ჯვაროსნული აღმოსავლეთის შესახებ სრულფასოვან შთაბეჭდილებას. საბედნიეროდ, დასავლურ ისტორიოგრაფიაში სულ უფრო მეტად ჩნდება ისეთი ნაშრომები, რომლებიც ამ ხარვეზს აღმოფხვრის. ბუნებრივია, ამიტომაც, წიგნზე მუშაობის პროცესში გვერდს ვერ ავუვლიდით კ. ჰილენბრანდის მონუმენტურ ნაშრომს – „ჯვაროსნები ისლამის პერსპექტივიდან“ (Carile Hillenbrand, The Crusades – Islamic Perspectives, Edinburgh, 2006), რომელიც სწორედ მნიშვნელოვანია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობების კვლევის კუთხით. განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ ეს ნაშრომი, ვინაიდან, გარდა იმისა, რომ იგი აჩვენებს აუიბიანების პერიოდის ჯიჰადის თემის ტრანსფორმაციას ქრისტიანთა წინააღმდეგ, ასევე წყაროებით წარმოაჩენს, თუ როგორ ხედავდნენ მუსლიმები ფრანკებს, რა ეთნიკური და რელიგიური სტერეოტიპები არსებობდა. არაბული წყაროების განხილვის ფონზე ნაჩვენებია ლევანტში ჯვაროსნული პერიოდის ყოფა-ცხოვრების ამსახველი ასპექტები.

ჯვაროსნული ეპოქის შესწავლა გამორიცხულია რ. გრუსეს მნიშვნელოვანი და ფუნდამენტური ნაშრომების გარეშე, რომელიც ჯვაროსნულ ეპოქას ეხება: „ჯვაროსნული ლაშქრობებისა და იერუსალიმში საფრანგეთის სამეფოს ისტორია“ სამ ტომად (Grousset R, Histoire de Croisades et du Royaume France de Jérusalem, 1991), „ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოპეა“ (Grousset R, L'épopée des Croisades, P., 1991), „ჯვაროსნული ლაშქრობები“ (Grousset R, Les Croisades, P.,1994). განსაკუთრებით გვსურს აღვნიშნოთ ჟ. რიშარის მონოგრაფიები და სტატიები. „ლათინური იერუსალმის სამეფო“, (Ришар Ж, Латино-Иерусалимское королевство, Санкт-Петербург, 2002), სადაც ხაზგასმულია, რომ ჯვაროსნების ისტორია ეს არის აღმოსავლეთში არსებული ჯვაროსნული სამეფოების ისტორია, რომლებიც ამ კოლონიზაციის შედეგად შეიქმნა. ჟ. რიშარმა შეისწავლა ჯვაროსნული საზოგადოების ისტორია და ინსტიტუციები. ასევე მისი მონოგრაფია „პაპობა და შუა საუკუნეების აღმოსავლეთის მისიები (XIII-XV სს.)“ (La papauté et les missions d'orient au moyen age (XIII-XV siècles), რომელიც 1977 წელს გამოიცა რომში; „აღმოსავლეთი და დასავლეთი შუა საუკუნეებში: კონტაქტები და ურთერთობები (XII-XVსს.)“,(Orient et Occident au Moyen Age: contacts et relations (XII–XV), London, 1976) რომელიც ამ დარგში არსებული მისი მნიშვნელოვანი სტატიების კრებულს წარმოადგენს. აქვე შესულია მისი ცნობილი სტატია მეფე დავითზე (Richard J, L'Extrème-Orient légendaire au Moyen Âge: roi David et prêtre Jean‘‘, Anales d'Ethiopie, t.1, Paris, 1955); ასევე „ჯვაროს-

ნები, მისიონერები და მოგზაურები“, რომელიც 1983 წელსაა ლონდონში გამოცემული (Richard, J, Croisés, missionnaires et voyageurs, London, 1983). ეს ნაშრომები მნიშვნელოვან მასალას იძლევა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობისას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებული ურთიერთობების შესახებ. ასევე გვაწვდის ინფორმაციას იმ რეალობასა და ურთიერთობებზე, რომელიც მახლობელ აღმოსავლეთში მცხოვრებ მუსლიმებსა და აღმოსავლეთ ქრისტიანებს შორის არსებობდა. ნაშრომში აგრეთვე საუბარია, თუ რამდენად მოიკიდეს ფეხი ევროპელებმა წმინდა მიწაზე და როგორ მოახერხეს მახლობელი აღმოსავლეთის მულტიეთნიკურსა და მულტირელიგიურ კონტექსტში ინტეგრირება. ჩვენს ნაშრომზე მუშაობისას, ასევე ინფორმატიული აღმოჩნდა ა. დუსელიეს „აღმოსავლეთის ქრისტიანები და ისლამი შუა საუკუნეებში: VII-XIII სს.“, (Ducellier A, Chrétiens d’Orient et Islam au Moyen Age VII –XV siècle, P., 1996).

ჩვენი კვლევისათვის საინტერესო გამოდგა ჯ. ტოლანის ნაშრომი „ლათინური ევროპა და არაბული სამყარო შუა საუკუნეებში“ (Tolan J, L’Europe latin et le monde arabe au Moyen Âge, Rennes, 2009). ამ წიგნში ასახულია IX-XIV საუკუნეების ევროპელი ქრისტიანი ავტორების კრიტიკული დამოკიდებულება ისლამის მიმართ. მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ ისტორიკოს კ. კაენის „აღმოსავლეთი და დასავლეთი ჯვაროსნულ ეპოქაში“, (Cahen C., Orient et Occident au temps des Croisades, P., 1992). აქ ლათინური აღმოსავლეთის ისტორია გააზრებულია, როგორც აღმოსავლეთის ისტორიის განუყოფელი ნაწილი. ასევე მისი ნაშრომი „ისლამი“ (Cahen C, L’islam, P., 1970), რომელშიც ევროპულთან ერთად მუსლიმური სამყაროს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის სურათია გადმოცემული.

აღსანიშნავია რ. სტამბულის წიგნი „იერუსალმის გასაღებები: ფრანგების ორი ჯვაროსნული ლაშქრობა ეგვიპტეში (1200-1250)“ (Stambouili R, Les clefs de Jérusalem Deux croisades françaises en Egypte (1200-1250), Paris, 1991), სადაც ჩვენთვის საინტერესო პერიოდია განხილული.

გარდა ფრანგულენოვანი ლიტერატურისა, ინგლისურ ენაზე ყველაზე ცნობილი ნაშრომებია ს. რანსიმენის „ჯვაროსნული ეპოქის ისტორია“ (Runciman S, a History of the Crusades, Cambridge, 1951-1954) სამ ტომად და კ. სეტონის მთავარი რედაქტორობით შედგენილი „ჯვაროსნების ისტორიის“ მრავალტომეული (A History of the Crusades, General editor - Kenneth M. Setton, The University of Wisconsin Press, Wisconsin), რომელიც წლების მანძილზე იქმნებოდა და საკმაოდ სოლიდურ ნაშრომს წარმოადგენს ტრადიციული ისტორიოგრაფიის მხრივ. ამ ნაშრომის მეორე ტომი (A History of the Crusades, The Later Crusades 1189-1311), რომელიც კონკრეტულად მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობასაც ეხება, პოლიტიკური

ისტორიის რეკონსტრუქციისთვის, ლაშქრობის მსვლელობისა და შედეგების შეფასებისთვის მნიშვნელოვან მასალას იძლევა. მეხუთე ტომში (A History of the Crusades, The Impact of the Crusades on the Near East) კი კომპლექსურად არის წარმოჩენილი ჯვაროსანთა გავლენა მახლობელ აღმოსავლეთში, კერძოდ, გამოკვეთილია როგორც ჯვაროსნულ სამეფო-სამთვროებში არსებული სოციალური ფენები, ასევე ეთნიკური და სოციალური უმცირესობები, ჯვაროსნული აღმოსავლეთის სასოფლო-სამეურნეო განვითარება, ჯვაროსნული სახელმწიფოების პოლიტიკური და სოციალური ორგანიზაცია, მათი ეთნიკური და რელიგიური სიჭრელე, სამხედრო-სარაინდო ორდენები და მათი გავლენა, სავაჭრო ქალაქ-რესპუბლიკებისა და ჯვაროსნების დამოკიდებულება და ბოლოს, აღმოსავლეთში ევროპელთა მიერ გაშლილი მისიონერული საქმიანობა.

წიგნზე მუშაობისას ასევე ძალიან დაგვეხმარა ბერნარდ ჰამილტონის სტატიები ჯვაროსნულ სახელმწიფოებში ლათინური ეკლესიის დაფუძნების, აგრეთვე ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიაქროებში ორთოდოქს ქრისტიანებთან ურთიერთობის შესახებ (Hamilton B, The Latin Church in the Crusader States, The secular Church, London, 1980). სტატიები ეხება როგორც XIII საუკუნეში ლათინური ეკლესიის ეკონომიკურ მდგომარეობას, ასევე იმ ევქარისტიული ერთობის განცდას, რომელიც „წმინდა მიწაზე“ მყოფ კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს შორის ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე წაშლილი. ამ ფაქტორის წინ წამოწევამ უფრო გასაგები გახადა, თუ მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა რატომ შეიძლება განიხილებოდეს პაპობის მანიფესტად და რატომ ჰქონდა „წმინდა მიწის“ ფლობას ქრისტიანთა შორის ასეთი დიდი დატვირთვა.

ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდში წმინდა მიწაზე მყოფი ევროპელებისათვის საქართველოსთან ურთიერთობის საკითხი გარკვეულ მნიშვნელობას იძენდა. დავით IV აღმაშენებლის და მისი მემკვიდრეების მიერ მაჰმადიანთა წინააღმდეგ წარმოებულმა წარმატებულმა სამხედრო კამპანიებმა საქართველოს მიმართ ევროპელთა ინტერესი კიდევ უფრო გააძლიერა. XIII საუკუნეში ამ ურთიერთობებმა ინტენსიური ხასიათი მიიღო. იერუსალიმის დაკარგვამ ჯვაროსნები და ევროპის მმართველი წრეები ახალი რეალობის წინაშე დააყენა. მესამე და მეოთხე ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა წმინდა ქალაქი ქრისტიანებს ვერ დაუბრუნა. ამიტომაც, რომის პაპებმა მოკავშირეების ძიება აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამყაროში დაიწყეს. მათ იმედის თვალი საქართველოს სამეფოს მიაპყრეს, რომელსაც იმ დროს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მაშინდელი ახლო აღმოსავლეთის როგორც ქრისტიანულ, ისე მუსლიმურ სამყაროში. შესაბამისად, ევროპელი ავტორების პირველწყაროებში აღმოჩენილი

ნებისმიერი სიახლე დიდ დატვირთვას იძენს საკუთრივ საქართველოსა და ჯვაროსნების ურთიერთობის საკითხის ახლებურად დამუშავებაში, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხნის კვლევის საგანია.

ქართული სამეცნიერო სივრცისთვის და, ზოგადად, ქართველი მკითხველისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ჟაკ დე ვიტრის, როგორც თვითმხილველი მემატიანის, აქტიური მონაწილეობა კიდევ უფრო სანდოს ხდის მის ცნობებს საკუთრივ მახლობელ აღმოსავლეთში მცხოვრები ქართველების შესახებ. როგორც უკვე ვახსენეთ, იგი 1225 წლამდე აკრის ეპისკოპოსის სტატუსით იმყოფებოდა აღმოსავლეთში და მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვა სირია-პალესტინის მიწაზე ქართველთა კოლონიების, მათი სამონასტრო ცხოვრების, ასევე იერუსალიმში ქართველთა უფლებებისა და პილიგრიმობის შესახებ. საინტერესოა კათოლიკე ეპისკოპოსის დამოკიდებულება ქართველთა სარწმუნოებისადმი და, საერთოდ, აღმოსავლეთში მცხოვრები სხვა ქრისტიანი ხალხებისადმი. მნიშვნელოვან ინფორმაციებს გვაძლევს მემატიანე საქართველოსა და ჯვაროსანთა ურთიერთობების შესახებ. ეს ეხება მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდს, როცა რეალური ჩანდა ქართველთა სავარაუდო მონაწილეობა იერუსალიმის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში. წერილებში განხილულია ქართველთა მონაწილეობის სურვილი მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობაში, მიმართვის ტექსტები მეომარი მხარეებისადმი და მათი საბრძოლო თვისებების საკითხი. ჟაკ დე ვიტრის ქართველები მოხსენიებული ჰყავს თავისი მეშვიდე წერილის იმ ნაწილში, სადაც მემატიანე ჰყვება ლეგენდარული მეფის დავითის ისტორიას. ისტორიკოსთა ვარაუდით, ამ მეფის ამბავი მონღოლების, კერძოდ ჩინგის-ხანისა და ნაიმანთა მეთაურის ქუჩლუკის ლაშქრობების ჯვაროსნული ინტერპრეტაციაა. ჯვაროსნები ამ ისტორიულ ფიგურებში თავიანთ მხსნელს და მოკავშირეს იოანე პრესვიტერს აღიქვამდნენ. მითიურ მეფეს ისინი აღმოსავლეთში მცხოვრებ ქრისტიან მმართველებს უკავშირებდნენ და მის სამეფოს ერთ-ერთ მხარედ კავკასიას, კერძოდ, საქართველოსაც მიიჩნევდნენ. ამიტომ, საინტერესოა, თუ რა ადგილი ჰქონდათ ქართველებს ამ ლეგენდაში.

საგულისხმოა, რომ აღნიშნულ საკითხზე საზღვარგარეთ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურის არსებობის პირობებში, სამწუხაროდ ჟაკ დე ვიტრის მასალებზე მუშაობისას, ნაკლები ყურადღება ექცევა საქართველოს შესახებ არსებულ ცნობებს. ჩვენი წიგნის მიზანი იყო, რომ უმნიშვნელოვანესი წყაროების კომენტირებისას, ჩვენს ავტორებს მეცნიერულად დაემუშავებინათ და წმინდა მიწაზე ქართული თემის ირგვლივ არსებული სოციალურ-პოლიტიკური თუ რელიგიურ-კულტურული

ასპექტები წინ წამოეწიათ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში თაობების მანძილზე ყოველთვის დიდი დაინტერესება იყო ჯვაროსნული ლაშქრობებისადმი. ქართველ მეცნიერთა განსაკუთრებული ინტერესი ამ საკითხის მიმართ, ძირითადად, ჯვაროსნული აღმოსავლეთისა და საქართველოს ურთიერთობების შესწავლის კუთხით გამოიხატებოდა. სამწუხაროდ, ქართულ ნარატიულ წყაროებში აღნიშნული პრობლემების შესახებ ძალიან მწირი ინფორმაცია არსებობს, რაც საკითხით დაინტერესებულ მკვლევრებს სერიოზულ წინაღობებს უქმნიდა ამ ურთიერთობების სრულად აღსაქმელად. ამიტომ, მკვლევართა დასკვნები, ძირითადად, უფრო ჰიპოთეზური ხასიათისაა. მიუხედავად ამისა, ჯვაროსნულ ნარატიულ და ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში საინტერესო ცნობები არსებობს ამ ურთიერთობების შესახებ, რაც საკითხით დაინტერესებულ მკვლევრებს საშუალებას აძლევს, რომ ეპოქის სურათის მეტ-ნაკლებად ობიექტური რეკონსტრუქცია მოახდინონ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფრანგი მეცნიერის მარი ბროსეს ღვაწლი ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე. მართალია, მას სპეციალური ნაშრომი არ აქვს აღნიშნული საკითხის გარშემო, მაგრამ მის მეცნიერულ კვლევებს საქართველოს შესახებ ევროპული ისტორიოგრაფიისათვის გზამკვლევის სახე ჰქონდა (M. Brosset, Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIXe siècle, v. 1-7, St-Pb, 1848-58.). საქართველო-ჯვაროსნების ურთერთობების პრობლემებს ქართველმა მეცნიერებმა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში უძღვნეს მნიშვნელოვანი გამოკვლევები. ამ მეცნიერთაგან განსაკუთრებით გამოსაყოფია მ. თამარაშვილის ღვაწლი, რომელმაც კომპლექსურად შეისწავლა ქართული და ლათინური ეკლესიების ურთერთობების საკითხები და მოგვცა ფუნდამენტური ნაშრომი, რომელსაც არა მხოლოდ მეცნიერული, არამედ წყაროს კვალიფიკაციაც აქვს (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ. 1902). წმინდა მიწაზე ქართული კოლონიების და სამონასტრო კომპლექსების ისტორიის ღრმა ანალიზი წარმოგვიდგინა გრ. ფერაძემ, რომელმაც მრავალი, ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცნობი ხელნაწერი მოიპოვა, რაც ნათლად ასახავს ქართველთა პოლიტიკურ და რელიგიურ დაინტერესებას ამ რეგიონის მიმართ (გრ. ფერაძე, უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერების და ქართული მონასტრების შესახებ., თბ., 1995; G. Peradze, An Account of the Georgian Monks and Monasteries in Palestine as Revealed in the Writings of Non-Georgian Piligrims, Georgica. A Journal of Georgian and Caucasian Studies. Nos 4 and 5, 1937). ზ. ავალიშვილი პირველი მეცნიერი იყო, რომელმაც უშუალოდ საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთო-

ბების ისტორიას სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა. წიგნში ლათინური წყაროების ანალიზის საშუალებით საინტერესო დასკვნები არის გამოტანილი, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენს ინტერესს, რადგან, მისი გამოკვლევის ერთ-ერთი ნარკვევი XIII საუკუნეში საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობებს ეხება (ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, თბ. 1989). გარდა ამ ავტორებისა, ქართულ ისტორიოგრაფიაში მრავალი საინტერესო და ფუნდამენტური გამოკვლევა არსებობს აღნიშნული საკითხის მიმართ. ამ მეცნიერთა ნაშრომებმა დიდი წვლილი შეიტანა საკითხის გარშემო ახალი წყაროების დღის სინათლეზე გამოტანაში, რამაც შემდგომი ხანის მკვლევარებს საშუალება მისცა, უფრო სიღრმისეულად შეესწავლათ აღნიშნული პრობლემები. აქედან აღსანიშნავია ე. მეტრეველის ნაშრომი (მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVIIსს.), თბ., 1962), ალ. ნიკურაძის (Al. Nikuradze, „Skandinavier und Georgier auf der Pontisch-Baltischen Landsbrucke, Bedi Kartlisa, Revue der karthvelologie N 30-31, Paris, 1959), კ. სალიას, შ. ბადრიძის (ჯვაროსნული თქმულება დავით აღმაშენებელზე და დემეტრე პირველზე, კრბ. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968; საქართველო და ჯვაროსნები, თბ., 1973), ი. ტაბაღუას (საქართველო ევროპულ არქივებსა და წიგნთსაცავებში, ტ. I, თბ., 1984), ბ. სილაგაძის, („მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის“ (ქართველების ბრძოლა პალესტინის წმინდა ადგილების განთავისუფლებისათვის მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებში), ქართული წყაროთმცოდნეობა, კრბ. 2, თბ., 1968), ალ. თვარაძის (საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში, თბ. 2004; „მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა და მეფე დავითის რელაციო,“ კრბ. „ანალები,“ №3, თბ. 2008), ს. მარგიშვილის (მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, თბ., 2005), გ. ჯაფარიძის (საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, თბ., 1995), მ. პაპაშვილის (საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს. თბ., 1995), თ. ნატროშვილის (მაშრიღით მაღრიბამდე, თბ., 1991), ე. მამისთვალიშვილის (საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, (საქართველო და ჯვაროსნები)“, ტ. IV, გამომცემლობა „საარი“, 2014) ნაშრომები.

აღსანიშნავია, რომ საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობების საკითხს, ასევე სხვა მრავალი ქართველი და უცხოელი მკვლევარიც შეეხო, რომლებმაც როგორც მონოგრაფიები, ასევე სტატიები უძღვნეს ამ საკითხების შესწავლას. ამ მეცნიერთა სია საკმაოდ ვრცელია და ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ იმ ისტორიკოსთა გამოკვლევებს, რომლებმაც უშუალოდ ჩვენი საკვლევი თემის გარშემო არსებულ საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი ნაშრომები. აქედან პირველ რიგში უნდა გამოვყოთ ალ. თვარაძის ნაშრომები, რომელიც ჩვენი ავტორის, ჟაკ დე ვიტრის ეპისტოლარულ მემკვიდრეობას ეხება. მან საინტერესო დასკვნები მოგვცა VII წერილში მოცემული „მეფე დავითის რელაციოს“ და ჯვაროსანთა ბანაკში გავრცელებული წინასწარმეტყველთა ნაშრომების განხილვისას, რაც უშუალოდ საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობების საკითხებს შეეხება. ასევე უნდა აღინიშნოს გ. ჯაფარიძის მონოგრაფია. მართალია, მისი წიგნი საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის მუსლიმური სამყაროს ურთიერთობებს შეეხება, მაგრამ მეცნიერის დასკვნები მეტად ფასეულია, რადგან საქართველოს და ჯვაროსნების ურთიერთობები განხილულია მუსლიმი მემატიანეების ანალიზის ფონზე. ბოლო დროს მეტად საინტერესო ნაშრომი უძღვნა აღნიშნულ საკითხს ე. მამისთვალიშვილმა, რომელმაც კომპლექსურად შეისწავლა საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობების საკითხი მთელი ჯვაროსნული ეპოქის მანძილზე.

ქართულად თარგმნილი და მეცნიერულად შესწავლილი ჟაკ დე ვიტრის ეპისტოლარული მემკვიდრეობა, თანდართული ვრცელი კომენტარებით, სადაც დამუშავებულია სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, რელიგიური, ეთნოგრაფიული ასპექტები სრულ შთაბეჭდილებას ქმნის XIII საუკუნის 20-იანი წლების მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის კომპლექსური შესწავლისთვის. შესაბამისად, მას პრაქტიკული დანიშნულება ექნება ამ პერიოდის ევროპა-აღმოსავლეთისა და ევროპა-საქართველოს ურთიერთობებზე მომუშვე სპეციალისტებისთვის, განსაკუთრებით კი მედიევისტებისათვის. იგი საინტერესო იქნება როგორც საქართველოს, ისე მსოფლიო ისტორიის სპეციალისტებისა და სტუდენტებისათვის. ვფიქრობთ, ამით გვექნება კიდევ ერთი ფუნდამენტური ნაშრომი საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობების შესახებ. წიგნი დაგვეხმარება XIII საუკუნის საქართველოს საგარეო ურთიერთობების ძირითადი მიმართულებების შესწავლის საქმეში, ვინაიდან პოლიტიკური ურთიერთობების გარდა, ჟაკ დე ვიტრის ნაშრომები უაღრესად მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს იმ დროის ჯვაროსნული აღმოსავლეთისა და საქართველოს კულტურული თუ რელიგიური ურთიერთობების კუთხით.

წინამდებარე წიგნის მიზანია, მოკრძალებული წვლილი შეიტანოს ჯვაროსნებისა და საქართველოს ურთიერთობების კვლევაში და განიხილოს ის ისტორიულ კონტექსტში საკმაოდ ფართო საზოგადოებრივი ასპექტების დამუშავების ფონზე. რეალობაში კი, რა კუთვნილ ადგილს დაიკავებს იგი ქართულ სამეცნიერო წრეებში უკვე სპეციალისტების და მკითხველის გადასაწყვეტი იქნება.

მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის წინაპირობები

ჯვაროსნული ლაშქრობებისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის ზედაპირული ცოდნაც კი საკმარისია იმისთვის, რომ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობის ისტორიაში ახალი დისკურსის შემომტან ამ დიდ კამპანიაში მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა გარდამტეხ მომენტად ჩაითვალოს. ამ უკანონო და მორალურ ღირებულებებს მოკლებული ექსპედიციის მიერ აღმოსავლეთის უმთავრესი ქრისტიანული ძლევამოსილების მატარებელი სახელმწიფოს – ბიზანტიის დამხობამ – განაპირობა ის, რომ მიუხედავად ჯვაროსანთა მიერ დროდადრო მიღწეული ლოკალური გამარჯვებებისა, წმინდა მიწა უმეტესწილად მუსლიმთა ხელში რჩებოდა. ბიზანტიის ძლევამოსილება ისე გაქრა, რომ იმპერიის აღდგენის მერეც მისგან აჩრდილიც აღარ იყო დარჩენილი. ლათინთა იმპერია ბალკანეთსა და კონსტანტინოპოლში სუსტი, ამორფული და არამდგრადი იყო. ჯვაროსნულმა ლაშქრობამ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონში ქრისტიანთა მდგომარეობა დააზარალა. კონსტანტინოპოლის აღებამ, რასაც თან მოჰყვა მისი გაუგონარი სიხარბით დარბევა, საბოლოოდ უარყოფითად განაწყო ბერძნები პაპობისა და დასავლური ეკლესიისადმი. ამიტომ, ისინი ყოველგვარი კავშირისგან იკავებდნენ თავს, დოქტრინალური იქნებოდა ეს თუ ორგანიზაციული. იგივე ითქმის მუსლიმთა წინააღმდეგ ევროპელებთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირების დამყარებასთან დაკავშირებით. თუმცა ჯვაროსნულ ლაშქრობებში ჩაბმის სურვილს ისინი იმთავითვე, ამ ექსპედიციების დასაწყის ეტაპზეც, არ ავლენდნენ.

1204 წლის შემდგომ ჯვაროსნული ლაშქრობების ხასიათიცა და მიმართულებაც ფუნდამენტურად შეიცვალა. ეს მომდევნო ლაშქრობები იმდენად საკუთრივ წმინდა მიწაზე მცხოვრებ მუსლიმთა წინააღმდეგ კი არ იყო მიმართული, არამედ უპირატესად – ეგვიპტის წინააღმდეგ. „მეცამეტე საუკუნის ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა ცხადყო, ჯერ კიდევ რიჩარდ ლომგულის მიერ შენიშნული რეალობა: კერძოდ ის, რომ აღმოსავლეთში მუსლიმთა სიძლიერის წყაროს ეგვიპტე წარმოადგენდა და ისინი [ჯვაროსნები] გრძნობდნენ ეგვიპტის გაკონტროლების აუცილებლობას, რათა მახლობელ აღმოსავლეთში დასავლური სახელმწიფოების არსებობას გაგრძელების პერსპექტივა ჰქონოდა“[10].

XIII საუკუნის დამდეგიდან მოყოლებული და, მათ შორის, ჩვენთვის საინტერესო მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობაშიც ვეღარ მოხერხდა დასავლეთ ევროპელ მეფეთა ლაშქრობით დაინტერესება და აღტკინება 1187 წლის მსგავსად. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამას ნაწილობრივ

[10] J. A. Brundage, The Crusades, A Documentary Survey, Wisconsin, 1962, p. 212

ევროპის შიდა პოლიტიკური ვითარება განაპირობებდა, ნაწილობრივ კი – თავად ჯვაროსნული ლაშქრობის, როგორც მოძრაობის დეკადენსი. თუმცა, სულისკვეთება ერთბაშად არ ჩამქრალა.

ჯვაროსნული მოძრაობის სულისკვეთება ერთგვარად გადაარჩინა 1212 წელს წამოწყებულმა იმ არაორდინარულმა ნაბიჯმა, რასაც ბავშვთა ჯვაროსნული ლაშქრობა ჰქვია (იხ. ქვემოთ, კომენტარებში). ამ თავგანწირულმა, მაგრამ ფუჭმა ექსპედიციამ ათასობით ბავშვი და მოზარდი ჩააბა აღტკინებულ მოძრაობაში. ბუნებრივია, მისი შედეგი სავალალო იყო, ვინაიდან, წმინდა მიწის დაცვა და მუსლიმთა წინააღმდეგ ბრძოლა ვერ იქნებოდა დამოკიდებული ესოდენ სპონტანურ და უკონტროლო მასობრივ ენთუზიაზმზე, რასაც ბავშვთა ლაშქრობა წარმოადგენდა. სწორედ ამიტომაც, რამდენიმე წლის შემდეგ, ლატერანის მეოთხე კრებაზე პაპმა ინოკენტი III-მ ევროპულ სახელმწიფოებს შემდგომი ჯვაროსნული ლაშქრობებისკენ მოუწოდა. ამ პერიოდში, ცალსახად უნდა ითქვას, რომ „პაპობამ აშკარად დაიწყო ზრუნვა იმაზე, რომ იმედისმომცემი ჯვაროსნული ლაშქრობა წარმართულიყო პაპის ავტორიტეტის ხაზგასმითა და მისივე მკაცრი კონტროლის პირობებში. XIII საუკუნის პაპობა ჯვაროსნულ ლაშქრობებს პაპის პოლიტიკის ინსტრუმენტად განიხილავდა, რომელზეც ისინი თავად იყვნენ პასუხისმგებელნი და რომელშიც პაპის გავლენა და ავტორიტეტი ყოვლისმომცველი უნდა ყოფილიყო“.[11]

სწორედ ამიტომ, და აგრეთვე იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ჩვენი წიგნის მთავარი ფიგურანტი – ჟაკ დე ვიტრი სწორედ პაპის წარმომადგენელი გახლავთ და მისი წერილებისა თუ თხზულებების კომენტარებში, რაც ჩვენი წიგნის მთავარ კვლევით ნაწილს წარმოადგენს, ფართოდაა წარმოდგენილი როგორც მახლობელი აღმოსავლეთის ქრისტიანული და მუსლიმური სახელმწიფოების მმართველ წრეებს შორის არსებული ურთიერთობები; დამიეტის ირგვლივ წარმართული სამხედრო კამპანიის დეტალები, ასევე ქალაქად თუ სოფლად არსებული ჯვაროსნული აღმოსავლეთის სოციალური და კულტურული ყოფა, გადავწყვიტეთ, ჩვენთვის საინტერესო მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის წინაპირობების განხილვისას რამდენიმე საკითხზე (რომლებიც ნაკლებადაა კომენტარებში წარმოჩენილი) გავამახვილოთ მკითხველის ყურადღება. პირველ რიგში, ეს არის ჯვაროსნული აღმოსავლეთის სინამდვილეში, ევროპელთა მოსვლის შემდგომ, სირია-პალესტინის ტერიტორიაზე ლათინური ეკლესიის დაფუძნებისა და, ამ საბაბით, აღმოსავლეთ თუ დასავლეთ ქრისტინებს შორის ურთიერთობების რეგულაციებისა და გავლენის სფეროების გადანაწილების ჩვენება. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია,

[11] J. A. Brundage, The Crusades, a Documentary Survey, Wisconsin, 1962, p. 214

რომელიც, ერთი მხრივ, იმ ეპოქის მახლობელ აღმოსავლეთში არსებულ სინამდვილეს, შემდგომი ჯვაროსნული ლაშქრობების დაგეგმვის საჭიროებასა და სამომავლოდ აღმოსავლეთ ქრისტიანებთან ურთიერთობის ახალ ფორმატზე გადასვლის საჭიროებებს წარმოაჩენს; ხოლო, მეორე მხრივ, საგულისხმოა, გავაანალიზოთ რომის კურიის სამოქმედო ორიენტირები – ბიზანტიის ბერძნული მოსახლეობის მხარდაჭერის არქონის შემთხვევაში ვის და რატომ მიიჩნევდა მახლობელ აღმოსავლეთში მოკავშირედ რომის კურია, რა პოლიტიკას ატარებდა ამ მიმართულებით და რამდენად იყო იგი რეალობით ნაკარნახევი. ჯვაროსნულ აღმოსავლეთში საასპარეზოდ და სამოღვაწეოდ რა რეალობა, რა ბაზისი დახვდა ჩვენი წიგნის მთავარ პერსონაჟს, ჟაკ დე ვიტრის კათოლიკური ეკლესიის ორგანიზაციის, უფლება-მოვალეობების, გავლენის სფეროებისა და როგორც ლათინი თუ არალათინი ქრისტიანების, ისე ევროპელებისა და მახლობელი აღმოსავლეთის მუსლიმების ურთიერთობის მხრივ. რა წინაპირობა ჰქონდა რუსუდან მეფისა და ივანე ათაბაგის საქართველოდან ევროპაში, პაპ ჰონორიუს III-თან მიმოწერას. როგორი იყო ქართული სახელმწიფოს მმართველი წრეების ინტერესი ჯვაროსნული ლაშქრობების მიმართ; რა სახის ურთიერთობა არსებობდა ამ ეტაპზე პაპის კურიასთან, ვინ და როდის მიიწვია ქართველები მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად.

§ 1. კათოლიკური ეკლესია წმინდა მიწაზე

ევროპელთა მიერ სირია-პალესტინაში ჯვაროსნული სამფლობელოების დაარსების კვალდაკვალ ლათინურმა (კათოლიკურმა) ეკლესიამ წმინდა მიწაზე[12] ფეხის მოკიდება დაიწყო. მანამდე დასავლური ტიპის ქრისტიანებს მხოლოდ გამოყოფილი ადგილები ჰქონდათ თავიანთი პილგრიმებისთვის – ეს იყო წმინდა მარიამის სახელობის ბენედიქტური მონასტერი ლათაკიაში და წმინდა იოანეს სახელობის ჰოსპიტალი იერუსალიმში. ლათინი ქრისტიანები ცნობდნენ და თავიანთად მიიჩნევდნენ ეკლესიას, რომელიც ქალკედონის კრების დოგმებს მისდევდა, ასევე ანტიოქიასა და იერუსალიმში ბერძენი პატრიარქები ჰყავდა.

[12] ფუნდამენტური ნაშრომი ამ საკითხთან დაკავშირებით მიეკუთვნება ვილჰელმ ჰოტზელტს (Hotzelt, W. „Kirchliche Organisation und religiöses Leben in Palästina während der Kreuzzugzeit,'' Das Heilige Land (Palästinahefte des Deutschen Palästina-Vereins), II, Cologne 1940; Kirchengeschichte Palästinas in Zeitalter der Kreuzzűge 1099-1291, Cologne, 1940) ჩვენ მეტწილად ვსარგებლობდით ინგლისურენოვანი ლიტერატურით და ჯვაროსნულ აღმოსავლეთში კათოლიკური ეკლესიის ევოლუციის პროცესის რეკონსტრუქციისათვის ყველაზე მეტად დავეყრდენით ისტორიკოსების - კ. სეტონისა და ბ. ჰამილტონის ნაშრომებს, სადაც ყველაზე დეტალურადაა წარმოჩენილი ლათინური ეკლესიის დაფუძნება სირია-პალესტინის ტერიტორიაზე.

უნდა ითქვას, რომ ბერძნული ეკლესია პალესტინაში არც ისე ძლიერი იყო. მას პატრიარქის გარდა აქ მხოლოდ სამი-ოთხი ეპისკოპოსი ჰყავდა. რაც შეეხება სირიას, კომნენოსების პერიოდში ბიზანტიელთა მიერ მისი რეოკუპაციის გამო აქ ბერძნული ეკლესია ბევრად უფრო მასშტაბურად იყო წარმოდგენილი. თურქების შემოჭრის შედეგად, მისი საეკლესიო იერარქია საკმაოდ დაზარალდა, თუმცა გადარჩა. სქიზმის მიმართ აღმოსავლელ პატრიარქებს დიდი ენთუზიაზმი არ გამოუჩენიათ, ამიტომაც იმის ილუზია, რომ ამ რეგიონში ეკლესიების გაერთიანება შესაძლებელი იყო, კვლავ სუფევდა. მართალია, 1204 წლის კონსტანტინეპოლის განადგურებამ აქ ბერძნული მოსახლეობისა და ორთოდოქს ქრისტიანთა შოკი გამოიწვია, თუმცა განსაკუთრებით სირიასა და კვიპროსზე ურთიერთობები კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს შორის[13] ერთბაშად არ გაფუჭებულა.

ამიტომაც, გასაკვირი არაა, რომ მახლობელ აღმოსავლეთში მოსვლისთანავე ჯვაროსნებმა ანტიოქიის ბერძენი პატრიარქი იოანე V ოქსიტე ცნეს და აღიარეს; დაუბრუნეს მას კათედრა და ძღვენიც შესწირეს. თუმცა იქ, სადაც ქალაქის აღების შემდეგ ეპისკოპოსი ვერ აღმოაჩინეს, ჯვაროსნებმა ის უკვე თავიანთი რიგებიდან (ლათინი) დანიშნეს.

საერთოდ, ალბათ, უცნაურად არ უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ჯვაროსნებს, რომლებიც XI საუკუნის მიწურულიდან სირია-პალესტინის ტერიტორიაზე დომინანტური და შემდგომ უკვე საკმაოდ მსხვილი სოციალური ჯგუფი იყო, კლერიკალები და ეპისკოპოსები თავად, საკუთარი რიგებიდან დაენიშნათ იმ ეკლესიებში, რომელთა აღდგენასაც ახდენდნენ მუსლიმთაგან მათი დაბრუნების შემდეგ. თუმცა, ამის მიუხედავად, ჯვაროსნები ჯერ კიდევ ცნობდნენ ბერძენი პრელატების ლეგიტიმაციას, რომელნიც არსებითად იმავე ეკლესიას მიეკუთვნებოდნენ, რასაც თავად.

ვინაიდან, ბერძენი პატრიარქი პრობიზანტიურ პოლიტიკას ატარებდა და არ აპირებდა ეცნო პაპის ზემდგომობა, წმინდა მიწაზე ჯვაროსნების მოსვლის შემდეგ საკმაოდ დელიკატური ვითარება შეიქმნა. პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი ბელადის, ბოემუნდ ტარენტელისა და ალექსი კომნენოსის ინტერესების შეუთავსებლობამ ანტიოქიაში ზემოხსენებული პატრიარქის, იოანე V-ის მდგომარეობა გაუსაძლისი გახადა. ევროპელთა გამარჯვება პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობაში იმაშიც გამოიხატა, რომ უკვე 1099 წლიდან ტარსუსში, მამისტრასა და ედესაში ლათინი არქიეპისკოპოსები დაინიშნენ. მართალია, არც ერთი

[13] B. Hamilton, The Latin Church in the Crusader States, London, 1980, pp. 311-313

მათგანის ხელდასხმა იოანეს არ მოუხდენია, მაგრამ ვერც ჯვაროსანთა პრეტენზიებს უმკლავდებოდა. ამიტომ, 1110 წელს იგი კონსტანტინოპოლში წავიდა, სადაც პატრიარქის ტახტიდან გადადგა. ლათინებმა იგი ბერნარდ ვალენსით შეცვალეს, რომელმაც საპატრიარქო ტახტი და მისი დაქვემდებარებული ქონება ჩაიბარა და სამწყსოს კათოლიკური კანონებით მართავდა. თავის მხრივ, ეს ჩანაცვლება უკანონოდ მიიჩნია ბიზანტიის ბასილევსმა. ალექსი კომნენოსმა მაშინ პირველად განაცხადა თავისი პრეტენზია იმის თაობაზე, რომ ანტიოქიის საპატრიარქო ტახტის დაკავების უფლება, დევოლის შეთანხმების[14] თანახმად, მხოლოდ ბერძენ პატრიარქს უნდა ჰქონოდა, რომელიც არჩეული იქნებოდა კონსტანტინოპოლში, სამღვდელოების წარმომადგენელთა მიერ. იოანე კომნენოსმა 1137 წელსაც იმავე უფლებებზე პრეტენზია განაცხადა და მიაღწია კიდეც მიზანს – ანტიოქიის საპატრიარქო ტახტზე კვლავ ბერძენი პატრიარქები აღმოჩნდნენ. 1158 წელს უკვე მანუელ კომნენოსმა აიძულა ანტიოქიის მაშინდელი ლათინი მმართველი რეჯინალდი, რომ კვლავ ბერძენი პატრიარქი ეცნო და რამდენიმე ხანი ეს ტრადიცია შენარჩუნდა. 1206-1207 წლებში ანტიოქიის მმართველმა ბოემუნდ IV-მ ლათინი პატრიარქის შემდეგ ბერძენი სიმეონ II დააყენა პატრიარქად (იხ. მესამე წერილის კომენტარები). 1260 წელს მონღოლთა მხრიდან ზეწოლის შედეგად იგივე გააკეთა ბოემუნდ VI-მაც, თუმცა, ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი გარეშე ფაქტორები აღმოჩნდა. ანალოგიური სიტუაცია იყო 1158 წელს, როცა ბიზანტიელებმა კილიკიიდან ლათინები განდევნეს. მაშინ ტარსუსიდან და მამისტრიდან ლათინი არქიეპისკოპოსებიც განდევნილ იქნენ და მხოლოდ მას შემდეგ დაუბრუნდნენ თავინთ საეპისკოპოსოებს, რაც ანტიოქიის მთავრებმა და შემდგომ სომეხმა ბარონებმა კილიკიის დაბლობი დაიბრუნეს. როგორც ვხედავთ, ბერძენი და ლათინი პატრიარქები ანტიოქიის ტახტზე ხშირად ცვლიდნენ ერთმანეთს და ეს დიდწილად პოლიტიკური ამინდის ცვლაზეც იყო დამოკიდებული.

ანტიოქიისგან განსხვავებით, პალესტინაში მოსულ ჯვაროსნებს იერუსალიმის საპატრიარქო ტახტი ვაკანტური დახვდათ. „არსებობდა მოსაზრება, რომ აქაური პატრიარქი სიმეონ II გაძევებული იქნა ეგვიპტეში, თავშესაფარი ჰპოვა კვიპროსზე და იქ აღესრულა, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. სინამდვილეში იგი კონსტანტინოპოლში წავიდა. ლათინებმა თავიანთი რიგებიდან ახალი პატრიარქი შეარჩიეს“[15]. ამგვარად, კიდევ ერთი მართლმადიდებლური რწმენის ტიტულოვანი პატრიარქის დანიშვნა გადავიდა კონსტანტინოპოლის ხელში, მიუხედავად იმისა, რომ XII საუკუნის შუა ხანებიდან იერუსალიმის პატრიარქები დაბრუნდნენ იერუსალიმში და ბერძნულ მონასტერში დაფუძნდნენ. „მუსლიმებმა მხოლოდ სალაჰ ად-დინის სიკვდილის შემდეგ [1193 წ.] დართეს ნება ბერძენ პატრიარქებს დაბრუნებულიყვნენ წმინდა მიწაზე. დოსითეოსსა(1187-1189 წწ.) და მარკუს კატაფლორუსს (1189-1195 წწ.) იერუსალიმის პატრიარქის წოდების მიუხედავად, კონსტანტინოპოლი არ დაუტოვებიათ. თუმცა, ეუთიმიუსი(1195-1222 წწ.) სწორედ სინაიზე აღესრულა“[16].

შესაბამისად, ლათინებმა ბერძნები საეპისკოპოსო კათედრებზეც ჩაანაცვლეს. მათ საპატრიარქო, საეპისკოპოსოები და რიგი მონასტრები, მათ შორის მაცხოვრის საფლავის ტაძრის ქონებაც, ხელში ჩაიგდეს.

„დაპირისპირება, რამაც თავი იჩინა ბერძნებსა და ლათინებს შორის, რომლებიც თვლიდნენ, რომ არსებითად ერთ ეკლესიას მიეკუთვნებოდნენ და შეიძლებოდა ერთსა და იმავე ეპისკოპოსს დაქვემდებარებოდნენ, არ წარმოქმნილა ლათინებსა და სხვა ტიპის ქრისტიანულ მიმდინარეობებს შორის, რომელთაც ლათინური ეკლესია სქიზმატიკოსებად და ერეტიკოსებად განიხილავდა. სომხებმა, ნესტორიანელებმა და მონოფიზიტებმა დაიბრუნეს თავიანთი ეკლესიები და, გარკვეული სირთულეების შემდგომ, თავიანთი ქონებაც.“[17] საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ მათ საშუალება ჰქონდათ თავიანთი ტრადიციული იერარქიისთვის ეცათ პატივი და არავინ აიძულებდათ ადგილობრივი ლათინი სამღვდელოების უზენაესობა ეცნოთ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი თავს რომის ეკლესიის დაქვემდებარებულებად აცხადებდნენ.

აღსანიშნავია, რომ მართლმადიდებელ ქრისტიანთა ნაწილი ლათინი პატრიარქების იურისდიქციაში შესვლას წინააღმდეგობით არ შეხვედრია (ამის მაგალითად ჯვაროსანთა ეპოქის ცნობილ მკვლევრებს – კ. სეტონსა და ჟ. რიშარს ქართული მონასტერი მოჰყავთ, რომელიც პატრიარქ გიბელინის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა[18]). თუმცა, უნდა ითქვას, რომ ზოგადად, ლათინი პატრიარქის იურისდიქცია მხოლოდ ლათინებზე

[14] 1108 წელს ამჟამინდელი ალბანეთის ტერიტორიაზე არსებულ ბიზანტიურ ციხესიმაგრე დევოლში ბოემუნდ I ანტიოქიელსა და ბიზანტიის იმპერატორ ალექსი I კომნენოსს შორის გაფორმებული შეთანხმება, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ ანტიოქიის სამთავრო ბიზანტიის იმპერიის ვასალი პოლიტიკური ერთეული უნდა ყოფილიყო. ამ შეთანხმების საფუძველზე ბოემუნდი იმაზეც თანხმდებოდა, რომ ანტიოქიის პატრიარქად ბერძენი დანიშნულიყო.

[15] A History of the Crusades, (gen. ed.) K. M. Setton, The Impact of the Crusades on the Near East, Volume V, ed. by N. Zacour and H.W. Hazard, The University of Wisconsin Press, Wisconsin, 1985, p. 235

[16] B. Hamilton, The Latin Church in the Crusader States, London, 1980, p. 180

[17] J.L. LaMonte, Feudal Monarchy in the Latin Kingdom of Jerusalem, 1100-1291, Cambridge, Mass., Medieval academy of America, 1932, p. 203-205

[18] იქვე გვ. 236

ან ადგილობრივებზე ვრცელდებოდა, რომლებიც კათოლიკური რწმენის მიმდევრები იყვნენ. ამიტომაც მოხდა, რომ შემდგომში, როცა მუსლიმებმა აქ სრული კონტროლის ხელში აღება შეძლეს და ევროპული პოპულაციაც აღარ დარჩა, ამ რეგიონში ვერც კათოლიკური ეკლესიის შენარჩუნება მოხერხდა.

ორი პატრიარქის (იგულისხმება ანტიოქიისა და იერუსალიმის) შერჩევა სიახლე იყო ლათინური ეკლესიისთვის. ეს ფაქტი ცხადყოფს, თუ როგორ სურდათ მოსულებს ადაპტაცია მოეხდინათ აღმოსავლური ეკლესიის ტრადიციულ ორგანიზებასთან. თუმცა, საგულისხმოა, რომ თავად ფაქტი იყო განსაკუთრებული: ეპისკოპოსი უნდა აერჩია კათედრის კანონიკების კრებას, თუმცა თავად ეს საბჭო ჯერ არ არსებობდა. ამიტომაც იერუსალიმის პატრიარქის ტახტი საჯილდაო ქვა აღმოჩნდა[19].

XII საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული, ჯვაროსნულ აღმოსავლეთში იერუსალიმის ლათინი პატრიარქები მაცხოვრის საფლავის ტაძრის კანონების თანახმად ირჩეოდნენ. უნდა შერჩეულიყო ორი კანდიდატი, რომელთაც იერუსალიმის მეფეს წარუდგენდნენ. იგი ირჩევდა ერთ-ერთ მათგანს. პატრიარქებს ამავდროულად უნდა გაეწიათ ანგარიში პაპის ლეგატებისთვის, რომელნიც ფართო უფლებამოსილებით იყვნენ აღჭურვილნი. თუმცა, უკვე XIII საუკუნეში პაპი, ჩვეულებრივ, ლეგატის უფლებებს თავად პატრიარქებს ანიჭებდა თავისი საპატრიარქოს იურისდიქციაში მყოფ სივრცეში. 1187 წლის შემდეგ, რაც სალაჰ-ად-დინმა იერუსალიმი ჯვაროსნებს წაართვა, იერუსალიმის პატრიარქი უკვე აკრაში ცხოვრობდა. 1229 წელს „წმინდა ქალაქის“ ხელახალ დაკავებას ევროპელ ქრისტიანთა მიერ მისი ადგილსამყოფლის ცვლილება არ მოჰყოლია. 1244 წლის შემდეგ კი, რაც იერუსალიმი ჯვაროსნებისთვის საბოლოოდ დაიკარგა, იერუსალიმის პატრიარქის რეზიდენციის აკრაში არსებობა ნორმად იქცა. ამან ადგილობრივ ეპისკოპოსთან გამოიწვია რიგი გაუგებრობები. საბოლოოდ, XIII საუკუნის შუა ხანებისკენ ურბან IV-მ აკრა იერუსალიმის საპატრიარქოს მიუერთა.

„ანტიოქიის საპატრიარქოს პრობლემა, ლათინი პატრიარქების ტახტზე ყოფნის შემთხვევაშიც კი, იმაში მდგომარეობდა, რომ ეს გახლდათ წმინდა პეტრეს უძველესი ტახტი და ჯვაროსნებს მოსვენებას უკარგავდა ის, რომ პაპი ვალდებულად ჩათვლიდა თავს იგი თავის უშუალო დაქვემდებარებაში დაეტოვებინა.“[20] ორივე საპატრიარქოში საეპისკოპოსო იერარქიის დამყარებას სირთულეები ახლდა. ურბან II-ის განკარგულებით ჯვაროსანთა მიერ დაპყრობილი მიწები უნდა მოხვედრილიყო როგორც

[19] იერუსალიმში შესული პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის არმიამ ჯვაროსანთა ერთ-ერთი ლიდერის, რობერტ ნორმანდიელის კაპელანი – არნულფი – პატრიარქად დაასახელა. იგი, ამავდროულად, ურბან II-ის ლეგატის უფლებებით აღჭურვილი პირი იყო. ქრონისტები – რაიმონდ აგილერი და გვიბერტ ნოჟანელი ადასტურებენ, რომ მისი არჩევა მართლაც ასე მოხდა. მოგვიანებით პაპის ახალმა ლეგატმა დაიმბერტ პიზელმა სიმონიის საფუძველზე არჩევანი უკანონოდ ცნო და, იერუსალიმში ჩატარებული შეკრების დასტურით, პატრიარქის ტახტი თავად დაიკავა, რაზეც ზეგავლენა ანტიოქიის მმართველმა ბოემუნდმა და ბოდუენ ედესელმა მოახდინეს. დაიმბერტს ურთიერთობა გაუფუჭდა იერუსალიმის მეფე ბოდუენ I-თან და გადასახლებაში წასვლა მოუწია, მაგრამ ანტიოქიის მმართველის ხელშეწყობით ისევ დაიბრუნა საპატრიარქო ტახტი. ახალმა კრებამ იგი სიმონიის, მომხვეჭელობის, მეფის ღალატისა და სისხლისღვრის გამო გადააყენა (პიზელებმა, რომელთაც ის მეთაურობდა, გაულიტეს ბერძენი მოსახლეობა). XII საუკუნის დამდეგისთვის ტახტის მაძიებელი უფრო მეტი აღმოჩნდა: დაიმბერტი ევრემარ კოკმა შეცვალა, თუმცა დაიმბერტმა რომში იჩივლა და დაიბრუნებდა კიდეც ტახტს, მაგრამ სიკვდილის გამო აღარ დასცალდა. არნულფმა რომს ევრემარის გადაყენება მოსთხოვა, რაზეც რომის თანხმობა ვერ მიიღო, თუმცა ეს უკანასკნელი თავად გადადგა და მისი ადგილი პაპის ლეგატმა გიბელინ საბრანმა დაიკავა. გიბელინის სიკვდილის შემდეგ, მაცხოვრის საფლავის ტაძრის კანონების თანახმად, უკვე კვლავ არნულფი აირჩიეს (1112 წ.) პატრიარქად და მიუხედავად იმისა, რომ იერუსალიმში ჩატარებული კრების მიერ იგი კვლავ სიმონიაში იქნა ბრალდებული, რომში თავის მართლება შეძლო და იერუსალიმის პატრიარქობა (1118 წ.) სიკვდილამდე შეინარჩუნა. (იხ. A History of the Crusades, The Impact of the Crusades, 1985, p. 236-237; ასევე Hampel, E. Untersuchungen űber das lateinisches Patriarchat von Jerusalem (1099 bis 1118), Breslau, 1899, pp. 23-29, 49-62

[20] ბერძენი პატრიარქის იოანეს წასვლის შემდეგ, ანტიოქიას დაქვემდებარებულმა ლათინმა პრელატებმა ანტიოქიის პატრიარქად ბერნარდ ვალენსი აირჩიეს, რომელსაც პრობლემები არ ჰქონდა არც ანტიოქიის მმართველთან და არც კათედრის კანონიკების საბჭოსთან. სწორედ ბერნარდია ის პიროვნება, რომელმაც სცადა ესარგებლა იმ უპირატესობით, რაც ანტიოქიას ჰქონდა, როგორც უფრო ძველ საპატრიარქო ტახტს და ამის საფუძველზე გამოეჩინა სწრაფვა რომის პაპისგან დამოუკიდებლობის მისაღწევად. ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო შორს წავიდა მისი მემკვიდრე რალფ დომფრონტი (1135-1139 წწ.), თუმცა განკვეთის მუქარის შემდგომ დამორჩილდა პაპს. მის შემდგომ ანტიოქიის ტახტს დიდი საეკლესიო პირი აიმერ ლიმოჟელი (1139-1193წწ.) იკავებს, რომელიც 1165 წელს ანტიოქიის პატრიაქრობიდან დროებით გადააყენეს და მის ნაცვლად ბერძენი ანასტასიუს II დანიშნეს. აიმერი კურსათის [კურსაირი] ციხე-სიმაგრეში ჩაიკეტა, რომელიც ამის შემდეგ ანტიოქიის ლათინ პატრიარქთა რეზიდენციად იქცა. აიმერი ცნობილია თავისი დამოკიდებულებით აღმოსავლეთის ქრისტიანებთან. მან იაკობიტების პატრიარქისგან მოიპოვა ტრაქტატი მანიქეველთა წინააღმდეგ, რათა ის მესამე ლატერანის კრებაზე (1179 წ.) გამოეყენებინა. ასევე, მან უბიძგა მარონიტ პატრიარქს, რათა ამ უკანასკნელს რომის უზენაესობის აღიარებაზე თანხმობა გამოეცხადებინა. შემდგომი ლათინი პატრიარქი პიტერ ანგულემი, რომელმაც 1196 წელს დაიკავა ანტიოქიის საპატრიარქო ტახტი, საერო პირთა პოლიტიკურ ინტრიგებში ჩაება: იგი ლეონ II კილიკიელს მიემხრო ანტიოქიის მმართველის ბოემუნდ IV-ის წინააღმდეგ და რომის კურიიდან წარგზავნილ კარდინალ-ლეგატ სოფრედოს მიერ დისციპლინური მოტივებით იქნა გადაყენებული. 1208 წელს ანტიოქიის მმართველმა იგი ციხეშიც ჩასვა, სადაც ეს უკანასკნელი გარდაიცვალა. ბოემუნდ IV-მ ის ბერძენი პატრიარქით, სიმეონ II-ით, შეცვალა. შემდეგი პატრიარქი უკვე ლათინი იყო – პიტერ ლოკედიო. ეს უკანასკნელი 1217 წლამდე, უშუალოდ ჩვენთვის საინტერესო მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დადგომამდე, იკავებდა ტახტს. (იხ. A History of the Crusades, 1985, pp. 238-239)

ერთი, ისე მეორე საპატრიარქო ტახტის დაქვემდებარებაში იმ სახელმწიფოებრივ-ტერიტორიულ ერთეულებში, რომლებსაც ისინი მანამდე მიეკუთვნებოდნენ და საზღვარი ამ ორ საპატრიარქოს შორის ტრიპოლის მხარეში მდებარე მდინარე ნაჰრ-ალ-კაბირზე უნდა გასულიყო.

მალევე, მოსულმა ევროპელებმა გადაწყვიტეს, საეპისკოპოსო ცენტრად იმ ქალაქებს შეგუებოდნენ, რომლებსაც ეს ფუნქცია მუსლიმთა გამოჩენამდე ჰქონდა და, ასევე, ეცნოთ საეკლესიო პროვინციები არსებული ნოტიტიას[21] თანახმად. სირიაში კითხვა არ იბადებოდა ანტიოქიის სამთავროსთან დაკავშირებით და ედესის არქიეპისკოპოსი თანახმა იყო ანტიოქიის პატრიარქს დაქვემდებარებოდა, თუმცა უფრო რთულ ვითარებაში იყო ფინიკიის საეკლესიო პროვინცია. მისი უმსხვილესი ცენტრი – ტირი – 1124 წლამდე მუსლიმთა ხელში რჩებოდა. ბეირუთის, სიდონის, აკრისა და ბანიასის საეპისკოპოსოები იერუსალიმის მეფეებმა დაიპყრეს მაშინ, როცა ტრიპოლი, ბოთრონი, არქა, ორთოსიასი, ბიბლოსი, მარაკლეა და ტორტოზა ტრიპოლის გრაფებმა იგდეს ხელთ. ბეირუთის ხელში ჩაგდებამ იერუსალიმის მეფეებს საშუალება მისცა დაესახელებინათ ის ეპისკოპოსი, რომელიც იერუსალიმის პატრიარქის უფლებამოსილებას ცნობდა. ანტიოქიის პატრიარქი ამას შეეწინააღმდეგა იმ არგუმენტით, რომ ბეირუთი და მთელი ფინიკია მის საპატრიარქოს მიეკუთვნებოდა. რომი ამ საკითხში ფუნდამენტურად ვერ ჩაერია, ვინაიდან არავინ იცოდა დეტალებში ანტიოქიის ნოტიტია. ვინაიდან, იერუსალიმის მეფემ და პატრიარქმა თავისი პრეტენზიები ურბან II-ის გადაწყვეტილებაზე დააფუძნეს, რომლის თანახმადაც იერარქიული ურთიერთკავშირი საეპისკოპოსოებს შორის საეკლესიო ტერიტორიებს უნდა დამთხვეოდა, ეს მოდელი ჯვაროსანთა მიერ დაარსებულ სახელმწიფოებს ტრადიციად წაჰყვა. ტრიპოლის საეპისკოპოსო ანტიოქიაზე იღებდა ორიენტაციას, ბეირუთი კი დარჩა იერუსალიმის საპარტიარქოს გავლენის ქვეშ.

ზოგადად, ამ ორ საპატრიარქოს შორის უფლებამოსილების გადანაწილება და საეპისკოპოსოებზე გავლენის მოპოვება მახლობელ აღმოსავლეთში, ევროპელთა არსებობის მთელ მანძილზე, ჩვეულ ამბად იქცა. სადავო ტახტზე სხვადასხვა ეპისკოპოსის სიმპათიებიც ხშირად იცვლებოდა ხან ერთი, ხან მეორე მხარის სასარგებლოდ. XII საუკუნე დატვირთულია ამ ამბებით. თუმცა, საბოლოოდ ტირის არქიეპისკოპოსს, თავის დაქვემდებარებაში მყოფ ფინიკიის ეპისკოპოსებთან ერთად, მოუწია დამორჩილებოდა იერუსალიმის პატრიარქს მაშინ, როცა ტრიპოლის სამი საეპისკოპოსო ანტიოქიის დაქვემდებარებაში დარჩა. ეს

[21] Notitiae Episcopatuum, არის ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც დიოზეცისა და მასზე დაქვემდებარებული ეპისკოპოსების იერარქიული ხაზი, ანუ თითოეული საპატრიარქოს საარქიეპისკოპოსოებად და საეპისკოპოსოებად დაყოფა იყო აღწერილი.

რეალობა დახვდა ლევანტში აკრის ეპისკოპოსად მოვლენილ ჟაკ დე ვიტრის და, ზოგადად, XIII საუკუნეში შენარჩუნდა, სანამ წარუმატებელი ლაშქრობების შედეგად ლევანტში ევროპელთა მიწები ეტაპობრივად არ დაიკარგა.

უნდა ითქვას, რომ ევროპელები ჯვაროსნების მიერ სირია-პალესტინის დაპყრობის შემდეგაც ყოველთვის ვერ ახერხებდნენ აღედგინათ ის საეპისკოპოსო ცენტრები, რომლებიც განადგურდა აქ მუსლიმთა ბატონობის პერიოდში. ზოგიერთი ყოფილი საეკლესიო ცენტრი საერთოდ გაუდაბურებული იყო და მათი აღდგენა შეუძლებელიც კი გახდა. სავარაუდოდ, ადგილობრივი მოსახლეობის კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით, ლათინები პატივისცემით ეკიდებოდნენ ძველ საეკლესიო ორგანიზაციას, თუმცა მათ მაინც „მიმართეს საეკლესიო ცენტრების გამსხვილების პოლიტიკას. ამან საშუალება მისცა ეპისკოპოსს ადმინისტრირება გაეწია რამდენიმე დიოცეზისთვის ისე, რომ აღეკვეთა მათი მომავალი სეპარაციის საფრთხე“[22]. ამის კარგ მაგალითს აკრა წარმოადგენს, მნიშვნელოვანი ქალაქი, რომელიც 1104 წლისთვის ევროპელებმა დაიკავეს და რაღაც პერიოდი საკუთარ ეპისკოპოსს ინარჩუნებდა. შემდეგ კი მისი დიოცეზი იერუსალიმის პატრიარქის მიერ იმართებოდა.

მეორე მხრივ, ის ადგილები, რომლებიც მანამდე საეპისკოპოსო ცენტრებს არ წარმოადგენდა, მაგრამ პილიგრიმები მოილოცავდნენ, საეპისკოპოსო რეზიდენციებად და საკათედრო ცენტრებად გადაიქცა.

ყველა ამ ზემოთ აღწერილი პროცესის დასრულების შემდეგ, კათოლიკური ეკლესიის ორგანიზაციამ ჯვაროსნულ სამფლობელოებში შემდეგი ფორმა შეიძინა: ანტიოქიის საპატრიარქო ექვს საარქიეპისკოპოსოს მოიცავდა – აპამეას, მამისტრას, ტარსუსს, დულუკს, კირჰუსსა და ედესას; იერუსალიმის საპატრიქრო კი ოთხ საარქიეპისკოპოსოს – ტირს, კესარიას, ნაზარეთსა და კერაკის.

სამრევლო ორგანიზაცია თითოეულ დიოცეზში დამოკიდებული გახლდათ იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ლათინი მოსახლეობის წილი ამ დასახლებებში. თავიდან ევროპელების რაოდენობა არ იყო დიდი. თუმცა, ვითარება შეიცვალა, რაც ევროპელთა რიცხვმა მახლობელ აღმოსავლეთში იმატა. ამას მოჰყვა ფრანკებით დასახლებული ახალ-ახალი ქალაქების გაჩენა, აგრეთვე იმ ქალაქების ზრდა, რომლებშიც მანამდეც ცხოვრობდნენ ევროპელები.

ამავდროულად, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ქა-

[22] A History of the Crusades, (gen. ed.) K. M. Setton, The Impact of the Crusades on the Near East, Volume V, ed. By N. Zacour and H.W. Hazard, The University of Wisconsin Press, Wisconsin, 1985, pp. 242; R. Röhricht, Regesta Regni Hierosolymitani, 1097-1092, 2 vols., Innsbruck: Wagner, 1893-1904 (rp. NY: Burt Franklin, 1960, no. 439)

ლაქებში გარკვეული პრობლემები შეიქმნა, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ პიზელებს, ვენეციელებსა და გენუელებს სამრევლო უფლებით აღჭურვილი ეკლესიები უბოძეს, მთელი მიმდებარე უბნებით. იმის გამო, რომ ეს სამრევლო ეკლესიები აგებული იყო მშობლიური ქალაქის მფარველი წმინდანების სახელზე (წმ. პეტრე პიზის მფარველი წმინდანი იყო, წმ. მარკოზი – ვენეციის, ხოლო წმ. ლორენცო – გენუის), ისინი გადასახადს მშობლიური ქალაქის ტაძრებს უხდიდნენ და, ფაქტობრივად, წმინდა მიწაზე არსებულ ლათინ პატრიარქებს არ ექვემდებარებოდნენ. მათი პრივილეგიები იმაშიც გამოიხატებოდა, რომ მაგალითად, პიზელები აკრაში, სადაც არ უნდა ეცხოვრათ (ვთქვათ, წმ. ანდრიას ან წმ. მიხეილის სამრევლო ტაძრების უბნებში), მხოლოდ თავიანთ ეკლესიაში (წმ. პეტრეს სახელობის) ქორწინდებოდნენ.[23] იტალიური სავაჭრო-საზღვაო ქალაქ-სახელმწიფოების განსაკუთრებული პრივილეგიები მაინცდამაინც არ სიამოვნებდათ არც ლათინ პრელატებს და არც პაპის ტახტის წარმომადგენლებს, რაც თვალნათლივ მჟღავნდება ჟაკ-დე ვიტრის წერილებში ასახულ ნეგატიურ დამოკიდებულებაშიც.

სამრევლო სამღვდელოების გარდა, თითოეულ დიოცეზს თავისი საკათედრო კლერიკალთა საბჭო ჰყავდა. ესენი დროდადრო იღებდნენ საკანონმდებლო წესდებებს, რისი მსგავსიც XI საუკუნის ბოლოდან დასავლეთ ევროპის კათოლიკური ეკლესიის ორგანიზაციაში არსებობდა. ეს საბჭო ირჩევდა ეპისკოპოსს, რომელიც პასუხისმგებელი იყო ლიტურგიულ საკითხებზე, ზრუნავდა პილიგრიმებზე. აღსანიშნავია ისიც, რომ იმ კათედრალების კანონები, რომლებიც საყოველთაოდ ცნობილ პილიგრიმულ ცენტრებს წარმოადგენდა და, ამდენად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, სამღვდელოების განათლებასაც ემსახურებოდა. მაცხოვრის საფლავის სახელობის ტაძარში არსებობდა სკოლა, აკრაში – თეოლოგიის ლექტორი, თუმცა უკვე XIII საუკუნიდან ჯვაროსნულ აღმოსავლეთში მათხოვრულმა ორდენებმაც ასევე შეიტანეს წვლილი კლერიკალთა განათლებაში.

ჯვაროსნული ეპოქის მკვლევრების მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლათინურმა ეკლესიამ სცადა ძირი გამოეთხარა ჯვაროსნული სახელმწიფოების ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის.[24] ეს მოსაზრება ცალსახად არაა გაზიარებული და არსებობს საპირისპირო აზრიც. კერძოდ, რომ „ერთ-ერთი ყველაზე ნათელი დამახასიათებელი ნიშანი ამ სახელმწიფოებისა ეკლესიისა და სამოქალაქო [იგულისხმება საერო

[23] R. Röhricht, Regesta Regni Hierosolymitani, 1097-1092, 2 vols., Innsbruck: Wagner, 1893-1904 (rp. NY: Burt Franklin, 1960, no. 775)

[24] G. Dodu, Le Royaume latin de Jerusalem, Paris, 1914, p. 96

პირთა] საზოგადოების თანამშრომლობა იყო“.[25] საინტერესო მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „ურბან II-მ სცადა ფრანკთა წმინდა მიწაზე დამკვიდრებით გაეფართოებინა წმინდა პეტრეს პატრიმონია, მაგრამ მისმა მემკვიდრეებმა უარი თქვეს ამ გეგმაზე, რადგან შეეშინდათ, რომ იერუსალიმის პატრიარქი, რომელიც სამეფო ხელისუფლებაზე უზენაესობას აცხადებდა, პაპის მეტოქედ გადაიქცეოდა“[26] – ვფიქრობთ, ჭეშმარიტებას არ უნდა იყოს მოკლებული და თავისი არგუმენტები აქვს. კერძოდ, უნდა ითქვას, რომ სასულიერო სამთავროს შექმნის იდეა, რომელიც საკუთრივ იერუსალიმსა და პორტ იაფას მოიცავდა, ჯერ კიდევ XII საუკუნის 20-30-იან წლებში გაჩნდა, იერუსალიმის პატრიარქ დაიმბერტისა და მისი მემკვიდრის მოღვაწეობის პერიოდში. ამ იდეას შემწყნარებლურად უყურებდა გოტფრუა ბულონელი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ის იერუსალიმს მართავდა როგორც „ქრისტეს საფლავის მცველი“ და არა როგორც მეფის ტიტულის მფლობელი. დაიმბერტი უფრო შორსაც წავიდა: ჯერ კიდევ 1099 წელს ბოემუნდისა და გოტფრუასგან ომაჟი მიიღო, ხოლო 1110 წელს კი გოტფრუამ მას რწმუნება გადასცა, სადაც აღნიშნული იყო, რომ ის თავს თვლის წმინდა მაცხოვრის საფლავისა და პატრიარქის ვასალად. ეს რწმუნება იერუსალიმის მეფე ბოდუენ I-მა თავისი კორონაციის წინ დაადასტურა.[27] თუმცა, უფრო გვიანდელი დადასტურება იმისა, რომ ან იერუსალიმის მეფეს, ან ანტიოქიის მთავარს ომაჟი მიეცათ იერუსალიმის პატრიარქისთვის აღარ არსებობს. კორონაციის ცერემონია ამას აღარ ითვალისწინებდა. ჩვენი საკვლევი პერიოდის, XIII საუკუნის დამდეგისთვის იერუსალიმის მეფე აღარც იერუსალიმის პატრიარქის ვასალი იყო და აღარც პაპისა.

რაც შეეხება ანტიოქიას, აქ ჯვაროსნული სამთავროს არსებობის განმავლობაში შენარჩუნდა ის ტრადიცია, რომ ანტიოქიის მმართველი ომაჟს აძლევდა ანტიოქიის პატრიარქს. სავარაუდოდ, ეს ტრადიცია XII საუკუნის დამდეგს დამკვიდრდა, როდესაც ლათინმა პატრიარქმა ბერნარდმა ანტიოქიის მთავრის, როჟერის, ხელდასხმის რიტუალი ჩაატარა. მიუხედავად ამისა, ანტიოქიის სამთავროში პატრიარქებსა და მთავრებს შორის უთანხმოება მუდამ არსებობდა მაშინ, როდესაც მსგავსი ცნობები იერუსალიმის სამეფოსთან დაკავშირებით არ გაგვაჩნია. ეს უთანხმოებები ორმხრივი იყო და ორივე მხარე საკუთარ ბერკეტებს იყენებდა. მაგალითად, რენე შატილიონმა დაატყვევა პატრიარქი აიმერ ლიმოჟელი, რომელმაც უარი განაცხადა მისთვის ფულის გადახდაზე. თავის მხრივ,

[25] A History of the Crusades, The Impact of the Crusades on the Near East, 1985, p. 246

[26] J.L. LaMonte, Feudal Monarchy in the Latin Kingdom of Jerusalem, 1100-1291, Cambridge, Mass., Medieval academy of America, 1932, pp. 203-205

[27] B. Hamilton, The Latin Church in the Crusader States, London, 1980, pp. 53-55

ანტიოქიის პატრიარქმა განკვეთა მთავარი ბოემუნდ III, როდესაც ის 1180 წელს სიბილაზე დაქორწინდა[28], მაშინ როცა უკვე იმყოფებოდა ქორწინებაში თეოდორა კომნენოსთან (მანუელ კომნენოსის ძმიშვილთან). მთელი ანტიოქია ინტერდიქტის ქვეშ მოექცა, მანამ სანამ პატრიარქი აიმერი მთავარს კურსათის ციხესიმაგრეში ჰყავდა ალყაშემორტყმული.

შეიძლება ითქვას, რომ ორივეგან, როგორც იერუსალიმში, ისე ანტიოქიაში ქვეყნის მმართველი აკონტროლებდა პატრიარქის არჩევნებს. მაგალითად, თავის დროზე იერუსალიმის მეფე ბოდუენ I-მა გააძევა დაიმბერტი და ის სხვა პატრიარქით ჩაანაცვლა. ამგვარად მოქცევა შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ კანონები ნებას აძლევდა მეფეს კანდიდატებს შორის თვითონ გაეკეთებინა არჩევანი. მოგვიანებით ჰენრი შამპანელმა ამ პრივილეგიების დაცვა სცადა, რომლებიც რომის კურიამ ნელ-ნელა თამაშგარე გახადა, რადგან პაპმა უშუალოდ თავად დაიწყო პატრიარქების დანიშვნა[29]. იერუსალიმის მეფეებსა და რომის პაპებს შორის გავლენათა სფეროების გადანაწილებაზე დავა ამით არ დასრულებულა. როგორც ჩანს, იერუსალიმის მეფეები ითხოვდნენ უფლებას, თავად დაენიშნათ სხვადასხვა საეკლესიო იერარქები და გავლენა ჰქონოდათ საეპისკოპოსო ნომინაციებზე: სამეფო კანცლერებს საგამგებლოდ მისცემოდათ საეპისკოპოსოები. თუმცა, პაპობა, თავის მხრივ, არ ელეოდა ამ უფლებას და ცდილობდა თავად ჰქონოდა ბენეფიციებისა და სხვადასხვა რანგების მინიჭების უფლება და, ამგვარად, შეემცირებინა დაემცირებინა სამეფო გავლენები საეკლესიო ნომინაციებზე.

უნდა ითქვას, რომ ჯვაროსნულ სახელმწიფოებში ეკლესიის დამოუკიდებლობა საბოლოოდ მყარად გაფორმდა. კათოლიკურ ეკლესიას საკუთარი სამფლობელოები და იურისდიქცია ჰქონდა. საეკლესიო სასამართლო განიხილავდა სამღვდელოებასთან (იმ გამონაკლისის გარდა, როცა ბრალდებული მკვლელი ან სიუზერენის ღალატში ბრალდებული იყო), ერესთან, ჯადოქრობასთან და ქორწინებასთან (ღალატის ჩათვლით) დაკავშირებულ საქმეებს. თუმცა, ცრუმოწმეობის საკითხს საერო სასამართლოს განსახილველად მიიჩნევდა[30]. მიუხედავად საეკლესიო სასამართლოების დაწესებისა, წმინდა მიწაზე პაპის მსაჯული-ლეგატების როლი სულ უფრო იზრდებოდა, რის თვალსაჩინო მაგალითსაც ქვემოთ

[28] სიბილა, 1176 წლიდან იაფას და ასკალონის გრაფინია, 1186-90 წწ-ში იერუსალიმის დედოფალი, იერუსალიმის მეფის, ბალდუინ IV-ის და და იერუსალიმის მეფის ბალდუინ V-ის დედა, ანჟუს დინასტიის წარმომადგენელი.

[29] J.L. LaMonte, Feudal Monarchy in the Latin Kingdom of Jerusalem, 1100-1291, Cambridge, Mass., Medieval academy of America, 1932, pp. 201

[30] G. Dodu, Histoire des institutions monarchiques dans le royaume latin de Jerusalem, 1099-1291, P., 1894, pp. 325-328

ვნახავთ. უკვე XIII საუკუნეში საეპისკოპოსო მემკვიდრეობის საკითხები რომის მიერ წყდებოდა, რაც მანამდე ჯვაროსნულ აღმოსავლეთს არ ახასიათებდა.

კათოლიკური ეკლესიის მდგომარეობაზე საუბრისას აუცილებლად აღსანიშნავია საეკლესიო მეათედი, რომელიც ჯვაროსნულ სახელმწიფოებში ეკლესიასა და საერო ხელისუფლებას შორის ყოველთვის დაპირისპირების საგანს წარმოადგენდა. დასავლეთში საეკლესიო მეათედის მოსაკრებელს სასოფლო-სამეურნეო ბუნება ჰქონდა. სამღვდელოება მას კრებდა უშუალოდ გლეხების მიერ მოწეული პროდუქტიდან. ჯვაროსნულ აღმოსავლეთში გლეხები განსხვავებულ მდგომარეობაში იყვნენ, გარდა ფრანკებით დასახლებული იმ სოფლებისა, სადაც საეკლესიო სიუზერენი მოსახლეობას დასავლური წესის შესაბამისად ახდევინებდა მეათედს. ამასთანავე, ჯვაროსნულ სახელმწიფოებში სამღვდელოება ითხოვდა მეათედის მოსაკრებელს არა გლეხობისგან, არამედ თავად ბატონებისგან, რაც დიდ პრობლემებს ქმნიდა. მხოლოდ 1120 წელს, ნაბლუსის შეკრებაზე[31] მოხერხდა, რომ იერუსალიმის მეფეს თანხმობა განეცხადებინა თავისი წლიური შემოსავლებიდან გადაეხადა საეკლესიო მეათედი. მეათედის ბენეფიციარები ეპისკოპოსები იყვნენ, რომლებიც მეათედის ნაწილს, თავის მხრივ, თავიანთ კანონიკებს ან რელიგიურ დაწესებულებებს უნაწილებდნენ, რომლებიც, როგორც წესი, მეათედს თავისი საკუთრებიდან არ იხდიდნენ.

ეკლესიების სიმდიდრემ და კეთილდღეობამ, რაც მათ მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწებით იყო განპირობებული, რიგი შემზღუდავი ზომების დაწესება გამოიწვია, რამაც ლიმიტი დაუდო მის ზრდას. „იერუსალიმის ასიზები“ კრძალავდა მეათედის მოკრებაზე უფლების გაყიდვას ან გაჩუქებას ეკლესიის ან რელიგიური ორდენისთვის, რომელსაც სამხედრო თვალსაზრისით საჭირო ვალდებულების გაღება არ შეეძლო. ეს ყოველივე იმის საფუძველზე ხდებოდა, რომ ეკლესია მეფეს ომაჟს არ აძლევდა. რეალურ ცხოვრებაში რიგი საეკლესიო მამულებისა ამგვარ სამხედრო ვალდებულებას თავის ვასალებს აკისრებდა.

[31] იერუსალიმის სამეფოს საერო ხელისუფალთა და სასულიერო პრელატების შეკრება, ჩატარდა 1120 წელს ნაბლუსში. კრების მიერ შემუშავებული კანონებიდან 1-3 მუხლები საეკლესიო მეათედების საკითხს ეხებოდა. პირველი მუხლის თანახმად, მეფე ბოდუენი პირობას დებდა, რომ იერუსალიმის პატრიარქს გადაუხდიდა მეათედს იერუსალიმში, ნაბლუსსა და აკრაში არსებული მისივე სამეფო საკუთრებიდან; მეორე მუხლით ბოდუენი პატიებას ითხოვდა მეათედების გადაუხდელობის გამო; და მესამე მუხლის თანახმად, სწორედ ეს ცოდვა მიეტევებოდა იერუსალიმის მეფეს. ზოგადად, უნდა ითქვას, ნაბლუსის შეკრებამ ცხადად გამოავლინა, რომ ეკლესიამ შეძლო მკვეთრად დაედგინა საკუთარი უფლებები ჯვაროსნულ სამეფოში და ეს მაშინ, როცა ევროპაში ინვესტიტურისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ მძვინვარებდა.

მაგალითად, ნაზარეთის ეპისკოპოსმა ათი რაინდი გაუგზავნა სამეფო კარს თავისი მარშლის მეთაურობით. ნაზარეთი, აპამეა და კურსათი მნიშვნელოვანი საეკლესიო სინიორიები იყო, სადაც პრელატებს საკუთარი სამხედრო კონტინგენტი ჰყავდათ და თავად იცავდნენ საკუთარ ციხე-სიმაგრეებს. თუმცაღა, მონასტრებსა და სხვა რელიგიურ წარმომადგენლობებსაც შეჰქონდათ არცთუ უმნიშვნელო სამხედრო კონტრიბუცია (მაგ.: იერუსალიმის პატრიარქს და მაცხოვრის საფლავის ტაძარს ათას კაცამდე გამოჰყავდა, ლიდის ეპისკოპოსს - 2 ათას კაცამდე და სხვ.)[32] შეიძლება თამამად ითქვას, რომ გარდა სამხედრო-სარაინდო ორდენებისა, რომელთა სამხედრო ვალდებულებისა და პოტენციალის როლი ჯვაროსნულ სახელმწიფოებში საკამათო არაა, წმინდა მიწაზე ეკლესიასაც მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ტერიტორიების დაცვაში, თუმცა პრელატების მხოლოდ მცირე რაოდენობა ფლობდა მსხვილ ფეოდალურ მამულს თავისი ვასალებით.

ასე რომ, კათოლიკურმა ეკლესიამ თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავა ჯვაროსანთა მიერ დაარსებულ სამფლობელოებში. მეფე ამქვეყნიურ (დროებით) სენიორად იქცა, პატრიარქი – სულიერ სენიორად. ეკლესია კი მათ შორის თანამშრომლობას ახდენდა თავისი კონტინგენტის შესაბამისად და, აგრეთვე, ფინანსური დახმარებითაც.

სალაჰ ად-დინის გამოჩენამ, იერუსალიმის დაკარგვამ და, ზოგადად, ვექტორის მუსლიმთა სასარგებლოდ გადაწევამ, მახლობელ აღმოსავლეთში თავისთავად შეცვალა ფრანკთა სამფლობელოები. XII საუკუნის მიწურულიდან, მას მერე, რაც მკვეთრად შემცირდა მათი ტერიტორიული ბაზისი, ეს სახელმწიფოები ვეღარ უზრუნველყოფდა რაიმე ინსტიტუციურ მდგრადობას და მემკვიდრეობითობას. მწვავედ დადგა არსებობის საკითხი და ისინი უკიდურესად დამოკიდებულნი აღმოჩნდნენ გარეშე დახმარებაზე, რომელიც სულ უფრო უხალისოდ მოდიოდა ევროპიდან, თუკი საერთოდ მოდიოდა.

სწორედ ამ ვითარებაში, ეკლესიამ ახალი როლი შეიძინა და მისი ფუნქციური დატვირთვა კიდევ უფრო გაიზარდა. იერუსალიმის პატრიარქები, წმინდა მიწის ლეგატები ბუნებრივი მედიატორები იყვნენ, რომელთაც თხოვნის სიგნალები აღმოსავლეთიდან ევროპაში უნდა მიეტანათ და, ასევე, პაპობის სახელით დახმარების შესახებ ემცნოთ ჯვაროსნული სამფლობელოებისთვის. იმის გამო, რომ მონარქიული ინსტიტუტები შესუსტდა და ფეოდალური სისტემა საჭიროებებს ვეღარ ართმევდა თავს, ეკლესიამ საკუთარ თავზე აიღო ჯვაროსნული სამ-

[32] A History of the Crusades, (gen. ed.) K. M. Setton, The Impact of the Crusades on the Near East, Volume V, ed. by N. Zacour and H.W. Hazard, The University of Wisconsin Press, Wisconsin, 1985, p. 249

ფლობელოების გადარჩენა მახლობელ აღმოსავლეთში და განაცხადა ამბიცია როგორც დროებითი (ამქვეყნიური), ისე სულიერი ცხოვრების მესაჭეობაზე. ეს ამბიცია განსაკუთრებით ჯვაროსნული სახელმწიფოების არსებობის ბოლო ასწლეულში, ანუ XIII საუკუნეში გამოიკვეთა.

შესაბამისად, ჩვენთვის საინტერესო მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობაც, რომლის თვითმხილველი და მემატიანე გახლავთ წინამდებარე წიგნის ძირითადი ინსპირატორი – ჟაკ დე ვიტრი, კარგად წარმოაჩენს სწორედ პაპობისა და რომის კურიის ამ განსაკუთრებულ როლსა და ამბიციებს, რაც გამოიხატა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, დამიეტისთვის ბრძოლასა და სამხედრო კამპანიის ფაქტობრივ მეთაურობაშიც კი. ეს, თავის მხრივ, აკნინებდა საერო ხელისუფალთ, იწვევდა მათ გაღიზიანებას და ჯვაროსნული ლაშქრის დეზორგანიზებას, რაც სავალალოდ აისახა კიდეც ამ კონკრეტული ჯვაროსნული ლაშქრობის შედეგზეც. ზოგადად, ძალთა და ფუნქციათა შორის ბალანსის ამგვარმა დარღვევამ საერო და სასულიერო ფენებს შორის, შესაბამისად, საერო ფეოდალებისა და მონარქების ინტერესების გაქრობა გამოიწვია, რაც, როგორც აღვნიშნეთ, შემდგომი ჯვარონული ლაშქრობების დეკადენსის ერთ-ერთი მიზეზიც გახდა. მუდმივი შევსების გარეშე კი იმ პოლიტიკურ რეალობაში, როდესაც გარშემო მუსლიმური სახელმწიფოების რკალი არსებობდა და ბიზანტია სულს ღაფავდა, ევროპული სახელმწიფოების ყოფნა-არყოფნა მახლობელ აღმოსავლეთში, ფაქტობრივად, უკვე დროის ამბავი იყო.

§ 2. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის სამზადისი და მსვლელობა, საქართველოსა და ჯვაროსნებს შორის კავშირების მცდელობები

ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში ლევანტში ევროპელებსა და აიუბიანებს შორის იმდენად ორგანულად გადაჯაჭვული, მტერ-მოყვრული ურთიერთობები არსებობდა, რომ მკვლევარი რ. ს. ჰამფრისი ლევანტის მუსლიმ მმართველებსა და ჯვაროსნულ სახელმწიფოებს შორის დამოკიდებულებას განიხილავს, როგორც რაღაც „გამოცანას“[33]. ამგვარი ვითარება კი გამოწვეული იყო საკუთრივ მახლობელ აღმოსავლეთში სალაჰ ად-დინის სიკვდილის შემდეგ დამდგარი რეალობით: 1193 წლიდან მოყოლებული, მისი ტერიტორიები სალაჰ ად-დინისავე ოჯახის წევრების მიერ იმართებოდა, რომელიც აიუბიანთა დინასტიის სახელითაა ცნობილი და მისმა მმართველობამ 1249 წლამდე გასტანა. ამ დინასტიისთვის, თავისი არსებობის ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში,

[33] R.S. Humphreys, Ayyubids, Mamluks and the Latin Eats in the thirteenth century, Mamluk Studies Review, 2, 1998, pp. 1-3

დამახასიათებელი იყო დიდი უთანხმოებები საკუთრივ ოჯახის შიგნით და, ხშირ შემთხვევაში, ხანგძლივი მშვიდობის პერიოდები ფრანკებთან. სალაჰ ად-დინის მემკვიდრეები ასაკით უფროსობის ფორმატს მისდევდნენ ტერიტორიულად გადანაწილების საკითხში და მათი „სახელმწიფო“ შეიძლება დახასიათდეს როგორც „სხვადასხვა ავტონომიური სამთავროების კონფედერაცია“[34]. ცალკეული აიუბიანი მმართველები ფლობდნენ ტერიტორიებს სირიაში, ჯაზირასა და ეგვიპტეში და ხშირად ერთმანეთთან კონფლიქტიც კი ჰქონდათ ტერიტორიებზე გავლენების გამო. მართალია, სამი აიუბიანი მმართველი: ალ-‘ადილი, სალაჰ ად-დინის ძმა (1200-1218 წწ.), ალ-ქამილი (1218-38 წწ.) და ალ-სალიჰი (1240-49 წწ.) გამოირჩევიან იმით, რომ, როგორც ოჯახის უფროსმა წევრებმა, შეძლეს შეენარჩუნებინათ მნიშვნელოვანი კონტროლი თავიანთ ნათესავებზე, თუმცა, სავსებით სამართლიანად შენიშნავს ისტორიკოსი პ. ჰოლტი, როდესაც ამბობს: სალაჰ ად-დინი იყო ერთადერთი ადამიანი აიუბიანების ოჯახიდან, რომელმაც ოჯახის წევრების გაერთიანება შეძლო და აიძულა ისინი, ლოიალობა შეენარჩუნებინათ ერთმანეთის მიმართ.[35]

აიუბიანების პერიოდი ლევანტში ფრანკების, როგორც მკვიდრი მმართველი ელიტის სრული ინტეგრაციის მომსწრეა. აიუბიანი მმართველები ფრანკებთან კრავდნენ კავშირებს, ებრძოდნენ მათ, მაგრამ ხანდახან მათ მხარესაც იბრძოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიური რიტორიკა ჯერ კიდევ ჯიჰადს ქადაგებდა, ამ ისლამურ დისკურსს უკვე ძალიან ცოტა საერთო ჰქონდა აიუბიანთა პერიოდის პოლიტიკურ რეალობასთან. ეს ყოველივე ეკონომიკური ფაქტორებითაც იყო განაპირობებული: აუიბიანები მიისწრაფოდნენ კომერციული კავშირები დაემყარებინათ იტალიურ საზღვაო ქალაქ-სახელმწიფოებთან, რათა ფული ეშოვათ და მშვიდობა შეენარჩუნებინათ. აიუბიანებთან დიდი სიმდიდრე მოდიოდა ისეთი ლევანტური პორტებიდან, როგორიც იყო იაფა, აკრა და ტირი. მათ ეშინოდათ, რომ „ლევანტური მშვიდობის“ დარღვევა დასავლეთ ევროპიდან ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობას გამოიწვევდა. ამიტომ, შემთანხმებლური პოლიტიკა ფრანკებთან უფრო სასურველი იყო, ვიდრე კონფრონტაცია. ამ დამოკიდებულების ტიპურ მაგალითად, როგორც ქვემოთ ვნახავთ, დამიეტასთან ბრძოლების დროს ალ-ქამილის მიერ ფრანკებისთვის ზავის შეთავაზება გამოდგება. ამ ამბების თანამედროვე მუსლიმი ისტორიკოსი ალ-ვასილი აღნიშნავს, რომ ალ-ქამილმა გაიაზრა, რომ თუ ევროპაში მყოფი ფრანკი მეფეები და პაპი შეიტყობდნენ მისი მხრიდან რაიმე აგრესიის შესახებ, ფრანკთა უფრო ძლიერად შევსებული

[34] 1193-1250 წწ. პერიოდში არსებობდა 6 სამთავრო.

[35] C. Hillenbrand, The Crusades, Islamic Perspectives, Edinburgh, 1999, p. 201

ძალები წამოვიდოდნენ ევროპიდან. ჰამფრისი ამიტომაც მსჯელობს დარწმუნებით, რომ აიუბიანებს ეშინოდათ ფრანკებისა, რომლებიც მუდამ „უკან ბრუნდებოდნენ“[36].

ევროპელები კი მართლაც აპირებდნენ „უკან დაბრუნებას“: მიუხედავად იმისა, რომ მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის შედეგად, პაპმა ინოკენტი III-მ, აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროზე თავისი ამბიციები, შეიძლება ითქვას, რომ განავრცო, იგი მაინც იმედგაცრუებული იყო, რადგან კონსტანტინოპოლის აღება არ აღმოჩნდა ხელშემწყობი ფაქტორი წმინდა მიწაზე პრევალირებული მდგომარეობის მოპოვებისა – ქრისტე საფლავი და იერუსალიმი კვლავ მუსლიმთა ხელში რჩებოდა შესაბამისად, ინოკენტიმ კიდევ ერთხელ გადაწყვიტა საკუთარი შესაძლებლობების კონცენტრაცია, რათა ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზება წამოეწყო.

აღსანიშნავია, რომ ამ დროს დასავლეთში სახარბიელო ვითარება არ იყო, რომ ჯვაროსნულ ლაშქრობას სათანადო გამოხმაურება მოჰყოლოდა: გერმანია ფილიპე შვაბელსა და ოტო ბრაუნშვაიგ-ლუნებურგის ჰერცოგს (მომავალი იმპერატორი ოტო IV) შორის კონფლიქტს მოეცვა, ხოლო ფილიპეს მკვლელობის შემდეგ ძალიან მალე გამოვლინდა, რომ ოტოს იმპერიული ზრახვები ეწინააღმდეგებოდა პაპის კურიის ამბიციურ გეგმებს; საფრანგეთში არისტოკრატია ალბიგოელებთან ბრძოლაში იყო ჩაბმული და ისეთივე პრივილეგიებითა თუ იმუნიტეტებით სარგებლობდა, როგორითაც ჯვაროსნები მახლობელ აღმოსავლეთში. მწვავე ტერიტორიული კონფლიქტი ფილიპე ოგიუსტსა და ჯონ უმიწაწყლოს შორის იმდენად მასშტაბური იყო, რომ სრულად მოიცავდა მათ ინტერესებს. ესპანეთის ქრისტიანთა ყურადღება მუვაჰიდების (ალმოჰადების) წინააღმდეგ ბრძოლისკენ იყო მიმართული. შესაბამისად, მისტიკური მიმართვა, რომელმაც პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობაში საყოველთაო აღტკინება გამოიწვია, ამ პერიოდში, როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ, მხოლოდ ბავშვთა ჯვაროსნული ფიასკოთი აღინიშნა.

ამგვარი ვითარების გათვალისწინებით 1213 წლამდე ინოკენტი III-ს არ უფიქრია დაეგზავნა წერილები, რომლითაც 1215 წლისთვის დანიშნულ საეკლესიო კრებაზე ქრისტიანული სამწყსოს ლიდერები მოიწვია, რათა მათ წინაშე ეკლესიის რეფორმისა და „წმინდა მიწის“ დაპყრობის შესახებ დაესვა საკითხი. ინოკენტის წერილების ტონი[37] ცხადჰყოფს,

[36] R.S. Humphreys, Ayyubids, Mamluks and the Latin East in the thirteenth century, Mamluk Studies Review, 2, 1998, p. 10

[37] The Crusading Privilege of Innpcent III, given at Forth Lateran Coincil 1215, in Christian Society and the Crusades 1198-1229, (ed. and with introduction by Ed. Peters), University of Pennsylvania Press, Philadelphia, 1971, pp. 41-47; ასევე იხ. The Crusades, A Documentary

რომ იგი ძალზე მოტივირებული იყო, რომ ყველა ღონე ეხმარა თავისი გეგმების განსახორციელებლად და ამ საქმის ქადაგება ეკლესიის მიერ საგულდაგულოდ შერჩეული აგენტების მეშვეობით მომხდარიყო. ცალსახად შეიძლება ითქვას მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობაზე, რომ სხვა ჯვაროსნულ ლაშქრობებთან შედარებით ის ყველაზე უფრო მეტად იყო პაპის კურიის პროდუქტი[38]. ინოკენტი იმედოვნებდა, რომ შთააგონებდა ყველა სულიერ და საერო ლიდერს იმ იდეითა და საჭიროებით, რომელიც, ზოგადად, ეკლესიის წინაშე იდგა.

მან დაიწყო აქტიური ქმედებები, კერძოდ, იხსენიებდა ათასობით ქრისტიანს, რომელიც მუსლიმთა ციხეებში იტანჯებოდა; მუდმივად გამოთქვამდა წუხილს იმის გამო, რომ თაბორის მთაზე, ქრისტეს ფერიცვალების ადგილზე, მუსლიმების მიერ ახლადაღმართული ციხესიმაგრე აკონტროლებდა აკრას, საიდანაც მუსლიმები იერუსალიმის სამეფოს ნარჩენებში შეჭრას აპირებდნენ. ინოკენტი III-მ ყველა სასულიერო პირს, ასევე ევროპის უმეტეს ნაწილში არსებული ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობას მოუწოდა, რომ თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში აღეჭურვათ საჯარისო შენაერთები და სამი წლის განმავლობაში თავი ამ წმინდა საქმის მსახურებად ეგრძნოთ. ასევე მოუწოდა საპორტო ქალაქებს უზრუნველეყოთ ჯვაროსნული ლაშქრის ტრანსპორტირება ზღვაზე.

რომის კურიისთვის აღმოსავლეთის მიმართულების ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი წარმატებული რომ ყოფილიყო, ინოკენტი III-მ დროებით ყველა ის პრივილეგია შეაჩერა, რომელიც გაცემული იყო საკუთრივ ევროპის ტერიტორიაზე წარმოებული ჯვაროსნული ლაშქრობის წევრების, კერძოდ, ალბიგოელებისა და მუვაჰიდების წინააღმდეგ მებრძოლთა მიმართ. უნდა აღინიშნოს, რომ პაპის იმ ადრეული დასაბუთების საფუძველზე შემოღებული პრივილეგიების შეჩერებამ, რომლის მიხედვითაც ერეტიკოსები არანაკლებ საშიშნი იყვნენ, ვიდრე „ურჯულონი“, საკმაოდ შეაშფოთა მათი მფლობელები.

მეფეებს, პრინცებს, გრაფებს, ბარონებს და სხვა მაგნატებს, რომლებიც პერსონალურად ჯვარს ვერ მიიღებდნენ, დაევალათ აღეჭურვათ და გამოეყოთ საბრძოლო რაზმები. კორსარები, მეკობრეები და სხვა პირები, რომლებიც წმინდა მიწაზე მიმავალ პილიგრიმთა შეწუხებისა და ძარცვისათვის დამნაშავეებად იყვნენ მიჩნეულნი, განკვეთილ იქნენ.

წამოწყებისათვის სულიერი თუ ფიზიკური ბერკეტებით მხარის

Survey ed. J.A, Brundage, Mulwaukee, Wisconsin, 1962, pp.214-218

[38] A History of the Crusades, (gen. ed.) Setton, K. M. The Later Crusades 1189-1311, Volume II, ed. by R.L. Wolff and H.W. Hazard The University of Wisconsin Press, Madison, Milwaukee, and London, 1969 p. 378

დასაჭერად პაპმა ბრძანებულება გამოსცა ყოველთვიური პროცესიების დასადგენად, რომლებიც ლიტანიობით და ჰიმნების გალობით წარიმართებოდა, ქალებისა და კაცებისთვის ცალ-ცალკე მსვლელობებით. საჯარო ქადაგებებისას უნდა შესრულებულიყო ქრისტიანთათავის წმინდა საფლავის დასაბრუნებლად უფლის მიმართ აღვლენილი ლოცვები. ყოველდღიური მესის გადახდისა და ზიარების შემდეგ ქალებს და კაცებს (საერო პირთ) მუხლი უნდა მოეყარათ და დაემდაბლებინათ თავი, ვიდრე სამღვდელოება 67-ე და 78-ე ფსალმუნებს არ ჩაიკითხავდა. მეტანიის დასრულების შემდეგ, პაპის მიერ საგანგებო მისიით გაგზავნილ მქადაგებელს, უნდა მოეწოდებინა „წმინდა მიწის“ გათავისუფლებისკენ.

მორალური სამზადისის დიდი ხვედრითი წილი, პაპის შეხედულებით, ჯვაროსნული ლაშქრობის მქადაგებლებზე მოდიოდა. მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობას სამი გამოკვეთილი მქადაგებელი ჰყავდა: საფრანგეთში თავდაპირველად ინოკენტიმ გაგზავნა თავისი ყოფილი სკოლის მეგობარი რობერტ კურსონელი, როგორც ლეგატი და ჯვაროსნული ლაშქრობის მქადაგებელი. ამ უკანასკნელს უნდა მიემართა საფრანგეთის სამეფო ოჯახისა და სამღვდელოებისთვის. საფრანგეთში ჩასვლისთანავე მის მიერ მოწვეულ საბჭოზე განხილული იყო იმ დროისთვის საფრანგეთისთვის ძალიან მტკივნეული და საჭირბოროტო საკითხი მევახშეობის შესახებ, რომლის წყალობითაც არისტოკრატიისა და სამღვდელოების დიდი ნაწილი გაღატაკებული იყო და, ამის გამო, ბუნებრივია, დიდი ენთუზიაზმით ვერ მიემხრობოდა ჯვაროსნულ ლაშქრობას. საფრანგეთის სამღვდელოებამ მკვეთრად გამოხატა თავისი წუხილი, რომ პაპის კურია ლეგატების მეშვეობით ზღუდავდა მათ ავტორიტეტს და მძიმე ტვირთს აკისრებდა. ფილიპ ოგიუსტმა მხარი დაუჭირა სამღვდელოების პრეტენზიებს. პაპმა რობერტ კურსონელის გადაჭარბებულ ძალისხმევაში ჯვაროსნული ლაშქრობისთვის საფრთხე დაინახა და იძულებული გახდა შემამსუბუქებელ გარემოებებზე ეფიქრა. რობერტ კურსონელის ქადაგება, მისი მეორე დიდი თანამედროვის, ჟაკ დე ვიტრის მსგავსად, უმეტესად წარმატებული იყო მასებში და, შესაბამისად, ვერ იქნებოდა სათანადოდ ეფექტური. იგი ყველა მოხალისეს – მოხუცებს, ქალებს, ბავშვებს, ყრუებს, ბრმებს, ხეიბრებს ნებას აძლევდა მიეღოთ ჯვარი. მისი თანამედროვე ისტორიკოსის, უილიამ ბრეტონელის ცნობით, ბევრი წარჩინებულთაგანი ჯვრის მიღებაზე უარს იმ მიზეზით ამბობდა, რომ ასეთ არეულობასა და ქაოსში წარმოქმნილი პრობლემები სრულიად არ შეესაბამებოდა ჯვაროსნული ლაქრობისთვის მზადების საჭიროებებს.[39]

1215 წლის შემოდგომაზე, როდესაც რობერტ კურსონელი მეოთხე

[39] De gestis Philippi Augusti, in RHGF, XVII, 108; ასევე იხ. Setton, p. 380

ლატერანის კრებაზე მონაწილეობის მისაღებად რომში დაბრუნდა, საფრანგეთის პრელატებმა პაპის წინაშე თავიანთი პრეტენზიების სია წარმოადგინეს, რომელიც იმდენად ვრცელი და კარგად დასაბუთებული იყო, რომ პაპი იძულებული გახდა ეთხოვა პრელატებისთვის მიეტევებინათ ლეგატის არაკეთილგონიერება. მიუხედავად ამისა, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ფრანგი ჯვაროსნების მოთხოვნის თანახმად, რობერტ კურსონელი მალევე გაგზავნილ იქნა პალესტინაში ახალი პაპის, ჰონორიუს III-ის მიერ, როგორც ფრანგული ფლოტის სულიერი მრჩეველი და ზედამხედველი, მაგრამ ყველა საქმეში უნდა დაქვემდებარებოდა პაპის ახლად არჩეულ ლეგატს კარდინალ პელაგიუსს[40].

დასავლეთ გერმანიაში ჯვაროსნული ლაშქრობის ქადაგებას დიდი გამოხმაურება ხვდა წილად ეპისკოპოსებს, აბატებსა და მაღალ საეკლესიო კლერიკალებს შორის. ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ოლივერუსს. ინოკენტიმ იგი ვესტფალიაში, ფრიზიაში, ბრაბანტში, ფლანდრიასა და უტრეხტის პროვინციაში მიავლინა და მის ქადაგებას ყველგან უდიდესი წარმატება ხვდა წილად. საპორტო და შიდა პროვინციების ქალაქებში ორმოცდაათი ათასმა ადამიანმა მიიღო ჯვარი. კიოლნში 300-მდე გემი მზადყოფნაში იქნა მოყვანილი ლაშქრობაში ჩასაბმელად (თუმცა, ვფიქრობთ, რომ ამ ციფრებს ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ).

მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის მესამე მქადაგებელი იყო (ჩვენი წიგნის მთავარი გმირი) ჟაკ დე ვიტრი, რომელიც საქადაგებლად კანონიკოსის რანგში ალბიგოელების წინააღმდეგ იქნა გაგზავნილი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იქ ჩატარებული საქმიანობისა და, აგრეთვე, ჯვაროსნული ლაშქრობის მგზნებარე მქადაგებლად მოღვაწეობის ჯილდოდ მან აკრის ეპისკოპოსობა მიიღო. პაპმა ჰონორიუსმა ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის საქადაგებლად იგი ახლა უკვე სირიაში მცხოვრებ ევროპელთა სამფლობელოებში მიავლინა. სავარაუდოდ, ეს ყველაზე რთული მისია იყო, ვინაიდან აკრის, ტირისა და სიდონის კოსმოპოლიტურ ქალაქებში კორუფცია, პროსტიტუცია ფართოდ იყო გავრცელებული, ბევრ ეთნიკურ ჯგუფებში არაბული ენაზე კომუნიკაციის საჭიროებაც ართულებდა საქმეს. ამის დამადასტურებელ ცნობებს ვრცლად ვაწყდებით ჟაკ დე ვიტრის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში. არსებული მდგომარეობა მკაფიოდაა გამოკვეთილი ჩვენს მიერ ჟაკ დე ვიტრის წერილებისადმი დართულ კომენტარებშიც.

ჟაკ დე ვიტრი დიდი ენთუზიაზმით შეუდგა საქმეს, რათა აღეკვეთა ლევანტში საზღვაო-სავაჭრო ქალაქების დაუოკებელი სავაჭრო ინტერესები რამაც, თავის დროზე, თვისობრივად შეცვალა მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის მიმართულება. მან უშიშრად გაილაშქრა სირიის დასავლეთ ევროპელი მოსახლეობის, განსაკუთრებით, ვენეციელების, პიზელებისა და გენუელების წინააღმდეგ, რომლებმაც ლევანტის პორტების კოლონიზება მოახდინეს. აკრაში, რომელიც სალაჰ ად-დინის მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ ჯვაროსნული სამეფოს უმთავრეს ქალაქად იქცა და, სადაც არც ადგილობრივ მცხოვრებთა მორალურ-ზნეობრივი მდგომარეობა იყო დამაკმაყოფილებელი და არც მოსულ პილიგრიმებს ჰქონდათ არავითარი პირობები,[41] ჟაკ დე ვიტრიმ თავისი მჭევრმეტყველებით მაინც მოახერხა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის მიმართ, მის საწყის ეტაპზე აღედგინა და გაეღვივებინა ძველებური ლტოლვა და ენთუზიაზმი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯვაროსნული ლაშქრობისადმი ინტერესების გაღვივებაში პაპს რომის კურიიდან წარგზავნილ მქადაგებლებზე არანაკლები დახმარება დასავლეთ ევროპაში ტრუბადურებმა გაუწიეს. კაპდეულმა თავის ლექსებში გამოხატა სურვილი, რომ სანამ მაცხოვრის წმინდა საფლავი კვლავ ქრისტიანთა ხელში არ გადავიდოდა, საფრანგეთისა და ინგლისის მეფეებს ზავი შეეკრათ; ასევე მოქცეულიყვნენ აპულიის მეფე (როგორც მოიხსენიებს ტრუბადური შემდგომში იმპერატორ ფრიდრიხ II შტაუფენს) და იმპერატორი (ოტო IV, შტაუფენების მეტოქე, საღვთო რომის იმპერატორი 1209-1215 წწ.). ინოკენტის მოწოდებით შთაგონებული ტრუბადურ აიმერ პეგულენის პოეზიაც ასეთივე სიმძაფრით მოუწოდებდა მონფერატის მარკიზს, უილიამ VI-ს, გაეგრძელებინა თავისი წინაპრების დიადი საქმეები, რომლებმაც სახელი და დიდება სირიაში მოიხვეჭეს. ანონიმი ტრუბადური მიმართავს ფილიპ II ოგიუსტს, ოტო IV-სა და ჯონ უმიწაწყლოს დაზავდნენ და ერთად გაემგზავრონ სირიის დასაპყრობად[42]. მოკლედ რომ ვთქვათ, მორალური სამზადისი ლაშქრობისთვის საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურებოდა.

ამასობაში ლატერანის მეოთხე საეკლესიო კრებამ პაპ ინოკენტი III-ს საშუალება მისცა საბოლოო დეტალები დაეზუსტებინა. სამხრეთ იტალიური საპორტო ქალაქები – ბრინდიზი და მესინა ჯვაროსანთა იმ თავშეყრის ადგილებად გამოცხადდა, საიდანაც 1217 წლის 1 ივნისს აღმოსავლეთის მიმართულებით უნდა მომხდარიყო გამგზავრება. ამ დღეს ინოკენტი თავად აპირებდა იქ გამგზავრებას და ჯვაროსნების დალოცვას.

[40] P. Pressutti (ed.) Regesta Honorii papae III, 2 vols, Berlin, 1874-1875, nos. 1498, 1558

[41] ჟაკ დე ვიტრის მეორე წერილი, თარგმანი და თანდართული კომენტარები შესრულებულია მიმდინარე გრანტის ფარგლებში ჩვენი სამეცნიერო ჯგუფის მიერ.

[42] A History of the Crusades, (gen. ed.) Setton, K. M. The Later Crusades 1189-1311, Volume II, ed. By R.L. Wolff and H.W. Hazard The University of Wisconsin Press, Madison, Milwaukee, and London, 1969, p. 382

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, პაპის დავალებით სამღვდელოებას უნდა უზრუნველეყო ჯვაროსნების მიერ დადებული ფიცის შესრულება; თუ საჭიროება მოითხოვდა, ამისთვის იძულების წესიც უნდა გამოეყენებინა. სამღვდელოებას ევალებოდა აგრეთვე საერო მაგნატების გაკონტროლება, რათა მათ დროულად და სათანადოდ აღჭურვილი ჯვაროსანთა დაპირებული რაოდენობა გამოეყვანათ. ამას გარდა, მთელი ექსპედიციის განმავლობაში, სამღვდელოებას უნდა ეზრუნა დისციპლინის შენარჩუნებაზე. ყველა სასულიერი პირი, ვინც წაჰყვებოდა ჯვაროსანთა რაზმებს, სამი წლის მანძილზე მიიღებდა შემოსავალს თავისი ბენეფიციებიდან, თუნდაც მათი საკუთრებები ვალებში ყოფილიყო ჩადებული.

თავის მხრივ, რომის კურიამ 30000 ფუნტი[43] გამოუყო რომაელ მოლაშქრეებს აღმოსავლეთში ჯვაროსნული ექსპედიციისთვის. პაპმა დიდი თანხმები მისცა ტამპლიერების და ჰოსპიტალიერების ორდენებსაც. პაპმა და რომის სამღვდელოებამ პირობა დადეს, რომ თავიანთი შემოსავლის მეათედს ჯვაროსნული ლაშქრობისთვის გაიღებდნენ[44]. საქმის საჭიროებიდან გამომდინარე, სამღვდელოებას და რელიგიურ ორდენებსაც კი პრემონსტრატენსიანელების, ცისტერციანელებისა და კლუნიელების გარდა, რომლებიც უკვე დაბეგრილები იყვნენ ალბიგოელთა წინააღმდეგ ბრძოლების გამო, დაევალათ სამი წლის განმავლობაში თავიანთი შემოსავლის მეთორმეტედის გადახდა. ვინც უარს იტყოდა, განკვეთა ემუქრებოდა.[45]

ინოკენტი III-ის ბოლო წერილები, მიწერილი ტამპლიერების ხაზინადრის, ეიმარდის, იერუსალიმის მეფის, ჟან დე ბრიენისა და ჯვაროსნულ ორდენთა მაგისტრების მისამართით, ამცნობდა, რომ იერუსალიმის მეფეს ჯვაროსნული საქმიანობისთვის 9000 ფუნტი ეგზავნებოდა.

თავის მხრივ, ჯვაროსნები თავისუფლდებოდნენ ყველა ფინანსური ვალდებულებისგან, რენტებისგან, ებრაელი მევახშეებისთვის ვალის დაბრუნების ვალდებულებისგან და პაპისგან ან უშუალო სიუზერებისგან სპეციალურ მფარველობას ღებულობდნენ სახლში დაბრუნებამდე. საზღვაო ვაჭრობა მუსლიმებთან ოთხი წლით უნდა შეწყვეტილიყო; უმკაცრესად დაისჯებოდა, ვინც მეკობრეობას მიჰყოფდა ხელს ან მტრისთვის საომარი აღჭურვილობის თუ სამშენებლო მასალის მიყიდვაში იქნებოდა შემჩნეული. საბოლოოდ, რომის კურიამ საერო პირებს მიმართა, რომ ოთხი წლით საზოგადო მშვიდობა შეეკრათ და სამი წლით სარაინდო ტურნირები აეკრძალათ. ყველა ჯვაროსანს ინდულგენცია მიენიჭა. პაპი ინოკენტი იერუსალიმის პატრიარქ რაულ დე მერენკურს იერუსალიმის პროვინციის ლეგატად დაადგენდა მას შემდეგ, რაც იქ ჯვაროსანთა არმია ჩავიდოდა. ჟან დე ბრიენს, იერუსალიმის მეფეს, ებრძანა გადაადგილებისას რაულ დე მერენკურის დაცვა სარაცინებისგან, რათა მას პალესტინაში მშვიდობით ჩაეღწია. ვინაიდან, თავის მხრივ, ჟან დე ბრიენი მაშინ კილიკიის სომხეთისა და კვიპროსის მეფეებთან იყო ჩაბმული კონფლიქტში, ამიტომ პაპმა ბრძანა, რომ მშვიდობა შეეკრა მათთან.[46]

მიუხედავად ესოდენ ფუნდამენტური სამზადისისა, ინოკენტი III-ის ძალისხმევამ ასეთივე მასშტაბური შედეგი ვერ მოიტანა. ქადაგება, სისტემატური აგიტაცია, საერო პირთა და სახელმწიფო მეთაურთა შორის დროებითი დაზავების მცდელობები, ბუნებრივია, გავლენას და გამოძახილს ჰპოვებდა დასავლეთ ევროპაში, მაგრამ ძირითადად მოსახლეობის დაბალ ფენებში. სამხედრო საზოგადოება აღარ იყო განწყობილი სათანადოდ ეპასუხა ჯვაროსნული ქადაგებების ენთუზიაზმზე წმინდა ომის წარმოების შესახებ, არც სათანადო ძალისხმევას იჩენდა და არც ლიდერები იკვეთებოდნენ. „ჯვრის მიმღებთა უმეტესობის გადაწყვეტილებაში სავაჭრო მოტივები სჭარბობდა რელიგიურს. ჯვაროსნული ლაშქრობის წარმოება ევროპელთათვის იმ სულისკვეთებით, რითიც გეგმავდა მას ინოკენტი, უკვე შეუძლებელი იყო.[47]

1216 წელს ინოკენტი III-ის გარდაცვალების შემდეგ ჭარმაგმა, მაგრამ არანაკლებ მხნე პაპმა ჰონორიუს III-მ თავი მიუძღვნა წინამორბედის გეგმების რეალიზებას. ყველა იმ პრობლემის მიუხედავად, რაც აშკარად იკვეთებოდა ფართომასშტაბიანი სამზადისის დროს, ჰონორიუსს, როგორც მისი თანამედროვე გვამცნობს, უყოყმანოდ სჯეროდა, რომ „წმინდა მიწის“ ურჯულოთაგან გათავისუფლება ღმერთის მიერ მისთვის დადგენილი ბედისწერა იყო.[48]

ევროპაში შექმნილი ვითარების გამო ჰონორიუსს არ უნდა ჰქონოდა

[43] აქ ჩვენ ვეყრდნობით ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში ამოკითხულ მონაცემებს და ვსარგებლობთ ფულის შესაბამისი, ინგლისური ერთეულის დასახელებით

[44] The Crusading Privilege of Innpcent III, given at Forth Lateran Coincil 1215, in Christian Society and the Crusades 1198-1229, (ed. and with introduction by Ed. Peters), University of Pennsylvania Press, Philadelphia, 1971, pp. 43

[45] A History of the Crusades, p. 383

[46] R. Röhricht, Studien zur Geschichte des fünften Kreuzzuges, Innsbruck , 1891 p. 7 (reprt. 1968 in collection: American Libraries)

[47] A History of the Crusades, (gen. ed.) Setton, K. M. The Later Crusades 1189-1311, Volume II, ed. by R.L. Wolff and H.W. Hazard The University of Wisconsin Press, Madison, Milwaukee, and London, 1969, p. 384

[48] Burchard, Urspergensium Chronicon (MGH, SS, XXIII) p. 378-79; იხ. ასევე A History of the Crusades, p. 384

იმედი, რომ ჯვაროსნული ლაშქრობის ლიდერი ევროპის წამყვანი ქვეყნებიდან შეირჩეოდა. პრემონსტრატენსელთა ორდენის აბატის, გერვასის მიერ გაგზავნილი წერილები პაპი ჰონორიუსისადმი, წარმოაჩენს მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის წინაშე მდგარ პრობლემებს[49]. აშკარა იყო, რომ საფრანგეთის საერო არისტოკრატია, ქალაქელებიც კი, არ აპირებდნენ ლაშქრობაში მონაწილეობას და ნაკლებად წუხდნენ დასჯის იმ მეთოდებზე, რითიც ემუქრებოდა ეკლესია პირობის გამტეხებს. დაბალი ფენები კვლავ მოწადინებულნი იყვნენ, მაგრამ დაბნეულობაში იმყოფებოდნენ, ვინაიდან არ იცოდნენ როდის წარიმართებოდა ლაშქრობა. ბევრი ყოყმანობდა, საერთოდ რა სარგებლობას მოიტანდა მისი ჩაბმა ლაშქრობაში, თუკი მისი ქვეყნიდან არ იქნებოდა არც ერთი ლიდერი და ეს ენობრივ ბარიერს შეუქმნიდა[50]. ზემოხსენებული აბატი გერვასი მოითხოვდა, რომ პოტენციურ ლიდერებს ყველა ღონე ეხმარათ, იძულებული გაეხადათ ბურგუნდიის ჰერცოგი ოდო და ლორენის ჰერცოგი თეობალდი, რომ მათ დადებული ფიცი შეესრულებინათ – ეს აუცილებელი იყო მოსახლეობის ფართო ფენებისთვის ლაშქრობაში მონაწილეობის სურვილისა და ენთუზიაზმის შესანარჩუნებლად[51]. აბატ გერვასის არაერთი წერილისა და მოთხოვნის მიუხედავად, 1217 წელს საფრანგეთის სამღვდელოებიდან მხოლოდ არქიეპისკოპოსი – ობრი რეიმსელი, ლიმოჟის ეპისკოპოსი ჟანი და ბაის ეპისკოპოსი რობერტი ჩაებნენ ლაშქრობაში. ფრანგი დიდგვაროვნები დასავლეთიდან ფეხს არ იცვლიდნენ და არ უნდოდათ მონაწილეობის მიღება, როგორც თავად მიაჩნდათ, გერმანელებისა და უნგრელების ლაშქრობაში.[52] უნგრეთის მეფე ანდრაშ II და ავსტრიის ჰერცოგი ლეოპოლდ VI კი (რომლებიც ზოგადად ევროპიდან წამოსული ჯვაროსნების მეთაურებად იქცნენ) ამ პირობებში, როცა დასავლეთ ევროპიდან მხარდაჭერა არ არსებობდა, უფრო მეტად შეიპყრო სურვილმა, როგორმე შეკრებილიყვნენ და აღეჭურვათ საკუთარი ლაშქარი.

როგორც ვხედავთ, დასავლეთ ევროპის მონარქებმა და პრინცებმა თავი აარიდეს ლაშქრობას. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის ერთადერთმა გვირგვინოსანმა, უნგრეთის მეფე ანდრაშმა არდაბრუნების შემთხვევაში სამი ვაჟი დატოვა მემკვიდრედ, ოფიციალურად ქვეყნის მართვა გრანის არქიეპისკოპოსს ჩააბარა, მის გამგებლობაში მყოფი

[49] Crusade and Christendom, Annotated Documents in Translation from Innocent III to the Fall of Acre, 1187-1291, (ed.) J. Bird, Edw. Peters, J. M. Powell, University of Pennsylvania Press, Philadelphia 2013, p. 133

[50] Gervase, Abbot of Premontre, Letters to the Pope, 1216-1217, in Crusade and Christendom, Annotated Documents in Translation from Innocent III to the Fall of Acre, 1187 – 1291, p. 136

[51] იქვე, გვ. 137

[52] Aubrey of Trois-Fontaines, Chronicon (MGH, SS, XXIII) p. 905

დალმაციისა და ხორვატიის მართვა კი – უნგრეთში ტამპლიერთა ორდენის მაგისტრს. ფინანსების შესაგროვებლად მეფემ გაყიდა და სესხად ჩადო ქონება და ასე გაეშურა აღმოსავლეთისაკენ ქრისტეს საფლავის გამოსახსნელად[53].

ანდრაშს გზად შეუერთდნენ ავსტრიის ჰერცოგი ლეოპოლდი, მერანიის (დალმაციის ჩრდილოეთ სანაპიროზე არსებული საჰერცოგო) ჰერცოგი ოტო, მისი ძმა ბარტოლდი, კალოსკის არქიეპისკოპოსი (უნგრეთის ტერიტორიიდან) და უამრავი ეპისკოპოსი, აბატი და გრაფი რომის საღვთო იმპერიიდან. სპოლეტოში ჩასულ ჯვაროსნებს მოსახლეობა იმედის თვალით უყურებდა და დახვედრაც შესაბამისი მოუწყო.

აღმოსავლეთში ამ ჯვაროსანთა ლიდერებიდან პირველი ავსტრიის ჰერცოგი ლეოპოლდი ჩავიდა და აკრას მიაღწია. მან ბოემუნდ IV ანტიოქიელთან გაგზავნა ელჩობა, რათა ეს უკანასკნელი მას დახვედროდა, ხოლო უნგრეთის მეფე ანდრაშს გერმანელი რაინდები გაუგზავნა, რომ მისი გამომგზავრება დაეჩქარებინა.

ამასობაში კვიპროსის მეფემ ჰიუგ I-მა (ჰიუგ დე ლუზინიანი) თავისი ვასალებითურთ აკრას მიაშურა. მათ თან ახლდა დიდი რაოდენობით თურქოპოლები (ასე ეძახდნენ მახლობელი აღმოსავლეთის მკვიდრ მხედარ მოლაშქრეს იმ პერიოდში, დაწვრილებით იხ. კომენტარებში). მალე ანდრაშიც ჩამოვიდა და აკრაში იერუსალიმის სამეფოს საერო და სასულიერო პირების თავყრილობა მოეწყო, რომელსაც იერუსალიმის მეფე ჟან დე ბრიენი და რაულ დე მერენკურიც ესწრებოდნენ. სამხედრო ლიდერთა შორის იყვნენ: ავსტრიის ჰერცოგი ლეოპოლდი, მერანიის ჰერცოგი ოტო, გერინ მონტეგიუ – ჰოსპიტალიერთა მაგისტრი, უილიამ შარტრელი – ტამპლიერთა მაგისტრი და ჰერმან ფონ ზალცა – ტევტონთა ორდენის მაგისტრი. თავყრილობაზე ასევე იყვნენ ტირის არქიეპისკოპოსი სიმონი, პეტრე კესარიელი, რობერტ ნაზარეთელი, ნერტოლ კალოკსელი და ესტორ ნიქოზიელი, აგრეთვე არაერთი ეპისკოპოსი, მათ შორის მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თვითმხილველი და მეისტორიე, არაერთგზის ნახსენები ჟაკ დე ვიტრი, ეგბერტ ბამბერგი, პეტერ რააბი, თომას ერლი, ოტო მუნსტრელი, ენგელჰარდ ნაუმბურგელი, ოტო უტრეხტელი და რობერტ ბაიაქსელი.[54] თანამედროვის ცნობა, რომ ჯვაროსნები ამ დროს აკრაში წარმოდგენილნი იყვნენ 2000 რაინდისა და 20000 ქვეითი მოლაშქრის

[53] ქვემოთ მოცემული ლაშქრობის შესახებ ასევე იხილეთ მესამე და მეოთხე წერილებში მოცემული კომენტარები

[54] A History of the Crusades, (gen. ed.) K. M. Setton, The Later Crusades 1189-1311, Volume II, ed. By R.L. Wolff and H.W. Hazard The University of Wisconsin Press, Madison, Milwaukee, and London, 1969 p. 389

სახით, სავარაუდოდ, გადაჭარბებული ციფრია, მაგრამ უტყუარია ის, რომ ჯვაროსნების რაოდენობა საკმაოდ შთამბეჭდავი იყო.

პრობლემებმა მალევე იჩინა თავი: წინა წლების მოუსავლიანობის გამო სირიაში მოსახლეობა ისედაც შიმშილობდა. ამიტომ, ამ რაოდენობის ადამიანების გამოკვება ძალიან რთული აღმოჩნდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ იერუსალიმის პატრიარქმა და სხვა ლიდერებმა პილიგრიმებს სამშობლოში დაბრუნება სთხოვეს. ცნობები იმის შესახებ რომ, ევროპელთა ნაწილი 66 გემით უკან დაბრუნდა და 100000 კაცი შიმშილით გაწყდა[55], ბუნებრივია, ისევ გადაჭარბებულია, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ 1217 წლის მიწურულისთვის საკვების დეფიციტმა სერიოზული უსიამოვნებები შეუქმნა ჯვაროსნებს. ამას ისიც დაერთო, რომ, როგორც ოლივერუსი წერს, სასტიკი აკრძალვების მიუხედავად, მოსულებმა ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა დაიწყეს, ეს საყვედური განსაკუთრებით ბავარიელებს ეხებოდათ. თავად ავსტრიის ჰერცოგი ლეოპოლდიც კი იმავე საქმიანობით იყო დაკავებული[56].

როგორც ვხედავთ, იმ კორესპონდენციაში, რომელსაც მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის ინიციატორი პაპი ინოკენტი გზავნიდა და ადრესატებს ლაშქრობაში მონაწილეობისკენ უხმობდა, არ არის მოწოდება ქართველთა მეფისადმი; არც ზემოთ ჩამოთვლილ ჯვაროსანთა საერო და სასულიერო ლიდერებს შორის არ ჩანან ქართველები. არადა, ზემოთნახსენები რუსუდან მეფისა და ივანე ათაბაგის მიერ გაგზავნილი წერილები, რომლითაც ისინი პაპ ჰონორიუსს ატყობინებდნენ, რომ საქართველოს მეფე ლაშა-გიორგი აპირებდა ლაშქრობაში ჩაბმას და ვერ მოახერხა მონღოლების გამოჩენის გამო, აშკარად გვაფიქრებინებს, რომ ქართველები ამ ლაშქრობაში ჩასაბმელად ემზადებოდნენ. სწორედ ამიტომ, ჩვენ წინაშე დადგა საკითხი – დაგვეზუსტებინა, სინამდვილეში რა კავშირი შეიძლება ჰქონოდათ ქართველებს მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობასთან და თუკი ამ ღონისძიებაში მართლაც იგეგმებოდა მათი მონაწილეობა, რა პერიოდიდან უნდა ვივარაუდოთ აღმოსავლეთის ქრისტიანთა მიმართ პაპის მოწოდება (გასაგებია, რომ ეს ვერ იქნებოდა პაპი ინოკენტი და მის მემკვიდრეზე, ჰონორიუსზე უნდა გვეფიქრა[57]).

[55] Annales Ceccanenses (MGH, SS., XIX), p. 302; ასევე იხ. A History of the Crusades, p. 389

[56] Oliver of Paderborn, The Historia Damietta, Crusade and Christendom (Annotated Documents in Translation from Innocent III to the Fall of acre, 1187-1291) Ed., J. Bird, E. Peters, J.M. Powell, Philadelphia, 2013, pp. 163, 168

[57] ერთგვაროვანი აზრი ამ საკითხთან მიმართებაში ძნელია გამოითქვას. ერთგვარი სკეპტიკური დამოკიდებულების მიუხედავად, მეშვიდე წერილის კომენტარში, რომელიც ეხება საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობებს, ჩვენ ნათარგმნი გვაქვს 1211 წლის 7 ივნისით დათარიღებული პაპ ინოკენტის წერილი ლაშა-გიორგისადმი. გ. ჯაფარიძე ფიქრობს, რომ ეს ეპისტოლე პასუხია გიორგი-ლაშას ადრე მიწერილ წერილზე.

ამასთანავე, ვისი, რომელი ლეგატის მეშვეობით უნდა მომხდარიყო ქართული სახელმწიფოს მესვეურებთან დაკავშირება.

როგორც შესავალში უკვე აღვნიშნეთ, XIII საუკუნის პირველი მესამედის ჯვაროსნული აღმოსავლეთის შესახებ თვითმხილველთაგან ყველაზე სრულფასოვანი ცნობები ჟაკ დე ვიტრიმ და ოლივერუსმა შემოგვინახეს თავიანთ წერილებსა და თხზულებებში, თუმცა პირდაპირი მინიშნება იმის შესახებ, რომ პაპმა ბრძოლაში დახმარებისთვის ქართველებსაც მოუწოდა, ვერც ერთი ამ ავტორის თხზულებაში ვერ მოვიპოვეთ. ჟაკ დე ვიტრის თხზულებების შესწავლის ფონზეც ღია ტექსტით ინფორმაცია ამის შესახებ არ იკვეთება, თუმცა, მაინც საფიქრებელია ირიბი მინიშნება, რომელიც ქართულ წყაროებთან შეჯერებისა და ფაქტების ანალიზის ფონზე, მეტ-ნაკლებად იძლევა გარკვეული ვარაუდების გამოთქმის საშუალებას. ირიბი მინიშნება ვფიქრობთ, ოლივერუსის თხზულებიდანაც იკვეთება. როგორც ვნახეთ, აკრაში თავმოყრილ ჯვაროსანთა რაოდენობაც და მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობისთვის გაწეული სამზადისიც საკმაოდ შთამბეჭდავი იყო, რაც, მიუხედავად ყველა პრობლემისა, მაინც ტოვებდა იმედს, რომ ლაშქრობა წარმატებით დასრულდებოდა. საინტერესოა, მაშ როდიდან დადგა საჭიროება, დამატებითი ძალების მობილიზებისა, რისთვისაც პაპებმა აღმოსავლეთ ქრისტიანებს მიმართეს? გარკვეულ პასუხს ჩვენს კითხვაზე, ვფიქრობთ, 1217 წლის სირია-პალესტინის, პრაქტიკულად, ფუჭი კამპანია იძლევა. საქმე ის არის, რომ შეუთანხმებელმა მოქმედებებმა, გამოკვეთილი ლიდერებისა და საერთო ხელმძღვანელობის არარსებობამ შიმშილსა და ზემოჩამოთვლილ პრობლემებზე არანაკლებ დააზარალა ჯვაროსნული წამოწყება. ვერ ხერხდებოდა ერთიანი სამოქმედო გეგმის დასახვა, საბრძოლო მოქმედებებიც არ იყო თანამიმდევრული და შეთანხმებული, რითიც ცალკეული მიღწევები აზრს კარგავდა.

იერუსალიმის მეფესა და სამივე ჯვაროსნული ორდენის მაგისტრს გეგმად ჰქონდათ, როგორც კი ჯვაროსნული ლაშქარი თავს მოიყრიდა, ალ-მუ'აზზამისთვის (აიუბიანთა სულთნის, ალ-'ადილის ვაჟი) საკუთარ მამულში – ნაბლუსში შეეტიათ და მთავარი ძალები ეგვიპტეში დამიეტისკენ მიემართათ, რათა სირია-პალესტინაში არსებულ მუსლიმებთან დამაკავშირებელი გზა მოეჭრათ და, ამგვარად, გაეხსნათ ასპარეზი მთელი სირია-პალესტინის დასაპყრობად. ეს გეგმა აკრის საბჭოს მიერ უარყოფილი იქნა, თუმცა, როგორც ვნახავთ, დროებით. ჯვაროსნები კიდევ მოელოდნენ შევსებას და თვლიდნენ, რომ მანამდე პატარ-პატარა თავდასხმებით გაურკვევლობაში უნდა ემყოფებინათ მტერი. ბრძოლები სირია-პალესტინას არ უნდა გასცდენოდა. ჯერჯერობით, ლაშქრობის

საწყის ეტაპზე, მთავარ სამიზნედ დამასკო გამოიკვეთა.

ის ფაქტი, რომ აიუბიანების ოჯახის ცალკეული წევრები ფრანკებთან ურთიერთობებში ომის მაგივრად მშვიდობას ამჯობინებდნენ, იწვევდა იმას, რომ შეუთანხმებლად მოქმედებდნენ მუსლიმებიც. მიუხედავად ამისა, მოწინააღმდეგის არაორგანიზებულობით ჯვაროსნებმა ვერ იხეირეს – 1217 წლის ჯვაროსნული კამპანიებს უსახელო დასასრული ჰქონდა სირია-პალესტინაში (იხ. მესამე წერილის კომენტარები).

უნგრეთის მეფე, რომელმაც ყველაფერი იღონა რომ აღმოსავლეთში გამომგზავრებულიყო და, ძირითადად, აკრიდან არ გასულა, წლის მიწურულისთვის სამშობლოში გამგზავრების სამზადისს შეუდგა. თომას სპალატო წერს, რომ მისი ასეთი პასიურობა მოწამვლით იყო განპირობებული[58]. 1218 წლის დამდეგს, იერუსალიმის პატრიარქისგან შეჩვენების მუქარის მიუხედავად, ანდრაში თავისი ჯარით უკან გაეშურა ევროპაში. მისმა გამგზავრებამ იმდენად შეამცირა ჯვაროსანთა რაოდენობა, რომ ევროპიდან ახალი შევსების მიღებამდე საჭირო გახდა დაგეგმილი საომარი კამპანიების გადადება. ჯვაროსნები ჩრდილო-დასავლეთ გერმანიიდან და ფრიზიიდან მომავალთ ელოდებოდნენ, რომლებიც ზღვით მიეშურებოდნენ აკრისკენ. ისინი 1218 წლის გაზაფხულის მიწურულს მოვიდნენ ლევანტში.

ჯვაროსნების რიგების შევსების შემდეგ, ლიდერებმა უკვე მყარად გადაწყვიტეს, რომ პალესტინის ნაცვლად ეგვიპტის წინააღმდეგ წარემართათ სამხედრო კამპანია, ანუ დაბრუნებოდნენ იმ გეგმას, რომელიც ჟან დე ბრიენმა და ჯვაროსნული ორდენების მაგისტრებმა ერთი წლის წინ წამოაყენეს. ოლივერუსმა უყოყმანოდ დაუჭირა მხარი ჟან დე ბრიენის წინადადებას დამიეტისკენ დაუყოვლებლივ დაძვრის შესახებ და თავისი მოწოდებით ჯვაროსანთა შორის ამ იდეას უამრავი მხარდამჭერიც მოუპოვა. ამავე წელს, 1218 წლის სექტემბერში, ჟაკ დე ვიტრი, რომელიც ასევე იზიარებდა ამ მოსაზრებას, ატყობინებდა პაპს, რომ გაზაფხული არ იყო კარგი დრო პირდაპირ იერუსალიმზე შეტევისთვის, ჯერ ერთი იმიტომ, რომ წელიწადის ამ დროს აქ ძალიან ცხელოდა და წყლის ნაკლებობა იყო, ეგვიპტე კი მდიდარი და წყალუხვია; ამას გარდა ეგვიპტე დაბლობი ქვეყანაა, სადაც საფორტიფიკაციო ნაგებობები, ძირითად, მხოლოდ სამ ქალაქში არსებობს; დამიეტის აღება, რომელსაც ჟაკ დე ვიტრი „ეგვიპტის გასაღებს“ უწოდებს, დანარჩენებისკენაც გახსნის გზასო. ჟაკ დე ვიტრი აგრეთვე მიუთითებდა, რომ ეგვიპტე, ამ უპირატესობათა გარდა, ის ქვეყანა იყო, რომელთანაც არაერთი ბიბლიური თქმულება და თვით ქრისტეს სიყრმესთან დაკავშირებული ლეგენდები

[58] Ex Thomae Historia (MGH, SS, XXIX) p. 578

ასოცირდებოდა; ამას გარდა, მის მცხოვრებთა შორის მრავალი ქრისტიანიც იყო, რომლებიც მუსლიმთა შევიწროვების გამო იტანჯებოდნენ[59]. არაბი ისტორიკოსი იბნ-ალ-ფურატი გვამცნობს, თუ როგორ ესმოდათ და რატომ უნდოდათ ჯვაროსანთა ლიდერებს ეგვიპტეზე შეტევა: „მდიდარი ქვეყნის, ეგვიპტის რესურსების დახმარებით შეძლო სალადინმა სირიის დაპყრობა და იერუსალიმის დამორჩილება. ჩვენ თუ ეგვიპტეს დავიკავებთ, იოლად შევძლებთ იერუსალიმისა და იქ არსებული ყველა ქონების დაბრუნებას“.[60]

როგორც ვხედავთ, ჯვაროსნული ლაშქრობის გადამწყვეტი ფაზა დამიეტის ირგვლის 1218 წლის მაისიდან წარიმართა და მართალია, ევროპელებმა მისი აღება შეძლეს, მაგრამ კვლავაც შეუთანხმებელი ქმედებების გამო ვერ შეინარჩუნეს, მიუხედავად იმისა, რომ ჯვაროსანთა არსებულ კონტინგენტს დამიეტის ალყისას ინგლისელებიცა და იტალიელებიც შემოემატნენ.

საგულისხმოა, რომ 1218 წლის სექტემბრის მიწურულიდან დამიეტასთან მებრძოლ ჯვაროსნებს ევროპიდან ახალი შევსება მოუვიდათ, მათ შორის იყო პაპ ჰონორიუს III-ის მიერ გამოგზავნილი ლეგატი პელაგიუსი, რომელიც ძალიან ფართო უფლებებით გახლდათ აღჭურვილი. გარდა იმისა, რომ ქრისტიანთა შორის მშვიდობისა და ერთობის დასამყარებლად უნდა ეღვაწა, პელაგიუსი აქტიურად ერეოდა და იღებდა გადაწყვეტილებებს სამხედრო კამპანიის წარმოებისას, რის გამოც ხშირი იყო კონფლიქტი მასა და სამხედრო ლიდერებს შორის. ჯვაროსნული ლაშქრობის წარმატებისთვის განსაკუთრებით ხელისშემშლელი პელაგიუსისა და იერუსალიმის მეფის დაძაბული ურთიერთობა გახდა. პაპ ჰონორიუსის მსგავსად, მისი წარგზავნილი ლეგატიც თვლიდა, რომ რელიგიური მოტივი ერთადერთი მამოძრავებელი უნდა ყოფილიყო და სხვა რეალიები გათვალისწინებას არ ექვემდებარებოდა. მათი აზრით, მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა ეკლესიის წამოწყება და საერთო ქრისტიანული სამყაროს საქმე იყო და არც ჯვაროსნების ეთნიკური განსხვავება, არც სხვადასხვა საჭიროება, არც რაციონალური სამხედრო გათვლები და არც მატერიალური მოსაზრებები გათვალისწინებული არ უნდა ყოფილიყო. ლეგატის გაუთავებელი კონფლიქტი იერუსალიმის მეფესთან მაშინ, როდესაც საკმაოდ რაციონალური შემოთავაზება მოდიოდა მუსლიმთაგან (ალ-ქამილმა, ეგვიპტის აიუბიანთა მეოთხე სულთანმა, ძმასთან, ალ-მუ‘აზზამთან და მამასთან, ალ-‘ადილთან შეთანხმებით წინადადებით მიმართა ჯვაროსნებს: მუსლიმები დათმობდნენ

[59] ასევე იხ. ჟაკ დე ვიტრი, მეოთხე წერილი

[60] Ta’rikh, excerpts trans. J.F. Michaud, bibliotheque des croisades, IV, Paris, 1829, p. 388

იერუსალიმის სამეფოს კერაკისა [კრაკ დე მოაბი] და კრაკ დე მონ-რუაიალის [აშ-შაუბაკი] გამოკლებით და 30 წლიან ზავს შეკრავდნენ ჯვაროსნებთან, თუ ეს უკანასკნელნი დატოვებდნენ ეგვიპტეს. ჟან დე ბრიენი, ფრანგი და სირიელი (აქაური ევროპელები) ლიდერები მოწონებით შეხვდნენ ამ შემოთავაზებას. მათთვის ეგვიპტური კამპანია იერუსალიმის დაბრუნების საშუალება იყო და მიიჩნევდნენ, რომ ამ გზით მიზანი შესრულდებოდა. თუმცა პელაგიუსმა, მთელი თავისი ძალაუფლება გამოიყენა, აიყოლია იტალიელები, აგრეთვე ტამპლიერები და ჰოსპიტალიერები და მიაღწია იმას, რომ ეს წინადადება უარყოფილ იქნა, მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით სულთანი ალ-ქამილი 30000 ბეზანტსაც ამატებდა თავის პირობას)[61]. ამაო მოლოდინი, რომ საღვთო რომის იმპერატორი ფრიდრიხ II ჩაებმებოდა ჯვაროსნულ ლაშქრობაში (ფრიდრიხ II-მ ჯერ კიდევ 1215 წლისთვის განაცხადა თანხმობა, რომ ჩაებმებოდა ჯვაროსნულ ლაშქრობაში, თუმცა პერმანენტულად გადაავადებდა ხოლმე თავის გამგზავრებას მახლობელ აღმოსავლეთში. გერმანიის მეფის წოდების მიღების შემდეგაც, 1217 წელს ლაშქრობის დასაწყისში, როგორც ვნახეთ, ის არ არის ჯვაროსანთა რიგებში. ეგვიპტეში მიმდინარე სამხედრო კამპანიაში ფრიდრიხმა ლუი ბავარიელის მეთაურობით ჯარი გაგზავნა, თუმცა მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობაში თავად არ ჩაება), არ აძლევდა პელაგიუსს რაიმე ტაქტიკური სვლის გაკეთების საშუალებას და ჯიუტად ფეხს არ იცვლიდა დამიეტიდან. ლიდერთა შეუთანხმებელმა მოქმედებებმა არა მარტო მოთმინების ფიალა აუვსო ჯვაროსნებს, არამედ მათი უმრავლესობის საბრძოლო შემართებაც ჩააქრო, რასაც შედეგად მოჰყვა ევროპელთა ნაწილის სამშობლოში დაბრუნება (მაგ., ავსტრიის ჰერცოგი საკუთარი ჯარითურთ).

ძნელი სათქმელია, რითი იყო გამოწვეული პელაგიუსის ასეთი ქმედება: შესაძლოა, მას მთელი მახლობელი აღმოსავლეთის დაპყრობა ჰქონდა განზრახული, ანუ ბევრად შორს მიმავალი მიზნები ჰქონდა, ვიდრე ამ ეტაპზე არსებული ჯვაროსანთა პრაგმატული გეგმა. იქნებ იტალიელები იმიტომ ემხრობოდნენ განუხრელად მის ამ გადაწყვეტილებას, რომ კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე, ნილოსის დელტაში სურდათ ფეხის მოკიდება? ასეა თუ ისე, როდესაც 1219 წლის ზაფხულში ეგვიპტის სულთანმა მძიმე დარტყმები მიაყენა ჯვაროსანთა შეთხელებულ რიგებს და ამის შემდეგ კვლავ გაიმეორა შეთავაზება – ეგვიპტიდან ჯვაროსანთა წასვლის სანაცვლოდ იერუსალიმის დათმობის[62] შესახებ,

[61] R. Grousset, Histoire des Croisades, III, Paris, 1948, p. 235

[62] იერუსალიმის ბედი აიუბიანთა პერიოდში არის ნათელი დადასტურება იმისა, რომ დინასტიას პრაგმატული დამოკიდებულება ჰქონდა ფრანკების მიმართ. მიუხედავად იმისა, რაც სალაჰ ად-დინის შემდგომმა იერუსალიმის მფლობელმა მუსლიმმა

ისევ უარი მიიღო.

ვფიქრობთ, სწორედ ამგვარ ვითარებაში, რომის პაპის ლეგატის მიერ, პაპისავე ნებართვითა და მინიჭებული ძალზე ფართო უფლებამოსილებით, სავარაუდოდ, 1219 წელს გაგზავნილი იქნა თხოვნა ქართველთა მეფისადმი, ჩაბმულიყო ჯვაროსნულ ლაშქრობაში. ქართულ სამეცნიერო ბრუნვაში ცნობილი ორივე წერილი, როგორც რუსუდანის, ისევე იოანე ათაბაგისა გვამცნობს, რომ პაპს ქართველებისთვის სალაშქროდ ლეგატის მეშვეობით მოუწოდებია, რაც ბუნებრივიცაა. თუმცა, ამ მხრივ რუსუდანის წერილი ბევრად მეტი ინფორმაციის ამოკითხვის საშუალებას იძლევა. მართალია, რუსუდან მეფის წერილში არც თარიღია დაზუსტებული და არც ლეგატის ვინაობა, მაგრამ აღნიშნული ტექსტის ის ფრაგმენტი, სადაც ლაშა-გიორგის სამზადისზეა საუბარი, მაინც იძლევა გარკვეული ინფორმაციის ამოკითხვისა და კონკრეტული ვარაუდის გამოთქმის საშუალებას. კერძოდ, აი რას ვკითხულობთ რუსუდანის წერილში: „...დამიეტაში მყოფი შენი ლეგატისგან მივიღეთ შენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რათა ჩემი ძმა ქრისტიანების დასახმარებლად წასულიყო. ეს თავად მისი სურვილიც იყო და წასასვლელადაც ემზადებოდა მაგრამ, თუ თქვენც გაიგეთ, ჩვენს ქვეყანას ბიწიერ თათართა ტომი შემოესია და მან დიდი ზარალი მიაყენა ჩვენს ხალხს....“[63]; ცოტა ქვემოთ: „დიდად გავიხარეთ, როდესაც შევიტყვეთ, რომ შენი ბრძანებით იმპერატორს მართებს წმინდა ადგილების დასახსნელად ახლა სირიაში გადავიდეს. მოგვწერეთ ჩვენ, თუ როდის უნდა წავიდეს იმპერატორი და ჩვენც გავაგზავნით ჩვენს მხედართმთავარს ივანეს მთელი ჩვენი ჯარით ქრისტიანების დასახმარებლად, წმინდა საფლავის გასათავისუფლებლად. ჩამოვლენ იმ ადგილას, სადაც მას უბრძანებთ ჩასვლას“.[64] წერილის მეორე ფრაგმენტი იმ მხრივაც არის საგულისხმო, რომ როგორც ჩანს, ის მოლოდინები, რაც პელაგიუსს ჰქონდა ეგვიპტეში ფრიდრიხ II-ის სავარაუდო ჩასვლასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო გაზვიადებულად იქნა მიწოდებული საქართველოს სამეფო კარისთვის.

ყოველივე ზემოთქმულის, აგრეთვე რომის პაპის მიერ პელაგიუსისთ-

მმართველებმა გააკეთეს იერუსალიმის გამშვენიერებისთვის, ისინი რეალურად არ იჩენდნენ ინტერესს, დაესახლებინათ ქალაქი და ექციათ თავიანთ დედაქალაქად. ამგვარი ინტერესის არარსებობა განსაკუთრებით ეხება მათ მიერ იერუსალიმის პოლიტიკურ ცენტრად აღქმას, რომელიც დამასკოში იქნა შენარჩუნებული. სტრატეგიულად იერუსალიმი არ იყო აიუბიანებისთვის საინტერესო, რომელთა ძალაუფლება ეგვიპტესა და სირიაში იყო კონცენტრირებული (იხ. C. Hillenbrand, The Crusades, Islamic Perspectives, Edinburgh, 1999, pp. 211-213)

[63] ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, თბილისი, 1984, გვ. 176

[64] იქვე, გვ. 177

ვის მინიჭებული იმ თითქმის შეუზღუდავი უფლებამოსილების გათვალისწინებით, რომლის ძალითაც მას არა მარტო პაპის მიერ ხელდასხმული ყველა ლეგატი და ოფიციალური მქადაგებელი ემორჩილებოდა, არამედ სამხედრო ლიდერებსაც კი ამეტებდა თავს, მიგვაჩნია, რომ მახლობელ აღმოსავლეთში და, მით უმეტეს დამიეტიდან, ერთადერთი პირი, ვისაც შეეძლო ქართველი მეფე პაპის სახელით მოეწვია, სწორედ პელაგიუსი უნდა ყოფილიყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჟაკ დე ვიტრის არც წერილები და არც მისი „აღმოსავლეთის ისტორია“ მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობაში ქართველების მონაწილეობასა და ვადებთან დაკავშირებით პირდაპირ ინფორმაციას არ იძლევა, თუმცა „აღმოსავლეთის ისტორიის“ LXXIX თავში, სადაც ის ქართველებზე საუბრობს, სხვა, ძირითადად აღწერითი სახის ინფორმაციასთან ერთად წერს, რომ „ქართველები მეტად აღშფოთდნენ და შეაშინეს დამასკოს პრინცი კონრადინი, ვინაიდან ამ უკანასკნელმა მათი ნების საწინააღმდეგოდ იერუსალიმის კედლის დანგრევა დაუშვა მაშინ, როცა ლათინები ალყას ამაგრებდნენ დამიეტასთან...“[65]. ამ ცნობაშიც ქართველები მოხსენიებულნი არიან დამიეტის ირგვლივ მიმდინარე მოვლენების დროს, რაც კიდევ უფრო ამყარებს ჩვენს ვარაუდს იმასთან დაკავშირებით, რომ მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობაში ქართველთა მონაწილეობის მცდელობა დღის წესრიგში ეგვიპტური კამპანიის დროს უნდა დამდგარიყო. კიდევ ერთ არგუმენტად ოლივერუსის პასაჟი მიგვაჩნია, რომელიც არაპირდაპირი, თუმცა, ამ მიმართულებით, გარკვეული მინიშნების შემცველი გვგონია. საუბარს არ გავარძელებთ იმაზე, თუ როგორ აღწერს მისი თხზულების 35-ე თავი ზოგადად ქართველებს, რა გამოძახილი აქვს იოანე პრესვიტერის ლეგენდასთან და ა.შ. ამაზე ქვემოთ კომენტარებშია საუბარი, თუმცა ის ფაქტი, რომ დამიეტის აღების შესახებ თხრობისას ოლივერუსი წერს, რომ ქართველებთან მიწერ-მოწერა არსებობს და ქართველების წერილი სწორედ კათოლიკე ევროპელების სამხედრო ბანაკში[66] მივიდა, სწორედ ზემოთქმულ ვერსიას უნდა ამყარებდეს.[67]

[65] Jaques de Vitry, History of Jerusalem, Palestine Pilgrims Text Society, Cornell University, 1896, p. 83-84

[66] Oliver of Paderborn, The Historia Damietta, Crusade and Christendom (Annotated Documents in Translation from Innocent III to the Fall of acre, 1187-1291) Ed., J. Bird, E. Peters, J.M. Powell, Philadelphia, 2013, p. 189

[67] ე. მამისთვალიშვილი თავის ნაშრომში პირდაპირ წერს: ,,..მეფე ლაშა-გიორგიმ დამიეტასთან მდგარ ევროპელი ჯვაროსნების მეთაურს პაპის ლეგატ პელაგიუსს სამხედრო დახმარება შესთავაზა. ქართველთა მეფის წერილი დაწერილი უნდა იყოს არაუადრეს 1219 წლისა, რადგან საპასუხო წერილიდან ჩანს, რომ დამიეტა ჯვაროსნებს უკვე დაპყრობილი ჰქონდათ. პელაგიუსს წერილი გადასცა საქართველოს მეფის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა - ბერმა, რომელმაც სიტყვიერადაც მოუთხრო ქართული სახელმწიფოს სიმდიდრესა და სიძლიერეზე...“. ქართველი მკვლევრის ეს მოსაზრება ამყარებს ჩვენს ვარაუდს, თუმცა სამწუხაროდ, ციტირებაში სათანადოდ არ ჩანს, რომელ წყაროზე დაყრდნობით მსჯელობს ამ საკითხის გარშემო. იქვე ავტორი აგრძელებს: „ჟაკ დე ვიტრის გადმოცემით, ქართველი ბერის მონათხრობმა დიდად გაახარა კარდინალი და ჯვაროსანთა სხვა მეთაურები, პელაგიუსმა, იმავე ბერის ხელით მეფე გიორგი ლაშას დაუყოვნებლივ გაუგზავნა წერილი. კარდინალი მეფეს უწონებდა განზრახვას ჯვაროსნებისთვის შეიარაღებული ძალით დახმარების შესახებ“. ავტორისეულ ამ თხრობას მოსდევს პელაგიუსის წერილი და და წყაროდ მოტანილია ჟაკ დე ვიტრის „იერუსალიმის ისტორია“, რომელიც სხვა ავტორის მიერაა ციტირებული (ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, (საქართველოს და ჯვაროსნები) 2014, გვ. 286-288) უნდა აღვნიშნოთ, რომ, რომ ჩვენმა სამეცნიერო ჯგუფმა დაამუშავა ჟაკ დე ვიტრის „იერუსალიმის (აღმოსავლეთის) ისტორია“ შემდეგი გამოცემით – Jacoues de Vitry, History of Jerusalem, Pilgrims' Text Society, London, 1896, სადაც მსგავსი წერილი ვერ აღმოვაჩინეთ, რამაც ვერ მოგვცა საშუალება უფრო მეტად თამამი დასკვნები გაგვეკეთებინა ამ საკითხის გარშემო.

ჯვაროსნებმა 1221 წელს ისე დაკარგეს დამიეტა და ისე დატოვეს ეგვიპტე, რომ საღვთო რომის იმპერატორი ფრიდრიხ II მახლობელ აღმოსავლეთში არ გამოჩენილა. პაპმა ჰონორიუს III-მ და, ზოგადად, ქრისტიანულმა ევროპამ სწორედ ფრიდრიხი მიიჩნია მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის წარუმატებლობის მიზეზად. თუმცა, როგორც ჩანს, ზემოთ აღწერილი ვითარება და განწყობები დასავლეთ ევროპაში პაპებს დიდ ალტერნატივას არ სთავაზობდა და მომავალი ჯვაროსნული ლაშქრობის გამოკვეთილ ლიდერად მაინც ფრიდრიხი მიაჩნდათ. ამიტომაც, მუდმივად ახსენებდნენ მას, რომ პირობა უნდა შეესრულებინა და ქრისტეს საფლავის გამოხსნისთვის ებრძოლა. როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ, 1224 წლის 12 მაისით დათარიღებულ პაპ ჰონორიუს III-ის რუსუდანისადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ: „... ხოლო რაც შეეხება იმას, რომ შენ გსურს შეიტყო ქრისტეს მიერ საყვარელი შვილის, რომაელთა ბრწყინვალე და უავგუსტოესი იმპერატორის, სიცილიის მეფის, ჩვენი ფრიდრიხის სალაშქროდ წასვლის დრო, გვთავაზობ რა შენს დახმარებას და მონაწილეობას წმ. მიწების განთავისუფლებისთვის ბრძოლაში, ვაქებთ უფლისმიერ შენს მისწრაფებას, ამ წერილით მოგახსენებთ, რომ იმპერატორს განზრახული აქვს მიიღოს ურწმუნოთა ხელიდან წმ. იოანე ნათლისმცემლის დღესასწაულიდან ერთი წლის შემდეგ დიდძალი მორწმუნეებით და მთელი აღჭურვილობით, ქრისტეს შემწეობით, ისე როგორც ეს შეეფერება იმპერატორის დიდებულებას“.[68] ანალოგიური შინაარსის პასაჟები გვხვდება ივანე ათაბაგისადმი იმავე თარიღით გამოგზავნილ პაპის წერილში: „ამასთან დაკავშირებით ვაცნობებთ შენს დიდსულო-

[68] ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წინგსაცავებში, თბილისი, 1984, გვ. 181

ვნებას, იმის შესახებ, რაც შენ გაიგე ქრისტეს მიერ დამსახურებულ შვილზე, ჩვენს უავგუსტოეს ფრიდრიხზე, რომის ბრწყინვალე იმპერატორსა და სიცილიის მეფეზე, წმ. მიწებთან დაკავშირებით, ჭეშმარიტებას წარმოადგენს. იმპერატორს განზრახული აქვს, შეუდგეს წმ. მიწების განთავისუფლებას თავისი ჩვეულების მიხედვით, დიდმშვენიერებით და დიდსულოვნებით. ამრიგად, გიგზავნით რა მოციქულებრივ წერილს, მივუთითებთ შენს წარჩინებულებას და მოგიწოდებთ, რათა შენი საქებარი და დიდსულოვანი დაპირების თანახმად იზრუნო შენი ჯარის მომზადებაზე, რათა შეძლო, როგორც ეს შენს დიდებულებას შეეფერება, მოხვიდე საჭირო დროს ქრისტიანთა ჯარის საშველად და შეასრულო უფალ იესო ქრისტეს შესაფერისი სამსახური...".[69]

ვფიქრობთ, ამ იმედებს პაპის კურიას ისიც უღვივებდა, რომ დაახლოებით ამავე პერიოდში, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ფრიდრიხ II ჟან დე ბრიენის ასულზე, იერუსალიმის სამეფოს მემკვიდრე იზაბელაზე დაქორწინდა. ამით მან ლეგიტიმაცია შეიძინა, რომ მახლობელ აღმოსავლეთში ჯვაროსანთა პოზიციები აღედგინა და განემტკიცებინა. მართლაც, 1225 წელს იმპერატორმა პაპთან პირობა დადო, რომ 1227 წელს აღარ გადააცილებდა ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყებას. თუმცა, როდესაც უკვე ზაფხულში საზღვაო პორტ ბრინდიზიში მყოფი იმპერატორი ეპიდემიის გავრცელებისა და ავადმყოფობის მომიზეზებით აღარ გაემგზავრა ჯვაროსნულ აღმოსავლეთში, პაპის კურია კიდევ ერთხელ იმედგაცრუებული დარჩა. ამიტომ 1227 წლის 29 სექტემბრისთვის ახალი პაპის, გრიგოლ IX-ის მიერ ფრიდრიხ II განკვეთილ იქნა ჯვაროსნული ფიცის შეუსრულებლობის გამო.

ჯვაროსნული ლაშქრობების ისტორიიდან ცნობილია, რომ ფრიდრიხ II-მ, მოგვიანებით, უკვე როგორც განკვეთილმა იმპერატორმა, ალ-ქამილთან კარგი ურთიერთობებისა და დიპლომატიური მანევრების წყალობით მაინც აიღო იერუსალიმი (მეექვსე ჯვაროსნული ლაშქრობა, მიმდინარე 1228-1229 წწ.). თუმცა, ამ ლაშქრობაში, ბუნებრივია, პაპის კურიის როლი ისეთი აქტიური აღარ იყო და, შესაბამისად, არც საქართველოს სამეფო კარს მიუღია მოწოდება ამ ლაშქრობაში ჩასაბმელად. რომის პაპმა გრიგოლ IX-მ რუსუდანის კართან მიწერ-მოწერა უკვე მოგვიანებით, XIII საუკუნის 30-იანი წლებიდან განაახლა, მაგრამ აღნიშნული კორესპონდენციები უკვე არა ჯვაროსნულ ლაშქრობებსა და ჯვაროსნულ აღმოსავლეთს, არამედ ფრანცისკანელთა მისიონერული მოღვაწეობის ხელშეწყობას შეეხებოდა. შესაბამისად, იგი სცდება ჩვენი წიგნის საკვლევ მიზნებს.

[69] ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წინგსაცავებში, თბილისი, 1984, გვ. 184

ჟაკ დე ვიტრი

წერილი პირველი

წერილი თარიღდება 1216 წლის 4 ნოემბრით. Lettres de Jacques de Vitry, 1998

ქრისტეს ერთგული მსახური ჟაკი, ღვთის წყალობით აკრის ეკლესიის უღირსი წინამძღოლი, ქრისტიანებრივ მარადიულ სალამს გიძღვნით.

იმ უამრავ საფრთხეს და მუდმივ სიძნელეებსა თუ უსიამოვნებებს, რომლებიც თან სდევს ჩემს მოგზაურობას, ერთადერთ შვებას მეგობრების განუწყვეტელი მოგონება ჰგვრის; სწორედ მათი წყალობითაა ჩემი გონება დაუთრგუნველი, ხოლო მათი ლოცვებით გაძლიერებული სული კი დაცულია სისუსტისაგან. მაგრამ ამ მოგონებებით მოგვრილი შვებაც კი, რომელიც ჭრილობებს კურნავს, ზოგჯერ ახალ ტკივილს აყენებს გულს. ვინაიდან, ჩემი ტანჯვა სულ უფრო მეტად ძლიერდება მაშინ, როცა გონების მამოძრავებელი ძალა დამწუხრებული, დასუსტებულია და გონება იმდენად არის შთანთქმული მეგობრებსა და ნაცნობებზე ფიქრით, რომ თითქმის ყველა სხვა საზრუნავი უკვე მხოლოდ ზიზღს მგვრის; ასე რომ, ლოცვით ტკბობა და წმინდა წერილების კითხვის სურვილი ხშირად სუსტდება ამ საზრუნავების გამო.

რასაკვირველია, ასეთი წამიერი ტკივილი ზოგჯერ დააამებს სულს, მაგრამ არის ერთი სადარდებელი, რომელიც განუწყვეტლივ მაშფოთებს, დაუღალავად მჩხვლეტს თავისი ნესტრით და თავს მახსენებს საფრთხე, რომელშიც სულების მართვა იგულისხმება, როდესაც მრავალ სისუსტესა და იმ თვისებებს ვიხსენებ, რომლებიც, მოციქულის თანახმად, აუცილებლად უნდა ჰქონდეს ეპისკოპოსს. მოციქულმა თქვა: „ეპისკოპოსი უნდა იყოს უნაკლო, ზომიერი, ფრთხილი, განათლებული, მაღალი ზნეობის, სტუმართმოყვარე, უნდა შეეძლოს სხვებისთვის სწავლება, არც მსმელი უნდა იყოს და არც მებრძოლი, არამედ თავდაჭერილი, არც ჩხუბისთავი, არც ხარბი, კარგად უნდა იცოდეს საკუთარი სახლის მართვა, შვილები ზნეობრივი სიწმინდის მორჩილებით უნდა აღზარდოს; ის ახლადმოქცეული არ უნდა იყოს, რათა ქედმაღლობაში არ ჩაეფლოს და ეშმაკის განაჩენის მსგავსად ისიც არ დაეცეს. თუმცა, ის კარგად უნდა იქნეს განსჯილი გარეშეთაგანაც, რათა თავიდან აიცილოს სირცხვილი და ამასთან, არ მოხვდეს ეშმაკის ბადეში". ტახტზე მჯდომი გონებადახშული ეპისკოპოსი სახლის სახურავზე ამძვრალ მაიმუნს წააგა-

ვს[1].საშინელებაა, როცა მაღალი იერარქიის წარმომადგენელი, თავისი უბადრუკი გონებით, პრიმასის სავარძელსაა მორგებული და საზოგადოების იმ ყველაზე საშინელ ნაწილთან ერთად, რომლებიც გარყვნილი ჩვევებითა და ძალაუფლების სისუსტით გამოირჩევიან, მაღალფარდოვანი ენით გვმოძღვრავენ. ცოტაც და მსგავსი ფიქრებით მოცული ჩემი გონება ჩაეფლობოდა ამ უმსგავსოებაში, რომ არ ვყოფილიყავი თქვენი ლოცვებით გაძლიერებული.

მაგრამ უფალი თქვენთან განშორების შემდეგ ხშირად ალბობდა ჩემს ჭრილობებს ღვინითა და ზეთით: ,,მივიდა, ზეთითა და ღვინით მოჰბანა ჭრილობები და შეუხვია; თავის სახედარზე შესვა, სასტუმროში მიიყვანა და უპატრონა"[2];ხან უფალი სხვადასხვა სიძნელითა და უბედურებით მცდიდა, ხან კი მამხნევებდა და ფეხზე მაყენებდა. როცა ლომბარდიაში ჩავედი, დემონმა ხელში ჩაიგდო ჩემი იარაღები, ანუ ჩემი წიგნები, რომელთა საშუალებითაც მის დამარცხებას ვაპირებდი, მან გადაყარა და ჩემი არსებობისათვის აუცილებელ სხვა ნივთებთან ერთად ისინი მდინარემ შთანთქა, რომელიც განსაკუთრებულად ჩქარი და საშინლად ღრმა იყო; ეს მდინარე უზომოდ ადიდდა თოვლის დნობასთან ერთად და თან გაიყოლა ხიდები, ასევე, უამრავი ქვა. მაშინ, როცა ჩემი წიგნებით სავსე ერთ-ერთი სკივრი აზვირთებულმა წყალმა წაიღო, მეორე სკივრი, სადაც ჩასვენებული გახლდათ წმინდა დედის მარი დე უანიეს[3] თითი, წყლის ზედაპირზე გააჩერა ჩემმა ჯორმა და ხელი შეუშალა, რომ ფსკერისაკენ წასულიყო. როგორც ერთი გადარჩა ათასს შორის გაჭირვებით, ასევე ჩემმა ჯორმა საღ-სალამათმა მიაღწია ნაპირს ამ სკივრით. რაც შეეხება მეორე სკივრს, ის სასწაულის ძალით მოგვიანებით ვიპოვეთ, ხეებში იყო გახლართული, რაც კიდევ უფრო საკვირველია, მიუხედავად იმისა, რომ წიგნები წყლით იყო დასველებული, მე მაინც შევძელი მათი სრულად წაკითხვა[4].

ამის შემდგომ ჩავედი ქალაქში, რომელსაც მილანი ეწოდება და ერეტიკოსების ბუნაგს წარმოადგენს[5]; იქ რამდენიმე დღე გავატარე დაღვთის სიტყვას სხვადასხვა ადგილას ვქადაგებდი. ამ ქალაქში ერთი ადამიანი თუ მოიძებნებოდა, რომელიც ერეტიკოსებს წინააღმდეგობას უწევდა. გამონაკლისს წარმოადგენდა რამდენიმე წმინდა მამაკაცი და ასევე ღვთისმოშიში ქალები, რომლებსაც ამ მხარეში მცხოვრები სიძულვილით სავსე ადამიანები პატარიებს[6] უწოდებენ. უმაღლესი პონტიფიკოსი კი, რომელსაც ამ წოდების გამო უფლება აქვს იქადაგოს და წინააღმდეგობა გაუწიოს ერეტიკოსებს, რომელმაც დაადასტურა კიდეც რელიგიური ცხოვრების ამგვარი გზა, მათ ჰუმილიატებს[7] (Humiliati)– უწოდებს. დიახ, ეს ადამიანები ყველაფერს ტოვებენ ქრისტესთვის,

იკრიბებიან სხვადასახვა ადგილზე, საკუთარი ხელით შოულობენ ლუკმაპურს, ხშირად ქადაგებენ ქრისტეს სიტყვას და სიამოვნებითვე უსმენენ მას. ამასთან, უნაკლოები და მტკიცენი არიან თავიანთ რწმენაში, შრომაში კი – ყოჩაღები[8]. ეს წესი ისე გავრცელდა მილანის დიოცეზში[9], რომ ასორმოცდაათი რელიგიური სახლი შეიქმნა, ნაწილი მამაკაცებისათვის, ნაწილი კი ქალებისათვის, იმათ ჩაუთვლელად, ვინც საკუთარ სახლებში არიან დარჩენილნი.

შემდგომ ჩავედი ქალაქში, რომელსაც პერუზას[10] უწოდებენ; იქ შევიტყვე, რომ პაპი ინოკენტი[11] გარდაცვლილიყო, ჯერ არ იყო დაკრძალული. ღამით მიცვალებულს მოჰპარეს ზოგიერთი ძვირფასი შესამოსელი, რომლითაც უნდა დაეკრძალათ[12]; მისი თითქმის შიშველი ცხედარი კი ეკლესიაში დატოვეს და იქ საკმაოდ არასასიამოვნო სუნი იდგა. როდესაც ეკლესიაში შევედი, საკუთარი თვალით[13] დავინახე, რაოდენ მოკლე და ამაოა ამქვეყნიური დიდება. მეორე დღეს[14] კარდინალებმა [პაპად] ჰონორიუსი[15], ღირსეული მოხუცი და ღვთისმოშიში პიროვნება აირჩიეს. დიდი უბრალოებითა და დიდსულოვნებით დაჯილდოებულმა პაპმა, რაც კი ებადა[16], თითქმის მთლიანად დაურიგა ღარიბებს. მისი არჩევის შემდგომ, კვირას[17] იგი პაპად აირჩიეს, მე კი მომდევნო კვირას[18]ეპისკოპოსად მაკურთხეს. პაპმა ჰონორიუსმა ჩემ მიმართ დიდი კეთილგანწყობა და უბრალოება გამოამჟღავნა: რამდენჯერაც მოვისურვე, საშუალება მომეცა მომენახულებინა; ამას გარდა, სხვა რაღაცეებთან ერთად, მივიღე მისი კურთხევა, რომ ქრისტეს სიტყვა მექადაგა ყველგან, სადაც კი მოვისურვებდი – აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის რეგიონებში[19]. მისგან მივიღე ასევე წერილები „cum executoribus et protectoribus"[20],რომელთა მიხედვითაც მონაზონ ქალებს უფლება ეძლეოდათ ერთ სახლში დარჩენილიყვნენ და ერთმანეთისთვის სიკეთის კეთებისკენ მოეწოდებინათ. ეს ვრცელდებოდა არა მარტო ლიეჟის დიოცეზზე[21], არამედ მთელ სამეფოსა და იმპერიაზე. მაგრამ რამდენადაც ჯვაროსნების[22] დაცვა საფრანგეთის სამეფოს მღვდლებს ებარათ,ამიტომ მან არ მოისურვა ჩემთვის მათი დაცვის[23] სპეციალური პრივილეგია მოენიჭებინა. სიმართლე რომ ვთქვა, როგორც მითხრეს, მან ეს ვიღაც-ვიღაცების ზეგავლენით გააკეთა, რომელთაც საფრანგეთის სამეფოში პაპის-ნუნციის[24] თანამდებობის მიღება სურდათ. მე, ამასთან დაკავშირებით, მეგობრებსა და ახლობლებთან მოთათბირების შემდეგ, უარი ვთქვი დაბრუნებაზე, თუ არ მექნებოდა ჯვაროსნების დაცვის უფლება, რომლებიც თითქმის ყველგან იჩაგრებოდნენ როგორც გადასახადების, ისე გამომძალველობისაგან და ხშირად ციხეშიც კი ხვდებოდნენ ხოლმე; წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემი ქადაგების შესმენის ნაცვლად, ისინი სახეში მომაფურთხებდნენ,

თუ ვერ შევძლებდი მათ დაცვას, როგორც ამას ქადაგებებში ჰპირდებოდნენ[25].

ამასთან, თუ საფრანგეთში წავიდოდი, უკვე ზამთარი იქნებოდა და მომავალი მარხვის დაწყებისთანავე უნდა გამეგრძელებინა გზა. ასე რომ, რაიმე სარგებლობის მოტანას ველარ შევძლებდი და ძალიან ბევრი მუშაობა დამჭირდებოდა, ვინაიდან საკმაოდ გადაღლილი ვიყავი დამქანცველი სამუშაოს შემდეგ, უმჯობესად ჩავთვალე, ცოტაოდენი დამესვენა და მოვმზადებულიყავი იმ სამუშაოსთვის, რომელიც ზღვის იქით უნდა შემესრულებინა: ათასობით ჯვაროსანმა უკვე გადალახა [ზღვა] და ისინი დამშვიდებას და მხარდაჭერას საჭიროებდნენ. გადავწყვიტე, ჯვაროსნების ჩამოსვლამდე მექადაგა ღვთის სიტყვა ჩემი დიოცეზის[26] მაცხოვრებლებისა და ზღვის იქით მცხოვრები სხვა ხალხებისათვის. მეთხოვა და მომეწოდებინა მათთვის, რომ კარგად მიეღოთ მომლოცველები, ასევე თავი შეეკავებინათ ცოდვების ჩადენისაგან, რათა ცუდი მაგალითი არ მიეცათ სხვათათვის.მართლაც, მას შემდეგ, რაც ჯვაროსანთა ჯგუფები გადმოლახავდნენ ზღვას, მე მთლიანად მათზე ზრუნვით ვიქნებოდი დაკავებული და აღარ მექნებოდა თავისუფალი დრო აკრის მცხოვრებელებისთვის, რომლებიც მე მომანდეს, წინასწარ რომ მეზრუნა მათზე[27].

ამასობაში მომიხდა გარკვეული დროის გატარება პაპის კურიაში, სადაც ჩემთვის მიუღებელ ბევრ რამეს წავაწყდი: იქ იმდენად არიან ჩაფლულნი საერო და ამქვეყნიურ საზრუნავებში, რაც სამეფოებსა და მეფეებს, სასამართლო საქმეებსა და უთანხმოებებს ეხება, რომ სულიერ საკითხებზე საუბრის შესაძლებლობა ძნელად თუ მოგეცემა. თუმცა, ამ ადგილას ერთი სანუგეშო რამეც ვიპოვე: ბევრი მდიდარი და წარჩინებული ადამიანი ყველაფერს ტოვებს ქრისტესათვის და მთელ მსოფლიოში დადის. მათ ყველგან უმცროს ძმებს (Frates minores) და უმცროს დებს (Sorores minores) უწოდებენ.[28] ისინი პაპისა და კარდინალების მხრიდან დიდი პატივისცემით სარგებლობენ და არ არიან დაკავებულნი ამქვეყნიური საზრუნავებით. დიდი სურვილითა და გულმოდგინებით იღვწიან ყოველდღიურად, რათა ამქვეყნიურ ამაოებას გამოსტაცონ იმათი სულები, რომლებიც იღუპებიან და სხვებსაც ითრევენ. ღვთის წყალობით მათ უკვე მოიმკეს მოსავალი და მრავალი ადამიანი მოაქციეს, რათა „მან, ვისაც ესმის, თქვას: მოდი“[29] და „იალქანმა მიიზიდოს იალქანი“[30]. დიახ, ისინი პირველყოფილი ეკლესიის წესით ცხოვრობდნენ, სწორედ მათზეა დაწერილი: „მრავალ მათგანს, ვისაც სწამდა, მხოლოდ ერთი გული და ერთი სული ებადა“[31]. დღისით ისინი შედიოდნენ ქალაქებსა და სოფლებში, მთელი გულმოდგინებით ცდილობდნენ, რამდენიმე ქალაქი მოევლოთ, ღამით კი უკაცრიელ და განმარტოებულ ადგილებში ჩერდებოდნენ, რათა ჩაღრმავებულიყვნენ საკუთარ თავში. ქალები ერთად ჩერდებოდნენ ქალაქის განაპირას სხვადასხვა თავშესაფარში; ისინი მოწყალებას კი არ იღებდნენ, საკუთარი შრომით ირჩენდნენ თავს[32], თუმცა, არც უკმაყოფილოები იყვნენ ამით და არც შეშფოთებულები, ვინაიდან იმაზე მეტ პატივისცემას გრძნობდნენ სასულიერო და საერო ფენებისაგან, ვიდრე ამას ისურვებდნენ. ამ ორდენის წევრი მამაკაცები წელიწადში ერთხელ იკრიბებოდნენ განსაზღვრულ ადგილას, რათა ერთად ეხარათ და ზიარებოდნენ უფალს, ისინი კეთილშობილი ადამიანების დახმარებითა და რჩევით ქმნიდნენ თავიანთ წმინდა ჩვეულებებს და პაპის მიერ მათი დამტკიცების შემდეგ საქვეყნოდ აცხადებდნენ; ამის შემდეგ ისინი გაიფანტნენ ლომბარდიაში, ტოსკანაში, აპულიასა და სიცილიაში[33]. სწორედ მას შემდეგ მათთან პოვა თავშესაფარი ძმა ნიკოლასმა, პაპის მიერ ხელდასხმულმა ორდენის პროვინციალმა[34], წმინდა და ღვთისმოშიშმა ადამიანმა, რაც პაპის კურია დატოვა; თუმცა, ის ძალიან სჭირდებოდა წმინდა პაპს და ამიტომაც უკან გაიწვიეს. რაც შეეხება მე, მწამს, რომ იმ მღვდლების სამარცხვინოდ, რომლებიც მუნჯ ძაღლებს ჰგვანან, რომლებსაც ყეფა არ ძალუძთ[35], სამყაროს აღსასრულამდე ღმერთი მრავალ სულს გადაარჩენს სწორედ ამგვარი უბრალო და ღარიბი კაცების მეშვეობით.

როდესაც ეს ქალაქი დავტოვე, გავემართე გენუისაკენ, ცნობილი ქალაქისაკენ, რომელიც ტოსკანისა და ლომბარდიის საზღვრებთან,ზღვის ნაპირას, მდებარეობს. ჩემი მიზნისაგან მხოლოდ სამი დღის სავალზე ვიყავი, მაგრამ გადასასვლელი რთული და ციცაბო აღმოჩნდა; მაშინ ჩემს თანამგზავრებთან ერთად გემზე ავედი, რომ ზღვით მიგვეღწია ქალაქ გენუამდე, რომელსაც შესანიშნავი ნავსადგური აქვს. რადგანაც დღე და ღამე მივცურავდით, ამიტომ, ზღვის დინების გამო, ტალღების დარტყმებისგან ჩვენი გემი არაერთხელ გადაიხარა; გემს გადაბრუნება ემუქრებოდა და შეუბრალებელი ტალღები უკვე ფარავდნენ ხომალდის ძირს. ჩვენი ერთადერთი ხსნა თეთრეულის ნაჭრებით ნაპრალების ამოვსებაში იყო. საბოლოოდ, როგორც იქნა, ჩავაღწიე გენუაში. აქაურმა მცხოვრებლებმა კარგად მიმიღეს, თუმცა მათ ხელში ჩაიგდეს ჩემი ცხენები და დაუკითხავად წაიყვანეს ისინი ერთ-ერთი გამაგრებული ციხე-სიმაგრის ასაღებად. ეს ამ ქალაქის ჩვეულებაა – როდესაც ისინი საომრად ემზადებიან, თან მიჰყავთ ყველა ცხენი, რომელიც კი გზაზე ხვდებათ და სულაც არ ადარდებთ ვის ეკუთვნის ეს ცხენები. ამ დროს, ქალები ქალაქში დარჩნენ და მე საკმაოდ წარმატებულად ვიქადაგე ღვთის სიტყვა როგორც ქალებთან, ასევე რამდენიმე მამაკაცთან.

ძალიან ბევრმა წარჩინებულმა და მდიდარმა ქალმა მიიღო ჯვრის ნიშანი[36]: მართალია,მათმა თანამოქალაქეებმა წამართვეს ცხენები, მაგრამ მათ ქალებს ჯვარი გარდავსახე. ისინი იმდენად აღტკინებულები იყვნენ ღვთისმოსავობით, რომ დასვენების დრო არ მრჩებოდა. დილაადრიდან დაწყებულ ქადაგებას შუაღამემდე ისმენდნენ და სურდათ, აღსარება ჩაებარებინათ. ომიდან დაბრუნებულმა მამაკაცებმა ცხენები დამიბრუნეს; როცა შეიტყვეს, რომ მათმა ცოლებმა და ბავშვებმა ჯვრის ნიშანი მიიღეს, მათაც დიდი აღფრთოვანებით და სურვილით მიიღეს ჯვარი. გენუაში თითქმის მთელი სექტემბრის თვე დავყავი და ამით ვისარგებლე, რათა სადღესასწაულო დღეებში და კვირაობით ქრისტიანობა მექადაგა ამ ქალაქის მცხოვრებლებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ არ მესმოდა მათი ენა, ათასობით ადამიანი მოინათლა ქრისტიანად და მიიღო ჯვრის ნიშანი[37]. ესენი იყვნენ: მდიდარი, ძლევამოსილი მამაკაცები, სამხედრო საქმის მცოდნენი და კარგი მებრძოლები; მათ მრავალი გემი და ძალიან კარგი გალერები[38] ჰქონდათ; ამასთან, გამოცდილი მეზღვაურებიც ჰყავდათ, რომელთაც შეეძლოთ გაშლილ ზღვაში გზის გაგნება და სავაჭროდ ბევრჯერ იყვნენ ნამყოფები სარაცინების მიწაზე[39]. არა მგონია, არსებობდეს სხვა ქალაქი[40], რომელმაც შეიძლება იამაყოს, რომ ასე დაეხმარა წმინდა მიწას.

ვინაიდან მებრძოლები საკმაოდ გვიან დაბრუნდნენ ლაშქრობიდან, მხოლოდ ოქტომბრის თვის შუა რიცხვებში – წმინდა მიხეილის დღეს[41], გავედი ზღვაში ჩემს მხლებლებთან ერთად; თავი მივანდე უფალს, ასევე ზამთრის ზღვასა და ქარიშხლებს, როგორც ეს მოსალოდნელი იყო წელიწადის ამ დროს. ქალაქის მცხოვრებლებს უამრავი გამძლე ხომალდი ჰქონდათ, რომლებითაც ისინი ზღვაში გასვლას ზამთარში ამჯობინებენ, რადგანაც წელიწადის ამ დროს სანოვაგე გემზე ნაკლებად ფუჭდება და წყალიც არ მყაყდება, როგორც ეს ზაფხულში ხდება. მეტიც, წელიწადის ამ დროს უქარო ამინდის, ანდა მშვიდი ზღვის გამო მათ არ უწევთ ზღვაში დიდხანს დარჩენა. მე ახალი გემი დავიქირავე, რომელიც მანამდე არასოდეს ჩაუშვიათ წყალში. ამ ახალდდამზადებულ გემში 3000 ლივრი გადავიხადე. როგორც მითხრეს, მხოლოდ მისი ანძა 500[42] ლივრი ღირდა.

ჩემთვის და ჩემი თანამგზავრებისთვის ხუთი სათავსო მოვაწყობინე, ანუ გემის ზედა ნაწილის მეოთხედი, სადაც უნდა მესადილა და მეკითხა წიგნები, აქ გავატარებდი დღეს, თუ ზღვაზე ქარიშხალი ამოვარდებოდა.გარდა ამისა, დავიქირავე კაიუტა, სადაც ღამით დავიძინებდი ჩემს თანამგზავრებთან ერთად; კიდევ ერთი კაიუტა დავიქირავე ტანსაცმლისა და შვიდი დღის სამყოფი სანოვაგის შესანახად; აგრეთვე დავიქირავე

მესამე ოთახიც, სადაც უნდა მოთავსებულიყვნენ ჩემი მსახურები; მათ იქ საკვები უნდა მოემზადებინათ; ასევე დამჭირდა სხვა ფართიც ცხენების სადგომისათვის, რომლებიც ამ მოგზაურობაში თან მიმყავდა. რაც შეეხება გემის ტრიუმს, იქ შევანახვინე ბისკვიტები[43] და ღვინო, ასევე ხორცი და სხვა საკვები, რომელიც საკმარისი იყო არსებობისათვის ამ სამი თვის მანძილზე. რაც შემეხება მე, გემზე ჯანმრთელი ავედი, ჯანსაღი სულითა და სხეულით, ჩემს მხლებლებთან და მთელ ბარგთან ერთად. თქვენ კი გულმხურვალედ ილოცეთ ჩემთვის და ჩემიანებისათვის მანამ, სანამ ღმერთი არ ჩაგვიყვანს ქალაქ აკრის პორტში, ხოლო შემდეგ კი სამუდამო ნეტარების ნავსაყუდელში[44].

კომენტარები

[1] შდრ. წმინდა ბერნარი, De consideration, 2, 14" „scriptum est: simian in tecto, rex fatuus in solio sedens". ციტატა მოტანილია წმ. ბერნარ კლერვოელის თხზულებიდან. ეს თხზულება დაწერილია 1148-53 წლებში და მიძღვნილია რომის პაპ ევგენი III-დმი. ბერნარ კლერვოელი (1090-1153 წწ.) იყო სამონასტრო ცხოვრების რეფორმატორი და მისტიკოსი. ცისტერციანული ორდენის წევრი და კლერვოს მონასტრის დამაარსებელი. იგი ოფიციალურად დაინიშნა მეორე ჯვაროსნული ლაშქრობის მქადაგებელად პაპის, ევგენი III-ის მიერ. 1128 წელს, ჰონორიუს II-ის მიერ მოწვეულ ტრუას საეკლესიო კრებაზე, შეადგინა ტამპლიერთა ორდენის წესდება. სავარაუდოდ, ჟაკ დე ვიტრი იმიტომ იყენებს წმ. ბერნარის ეპითეტებს, რომ ისიც ჯვაროსნული ომის მქადაგებელი იყო. იმ დროისათვის წმ. ბერნარი, გარდა თავისი სასულიერო მოღვაწეობისა, ცნობილი გახლდათ, როგორც, საერთოდ, ჯვაროსანთა მოძრაობის სულიერი წინამძღოლი. მისი წმინდანად შერაცხვა 1174 წელს პაპის ალექსანდრე III მიერ მოხდა. იგი პირველი ცისტერციანელი წმინდანია.

[2] ლუკას სახარება 10, 34.

[3] მარი დ'უანიე (ფრ: Marie d'Oignies), წმინდანი (1177—1213), დაიბადა მდიდარ ოჯახში, პატარა ქალაქ ნიველში, ბრაბანტის პროვინციაში (ბელგია). ახალგაზრდობიდანვე თავი მიუძღვნა უფლის სამსახურს, წავიდა სახლიდან და დასახლდა განდეგილად დ'უანისთან, ავგუსტინელების მონასტერთან ახლოს, სადაც იმ დროს ჟაკ დე ვიტრი ცხოვრობდა. 1208 წელს ჟაკ დე ვიტრიმ იგი ინახულა, მოიხიბლა მისი პიროვნებით და მისი მიმდევარი და მოძღვარი გახდა. მარი დ'უანიეს გარდაცვალების შემდგომ ჟაკ დე ვიტრიმ ტულუზის ეპისკოპოსის, ფულკის, თხოვნით დაწერა „მარი დ'უანიეს

ცხოვრება“, რომელიც ამ წმინდანის შესახებ ერთ-ერთუმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. ჟაკ დე ვიტრის მოგზაურობებში თან დაჰქონდა ზარდახშა, რომელშიც ინახებოდა მარი დ’უანიეს თითი. XIII საუკუნის თეოლოგისა და ენციკლოპედისტის თომა კანტიმპრელის (კამბრეს საგრაფოდან) ცნობით: „ამ წმინდანის თითს ჟაკ დე ვიტრი დიდი ხნის მანძილზე ყელზე ჩამოკიდებულს ატარებდა, მაშინაც კი, რომის კურიის კარდინალი გახდა. ამ ქვეყნიდან წასვლის წინ, სასიკვდილო სარეცელზე, მან ეს რელიკვია რომის პაპ გრიგოლ IX-ს მიუძღვნა, რათა მას ეტარებინა უწმინდური ძალებისაგან თავდასაცავად“. იხ. Vie de Marie d’Oignies par Jacques de Vitry, Supplément par Thomas de Cantimpré (traduction française et préface par A. Wankenne, Namur, 1989; Горелов, 2006, ст. 156.

[4] შუა საუკუნეებში სკივრი, ჩვეულებრივ, ტანსაცმლის, წიგნებისა და სხვა ნივთების შესანახად გამოიყენებოდა. ამ პერიოდის წყაროებში ავეჯის შესახებ ძალიან მწირი ცნობები მოგვეპოვება. შუა საუკუნეების ავტორები მასზე, როგორც წესი, ყურადღებას არ ამახვილებდნენ. ჟაკ დე ვიტრის მიერ აქ მოყოლილი ისტორია (ვგულისხმობთ დაკარგული და შემდეგ ნაპოვნი სკივრის ამბავს) საკმაოდ იშვიათ ნარატივად შეგვიძლია ჩავთვალოთ, სადაც ავეჯის რომელიმე სახეობა, ფუნქციურ კონტექსტში, ასე მეტყველადაა წარმოდგენილი. შუა საუკუნეების ევროპისა და ჯვაროსნული აღმოსავლეთის ყოველდღიური ყოფის შესასწავლად იგი უდავოდ საინტერესო მასალას იძლევა.

[5] ჟაკ დე ვიტრისთვის ყველა ის ქალაქი, რომელსაც წერილებში აღწერს, ერეტიკოსებისა და ულმერთოების ბუნაგს წარმოადგენდა.

[6] პატარიები (ფრ: Patarins) – რელიგიური მოძრაობა. წარმოიშვა 1075 წელს მილანში და შემდგომში გავრცელდა ჩრდილოეთ იტალიის ქალაქებში. მიიღო სახელწოდება მილანის ერთ-ერთი უბნის სახელიდან, სადაც ძველმანებით ვაჭრობის ცენტრი იყო განთავსებული (პატარია – იტ. ხარახურა, ძველმანები, ძონძები). ამ მოძრაობის წევრებს პატარინები ეწოდებოდათ. კლუნის რეფორმის შედეგად რელიგიურ მიმდინარეობად იქცა. ეს იყო ქალაქის ღარიბი ფენებისა და ხელოსნების მოძრაობა, სასულიერო პირებისა და სენიორების წინააღმდეგ, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ლომბარდიის სასულიერო წრეებთან. ისინი ქადაგებდნენ ევანგელისტურ სიწმინდეს და იბრძოდნენ იმ სასულიერო პირების წინააღმდეგ, რომლებიც მხილებულნი იყვნენ სიმონიასა და გარყვნილებაში. მათი გამოსვლები XI საუკუნის 80-იან წლებში ჩაახშვეს. მაგრამ პატარიების მოძრაობამ ახალი ძალით XII საუკუნის დასაწყისში იფეთქა. ამ მოძრაობამ ბიძგი მისცა ჩრდილოეთ იტალიაში საქალაქო კომუნების წარმოშობას, ხოლო მოგვიანებით იგი კათარების მოძრაობის ერთ-ერთ ფრთად იქცა. რომის პაპები მათ სასტიკად დევნიდნენ, როგორც ერეტიკოსებს. დევნამ განსაკუთრებით

სასტიკი ფორმა ინოკენტი III-ის დროს მიიღო.

[7] ჰუმილიატები (ლათ: Humiliati). იგივე ბერეტინები, სახელი მომდინარეობს თავსაბურავის სახელწოდებიდან, მორჩილები. ამ საძმოს წარმოშობის საფუძველი ბუნდოვანია. ითვლება, რომ იგი ლომბარდიელ დიდგვაროვან აჯანყებულებს შეუქმნიათ, რომლებიც იმპერატორმა ჰაინრიხ V-მ ტყვედ წაიყვანა. გადასახლებაში მათ იმპერატორის წინაშე თავის დამდაბლება მოუხდათ. მოგვიანებით, უკან დაბრუნებულები დაუკავშირდნენ ბერნარ კლერვოელს და მისი გავლენის ქვეშ მოექცნენ. 1134 წელს ბევრმა მიმდევარმა ოჯახები მიატოვა და მილანის მახლობლად მონასტერს მიაშურა. მართალია, მათ თავიდანვე წესდება არ შექმნეს, მაგრამ იმ დროს მათი იდეები სწრაფად გავრცელდა. მათ სახელს ბევრი უკავშირებს იმ საოცრად სადა და მოკრძალებულ სამოსს, რომლითაც ამ მოძრაობის წევრები იმოსებოდნენ. მათი ორდენი ოფიციალურად ინოკენტი III-მ ცნო. მათი წესდება და ფორმა დაუახლოვდა მათხოვრული ორდენების ფორმატს, მეტწილად, ფრანცისკანულს. რომის პაპის,ინოკენტი III-ის მხარდაჭერის საფუძველი ჰუმილიატების მიმართ იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ ლომბარდიაში გავრცელებულ ვალდენსების ერესსა და კათოლიკურ წიაღში მათი დაბრუნებისთვის იბრძოდნენ. მიუხედავად ამისა, ჰუმილიატები გამუდმებით საფრთხის ქვეშ იყვნენ, რადგან თავადაც ერეტიკულ სექტად ითვლებოდნენ. ზოგჯერ მათ სწორედ ვალდენსების ერთ-ერთ სექტადაც მიიჩნევდნენ. ჰუმილიატების საძმო მოიცავდა ხუთ ფრთას, მათ შორის ქალების დაჯგუფებასაც. როგორც ჩანს, ჟაკ დე ვიტრი ხაზს უსვამს სწორედ იმ ფაქტს, რომ არ უნდა მოხდეს ჰუმილიატების აღრევა პატარიებსა და სხვა სახის სექტებში, რაც, როგორც ჩანს, ხდებოდა ხოლმე.

[8] შდრ. I კორინთელთა მიმართ 4, 12: ეფესელთა მიმართ 4, 28: პირველი ტიმოთეს მიმართ 4, 10-11: მეორე ტიმოთეს მიმართ 3, 7: მეორე ტიმოთეს მიმართ 3, 12: მეორე ტიმოთეს მიმართ 4, 10-11: პირველი ტიმოთეს მიმართ 3, 7: პირველი ტიმოთეს მიმართ 3, 12.

[9] დიოცეზი, რომის იმპერიაში ქალაქის, ოლქის, პროვინციის ადმინისტრაციული ერთეული იყო. ბიზანტიაში VII საუკუნიდან ის შეიცვალა თემებით, ხოლო ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ, კათოლიკურ სამყაროში საეკლესიო ეპარქიის მნიშვნელობით იხმარებოდა, თუმცა, მხოლოდ XIII საუკუნიდან დამკვიდრდა ეპარქიის აღმნიშვნელი ტერმინის.

[10] ფრ: Pérouse. დღევანდელი ქ. პერუჯა იტალიაში.

[11] რომის პაპი ინოკენტი III (1198-1216). ერისკაცობაში ლოტარიო დი კონტი, სენის საგრაფოს სახლიდან. მისი პონტიფიკატი პაპობის ხელისუფლების ზენიტად ითვლება. მან მოახერხა თეოკრატიული იდეალების განხორციელებისას ევროპის რამდენიმე მონარქი დაექვემდებარებინა, მათ შორის ინგლისის მეფეც. მან ცნო და აღიარა ფრანცისკანული და ცის-

ტერციანული ორდენები. აგრეთვე, მოუწოდა ეწარმოებინათ ლაშქრობები ალბიგოელების წინააღმდეგ და ასევე იყო მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის ინიციატორი. ინოკენტი III-ის სახელს უკავშირდება მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის წამოწყება და 1215 წელს ლატერანის საეკლესიო კრების მოწვევა. ეს კრება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია შუა საუკუნეებში ჩატარებულ კრებებს შორის. მას, ზოგჯერ, შემოკლებით, ლატერანის კრების სახელითაც იხსენიებენ.

კრებაზე შეკრებილმა ეპისკოპოსებმა დაგმეს ალბიგოელების ერესი; განაჩენი გამოუტანეს იოაკიმე ტრინიტელის სწავლებას; აღიარეს კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მეორე ადგილი რომის ეკლესიის შემდეგ; აკრძალეს ახალი რელიგიური ორდენების ჩამოყალიბება; აკრძალეს პლურალიზმი და დააწესეს მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ქრისტიანს წელიწადში ერთხელ მაინც ეთქვა აღსარება.

საინტერესოა, რომ აღსარება ამ პერიოდში სულის განკურნების იმდენად ქმედით იარაღად ითვლებოდა, რომ მას, ბევრის რწმენით, ადამიანის გარეგნული იერსახის შეცვლაც შეეძლო. ერთ-ერთ Exampla-ში (შუა საუკუნეებში გავრცელებული ერთ-ერთი ლიტერატურის ჟანრი) საუბარია ახალგაზრდაზე, რომელიც აღსარების შემდეგ იმდენად შეიცვალა, რომ იგი ეკლესიის გარეთ მყოფმა მეგობრებმა ვეღარ იცნეს. Гуревич, 1989. ст. 24.

ინოკენტი III უკმაყოფილო იყო იმ ვითარებით, რომ იერუსალიმი კვლავ მუსლიმთა ხელში რჩებოდა. ამიტომ, 1213 წლის 19 აპრილს მან მოუწოდა ევროპის მონარქებს, ბარონებს, უმაღლესი რანგის სასულიერო პირებს, რომ შეკრებილიყვნენ, რათა ემსჯელათ რომის ეკლესიის წიაღში აღმოცენებული ერესების პრობლემაზე და წმინდა მიწაზე ახალი ექსპედიციის მოწყობაზე. წერილებში პაპი, უფლის სიტყვებზე დაყრდნობით ყველას მოუწოდებდა: „ვინც ჩემთან მოვა, აიღოს თავისი ჯვარი და მომყვეს მე“. განსაკუთრებით აშფოთებდა პაპს, თაბორის წმინდა მთაზე მუსლიმთა მიერ ახალი ციხე-კოშკების აგების ამბები, რომელიც ქრისტიანთა წმინდა ადგილების შებღალვად მიაჩნდა. პაპი ამავე დროს, იზიარებდა გალილეის რეგიონიდან პრელატებისა და რაინდთა მეთაურების შეშფოთებას ამ მთაზე გამაგრებული მუსლიმების მხრიდან აკრის მიწებზე წარმოქმნილი საფრთხეების შესახებ. ვინც მიიღებდა ჯვარს, პაპის კურია ყველას ჰპირდებოდა, რომ გაათავისუფლებდა გადასახადებისგან, დაიცავდა ლაშქრობაში წასულთა ქონებას და ცოლ-შვილს. ასევე ცოდვების მიტევებასაც ჰპირდებოდა მათ, ვინც ესპანეთში მავრების წინააღმდეგ იბრძოდა და პროვანსში ერეტიკოსების მოსასპობად. პაპმა მოუწოდა არქიეპისკოპოსებს, ბარონებს, ქალაქების მმართველებს, რომ სამი წლის განმავლობაში ეზრუნათ ლაშქრობისათვის სახსრების მოძიებასა და გამოყოფაზე. შესაბამისად, უმაღლესი რანგის საეკლესიო პირებს დაევალათ, რომ სამი წლის განმავლობაში თავიანთი

შემოსავლის მეოცედი ნაწილი გაეღოთ ლაშქრობაში წასულთათვის. ლატერანის მეოთხე კრებაზე, 17 დეკემბერს, მან წერილით ბრძანება გასცა, რომ 1217 წლის 1 ივნისს ყველა ჯვაროსანი მებრძოლი შეკრებილიყო ბრინდიზის და მესინის პორტებში. ინოკენტი III თვითონ აპირებდა იქ ჩასულიყო და ფლოტი დაელოცა. პაპის კურია ამ ექსპედიციისათვის 30 000 ფუნტს გამოჰყოფდა, ასევე უზრუნველყოფდა პილიგრიმებისათვის ახალი გემების მომზადებას და ამისათვის დამატებით 3000 მარკას იძლეოდა. ინოკენტი III ვერ მოესწრო თავისი გეგმების შესრულებას. იგი ჩრდილოეთ იტალიაში გაემგზავრა, რათა შეერიგებინა გენუისა და პიზის მოქალაქეები, რათა ბოლო მოეღო ამ რეგიონში არსებული არეულობებისთვის, მაგრამ 1216 წლის 16 ივლისს ის პერუჯაში გარდაიცვალა.

ინოკენტი III მიმოწერას აწარმოებდა გიორგი IV ლაშასთან, რათა ქართველებს მონაწილეობა მიეღოთ მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქობაში. მისი წერილი დათარიღებულია 1211 წლის 7 ივნისით. ეს წერილი არის პასუხი გიორგი IV ლაშას წერილზე, რომელიც, სამწუხაროდ, არ შემორჩენილა, მაგრამ პაპის წერილიდან ჩანს, რომ იგი საქართველოს მეფეს უწონებს წმინდა ქალაქის გათავისუფლებისთვის ბრძოლის სურვილს.ეს კი მიუთითებს, რომ მანამდე, 1210 წელს ლაშა-გიორგის წერილი გაუგზავნია პაპისადმი. ჯაფარიძე გ, ნატროშვილი თ., 1974, გვ 188-189. Röhricht, R., S 1891, p. 4-11.

[12] აქ ჟაკ დე ვიტრის მიერ მოყოლილი ისტორია (ვგულისხმობთ ინოკენტი III-ის ცხედრის გაძარცვისამბავს) შეგვიძლია შუა საუკუნეების ქალაქებში მძიმე კრიმინოგენური ფონის არსებობის დამადასტურებელ ცალსახა არგუმენტად ჩავთვალოთ. აქვე უნდა ითქვას, რომ ჟაკ დე ვიტრის წერილები პირველხარისხოვანი წყაროა შუა საუკუნეების ევროპისა და ჯვაროსნული აღმოსავლეთის ყოველდღიური ყოფის შესასწავლად.

[13] ლათინურ გამოთქმას fidem oculatam (ჩემი თვალები ამას მოწმობენ) ჟაკ დე ვიტრი უდავოდ დაესესხა ტერტულიანს Adversus Marcus IV, 36. CorpusChristianorum, Ser. lat. I, 646, Lettres de Jacques de Vitry, 1998, p. 36

[14] 1216 წლის 18 ივლისი.

[15] ჰონორიუს III, წარმომავლობით რომაელი, რომის პაპი 1216-1277 წლებში, ერისკაცობაში ჩენჩიო საველი, დაიბადა 1148 წელს. პრესვიტერის რანგში იყო სანტა-მარია მაჯორეს და ლატერანის ბაზილიკის მოძღვარი. 1188 წელს რომის პაპმა კლიმენტი III-მ დანიშნა წმინდა საყდრის კამერგერად. მისი აქტიური ხელშეწყობით 1192 წელს შეიქმნა დოკუმენტი „Liber censuum Romanae Ecclesiae”, რომელიც მოქმედებდა XV საუკუნემდე. მასში თავმოყრილი იყო პაპის კურიის ვასალთა მიწებიდან შემოსული თანხების დავთრები. 1194-1198 წლებში ეჭირა პაპის კურიის კანცლერის თანამდებობა. მისი ხელშეწყობით მოხდა წმინდა პეტრეს ბაზილიკის

რესტავრაცია. ინოკენტი III-ის დავალებით იგი მომავალი იმპერატორის ფრიდრიხ II შტაუფენის წინამძღვარი და მასწავლებელი გახდა. 1216 წლის 18 ივლისს, პერუჯაში, ინოკენტის გარდაცვალებიდან ორი დღის შემდეგ, აირჩიეს პაპის თანამდებობაზე და იმავე წლის 31 აგვისტოს წმინდა პეტრეს ტაძარში მისი კორონაცია მოხდა. ჰონორიუს III-მ გააგრძელა ინოკენტი III-ის პოლიტიკა. იგი გახდა ინიციატორი მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობისა. პაპის რანგში მყოფი მფარველობდა ღარიბი ძმების ორდენებს და დაამტკიცა დომინიკანელების (1216 წ.) ფრანცისკანელების (1223 წ.) და კარმელიტების (1226 წ.) წესდებები. ჰონორიუსის ხელშეწყობით, ბოლონიის უნივერსიტეტში, გაღრმავდა კანონიკური და სამოქალაქო სამართლის სწავლების სფერო. იგი აქტიურად უჭერდა მხარს ალბიგოელების წინააღმდეგ მიმართულ ჯვაროსნულ ლაშქრობას. ჰონორიუსის ხელშეწყობით 1217 წელს წმინდა მიწების გასათავისუფლებლად ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა დაიწყო. პაპი იმედოვნებდა, რომ ევროპის მონარქები და, პირველ რიგში, საღვთო რომის იმპერატორი ფრიდრიხ II მონაწილეობას მიიღებდნენ ამ კამპანიაში, მაგრამ ევროპელ მონარქთაგან სირია-პალესტინაში თავიანთი ძალებით მხოლოდ უნგრეთის მეფე ანდრაშ II და ავსტრიის ჰერცოგი ლეოპოლდ VI გადავიდნენ. ევროპიდან მათ დაემატნენ გერმანელ მოხალისეთა და სკანდინავიელთა რაზმები, ხოლო აღმოსავლეთში შეუერთდნენ ლათინთა იმპერატორის პიერ დე კურტენეს და იერუსალიმის მეფის ჟან დე ბრიენის ჯვაროსნები. მაგრამ საბოლოო წარმატების მისაღწევად ეს ძალები არ იყო საკმარისი. ჰონორიუს III ძალიან გაბრაზებული იყო ფრიდრიხზე, რადგან იგი, სხვადასხვა მიზეზის მოშველიებით. თავს არიდებდა აღმოსავლეთში ლაშქრობას, რაც პაპის გულისწყრომას იწვევდა. იმპერატორის ეს მერყეობა გახდა შემდგომში დიდი განხეთქილების ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც რომის პაპის კურიასა და იმპერატორს შორის წარმოიშვა. პაპი იმპერატორს განკვეთითაც კი ემუქრებოდა. მოგვიანებით, ეს კონფლიქტი უფრო გამწვავდა, მიუხედავად იმისა, რომ ახალი პაპის გრიგოლ IX-ის დროს ფრიდრიხმა ბოლოს და ბოლოს შეასრულა პირობა, გადავიდა წმინდა მიწაზე და ქრისტიანებს დაუბრუნა იერუსალიმი. ამიტომ, ჰონორიუს III იმედებს ამყარებდა აღმოსავლეთის ქრისტიან მმართველებზე და, პირველ რიგში, საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშაზე. ეს კონტაქტები განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს იღებს ეგვიპტეში ჯვაროსნების ლაშქრობის დროს. ამ დიპლომატიურ მოლაპარაკებაში აქტიურად იყო ჩაბმული პაპის ლეგატი პელაგიუსი, რომელიც პაპს ატყობინებდა ქართველთა მზაობის შესახებ. დახმარებოდნენ წმინდა მიწას. ქართველთა მონაწილეობის საკითხი კვლავ იდგა მეექვსე ჯვაროსნული ლაშქრობის დასაწყისში. ამჯერად უკვე პაპს დახმარებას საქართველოს მეფე რუსუდანი და ამირსპასალარი ივანე მხარგრძელი ჰპირდებოდნენ. ისინი მზადყოფნას გამოთქვამდნენ, რომ მხარში

ამოუდგებოდნენ იმპერატორ ფრიდრიხს.

[16] ლათინური გამოთქმის „omnia que habere poterat" პერიფრაზირება "habeat"-ის სახით ხშირი იყო გვიანდელ ლათინურ ენაში. Lettres de Jacques de Vitry, 1998, p. 36.

[17] 1216 წლის 24 ივლისი.

[18] 1216 წლის 31 ივლისი.

[19] შუა საუკუნეების ადამიანი ორ ავტორიტეტს ენდობოდა: წიგნებსა და ბუნებრივ მინიშნებებს. ეს ორი ფენომენი, ბუნებრივია, მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის ქადაგების პროცესშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. ამ პერიოდში პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის პერიპეტიები უკვე განდიდებული იყო ისეთ თხზულებებში როგორიცაა, მაგალითად, გიიომ ტირელის ქრონიკები; პოემები გოტფრიდ ბულონელისა და რიჩარდ ლომგულის შესახებ.შესაბამისად, ამ თხზულებებს აქტიურად იყენებდნენ ჯვაროსნული იდეის პროპაგანდისათვის.

ნიშანდობლივი ფაქტია, რომ ცოტა მოგვიანებით, იმავე მიზნებით, ჟაკ დე ვიტრის თხზულებებიც (თუმცა, ეს უფრო „აღმოსავლეთის ისტორიას" ეხება) გამოიყენებოდა. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის სამზადისსარც სასწაულების გარეშე ჩაუვლია. ოლივერუსი „დამიეტას აღების ისტორიაში" საუბარობს იმის შესახებ, რომ 1217 წლის მაისის თვეში კიოლნის რაიონის მცხოვრებლებმა, სამ სხვადასხვა ადგილას იხილეს ცაზე გამოსახული ჯვრის ფორმა. პირველად ეს ქალაქ ვებონში მოხდა. აქაურ მცხოვრებლებს ერთდროულად სამი ჯვარი უხილავთ. პირველი მათგანი თეთრი ფერის ყოფილა. იგი ჩრდილოეთისკენ ყოფილა მიმართული. იგივე შეფერილობის მეორე ჯვარი სამხრეთის მიმართულებას აჩვენებდა; შავი ფერის მესამე ჯვარზე კი ჯვარცმა ყოფილა გამოსახული.

ოლივერუსი აღნიშნავს, რომ თითქმის იმავე დროს სხვა ადგილას, კერძოდ ფრიზიის ქალაქ ფასერჰუსში მზესთან ახლოს გამოჩნდა ლურჯი ჯვარი, რომელიც კიდევ უფრო მეტმა ადამიანმა დაინახა. იმავე პერიოდში, ქალაქ დოკტამში მრავალი შეკრებილი ადამიანი ხედავდა დიდ თეთრ ჯვარს, რომელიც ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთისაკენ მოძრაობდა.

თუკი გავითვალისწინებთ, რომ ოლივერუსი ზემოთ ხსენებულთა გარდა სხვა სასწაულებსაც ახსენებს და მხოლოდ ერთი რეგიონის მაგალითით იფარგლება, ვფიქრობთ, ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი ეიფორია სუფევდა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის წინარე პერიოდის ევროპაში. Crusade and Christendom, 2013, p. 131-133.

[20] ეს წერილები ეხება განსაკუთრებულ პრეროგატივებს, რომლებიც ენიჭებოდათ „მათ, ვინც შედის ზეციური მეუფის სამსახურში" იხ. რ. ფორევილი Latran I, II,III, და Latran IV, პარიზი, 1965. Lettres de Jacques de Vitry, 1998, p. 36. აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენამდე მოაღწია სამმა დოკუმენტმა (მათ

შემდეგი სახელწოდებებით იხსენიებენ: Vinean Domini, Quia maior, Pium et sanctum da ad liberandam), რომლებსაც განსაკუთრებული პრეროგატივების მქონე პირები მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის „პროპაგანდისთვის“ იყენებდნენ. Crusade and Christendom, 2013, p. 130.

[21] ჟაკ დე ვიტრი 1213 წელს, ვიდრე პაპის ლეგატი გახდებოდა, მოღვაწეობდა ბელგიაში, ბრაბანტის პროვინციაში, ამიტომაც იხსენიება აქ, ასე გამოარჩეულად, ლიეჟის ეპარქია. მასზე საუბრისას ჟაკ დე ვიტრი აღნიშნავს ქალ მონაზონთა კავშირს, ბეგინებს, (ლათ. Beguinae) იმავე რაინისპირულ-ფლამანდრულ-მისტიკურ მიმდინარეობას, რომელიც 1170 წელს ჩაისახა ბელგიასა და რაინისპირეთში, უპირატესად, ბრაბანტის პროვინციაში. მათი მომხრეები შემდგომში ნიდერლანდებსა და გერმანიაშიც გაჩნდნენ. ბეგინები ამ მიმდინარეობის მდედრობით წარმომადგენლებს ეწოდებოდათ, მამრობით წევრებს კი ბეგარდებს უწოდებდნენ. ეს საზოგადოებები პირველქრისტიანულ უბრალოებას ეძიებდნენ, ცხოვრების სტილშიც პირველ ქრისტიანებს ჰბაძავდნენ. ისინი რელიგიური ჯგუფის სახით ერთიანდებოდნენ და ასევე თემურად ცხოვრობდნენ. ბეგინ ქალთა მონაზვნური ორდენი ცხოვრობდა ცალკე, საერთო საცხოვრებლებში. ჟაკ დე ვიტრი. ბრაბანტში ყოფნისას, თავის სულიერ დასთან მარი დ’ უანიესთან ერთად მფარველობდა ამ საზოგადოებას. აქ მკაცრ ლიტურგიულ წესებს არ იცავდნენ. აქ ქალებს შეეძლოთ გათხოვილიყვნენ, არ დაედოთ მონაზვნური ცხოვრების ფიცი და, საერთოდ, დაეტოვებინათ საზოგადოება. ამის გამო, ისინი ხშირად ერესში ვარდებოდნენ, ეკლესია მათ ებრძოდა და დევნიდა. 1215 წელს ლატერანიის კრებაზე აკრძალეს ბეგინების საზოგადოება. თუმცა, ამ საზოგადოებებმა 1789 წლამდე, საფრანგეთის რევოლუციამდე იარსება.

[22] ჩვენ ხელთ არსებულ გამოცემაში, რომელსაც ვეყრდნობით ჟაკ დე ვიტრის წერილების თარგმნის დროს, ტექსტებში გვხვდება ტერმინი ჯვაროსნები. როგორც ცნობილია, ტერმინი „ჯვაროსნები“ არაა ძველი. ის XVIII საუკუნიდან იხმარება და მომდინარეობს ესპანური „Cruzada” ანდა იტალიური „Cruciata“-დან. ეს ორივე ტერმინი XV საუკუნის შუა ხანებიდან ჯვაროსნულ გადასახადს აღნიშნავდა. კასტილიურად ”La cruzada“ იყო განსაკუთრებული გადასახადი, რომელიც ეკლესიას ეკისრებოდა. მაგრამ უფრო ადრეც ხშირად გვხვდება Bulla Cruciata, რაც ჯვაროსნული ლაშქრობის ბულას აღნიშნავდა. Cruciata აქ წმინდა ექსპედიციის აღმნიშვნელი ტერმინია და მასთან დაკავშირებულ სხვა სიმბოლოებსაც ეძღვნებოდა. ძალიან იშვიათად გვხვდება ტექსტებში ტერმინი „ჩრუციფერი“, რაც „ჯვრის ჯვაროსნებს“ აღნიშნავდა. ფრანგ ანონიმ ავტორთან კი ტერმინი „Crucesignatio“ გვხვდება, როდესაც პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობაზე საუბრობს. La crucesignatio იყო პასუხი დაძახებაზე, ვინც ისმინა. ეს იყო არჩევანი, ამ არჩევანს სჭირდებოდა ნიშანი და ეს არჩევანი ჯვრით გამოიხატა. ჯვარი აღნიშნავდა ჯვაროსნებს, რადგან მათ თავი ჯვაროსნულ ლაშქრობას უძღვნეს. ტერმინი ჯვაროსნები საუკუნეების განმალობაში გარკვეული მოვლენების აღმნიშვნელი სიმბოლო გახდა. ის თანდათანობით ტრანსფორმირდებოდა და გარკვეული სიმბოლური დატვირთვა შეიძინა. თანდათანობით, ტერმინი „ჯვაროსნები“ დამკვიდრდა თანამედროვე ევროპულ ენებში. Dupront, 1997, p. 1300-1302. ჯვაროსნობის იდეის ევოლუციის შესახებ იხ. Blake, E. O., The formation of the of the: Crusade Idea, Journal of Ecclesiastical History, 21, 1970 pp. 11- 31; Tyerman Ch., The debate on the Crusades, Manchester and New York, 2011.

[23] ამ პერიოდის საფრანგეთის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის სიღრმისეული ანალიზი იხ. Luchaire, A., Social France at the time of Philip Augustus, Trans. E. Krehbiel, New York, 1967.

[24] ნუნცია – ლათ.: nuntius ანუ მაცნე, წმინდა ტახტის ოფიციალური წარმომადგენელი სხვა ქვეყნებში.

[25] როგორც ვხედავთ, ჟაკ დე ვიტრი უკმაყოფილებას გამოთქვამს, რადგან ჰონორიუსის დროს ის აღარ სარგებლობდა პაპის ისეთი კეთილგანწყობით, როგორც ინოკენტის დროს. როგორც ჩანს, ამ პერიოდში მას სხვა მოვალეობები დაეკისრა.

[26] ამ შემთხვევაში საუბარია აკრის ეპარქიაზე. ჟაკ დე ვიტრი სწორედ აკრის ეპისკოპოსი იყო. აკრის წმინდა იოანეს ეკლესია XII საუკუნეში ჯვაროსნული სარაინდო-სასულიერო ორდენის, ჰოსპიტალიერების მიერ დაარსებული, ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობდა. ჰოსპიტალიერების კვარტალში მას სამხედრო დანიშნულებაც ჰქონდა და ქალაქის ჩრდილოეთი ციტადელის მთავარ კარიბჭედ ითვლებოდა. ის მთელი ერთი საუკუნე ჰოსპიტალიერების ორდენის მთავარ რეზიდენციას წარმოადგენდა წმინდა მიწაზე. ამ ეკლესიის კომპლექსში იყო რაინდთა თავშესაფარი, სარიტუალო დარბაზები, იარაღ-საჭურვლის საწყობები, ჰოსპიტალი, სასადილო, ორდენის დიდი მაგისტრის საცხოვრებელი. 1291 წელს, აკრის დაცემის შემდეგ, იგი ეგვიპტელმა მამლუქებმა დაანგრიეს. მოგვიანებით, XVII საუკუნეში. აკრაში ფრანცისკანელებმა ააგეს წმ. იოანეს ეკლესია, რომელიც ამჯერადაც მათ ეკუთვნით. XX საუკუნის შუა ხანებში ძველი ქალაქის იმ ნაწილში, სადაც მდებარეობდა ჰოსპიტალიერთა ორდენის რეზიდენცია, ჩატარებული გათხრების შედეგად კომპლექსის მრავალი ნაშთი აღმოჩნდა.

[27] ჟაკ დე ვიტრის მიერ წერილის ამ ნაწილში მოყოლილი ისტორია ერთერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის სამზადისის შესახებ. ამ მხრივ, ასევე პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ოლივერუსისა და გერსავ პრემონტრელის თხზულებებს. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ იმავე პროცესების (ანუ მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის

სამზადისის) შესახებ ბევრი ლოკალური ქრონიკაც მოგვითხრობს. მაგალითად, ემოს ქრონიკა რაინისპირელ ჯვაროსნებზე. Crusade and Christendom, 2013, p. 133-134.

[28] ფრანცისკანელები – მათხოვრული ორდენი, რომლის დამაარსებელია ფრანცისკ ასიზელი(1181/2-1226). ამ ორდენის წარმომადგენლებს ფრანცისკანელებს, ხშირად კი მინორიტებს უწოდებდნენ. ფრანცისკმა, რომელმაც აპოსტოლური სიღარიბის ქადაგებას მიუძღვნა თავი, ორდენი 1209 წელს დააარსა, თუმცა მისი წესდება პაპმა ჰონორიუს III-მ მოგვიანებით დაამტკიცა. მას მიმდევრები მალევე გაუჩნდა, ხოლო 1212 წლიდან მონაზონმა კლერმა ორდენის შიგნით საფუძველი დაუდო ქალი მიმდევრების ცალკე ჯგუფად გამოყოფას, რომელსაც უმცროსი დები, ანუ ფრანცისკის მეორე ორდენი ეწოდა. 1217 წლისთვის ფრანცისკ ასიზელის მიმდევრებმა ევროპაში პროვინციები დააარსეს. The Concise Oxford Dictionary of World Religions, 2005.

[29] აპოკალიფსი 22, 17.

[30] იალქანი, როგორც ღვთისმოსაობის სიმბოლო.

[31] საქმენი 4, 32. „პირველყოფილი ეკლესიის ფორმის მიხედვით“: საუბარია კანონიკურ სამყაროში მიღებულ თემაზე. მორწმუნე კანონიკოსები გამოხატავდნენ სურვილს, დაბრუნებოდნენ ცხოვრების წესს „ad instar primitivae ecclesiae”. Lettres de Jacques de Vitry, 1998 p. 37.

[32] იხ. კომენტარი ფრანცისკანელებზე.

[33] ევროპის ისტორიაში XI-XIII საუკუნეები, შეიძლება ითქვას, რომ ბერ-მონაზონთა ორდენების ხანაა. ამ პერიოდში დაარსებული ორდენები (ვალდენსები, ფრანცისკანელები, კათარები და სხვა) უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს ევროპაში მიმდინარე სოციალურ პროცესებზე. ჟაკ დე ვიტრის პირველი წერილი შესანიშნავი წყაროა საიმისოდ, რათა გავიგოთ, თუ როგორ ფუნქციონირებდა მსგავსი ინსტიტუციები და როგორი დამოკიდებულება ჰქონდა საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს მათ მიმართ.

[34] სასულიერო პირი, რომელიც ხელმძღვანელობს ორდენის მონასტრებს ოლქში.

[35] ძველი აღთქმა; ესაია წინასწარმეტყველი 56, 10.

ჩვენი აზრით, აქ შეიძლება, იგულისხმებოდნენ დომინიკანელთა ორდენის მღვდლები (Domini canes, ღვთის ძაღლები). ამ ორდენის მთავარი ამოცანა ღვთის სიტყვის ფართოდ ქადაგება და განვრცობა, ასევე, ერეტიკოსების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა იყო. 1214 წელს დომინიკ გუსმანის მიერ ტულუზაში დაარსებული ორდენი ორი წლის შემდეგ, 1216 წელს პაპმა ჰონორიუს III-მ ოფიციალურად სცნო. საინტერესოა, რომ ჟაკ დე ვიტრი, რომელიც მანამდე სიმპათიებით საუბრობს ამავე პერიოდში

დაარსებულ ფრანცისკანელთა ორდენზე, დომინიკანელთა მოღვაწეობას არც ისე მაღალ შეფასებას აძლევდეს.

[36] ჟაკ დე ვიტრის პირველ წერილში წარმოდგენილი ნარატივი (ვგულისხმობთ ევროპის სხვადასხვა ადგილებში მისი ქადაგებების ამბავს) შესანიშნავი წყაროა საიმისოდ, რათა წარმოვიდგინოთ, თუ როგორ მიმდინარეობდა ჯვაროსნული ლაშქრობების პროპაგანდა და როგორი იყო ეპისკოპოსების ურთიერთობა პაპის კურიასთან. 1215-1218 წლებში (პრაქტიკულად, ჟაკ დე ვიტრის პარალელურ რეჟიმში) მსგავსი ქადაგებების შესახებ ინფორმაციას, ვხვდებით გერვასი პრემონტრელის ინოკენტი III-ისადმი მიწერილ წერილებში. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა თავის წინამორბედებზე გაცილებით უკეთ იყო დაგეგმილი და დაფინანსებული. ამის საილუსტრაციოდ ის ფაქტიც გამოდგება, რომ რვაასამდე ადამიანმა ცნო თავი მის მონაწილედ. მიუხედავად იმისა, რომ ლაშქრობას წინ უძღოდა მთელი რიგი არაერთმნიშვნელოვანი და ტრაგიკული მოვლენები, როგორებიცაა: იმპერატორ ჰაინრიხ VI-ის წარუმატებელი ლაშქრობა, მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა, ბავშვთა ჯვაროსნული ლაშქრობა, ჯვაროსნული ლაშქრობა ალბიგოელების წინააღმდეგ (აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ტიპის მოვლენებთან ერთად ადგილი ჰქონდა ტოლოზასთან ბრწყინვალე გამარჯვებასაც), მისი პროპაგანდა მაინც წარმატებით მიმდინარეობდა. Crusade and Christendom, 2013, p. 130-134.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ჟაკ დე ვიტრის წერილები მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დასრულების შემდეგ თავადვე იქცა ჯვაროსნული ლაშქრობების ქადაგების ეფექტურ საშუალებად. საინტერესოა, რომ თანამედროვე ისტორიოგრაფიაში დამოუკიდებელი შესწავლის ობიექტია, თუ რა მექანიზმებით მიმდინარეობდა ჯვაროსნული ლაშქრობების პროპაგანდა. ჟაკ დე ვიტრის შემოქმედება, ამ თვალსაზრისით, პირველხარისხოვან წყაროდ ითვლება. ამ საკითხის შესახებ დაწვრილებით. Bird, 2003, p. 57-74.

[37] აქ, სავარაუდოდ, საუბარია არა ზოგადად გაქრისტიანებაზე, არამედ თანხმობის მიცემაზე ჯვაროსანთა რიგების შესავსებად.

[38] გალერა – ხმელთაშუაზღვისპირეთში გავრცელებული ნიჩბებით აღჭურვილი სამხედრო ხომალდი, რომელსაც მანევრისთვის ორი-სამი იალქანი ჰქონდა. იგი XVII საუკუნემდე სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო ფლოტის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი იყო. რამდენიმე გალერისგან შემდგარ ესკადრას, ზოგჯერ „ქარავანსაც“ უწოდებდნენ.

აქვე უნდა ითქვას, რომ შუა საუკუნეების წყაროებზე დაყრდნობით, შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს,თუ რა ტიპის გემებს იყენებდნენ მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის ეპოქაში.ზოგადად, ამ პერიოდისთვის, გალერების გარდა, ასევე დრომონები და გალიონებიც გამოიყენებოდა. შედარებით იშვიათად გვხვდება დიდი ხომალდების ხსენება, რომლითაც საა-

ლყო მანქანები გადაჰყავდათ. მძიმე ტრანსპორტის სახეობას განეკუთვნებოდა დრომონებიც. მუსლიმების გემებს ევროპული წყაროები ტერმინით „ბოტსა“აღნიშნავენ. შუა საუკუნეების ევროპული ფლოტი ძალიან ბევრი გემისგან არ შედგებოდა. მაგალითად, მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს რიჩარდ ლომგულს 40 მსუბუქი გემი ჰყავდა, რაც მსხვილ სამხედრო შენაერთად ითვლებოდა. ყველაზე ფართო გალერა ხუთასამდე კაცს იტევდა. ასეთ გემებს, დრომონებთან შედარებით უფრო სწრაფად სვლა შეეძლო. ბუნებრივია, გაცილებით ხშირად გვხვდება მსგავსი ტიპის უფრო პატარა გემებიც.სავარაუდოდ, ყველა ეს ხომალდი თოკებით იყო შეკრული.

საზღვაო ბრძოლებში ყველაზე მეტად გალერები და გალეონები გამოიყენებოდა. მძიმე სატვირთო ტრანსპორტის მსგავსად მათ გრძელი გემბანი ჰქონდა, რომლის ცენტრალურ ნაწილშიც, სავარაუდოდ, ანძა იყო მიმაგრებული. მთავარი გემბანის გარდა შუა საუკუნეების გემებს, შესაძლოა, მეორე გემბანიც ჰქონოდა, საიმისოდ, რათა მენიჩბეებს გადაადგილების საშუალება მისცემოდათ.

გემის ზედა ნაწილში მოთავსებული იყო სათავსოები, სადაც ძმარსა და ქვიშას ინახავდნენ. ისინი საჭირო იყო ბერძნული ცეცხლის ჩასაქრობად, რომელიც შუა საუკუნეების გემებისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. ზოგიერთ გემს ვიწრო ნახვრეტები ჰქონდა, საიდანაც არბალეტის სროლა შეიძლებოდა. დიდ გემებზე, შესაძლოა, ხის გოდოლიც ყოფილიყო აღმართული. ღუზა გემის კიჩოსთან იყო მოთავსებული.გემებზე მენიჩბეები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ტყვეები და მონები.

საზღვაო დაპირისპირებისას ყველაზე უფრო საშიშ იარაღად ბერძნული ცეცხლი ითვლებოდა. გემზე მყოფი მეზღვაურები შანსს ეძებდნენ, რათა ცეცხლიანი ისრები ესროლათ მოწინააღმდეგის გემისთვის. სავარაუდოდ, ამ პერიოდის გემები, ზოგჯერ ტარანის განხორციელებასაც ცდილობდნენ, თუმცა, საეჭვოა, რომ ამ საბრძოლო პრაქტიკას სერიოზული ეფექტი ჰქონოდა. საქმე ისაა, რომ ამ პერიოდის გემებს ხის აბორდაჟისთვის განკუთვნილი ბარჯები ჰქონდათ. ამასთან, იალქნიან და ნიჩბებიან გემებს ტარანისთვის საჭირო სიჩქარის განვითარება არ შეეძლოთ.

იბნ-ჯუბაირისა და ჟან ჟუანვილის თხზულებებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ბრძოლის დროს გემის კაპიტანი გემბანის კიჩოზე იდგა, საიდანაც საჭეს აკონტროლებდა და გემის მოძრაობის მიმართულებას განსაზღვრავდა. გემის მფლობელი, ან ეკიპაჟის უფროსი უკანა კოშკში იყო მოკალათებული და ბრძოლის პერიპეტიებს იქიდან ადევნებდა თვალს.

ჯვაროსნულ აღმოსავლეთში ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სანაპიროების დაცვას. პორტებს საფრთხეს, მოწინააღმდეგის ფლოტთან ერთად, მეკობრეებიც უქმნიდნენ. მაგალითად, წყაროებში იხსენიება ცნობილი მეკობრე ჟერარ სიდონელი, რომელიც როგორც ქრისტიანებს, ისე მუსლიმებს ძარცვავდა.

ნავსადგურს უცხო გემებისგან რკინის ჯაჭვები იცავდა, რომლებიც კოშკებს შორის იყო გადაჭიმული. გემებთან ერთად, საფრთხეს, გემებიდან წყალში გადმომხტარი მეზღვაურებიც ქმნიდნენ. მათ წინააღმდეგ, ზოგჯერ, საკმაოდ ორიგინალურ ხერხებსაც მიმართავდნენ. მაგალითად, ზღვაში შლიდნენ ბადეებს, რათა მასში სანაპიროსკენ ცურვით მომავალი მოწინააღმდეგე გაბმულიყო. ვენეციელები და გენუელები, რომლებიც ჯვაროსანთა საზღვაო მოკავშირეები იყვნენ, 1291 წელს აკრის დაცემის შემდეგ, კიდევ დიდხანს აკონტროლებდნენ ხმელთაშუა ზღვას. მათი ზღვაზე ბატონობა, შეიძლება ითქვას, რომ ის ერთადერთი რესურსი იყო, რომლის წყალობითაც ჯვაროსნების სახელმწიფოები დიდი ხნის განმავლობაში ახერხებდა თავის გატანას. A History of The Crusades,1977, p. 33-34.

[39] სარაცინებს (ფრ:Sarrasins) ევროპელები უწოდებდნენ, თავდაპირველად, ხმელთაშუაზღვაში მოთარეშე არაბ მეკობრეებს, შუა საუკუნეებიდან კი – ხმარობდნენ ზოგადად, მუსლიმების აღსანიშნავად. ქართულად მათ სარკინოზებს უწოდებდნენ.

ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილე ფრანგ რაინდებს თავიანთ უპირველეს მოწინააღმდეგედ სარაცინები მიაჩნდათ. ეს სიტყვა, სავარაუდოდ, გვიანი ლათინურის ტერმინ „sarraceni“-დან მოდის. ზოგი ავტორი მიიჩნევს, რომ ეს ტერმინი მოდის არაბული „charquiyin“-ის მრავლობითი ფორმა „charqui“-დან, რაც აღმოსავლურს ნიშნავს. ხოლო შემდგომში ამ სიტყვამ სახეცვლილება განიცადა. სარაცინები შუა საუკუნეების სარაინდო ეპოსის განუყრელი პერსონაჟები იყვნენ, ვინაიდან XI-XIII საუკუნებში ეპოსების დიდ ნაწილს საფუძვლად ჯვაროსნული ლაშქრობები ედო. თავდაპირველად, ამ ეთნიკური ტერმინით აღინიშნებოდა ყველა უცხო მტერი. სარაინდო ეპოსის წყალობით ტერმინი „სარაცინი“ ხალხის ცნობიერებაში გაიგივდა მუსლიმებთან და ურწმუნოებთან. თავდაპირველად სარაცინების სახე ესპანეთში, სამხრეთ იტალიასა და სამხრეთ საფრანგეთში შორს იყო ნეგატიური წარმოდგენებისაგან. დიდი ხნის განმალობაში ქრონისტებზე, ტრუბადურებზე და სარაინდო ეპოსის ავტორებზე დიდ გავლენას ახდენდა ეს იყო სარაცინების მდიდრული ცხოვრების წესი, ძალა, ცოდნა და გმირობები. მათი რელიგია, მიუხედავად იმისა, რომ უცხო იყო ქრისტიანებისათვის, აგრესიას არ იწვევდა. ამის ნათელი სურათია ტრუბადურების სიმღერებში მონაწილე მუსლიმი გმირები, რომლებიც კურტუაზულ სიყვარულს მისდევდნენ და ხშირად უხეშ ფრანგ რაინდებზე მაღლა იდგნენ თავიანთი დახვეწილი მანერებით. სარაცინები თანდათანობით გახდნენ ყოველმხრივ პრივილეგირებული მოწინააღმდეგეები, ღირსნი, რომ ბრძოლაში თვით რაინდ როლანდსაც შეხვედროდნენ.

XI-XII საუკუნეებში, როდესაც ჯვაროსნების ლაშქრობები დაიწყო, სარ-

აცინებისადმი დამოკიდებულება საფრანგეთში კარდინალურად შეიცვალა. ისინი ბნელ ძალად გადაიქცნენ. პაპი ურბან II მათ უწოდებდა „ულმერთოებს“, „ურწმუნოებს“, „თივას, რომელიც სამუდამო ცეცხლისთვის იყო განკუთვნილი“. ბერნარ კლერვოელმა განაცხადა, რომ მათი მოკვლა ცოდვას არ წარმოადგენდა. ასევე შეიცვალა მიდგომა სარაინდო რომანებშიც, გადაკეთდა სცენები ახალი მოთხოვნების შესაბამისად. როლანდი გახდა გმირი, რომელმაც დაამარცხა სარაცინები ქრისტეს სახელით. რონსევალის ხეობაში კი სარაცინმა მუსლიმებმა ჩაანაცვლეს ბასკები. ჯვაროსნული ლაშქრობების რელიგიური და პოლიტიკური პროპაგანდა აქ პოულობდა ნოყიერ ნიადაგს. ამ ხატებამ დიდხანს გაძლო საფრანგეთში და ჯვაროსნული ლაშქრობების შემდეგ ამგვარად დარჩა შუა საუკუნეების საზოგადოების მეხსიერებაში. Stambuli, 1991. p. 25-30.

[40] გენუელები ერთ-ერთი პირველები იყვნენ, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობაში. შემდგომში მათ იტალიის სხვა ქალაქებიც შეუერთდნენ. ამ ქალაქებმა ჯვაროსანთა პირველ წარმატებებში დიდი როლი ითამაშეს. 1101-1105 წლებში ჯვაროსნებმა სწორედ მათი საზღვაო ფლოტის დახმარებით, მუსლიმებს, ფაქტობრივად, მთლიანად გამოსტაცეს ხმელთაშუაზღვისპირეთის აღმოსავლეთი სანაპირო. ამ ქალაქების დახმარება გამოიხატებოდა იარაღ-საჭურვლით,სამხედრო ძალებით და სურსათ-სანოვაგით მომარაგებაში. ამ დახმარების მთავარი აზრი ის იყო, რომ ჯვაროსანთა მეთაურები თავიანთ საგამგებლო ქალაქებში მათ აძლევდნენ მიწის ნაკვეთებს, სავაჭრო ადგილებს ქალაქის ბაზრობებზე, კვარტლებს და, რაც მთავარია, შეღავათებს ვაჭრობაში, რაც ძირითადად გამოიხატებოდა საგადასახადო შეღავათებში. ამავე დროს, იტალიურმა ქალაქებმა, ფაქტობრივად, უპირატესობა მოიპოვეს ლევანტის ვაჭრობაში.

პირველი ჯვაროსნული ლაშქრობისას, ანტიოქიის ალყის დროს, როდესაც ფრანგებს ძალიან გაუჭირდათ ქალაქის აღება, წმ. სიმეონის ნავსაყუდელში (დღევანდელი სამანდაგი, თურქეთის დღევანდელი პროვინცია ხატაიში, ძველი პორტი ხმელთაშუაზღვისპირეთში, რომელიც მდებარეობდა მდინარე ორონტის შესართავთან და ჩაედინებოდა ხმელთაშუა ზღვაში. ჯვაროსნულ ეპოქაში ის იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პორტი, რომელიც ანტიოქიას ზღვით ბერძნულ ქალაქებთან და ევროპასთან აკავშირებდა) შემოვიდა გენუელების ფლოტი, რომელმაც მოამარაგა ანტიოქიასთან მდგარი ჯვაროსნები სამხედრო ძალით და პროვიანტით. გენუელებმა 1099 წელს უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღეს იერუსალიმის აღებაში. მათ მიერ გაწეული დახმარებისათვის მადლიერების ტექსტი ამოტვიფრულ იქნა წმინდა საფლავის ეკლესიის კედელზე. გენუელების ორმა გალერამ აიღო საპორტო ქალაქი იაფა და იქიდან ხმელეთით ამარაგებდნენ იერუსალიმის კედლებთან მდგარ ჯვაროსნებს. მათი დახმარებით, ჯვაროსანთა

მეთაურებმა ააგეს ორი საალყო კოშკი, რომლის საშუალებით მოალყეებმა შეძლეს ქალაქის გალავანზე გადასვლა და ციხის ალაყაფის გაღება. ამის შემდეგ, ჯვაროსნებმა აიღეს იერუსალიმი.გაწეული დახმარების საფასურად, გენუელებს იერუსალიმში ეკუთვნოდათ ერთი მოედანი და ქუჩა, აგრეთვე,ქალაქების: ცეზარიის, არსუფის, აკრის მესამედი, ასევე ამ ქალაქებიდან შემოსავლების მესამედი და სავაჭრო ქუჩა იაფფაში. თუ იერუსალიმის სამეფოში უპირატესობა ვენეციელების ხელში იყო, ანტიოქიის სამთავროში და ტრიპოლის საგრაფოში მეტი გავლენა გენუელებს ჰქონდათ.

მას შემდეგ, რაც 1187 წელს ჯვაროსნებმა დაკარგეს იერუსალიმი, აკრა, სიდონი, ბეირუთი, ჯებაილიც მუსლიმების ხელში აღმოჩნდა. მაგრამ მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, რიჩარდ ლომგულმა აკრა კვლავ დაუბრუნა ქრისტიანებს და გენუელებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქალაქის აღებაში. ჩვენთვის საინტერესო მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქობის დროს კი ისინი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდნენ დამიეტის ციხესთან მდგომი ჯვაროსნების მომარაგებაში. გამოთქმულია მოსაზრება, რომ დამიეტასთან მათ განსაკუთრებულ აქტიურობას, მხოლოდ რელიგიური აღტყინება არ ედო საფუძვლად. არ არის გამორიცხული, რომ მათ პელაგიუსისგან დამიეტაში სავაჭრო პრივილეგიების დამტკიცების პირობა ჰქონოდათ მიღებული. Christian Society and the Crusades 1198-1229, 1971, p. 86.

შემდგომში, ასი წლის განმავლობაში, 1291 წლამდე, გენუელებს დიდი გავლენა ჰქონდათ ქალაქში და მთელი კვარტალი ეჭირათ. თუმცა, იტალიური ქალაქების მეტოქეობა წმინდა მიწაზეც გრძელდებოდა და 1256 წელს აკრაში ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სასტიკი ბრძოლები გენუელებსა და ვენეციელებს შორის, რომელშიც ჩაბმულნი იყვნენ პიზელები, ტამპლიერები, ჰოსპიტალიერები, ტევტონები. ყველაფერი ქალაქის მიწის იმ ნაწილის გამო დაიწყო, რომელიც ჰყოფდა ვენეციელებისა და გენუელების კვარტალს. Виймар, 2008, ст. 74; Ришар, 2002, ст. 255; Эпоха крестовых походов, 1999, ст. 369.

[41] წმინდა მიხეილი გარდაიცვალა 29 სექტემბერს; შესაბამისად, ჟაკ დე ვიტრი აქ გულისხმობს ოქტომბრის პირველ რიცხვებს. Lettres de Jacques de Vitry, 1998 p. 37

[42] ლივრი შედგებოდა 20 სუსგან, რომელიც, თავის მხრივ, 12 ვერცხლის დინარს მოიცავდა. დინარი ვერცხლის მონეტა იყო. შესაბამისად, ერთი ლივრი 240 დინარს შეესაბამებოდა.ევროპაში XIII საუკუნიდან მიმოქცევაში იყო მხოლოდ დინარი და სოლიდი. ჯვაროსნული ომიდან დაბრუნებულმა ლუი IX-მ პირველი ფრანგული ოქროს ფული მოჭრა, რომელსაც ეკიუ დ'ორი ეწოდა და რომელიც ლივრს შეესაბამებოდა.

აქვე უნდა შევეხოთ XII-XIII საუკუნეების ჯვაროსნულ აღმოსავლეთში გავრცელებულ მონეტარულ სისტემას. ლევანტის ქვეყნებში უმთავრეს ფუ-

ლად ერთეულს ბეზანტი წარმოადგენდა. თუმცა, მიმოქცევაში იყო უფრო წვრილი ნომინალებიც დინარისა (ვერცხლისა და სპილენძის) და ობოლის სახით. ობოლი ნახევარ დინარს შეადგენდა. მათი ურთიერთმიმართება სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვაგვარი იყო. თუმცა, ფრანგი ისტორიკოსი ოგიუსტ არტურ ბონო, თავის „იერუსალიმის ასიზების“ კომენტარებში ვარაუდობს, რომ სამი ბეზანტი,საშუალოდ 288 დინარს უდრიდა.

ჯვაროსნულ აღმოსავლეთში ადამიანს თვიდან თვემდე თავის გასატანად, საშუალოდ, ორიდან-სამ ბეზანტამდე თანხა ესასჭიროებოდა. ამის დამადასტურებელ მაგალითად მესამე ჯვაროსნული ლაშქრობისას საფრანგეთის მეფე ფილიპ-ოგიუსტის მოქმედება გამოდგება. მან თავის ჯარისკაცებს ყოველთვიურ გასამჯელოდ სამი ბეზანტი დაუწესა. უფრო გულუხვად იქცეოდა რიჩარდ ლომგული, რომელიც მეომრებს თვეში ოთხ ბეზანტს უხდიდა.

ბეზანტი მსხვილ ნომინალად ითვლებოდა. იგი შედარებით ფართო ფინანსური ოპერაციებისთვის გამოიყენებოდა. წვრილი ვაჭრობისთვის უფრო მცირე ნომინალები იყო საჭირო. შესაბამისად, წმინდა მიწაზე მრავლად ვხვდებით იერუსალიმის მეფეების მიერ მოჭრილ დინარებსა და ობოლებს. მაგალითად, ჩვენამდე მოაღწია ბოლდუენ II-ის,ამორის (ამალრიკუსი), გი ლუიზიანელის, ანრი შამპანელისა და ჟან დე ბრიენის ემისიებმა.

განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩენად ითვლება ანრი შამპანელის მიერ მოჭრილი ნახევარი ობოლი. ეს ერთადერთი მონეტა გახლავთ, რომელზეც მისივე ღირებულებაა ამოტვიფრული. ამ ტიპის მონეტა, სავარაუდოდ, იმისთვის იყო საჭირო, რომ ხალხს ახალი ნომინალის მნიშვნელობა გაეგო.

ჯვაროსნულ აღმოსავლეთში ფულის მოჭრა მხოლოდ იერუსალიმის მეფეების პრეროგატივას არ წარმოადგენდა. ფულს სხვა ჯვაროსნული სახელმწიფოების მესვეურებიც ჭრიდნენ. განსაკუთრებით საინტერესოა ტრიპოლის გრაფების ემისია. ტრიპოლიში გრაფი ბერტრანი (1109-1112) ჭრიდა დინარს, რომელიც ჩვენამდე შემორჩენილი უძველესი ჯვაროსნული მონეტაა. 1148 წლიდან ვერცხლის დინარის მოჭრა რაიმონდ II-ის (1137-1152) სახელს უკავშირდება. მონეტაზე ნახევარმთვარე და რვა რკალშემოვლებული მზე იყო გამოსახული. ეს გრავიურა ტულუზის სიმბოლოდ იქცა. აქვე უნდა ითქვას, რომ თავისი დამახასიათებელი სიმბოლოები ჰქონდა აკრისა და სიდონის მონეტებსაც.

იერუსალიმის სამეფოში მონეტებს იაფასა და ასკალონის გრაფები, სიდონის მმართველი, განსაკუთრებით კი ბეირუთისა და ტიროსის მმართველებიც ჭრიდნენ. რამდენიმე ნუმიზმატიკური ერთეული ტორონის მმართველებისგანაც შემორჩა.აქვე უნდა ითქვას, რომ იერუსალიმის ასიზებში ზოგიერთი სხვა ფეოდალური მამულიც იხსენიება, რომლებსაც მონეტის მოჭრის უფლება ჰქონდათ.

სავარაუდოდ, ჯვაროსნულ სახელმწიფოებში მუსულიმი მმართველების მონეტებსაც ფართო გასავალი ჰქონდა. მათი ოქროს დინარი ერთნახევარ თანამედროვე ფუნტ-სტერლინგს შეესაბამებოდა. გარკვეულ დრომდე ვენეციელებიც აკრაში, ტრიპოლსა და ტიროსშიც თავიანთ მონეტებს ჭრიდნენ.

აქვე უნდა ითქვას, რომ ჯვაროსნულ აღმოსავლეთში დასავლეთიდან დიდი რაოდენობით ოქრო მოედინებოდა, რამაც უკვე XIV საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის დასაწყისში ევროპაში ფერადი მეტალების მძიმე კრიზისი გამოიწვია. სწორედ ეს კრიზისი გახდა მოგვიანებით „დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების“ დაწყების ერთ-ერთი მიზეზი.

წმინდა მიწაზე პილიგრიმებსა თუ მოლაშქრეებს დიდი რაოდენობით თანხა დაჰქონდათ. უფრო ხშირად ეს იყო ვერცხლის დინარები. თავის თხზულებაში მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის ისტორიკოსი ამბროსი აღნიშნავს, რომ „ყველა ოქრო რუსეთიდან არ შემოდის“ მისი ეს სიტყვები გვაფიქრებინებს, რომ ფერადი მეტალები „წმინდა მიწაზე“ შავი ზღვიდანაც შემოედინებოდა.

ყოველივე ზემოთქმული ადასტურებს, რომ ჯვაროსნული აღმოსავლეთის მონეტარული სისტემა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო, რაც, ბუნებრივია, ფულის გადაცვლის დიდ საჭიროებას აჩენდა. ეს საქმე ჯვაროსნულ სახელმწიფოებში საკმაოდ მაღალ დონეზე იყო დაყენებული. მიუხედავად იმისა, რომ ჯვაროსნულ აღმოსავლეთში საბანკო საქმე ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფებოდა. საამისოდ, სპეციალური პროფესიის ადამიანებიც კი იყვნენ გამოყოფილი. შესაძლოა, სწორედ ამ პროფესიის ხალხს ეკუთვნოდა განძი, რომლის მოხსენიებასაც პერიოდულად ვხვდებით ჯვაროსან ისტორიკოსებთან. ოლივერუსი ჰყვება, რომ ჯვაროსნებმა პილიგრიმების ციხე-სიმაგრის მშენებლობისას, იპოვეს თიხის ქილაში დამალული მონეტები.

თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ შუა საუკუნეებში განძს უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენლებიც ინახავდნენ. მაგალითად, ცნობილია, რომ ჰენრი II თავის „განძს“ ტამპლიერთა მაგისტრთან ინახავდა. A History of The Crusades, 1977, p. 7-20.

[43] ლათინური biscoctum აღნიშნავს ძალიან გამხმარ პურს (ორჯერ გამომშრალს ღუმელში), დაჭრილს პატარა ნაჭრებად. ასეთი პური მიჰქონდათ ზღვაზე მოგზაურობისას.

[44] ძნელია მოიძებნოს შუა საუკუნეების პერიოდის მეორე წყარო, რომელშიც ასე დეტალურადაა აღწერილი საზღვაო მოგზაურობის სამზადისი. ამ თვალსაზრისით, ჟაკ დე ვიტრის პირველი და მეორე წერილი ფასდაუდებელ ინფორმაციას გვაწვდის.

წერილი მეორე

მეორე წერილი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილი მთავრდება წინადადებით „ხოლო მე და ყველა ჩემს მეგობარს მართალი ცხოვრება და ბედნიერი აღსასრული გვარგუნოს, მოგვცეს ძალა, ისე გავიაროთ დროებითი სიკეთეები, რომ არ დავკარგოთ მარადიული მადლი“. ეს ნაწილი 1216 წლის 4 ნოემბერსა და 1217 წლის თებერვალს შორის დაიწერა. წერილის მეორე ნაწილი 1217 წლის გაზაფხულით თარიღდება, Lettres de Jacques de Vitry, 1998 p. 12.

ა[1]. ღირს მეუფეებს და ძვირფას პარიზელ მაგისტრებს გიომ დიუპონ დე ლ'არშს, რაულ დე ნამიურს, ალექსანდრე დე კურსონს და ფილიპს, ნუაიონის[2] არქიდიაკვანს, ღვთის მოწყალე ნებით, ჟაკი, აკრის ეკლესიის უღირსი მოძღვარი... შეეწევა წმინდა მიწას ...

ბ. ქალბატონ ლიუტგარდ ტონგრელს[3], მის ქრისტესმიერ მეგობარს, ასევე აივიერის მონასტერს[4], ჟაკი, რომელიც ღვთის მოწყალებამ აკრის ეკლესიის უღირს მოძღვრად აქცია, უსურვებს, რომ ისინი ამაღლდნენ სიკეთიდან უფრო მაღალ სიკეთემდე, სანამ არ იხილავენ უფალს სიონში[5].

სულებს, რომლებიც სულიწმინდამ გააერთიანა, ადგილების მრავალფეროვნება ვერ დააშორებს: მეგობართა სულებზე გულმოწყალების ბეჭდით დასმულ ამ ნიშნებს დრო ვერ წაშლის. „ღმერთია ამის მოწმე“, ღმერთი, რომლის სიყვარულითაც განუწყვეტელ შრომაში ვარ და რომლის სახელისათვისაც ყოველდღიურად ათასგვარი საფრთხე მემუქრება: დიახ, მე გამუდმებით გიგონებთ თქვენ[6] და გულმხურვალედ და გაუნელებელი სიყვარულით ანთებულს მსურს მეღირსოს ამ ქვეყნად თქვენი ნახვა. მაგრამ თუ ღმერთი სხვაგვარად განსჯას ინებებს, ხშირად ვევედრები მას, რომ სიკვდილის შემდეგ მაღირსოს თქვენი ნახვა წმინდანთა სულების ნათებაში[7], მართალთა და ხალხთა შორის[8]. მსურს, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე ისევე გახსოვდეთ მე უღირსი, როგორც მე მუდამ ვფიქრობ თქვენზე. სიხარულით მოგმართავთ ამ წერილით, თუ ვიპოვე სასურველი შიკრიკი, რათა შეგახსენოთ თავი და შეგატყობინოთ ჩემი მდგომარეობა. ამიტომაც, სიყვარულით გაცნობებთ, რომ ღვთის წყალობით ცოცხალი და უვნებელი გახლავართ ისევე, როგორც ისინი, ვინც ჩემთან ერთად იმყოფებიან და იმედი მაქვს, რომ იმავეს შევიტყობ თქვენს შესახებ.

მას შემდეგ, რაც ქალაქ გენუის პორტი დავტოვეთ და შევცურდით ზღვაში, მთელი ხუთი კვირის განმალობაში მრავალი სიძნელის გადალახვა მოგვიწია და სხვადასხვა ადგილას ბევრი გაჭირვება გადავიტანეთ. სარდინიას რომ ჩავუარეთ, შევამჩნიეთ კუნძული[9], რომელიც ყველა მხრიდან ზღვით იყო გარშემორტყმული; აქ გველებსა და გარეულ ცხოველებს შორის მარტოდმარტო ცხოვრობდა განდეგილი, რომელსაც არც მეგობარი ჰყავდა გვერდით და არც მსახური. ის არასოდეს ჭამდა პურს, წელიწადში ერთხელ ან ორჯერ გამვლელი მეზღვაურები თუ მიაწვდიდნენ ორცხობილას ან რაიმე სხვა სანოვაგეს. ჩვენს გამოჩენამდე ის ძალიან დამწუხრებული იყო, რომ ზამთარი ახლოვდებოდა და არავინ ჩანდა, ცოტა პური რომ გაეზიარებინა მისთვის. პასუხად სულიწმინდამ აცნობა, რომ მალე გამოჩნდებოდა გემები, რომლებიც მას ორცხობილებს და სხვა სანოვაგეს მოუტანდა. თუმცა, როდესაც ჩვენმა გემებმა განდეგილის კუნძულს ჩაუარეს, ჩვენ არ შეგვინელებია სვლა, არ გაგვიხედავს კუნძულისკენ და არც განდეგილი მოგვინახულებია. მრავალი მილი გავიარეთ და უეცრად, ძლიერი შემხვედრი ქარი ამოვარდა, რომელმაც ჩვენი გემები კვლავ განდეგილის კუნძულთან მიაცურა. განდეგილი, ეს „დღით სავსე“[10] მოხუცი, დანახვისთანავე მოგვიახლოვდა, კომბოსტო და ყურძენი შემომთავაზა; მის ქოხთან დავინახეთ გარეული ძროხები, ცხვრები და მრავალი შველი; განდეგილმა თოთხმეტი პირუტყვი გვიბოძა, რომლებიც გზაში შევჭამეთ. წასვლისას, განდეგილს დავუტოვეთ პური, ზეთი და ცოტაოდენი ტანსაცმელი.

რამდენიმე ხნის შემდეგ ძალიან საშიშ საფრთხეს გადავეყარეთ. დინებამ მთელი სიჩქარით წამოიღო ჩვენი ხომალდისაკენ მეორე გემი; შეჯახება რომ მომხდარიყო, ორივე გემის დამსხვრევას ვერ ავცდებოდით; არც ხომალდის შემობრუნება შეგვეძლო, რადგან შეიძლებოდა კლდეებს შევჯახებოდით; იძულებულნი ვიყავით ორი უბედურებიდან ერთ-ერთი აგვერჩია: ან მეორე გემის დაჯახებას დავლოდებოდით, ან ჩვენი ხომალდი კლდეებისკენ მიგვემართა. ყოველი მხრიდან ატყდა „ღაღადებაი დიდი“,[11] ორივე გემზე ისმოდა გოდება ადამიანებისა, რომლებიც ტიროდნენ და ცოდვებს ინანიებდნენ. ზოგი ერთი გემიდან მეორეში ხტებოდა, ვინაიდან ის ხომალდი თავისაზე უფრო მყარი ეჩვენებოდა; სხვებმა ტანსაცმელი გაიხადეს და ყველაფერი, რაც ოქროსი და ვერცხლის ებადათ, ტანზე მიიბეს იმ შემთხვევისთვის, თუ ცურვით შეძლებდნენ თავის შველას. ზოგიერთ მეზღვაურს შევებრალე, ისინი დიდი მოწიწებით მირჩევდნენ, ჩავმჯდარიყავი პატარა ნავში, რომელიც გემზე იყო გამობმული, თუმცა მე არ დავთანხმდი, რადგანაც არ მინდოდა ცუდი მაგალითის მიცემა და ვამჯობინე, ყველასთან ერთად საფრთხე გამეზიარებინა, მაგრამ „ღმერთმა იხილა ჩვენი უბედურება“[12]: კაუჭებითა და შუბებით ვუბიძგეთ, გავწიეთ ჩვენკენ მომავალი გემი და არც ერთი ხომალდი არ დაზიანდა ამ შეჯახებისგან. დარტყმის სიძლიერემ

ჩვენი გემი მარცხნივ გადახარა და კლდე მარჯვენა ბორტის მხარეს მოგვატოვებინა; მეორე ხომალდი კი კლდესთან ისე ახლოს იყო, რომ სულ ცოტაც და დაეჯახებოდა, შეიძლება ჩაძირულიყო კიდეც. მაგრამ იალქნების დაკეცვისა და ღუზის ჩაშვების წყალობით, გემი გაჩერდა და, რასაკვირველია, უფლის ნებით, სასწაულებრივად გადაურჩა საფრთხეს. მანამდე ზოგიერთებმა თავისი ოქრო და ვერცხლი ჩვენს გემზე გადმოიტანეს. მას შემდეგ, რაც იქიდან გამოვცურეთ, ძლიერი პირქარი ქროდა. როგორც კი ეს შესაძლებელი გახდა, შევედით ნავსადგურში და იქ თითქმის თხუთმეტი დღე გავატარეთ.

უამინდობის გამო, ასევე ზამთარიც უკვე ძალიან ახლოს იყო, თითქმის დავკარგეთ ზღვის გადალახვის იმედი და ვშიშობდით, რომ რომელიმე სხვა კუნძულზე მოგვიხდებოდა გამოზამთრება. ჩვენი ხომალდის კაპიტანს სურდა, რომ ყველა ღარიბი გემიდან გაეგდო და ისინი ამ კუნძულზე დაეტოვებინა, რადგანაც ხომალდზე საკმარისი საკვების მარაგი არ იყო. მაგრამ მე გულმხურვალედ შევევედრე,რომ გაეხსენებინა უფლის გულმოწყალება და სასიკვდილო საფრთხის წინაშე არ დაეტოვებინა ეს უპოვრები. ვინაიდან, კაპიტანს არაფრის გაგონება არ უნდოდა, უფალმა უეცრად ისეთი ძლიერი შტორმი გამოგვიგზავნა, რომ ზღვაში ჩაშვებული თხუთმეტი ღუზა ძლივძლივობით აკავებდა ჩვენს გემებს და გვიცავდა დაღუპვისაგან. ჩვენი გემის კიჩო ხან ვარსკვლავებისაკენ აღიმართებოდა, ხან კი უფსკრულში ეშვებოდა[13]. შტორმი ორი დღე და ღამე გაგრძელდა; შედეგად, ზოგიერთი ჩვენიანი, ვინც ცუდად იტანდა ქარის შემოტევებს, ძირს დაემხო და გემის ზედა ნაწილი დააზიანა, სხვებს იმდენად დაუფლებოდათ სიკვდილის შიში, რომ არც ჭამდნენ და არც სვამდნენ. არც მე მიჭამია არაფერი მოხარშული, რადგან გემზე ცეცხლის დანთებას ვერავინ ბედავდა. როდესაც წყურვილს ვიკლავდი, ერთი ხელით სასმისი მეჭირა, ხოლო მეორეთი ჩემს თავს ვიჭერდი, რომ არ დავცემულიყავი, ან სითხე არ დამეღვარა. იმის შიშით, რომ უწყლოდ არ დავრჩენილიყავით, თეთრეულს წვიმის ქვეშ ვტოვებდით; ამ ხერხით ორმაგ მოგებას ვნახულობდით – ტანსაცმელსაც ვრეცხავდით და ამ გზით შეგროვებულ წყალსაც ვსვამდით.

ამ შტორმმა განდევნა ქარიშხალი ბევრი ცოდვილის გულებიდან: ბევრმა ადამიანმა, ვინც წლების მანძილზე ცოდვებში იყო ჩაფლული, თვალცრემლიანმა მომმართა აღსარებისთვის. ვაჭრებმა და ძალაუფლების მქონე ადამიანებმა ჩემგან ჯვრის ნიშანი მიიღეს. ვინაიდან ისინი უფალს უხმობდნენ, მან გამოგვიგზავნა წყნარი ამინდი. ამ დროს ზურგის ქარმაც დაუბერა და ბოლო მოუღო ჩვენს გაჭირვებას[14]: რამდენიმე დღეში სიცილიასა და კუნძულ კრეტას ჩავუარეთ, მარცხნივ ქარიბდა და სცილა[15] ჩამოვიტოვეთ, მარჯვნივ კი – მალტა, სადაც წმინდა პავლემ გემის დაღუპვის შემდეგ გამოიზამთრა. სწორედ აქ, ფიჩხის შეგროვებისას[16], უკბინა მას გველმა. შემდეგ ჩავუარეთ კუნძულ კვიპროსს. მეზღვაურები მიხვდნენ, რომ უკვე შორს აღარ ვიყავით ხმელეთიდან, რადგანაც დიდი თევზები შევნიშნეთ, რომლებიც ხან წინ მიუძღოდნენ ჩვენს გემს, ხან უკან მოგვყვებოდნენ და ხომალდის გარშემო ხტოდნენ.

ყოველთა წმინდანთა დღესასწაულიდან მეექვსე დღეს[17] ქალაქ აკრის პორტს მივაღწიეთ[18]. მთელი ქალაქი გამოვიდა ჩვენს შესახვედრად და დიდი სიხარულით მიგვიღო. თუმცა, მე მომეჩვენა, რომ ქალაქი აკრა ურჩხულს და ცხრათავიან მხეცს ჰგავს, რომლის თავებიც ერთმანეთს ებრძვიან[19] [20]. ამ ქალაქში ცხოვრობდნენ იაკობიტები[21] თავიანთ არქიეპისკოპოსთან ერთად; ისინი, ებრაელების[22] მსგავსად, პატარა ასაკში უკეთებენ წინადაცვეთას თავინთ შვილებს და ღმერთის გარდა აღსარებას არავის აბარებენ. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც არ იყვნენ წინადაცვეთილნი და აღსარებას მღვდლებს აბარებდნენ, მაგრამ ესენიც და ისინიც პირჯვარს მხოლოდ ერთი თითით იწერდნენ. მიუხედავად ამისა, მე მაინც ვიქადაგე მათ ეკლესიაში თარჯიმნის დახმარებით, რომელიც სარაცინების ენაზე საუბრობდა[23]; ავუხსენი, რომ თუ ისინი გააგრძელებდნენ წინადაცვეთას, ქრისტე აღარ შეეწეოდა მათ[24], რომ ცოდვების კეთრისაგან მათი განკურნება მხოლოდ მღვდლებს შეეძლო და სწორედ მათი საქმეა „კეთრის გამოყოფა კეთრისაგან“, როგორც უფალი გვასწავლის სახარებაში: „წადით და ეჩვენეთ ღვთისმსახურებს“[25]. ესმათ რა მათთვის უჩვეულო ღვთის სიტყვა, ისინი განიმსჭვალნენ ღვთის სათნოებით და მტკიცედ დამპირდნენ, რომ მომავალში უარს იტყოდნენ წინადაცვეთაზე და აღსარებას მხოლოდ მღვდლებს ჩააბარებდნენ. თუმცა, მალულად მაინც ერთი თითით ისახავდნენ ჯვარს. მე დავუშვი ეს თავად არსის ერთიანობისა და ძის სამსახოვნების გამო, ვინაიდან ერთ თითში სამი ნაწილია, ჩვენ კი პირჯვარს ვიწერთ ერთი ხელის სამი თითით სამებისა და ერთიანობის სახელით[26]. მოგვიანებით, საიდუმლოდ ამიხსნეს, რატომ იწერენ ისინი პირჯვარს ერთი თითით: მათ სწამთ, რომ ქრისტეს მხოლოდ ერთი ნება აქვს მაშინ, როცა, ერთი მხრივ არის ღვთიური ბუნების ნება, მეორე მხრივ კი – ადამიანურის და ადამიანური ბუნება ემორჩილება ღვთიურს. როგორც ეს სახარებაში წერია: „არა ისე, როგორც მე მინდა, არამედ როგორც შენ გსურს“[27].

ამის გარდა, მე ვნახე სირიელები[28],ძალიან გარყვნილი და მოღალატე ადამიანები[29]: ისინი სარაცინებს შორის იყვნენ აღზრდილნი, გადაიღეს მათი ცუდი ჩვეულებები და ზოგიერთი მათგანი გასამრჯელოს ფასად სარაცინებს ქრისტიანობის საიდუმლოებებსაც კი უმჟღავნებდა[30]. ვი-

ნაიდან, ისინი ბერძნების მსგავსად კურთხევისათვის საფუარიან პურს იყენებდნენ, ამიტომაც არად აგდებდნენ ჩემს მიერ ჩატარებულ ზიარებას უსაფუვრო პურით; რის დასტურადაც ისინი პატივს არ მიაგებდნენ ამ პურს და თავსაც კი არ ხრიდნენ, როდესაც ჩვენს მღვდლებს სნეულის პირთან უფლის სხეული მიჰქონდათ. უფრო უარესიც, ისინი უარს ამბობდნენ ჩვენს საკურთხევლებში მსახურებაზე, თუ წინასწარ არ განწმენდდნენ და განბანდნენ იქაურობას. მათ მღვდლებს საეკლესიო სამოსი კი ეცვათ, თუმცა, ვარცხნილობა საერო პირების მსგავსი ჰქონდათ და ბერძნების მსგავსად ცოლებიც ჰყავდათ. თავიანთ საერო პირებს მესამეჯერ ქორწინების უფლებასაც კი იძლევდნენ.[31]

ამ სირიელების ქალიშვილები სახეს იფარავდნენ, იმგვარად, რომ შეუძლებელი ყოფილიყო მათი ცნობა[32]. მათაც კი, ვისთანაც დანიშნულები იყვნენ, ქორწინებამდე ეკრძალებოდათ სახის ხილვა. მათი ეპისკოპოსის თხოვნით, შევკრიბე მამაკაცებიცა და ქალებიც და თარჯიმნის დახმარებით ვუქადაგე „სიტყვანი ცხოვრებისანი“[33]. ისინი იმდენად შეძრა უფლის სათნოებამ, რომ ეპისკოპოსმა თავის სამწყოსთან ერთად მორჩილება განმიცხადა და მტკიცედ დამპირდა, რომ მომავალში ჩემი შეგონებების თანახმად იცხოვრებდნენ. ზოგიერთი მათგანი, როგორც შევიტყვე, ყოველწლიურად ინათლებოდა უფლის გამოცხადების დღეს.

მე ასევე შევხვდი ნესტორიანელებს, გეორგინებს[34]და სომხებს[35], მაგრამ, ვინაიდან მათ არც ეპისკოპოსი და არც სხვა აღიარებული მეთაური არ ჰყავდათ, მე მათი შეკრება ვერ მოვახერხე[36]. სომხები ზიარებას უსაფუვრო პურით ატარებენ, მაგრამ ნაკურთხ ღვინოში წყალს არ ამატებენ[37]. ამის გარდა ვნახე ქალები და კაცები, რომლებიც ჩვენს ეკლესიას არ ემორჩილებიან, მაგრამ საკუთარი ძალაუფლების წყალობით თავიანთ სამლოცველოებში კაპელანები დანიშნეს და დაუსჯელად სჩადიან იმას, რასაც მოისურვებენ ჩვენ მიერ გამოტანილი განკვეთის განაჩენის მიუხედავად: საუბარია გენუის, პიზისა და ვენეციის თემებიდან გამოსულ ხალხზე[38]. მათ არასოდეს მოესმინათ უფლის სიტყვა და და არც ჩემს ქადაგებაზე მოსვლას კადრულობდნენ.[39] თუმცა, ამან ხელი ვერ შემიშალა, რომ მივსულიყავი მათთან და ღვთის სიტყვა მიმეტანა, ვქადაგებდი სოფელში მათი სახლების წინ, ამის მერე მათ მოწიწებით აღიარეს ღვთის სიტყვა და აღსარების შემდეგ ჯვრის ნიშანიც მიიღეს. მას მერე, შემუსვრილი და დამდაბლებული გულით[40] კვირაობით ისმენდნენ ღვთის სიტყვას ქალაქგარეთ, სადაც ჩვეულებრივ მე ვქადაგებდი ხოლმე. ასევე ვნახე ამ მიწაზე დაბადებული ხალხი, რომლებსაც „პულანებს“, ფრანგულად „პოულაინს“ უწოდებდნენ[41]. მხოლოდ ისინი აღიარებდნენ, რომ ჩემი დაცვის და ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდნენ[42].

თუმცა, ათასიდან ერთს თუ იპოვიდით მათში ისეთს, ვისაც ქორწინებაში ერთგულებით ცხოვრება სურდა; არ სჯეროდათ, რომ მრუშობა მომაკვდინებელი ცოდვაა. ბავშვობიდანვე განებივრებულები მთლიანად ხორციელ ვნებებს ემორჩილებოდნენ; ისინი არ იყვნენ მიჩვეულნი ღვთის სიტყვის მოსმენას და ამას დიდ მნიშვნელობას არც ანიჭებდნენ.

შევხვდი ასევე უცხო ტომელებს, რომლებიც სხვადასხვა დანაშაულის ჩადენის გამო იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ თავიანთი ქვეყნები. არ ეშინოდათ ღვთის რისხვის და მთელი ქალაქი გარყვნეს თავიანთი ბოროტმოქმედებითა თუ ცუდი მაგალითით. თუმცა, ყველაზე გამოუსწორებელი და დაბრმავებული ადამიანების ჯგუფი, რომელსაც შევხვდი, მწიგნობრები და ფარისევლები იყვნენ[43]: ისინი მხოლოდ ცხვრის რძისა და მატყლის მოპოვებით[44] კმაყოფილდებოდნენ, სრულებით არ ზრუნავდნენ სულზე და თავიანთი სიტყვითა და მაგალითით ხრწნიდნენ საერო პირებს. მაშინ, როდესაც სხვებს სინანული დაეუფლათ და ღმერთისკენ შემობრუნდნენ, მხოლოდ ეს ხალხი უარყოფდა ღმერთის სიტყვას და ყოველივე სათნოს, რათა აღსრულდეს, რაც დაწერილია[45]: „მეზვერენი და მეძავნი წაგიძღვებიან სასუფეველში ცათა“[46].

ამ საშინელ ქალაქში შესვლისთანავე ვიხილე მრავალი ბოროტმოქმედება და უსამართლობა: ჩემი სული შეძრწუნდა: „შიში და ძრწოლა მომიხდა მე და დამფარა მე ბნელმან“[47], რადგან მეტისმეტად მძიმე ტვირთი ვიკისრე, რომლის ტარებაც შეუძლებელი იყო და ყოველივე ამაზე პასუხი უზენაესი მსაჯულის წინაშე უნდა მეგო. თითქმის ყოველ დღესა და ღამეს ფარულად თუ აშკარად ხდებოდა მკვლელობები: ქმრები ღამით ახრჩობდნენ თავიანთ ცოლებს იმის გამო, რომ აღარ მოსწონდათ; თავის მხრივ, ცოლები ძველი ჩვეულებისამებრ წამლავდნენ ქმრებს შხამიანი სასმელებით, რომ მერე სხვას გაჰყოლოდნენ ცოლად. ქალაქში იყვნენ ადამიანები, რომლებიც საწამლავებითა და შხამიანი ნივთიერებებით ვაჭრობდნენ[48]. ადამიანი ძნელად თუ ენდობოდა სხვას და „მტერ იყვნენ კაცისა სახლეულნი თვისნი.“[49] ერთმა კაცმა ჩვენთან აღიარა, რომ სახლში რამდენიმე ცხოველი ჰყავდა. მათი ექსკრემენტებისაგან ის იმდენად ოსტატურად ამზადებდა მიქსტურებს, რომ მტრის თავიდან მოცილებას თუ მოინდომებდა, თავისუფლად მოკლავდა მას ისე, როგორც თავად მოისურვებდა: მსხვერპლი მთელი წლის მანძილზე იავადმყოფებდა, თუ მკვლელი არ მოისურვებდა ერთ თვეში მის გასტუმრებას; სიკვდილის დაჩქარების შემთხვევაში კი უბედური მსხვერპლი ერთ დღესაც ვეღარ გასტანდა. ამას გარდა, ქალაქი სავსე იყო მეძავებით. ეს გარყვნილი ქალები უფრო მაღალ ქირას იხდიდნენ საცხოვრებელში, ვიდრე დანარჩენები. ასე, რომ მთელ ქალაქში როგორც ბევრი საერო, ასევე სასულიერო

პირი აქირავებდა თავის საცხოვრებელს მსუბუქი ყოფა-ქცევის ქალებზე. ვინ ჩამოთვლის ყველა მანკიერებას ამ მეორე ბაბილონისა[50], სადაც ქრისტიანები თავიანთ გულმხურვალედ და ცრემლით მავედრებელ სარაცინ მსახურებს უარს ეუბნებოდნენ მონათვლაზე[51].

მათი პატრონები ასე პასუხობდნენ: „ზრახვასა მათსა ნუ შევალნ სული ჩემი“[52], „ეს ადამიანები რომ ქრისტიანები გამხდარიყვნენ, ისე ვეღარ გამოვიყენებდით, როგორც ჩვენ გვსურს“. ასეთ სავალალო, დამთრგუნველ გარემოებებში აღმოვჩნდი. ერთადერთი და განსაკუთრებული შვება ღვთიური წყალობის დახმარებაში ვპოვე, რომელსაც „არა ნებავს სიკუდილი უთნოჲსაჲ, ვითარ მოქცევაჲ მისი გზისაგან მისისა და ცხოვნებაჲ მისი“[53]. და ვინაიდან სულიწმინდის მადლი დაუყოვნებლივ მოეფინა, როგორც კი მათ ნებაყოფლობით და სიამოვნებით დაიწყეს ღვთის სიტყვის მოსმენა, რომელიც „ყოველივეს კურნავს“. იქ, სადაც უხვად იყო უსამართლობა, ახლა მადლი მეფობდა[54]. მოკლე დროში მათ ღვთისკენ ისე იბრუნეს პირი, რომ დღისით თუ ღამით განუწყვეტლივ მოდიოდნენ ჩემთან ცრემლებითა და გოდებით და შემუსვრილი გულით აღიარებდნენ თავიანთ ცოდვებს[55]. თითქმის ყოველ მათგანს გადავსახე პირჯვარი[56] და პირობა დავადებინე, რომ მოამზადებდნენ იარაღს და სხვა აღჭურვილობას წმინდა მიწის გასათავისუფლებლად. იმ ქალებს კი, რომლებიც ჯვარს ატარებდნენ, ვუბრძანე რომ შესაძლებლობის მიხედვით ჯარის საჭიროებისათვის ფული შემოეწირათ: თუმცა, მათი ცოდვების გამო, ზომიერი სასჯელიც დავაკისრე. ზოგიერთმა სარაცინმა, რომელმაც შეიტყო უფლის საქმეთა შესახებ, მოინდომა მონათვლა, ბევრი მათგანი, ამტკიცებდა, რომ სიზმრად გამოეცხადა უფალი იესო ქრისტე, ნეტარი ღვთისმშობელი, ან სხვა წმინდანები, რომლებიც ურჩევდნენ, ზურგი ექციათ მუჰამედის მცდარი რწმენისთვის და მიეღოთ ქრისტეს მადლი. სარაცინებმა გაგვანდეს, რომ ნეტარმა ქალწულმა მარიამმა მათ უთხრა, რომ თუ ქრისტიანობას არ მიიღებდნენ, მალე, ქრისტიანების მოსვლისა და მათი გამარჯვების შემდეგ, დაიღუპებოდნენ.

აკრაში მომხდარი ამბების წყალობით, უფალმა „გააღო ჩემს წინაშე კარი“[57] ჩვენი მიწის დანარჩენი ნაწილისკენ, სადაც ცხოვრობდნენ ქრისტიანები, რომელთაც სურდათ ღვთიური სიტყვის მოსმენა და ჯვრის ნიშნის მიღების შემდეგ, ცოდვების გამოსასყიდად და წმინდა მიწის გადასარჩენად საკუთარი თავისა თუ ქონების უფლისთვის მიძღვნა. ეს ადგილები გახლდათ: ტირი[58], ბეირუთი, ჟიბელე[59], ციხე-სიმაგრე კრაკი[60], ტორტოზა[61], მარგათი[62], კასტელ ბლანი[63], ტრიპოლი[64], ანტიოქია[65], და კუნძული კიპროსი[66], სადაც საარქიეპისკოპოსო იყო სამი ეპარქიით[67]; ასევე იაფა[68] და კესარია[69]. ყველა ეს დიდი და პატარა ქალაქი, რომელიც

უფალმა გადმოგვცა, უკიდურესად საჭიროებდა ღვთის სიტყვის ქადაგებას[70].

ასე რომ, სარაცინებს ძალიან ეშინოდათ პილიგრიმების ჩამოსვლის. სამაგიეროდ, ჩვენ,წმინდა ადგილების დახსნის სიხარულით აღვსილნი,მოუთმენლად ველოდით ერთგული მომლოცველების ჩამოსვლას, რომლებიც წმინდა მიწის დასახმარებლად ეშურებოდნენ[71], რათა უფლის სამკვიდრებელი გათავისუფლებულიყო ურწმუნოთაგან, აღმდგარიყო ღვთის ეკლესია აღმოსავლეთში. სარაცინები, რომლებიც მანამდე სხვების შიშის ქვეშ იმყოფებოდნენ, მშვიდობიანად მოქცეულიყვნენ უფლისკენ, ხოლო ჩვენი ქრისტიანები, რომლებიც აღმოსავლეთში დაჩაგრულნი იყვნენ ურწმუნოთაგან ბოლოს და ბოლოს გათავისუფლებულიყვნენ. მე ვფიქრობ, როგორც ბევრი ადამიანისაგან შევიტყვე, რომ სარაცინებს შორის ბევრი ქრისტიანია,ისინი ყოველდღე ცრემლებით ელიან უფლის შემწეობასა და ჯვაროსანთა დახმარებას. სიმართლე რომ ითქვას, მე ჯერ არ დამიდგამს ფეხი აღთქმულ[72], გულისსათქმელ[73] და წმინდა მიწაზე. არადა, ქალაქ აკრიდან რვა მილზე მეტი არ არის იმ ადგილამდე, სადაც იესო ქრისტე ცხოვრობდა, ჩაისახა და გაიზარდა, სადაც ანგელოზმა გაბრიელმა ნაზარეთამდე აუწყა წმინდა ქალწულს ეს სასიხარულო და განსაკუთრებული ამბავი. აკრიდან დაახლოებით სამ მილზეა მთა კარმელიც[74], სადაც განდეგილის ცხოვრებას ეწეოდა წინასწარემტყველი ილია. მთა, რომლის დანახვაზეც ყოველთვის ღრმა ოხვრა აღმომხდება ხოლმე, როცა ჩემი სახლის ფანჯარას ვაღებ.

სარაცინების შიშით ჯერ კიდევ არ მომინახულებია წმინდა ადგილები: გარკვეულწილად, იმ კაცს ვგავარ, რომელსაც წყალი ნიკაპამდე აქვს, მაგრამ დაწაფება არ შეუძლია. ღვთის დახმარებას ველი, რომელსაც დროულად გამოგვიგზავნის. როგორც ქრისტეს სიყვარული აერთიანებს ჩვენს სულებს, ასევე მსურს ამ წერილით გავაერთიანო ჩვენი სახელები და ყველას ერთად შეგატყობინოთ ჩემი ამბები, რათა თქვენც გაიზიაროთ ჩემი წარმატებებით გამოწვეული სიხარული და მწუხარება – ჩემი წარუმატებლობების გამო. თქვენც მომწერეთ თქვენი მდგომარეობისა და ყველაფერი იმის შესახებ, რაც გარკვეულ შვებას მოუტანს ჩემს სულს. ლაშქრის ჩამოსვლამდე ჩემი ცხოვრება შემდეგნაირად მოვაწყვე: გამთენიის ლიტურგიის შემდეგ შუადღემდე ცოდვილების აღსარებას ვუსმენ, შემდეგ, დიდი გაჭირვებით, ცოტა საკვებს ვღებულობ – წმინდა მიწაზე ჩამოსვლის შემდეგ ჭამისა და სმის ყოველგვარი სურვილი დავკარგე – ნონამდე[75] ან მწუხრის ლოცვამდე ქალაქში ავადმყოფები უნდა მოვინახულო. მერე ვღებულობ ობლებისა და ქვრივების საჩივრებს, ძნელი გამოსათქმელია უსამართლობის როგორი მსხვრპლნი არიან ისინი და რა

ტკივილსა თუ მწუხარებას მაყენებს მათი მიღება. შესაბამისად, საერთოდ აღარ მრჩება კითხვის დრო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ლიტურგიისათვის ან ცისკრის ლოცვისათვის განვმარტოვდები. თუმცა, დასასვენებლად ღამის საათები მაინც დავიტოვე. ზოგჯერ ისეთი დაღლილი ან შეწუხებული ვარ, რომ ვერც ლოცვისათვის და ვერც საკუთარი სისუსტის შესაცნობად დროს ვეღარ ვპოულობ. თქვენ კი, ჩემო კეთილო მეგობრებო, ილოცეთ ჩემთვის, რომ ღმერთმა ჭეშმარიტი მორჩილება და მოთმინება მომანიჭოს, რათა ავიტანო განსაცდელი ჩემი სულის გადასარჩენად და დავეხმარო წმინდა მიწას, ევედრეთ უფალს, ინებოს და გაფანტოს წყვდიადი აღმოსავლეთში[76], დაგვეხმაროს წმინდა მიწის გათავისუფლებაში, ხოლო მე და ყველა ჩემს მეგობარს მართალი ცხოვრება და ბედნიერი აღსასრული გვარგუნოს და მოგვცეს ძალა, ისე გავიაროთ დროებითი სიკეთეები, რომ არ დავკარგოთ მარადიული მადლი.

მას შემდეგ, რაც უფლის შეწევნით აკრის მოსახლეობაში მთელი ზამათრი ღვთის სიტყვას[77] ვავრცელებდი და ამ სრულიად გახრწნილი ქალაქის მაცხოვრებელთა დიდმა ნაწილმა ღვთისაკენ იბრუნა პირი, სხვა ქალაქებშიც შეიტყვეს უფლის საქმეთა შესახებ[78]. აკრის მოსახლეობის მაგალითით შთაგონებული სხვა ქალაქების მცხოვრებნი ხშირად მიგზავნიდნენ შიკრიკებს თხოვნით, რათა მოწყალება მომეღო და ისინიც მომენახულებინა. მივხვდი რა, რომ ჩემს წინ „გაიღო ჭიშკარი“[79], თანაც დიდი მარხვაც იწყებოდა, უფალს მივანდე თავი იმ დიდი სირთულეებისა და ხიფათის მიუხედავად, რომლითაც მოფენილი იყო ჩემი მომავალი გზა. ვინაიდან, სარაცინების მიწა უნდა გამევლო, განსაკუთრებით კი იმ ხალხის მიწა, რომლებსაც „ასასინებს“[80] უწოდებენ. ასე რომ, უამრავი ადამიანის ტირილისა და გოდების მიუხედავად, გზას გავუდექი; ქალაქ ტირში იქაურმა სასულიერო და საერო პირებმა სიხარულითა და სიყვარულით მიმიღეს. მათთან რამდენიმე დღის განმალობაში ვიქადაგე ღვთის სიტყვა. უფლის წყალობით, თესლი ნაყოფიერ მიწაზე[81] დაეცა. თითქმის ყველამ, ვინც აღიარა ცოდვები და მიიღო ჯვრის ნიშანი, საკუთარი თავი თუ ქონება ღმერთს მიუძღვნა. მე ვიხილე ქა, რომელთანაც, გადმოცემის თანახმად, ქრისტემ, ტირსა და სიდონში[82] გავლისას, შეისვენა, და რომელზეც სოლომონი „ქებათა ქებაში“ სიტყვა სიტყვით ამბობს შემდეგს: წყაროი, მტილი და ჯურღმული წყლისა ცხოველისა და მსწრაფლგამომავალისა ლიბანით[83]. ლიბანის მთა შორს არ არის აქედან. მიწის ქვეშ უხვი წყლები მოიკლაკნება ამ ადგილამდე, სადაც უზარმაზარ ქას ქმნის, რომელიც პატარა ტბას წააგავს: ჩემი აზრით, დედამიწის ზურგზე ამის მსგავსი არსად არაფერი არსებობს.

შემდეგ ტირელმა შეიარაღებულმა მამაკაცებმა წამიყვანეს სიდონის[84] სარეპტამდე[85], რომელიც სიდონის[86] მცხოვრებლებს ეკუთვნოდათ, სადაც ღამე გავათენე და უფლის სიტყვა ყველა იქ შემხვედრ ქრისტიანს ვუქადაგე. მათ ავუხსენი, რომ სამაგალითოდ უნდა მოქცეულიყვნენ, ვინაიდან სარაცინთა შორის ცხოვრობდნენ და მათ გამო უფლის სახელი არ შებღალულიყო ურწმუნოთა შორის: ამ სარაცინული ქალაქის მცხოვრებლები ერთ-ერთი ყველაზე გარყვნილი მოსახლეობა იყო სხვა სარაცინელებს შორის და მე მთელი ძალისხმევა გამოვიყენე, რათა ამეხსნა მათთვის მუჰამედის სივერაგე და ის, თუ რა არის ცრუ მის სწავლებაში. ვინაიდან, ზოგიერთი ყოყმანობდა და ვერ გაეკეთებინა არჩევანი სარაცინთა და ქრისტიანთა კანონებს შორის. მიტოვებული ქალაქის განაპირას პატარა, სოფლის სამლოცველო მოვინახულე, სადაც ილია შეხვდა სარეპტელ ქვრივს, რომელიც შეშას აგროვებდა[87].

მე ვაპირებდი იქიდან ბერითში[88] გავმგზავრებულიყავი, ქალაქ სიდონის გავლით, რომელიც სარაცინებს ჰქონდათ დაკავებული. ამიტომ, წინასწარ გავგზავნე იქ მაცნეები, რათა ჩემს შესახვედრად მეომრები გამოსულიყვნენ. მართლაც, მე და ჩემმა მხლებლებმა უამრავი მეომრის თანხლებით გავიარეთ სარაცინების მიწები. სირიელების არქიეპისკოპოსი, რომელიც სიდონში სარაცინებს შორის ცხოვრობდა, ფეხით გამოეშურა შესახვედრად. მე გავიარე ადგილი, სადაც ქანაანელი ქალი ყვირილით დაედევნა უკან უფალს, და მოკრძალებით უთხრა: „ჰე, უფალო, რამეთუ ძაღლნიცა ჭამედ ნაბიჭევისაგან, რომელ გარდამოცკვინ ტაბლისაგან უფალთა მათთაჲსა“[89] ლიბანის მთის ძირას ვნახე ორი წყარო – იორი და დანი[90], საიდანაც სათავეს იღებს მდინარე იორდანე; სწორედ აქედან მოდის მისი სახელწოდებაც ჟორდანუს (იორდანე). ცხელი ზაფხულის დღეებში ლიბანის მთიდან ჩამოაქვთ თოვლი და მას თივის ქვეშ[91] ინახავენ. შემდეგ ძალიან ძვირად ყიდიან თოვლს, რომელსაც ღვინოში ამატებენ. ეს ღვინოს აგრილებს და ანაზებს[92]. მას შემდეგ, რაც ქალაქ ბერითში რამდენიმე დღე დავყავი და ღვთის სიტყვა ვიქადაგე მისი მაცხოვრებლების, ანუ: ქალების, მამაკაცებისა და ბავშვების, ასევე ქალაქის მფლობელისა[93] და იქაური ჯარისკაცების წინაშე, ქალაქ ბიბლოსში[94] გადავედი, რომლის შესახებაც „მეფეთა წიგნში“ ნათქვამია, რომ ამ ქალაქის უხუცესები, ჩვეულებრივ, ლიბანიდან აგზავნიდნენ ხე-ტყეს ღვთის ტაძრის ასაშენებლად. ქალაქის ყველა მაცხოვრებელმა, დიდმაც და პატარამაც, სიხარულით მიმიღო. ღვთის სიტყვის გაგონებაზე ისინი სინანულს მიეცნენ. ეს ქალაქი ძალიან გარყვნილი იყო. მისმა ეპისკოპოსმა, რომელიც უკიდურესად ღარიბი, მაგრამ თავმდაბალი და გულუხვი გახლდათ, ქალაქის მბრძანებელთან[95] და ყველა მაცხოვრებელთან ერთად ჯვრის ნიშანი მიიღო. ტრიპოლისკენ[96] მიმავალმა ვენახი ვიხილე,

საიდანაც წელიწადში ორჯერ იღებენ მოსავალს. ასევე ვნახე წყარო, რომელიც უამრავ ბაღს რწყავს, რის გამოც ქებათა ქებაში ის მოხსენიებულია, როგორც „წყაროჲ მტილი“.[97]როდესაც ტრიპოლის მივუახლოვდი, ქალაქის გრაფი და ანტიოქიის მთავარი[98] უამრავ შეიარაღებულ მამაკაცთან ერთად გამოვიდა ჩემს შესახვედრად. თუმცა, ამ ქალაქშიც მრავლად მყავდა დასამარცხებელი ეფესოს მხეცნი[99]. ვხედავდი რა, რომ ყველა ღმერთისკენ ექცეოდა,იქერთი თვე დავრჩი. ვინაიდან, ამ ქალაქში არაბულად საუბრობდნენ, ქადაგებების კითხვისა და აღსარებების მიღების დროს ხშირად თარჯიმნებს ვიყენებდი.

შემდეგ მივაღწიე ციხე-სიმაგრეს, რომელსაც კრაკს უწოდებენ. ის ესაზღვრებოდა ასასინებად წოდებული ხალხის მიწას; ყველა მხრიდან ჩემკენ მოიჩქაროდნენ კაცები, ქალები და ბავშვები, ჩემ მიმართ დიდ მოწიწებას გამოხატავდნენ. იმის გამო, რომ ურწმუნოთა შიშით წინასწარ მაცნეების გაგზავნა ვერ გავბედეთ, მტრედები გავუშვით, რომლებსაც წერილები გავატანეთ, რათა ქალაქის მცხოვრებლები ჩვენთან მოსულიყვნენ. შემდეგ წავედით ტამპლიერების ციხე-სიმაგრეში, რომელსაც კასტელ ბლანს (Castrum Album) უწოდებენ. მას შემდეგ, რაც იქ რამდენიმე დღის განმალობაში ვიქადაგე, ტაძრის მილიციის ძმებმა[100] შეიარაღებულ რაზმთან ერთად, ქალაქ ანტარადამდე[101] (Antaradus) გამაცილეს, რომელიც ამგვარად იმიტომ იწოდება, რომ კუნძულ არვადის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს. ოდესღაც, ამ კუნძულზე შუშისაგან გაკეთებული კოლონები იყო. აქვე ნახა წმინდა პეტრემ დიდებული ქალი – წმინდა კლიმენტის[102] დედა, რომელიც ამ კუნძულზე მოწყალებას ითხოვდა და დაუბრუნა ვაჟს, რომელსაც დედა მრავალი წლის წინ დაეკარგა. ამავე ქალაქში იყო ერთი პატარა და ძალიან წმინდა სამლოცველო, ის ანტიოქიაში მოგზაურობისას წმინდა პეტრემ ააგო ღვთისმშობლის საპატივცემულოდ. როგორც ამბობენ, ეს ღვთისმშობლის სახელზე აგებული პირველი ეკლესია იყო. ღმერთმა ამ სამლოცველოში იმდენი სასწაული მოავლინა, რომ ახლა არამარტო ქრისტიანები, სარაცინებიც მოდიან მის მოსალოცად[103]. მას შემდეგ, რაც მე ამ ტაძარში ლიტურგია შევასრულე და ხალხს ქადაგებით მივმართე, ორი სარაცინი მოვნათლე. ჩემს საცხოვრებელში დაბრუნებისას, ასასინი, რომელიც მოსაკლავად ხმელეთსა და ზღვაზეც მომყვებოდა, ახალმოქცეულებმა იპოვეს, დაატყვევეს და ციხეში ჩასვეს: ასე დამიფარა უფალმა მკვლელისგან.

იქიდან ქალაქში გავემართე, რომელსაც ყველაზე უფრო გამაგრებული ციტადელი ჰქონდა. ამ ციხე-სიმაგრეს მარგათი ეწოდებოდა. იქ რამდენიმე დღის განმავლობაში ვიქადაგე ღვთის სიტყვა. გადაწყვეტილი მქონდა, ზღვით გავმგზავრებულიყავი ანტიოქიაში, სადაც ქალაქის

მფლობელს, სასულიერო პირებსა და მთელ მოსახლეობას სურდა, რომ ჩავსულიყავი, მაგრამ იერუსალიმის პატრიარქმა[104] წერილი გამომიგზავნა, სადაც მთხოვდა დავბრუნებულიყავი, რადგან ზღვის გადალახვა გველოდა და ჯვაროსნების ჩამოსვლას[105] ველოდებოდით. მაშინ მე ტრიპოლიში დავბრუნდი, რათა იქიდან ზღვით კვიპროსზე გადავსულიყავი. რადგანაც კვიპროსის მეფემ[106] თავისი შიკრიკების ხელით რწმუნების სიგელი გამომიგზავნა, ვუბრძანე გალერის მომზადება. სამწუხაროდ, თხუთმეტი დღე ველოდი ზურგის ქარს. ამასობაში შევიტყვე, რომ შავი მთის, რომელსაც ბერძნულად ნეროს უწოდებენ[107], განდეგილი გაემგზავრა კიპროსზე; მას სხეულზე ჯვარი ჰქონდა ამომწვარი. განდეგილი ირწმუნებოდა, რომ ჯვარი თავად ღვთისმშობელმა დაასვა მკერდზე და კვიპროსზე გაგზავნა. მე აღარ მოვინდომე იქ წასვლა, რადგან ამ განდეგილმა უკვე აღბეჭდა ჯვრის ნიშნით მეფე, სასულიერო ფენა და ხალხი. აი ასე, მრავალი საფრთხის გადალახვის შემდეგ დავბრუნდი ჩვენს ქალაქში.

აკრის მცხოვრებლები დამწუხრებულები იყვნენ ჩემი არყოფნის გამო. ყოველ ჯერზე, როცა კი ჩემი დაბრუნების შესახებ ხმა გავრცელდებოდა, ისინი ქალაქიდან გამოდიოდნენ ჩემს შესახვედრად. ასე რომ, არაერთგზის მოემზადნენ ჩემს დასახვედრად; როცა შეიტყვეს, რომ ჩემი დაბრუნების ამბავი ნამდვილი იყო, მაშინვე ჩემკენ გამოეშურნენ ცოლებთან და ბავშვებთან ერთად. ამჟამად, როცა უკვე აკრაში ვიმყოფები, თვალებზე მწუხარების ცრემლმორეული ხშირად გავცქერი ზღვას ჯვაროსნების ჩამოსვლის მოლოდინით[108]: დარწმუნებული ვარ, აქ რომ ოთხი ათასი მეომარი გვყოლოდა, ღვთის წყალობით, ჩვენთვის წინააღმდეგობის გაწევას ვერავინ შეძლებდა. სარაცინებს შორისაც დიდი უთანხმოებებია. ბევრი მათგანი, ვინც თავის შეცდომას აცნობიერებს, რომ ბედავდეს და ქრისტიანების დახმარების იმედი ჰქონდეს, უფლისკენ მოიქცეოდა. სხვათა შორის, მგონია, რომ სარაცინებს შორის მცხოვრები ქრისტიანები უფრო მეტნი არიან, ვიდრე თავად სარაცინები. არაერთი ქრისტიანი მეფე[109], რომელიც აღმოსავლეთში იოანე პრესვიტერის[110] მიწებამდე ცხოვრობს, ჯვაროსნების ჩამოსვლის ამბავი რომ შეეტყო, მათ დასახმარებლად სარაცინებს შეებრძოლებოდა. სარაცინები ძალიან დაქსაქსულნი არიან უამრავი სექტის არსებობის გამო: ზოგიერთები მუჰამედის კანონს იცავენ, სხვები მას არაფრად აგდებენ და, მუჰამედის სწავლების მიუხედავად, სხვა სარაცინებისგან განსხვავებით, სვამენ ღვინოს, მიირთმევენ ღორის ხორცს, არ ასრულებენ წინადაცვეთის რიტუალს. „მთების უხუცესი[111] „დანის ძმების“ (Frères couteliers) ორდენის წინამძღოლია. ამ ორდენის წევრები არანაირ კანონს არ იცავენ,

გარდა იმ რწმენისა, რომ ხსნის ერთადერთი გზა სრულ მორჩილებაშია იმის მიუხედავად, თუ რის გაკეთებას უბრძანებენ. ამ ხალხს ასასინებს უწოდებენ: ისინი ხოცავენ ყველას, ქრისტიანებსაც და სარაცინებსაც. არსებობენ სხვა სარაცინებიც, ეგრეთ წოდებული ოცცულტე ლეგის (საიდუმლო კანონის)[112] წევრები: კანონს, რომელსაც თავად იცავენ, არავის უმჟღავნებენ, გარდა საკუთარი ვაჟებისა, როდესაც ისინი სიმწიფის ასაკს მიაღწევენ. ცოლებმაც კი არ იციან, რისი სწამთ მათ ქმრებს. ისინი უმალ სიკვდილს ამჯობინებენ, ვიდრე ვინმეს, გარდა საკუთარი ვაჟებისა, თავიანთი კანონის საიდუმლოს გაუმხელენ. არსებობს სხვა ხალხიც, უბადრუკი, რომელსაც არავითარი კანონი არ აქვთ. ისინი ამბობენ, რომ საშინელი სამსჯავროს დღეს, როდესაც ღმერთი შეეკითხება მათ: „რატომ არ იცავდით ებრაელთა წესებს?“ ისინი უპასუხებენ: „ღმერთო,და არც გვიღიარებია ეს წესები“.

– „და ქრისტიანთა კანონს რატომ არ იცავდით?“

– „ოჰ, ღმერთო! ჩვენ არ ვიყავით ვალდებულნი დაგვეცვა ისინი, ვინაიდან ქრისტიანები არ ვიყავით; ზუსტად ასევე არ ვიყავით ვალდებულნი, დაგვეცვა სარაცინების კანონი, ვინაიდან ჩვენ არც სარაცინები არ ვიყავით“.

ამგვარად, მათ სწამთ, რომ სხვებისგან თავიანთი გამორჩეულობით თავს დააღწევენ საშინელ სამსჯავროს. მაგრამ უფალი ამბობს: „რომელი არა არს ჩემ თანა, იგი მტერი ჩემი არს“.[113] მე სხვა ხალხიც ვიპოვე, რომელთა აზრითაც ადამიანის სული სხეულთან ერთად კვდება, ამის გამო ისინი გულისწადილს ემორჩილებიან და თავიანთ ნებაზე ცხოვრობენ პირუტყვების მსგავსად. რადგანაც სარაცინების მიწაზე ქადაგების საშუალება არ მქონდა, ამიტომ ვქადაგებდი, სადაც ამის შესაძლებლობა მეძლეოდა, ქრისტიანებისა და სარაცინების მიწების საზღვრებთან. ამ უკანასკნელთ, სარაცინების ენაზე დაწერილ წერილებსაც ვუგზავნიდი, სადაც ვუხსნიდი თავიანთ შეცდომებსა და ჩვენი სჯულის ჭეშმარიტებას. ბევრი სარაცინი ერთადერთი მიზნით ნათლავდა ვაჟებს სირიელ მღვდლებთან – რათა მათ დიდხანს ეცოცხლათ. მაგრამ მონათლულთა შორისაც, რომელიც ქრისტიანის სახელით ამაყობდა, ბევრი ვნახე ისეთი, ვინც წმინდა დოქტრინის არცოდნის გამო დიდ შეცდომებს უშვებდა ჩვენი რწმენის აღქმაში. ისინი ოთხ ძირითად ჯგუფად იყოფიან. სირიელები, ბერძნების მსგავსად, ამტკიცებენ, რომ სულიწმინდა მხოლოდ მამა ღმერთისაგან გადმოდის; ნესტორიანელები[114] მიიჩნევენ, რომ ქრისტეს ორი სახება აქვს ისევე, როგორც ორი ბუნება და ორი ნება; აქედან გამომდინარე ისინი აცხადებენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქრისტე ღმერთია, მარიამი იყო ქრისტეს დედა, მაგრამ არა ღმერთის მშობელი.

ასე სწამს ყველა იმ ადამიანს, ვინც იოანე პრესვიტერის მიწაზე ცხოვრობს.[115] ამის შესახებ ერთმა ვაჭარმა მაცნობა, რომელიც ახლახანს დაბრუნდა ამ მხარიდან. ისინი სულ ცოტა ხნის წინ იაკობიტები გახდნენ[116]; ეს უკანასკნელები ამტკიცებენ, რომ ქრისტეს მხოლოდ ერთი ბუნება და ერთი ნება აქვს ისევე, როგორც არსება. ისინი არასწორად მიიჩნევენ, რომ ქრისტეს ადამიანური ბუნება მთლიანად შთანთქმულია ღვთიური ბუნებით, მსგავსად წყლის წვეთისა, რომელიც ღვინოში ჩასხმისას მასში ზავდება. და ბოლოს, მარონიტების[117] პატრიარქმა თავის არქიეპისკოპოსებთან და ეპისკოპოსებთან, ასევე მისდამი დაქვემდებარებულ მარონიტების ხალხთან ერთად უარყო თავისი მცდარი შეხედულებები და დაემორჩილა წმინდა რომის კათოლიკურ ეკლესიას. აღმოსავლეთის ქვეყნებში მცხოვრები მრავალი ერეტიკოსი და სარაცინიც კი ადვილად მოექცეოდა უფლისაკენ, კარგად რომ ჩასწვდომოდნენ წმინდა დოქტრინას. გთხოვთ, ილოცოთ ღმერთის წინაშე, რომელსაც „არა-რაი სძაგს, რომელი შეჰქმნა“[118], რათა მან იზრუნოს აღმოსავლეთის სიბნელის გასაფანტად[119]. ამინ.

ილოცეთ ჩემთვის და ჩემი ახლობლებისთვის განსაკუთრებით კი ჩემი ერთგული თანამგზავრი კაპელანისთვის, მხედველობაში მყავს ჟან დე კამბრე[120].

კომენტარები

[1] რ. ბ. ც. იუჟენმა ჟაკ დე ვიტრის წერილების ტექსტები ჩვენამდე მოღწეული 14 ხელნაწერის მიხედვით დაადგინა. მათში იყო ტექსტური განსხვავებები და, ამ შემთხვევაში, ავტორმა სხვადასხვა ტექსტის შედარების საფუძველზე იმ წერილების ვერსიები მოგვცა, რომლებიც, მისი აზრით, ყველაზე უკეთ ასახავს წარმოდგენილ რეალობას. შესაბამისად, წერილების ტექსტებში გვხვდება მონიშვნები ა, ბ, გ... სახით. აღნიშნული მინიშნებები ასახავს სხვადასხვა ხელნაწერში ავტორის მიერ სანდოდ მიჩნეულ ინფორმაციას და ხდება მისი შედარება, მსგავსი მონაცემების შემცველ ხელნაწერში დაცულ ინფორმაციასთან. შესაბამისად, ასეთი სახის მონიშვნები გვხვდება სხვა წერილებშიც. Lettres de Jacques de Vitry, 1998 p.13.

[2] ტექსტის ის ნაწილი, რომელშიც აღნიშნული იყო მეორე წერილის ადრესატი, მეტწილად დაკარგულია. რ. ბ.ც. იუჟენმა, იგი მეტ-ნაკლები სიზუსტით, აღადგინა. Lettres de Jacques de Vitry, 1998, p. 74. გიიომ დე პონ დეზ არში (Guillaume de Pont des Arches) – თეოლოგი, რომელიც 1250 წელს გარ-

დაიცვალა პარიზში. იხ. Glorieux, 1933, p. 279. n. 11. რაულ დე ნამიური (Raoul de Namur) იყო სასტიკი მოწინააღმდეგე ამალრისიელების ერეტიკული სექტისა. იხ. სტატია: „Amaury“ dans le Dictionnaire de théologie catholique I, 30, 938-940, ასევე, D'Averny,M. Th., „Un fragment du procès des Amauriciens“ dans Archives d'Hist. Doctr. Et Litter. Du Moyen Age, XXV-XXVI, 1951, pp. 325-326. (ლათ: Almaricus, Amalricus) ამალრიკუსი (გარდაიცვალა 1207 წ.), XII საუკუნის მიწურულს მოღვაწე ფრანგი თეოლოგი შარტრიდან. თავისი ფილოსოფიური მოძღვრების ჩამოყალიბებისას არისტოტელეს ზოგიერთ ნაშრომს და ერიგუენას მოძღვრებას დაეყრდნო, თუმცა, მისმა ქადაგებამ პანთეისტური სულისკვეთება შეიძინა. 1204 წელს ამალრიკუსის მოძღვრება პაპ ინოკენტი III-ის მიერ მწვალებლობად იქნა შერაცხული. მისი მიმდევრების, ამალრისიელების დოქტრინა კი ოფიციალურად 1215 წლის ლატერანის კრებამ ერესად შერაცხა.

ალექსანდრე კურსონელი (Alexandre de Courson), რომელიც, ჟაკ დე ვიტრის მეოთხე წერილში მოხსენიებულია, როგორც მაგისტერ ეტ ნეპოს, ინგლისელი კარდინალის, რობერტ კურსონელის (1160/70-1219), ძმისწული. იგი 1218 წელს დამიეტასთან გარდაიცვალა. რობერტ კურსონელი კი 1216 წელს იმ კონკლავის წევრი იყო, რომელმაც პაპად ჰონორიუს III აირჩია. იგი საფრანგეთში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ერეტიკოსების წინააღმდეგ გამართულ კამპანიაში. ის ასევე ახლდა ჯვაროსანთა არმიას ეგვიპტეში, როგორც პაპის ლეგატი. რობერტი დაიღუპა დამიეტის ალყის დროს და იქვე იქნა დაკრძალული.

ნუიაონის არქიდიაკვან ფილიპს მეშვიდე წერილშიც ვხვდებით, სადაც იგი პარიზის უნივერსიტეტის კანცლერად არის მოხსენიებული.

[3] ლიუტგარდ ტონგრელი, (ფრ: Ligarde de sancto Trudone) ფლამანდელი წმინდანი 1182-1246 წწ. ტონგრი – ბელგია, ლიმბურგის პროვინცია. 12 წლის ასაკიდან მონასტერში გაამწესეს და მთელი სიცოცხლე მიუძღვნა სასულიერო ცხოვრებას. შემდეგ მოღვაწეობდა აივიერის ცისტერიანელთა მონასტერში. მისი ხსენების დღეა 16 ივნისი.

[4] აივიერი (ფრ: Aywière) – ცისტერციანული მონასტერი ბელგიაში.

[5] ფსალმუნი 83, 8.

[6] რომაელთა 1, 9.

[8] ფსალმუნი110, 1.

[9] შესაძლოა აქ კუნძული მონტე-კრისტო იგულისხმებოდეს. Lettres de Jacques de Vitry, 1998 p. 74.

[10] დაბადება 25,8.

[11] საქმენი 23,9.

[12] დაბადება, 31, 42.

[13] ფსალმუნი 106, 26. Lettres de Jacques de Vitry, 1998, p. 74.

[14] ფსალმუნი. 59, 13.

[15] სცილა და ქარიბდა (ფრ: Charybde et Scylla) ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ზღვის ურჩხულები; ამ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ საუბარია მესინის სრუტეზე, რომელიც სიცილიასა და აპენინის ნახევარკუნძულს შორის მდებარეობს. ითვლებოდა, რომ ეს ურჩხულები აქ ბინადრობდნენ. ჩვენი აზრით, თუ მესინის სრუტეზეა საუბარი, მაშინ კუნძულ კრეტის მოხსენიება სიცილიასთან აშკარად გაუგებარია. შესაძლოა აქ სხვა კუნძულზეც იყოს საუბარი. სცილა, გარდა იმისა, რომ ძველი ბერძნული მითოლოგიური პერსონაჟია, ამავე დროს ქალაქია მესინის სრუტესთან და მდებარეობს კალაბრიის ნახევარკუნძულზე.

[16] მოციქულთა საქმენი 28, 1-6.

[17] პარასკევი, 1216 წლის 4 ნოემბერი.

[18] აკრა, სენ ჟან დ'აკრი, (ლათ: Acconensis; ფრ: Acre) დღევანდელი აკო. ქალაქი ისრაელში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, ისტორიულ დასავლეთ გალილეაში. აკრის მიდამოები იწოდებოდა აკრის ვაკედ, დაბლობად, (ესდრელონის ვაკე), რომლის ჩრდილო მიმართულებით იწყებოდა სირიის მიწები. მას შემდეგ, რაც 1104 წელს ჯვაროსნებმა გენუელების დახმარებით აკრა დაიკავეს, იგი იერუსალიმის სამეფოს მთავარ პორტად გადაიქცა, რომელმაც, ფაქტობრივად, ჩაანაცვლა იაფა. აკრა გახდა სამეფო დომენი, რომელსაც მეფე კასტელანისა და ვიკონტის საშუალებით მართავდა. მოგზაურები პილიგრიმთა და ჯვაროსანთა თავმოყრის პუნქტად თავიანთ ჩანაწერებსა და რუკებზე სწორედ აკრის პორტს მიუთითებდნენ, საიდანაც იწყებოდა პილიგრიმთა გზა წმინდა მიწის სიღრმეში. თავიდან აქ გაბატონებული მდგომარეობა გენუელებმადაიკავეს, რადგან დახმარების სანაცვლოდ იერუსალიმის მეფისგან მათ შეღავათები მიიღეს ვაჭრობაში, მათ გადაეცათ სავაჭრო ქუჩა, საცხოვრებელი კვარტალი თავისი ეკლესიით და სასამართლოთი. აკრის პორტს იმხელა მნიშვნელობა ჰქონდა ლევანტის ვაჭრობისათვის, რომ გენუელებს მალე პიზელები მოჰყვნენ, რომლებმაც 1169 წელს ეგვიპტის ქალაქ ალექსანდრიის ალყაში დახმარებისათვის აკრაში სავაჭრო ადგილები მიიღეს. საერთოდ, აკრა, დროთა განმავლობაში, იერუსალიმის სამეფოს უმნიშვნელოვანეს სამხედრო, სავაჭრო და სტრატეგიულ ცენტრად გადაიქცა. აკრაში და ტირში იყო ზარაფხანა, სადაც ჭრიდნენ „სარაცინულ ბეზანტებს“, არაბული წარწერით მაშინ, როცა იერუსალიმში ჭრიდნენ დინარს. 1187 წელს, იერუსალიმის აღების შემდეგ, სალაჰ ად-დინმა აკრა აიღო, მაგრამ მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის მთავარი საბრძოლო კამპანია სწორედ აკრასთან წარიმართა და რიჩარდ ლომგულისა და ფილიპ ოგიუსტის დახმარებით ჯვაროსნებმა იგი დაიბრუნეს. ამ დროიდან აკრა იერუსალიმის სამეფოს დედაქალაქი გახდა მის დაცემამდე, 1291 წლამდე. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდში აკრაში თავ-

მოყრილი იყო ჯვაროსნული აღმოსავლეთის სამხედრო, სასულიერო და სავაჭრო პოტენციალი. ამ ქალაქში თავიანთი კვარტლები ჰქონდათ, როგორც იტალიური ქალაქების, ისე რაინდული ორდენების, ტამპლიერების, ჰოსპიტალიერებისა და ტევტონების ხელმძღვანელობას. XIII საუკუნის შუა ხანებში მათ შორის დაპირისპირებამ და გავლენისათვის ბრძოლამ გამოიწვია ე.წ. წმ. საბას ომი (აკრაში არსებული წმინდა მამა საბა განწმენდილის მონასტრის დაუფლებისთვის ატეხილი დავა), რამაც სერიოზულად შეარყია მთელი ჯვაროსნული აღმოსავლეთის სამხედრო და პოლიტიკური სისტემა.

ჟაკ დე ვიტრის აზით, აკრა იყო ყველა კრიმინალის თავშესაფარი. ჯვაროსნობის საფარველქვეშ ყველა აქ – ცივილიზაციების გზაჯვარედინზე იყრიდა თავს. პორტში დღე და ღამე მკვლელობები ხდებოდა. ჟაკ დე ვიტრის მკაცრ კრიტიკაში გაერთიანდა ჯვაროსნული და კოლონიალური მსოფლმხედველობა. თუმცა, იგი თვითონვე აღნიშნავს, რომ მისი ქადაგებები წარმატებული იყო.

XIII საუკუნის აკრას საკმაოდ საინტერესო გარეგნული იერსახე ჰქონდა. ქალაქი ლამაზ ყურეში იყო გაშენებული. მისგან აღმოსავლეთით ქვიშიანი მიწა მდებარეობდა, რომელსაც მინის საწარმოებლად იყენებდნენ. იბნ ჯუბაირის თხზულებებიდან და ჟაკ დე ვიტრის „იერუსალიმის ისტორიიდან“ ჩანს, რომ ქალაქის შემოგარენში ბაღები და ვენახები იყო გაშენებული. ბევრი ბაღი უშუალოდ ქალაქს ეკვროდა. ბევრი კი – მიმდებარე სოფლების.

ქალაქი ორი სხვადასხვა გზით უკავშირდებოდა გარესამყაროს. პირველი ნაზარეთსა და ნაბლუსს კვეთდა; მეორე გზა კი, ზღვის გასწვრივ, ცეზარეას მიუყვებოდა.

აკრის გალავანზე ბევრი კოშკი იყო აღმართული. ბაჰა ად-დინის ცნობით ქალაქს ორმაგი კედელი და უზარმაზარი თხრილი ჰქონდა შემოვლებული. არისტოკრატები, უმთავრესად, ამ კედლების სიახლოვეს ცხოვრობდნენ, მაშინ როცა ვაჭრებსა და ხელოსნებს ქალაქის ცენტრალური ნაწილი ეკავათ. ერთი პროფესიის წარმომადგენლები, უმთავრესად, ერთ ქუჩაზე იყვნენ განლაგებული.

ქრისტიანების სახლები გარედან ჯვრით იყო მონიშნული. იბნ ჯუბაირი, რომელიც ქრისტიანების მიმართ ანტიპატიებითაა განწყობილი, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქალაქი ატალახებული იყო და მისთვის ჯვრები და ღორები იყო დამახასიათებელი. იგი აღნიშნავს იმასაც, რომ ქალაქი ნაგვისა და ექსკრემენტების სუნით ყარდა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია აკრის პორტი. იგი ორ ნაწილად იყოფოდა. პირველი მათგანი ადგილობრივ, მეორე კი უცხოურ გემებს ემსახურებოდა. საჭიროების შემთხვევაში სანაპიროს ჯაჭვებით ჩაკეტვაც შეიძლებოდა. წყაროებში ხშირად იხსენიება სანაპიროსთან ტამპლიერების კუთვნილი შენობა, რომელიც სანაპიროს განუმეორებელ ელფერს ანიჭებდა. A History

of the Crusades, 1977, p. 5-6; Grousset, 1991, p. 197-200.

[19] აპოკალიფსურ მხეცს შვიდი თავი აქვს და არა ცხრა. მიუხედავად ამისა, რ. ბ. ც. იუჟენი „IX capita“-ს. სავარაუდოდ, მართებულად მიიჩნევს. Lettres de Jacques de Vitry, 1998, p. 74; გამოცხადება 12, 3.

[20] ხალხის ისეთი მრავალფეროვნება, რომელიც ჯვაროსნულ აღმოსავლეთს ახასიათებდა ევროპელებისთვის სრულიად უცხო იყო. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ჟაკ დე ვიტრი აკრას ცხრათავიან ურჩხულს უწოდებს, რომლის თავებიც ერთმანეთს ებრძვიან.

მუსლიმებთან ერთად, რომლებსაც, როგორც წესი, ჯვაროსნები ერთმანეთისგან მკვეთრად არ განასხვავებდნენ, წმინდა მიწაზე მრავლად ცხოვრობდნენ ქრისტიანული უმცირესობები. ჯვაროსნულ აღმოსავლეთში სოლიდურ ჯგუფების სახით იყვნენ წარმოდგენილი იაკობიტები, სირიელები, სომხები, ბერძნები, მარონიტები. მრავალფეროვნებას აძლიერებდა, ასევე, ევროპის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებული განსხვავებები. აქვე ცხოვრობდნენ ებრაელები და სამარიელები.

ჟაკ დე ვიტრი ნეგატიურად ჩანს განწყობილი იაკობიტებისა და სირიელების მიმართ. თუმცა, განსაკუთრებული სიძულვილით საუბრობს იგი აკრაში მაცხოვრებელ ლათინებზე, როგორც ადგილობრივ ფრანკებზე, ასევე იტალიური ქალაქებიდან ჩამოსულ მოქალაქეებზე. თავის წერილებში იგი საერთოდ ქალაქების მიმართ ზოგადად უარყოფით დამოკიდებულებას იჩენს.

რაც შეეხება ქალაქში მცხოვრებ ქართველებს, სომხებს, ნესტორიანელებს, ვიტრი მათ არ ახსენებს უარყოფით ჭრილში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ასევე აღმოსავლური ქრისტიანობის მრწამსის მიმდევრები იყვნენ. ვინაიდან აკრაში მათ არ ჰყავდათ თავიანთი ეპისკოპოსები, ვიტრი მათ არ მიიჩნევს თავისი მისიის საფრთხედ. მას ვალდებულება ჰქონდა, რომ არა მარტო ჯვაროსნული ომის პროპაგანდაი, არამედ ექადაგა კათოლიკური მრწამსი. იმ მიწებზე, რომლის ეპისკოპოსად იქნა დანიშნული ამ შემთხვევაში, განსაკუთრებულ საფრთხეს იმ რელიგიური თემების არსებობაში ხედავდა, რომლებსაც თავიანთი ეპისკოპოსები, საეკლესიო იერარქია ჰქონდა აკრაში.

მოსახლეობის ასეთი მრავალფეროვნება ჯვაროსნებს პრობლემებს უქმნიდა. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა მიწაზე ჯვაროსნებსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის საკმაოდ მშვიდობიანი დამოკიდებულება სუფევდა. A History of the Crusades, 1985, p. 62-63

[21] იაკობიტების ეკლესია (ფრ: L'Église Jacobites), ძირითადად, სირიაში იყო გავრცელებული. იგი VI საუკუნეში კონსტანტინეპოლელმა მღვდელმა იაკობ ბარადეუსმა დააარსა, რომელიც სირიაში, თავისი მონოფიზიტური მრწამსის გამო, ბიზანტიის ხელისუფლების აგრესიას გამოექცა. მისი (ლათ:

Baradaeus), სახელის ეტიმოლოგია მოდის არაბულიდან, ნიშნავს შემოსილს ღარიბულად, ჩამოძონძილს, ცხოველის ტყავებისაგან. იაკობ ბარადეუსი – VI საუკუნის სირიელი მონოფიზიტი მღვდელი, გამორჩეული თავისი ასკეტური ბუნებითა და ცხოვრების წესით, დაიბადა 490-505 წლებს შორის ტელა-მაუზალატში (ტელა-მაუზალატი – ქალაქი 55 მილზე ედესიდან აღმოსავლეთით. ამ ქალაქს ბერძნები კონსტანტინეს ქალაქს უწოდებდნენ). იყო ედესის ეპისკოპოსი 543 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე. სირიის იაკობიტური ეკლესიის დამაარსებელი.

იაკობიტელთა მრწამსი გავრცელებული იყო აღმოსავლეთის ქვეყნებში. მათი პატრიარქების რეზიდენციები იყო თიქრითსა და მოსულში. ქალკედონის კრების (451 წ.) შემდეგ იმპერატორები დევნიდნენ მონოფიზიტური მრწამსის აღმსარებლებს და მათ შორის მოგვიანებით იაკობიტებსაც, რადგან ბერძნული ორთოდოქსული მრწამსისთვის ისინიც ამ მიმდინარეობას ეკუთვნოდნენ. იაკობიტების სწავლებანი გავრცელებული იყო შუა აზიაშიც და მათი მიმდევრები ინდოეთის საზღვრებამდეც ცხოვრობდნენ.

XII-XIII საუკუნეებში სირიის იაკობიტების ეკლესიას აღმოსავლეთში 20 სამიტროპოლიტო და 100 ეპარქია ჰქონდა. იაკობიტები, როგორც ჩანს, ყველაზე ფართოდ ანტიოქიასა და ედესას შორის, ასევე პალესტინისგან სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზე მოღვაწეობდნენ. მათი ეკლესია აკრაში, ტრიპოლისა და იერუსალიმშიც ფუნქციონირებდა.

შეიძლება ითქვას, რომ ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქაში ფრანკებთან მათი ურთიერთობა მეგობრული იყო. კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლები იაკოიტებს ეჭვის თვალით უყურებდნენ (მაგალითად, სწორედ ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა მათ მიმართ ჟაკ დე ვიტრის), თუმცა, მათ არასოდეს ექცეოდნენ ისე ცუდად, როგორც ეს ბერძნების შემთხვევაში ხდებოდა.

ფრანკებთან მეგობრობამ იაკობიტებს, ძველი, იერუსალიმის მარიამ მაგდალინელის სახელობის, ეკლესიის რესტავრაციის საშუალება მისცა. მათ ახალი მშენებლობებიც წამოიწყეს, მაგალითად, 1156 წელს დააარსეს ეკლესია ანტიოქიაში. ნიშანდობლივია, რომ მის გახსნას იერუსალიმის პატრიარქიც ესწრებოდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ იაკობიტებისა და ფრანკების „მეგობრობა“ ძალიან ზედაპირული იყო. ეს კარგად ჩანს 1234 წლის ანონიმური სირიული ქრონიკიდან, რომლის იაკობიტი ავტორიც მუსლიმებსა და ჯვაროსნებს ჭეშმარიტი რჯულისადმი (ანუ იაკობიტობისადმი) ცუდ დამოკიდებულებაში ადანაშაულებს. კათოლიკე ავტორებიც (მაგალითად, ჟაკ დე ვიტრი), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იაკობიტებს ეჭვის თვალით უყურებდნენ. A History of the Crusades, 1985, p.65 -70.

[22] ჯვაროსნული ლაშქრობების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე

მეტად ებრაელები დაზარალდნენ. ევროპაში მათ მიმართ შეუწყნარებელი დამოკიდებულება სუფევდა, რადგან ისინი იესო ქრისტეს მწამებელ ხალხად იყვნენ გამოცხადებული. აქ მათთვის მშობლიურ მხარედ არცერთი რეგიონი არ ითვლებოდა. ებრაული დასახლებები ყველგან დროებით მოვლენად იყო აღქმული. შესაბამისად, ევროპაში ისინი კომპაქტურად იშვიათად ცხოვრობდნენ. მხოლოდ მსხვილ დასახლებულ პუნქტებში აღწევდა მათი რაოდენობა რამდენიმე ასეულს. ძირითადად კი, მათი რიცხვი რამდენიმე ათეულს არ სცილდებოდა.

ჯვაროსნების აღმოსავლეთში გამოჩენამდე, ისინი აქ თავს საკმაოდ კომფორტულად გრძნობდნენ, თუმცა, პირველივე ჯვაროსნული ლაშქრობა მათთვის ნამდვილ ღვთის რისხვად იქცა. ლაშქრობის ანტისემიტური ბუნება ჯერ კიდევ საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე, 1096 წელს გამოვლინდა, როდესაც ევროპაში ებრაული თემების რბევა მოეწყო.შესაბამისად, ისინი ახალ მტერს ან გაურბოდნენ, ან მათ წინააღმდეგ მუსლიმებთან ერთად იბრძოდნენ, როგორც ეს, მაგალითად, ჰაიფასა და იერუსალიმში მოხდა. გადარჩენილებმა აბასიდებისა და ფატიმიდების კონტროლირებად ტერიტორიას შეაფარეს თავი.

მიუხედავად იმისა, რომ ჯვაროსნების იდეოლოგია პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ არ შეცვლილა, მის შემდგომ პერიოდში ებრაელების მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მათ, თანდათანობით, ჯვაროსნების კონტროლირებად ტერიტორიაზე დასახლების უფლება მიეცათ. ამ მხრივ, გამონაკლისს მხოლოდ იერუსალიმი წარმოადგენდა. ევროპაში ყველა ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობას ებრაული დასახლებების ხელახალი რბევა მოსდევდა. ლევანტში მსგავსი არაფერი ხდებოდა. საქმე ისაა, რომ ჯვაროსნები, თანდათან, წმინდა მიწაზე მცხოვრები ყველა არაფრანკის ერთ კატეგორიაში განხილვას შეეჩვივნენ, რომელთა ყოველდღიურ ცხოვრებასაც ისინი არ აკონტროლებდნენ. მათ მიმართ დამოკიდებულების შეცვლას კომერციული საქმიანობის წარმოების საჭიროებამაც შეუწყო ხელი.

საინტერესოა, რომ ებრაელების თანდათანობითი რეაბილიტაციის პროცესი წყაროებში საკმაოდ მკაფიოდ იკითხება. მაგალითად, გიიომ ტირელი ფრანკებს საყვედურობს, რომ ისინი ქრისტიან მკურნალს ებრაელს ამჯობინებენ; ჟაკ დე ვიტრი კი განრისხებულია, რომ, რომ ჯვაროსნები იუდეველების მიმართ საკმარის სიმკაცრეს არ იჩენენ.

ებრაეული მოსახლება უფრო სოფლებში შენარჩუნდა, მაგალითად, გალილეაში 25-მდე ებრაული სოფელი მდებარეობდა. კიდევ უფრო გაუმჯობესდა ებრაელთა მდგომარეობა 1187 წელს იერუსალიმის დაცემის შემდგომ პერიოდში. კერძოდ, იერუსალიმში დაბრუნდა ებრაული თემები. ტირი და აკრა კი მათი დიასპორების ცენტრებად იქცნენ. აქ წამყვან ელემენტს ესპანელი, ჩრდილოეთ და სამხრეთ საფრანგეთიდან მოსული ებრალები

წარმოადგენდნენ, თუმცა, აღმოსავლეთიდან მოსულებიც მრავლად იყვნენ წარმოდგენილი. ამ ქალაქებში ებრაული თეოლოგიის განვითარებისთვის საჭირო სადისკუსიო გარემო ჩამოყალიბდა. მაგალითად, ფართო განხილვის საგანი იყო მოსე მაიმონიდის ფილოსოფია. ინტელექტუალური ცხოვრება აკრაში 1291 წლამდე, ანუ ქალაქის დაცემამდე გრძელდებოდა, 1291 წელს ალაშრაფ-ალ ხალილის მიერ ქალაქის აღებას დიდი რბევა მოჰყვა, რომლი დასრულების შემდეგაც ქალაქში ქრისტიანული და ებრაული კულტურის განვითარებისთვის პირობები აღარ არსებობდა. A History of the Crusades, 1985, p. 94-101; Гуревич, 1994, ст. 371.

[23] წყაროებიდან ჩანს, რომ ძალიან ცოტა მუსლიმი ცდილობდა ფრანკების ენის შესწავლას. წმინდა მიწაზე მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობას ისიც არ ჰქონდა ბოლომდე გააზრებული, რომ ყველა ჯვაროსანი ერთ ენაზე არ საუბრობდა. ჯვაროსნებთან ისე დაახლოებული პირიც კი როგორიც უსამა იბნ მუნკიზი იყო აღნიშნავს, რომ „ეს ხალხი მხოლოდ „ფრანკულად“ ლაპარაკობს და მას არ ესმის ამ საუბრის მნიშვნელობა“. ენობრივი ფაქტორის ასეთი უგულებელყოფა გასაკვირია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ზოგიერთ არაბ ავტორს საკმაოდ მკაფიო წარმოდგენა აქვს ევროპელთა შორის არსებულ ეთნიკურ განსხვავებებზე. მაგალითად, მათთან ცალკე ეთნიკურ ჯგუფად იხსენიება ინგლისელები (ინკიტარ), ფრანგები (ფარანსის), გერმანელები (ალმან), ვენეციელები (ბანადიკა).

წმინდა მიწაზე ფრანკები უცხო ენების მიმართ გაცილებით მეტ ინტერესს იჩენდნენ. ისინი არც თუ იშვიათად სწავლობდნენ არაბულს. იბნ ჟუბაირი იმასაც კი აღნიშნავს, რომ აკრაში საბაჟოს თანამშრომლებს არაბული წერა-კითხვა შეეძლოთ. უცხო ენებისადმი ფრანკების დაინტერესებას ძალიან პრაქტიკული მიზნები ედო საფუძვლად. კერძოდ, ვაჭრებს კომუნიკაცია სჭირდებოდათ, მთავრებს კი – მტრის შესახებ ინფორმაციის მიღება. აქვე უნდა ითქვას, რომ ევროპულ წყაროებში არ გვხვდება იმაზე მინიშნება, რომ წმინდა მიწაზე მცხოვრები მოსახლეობა სხვადასხვა ენაზე საუბრობს. როგორც ჩანს, ადგილობრივი კულტურის სიღრმისეულად გაცნობის ინტერესი არც ფრანკებს გააჩნდათ.

ადამიანებს, რომლებიც ჯვაროსნულ აღმოსავლეთში ოფიციალურ შეხვედრებზე თარჯიმნებად იყენებდნენ დრაგამონები ეწოდებოდათ. მათ რიცხვსს, ძირითადად, ადგილობრივი ქრისტიანები ავსებდნენ. Хиллдебранд, 2008 ст. 320.

[24] გალატელთა 5, 2.

[25] მათეს სახარება 8, 4.

[26] იაკობიტები უხსნიდნენ ჟაკ დე ვიტრის, რომ ისინი ერთი თითის მოხრით ღმერთის არსისერთარსობას უსვამდნენ ხაზს, თითის სამმაგად მოხრილი ნაწილით (სამი ფალანგით) კი – სამებას განასახიერებდნენ; Lettres de Jacques de Vitry, 1998, p: 75.

[27] მათეს სახარება 26, 39.

[28] სირიელებს ჟაკ დე ვიტრი მიაკუთვნებს იმ ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფს „Suriani“-ის, რომლებიც აღიარებდნენ მელქიტების მოძღვრებას. ზოგადად სირიას – „Surie“, შუა საუკუნეების პერიოდში მოიაზრებდნენ სირია-პალესტინის რეგიონს. იერუსალიმის სამეფოს მოსახლეობას უწოდებდნენ სირიელებს და მათ რიცხვში შედიოდა ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობაც. მელქიტები მრავლად ცხოვრობდნენ სირიაში, პალესტინასა და ეგვიპტეში. ისინი აღიარებდნენ ბერძნულ საღვთო რჯულს, ღვთისმსახურება ჰქონდათ ბერძნული, მაგრამ საუბრობდნენ არაბულად. ჰყავდათ ბერძენი ღვთისმსახურები. იმ დროსათვის მათი არქიეპისკოპოსი იჯდა სიდონში, ხოლო ეპისკოპოსი კი – აკრაში. ჟაკ დე ვიტრი განსაკუთრებით უარყოფით კონტექსტში ახსენებს სირიელებს და სავარაუდოა, რომ მისი ასეთი დამოკიდებულება გამომდინარეობდა მათი ბერძნული აღმსარებლობის წესებიდან. ქართულ წყაროებში „სირიელი“ ნიშნავს „ასურს“, ქრისტიან არამეელს. ხოლო უშუალოდ გეოგრაფიულ ტერმინ სირიას, ასურეთის მნიშვნელობით ხმარობდნენ. წერეთელი კ., „სირიელისა“ და „ასურელის“ აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976. გვ.178-182.

სირიელების სახელის ეტიმოლოგიას ზოგჯერ ასირიელებსაც უკავშირებენ. ისინი ბერძენი მართლმადიდებლები იყვნენ. მისდევდნენ ბერძნულ ლიტურგიას, თუმცა, მათ სალაპარაკო ენას არაბული წარმოადგენდა. საერთო სახელი Suryani – ზოგჯერ, შეცდომით ყველა აღმოსავლელი ქრისტიანის აღსანიშნავადაც კი გამოიყენება. ბერძნებსა და სირიელებს მათი მოწინააღმდეგეები, ზოგჯერ, „ქალკედონიკებსაც“ უწოდებდნენ. A History of the Crusades, 1985, p. 94.

[29] ჟაკ დე ვიტრის წერილები პირველხარისხოვანი წყაროა XII-XIII საუკუნეების ევროპის ყოველდღიური ყოფის შესასწავლად. ამ ტიპის თემები ისტორიკოსების ყურადღების ცენტრში XX საუკუნის შუა ხანებიდან მოექცა. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ცვლილებებს, რომლებიც ისტორიულ მეცნიერებაში ანალების სკოლის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლასთანაა დაკავშირებული. ისტორიკოსების მ. ბლოკის, ფ. არიეს, ჟ. ლეგოფის, ჟ. დუბისა და სხვათა წყალობით დღეს მედიევისტიკაში, პოლიტიკურ ისტორიაზე მეტად, ისეთი სოციალური თემების დამუშავებაზე კეთდება აქცენტი.

ეთნოლოგებისაგან განსხვავებით, რომლებიც ამ ტიპის ინფორმაციას ველზე მოიპოვებენ, ისტორიკოსებს, ამ შემთხვევაში, სხვადასხვა ტიპის წყაროებში სპორადულად გაბნეული ინფორმაციის შეჯერება უწევთ. შუა საუკუნეების ჯვაროსნული აღმოსავლეთის ყოველდღიური ყოფის რეკონ-

სტრუქცია მხოლოდ გარკვეული განზოგადებების ფონზე შეიძლება მოხერხდეს. ამ მხრივ გაფანტული ცნობები შეიძლება ვიპოვოთ, ქრონიკებში, მოგზაურთა ჩანაწერებში, წერილებში. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურულ თხზულებებს.მათი მონაცემების ჩარჩოდ გამოყენებაც კი შეიძლება თუკი მათი დაწერის დრო და ადგილი ზუსტადაა ცნობილი.

ჩვენს შემთხვევაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მუსლიმი ავტორების თხზულებებსაც. მათ არასოდეს უცდიათ ჯვაროსნების საზოგადოების სიღრმისეული შესწავლა. სწორედ ამის გამოვლინება შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ არაბ ავტორებთან პრაქტიკულად არ გვხვდება ცნობები ჯვაროსნული სახელმწიფოების მოწყობის, ან ზოგადად ევროპის შესახებ. მუსლიმური „მსოფლიო ქრონიკები“, როგორც წესი, პოლიტიკური ისტორიის მოვლენებზე (ბრძოლებზე, აღებულ ციხეებზე, ლიდერებზე) იძლევიან ინფორმაციას; თუმცა, ისტორიული თხზულებების დანაკლისს მშვენივრად ავსებს უსამა იბნ მუნკიზის მემუარული ტიპის ნაშრომი „მაგალითებზე სწავლის წიგნი“ და იბნ ჯუბაირის თხზულებები. ამ წიგნებში ავტორები ძალიან ცოცხალ სურათებს გვაწვდიან XII საუკუნის წმინდა მიწაზე მცხოვრები სხვადასხვა ხალხის შესახებ. მათი თხზულებები ქვემოთ მოცემულ სხვადასხვა ტიპის კომენტარებში ფართოდაა გამოყენებული.

ჯვაროსნული აღმოსავლეთის ყოველდღიური ყოფის შესახებ საუკეთესო ნაშრომად შეიძლება ჩაითვალოs A History of the Crusades, 1977. აქ XII-XIII საუკუნეებში წმინდა მიწაზე მცხოვრები ხალხის ყოფა პირველწყაროების საფუძველზეა შესწავლილი. გამოყენებულია როგორც მუსლიმი, ისე ბიზანტიელი და დასავლეთ ევროპელი ისტორიკოსების თხზულებები, რომლებიც მესამე, მეოთხე და მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობას აღწერენ. წინამდებარე ნაშრომში ჯვაროსნული აღმოსავლეთის ყოველდღიური ყოფის შესახებ კომენტარები, ძირითადად, ამ წიგნის საფუძველზეა გაკეთებული.

აქვე უნდა ითქვას, რომ შუა საუკუნეების ადამიანი ჩვენს წინაშე სხვადასხვა ამპლუაში წარმოჩნდება, მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, მაინც არ არის შეუძლებელი, ამ ეპოქის მცხოვრებთა მენტალობაზე განზოგადებული სახით მსჯელობა. ევროპული საზოგადოების წევრები მეტ-ნაკლებად მსგავს ცხოვრების წესს მისდევდნენ. მართალია, ჩვენ საუბარი გვიწევს სხვადასხვა წარმომავლობის ადამიანებზე, ინგლისელებზე, ფლანდრიელებზე, გერმანელებზე, კატალონიელებზე და ა.შ., მაგრამ ყოველდღიურ ყოფაზე საუბრისას შეცდომა არ იქნება მათი ჰომოგენურ ჯგუფად განხილვა. ამ ტრადიციას ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ჩაეყარა საფუძველი. კერძოდ, 1148 წელს დაწერილ თხზულებაში ანა კომნინა წმინდა მიწაზე მცხოვრებ დასავლეთ ევროპელებს ერთიანი სახელით – „ფრანკები“ იხსენიებს და მათ ცხოვრების წესსა და ნაკლოვანებებზე განზოგადებული სახით საუბრობს. Хиллдебранд , 2008 ст. 249-259; A History of the Crusades, 1977, p. 3.

[30] ჟაკ დე ვიტრი აღმოსავლეთის ისტორიაში ასევე წერს, რომ იაკობიტებს, ნესტორიანელებს, მარონიტებს, სირიელებსა და კოპტებს გულის სიღრმეში სძულდათ ლათინები. ვინაიდან ეს უკანასკნელები უკვე არაბულად საუბრობდნენ, ჩვეულებებითაც აღარ განსხვავდებოდნენ არაბებისაგან და ხშირად მათ მხარეს მსტოვრებადაც გამოდიოდნენ. დე ვიტრი კიდევ უფრო უარესად ახასიათებს პირველი კოლონიზატორების შთამოვავლებს – პულანებს. Grousset, 1991, p. 198.

[31] მესამედ და მეოთხედ ქორწინების პრაქტიკა, რომელიც იხსენიება ისტორიაში, მიგვანიშნებს კოპტებისა და სირიელების ტრადიციებზე, რომლებიც ტოლერანტულად უყურებდნენ მესამედ ქორწინებას, ხოლო ეთიოპიელები მეოთხედ ქორწინებასაც კი უშვებდნენ. Lettres de Jacques de Vitry, 1998, p. 75.

ბიზანტიაში ორთოდოქსული ეკლესიის დამოკიდებულება მესამე და მეოთხე ქორწინების მიმართ საკმაოდ შეურიგებელი იყო. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა კონსტანტინეპოლის პატრიარქის დამოკიდებულებაში ბასილი I-ის მემკვიდრისადმი. ლეონ VI, იმისათვის, რომ დინასტიური პრინციპი შეენარჩუნებინა და ტახტის მემკვიდრე დაეტოვებინა, მესამე და მეოთხე ქორწინებასაც არ მოერიდა. როგორც ჩანს, კოპტურ და სირიულ ეკლესიასთან კონსტანტინეპოლის საპატრიარქო დოქტრინალური და პოლიტიკური სადავო საკითხების გარდა, ეთიკურ საკითხებზეც ვერ თანხმდებოდა. ბუნებრივია, მრავალგზის ქორწინებას არც პაპის კურია უყურებდა ტოლერანტულად.

[32] აღმოსავლეთში ჯვაროსნებს ადგილობრივი მცხოვრებლებისგან ჰაბიტუსი და ცხოვრების წესი გამოარჩევდა. წყაროებიდან ჩანს, რომ, ლევანტში, ლათინები, ადგილობრივი მოსახლეობისგან განსხვავებით, ქუდს არ ატარებდნენ და გაპარსულები დადიოდნენ. მუსლიმური წყაროები ფრანკებს ხშირად იხსენიებენ გაპარსულ, ღორებითა და ჯვრებით გარემოცულ ხალხად. მიუხედავად ამისა, მოდური წვერი, ზოგიერთი ჯვაროსნისთვის სავიზიტო ბარათად იქცა.

აქვე უნდა ითქვას, რომ მუსლიმური წყაროები ძალიან მწირ ინფორმაციას გვაწვდის ფრანკების გარეგნული იერსახის შესახებ. თვით აღმოსავლეთისათვის ისეთი უცხო ელემენტიც კი როგორიცაა ქერა თმა წყაროებში, პრაქტიკულად, არ იხსენიება. შედარებით უფრო ხშირად კეთდება აქცენტი ცისფერ თვალებზე. მაგალითად, იმამ ად-დინი ფრანკებს „ცისფერთვალება მტრებს“ უწოდებს. სახალხო ეპოსებში კი საუბარია „მათ კარგად გაპარსულ სახეებზე“.

ფრანკების განმასხვავებელ ნიშნებზე საუბრისას უნდა ვახსენოთ კულტურის სხვადასხვა ელემენტებიც. კერძოდ, წყაროებში იხსენიება „საგზაო ნიშნები“, ნიშნები „ფრანკული წარწერებით“, რომლებიც, ალბათ, ადგილო-

ბრივ მოსახლეობას მომხვდურების ახლოს ყოფნას ახსენებდა. იგივე შეიძლება ითქვას საეკლესიო არქიტექტურის შესახებ. მაგალითად, ტარტუსის კომპლექსი და წმინდა ანას მონასტერი იერუსალიმში ძალიან ძნელად ეწერებოდა აღმოსავლურ არქიტექტურაში.

იგივე ითქმის არასაეკლესიო შენობებზეც. მიუხედავად იმისა, რომ ციხეები და გამაგრებული ადგილები აღმოსავლეთში არც მანამდე იყო იშვიათობა, ჯვაროსნულ ეპოქაში მათი რიცხვი პირდაპირ უჩვეულო გახდა. ციხე-სიმაგრეები უდავოდ ჯვაროსნების უმთავრეს სავიზიტო ბარათს წარმოადგენდა. A History of the Crusades, 1977, p. 22-23; Хилддебранд, 2008, ст. 320

[33] იოანე 6, 69.

[34] ლათ: Georgianos; ფრ: Géorgiens. ქართველები. ჟაკ დე ვიტრი ერთ-ერთი პირველი ავტორია, რომელმაც ქართველების დახასიათებას თავის ნაშრომში „იერუსალიმის (თუ აღმოსავლეთის) ისტორია“ (Historia Hierosolimitana) საგანგებო LXXIX თავი მიუძღვნა. იგი წერს, რომ „აღმოსავლეთში ასევე არის სხვა ქრისტიანი ხალხი, რომლებიც არიან მეომარნი, მამაცნი ბრძოლებში, მტკიცე აგებულების და ძლევამოსილნი თავიანთ ურიცხვ მეომართა გამო. ისინი ძლიერ არიან შეშფოთებულნი სარაცინების მხრიდან და ხშირად თავიანთი თარეშებით დიდ ზიანს აყენებენ სპარსელებს, მიდიელებსა და ასირიელებს, ანუ ვის საზღვართანაც ისინი ცხოვრობენ, ვინაიდან სრულად გარემოცულნი არიან ურწმუნო ხალხებით. ეს ხალხი იწოდება ქართველებად, რადგან ისინი განსაკუთრებულ თაყვანს სცემენ წმინდა გიორგის, რომელსაც პატრონად, ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლებში საკუთარ მედროშედ და ყველა წმინდანზე საპატივცემულოდ მიიჩნევენ. ისინი[ქართველები] კითხულობენ წმინდა წერილს ბერძნულად და საიდუმლოებებსაც ბერძნული წესის შესაბამისად აღასრულებენ.

მათი სამღვდელოება მრგვალ ტონზურას ატარებს, ხოლო საერო პირნი კი ოთხკუთხა ფორმისას. როცა ისინი წმინდა საფლავის მოსალოცად მოდიან, წმინდა ქალაქში გაშლილი დროშებით შემოდიან და ამისთვის ხარკსაც არავის უხდიან; თუკი სარაცინები თავიანთი უგნურებით ბედავენ შეაწუხონ ისინი [ქართველები] უკანა გზაზე, თავიანთ ქვეყანაში დაბრუნებულები, მიუზღავენ სამაგიეროს მეზობლად მცხოვრებ სარაცინებზე თავდასხმით. მათი წარჩინებული ქალები, ისევე როგორც ამაზონები ბრძოლაში რაინდებივით იარაღს ატარებენ. ქართველები ძალიან აღშფოთდნენ და შეაშინეს დამასკოს მმართველი კორადინი ვინაიდან, ამ უკანასკნელმა, მათი ნების საწინააღმდეგოდ, გადაწყვიტა რომ დაენგრია იერუსალიმის კედლები მაშინ, როცა ლათინებს დამიეტა ჰქონდათ ალყით გარშემორტყმული. ისინი ატარებენ იდაყვის სიგრძის თმასა და წვერს და ასევე ატარებენ ქუდებს. Jacques De Vitry's History of Jerusalem, 1896, p. 127.

ჟაკ დე ვიტრის ქართველთა სახელწოდების ეტიმოლოგია დაკავშირებული აქვს წმინდა გიორგის სახელთან. მისი ეს მოსაზრება შემდგომში გაიზიარეს სხვა ლათინმა ავტორებმაც. ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა კიდევ უფრო მეტად გააჩინა ინტერესი საქართველოს მიმართ ევროპელთა წარმოდგენებში. უკვე XII საუკუნის დასაწყისში ლათინურ წყაროებში გვხვდება ცნობები ქართველთა შესახებ, კერძოდ წმინდა საფლავის კანტორის მეფსალმუნის ანსელუსის და ანტიოქიის კანცლერის გოტიეს ცნობებში. აქაც ქართველები გეორგინებად (Georgianorum) იხსენიებიან უპირველეს ყოვლისა ჯვაროსნული მოძრაობის კონტექსტში. მაგრამ აღსანიშნავია, რომ გარდა ქართველთა ჯვაროსნული იდეებისადმი ერთგულებისა, ამ წყაროებში გვხვდება ინფორმაცია ქართველთა ზნე-ჩვეულებების, კონფესიის და მათი საეკლესიო წესების შესახებ. ჟაკ დე ვიტრი, როგორც ჩანს, სარგებლობდა კიდეც, ქართველთა შესახებ ინფორმაციების შეგროვებისას ადრეული პერიოდის ლათინი ავტორების ცნობებით. გიიომ ტირელი აღნიშნავს, რომ იერუსალიმში მდებარეობდა ქართველთა სააბატო. სხვა ხელნაწერებში გვხვდება ინფორმაცია ამ სააბატოს შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ ეს დედათა მონასტერი იყო. გიიომ ტირელის „ისტორიის“ გამგრძელებელი უცნობი ავტორი მიუთითებს, რომ ეს მონასტერი მდებარეობდა იმ ადგილზე, საიდანაც ხარობდა ხე, რომლისგანაც გააკეთეს ძელი, რომელზეც მაცხოვარი ეწამა. როგორც ჩანს, აქ საუბარია ქართველთა ჯვრის მონასტერზე, რომელიც განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ ჰყავდათ ლათინთა მეფეებს და რაინდთა ორდენების ხელმძღვანელობას. გიიომ ტირელის „ისტორიის“ გამგრძელებელი უცნობი ავტორის ცნობებზე დაყრდნობით, უნდა გავიხსენოთ ასევე XII საუკუნეში მცხოვრები, ანსელუსის წერილის ის ფრაგმენტი, სადაც იგი აღნიშნავს, რომ დავით აღმაშენებლის ქვრივმა ჯვაროსნებს წმინდა ჯვრის ნაწილებისგან შეკრული ჯვარი გადასცა და იქ ქართველ დედათა მონასტერში მონაზვნად აღიკვეცა. პალესტინაში არსებული ქართული მონასტრების შესახებ ცნობებს ვხვდებით XII საუკუნის მემატიანის, ფრანცისკანელი ბერის, იოანე ვიურცბურგელის ნაშრომში. ქართველთა შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციები გვხვდება XII საუკუნის მეორე ნახევარში მცხოვრები, უცნობი ავტორის მიერ შედგენილ ტრაქტატში „იერუსალიმის ქვეყნისა და მისი მცხოვრებლების შესახებ“. ეს ტრაქტატი წარმოდგენს წმინდა მიწაზე მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებისა და კონფესიის წარმომადგენელთა აღწერილობის დავთარს, რომელსაც ცნობარის სახე აქვს. ამ ტრაქტატით სარგებლობდნენ შემდგომში XIII-XV საუკუნეების ლათინი ავტორები. სწორედ ამ წყაროდან უნდა სარგებლობდეს ჩვენი ავტორიც. საინტერესოა, რომ აქ ჩამოთვლილ ხალხთა გვერდით ქართველები იხსენიებიან, როგორც გამორჩეულად კარგი მეომარი ხალხი. ავტორი მათ თავიანთი სიმამაცითა და სამხედრო თვისებებით აყენებს ფრანკების, ტამ-

პლიერების, ჰოსპიტალიერების გვერდით. „და არიან კიდევ ქართველები, რომლებიც მხოლოდ წმინდა გიორგის ეთაყვანებიან. ისინი მეტად დახელოვნებული არიან იარაღის ხმარებაში, უშვებენ წვერს და თმას ერთი წყრთის სიგრძეზე. როგორც მღვდლებს, ისე საერო პირებს თავზე აქვს ტონზურა კლერიკალური ტრადიციით. მღვდლებს მრგვალი, ხოლო საერო პირებს ოთხკუთხა. ისინი ღვთისმსახურებაში მთლიანად ემსგავსებიან ბერძნებს, მაგრამ აქვთ თავიანთი დამწერლობა". ქართველთა გარეგნული აღწერილობა აქვს მოცემული XIII საუკუნის გერმანელ პილიგრიმს თიტმარს, რომელმაც წმინდა მიწაზე 1217 წელს იმოგზაურა. იგი,ფაქტობრივად, იმეორებს ცნობებს „იერუსალიმის ქვეყნისა და მცხოვრებლების შესახებ" აღწერილ ტრაქტატში ქართველებზე და აღნიშნავს, რომ მოგზაურობისას ჩაიცვა ქართველი ბერის ტანსაცმელი, წვერი მოუშვა, რადგან ასე თავს უსაფრთხოდ გრძნობდა. XIII საუკუნის მემატიანე, კიოლნის და პადერბორნის სქოლასტი ოლივერუსი თავის თხზულებაში „დამიეტის ისტორია", როდესაც აღწერს აღმოსავლეთის ქრისტიანების საეკლესიო წეს-ჩვეულებებს, მოაქვს ინფორმაციები ქართველთა ღვთისმსახურების ნორმების შესახებ და ბერძნების საეკლესიო წესებისგან მათ განსხვავებებს აღნიშნავს: „ქართველები და ბერძნები საეკლესიო ღვთისმსახურებაში საერთო წესებს იცავენ, თუმცა ქართველებს თავიანთი დამწერლობა აქვთ. მათი წიგნები გულმოდგინედ შევისწავლე თარჯიმნის დახმარებით სიმეონ მესვეტის მთაზე, სადაც მდებარეობს მათი მონასტერი. ჩვენ შევიტყვეთ, რომ სახარებისეული წესი, კანონი და თავებიც მათ იგივე თანამიმდევრობით აქვთ, როგორც ლათინებს. წმინდა პავლეს წერილიც ისევე აქვთ მიღებული, როგორც ჩვენ. იგი იწყება პავლეს მიმართვით რომაელებისადმი." ოლივერუსის ნაშრომს იცნობდა XIII საუკუნის მოღვაწე, ბერი ალბერიხი. იგი თავის ქრონიკაში იხსენიებს ქართველებს წმინდა მიწაზე მყოფ ქრისტიან ხალხთა შორის. იგი აღნიშნავს, რომ „ზღვის გაღმა ქვეყნებში, წმინდა მიწაზე, უფლის საფლავთან ცხოვრობენ ხალხები, რომელთა მღვდლები და სხვა საეკლესიო პირები ასრულებენ ღვთისმსახურების წესებს თავიანთი ჩვეულებების მიხედვით. ამ ხალხებს თავინთი ადგილი უჭირავთ წმინდა მიწაზე არსებული ეპარქიების რაოდენობების და საეკლესიო ღვთისმსახურების მიხედვით. სულ ცხრა ჯგუფია. პირველ ადგილზე ლათინები არიან, მეორეზე – ბერძნები, მესამეზე – სირიელები, რომლებსაც უერთდებიან ნესტორიანელები, მეოთხე – სომხები, რომლებიც ცხოვრობენ მცირე აზიაში, ანტიოქიასთან. მეხუთე ადგილი უჭირავთ ქართველებს და ქრისტიან აფხაზებს, მცხოვრებლებს ვრცელ ქვეყანაში, რომელიც მდებარეობს არმენიის იქით. მათი მღვდლები ატარებენ მრგვალ ტონზურას, ხოლო საერო პირები კი ოთხკუთხას." ამ ცნობიდანაც ჩანს, რომ ქართველებს საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ წმინდა მიწაზე, კერძოდ უფლის საფლავთან და აღსანიშნავია ისიც, რომ თითქმის ყველა ავტორი გამოჰყოფს მათ გარეგნულ სახეს, რაც ალბათ დამახასიათებელი ნიშანი იყო იმ ეპოქის ქართველებისთვის. ჟაკ დე ვიტრი ამ წერილში აღნიშნავს, რომ ქართველებს და სომხებს აკრაში თავინთი ეპისკოპოსები არ ჰყავდათ, მაგრამ სხვა მემატიანეების ცნობებიდან ვიგებთ, რომ ქართველებს წმინდა მიწაზე თავინთი ეპარქიები მრავლად ჰქონდათ და საკმაოდ მრავალრიცხოვანი დიასპორაც ჰყავდათ. აკრაში მათი ეპისკოპოსების მოუხსენიებლობა შეიძლება გამოწვეული იყო იმ ფაქტორით, რომ ეს ქალაქი ახლად აღებული ჰქონდათ ჯვაროსნებს და იერუსალიმის სამეფოს ხელისუფლებაც ჯერ კიდევ იმკვიდრებდა ადგილს. ამიტომაც, სავარაუდოა, რომ აკრაში, ახლად შექმნილ ჯვაროსანთა პოლიტიკურ ცენტრში ქართველებს იმ დროისათვის არ ჰყავდათ თავიანთი სულიერი წინამძღოლი. XIII საუკუნის მეორე ნახევარში მცხოვრები დომინიკანელი ბერი სიონის მთიდან ბურხარდი გადმოგვცემს, რომ ქართველებს, რომლებიც ცხოვრობდნენ წმინდა მიწაზე, ჰყავდათ თავიანთი პატრიარქი და ემორჩილებოდნენ მას. ეს ცნობა კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ წმინდა მიწაზე ქართველებს საკმაოდ მოზრდილი დიასპორა ჰყავდათ. XIII-XV საუკუნეების სხვა ავტორებთანაც გვხვდება საინტერესო ინფორმაცია წმინდა მიწაზე არსებული ქართული სავანეების, იქ მყოფი ქართველების და ასევე საქართველოს გეოგრაფიული აღწერილობის შესახებ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჟაკ დე ვიტრის ცნობებს იყენებდნენ მოგვიანო ხანის მემატიანეები, რაც ეტყობა კიდეც მათ თხზულებებში ქართველთა შესახებ ინფორმაციების გადმოცემისას. გელაშვილი, 1993, გვ. 294-309; თვარაძე, 2004, გვ. 140; ავალიშვილი, 1989, p.19-20; Горелов, 2006, ст. 143-144, 164-167, 180-192; Buridant, 1986, p. 127.

[35] შეიძლება ითქვას, რომ ჯვაროსნები წმინდა მიწაზე სომხებს სირიელებსა და იაკობიტებზე მეტი პატივით ექცეოდნენ. ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა: 1) მათ საერთო მტერი ჰყავდათ ბიზანტიური ეკლესიის სახით; 2) დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა სომხებისათვის კარგი არგუმენტი იყო, რადგან ჯვაროსნებს გამუდმებით ესაჭიროებოდათ მუსლიმების წინააღმდეგ ქრისტიანი მოკავშირეების დახმარება. ალბათ, ეს არის მიზეზი იმისა, რომ სომხების სამხედრო ძალას, ქართველებთან ერთად ევროპული წყაროები ხშირად ასხამენ ხოტბას.

ჯვაროსნულ სახელმწიფოებთან ყველაზე ახლოს მდებარე სომხური თემები, ძირითადად, ანტიოქიასა და ედესას შორის ტერიტორიაზე მდებარეობდა. უფრო სამხრეთით მათი რაოდენობა მცირდებოდა, თუმცა,სომხურ მოსახლეობას, არც თუ მცირე რაოდენობით, აკრასა და იერუსალიმშიც ვხვდებით.

სომხური ტრადიცია გადმოგვცემს, რომ მათ, ბიზანტიის დასუსტების პერიოდში წმინდა მიწაზე 70-ზე მეტი მონასტერი ჰქონდათ.

XII საუკუნის შუა ხანებამდე სომხებსა და ფრანკებს შორის შესანიშნავი ურთიერთობა სუფევდა. ამის საილუსტრაციოდ პატრიარქ გრიგორი III-ის (1133-1166) იერუსალიმში სტუმრობაც გამოდგება. იგი 1142 წელს პომპეზურად მიიღეს; შემდეგ კი მას ლათინურ დოგმებსა და პაპის პრიმატის აღიარება შესთავაზეს. ასე გაიხსნა მოლაპარაკებები, რომლებიც აღმოსავლურ ქრისტიანულ წარმომადგენლებსა და ჯვაროსნებს შორის მთელი ორასი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა.

სომეხი პილიგრიმები ხშირად სტუმრობდნენ იერუსალიმს. ისინი გამუდმებით ცდილობდნენ აქ თავიანთი პლაცდარმის გაძლიერებას. ამ თვალსაზრისით, ევროპულ წყაროებში ფრიად საინტერესო ცნობაა დაცული სომხეთის მეფე ტოროს II - ის შესახებ, რომელმაც ჯვაროსნებს წმინდა მიწაზე 30 000 სომეხი გლეხის ჩასახლება შესთავაზა.თუმცა, ეს „პროექტი“ საბოლოოდ მაინც ვერ განხორციელდა.

ფრანკებთან სიახლოვე სომხურ ეკლესიას ხელს არ უშლიდა საჭიროების შემთხვევაში მუსლიმებთანაც გამოენახა საერთო ენა. ამის შედეგი იყო ის, რომ სალაჰ ად-დინმა 1187 წელს სომხებს იერუსალიმში მანამდე მათ ხელთ არსებული უძრავი ქონება დაუმტკიცა. A History of the Crusades, 1985, p. 76-86.

[36] ჯვაროსნულ აღმოსავლეთში რელიგიური უმცირესობის საერთო მახასიათებელი ავტონომიური რელიგიური თემის სახით ორგანიზება იყო. თემები სოფელთან, ქალაქის კვარტალთან, ან უფრო ფართო ტერიტორიულ ერთეულთან იგივდებოდა.

ზოგიერთი რელიგიური თემი (მაგალითად ებრაელები) უფრო ფართო ორგანიზაციის ნაწილსაც წარმოადგენდა, თუმცა, ყოველდღიურ ცხოვრებაში გაცილებით მეტს ლოკალური ჯგუფის წევრობა ნიშნავდა. თემებს და მათ ლიდერებს საკმაოდ დიდი იურიდიული უფლებები ჰქონდათ, რომლებიც ქორწინებისა და მემკვიდრეობის საკითხებზეც კი ვრცელდებოდა.

საინტერესოა, რომ ზოგჯერ ადგილობრივ თემში შერეულ ხელმძღვანელობასაც ვხვდებით, რაც ქრისტიანული, ებრაული და, შესაძლოა, მუსლიმური თემების ორგანიზების საერთო პრინციპებზე მეტყველებდეს. A History of the Crusades, 1985, p. 101-102.

[37] „წყლით განზავებული ღვინო ქრისტეს წმინდა სისხლს ვერ შეერევა“ .მართალია ჟაკ დე ვიტრის არაფერი უთქვამს ქართველთა წეს-ჩვეულებებზე, მაგრამ წერილში ვხედავთ, რომ ამ ქალაქში აღმოსავლეთის ქრისტიანთა შორის ქართველებსაც გარკვეული ადგილი ჰქონდათ, მიუხედავად იმისა, რომ არ ჰყავდათ საკუთარი ეპისკოპოსი. ჟაკ დე ვიტრის ვერ მოუხერხებია მათი შეკრება სხვა ხალხებთან ერთად, რომ ჩაერთო ისინი თავის ქადაგებაში. წერილის ეს ფრაგმენტი საინტერესოა იმით, რომ XIII საუკუნის დასაწყისში, აკრაში, იერუსალიმის სამეფოს დედაქალაქში

მრავლად ჩანან ქართველები, რადგან ავტორი მათ ქალაქის მაცხოვრებელთა შორის მოიხსენიებს. სავარაუდოა, რომ აქ მათ თავიანთი თემიც ჰქონოდათ. რაც შეეხება წმინდა მიწაზე ქართველთა მოღვაწეობას, როგორც ვიცით, ისინი მრავლად ფლობდნენ ეკლესია-მონასტრებს როგორც წმინდა ქალაქში, ასევე სხვა ადგილებში, ჰყავდათ თავიანთი ეპისკოპოსი და მონასტრის წინამძღვრები. XI საუკუნეში, როცა საქართველოს მეფემ, ბაგრატ IV-მ ბიზანტიის იმპერატორისაგან საჩუქრად გოლგოთაზე თხემის ნახევარი მიიღო, იქ განაწესა ეპისკოპოსი. მაგრამ, მას შემდეგ, რაც მუსლიმებმა ჯვაროსნებს იერუსალიმი წააართვეს და დაისაკუთრეს, უფლის საფლავზე და, ზოგადად, სირია-პალესტინის სხვა მხარეებში ქართველთა აქტივობა შენელდა. ამიტომ, სავარაუდოა, რომ, მას შემდეგ, რაც იერუსალიმის ჯვაროსანი მეფეების დედაქალაქი აკრაში გადავიდა, აქ გაჩენილიყო ქართველთა თემიც. თუმცა, სხვა წყაროებში არსად არ არის ცნობა, რომ ქართველებს ამ ქალაქში საკუთარი ეკლესია ჰქონდათ. ჟაკ დე ვიტრი, სხვაგან, თავის თხზულებაში „აღმოსავლეთის ისტორია“ საუბრობს ქართველთა რელიგიური ადათების შესახებ, რომ ისინი წმინდა გიორგის სცემდნენ თაყვანს, რომელიც მათ ეხმარებოდა წარმართების წინააღმდეგ ბრძოლაში. ასევე აღნიშნავს, რომ მათი ღვთისმსახურების ენა იყო ბერძნული, მაგრამ ჰქონდათ თავიანთი დამწერლობა. მსგავსი ცნობები ქართველების შესახებ მოცემული აქვს ასევე მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის კიდევ ერთ სულიერ წინამძღოლსა და მემატიანეს ოლივერიუსს, პადერბორნის ეპისკოპოსს, რომელიც აღწერს ქართველთა რელიგიურ წესებს და ასევე მათ მზაობას, დახმარებოდნენ დამიეტასთან მყოფ ჯვაროსნებს მუსლიმების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჟაკ დე ვიტრი, სომხების წესის შესახებ წერს, რომ „ზიარებას უსაფუარო პურით ატარებდნენ, მაგრამ ნაკურთხ ღვინოში წყალს არ ამატებდნენ“ და არაფერს წერს ამ შემთხვევაში ქართველთა წესზე. თუმცა, ცნობილია, რომ მას შემდეგ, რაც ჯვაროსნებმა 1204 წელს კონსტანტინეპოლი აიღეს, ბერძნები ათონის მთის ქართველ ბერებს ბრალს დებდნენ პაპისადმი კეთილგანწყობაში და ამხელდნენ, რომ ჟამისწირვაში უმარილო პურის ხმარების წესი შემოიღესო.

[38] აქ საუბარი უნდა იყოს იმ მოქალაქეებზე, რომელთა წინაპრები ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდში აკრაში დასახლდნენ და თანდათან თავიანთი კვარტლები შექმნეს. იმ დროისათვის ამ ქალაქებს დიდ შეღავათებს აძლევდნენ ჯვაროსანთა მეთაურები, რათა მოეზიდათ მათი სახსრები და, ამავე დროს, გაეჩინათ მოკავშირეები ამ ქალაქების სახით, რომლებსაც შეეძლოთ დახმარება გაეწიათ როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით. ისინი იყვნენ ამ ქალაქების ვაჭრები, ხელოსნები, სამხედრო პირები და სხვა მოქალაქენი, რომლებიც ამ ქალაქში სარგებლობდნენ სრული სოციალური, ეკონომიკური, რელიგიური და შეიძლება პოლიტიკური

ავტონომიითაც.

[39] აქ ჩანს ამ თავისუფალი მოქალაქეების დამოკიდებულება რელიგიური დოგმატების მიმართ. საინტერესოა, რომის პაპის კურიის დამოკიდებულება ამ ქალაქებისადმი, რომლებიც მაშინ უკვე თავისუფალ, დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ. ჟაკ დე ვიტრის ამიტომ აქვს ასეთი კრიტიკული დამოკიდებულება ამ ქალაქების მცხოვრებლებისადმი, რომლებსაც აქ, აკრაშიც გადმოჰქონდათ თავიანთი თავისუფალი ცხოვრების წესი. კარგად ჩანს ეკლესიის დამოკიდებულება მოქალაქეების, კერძოდ ვაჭრებისა და ხელოსნების მიმართ, რომლებიც საფრთხეს პაპის მორჩილებაში ხედავდნენ.

[40] ფსალმუნი 50, 19.

[41] ამ შემთხვევაში ჟაკ დე ვიტრი აღმოსავლეთში დაბადებულ ფრანკებს (ლათ. Pullani) გულისხმობს. პულანები (ფრანგულად წვეტიან ცხვირიანი ფეხსაცმელები) ჯვაროსანთა სამეფოების მცხოვრებლებია, რომელთა წინაპრებიც წარმოშობით ევროპიდან იყვნენ. ვიტრი თავის „აღმოსავლეთის ისტორიაში“ აღნიშნავს, რომ მთელი მოსახლეობიდან ისინი ყველაზე უარესნი არიან. მემატიანეები პულანებს უწოდებდნენ ასევე ფრანკებს, რომლებიც აღმოსავლეთში ევროპიდან ჩამოსულებისგან განსხვავებით, ადგილობრივი კულტურის მნიშვნელოვან გავლენას განიცდიდნენ.

ისინი კოლონისტები წარმოადგენდნენ ადგილობრივი ქალაქების ბურჟუაზიას, ვაჭრებს, ხელოსნებს და თვით ამ ქალაქების გარშემო არსებული გარკვეული ფეოდების მფლობელებს. მიუხედავად იმისა, რომ პულანებს, ადგილობრივ ფრანკებს, ქალაქების მაცხოვრებლებს ნაკლებად ეხებოდათ საომარ მოქმედებებში მონაწილეობის ვალდებულება, დრო და დრო ჯვაროსანი ბარონები მოითხოვდნენ, რომ ქალაქებს მიეცათ გარკვეული რაოდენობის მეომრები „სერჟანტები“. ეს მოთხოვნა ნათლად არის გაწერილი XIII საუკუნეში, ბეირუთის სენიორის, იერუსალიმის სამეფოს რეგენტის ჟან იბელინის ბრძანებით შედგენილ დოკუმენტში, სადაც აკრის მოქალაქეებს ევალებოდათ 500 სერჟანტის გამოყვანა მეფის სასარგებლოდ. ამიტომ წყაროებში აღნიშნული პულანების რაზმები, სწორედ ამ ტიპის მაცხოვრებელთა წრიდან იყვნენ ჩამოყალიბებულნი. ჯვაროსნული აღმოსავლეთის ამ ქალაქებში მნიშვნელოვნად გაიზარდა იტალიელთა რიცხვი, გენუელი, ვენეციელი და პიზელი მოქალაქეების ხარჯზე, მაგრამ პულანებს მაინც გამოჰყოფენ მათგან, რადგან ისინი, ძირითადად, საფრანგეთის რეგიონებიდან ჩამოსული კოლონისტები იყვნენ. ჟაკ დე ვიტრიც წერილში ცალკე ახსენებს მათ. პულანები დროთა განმავლობაში შეერწყნენ ადგილობრივ ქრისტიან, ებრაელ და მუსლიმ მოსახლეობას, შექმნეს შერეული ოჯახები, გაითავისეს ადგილობრივი წეს-ჩვეულებები და ფაქტობრივად, თითქმის აღარაფერი აკავშირებდათ თავიანთ ძველ სამშობლოსთან. Ришар, 2002, ст. 140-149. Schöndorfer, 1997, p. 87-88.

მუსლიმური წყაროები, მკაფიოდ განასხვავებენ წმინდა მიწაზე თაობების განმავლობაში დამკვიდრებულ და ახლადჩამოსულ ფრანკებს. უსამა იბნ მუნკიზი აღნიშნავს, რომ: „ფრანკების მიწებიდან ახალმოსულები უფრო მკაცრი ხასიათის არიან, ვიდრე ისინი ვინც მუსლიმებთან დიდი ხანია ურთიერთობენ“. აქვე იგი გვიყვება კურიოზულ ისტორიას იმის შესახებ, თუ როგორ უსაყვედურა მას ერთმა ახალჩამოსულმა ფრანკმა იმის გამო, რომ იგი ლოცვისას „ქრისტიანებისთვის მისაღებ“ მხარეს არ იყო მიბრუნებული. ამ ისტორიაში ყველაზე მეტად საინტერესოა ტამპლიერების მოქმედება, რომლებიც იბნ მუნკიზს დაეხმარენ და მობოდიშებით აუხსნეს, რომ ეს ჯვაროსანი წმინდა მიწაზე ახლადჩამოსულია და იმიტომ იქცევა ასე უცნაურად. ამ ისტორიიდან ჩანს, რომ დასავლელებისგან განსხვავებას თავად ორიენტალიზირებული ფრანკებიც აცნობიერებდნენ.

ფრანკებს შორის არსებული განსხვავებები მხოლოდ უსამასთვის არ იყო შესამჩნევი. ამ განსხვავებებს, ზოგჯერ მუსლიმი პოლიტიკოსებიც იღებდნენ მხედველობაში. მაგალითად, იბნ ალასირის თხზულებიდან ირკვევა, რომ არაბთა მხიდან „ზღვისიქითა“ და „ადგილობრივ“ ფრანკებს შორის არსებული განსხვავების გაცნობიერებამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა მეორე ჯვაროსნული ლაშქრობის ბედი.

პულანების (ანუ აღმოსავლეთში დიდი ხნის წინათ დამკვიდრებული ფრანკების) მიმართ ქრისტიან და არაბ ავტორებს განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ. ჟაკ დე ვიტრი, თავის „აღმოსავლეთის ისტორიაში’ აცხადებს, რომ ორიენტალიზირებული ფრანკები უფრო ნაზები გახდნენ, უფრო აბანოებს ესწრაფვიან ვიდრე ბრძოლებს, აცვიათ მსუბუქი ტანსაცმელი, ცოლები ჰარემში ჰყავთ დატოვებული და მათ ეკლსიაში წელიწადში მხოლოდ ერთხელ უშვებენ. უსამა იბნ მუნკიზი კი აღნიშნავს, რომ „ადგილობრივი“ ფრანკები თავიანთ დასავლელ თანამოძმეებზე აღმატებულები არიან. A History of the Crusades, 1977, p. 21-22; Хиллдебранд, 2008 ст. 323, 346

[42] ჟაკ დე ვიტრი გულისხმობს, რომ პაპის გავლენას აღიარებდნენ და მორჩილებდნენ მხოლოდ პულანები, ანუ ევროპელთა შთამომავლები. სავარაუდოდ, ქრონისტი იმიტომაც გამოხატავს უკმაყოფილებას, რომ აქ პაპის მორჩილებს ძალზე ცოტას ხედავს და ისინიც სათანადოდ არ ასრულებდნენ ღვთიმსახურების წესებს. ჟაკ დე ვიტრი ადგილობრივი ქრისტიანების და ფრანკების მიმართ აღშფოთებას გამოხატავს. ქრისტიანი სირიელები, იაკობიტები და სხვები, როგორც ის აღნიშნავს, მუსლიმებს შორის გაიზარდნენ და მათი წეს-ჩვეულებები შეითვისეს. მისი აზრით, მათ გულის სიღრმეში ლათინების ძულდათ და ხშირად მსტოვრების როლს ასრულებდნენ მათ საწინააღმდეგოდ. Grousset, 1991, p. 198.

[43] მათეს სახარება 23, 13-15.

[44] ეზეკიელი 34, 3.

[45] მათეს სახარება 1, 22.

[46] მათეს სახარება 21,31.

[47] ფსალმუნი 54,6.

[48] აქ აშკარად ჩანს, რომ ჟაკ დე ვიტრი აღმოსავლური მედიცინის შესაძლებლობებს გადაჭარბებულად აფასებს. მისი მსჯელობა აკრაში საწამლავების ეფექტური გამოყენების შესახებ სწორედ ამის ირიბი დასტურია. აღმოსავლური მედიცინის მიმართ იგივე დამოკიდებულება იკითხება სხვა ევროპელი ავტორების, მაგალითად გიიომ ტირელის, თხზულებებშიც. ჯვაროსნები თვლიდნენ, რომ აღმოსავლური მედიცინა დასავლურზე ეფექტური იყო. ისინი არაბ ექიმებს საუკეთესო სპეციალისტებად მიიჩნევდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯვაროსნულ აღმოსავლეთში ებრაელ მკურნალებსაც კარგი სახელი ჰქონდათ.

საინტერესოა, რომ არაბები, ევროპელებისგან განსხვავებით, მაღალი აზრის არ იყვნენ თავიანთი მოწინააღმდეგეების სამედიცინო მიღწევებზე. ამ მხრივ ძალაინ საინტერესო ცნობები უსამა იბნ მუნკიზს მოეპოვება, რომელიც მედიცინაში თავადაც კარგად იყო განსწავლული. უსამა ქრისტიანი ექიმების მიმართ სკეპტიკურადაა განწყობილი. იგი გვიყვება აღმოსავლელ ქრისტიან ექიმზე, რომელმაც დაჭრილი ფრანკი ჯვაროსანი და ჭკუიდან შეშლილი ქალი გასინჯა. ეს ორი ადამიანი ჯერ უსამასთან მოუყვანიათ, რომელსაც მათთავის გარკვეული მკურნალობა დაუნიშნავს. შემდეგ კი მოსულა ქრისტიანი ექიმი, რომელსაც უსამას დაწყებული საქმე გაუგრძელებია. იბნ მუნკიზი ირონიით ყვება, თუ როგორ გახდა ორივე პაციენტი ამ ექიმის არაკომპეტენტურობის მსხვერპლი.

ქრისტიანი ექიმების მიმართ მუსლიმთა დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, სტერეოტიპულია. იგივე უსამა იბნ მინკიზის თხზულებიდან ჩანს, რომ ჯვაროსანი ექიმები ყოველთვის ასე წარუმატებლად არ მოქმედებდნენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავადმყოფების საავადმყოფოებში გადაყვანა ჯვაროსნებმა სავარაუდოდ მუსლიმებისგან ისწავლეს. A History of the Crusades, 1977 p. 26-27; Хиллдебранд, 2008 p. 343-46

[49] მათეს სახარება 10. 36.

[50] გამოცხადება, 18, 9-10.

[51] ამ შემთხვევაში ჟაკ დე ვიტრის წერილიდან იკეთება, რომ წმინდა მიწაზე მუსლიმების ქრისტიანებად მონათვლა სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ეს ფაქტი სხვა წყაროებიდანაც დასტურდება. ისე ჩანს, რომ ქადაგებას წმინდა იოანეს ორდენის წარმომადგენლებიც კი ეწინააღმდეგებოდნენ. როგორც ჩანს, ეს ტენდენცია იმდენად თვალშისაცემი იყო, რომ XIII საუკუნეში მის შესახებ რომის პაპებიც კი გამოთქვამდენენ მოსაზრებას.

კერძოდ, გრიგორი IX, ჰერალდ იერუსალიმელისადმი 1237 წელს მიწერილ წერილში, აღნიშნავს, რომ ტყვედ ჩავარდნილი მუსლიმები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მოინათლონ თუკი ისინი გაქრისტიანების შემდეგაც ბატონყმური უღელის ქვეშ დარჩებიან.

საქმე ისაა, რომ მონათლული მუსლიმები, იერუსალიმის ასიზების მიხედვით, მომენტალურად თავისუფლებად ითვლებოდნენ. ძნელი სათქმელია, რამდენად ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა შეიძლებოდა ყოფილიყო წმინდა მიწაზე რელიგიის გამო ყმის გათავისუფლება, თუმცა, სხვაგვარად ძნელი ასახსნელია, თუ რატომ ეწინააღმდეგებოდნენ ქრისტიანები მუსლიმთა მოქცევის მცდელობებს.

სიტუაციის დარეგულირება სცადა ურბან IV-მ, რომელმაც 1264 ლათინ მოსახლეობას ურჩია, რომ ღარიბი ებრაელები და მუსლიმები ქრისტიანობაზე საჭმელისა და თავშესაფრის შეთავაზებით მოექციათ, თუმცა საეჭვოა, რომ ამ შემოთავაზებას რეალური შედეგები გამოეღო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯვაროსნებს ყველა არაქრისტიანი მაცხოვრებელი ვილანის სტატუსთან ჰყავდათ გათანაბრებული. მათთან შედარებით ფრანკი გლეხებიც კი პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყვნენ მოქცეული. მათ ქალაქის ტერიტორიის დატოვების ნება არ ჰქონდათ, თუმცა ისე ჩანს, რომ ისინი საკუთარი მიწისა და სახლის მფლობელებად მაინც ითვლებოდნენ. ადგილობრივ მოსახლეობას საკმაოდ ბევრი გადასახადიც უნდა ჰქონოდათ დაკისრებული. A History of the Crusades, 1985, p. 112 -113

[52] დაბადება 49, 6.

[53] ეზეკიელი 33,11.

[54] რომაელთა 5, 20.

[55] ამ შემთხვევაში ჟაკ დე ვიტრი აშკარად გადაჭარბებულად აფასებს თავისი ქადაგებების შედეგებს. წმინდა მიწაზე მისიონერულ მოღვაწეობას, მხოლოდ ერთეული ადამიანების შემთხვევაში ჰქონდა გარკვეული შედეგი, ხალხის ფართო მასა კი ქადაგებების მიმართ, როგორც წესი, საკმაოდ ინდეფერენტულად იყო განწყობილი. იყო ქადაგებებისადმი ღიად დაპირისპირების შემთხვევებიც. მიუხედავად იმისა, რომ ჯვაროსნულ ლაშქრობებს ცალსახად იდეოლოგიური სარჩული ჰქონდა, ისინი ვერც ერთ ეტაპზე ვერ იქცნენ მისიონერთა ასპარეზად.

[56] ჯვაროსნები მარცხენა მხარზე წითელ ჯვარს იკერებდნენ. ჟაკ დე ვიტრი ამ ნიშანში ხედავს ვასალური კავშირის სიმბოლოს, რომელიც დამყარდა ღმერთსა და ჯვაროსნებს შორის. იგი, ერთ-ერთ თავის ქადაგებაში ამ ტილოს ჯვარს ხელთათმანს ადარებს, რომელსაც სიუზერენი ვასალისგან ინვესტიტურის შემდეგ იღებს. იხ. Longere J., „Deux sermons de Jacques de Vitry ad paregrinos“, dans L’image du pelerine au Mayen Age et sous l’ancien Regime, congres international de Rocamodour, sept.-oct. 1994. Lettres de Jacques

de Vitry, 1998, p. 76.

[57] I კორინთელთა 16, 9.

[58] ტირი, ტვიროსი, (ფრ: Tyr) დღევანდელი ქალაქი სური ლიბანის სამხრეთით. უძველესი ფინიკიური ქალაქი, დაარსებული უნდა იყოს ძვ.წ. III ათასწლეულში. ჯვაროსნულ ეპოქაში იგი იერუსალიმის სამეფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პორტს წარმოადგენდა. 1124 წლიდან ბოდუენ II-მ ქალაქი ვენეციელების ფლოტის დახმარებით აიღო, რის შემდეგაც იგი უშუალოდ იერუსალიმის ჯვაროსნული სამეფოს დომენის ნაწილი გახდა. 1187 წელს სალაჰ ად-დინმა ალყა შემოარტყა ამ ქალაქს, მაგრამ კონრად მონფერატელის ძალისხმევამ ქალაქი დაცემას გადაარჩინა. არსებობს გადმოცემა, რომ 1190 წელს აქ დაკრძალეს ფრიდრიხ ბარბაროსა. ტირში იყო არქიეპისკოპოსების რეზიდენცია. მას შემდეგ, რაც აკრა იერუსალიმის სამეფოს დედაქალაქი გახდა, მეფეების კორონაცია ტირში ხდებოდა. სწორედ ამ ქალაქიდან იყო ჯვაროსნული ეპოქის ცნობილი მემატიანე გიიომ (ვილჰელმ) ტირელი.

შუა საუკუნეებში ტიროსი გამორჩეული ქალაქი იყო. მას სამი მხრიდან ზღვის სანაპირო ესაზღვრებოდა, რომლებსაც უცხო გემებისგან თავდაცვითი ზღუდეები იცავდა. აქვე კარგად იყო აწყობილი საფეიქრო ინდუსტრიაც, რომელიც თეთრი ფერის ტანსაცმლის ექსპორტზე სპეციალიზდებოდა. ქალაქის ამ მხარესვე ამშვენებდა ვენახები, ბაღები, ტყეები და მარცვლეულის პლანტაციები.

ტიროსში ბევრი სხვადასხვა წარმოშობის ადამიანი ცხოვრობდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ქალაქში ჩამოსულ ჟაკ დე ვიტრის არაბი თარჯიმნის დახმარებით მოუხდა ქადაგება. ქალაქისგან არც თუ მოშორებით მდებარეობდა ასასინების ტერიტორია.

აქაური მიწა საოცრად ნაყოფიერი იყო. ყურძნის მოსავალს ტიროსში წელიწადში ორჯერ იღებდნენ; ბაღები კი თითქმის დამასკოს მისადგომებამდე იყო გადაჭიმული. ირიგაციას წყლის ბორბლებით აწარმოებდნენ. საინტერესოა, რომ ამ ტიპის ბორბალს დღემდე იყენებენ მახლობელ აღმოსავლეთში. წისქვილს ადგილობრივი მოსახლეობა არ იცნობდა. ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს უკანასკნელი აქ გერმანელმა კოლონისტებმა შემოიტანეს, თუმცა, ეს დასკვნა ბოლომდე მართებული არ უნდა იყოს.

ტიროსის აღმოსავლეთით დიდი ველი იყო გადაჭიმული. ამ ველზე, ქალაქისგან დაახლოებით ერთი მილის დაშორებით, იყო ცნობილი შადრევანი, რომელსაც იმდენად მაღალი რვაკუთხედი კოშკი ჰქონდა გარშემორტყმული, რომ ამ უკანასკნელს სათვალთვალო პუნქტადაც იყენებდნენ. A History of the Crusades, 1977, p. 13-14.

[59] ჟიბელე, ბიბლოსი, არაბულად ჯებაილი. (ფრ: Gibelet). ჯვაროსნულ ეპოქაში იგივე გაბალა (ქალაქი ლიბანში ბეირუთსა და ტრიპოლს შორის), რომელიც აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირა სანაპიროზე მდებარეობდა, ერთ-ერთი უძველესი ფინიკიური ქალაქი. 1104 წელს ჯვაროსნების მიერ იქნა აღებული გენუელების დახმარებით და სამართავად გადაეცა რაიმონდ დე სენ-ჟილის ვაჟს ბერტრანს, რომელმაც 1109 წელს ჩამოაყალიბა ტრიპოლის საგრაფო. ამ დროიდან აქ ფეხი მოიკიდა გენუელი ემბრიაჩების ოჯახმა, რომლის წევრები გახდნენ ამ ქალაქის სენიორები. ჯებაილის სენიორია ტრიპოლის საგრაფოს უკიდურეს სამხრეთში მდებარეობდა და იყო გამყოფი სასაზღვრო ხაზი იერუსალიმის სამეფოსა და მასზე დამოკიდებულ ბეირუთის სენიორიას შორის. 1187 წელს აიღო სალაჰ ად-დინმა. სულთანმა ალყაშემოტყმული ციხის გალავანთან მიიყვანა ქალაქის მმართველი უგო III ემბრიაჩი, რომელიც დაატყვევა ჰატინთან ბრძოლაში და დამასკოს ციხეში დაამწყვდია. უგო ემბრიაჩიმ, გათავისუფლების სანაცვლოდ, მოუწოდა თავის გარნიზონს, რომ დაეთმოთ ქალაქი და სენიორის ეს მოთხოვნა მეციხოვნეებმა შეასრულეს. 1197 წელს ემბრიაჩების ოჯახმა ჯებაილი დაიბრუნა. ეს სენიორები კვლავ ჩანან XIII საუკუნეში, როცა აკრაში ვენეციელებსა და გენუელებს შორის ომი მიმდინარეობდა და ჯებაილის სენიორები მხარს უჭერდნენ გენუელებს.

[60] კრაკ დე შევალიე (ფრ: Crac), ციხე-სიმაგრე სირიაში, ალავიტების და ლიბანის მთებს შორის. 1099 წელს იგი დაიკავა რაიმუნდ სენ ჟილმა, მაგრამ დატოვა, რადგან გააგრძელა ლაშქრობა იერუსალიმისკენ. 1110 წელს დაიკავა გალილეის სენიორმა ნორმანდიელმა ტანკრედმა, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ ეს ციხე-სიმაგრე შევიდა ტრიპოლის საგრაფოს მიწებში რომლებსაც ტრიპოლის გრაფების ვასალები ფლობდნენ. კრაკ დე შევალიე 1142 წელს ტრიპოლის გრაფმა რაიმუნდ II-მ ჰოსპიტალიერთა ორდენსგადასცა, რათა მათი დახმარებით გაეკონტროლებინა დამასკოდან ალეპოსკენ და ჩრდილოეთ სირიის სხვა ქალაქებისკენ მიმავალი სავაჭრო-საქარავნო გზები. 1188 წელს მას ალყა შემოარტყა სალაჰ ად-დინმა, მაგრამ ვერ აიღო. კრაკ დე შევალიე ჯვაროსნულ ეპოქაში იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე, რომელსაც ჰოსპიტალიერებმა, დროთა განმავლობაში, ახალი თავდაცვითი ზღუდეები შემოავლეს. ეს მას, ფაქტობრივად, მიუვალს ხდიდა. არაბი ისტორიკოსი იბნ ალასირი კრაკ დე შევალიეს „მუსლიმთა ყელში გაჩხერილ ძვალს“ უწოდებდა.

[61] ტორტოზა, ლათინები მას უწოდებდნენ ასევე Antaradus, ჯვაროსნები – Antartus. ამჟამად ტარტუსი, საპორტო ქალაქი სირიაში ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, კუნძულ არვადის ახლოს. 1099 წელს აიღეს ტულუზის გრაფის, რაიმუნდ სენ ჟილის რაზმებმა, რაიმუნდ პილესა და ტურენის ვიკონტის რაიმუნდის ხელძღვანელობით. ტრიპოლის საგრაფოს ჩამოყალიბების შემდეგ (1109 წ.) ტორტოზა ამ ჯვაროსნული საგრაფოს შემადგენლო-

ბაში შედიოდა სენიორიის ფორმით. ტორტოზა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზღვაო პორტი გახდა ლატაკიასთან და ტრიპოლისთან ერთად. მისი მეშვეობით ჯვაროსნები უკავშირდებოდნენ იტალიურ ქალაქებსა და ევროპის სხვა ქვეყნებს. მას შემდეგ, რაც სირიის გამგებელმა ნურ ად-დინ მაჰმუდ იბნ ზენგიმ ტორტოზა ჯვაროსნებს წაართვა, 1155 წელს იერუსალიმის მეფემ ბოდუენ III-მ დაიბრუნა და იგი ტამპლიერთა ორდენსგადასცა. ტამპლიერებმა აქ ძლიერი ციხე-სიმაგრე ააშენეს.

[62] მარგათი, (ფრ: Margat, არაბ. მარკაბი), ციხე-სიმაგრე სირიაში, ბანიასის სამხრეთით, ზღვის სანაპიროსთან. ეს ციხე უკანასკნელი პუნქტი აღმოჩნდა ვიტრის მოგზაურობის გზაზე. ტერიტორიულად შედიოდა ანტიოქიის სამთავროს საზღვრებში. აკონტროლებდა ლატაკიადან ტორტოზამდე დამაკავშირებელ გზას. თავდაპირველად, ეს ციხე ანტიოქიის მთავრის ვასალს რენო მაზუარს (Renaud Mazoir[1]) გადაეცა, როგორც ფეოდი. სწორედ მან დაიწყო ციხის გამაგრება. მისი მემკვიდრეები XII საუკუნის 90-იან წლებამდე ფლობდნენ მას და შემდეგ ჰოსპიტალიერებსმიჰყიდეს. აქ იყო ორდენის გენერალური კაპიტული (დიდი მაგისტრის რეზიდენცია). კრაკ დე შევალიეს შემდეგ თავისი სიდიდითა და მნიშვნელობით მარგათი მეორე ციხე-სიმაგრე იყო. XIII საუკუნეში აქ იდგა ჯვაროსნების ერთ-ერთი უდიდესი გარნიზონი და მარგათში თავს იყრიდნენ ევროპიდან მომავალი პილიგრიმები და მოგზაურები.

[63] კასტელ ბლანი – „თეთრი ციხესიმაგრე“ (ლათ: Castrum Album), – ამჟამად ქალაქი საფიტა ჩრდილო-დასავლეთ სირიაში. შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრე ტორტოზასა და ტრიპოლის შორის. ციხე-სიმაგრე ააშენეს ტამპლიერებმა და ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა. თეთრი ფერის კოშკის გამო თეთრი ციხე-სიმაგრე უწოდეს. ის აკონტროლებდა კრაკ დე შევალიეს გარშემო არსებულ მიწებს და ტორტოზას პორტს, შედიოდა ტრიპოლის საგრაფოში. ტამპლიერებმა იგი გაამაგრეს. კასტელ ბლანი მდებარეობდა ასასინების მიწებთან ახლოს. 1212 წელს პილიგრიმმა ვილბრანდ ოლდენბურგელმა იმოგზაურა ამ ადგილებში. იგი აღნიშნავს: „ჩვენ ვნახეთ კასტელ ბლანი, ძლიერი და სახელოვანი ციხე, მთებში მდებარე, მთის მოხუცის სამფლობელოების მეზობლად. ეს ციხე დიდ საფრთხეს წარმოადგენდა ასასინებისა და ალეპოს სულთნისათვის. იმისთვის, რომ ტამპლიერებს ამ ციხიდან თავდასხმები არ მოეწყოთ, ისინი რაინდებს წლიურად ორი ათასს მარკას უხდიდნენ“. 1188 წელს, მას შემდეგ, რაც სალაჰ ად-დინმა იერუსალი მიაიღო, ვერ მოახერხა კასტელ ბლანის დაპყრობა.

[64] ტრიპოლი (ფრ: Tripoli); ქალაქი ლიბანში. პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ 1109 წელს ტულუზის გრაფის, რაიმუნდ სენ ჟილის ვაჟმა ბერტრანმა ტრიპოლი დაიკავა. თუმცა, მანამდე რაიმუნდმა ხანგრძლივი საომარი კამპანია აწარმოა, რომ ლევანტის სანაპიროზე შეექმნა თავისი

სამთავრო და ამით საფუძველი ჩაუყარა ახალი საგრაფოს დაარსებას, რომელიც მისმა ვაჟმა ტრიპოლის დაპყრობით დაასრულა. ამ საგრაფოს საზღვრებში შედიოდა საფიტას მიწები. გიიომ ტირელი გადმოგვცემს: „გრაფმა რაიმუნდმა ტორტოზას დაპყრობის შემდეგ გააფართოვა თავისი სამფლობელოები, რათა შეევიწროვებინა ურწმუნონი და უფლის საქმენი განედიდებინა. მან ტრიპოლიდან ორ მილზე, მაღალ მთაზე ააგო უძლიერესი ციხე, რომელსაც დღესაც მონ-პელერინს უწოდებენ. ეს ციხე გახდა გარშემო მიწების დაპყრობის საფუძველი და მასზე მცხოვრებმა თურქებმა აღიარეს გრაფის ბატონობა. თვით ტრიპოლის მოქალაქეებიც ემორჩილებოდნენ მას, რადგან ძალიან ეშინოდათ იერუსალიმის დამპყრობის რისხვისა.“ ტრიპოლის საგრაფო მოიცავდა ჩრდილოეთით ტორტოზას და არკასის მიწებს, ხოლო სამხრეთით – ტრიპოლისთან ერთად, მონ-პელერენს და ჯებაილს. აღმოსავლეთით მისი გრაფების ექსპანსია სწვდებოდა ჰომსის მდიდარ რეგიონს და მდინარე ორონტის დაბლობს. ტულუზელთა დინასტია ტრიპოლის XII საუკუნის 90-იან წლებამდე მართავდა. მისი უკანასკნელი წარმომადგენელი, გალილეის და ტივერიადის თავადი რაიმუნდ III უშვილოდ გარდაიცვალა და საგრაფოს მმართველობა ანტიოქიის მთავრების ხელში გადავიდა, რადგან მისი ნათლულის, რაიმუნდ ანტიოქელის შვილი ბოემუნდ IV უკვე აერთიანებდა ამ ორი სამთავრო-საგრაფო ხელისუფლებას. V ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდისათვის ტრიპოლის საგრაფო ანტიოქიის სამთავროსთან ერთად კონფედერაციულ გაერთიანებას წარმოადგენდა. Виймар, 2008, ст. 157.

[65] ანტიოქია (ფრ: Antioche). ქალაქი მდინარე ორონტის სანაპიროზე, ჩრდილოეთ სირიაში. ამჟამად ანტიოქია. დღ. თურქეთის პროვინცია ხატაიში მდებარეობს. იგი წარმოადგენდა ლევანტის ქვეყნების ერთ-ერთ კარგად გამაგრებულ ციხე-ქალაქს, მრავალრიცხოვანი მოსახლეობით. თვითმხილველთა გადმოცემით, მის გალავანს 400 ბურჯი ამაგრებდა და თავდაცვის ასეთი ციტადელითკონსტანტინეპოლს ადარებდნენ. იგი განსაკუთრებით გაამაგრეს ბიზანტიელებმა 970-1085 წლებში, როცა ფლობდნენ ამ ქალაქს. 1098 წელს, პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დროს აიღეს ქრისტიანებმა ერთ-ერთი მოსყიდული მეციხოვნის ღალატის წყალობით. ანტიოქიაში გამაგრდნენ ნორმანი (სამხრეთ იტალიისა და სიცილიის სამეფოდან), ბარონები, როჟერ გვისკარის ვაჟის, ბოემუნდ ტარანტელის მეთაურობით. განსაკუთრებით განავრცო მისი მიწები ბოემუნდის ნათესავმა და მისმა მემკვიდრემ ტანკრედ ტარანტელმა. ანტიოქიის სამთავრო მოიცავდა კილიკიის დაბლობს, მისი მიწები დაარსების პირველ პერიოდში აღმოსავლეთით ევფრატის ნაპირებს სწვდებოდა, ხოლო დასავლეთით საკმაოდ დიდი სანაპირო ზოლი ეჭირა ხმელთაშუა ზღვაზე. მისი მთავარი პორტები იყო ლატაკია (ძვ. ლაოდეკია) და წმინდა სიმეონის ყურე. ის ესაზღვრებოდა

ედესის საგრაფოს და კილიკიის სამთავროს ჩრდილოეთიდან, სამხრეთით – ტრიპოლის საგრაფოს, ხოლო აღმოსავლეთით – ალეპოს საამიროს. თუმცა, მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც ანტიოქიის მთავარმა მარცხი განიცადა სირიის გამგებელ ნურ ად-დინ მაჰმუდ იბნ ზენგისთან ბრძოლაში, სამთავროს საზღვარმა მდინარე ორონტამდე გადმოიწია. XII საუკუნის ბოლოდან, ანტიოქიის მთავრები აერთიანებდნენ ტრიპოლის საგრაფოს ხელისუფლებასაც და ამ ორი სამთავრო-საგრაფოს მმართველები იყვნენ. ასეთი იყო იმ დროისათვის ანტიოქიისა და ტრიპოლის მმართველი ბოემუნდ IV დე პუატიე, რომელიც მონაწილეობდა V ჯვაროსნულ ლაშქრობაში და მის შესახებ ჟაკ დე ვიტრი გვაწვდის ცნობებს თავის მეორე და მესამე წერილში.

[66] კუნძული კვიპროსი (ფრ: Chypre) 1191 წელს მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს დაიკავა რიჩარდ ლომგულმა, რომელმაც შემდგომში 100 000 ოქროს მონეტად მიჰყიდა ტამპლიერებს. ეს კუნძული 1187 წლიდან, იერუსალიმის დაკარგვის შემდეგ, გახდა ჯვაროსნების სამხედრო ბაზა. მაგრამ 1192 წელს რიჩარდმა კვიპროსი ტამპლიერებისაგან გამოისყიდა და კუნძული იერუსალიმის ყოფილ მეფეს გი დე ლუზიანიანს გადასცა, რომელსაც ინგლისის მეფისთვის 60 000 დუკატი უნდა გადაეხადა, ხოლო ტამპლიერთა მაგისტრისათვის – 40 000. გის სიკვდილის შემდეგ (1194 წ.) კვიპროსში მისი ძმა ამორი გამეფდა, რომელიც 1198 წელს ასევე იერუსალიმის მეფეც გახდა, რადგან დაქორწინდა იერუსალიმის მეფის ამორი I-ის შვილზე იზაბელა ანჟუელზე და იწოდებოდა ამორი II კვიპროსისა და იერუსალიმის მეფედ. ლუზინიანისდინასტია კვიპროსს1498 წლამდე ფლობდა, ვიდრე კუნძული ვენეციელებმა არ დაიკავეს.

[67] მას შემდეგ, რაც ჯვაროსნებმა კვიპროსზე მოვიდნენ, კუნძულზე ძალიან ბევრი ლათინური ეპარქია გაჩნდა, რამაც კათოლიკეთა რიცხვის გაზრდა გამოიწვია. XII საუკუნიდან ჯვაროსანთა მმართველებმა და რომის ეკლესიის წარმომადგენლებმა შექმნეს ლათინური ეპარქიები, რომლებსაც უპირატესობა ჰქონდა იქ არსებულ ბერძნულ ეკლესიასთან შედარებით. ნიქოზიაში იყო ლათინი არქიეპისკოპოსის ტახტი, ხოლო ფამაგუსტაში, ლიმასოლსა და პაფოსში კი – საეპისკოპოსოები. სწორედ ამ სამ ეპარქიას გულისხმობს ჟაკ დე ვიტრი.

[68] იაფა (ფრ: Iaphé). ამჟამად თელ-ავივის სამხრეთი ნაწილი. შუა საუკუნეების საპორტო ქალაქი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, იუდეიის პლატოზე. 1099 წელს აიღეს გენუელებმა, საიდანაც ისინი იერუსალიმის კედლებთან მდგარ პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეებს იარაღითა და სალაშქრო პროვიანტითა მარაგებდნენ. იაფა პირველი საზღვაო პორტი გახდა წმინდა მიწაზე, რომელიც ჯვაროსნებმა დაიკავეს. იერუსალიმის მეფე ბოდუენ I-მა იგი ჰიუგ I დე პიუზეს გადასცა. იერუსალიმის სამეფოში შეიქმნა იაფის საგრაფო. მომდევნო წლებში იერუსალიმის

მეფე ფულკმა იაფა სამეფო დომენად აქცია. მისი მემკვიდრეები ასკალონისა და იაფის გრაფებად იწოდებოდნენ. იაფას უწოდებდნენ იერუსალიმის კარიბჭეს, რადგან პირველ ხანებში იგი იყო ახლად დაარსებული იერუსალიმის ჯვაროსნული სამეფოს ერთადერთი პორტი, სადაც თავს იყრიდნენ ევროპიდან ჩამოსული რაინდები და პილიგრიმები. ეგვიპტელი ფატიმიანები გრძნობდნენ, რომ იაფის დაკარგვით მათ სერიოზული პრობლემები ექმნებოდათ მთელი ლევანტის საზღვაო ვაჭრობაში და ცდას არ აკლებდნენ, რომ დაებრუნებინათ ეს მნიშვნელოვანი პორტი. ამიტომ, მთელი ჯვაროსნული ეპოქის მანძილზე არ შეწყვეტილა ბრძოლა ამ მნიშვნელოვანი ქალაქისათვის. იაფის საგრაფო ვრცელ ტერიტორიებს მოიცავდა, მრავალი სენიორიით, არსუფიდან ღაზამდე, ბლანშგარდიდან ზღვამდე. იაფის საგრაფოში შედიოდა ცნობილი იბელინების ოჯახის სენიორიაც, რომლის წარმომადგენლებიც საგრაფოს კონეტაბლები იყვნენ. იაფა 1187 წელს სალაჰ ად-დინმა დაიკავა, მაგრამ მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს ქრისტიანებმა ის დაიბრუნეს. XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე იაფა ძალზე მოოხრებული იყო მრავალი ბრძოლის შედეგად, თუმცა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროისათვის იგი კვლავ ქრისტიანების ხელში რჩებოდა და მნიშვნელოვან პორტს წარმოადგენდა, საიდანაც იერუსალიმის სამეფოს შიდა რეგიონები მარაგდებოდა.

[69] ცეზარეა (ლათ. Cesarea Palaestina) ხმელთაშუა ზღვის პორტი ისტორიულ იუდეაში, აკრიდან სამხრეთით თორმეტი ლიეს მანძილზე იერუსალიმის მიმართულებით. ამჟამად ისრაელის სახელმწიფოში მდებარე ძველი საპორტო ქალაქის ნანგრევები თელ-ავივსა და ჰაიფას შორის. ძვ. წ. III ათასწლეულში ამ ტერიტორიაზე ფინიკიელებმა პატარა დასახლება დააარსეს. ძვ. წ. I საუკუნეში იუდეიის მეფე ჰეროდემ იგი უმნიშვნელოვანეს საპორტო ქალაქად გადააქცია და იმპერატორ ოქტავიანე ავგუსტუსის პატივსაცემად კესარეა, ცეზარეაუწოდა. 1101 წელს, იერუსალიმის მეფე ბოდუენ I-მა. გენუელების დახმარებით, იგი ეგვიპტელ ფატიმიანებს წაართვა. ქალაქი სამართავად ბურჟის ვიკონტს, არპენს გადაეცა, რომელმაც ცეზარეის საგრაფო შექმნა. ის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფეოდი გახლდათ იერუსალიმის სამეფოში არსებულ სენიორიებს შორის. ცეზარეაში იყო არქიეპისკოპოსის რეზიდენცია, რომელიც იერუსალიმის ლათინთა საპატრიარქოს ემორჩილებოდა. ცეზარეას არქიეპისკოპოსი ვალდებული იყო, რომ 150 მეომარი გაეგზავნა იერუსალიმის მეფისათვის სარკინოზებთან ომის დროს. 1102 წლის შემდეგ, როცა არპენი დაიღუპა, ქალაქს დაეუფლა ბოდუენ I-ის უახლოესი თანამებრძოლის, ბულონელი სენიორის ესტაშ გრანიეს ოჯახი, რომლის მემკვიდრეები მას მუსლიმთა მიერ ქალაქის აღებამდე ფლობდნენ. ამის შემდეგ, ქალაქი რამდენჯერმე გადავიდა მოწინააღმდეგეების ხელში. იერუსალიმის დაკარგვის შემდეგ, მუსლიმებმა ხელთ იგდეს ცეზარეაც,

რომელიც ფაქტობრივად, 1191 წლის ბრძოლების შედეგად განადგურდა. ქალაქი ჟან დე ბრიენმა აღადგინა, მაგრამ ჯვაროსნებმა მაინც ვერ შეინარჩუნეს. იგი 1218 წელს, დამასკოს გამგებელმა ალ-მუ'აზზამმა დაანგრია. თუმცა, VI ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, ფრიდრიხ II-მ ცეზარეაკვლავ დაუბრუნა ქრისტიანებს. შემდგომში, 1251 წელს, დანგრეული ქალაქის აღდგენა საფრანგეთის მეფემ ლუი IX-მ მეშვიდე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს დაიწყო, როცა ის პალესტინაში ეგვიპტელთა ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ დაბრუნდა.

[70] III ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ, ფრანკების ხელში გადავიდა სანაპირო ზოლი ტირიდან იაფამდე, სიდონის, რამლისა და ლიდის მიწები კი ჯვაროსნებმა და აიუბიანებმა გაიყვეს. აკრის აღების შემდეგ (1191 წლის ივლისი) რიჩარდ ლომგულმა და ფილიპ ოგიუსტმა ეს ქალაქი სამართავად გი დე ლუზინიანს გადასცეს. მრავალი ინტრიგის შემდეგ ის ხელში ჩაუვარდა ანრი II შამპანის გრაფს, იერუსალიმის სამეფოს ტახტის პრეტენდენტს. მისი სიკვდილის შემდეგ აკრა კვიპროსის და იერუსალიმის მეფეს ამორი II ლუზინიანს გადაეცა. 1205 წლისათვის, მას შემდეგ, რაც ამორი II გარდაიცვალა, იერუსალიმის სამეფო, რომლის ცენტრი აკრა იყო, წარმოადგენდა ძველი სამეფოს ტერიტორიების ნარჩენებს, რადგან გარდა იერუსალიმისა, ფრანკებმა მრავალი ოლქი დაკარგეს და მუსლიმთა მიწები უკვე ღრმად, სოლივით იყო შემოჭრილი ლათინთა მიწებზე. თვით აკრის მიდამოები დაუცველი გახლდათ და მის დაბლობზე (ესდრელონის დაბლობი, არაბ. marj-akka), კერძოდ, თაბორის მთაზე ალ-ადილმა დიდი ციხე ააგებინა, რომელიც გზას უკეტავდა ცეზარიიდან აკრისაკენ მიმავალ ფრანკებს. აკრის სამეფოს ჩრდილოეთი საზღვარი ბეირუთის სენიორიაზე გადიოდა. სიდონის, შუფის, ბელჰაქამის გარშემო მდებარე მიწები, ბოფორის და ტირონის ციხე-მღვიმეები, მუსლიმთა ხელში იყო. თვითონ სიდონი, რომელიც 1197 წლის საომარი მოქმედებების შედეგად დაინგრა, გაუკაცრიელებული იყო. ის აიუბიანებმა და ფრანკებმა გაიყვეს, როგორც საერთო სამართავი მიწა. საპერტაში ადგილობრივი სენიორის ბალიანის და ეპისკოპოსის რეზიდენცია იყო. ტირის მეზობელი ტორონის ციხე და მისი სენიორია მუსლიმების ხელში იყო. მხოლოდ ვიწრო სანაპირო ზოლი, აკრადან იაფამდე თუ იყო მეტ-ნაკლებად დაცული. ჰაიფას სენიორიიდან მხოლოდ ციხე-ქალაქი იყო ფრანკების ხელში. ცეზარეა, რომელიც 1191 წელს დაინგრა, აღარ წარმოადგენდა საყრდენ პუნქტს და თითქმის მთელი ძველი ცეზარეის საგრაფო მუსლიმთა ხელში იყო. ქალაქ არსუფიდან სამხრეთით ტერიტორიები ფრანკების ხელში გახლდათ. იაფას შედარებით უფრო ვრცელი რეგიონი, რომელზეც პილიგრიმების გზა გადიოდა, ჯვაროსნებსა და აიუბიანებს შორის იყო გაყოფილი. ეს ვითარება კარგად ჩანს ჟაკ დე ვიტრის ამ წერილში, სადაც იგი შეშფოთებას გამოთქვამს სარკინოზების მიწების სიახლოვის გამო, რომ უხიფათოდ ემგზავრა ჯვაროსნთა ქალაქებსა და ციხე-სიმაგრეებს შორის. Ришар, 2002, ст. 203-205.

[71] აქ ჟაკ დე ვიტრი ოდნავ გადაჭარბებულად აფასებს იმ მოლოდინსა და სიხარულს, რომელიც მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობასთან დაკავშირებით წმინდა მიწაზე მცხოვრები ჯვაროსნული სახელმწიფოების (იერუსალიმის სამეფო, კვიპროსის სამეფო, ანტიოქია-ტრიპოლის სამთავრო) მესვეურებს ჰქონდათ. საქმე ისაა, რომ XIII საუკუნის პირველი დეკადა (ანუ მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის წინარე პერიოდი) ნამდვილად არ წარმოადგენს იერუსალიმის სამეფოს ისტორიის ყველაზე მძიმე პერიოდს. შესაბამისად, საეჭვოა, რომ ახალი მძიმე ომის დაწყება ყველა ქრისტიანისთვის ერთნაირად სასურველი ყოფილიყო.

[72] მითითება მეორე სჯულზე 34, 1.

[73] ფსალმუნი 105, 24. იერემია 3,19.

[74] კარმელის მთა, (ფრ: Mont Carmel) მთის მასივი ისრაელის ჩრდილოეთით, რომლის ჩრდ. ფერდობზე ქალაქი ჰაიფა მდებარეობს. არსებობს ორი კარმელის მთა. „ის, რომელზეც ელიას ადგილია ზღვისპირა ზონაში აკრიდან მეოთხედი მილის დაშორებით გიიომ ტირელი, დე ვიტრის მთავარი წყარო, ამ დისტანციას არ იხსენიებს. ისტორიული პალესტინის პლატო. გადმოცემით, ამ მთების ქვაბულებს თავს აფარებდა საულის რისხვისგან დევნილი ისრაელის მეფე დავითი. აქ აფარებდა თავს ასევე ელია წინასწარმეტყველიც და გამოქვაბული, სადაც ის ცხოვრობდა, იუდეველების და ქრისტიანების წმინდა ადგილად ითვლება. ქრისტიანებმა აქ მრავალი მონასტერი დააარსეს. XII საუკუნეში ამ ადგილებში დამკვიდრებულმა ლათინმა ბერებმა კარმელიტების ორდენი დააფუძნეს. შემდგომში, XIII საუკუნეში, მის საფუძველზე შეიქმნა ქალ-მონაზონთა კარმელიტების ორდენიც. მას შემდეგ, რაც იერუსალიმი ქრისტიანებმა დაკარგეს და აკრა სამეფოს მთავარი ქალაქი გახდა, მის სამხრეთ ფერდობებზე გადიოდა „პილიგრიმების გზა“. Historia Orientalis, 2008, p. 14-15; Lettres de Jacques de Vitry, 1998, p. 76.

[75] ნონა (ფრ: None) იგივე მეცხრე საათი ლოცვის დროს, არის ყველა ტრადიციული ქრისტიანული ლიტურგიის ფიქსირებული დრო. ამ დროს იკითხება ფსალმუნები და ეს ხდება დაახლოებით დღის 3 საათისთვის. მისი სახელწოდება მოდის ლათინურიდან და გულისხმობს დღის მეცხრე საათს განთიადიდან.

[76] II მეფეთა22, 29.

[77] მარკოზის სახარება 4,14.

[78] ჩანს თუ არა ჟაკ დე ვიტრის წერილებში, რომ აღმოსავლური და დასავლური ქალაქები ერთმანეთისგან განსხვავებულ ფენომენს წარმოადგენს? თუკი ისტორიოგრაფიაში გავრცელებულ ტენდენციებს გავითვალისწინებთ, ეს შეკითხვა საკმაოდ აქტუალურ ელფერს იძენს. ამ საკითხზე

მსჯელობისათვის ყველაზე მრავლისმეტყველ მასალას ჟაკ და ვიტრის პირველი და მეორე წერილი იძლევა. პირველი წერილის შემთხვევაში ავტორი იტალიაში მოგზაურობს, მეორე წერილში კი – აღმოსავლურ გარემოს აღწერს.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ჟაკ დე ვიტრის წერილებში, პრაქტიკულად, არ იგრძნობა რაიმე სპეციფიური (პოზიტიური ან ნეგატიური) განწყობა და დამოკიდებულება აღმოსავლეთის მიმართ. იგი, მართალია, იყენებს ტერმინებს „აღმოსავლეთი“, „აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნები“, მაგრამ არ ჩანს, რომ რომელიმე მათგანი ავტორისთვის უფრო „პრივილეგირებულია“. ჩვენი მემატიანისათვის სამყარო მართლმორწმუნეებად და ერეტიკოსებად იყოფა; „ერეტიკოსებსა და ურჯულოებს“ კი იგი მსოფლიოს ყველა ნაწილში ხედავს.

მიუხედავად ამისა, ეს წერილები მაინც იძლევა საშუალებას ვიმსჯელოთ იმის შესახებ, რომ ევროპისა და ჯვაროსნული აღმოსავლეთის ქალაქები ერთმანეთისგან ფრიად განსხვავდებოდა. ეს წერილების სტრიქონებს შორის იკითხება (მიუხედავად იმისა, რომ ეს თემა ავტორისთვის სავსებით არააქტუალურია).

წერილების საფუძველზე აღმოსავლური და დასავლური ქალაქების განმასხვავებელი შემდეგი ნიშნები შეიძლება გამოვყოთ:

ა) წერილებში დასავლეთის ქალაქები (აღმოსავლეთთან შედარებით) უფრო ჰომოგენური ჩანს. ჟაკ დე ვიტრი მათზე, როგორც წესი, ერთიანობაში საუბრობს (მათ მცხოვრებლებზე საუბრისას, იგი, ზოგჯერ „ეთნონიმებსაც“ (გენუელები, მილანელები) კი იყენებს). მაგალითად, მეორე წერილში მას მილანის თითქმის ყველა მცხოვრები ერეტიკოსად ჰყავს გამოყვანილი; გენუელებზე საუბრისას კი იგი ქალაქს იმდენად ჰომოგენურად აღიქვამს, რომ მხოლოდ მისთვის (ე.ი. ქალაქისთვის) დამახასაითებელ წეს-ჩვეულებებზეც საუბრობს.

იგრძნობა, ასევე, ავტორის სპეციფიკური განწყობები ქალაქის მოსახლეობის მიმართ. მაგალითად, მილანელებზე საუბრისას იგი წერს:

„ამის შემდგომ ჩავედი ქალაქში, რომელსაც მილანი ეწოდება და რომელიც ერეტიკოსების ბუნაგს წარმოადგენდა; იქ რამდენიმე დღე გავატარე და ვქადაგებდი ღვთის სიტყვას სხვადასხვა ადგილში. ამ ქალაქში ერთი ადამიანი თუ მოიძებნებოდა, რომელიც ერეტიკოსებს წინააღმდეგობას უწევდა, გამონაკლისს რამდენიმე წმინდა მამაკაცი და ღვთისმოშიში ქალები წარმოადგენენ, რომლებსაც ამ მხარეში მცხოვრები სიძულვილით სავსე ადამიანები პატარიებს უწოდებენ“.

რა თქმა უნდა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მთელი მილანი მხოლოდ ერეტიკოსებით ყოფილიყო დასახლებული. აქ, უბრალოდ (ერესების ძიების ფორმით), ჟაკ დე ვიტრის ნეგატიური განწყობა ვლინდება ქალაქის მოსახლეობის მიმართ.

გაცილებით პოზიტიური დამოკიდებულება აქვს მას გენუელების მიმართ (მეორე წერილში პერუჯაც იხსენიება, მაგრამ მასზე დე ვიტრი ყურადღებას არ ამახვილებს). კერძოდ, იგი აცხადებს: „არა მგონია, არსებობდეს სხვა ქალაქი, რომელმაც შეიძლება იამაყოს, რომ ასე დაეხმარა წმინდა მიწას“.

ჟაკ დე ვიტრის ამგვარი (ზოგჯერ პოზიტიური და ზოგჯერ ნეგატიური) განწყობა სხვადასხვა დასავლური ქალაქების მიმართ, ვფიქრობთ, იმის დადასტურებაა, რომ მისთვის ევროპული ქალაქები ძალზე ჰომოგენურ და კარგად დეტერმინირებულ რეალობას წარმოადგენს.

ამ ფონზე საინტერესოა, რომ წერილებში აღმოსავლეთის ქალაქებზე საუბრისას რადიკალურად სხვა შთაბეჭდილება იქმნება. ეს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში აკრის შესახებ ითქმის, რომლის ეპისკოპოსიც ჟაკ დე ვიტრი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ მეორე წერილში ორჯერ იხსენიება მთელი ქალაქი და თითქოს იკვეთება ქალაქის საზღვრებიც (კერძოდ, ერთგან ნახსენებია ქალაქგარეთ გასვლასთან დაკავშირებული სიტუაცია), აშკარაა, რომ დე ვიტრისთვის აკრელები სხვადასხვა იაკობიტების, გეორგინების, პულანების და ა.შ. ფორმით არსებობენ და არა ერთიანი სახით. აკრა, კედლების შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს, რომელშიც უამრავი სხვადასხვა წარმოშობის ხალხია თავმშეყრილი. თანაც ისე, რომ მათ არათუ რაღაც საერთო მმართველობა, არამედ საერთო იდენტობის განცდაც არ აქვთ. ამის გამო, მეორე წერილში, ჟაკ დე ვიტრი აკრას ცხრათავიან მხეცს უწოდებს:„თუმცა, მე მომეჩვენა, რომ ქალაქი აკრა ჰგავს ურჩხულს და ცხრათავიან მხეცს, რომლის თავებიც ერთმანეთს ებრძვიან“.

ბ) ჟაკ დე ვიტრის თხზულებაში ჩანს, რომ ავტორი ტიპოლოგიურად იდენტურ ტერმინებს არ იყენებს დასავლეთისა და აღმოსავლეთის აღწერის დროს. დასავლეთში, გარდა სამეფოებისა და იმპერიისა მისთვის არსებობს მხარეები. მაგალითად როგორიცაა ლომბარდია, აპულია და ა.შ., სადაც ქალაქები (პერუჯა, მილანი და ა.შ.) და სოფლები მდებარეობს. აღმოსავლეთში კი იგი არ იყენებს მხარის (ანუ ლომბარდიისა და ტოსკანის ეკვივალენტურ) აღმნიშვნელ ტერმინს. ამ როლს, აქ, ნაწილობრივ, თავად აკრა თამაშობს;

დ) წერილებში, დასავლეთის რეალობაზე საუბრისას, საგრძნობად ჩანს ოპოზიცია – ქალაქისა სოფელთან მაშინ, როცა აღმოსავლეთში სიტყვა სოფელი საკმაოდ ბუნდოვან კონტექსტში იხმარება. მაგალითად, აკრაში გადმოსახლებულ პიზელთა, ვენეციელთა და გენუელთა შესახებ (რომლებსაც, სავარაუდოდ, ქალაქის კედლებს შიგნით უნდა ეცხოვრათ) საუბრისას, ჟაკ დე ვიტრი ამბობს: „თუმცა, ამან ხელი ვერ შემიშალა, რომ მივსულიყავი მათთან და მიმეტანა ღვთის სიტყვა, ვქადაგებდი რა სოფელში მათი

სახლების წინ“. თითქოს აქ სოფელი ქალაქისგან მკვეთრად არ არის გამიჯნული.

ე) აქვე შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ჟაკ დე ვიტრი ნაკლებად საუბრობს სამეფო ხელისუფლებაზე აღმოსავლეთში, თუმცა, ამ მოვლენის მიზეზი, ალბათ, პაპსა და იმპერატორს შორის არსებულ დაპირისპირებაში უნდა ვეძებოთ და არა აღმოსავლური საზოგადოების სპეციფიკურობაში.

მაშასადამე გამოდის, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჟაკ დე ვიტრისთვის აბსოლუტურად არ არის აქტუალური აღმოსავლეთისა და დასავლეთის ოპოზიცია, მისი თხზულებიდან მაინც ვლინდება დასავლური და აღმოსავლური ქალაქის სპეციფიურობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ დე ვიტრის წერილები ადასტურებს შუა საუკუნეებში აღმოსავლურ და დასავლურ ქალაქს შორის არსებული მკვეთრ განსხვავებებს, რომლების შესწავლასაც ევროპულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხნის ტრადიცია აქვს.

[79] I კორინთელთა 16, 9.

[80] ასასინები – (ლათ. Assasi. ფრ: Assassin) რელიგიური ფანატიკოსების, შიიტი ისლამისტების სექტა, რომელიც XI საუკუნეში სუნიტი სელჩუკი მმართველების წინააღმდეგ ჩამოყალიბდა. XIII საუკუნის ბოლოს ევროპულ ენებში სიტყვა ასასინი დამკვიდრდა მკვლელის მნიშვნელობით. იგი სპარსმა ჰასან იბნ საბაჰმა დააარსა. ასასინების ციხე-სიმაგრე ალამუთი მდებარეობდა ჩრდილოეთ სპარსეთში. 1140 წლიდან ისინი სირიაშიდამკვიდრნენ და ჯვაროსანთაგან ციხე-სიმაგრე მასიაფი (დასავლეთ სირიაში, ჰამასა და ბანიასს შორის, მდინარე ორონტის დაბლობზე) შეიძინეს, რომელიც მათი ორდენის მთავარი რეზიდენციაგახდა. აქ იჯდა მათი წინამძღოლი, რომელსაც ჯვაროსნები „მთის უხუცესს“ უწოდებდნენ. მათი წეს-ჩვეულებების და რელიგიური შეხედულებების შესახებ უძველესი ცნობა 1175 წელს, ბურხარდ სტრასბურგელთან ლათინურ წყაროებში გვხვდება. იგი გადმოგვცემს, რომ ასასინები დამასკოს, ანტიოქიისა და ალეპოს მიწებზე ცხოვროდნენ, ძირითადად მთებში, ცენტრალური სირიის რეგიონებში. ისინი სარკინოზებისგან განსხვავებით ჭამდნენ ღორის ხორცს, სვამდნენ ღვინოს, მისდევდნენ მესაქონლეობას, განურჩევლად ყველა ქალთან ცხოვრობდნენ, მათ შორის, თავის დებთან და დედებთან. ჰყავდათ მეთაური, რომლისაც ყველა მეზობელ მუსლიმ და ქრისტიან მბრძანებელს ეშინოდა. ბურხარდის ეს ცნობები გამეორებული აქვთ თავიანთ ნაშრომებში მოგვიანო ხანის ისტორიკოსებს. მათ შორის ჟაკ დე ვიტრისაც. მათი მიწები ჯვაროსანთა და მუსლიმთა სამფლობელოებს შორის მდებარეობდა. და ჟაკ დე ვიტრი აღნიშნავს კიდეც ასასინების მეზობლობას ჯვაროსანთა ტერიტორიებთან. მათ გიიომ ტირელი სექტად მოიხსენიებს. ასასინთა მეთურს იერუსალიმის მეფე ამორისთან გაუგზავნია ელჩი საიდუმლო მისიით. მისი შეთავაზების თანახმად, თუ ტამპლიერები, რომლებსაც დაკავებული ჰქონდათ მის სამფლობელოებთან ახლომდებარე ციხე-სიმაგრეები, ყოველწლიურად 2 ათასი ოქროს გადახდას იკისრებდნენ, მაშინ ასასინთა მეთაური მათთან შეთანხმებულად იცხოვრებდა. ასევე ჰპირდებოდა მეფეს, რომ თავის ძმებთან ერთად ქრისტიანობას მიიღებდა. მეფემ ელჩი დიდი სიხარულით მიიღო და დაეთანხმა მის შემოთავაზებას. შემდეგ ის პატივით გაისტუმრა, მაგრამ იგი, უკანა გზაზე, ტამპლიერებმა ვერგულად მოკლეს. Горелов, 2006, ст. 245-246; Michaud, 1829, p.158.

[81] მარკოზი 4, 8.

[82] მარკოზი 7, 24 და 31.

[83] ქებათა ქება 4, 15.

[84] აკრა და ტიროსი ყველაზე მეტად მინის პროდუქციის წარმოებით იყო განთქმული. ჩვენამ არ მოუღწევია იმის ზუსტ აღწერილობას თუ როგორ მუშაობდა მინის მანუფაქტურები აკრასა და ტიროსში.

ლევანტის მეორე, არანაკლებ სახელგანთქმული სიმბოლო იყო აბრეშუმი. ჯვაროსანთა ეპოქის წყაროებში აბრეშუმი ხშირად იხსენიება. წყაროები უმთავრეს შემთხვევევში აბრეშუმზე ისე საუბრობენ, რომ მის განსაკუთრებულად მაღალ ხარისხს არც ახსენებენ. არადა აქაური აბრეშუმი ნამდვილად განსაკუთრებული გახლდათ.

აბრეშუმის წარმოების კულტურა ხმელთაშუაზღვისპირეთში VI საუკუნეში, იუსტინიანეს დროიდან დამკვიდრდა. სპარსეთმა და კონსტანტინოპოლმა მისი წარმოების თვალსაზრისით თავიდანვე მოწინავე ადგილები დაიკავეს. ჯვაროსანთა ეპოქაში, ამ მხრივ მდგომაეობა დიდად არ შეცვლილა.

საინტერესოა, რომ აბრეშუმის წარმოება უფრო მეტად ქრისტიანების საქმედ რჩებოდა, გამომდინარე იქიდან, რომ რელიგიური შეზღუდვების გამო ბევრი მუსლიმი მას თავს არიდებდა. როგორც ჩანს, ჯვაროსნები დიდად იყვნენ დაინტერესებული რაც შეიძლება მეტი ამ მხრივ დასპეციალებული მსახური ჰყოლოდათ.

ძირითად სირიულ დიზაინად ფანტასტიური ცხოველები (როგორიცაა მაგალითად გრიფონი, ვასილისკო და ა.შ.), ყვავილები, ვეფხვები, სპილოები, ლომები, არწივები, გარეული იხვები და ანტილოპები მოიაზრებოდა. ტანსაცმელებზე, ზოგჯერ, სასანიდების ეპოქის ნადირობის სცენებიც იყო გამოსახული. A History of the Crusades, , 1977, p. 13-15.

[85] სარეპტა (ფრ: Sarepta) (ქალაქი ლიბანში), ძველი ფინიკიური ქალაქი აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე, სიდონსა და ტირს შორის. XIII საუკუნეში სარეპტაში იყო ბალიანების ოჯახის სენიორიის რეზიდენცია და სიდონის ეპისკოპოსის ტახტი.

[86] სიდონი (ლათ. Sydonis). ამჟამად საიდა ლიბანში. არაბი გეოგრაფები მას დამასკოს საამიროს საომარ პორტს უწოდებდნენ. განსაკუთრებული მნიშვნელობა სიდონმა შეიძინა ჯვაროსნულ ეპოქაში. 1110 წელს სიდონი

იერუსალიმის მეფემ ბოდუენ I-მა, ნორვეგიელთა მეფის სიგურდის ფლოტისა და ვენეციის დოჟის ორდელაფო ფალიეროს დახმარებით აიღო. ბოდუენმა ის თავის ერთგულ ბარონს ესტაშ დე გრენიეს გადასცა, რომლის შთამომავლებიც ფლობდნენ მას 1260 წლამდე. ეს ციხე-ქალაქი გახდა უმთავრესი ადგილი სიდონის (ფრ: Saete/Sagette) სენიორიისა, რომელიც მოიცავდა ბოფორის ციხეს სამხრეთ-დასავლეთიდან და იერუსალიმის სამეფოში მეოთხე დიდი ფეოდი იყო. შემდგომში ამ ქალაქს და მის ციხეს ტამპლიერები დაეუფლნენ, რომლებმაც ეს ადგილი ჟულიენ დე გრენიესაგან შეიძინეს და მას 1291 წლამდე ფლობდნენ.

[87] III მეფეთა 17, 10.

[88] ბერითი (ფრ: Berith) ბეირუთი. მდებარეობს ხმელთაშუაზღვისპირეთის აღმოსავლეთ სანაპიროზე. 1110 წელს აიღო ბოდუენ I-მა გენუელების დახმარებით. ბეირუთი წარმოადგენდა იერუსალიმის სამეფოს უკიდურეს ჩრდილოეთ საზღვარს. ბოდუენმა იგი თავის ვასალს ფულკ დე გინს, გადასცა და შექმნა სენიორია, რომელიც საკმაოდ ვრცელ ტერიტორიებს მოიცავდა. 1126 წელს იერუსალიმის მეფემ ბოდუენ II-მ ბეირუთის მიდამოებში ძლიერი ციხე მონ გლავიენი (Mont Glavien) ააშენა და თავის ვასალს, ბეირუთის სენიორს, გოტიე I ბრიზბარს გადასცა, რომელიც ფულკის შვილი იყო. ეს საგვარეულო ერთ-ერთ გამორჩეულ ბარონების ოჯახს წარმოადგენდა იერუსალიმის სამეფოში. XII საუკუნის მეორე ნახევარში ბეირუთს დაეუფლნენ ტრიპოლის გრაფები, მაგრამ ვერ შეინარჩუნეს, რადგან სალაჰ ად-დინმა წაართვა იგი. მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს ქრისტიანებმა დაიბრუნეს და იერუსალიმის სამეფო ტახტის მემკვიდრემ კონრად მონფერატელმა მიიღო იგი ფეოდის სახით. 1197 წელს იერუსალიმისა და კვიპროსის მეფე ამორი II-მ ბეირუთის მიწები ბალიან იბელინის ვაჟს, ჟან იბელინს გადასცა. ამ დროიდან ბეირუთის სენიორები იბელენების ოჯახის წარმომადგენლები არიან.

[89] მათეს სახარება 15,27.

[90] დანი (ფრ: Dan) – ამჟამად ისრაელის უკიდურეს ჩრდილოეთში. იორდანის სათავე ამჟამად მდებარეობს თელ-დანის ნაკრძალში.

[91] ჯვაროსნულ აღმოსავლეთში ფართოდ მისდევდნენ შაქრის წარმოებას. უნდა აღინიშნოს, რომ ჟაკ დე ვიტრის წერილები და „აღმოსავლეთის ისტორია“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა საიმისოდ, რათა წარმოვიდგინოთ, თუ როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესი. მის თხზულებებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ შაქრის წარმოების მაშინდელი ტექნიკა დღევანდელისგან ფრიად განსხვავდებოდა. კერძოდ, შუა საუკუნეებში, არ იყენებდნენ მთავარ ინგრედიენტებს, რომლებიც შაქრის კრისტალიზაციას უწყობს ხელს; ჯვაროსნულ აღმოსავლეთში შაქრის ლერწმის ღეროებს პრესავდნენ და მისგან წვენი გამოჰყავდათ, რომელსაც სპილენძის ქილებში

ათავსებდნენ. ეს პროდუქტი თაფლის შაქრის სახელით იყო ცნობილი და ყველაზე ხშირად ნამცხვრის კეთებისას გამოიყენებოდა. A History of thr Crusades, 1977, p. 15.

[92] შდრ. Historia Orientalis, I, 61, სადაც ვკითხულობთ, რომ 1191 წელს აკრის ალყის დროს, სალაჰ ად-დინმაავადმყოფ რიჩარდ ლომგულს გაუგზავნა ლიბანის თოვლით დამზადებული სასმელი. Lettres de Jacques de Vitry ed. R. B. C. Huygens. Traduit et présenté par G. Duchet-Suchaux, Brepols, 1998, გვ. 77.

[93] იგულისხმება ბეირუთის მმართველი ჟან იბელინი (1197-1232).

[94] ბიბლოსი (ფრ: Byblos), იგივე ქალაქი ჯებაილი.

[95] გვიდო I ემბრიაჩი, 1197-1238 წლებში იყო ბიბლოსის სენიორი, ანტიოქიის და ტრიპოლის მთავრის ბოემუნდ III-ის სიძე.

[96] ტრიპოლი ტირის ჩრდილოეთით მდებარეობდა. მას მოხერხებული სანაპირო და კარგად გამაგრებული კედლები ჰქონდა. აკრისა და ტიროსის მსგავსად ისიც, თითქმის მთლიანად, ზღვით იყო გარემოცული. ტრიპოლი რეგიონის სხვა ქალაქებთან შედარებით პატარა იყო. მიუხედავად ამისა, იგი უმთავრეს სავაჭრო და სამრეწველო ცენტრს წარმოადგენდა. საშუალო ფენის ადამიანები სწორედ აქ გრძნობდნენ თავს ყველაზე კომფორტულად. ქალაქის გარშემო ვენახები და ზეთისხილის ბაღები იყო გაშენებული.

აქვე მდებარეობდა ტიბერია, რომელიც ფრანკებმა 1187 წელს დაკარგეს. იგი „გალილეის ზღვის“ (ტიბერიადის ტბის) სიახლოვეს, ბორცვზე, თორმეტ კილომეტრზე იყო გაშენებული; მუსლიმები, ქრისტიანებთან ვაჭრობისას, ამ ტბას აქტიურად იყენებდნენ.

ჰაიფა საზღვაო პორტის სახით, ჯვაროსანთა ეპოქაში, იშვიათად გამოიყენებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალაქი აკრის ყურეში მდებარეობდა, რომელიც უმთავრესი ნავსადგური იყო.

ჰაიფისგან სამხრეთით, 25 მილის მოშორებით, ცეზარია მდებარეობდა, რომელსაც არ ჰქონდა მოხერხებული სანაპირო.

აქვე იყო იაფა, რომელიც იერუსალიმისკენ მიმავალ გზაჯვარედინზე მდებარეობის გამო ჯვაროსანთა ეპოქაში დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენდა.

კიდევ უფრო სამხრეთით მდებარეობდა ასკალონი. იგი, შეიძლება ითქვას, რომ წმინდა მიწაზე მდებარე ერთადერთი ქალაქი იყო, რომელიც არასოდეს დაუნგრევიათ სანაპიროებთან მდებარე სხვა ქალაქებისგან განსხვავებით. A History of the Crusades, 1977, p. 14-15.

[97] ქებათა ქება 4,15.

[98] ბოემუნდ IV დე პუატიე – ანტიოქიის მთავარი და ტრიპოლის გრაფი (1201-1205, 1208-1216 და 1219-1233 წწ). მას მრავალი ბრძოლა გადახდა ანტიოქიის ტახტის დასაკავებლად, რადგანაც ჰქონდა ხშირი კონფლიქტი

თავის ძმისშვილთან რაიმუნდ-რუჰენთან, რომელიც ანტიოქიის ტახტის მემკვიდრე იყო.

[99] I კორინთელთა 15, 32.

[100] აქ დე ვიტრი საუბრობს ტამპლიერებზე. ტამპლიერების, ანუ ტაძრის რაინდთა ორდენის მთავარ ფუნქციას ევროპიდან ჩამოსული პილიგრიმების დაცვა წარმოადგენდა. ამიტომაც, მათ ჯვაროსნულ აღმოსავლეთში, აგრეთვე ტაძრის მილიციად მოიხსენიებდნენ.

[101] იგივე ტორტოზა, რომელსაც ჯვაროსნები Antaradus უწოდებენ.

[102] წმინდა კლემენტი (ფრ: saint Clément), ცნობილია, როგორც კლემენტ ალექსანდრიელი (150-215) ალექსანდრიის საღვთისმეტყველო სკოლის დამაარსებელი. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, დამიეტასთან მყოფ ჯვაროსანთა ბანაკში გავრცელდა მისი წინასწარმეტყველება დამიეტისა და იერუსალიმის დაცემასთან დაკავშირებით.აღნიშნული პიროვნების შესახებ საუბარი მეშვიდე წერილში გვაქვს, როცა ვეხებით ჯვაროსანთა ბანაკში გავრცელებული წინასწარმეტყველური წიგნების – განმარტებებს.

[103] L'Historia Orientalis-ში მოხსენიებულია აგრეთვე ეს ეკლესია, რომელსაც თანაბრად სცემდნენ თაყვანს ქრისტიანები და სარკინოზები. ისინი აქ ნათლავდნენ თავიანთ შვილებს, რადგან სწამდათ, რომ ეს მათ ხანგრძლივ სიცოცხლეს და სნეულებათაგან განკურნებას მოუტანდა. Lettres de Jacques de Vitry, 1998, p. 77.

[104] რაულ დე მერენკური. იერუსალიმის პატრიარქი (1214-1225). მონაწილეობას იღებდა 1216 წელს ლატერანის მეოთხე საეკლესიო კრებაში, სადაც ინოკენტი III-მ გამოაცხადა ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყება იერუსალიმის გასათავისუფლებლად. შემდგომში იგი პაპ ჰონორიუს III-ის ლეგატი გახდა და პირადად მონაწილეობდა ეგვიპტის ლაშქრობაში.

[105] ჟაკ დე ვიტრის წერილის ამ ფრაგმენტიდან ჩანს, რომ იერუსალმის პატრიარქი „მთხოვდა დავბრუნებულიყავი, რადგან ზღვის გადალახვა (ე.ი. ეგვიპტეში), გველოდა და ველოდებოდით ჯვაროსნების ჩამოსვლას". ანუ ეგვიპტეში ლაშქრობა უკვე გადაწყვეტილი იყო. როდესაც ჟაკ დე ვიტრი ამ ქალაქებში მოგზაურობდა, ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა წმინდა მიწაზე. როგორც ცნობილია, თავიდან ქრისტიანები ცდილობდნენ უპირატესობა მოეპოვებინათ პალესტინაში, რათა გაეთავისუფლებინათ იერუსალიმი, მაგრამ ჯვაროსნებმა და კერძოდ, უნგრელებმა, მეფე ანდრაშ II-ის ხელმძღვანელობით, წარმატებებს ვერ მიაღწიეს და ამის შემდეგ გადაწყდა ეგვიპტეში ლაშქრობა. ლ. ტარდის მოსაზრებით, ამ პერიოდში არსებობდა კონტაქტები უნგრელებსა და ქართველებს შორის. დაგეგმილი იყო ერთობლივი ლაშქრობა პალესტინაში, რომელიც არ შედგა. ტარდი, 1980. გვ.12-14.

[106] ჰიუგ I ლუიზიანელი (ფრ. Hugues I de Lusignan); კვიპროსის

მეფე (1205 -1218). მას კონფლიქტი ჰქონდა რომის პაპ ინოკენტი III-თან კვიპროსში ეპისკოპოსების დანიშვნასთან დაკავშირებით. ლატერანის მეოთხე საეკლესიო კრებაზე პაპი იძულებული გახდა დათანხმებულიყო, რომ კვიპროსის ეკლესიას მეტი ავტონომიურობა ჰქონოდა. თავისი სამეფოს დაცვის მიზნით, ჰიუგს კარგი ურთიერთობები ჰქონდა ტამპლიერებთან და ჰოსპიტალიერებთან. ის ხელს უწყობდა მათი რეზიდენციების დაარსებას კუნძულზე.

[107] მთიანი რეგიონი ანტიოქიის სამთავროს ჩრდილოეთით, რომელსაც უბრალო ხალხის ენაზე (Vulgata) Montana Nigra-ს უწოდებოდა და სადაც მრავალი განდეგილი ცხოვრობდა. აქ ბევრი წყარო და მდინარე მოედინებოდა, ამიტომ მას ნეროს მთას უძახდნენ, id est aquosun, aqua - ლათინურად წყლიანს ნიშნავს. Lettres de Jacques de Vitry, 1998, p. 77.

[108] იმ დროისათვის, როცა ჟაკ დე ვიტრი წმინდა მიწაზე ჩამოვიდა,აკრის მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო. XIII საუკუნის მემატიანეები აღნიშნავდნენ, რომ 1220 წლისათვის მდგომარეობა იმდენად კატასტროფული იყო, რომ სამეფოდან თითქმის აღარაფერი დარჩა. პაპი მოუწოდებდა პილიგრიმებს, რომ მოენახულებინათ ის მიწები, რაც ჯერ კიდევ შერჩენოდათ ქრისტიანებს. ამ მიზნით შეიქმნა კიდეც სპეციალური ტექსტი, რომლითაც აკრაში ჩასულ ყველა პილიგრიმს ცოდვები მიეტევებოდა და ჩამოთვლილი იყო ქალაქში არსებული მონასტრების სია.

[109] ჟაკ დე ვიტრის წერილის ეს მონაკვეთი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მას თავის თხზულებაში „აღმოსავლეთის ისტორია" მოცემული აქვს ამბავი იერუსალიმის გასათავისუფლებლად ქართველთა მოსალოდნელი გამოსვლის შესახებ. ქართველთა შესაძლო მონაწილეობას ჯვაროსნულ ლაშქრობაში იგი სწორედ ევროპიდან ჯვაროსანთა ახალი დამატებითი ძალების გამოჩენას უკავშირებს. შესაძლებელია, რომ ჟაკ დე ვიტრი აქ ამ მეფეების რიგში ვარაუდობდეს კიდეც ქართველთა მეფეს. ევროპელთა იმ დროინდელი წარმოდგენებით, დროდადრო საქართველოს სამეფოს გეოგრაფიული ლოკალიზაცია სწორედ პრესვიტერის სამეფოს ფარგლებში ან მის მეზობლად ხდებოდა. გოგისა და მაგოგის ქვეყანას ხშირად კავკასიის მთებთან მოიაზრებდნენ, რომელიც ამ მითიური მეფის სამყოფელში ფიქსირდებოდა და ქართველთა მეფეებიც სწორედ ამ აპოკალიფსური ხალხების შემაკავებელ ფუნქციასაც ითავსებდნენ. მეხუთე და მეექვსე ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდში აქტუალური იყო ქართველთა მონაწილეობის საკითხი. გიორგი ლაშას და რუსუდანის სამეფო კარი მზაობას გამოხატავდა, რომ დახმარებოდნენ ევროპელებს იერუსალიმის გათავისუფლებაში. ამავე დროს, მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდში, დამიეტასთან მდგომი ჯვაროსნების ბანაკში გავრცელდა ინფორმაცია აღმოსავლეთიდან მომავალი მოკავშირის შესახებ. ეს ამბები უკავშირდებოდა მონღოლთა გა-

მოჩენას. სწორედ მონღოლების გამოსვლამ გააცოცხლა ეს ძველი მითი იოანე პრესვიტერისა. მოგვიანებით, მეექვსე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, კვლავ ცოცხლობდა წარმოდგენა აღმოსავლეთში მცხოვრები მოკავშირის შესახებ და ჯვაროსანთა წრეებში გავრცელებული იყო ლეგენდა, რომ ფრიდრიხ II და იოანე პრესვიტერის მემკვიდრე მეფე დავითი უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს წმინდა მიწაზე მუსლიმთა წინააღმდეგ საერთო საომარი კამპანიის დასაწყებად. იოანე პრესვიტერის ლეგენდის რეინკარნაცია ჟაკ დე ვიტრის მოცემული აქვს მეშვიდე წერილში.

[110] იოანე პრესვიტერი (ფრ: Prêtre Jean); ლეგენდარული სამეფოს მმართველი. მის შესახებ ინფორმაცია ევროპაში გავრცელდა XII საუკუნის 40-იან წლებში. ლეგენდის მიხედვით, მისი სამეფო მდებარეობდა სპარსეთის აღმოსავლეთით იგი ნესტორიანული აღმსარებლობის მიმდევარი გახლდათ. ჯვაროსნების წარმოდგენით, იოანე პრესვიტერი დიდი ჯარით უნდა დახმარებოდა მათ წმინდა მიწისათვის ბრძოლაში. დაწვრილებით ინფორმაცია ამ საკითხის გარშემო იხ. VII წერილში.

[111] მთების უხუცესი, (ფრ: Le vieillard des montagnes) რომელიც ჯვაროსნებისთვის XII საუკუნიდან გახდა ცნობილი, მითიურ პერსონაჟად იქცა. იგი ანტიოქიური სიმღერის ერთ-ერთ ვერსიაში (XII საუკუნე) ფიგურირებს. Lettres de Jacques de Vitry, 1998, p. 77; სავარაუდოდ, იგი სირიის ასასინების მეთაური უნდა ყოფილიყო. ჯვაროსნებს სწორედ სირიელ ასასინებთან ჰქონდათ ურთიერთობა. საეჭვოა, რომ აქ საუბარი იყოს ალამუთის მბრძანებელზე. ასასინებს მეორე დიდი ცენტრი ჰქონდათ სირიაში ციხე-სიმაგრე მასიაფის სახით, რომელსაც ისინი დაეუფლნენ 1140 წელს, როცა ის და სხვა მახლობელი სიმაგრეები ჯვაროსნებისაგან გამოისყიდეს. ჟაკ დე ვიტრი სწორედ სირიის რეგიონის მაცხოვრებლებზე საუბრობს. მას ასასინების შესახებ ინფორმაცია აღებული აქვს XII საუკუნის თხზულებიდან „იერუსალიმის ქვეყნისა და მისი მცხოვრებლების შესახებ“. სწორედ ამ წყაროშია მოთხრობილი, რომ ასასინების ბელადს სარკინოზები „მახვილის ღმერთს“ უწოდებდნენ. საერთოდ, ეს თხზულება წარმოადგენდა წმინდა მიწაზე XIII საუკუნეში ჩამოსულ მოგზაურთათვის ერთ-ერთ მთავარ გზამკვლევს ისევე, როგორც დე ვიტრის თხზულება გახდა შემდგომ საუკუნეებში გზამკვლევი სხვა მოგზაურებისა თუ ავტორებისათვის Горелов, 2006, ст. 282.

[112] Lettres de Jacques de Vitry, 1998, p. 69.

[113] მათეს სახარება 12, 30.

[114] ნესტორიანელები – კონსტანტინეპოლის პატრიარქის ნესტორის (V საუკუნე) მიმდევრები. 431 წელს ეფესოს მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით, ეს მიმდინარეობა გამოცხადდა ერესად, ხოლო ნესტორი გადასცეს ანათემას. მისი სწავლება დაიგმო. ბიზანტიის ხელისუფლების

დევნის გამო ნესტორიანელობა გავრცელდა იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში. ასევე ირანში, შუა აზიასა და ცენტრალური აზიის რეგიონებში.

[115] აქ ჩანს შუა საუკუნეების ევროპაში და მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელებული ის შეხედულება, რომ იოანე პრესვიტერი და მისი სამეფოს ქრისტიანები ნესტორიანელები იყვნენ. მათი ძირითადი თემები სადღაც შორს, აღმოსავლეთში მდებარეობდა.

[116] იაკობიტურ და ნესტორიანულ ეკლესიებს ბევრი საერთო ჰქონდათ მრწამსში და მათ ხშირად ურევდნენ ერთმანეთში იმ დროის ევროპასა თუ აღმოსავლეთში. ჟაკ დე ვიტრი, ასევე, ხაზს უსვამს იმ სავალალო მდგომარეობას, რომელშიც აღმოსავლეთის ეკლესია იმყოფება სარკინოზების გავლენის გამო. აღწერს ჯვაროსანთა სამეფო-სამთვაროებს: ედესას, ანტიოქიას, ტრიპოლისა და იერუსალიმს (საზღვრებითა და ციხე-სიმაგრეებით). ასევე აღწერს სხვა ქალაქებს, ქრისტიანთა კოლონიებს, ჰოსპიტალიერებს, ტამპლიერებსა და ტევტონებს. საინტერესოა ჟაკ დე ვიტრის მიერ მოყოლილი ამბავი იმ ვაჭრის შესახებ, რომელიც იოანეს სამეფოდან მოსულა. ძნელია იმის გარკვევა, თუ რომელ მხარეებს გულისმობს დე ვიტრი, მაგრამ ერთი აშკარად ჩანს, რომ მისი სამეფოს მცხოვრებლები ნესტორიანელები და იაკობიტები იყვნენ. აქ ჟაკ დე ვიტრი გამოხატავს იმ შეხედულებას, რომელიც გავრცელებული იყო ევროპელებში იოანე პრესვიტერის მრწამსის და მისი მაცხოვრებლების შესახებ. ეს წარმოდგენა, რომ იოანეს სამეფოს მაცხოვრებლები ნესტორიანელები იყვნენ, ჯერ კიდევ ამ ლეგენდის არქეტიპიდან იღებდა სათავეს, რომელიც XII საუკუნის 40-იან წლებში გავრცელდა. მაშინდელი ლათინური დასავლეთისათვის და ჯვაროსნული აღმოსავლეთისათვის იოანეს სამეფო ზოგად, აბსტრაქტულ გეოგრაფიულ საზღვრებში წარმოისახებოდა, ამიტომაც კონკრეტული ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცე ამ სამეფოს არ ჰქონდა. Michaud, 1829 p. 173-175.

[117] მარონიტების ეკლესია (ლათ: Ecclesia Maronitarum), უძველესი ქრისტიანული მიმდინარეობა, რომელსაც საფუძველი IV საუკუნეში ჩაეყარა. მათ ისტორიასთან, მრწამსთან და განსახლების არეალთან დაკავშირებული საკითხები XVI საუკუნიდან ფართო დისკუსიის ობიექტია. გარკვეული განზოგადების ფონზე შეიძლება ითქვას, რომ მათი თემები ლიბანის, სირიისა და კვიპროსის მხარეებში იყო გავრცელებული. არ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ისინი აქ უმრავლესობას წარმოადგენდნენ.

X საუკუნის არაბი ავტორებისგან (ალ მასუდი, იბნ ალ ბიტრიკი) მომდინარეობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მარონიტები მონოთელიტები არიან. ეს აზრი „ჯვაროსნულ ისტორიოგრაფიაში“ გიიომ ტირელმა გადმოიტანა; შემდეგ კი იგი, უბრალოდ გაიმეორეს ჟაკ დე ვიტრიმ („აღმოსავლეთის ისტორიაში“) და მარინო სანუდომ.

დისკუსია არსებობს, ასევე, ტერმინ „მარონიტის“ ეტიმოლოგიის შესახებ.

მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ეს ტერმინი უნდა გავიგოთ როგორც ორი წმინდანის, მარონსა და იოანეს სახელების კომბინაცია. მეცნიერთა ნაწილს კი მიაჩნია, რომ აქ ნესტორიანელი ბერის მარო (მარონი) ედესელის სახელი უნდა იგულისხმებოდეს.

ჯვაროსნულ ეპოქაში მარონიტებთან დაკავშირებული ყველაზე მეტად საინტერესო ეპიზოდი იყო 1182 წელს მათი ლათინურ ეკლესიასთანდაკავშირება. იგი მარონიტი პატრიარქისა და აიმერ ლიმოჟელის სახელს უკავშირდება.

აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ფაქტი ყველას ერთგვაროვნად არ მიუღია. წყაროებიდან ჩანს, რომ უნიის მომხრე და მოწინააღმდეგე მარონიტებს შორის დაპირისპირებაც კი მომხდარა. ძნელია იმის თქმა, თუ რა რეაქცია ჰქონდა უნიის საკითხებზე ლათინ სამღვდელოებას, თუმცა, ცნობილია, რომ მარონიტ პატრიარქებს ხშირად იწვევდნენ საეკლესიო კრებებზე და ხშირად ესაუბრებოდნენ დოგმატიკაზე. მაგალითად, 1203 წელს პაპის ლეგატი პეტრე მარონიტებს შეხვდა, რომლებიც მას კათოლიკური წესების გაზიარებას დაჰპირდნენ; ათი წლის შემდეგ ინოკენტი III-მ მარონიტი პატრიარქი იერემია ლატერანის მეოთხე კრებაზე დაპატიჟა; საინტერესოა ისიც, რომ რომში 1282 წელს კიდევ ერთი მარონიტი პატრიარქი დანიელიც ყოფილა მიწვეული. რაც, ალბათ, კათოლიკური და მარონიტული ეკლესიების უნიის სიმყარეზე მიუთითებს. A History of the Crusades, 1985, p. 89-94.

[118] სიბრძნე სოლ. 11, 24.

[119] II მეფეთა 22, 29.

[120] ჟან დე კამბრე (ფრ: Jean de Cambrai), აკრის ეკლესიის კაპელანი, რომელიც ჟაკ დე ვიტრის აკრის ეპისკოპოსად დანიშვნის შემდეგ გახდა ამ ეკლესიის სენეშალი.

წერილი მესამე[1]

აღნიშნული წერილი დაწერილი უნდა იყოს დამიეტის მისადგომებთან არსებული ზღუდეების აღების შემდეგ[2], 1218 წლის 24 აგვისტოს. Lettres de Jacques de Vitry, 1998.

აკრის ეკლესიის უღირსი მოძღვარი ღვთაებრივი წყალობითა და შეწევნით, სათანადო ღვთის მორჩილებით, პატივისცემით, ფეხზე ამბორით მიმართავს თავის ქრისტესმიერ უწმინდეს მამასა და ბატონს ჰონორიუსს, ღვთის წყალობით გამოჩენილ პონტიფიკოსს.

მოგეხსენებათ, რომ ხორცშესხმის (განკაცების) 1217 წელს აკრაში იმყოფებოდნენ შემდეგი დიდებულები: უნგრეთისა[3] და კვიპროსის მეფეები[4], ავსტრიის ჰერცოგი[5], იერუსალიმის მეფე[6], ტამპლიერები,[7] ჰოსპიტალიერები[8], ასევე თავადები, გრაფები, რაინდები და ფეხოსნები, სხვა უამრავი ადამიანი. თუ დავუჯერებთ მათ, ვინც ქალაქ აკრის[9] აღებას ესწრებოდა, ეს ჯარი ჩვენს მეომრებს შეიარაღებით, ცხენებითა თუ მებრძოლთა რაოდენობით[10] ვერც კი შეედრებოდა.

მოთათბირების შემდეგ ისინი რამდენიმე დღეში თითქმის დამასკომდე ჩავიდნენ[11], გზა და გზა აცარიელებდნენ ქალაქებსა და მამულებს, ანადგურებდნენ ბუჩქებს, ზეთისხილის ჭალებსა და ხეხილს; მათ მაქსიმალური ზიანი მიაყენეს სარაცინებს და უკან დაბრუნებულებმა რამდენიმე ტყვედ აყვანილი სარაცინიც კი ჩამოიყვანეს. თუმცა, უნდა იცოდეთ, რომ ამ ლაშქრობაში დაღუპულ ჩვენიანთა რიცხვი უცხოელ ტყვეთა რაოდენობას აღემატებოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ გადაწყვიტეს თაბორის[12] მთამდე მიეღწიათ, სადაც საგანგებო აღჭურვილობის გარეშე ჩატარებული შეტევის შემდეგ დაუყოვნებლივ უკან დაიხიეს. ამბობდნენ, [რომ] თუ უფრო გაბედულად იმოქმედებდნენ, თავისუფლად დაეუფლებოდნენ ამ ციხესიმაგრეს[13], მაგრამ ხალხის აზრით, ამ შემთხვევაშიც ზემოთაღწერილი მოვლენების მსგავსად, ზოგიერთების არაკეთილსინდისიერებამ იჩინა თავი.[14]

მესამე შეტევა იმ ციხესიმაგრეზე წამოიწყეს, რომელსაც ბელფორს[15] უწოდებენ, ასევე ბელინაზე, რომელიც სხვაგვარად ცეზარეა დე ფილიპის სახელითაც არის ცნობილი[16]. იქ მათ ბევრი წარუმატებლობა და მარცხი განიცადეს – უამრავი ცხენი, საქონელი და ადამიანი დაკარგეს და ამგვარად დაბრუნდნენ აკრაში. ეს მოვლენები[17] ყველა წმინდანის დღესასწაულსა და უფლის წინადაცვეთის[18] დღეებს შორის მოხდა.

აღნიშნულ ლაშქრობაში უნგრეთის მეფემ შემთხვევით ისარგებლა და ეპიფანიის[19] დღესასწაულის შემდეგ უკან გაბრუნდა. ის აკრიდან ტრიპოლიში გაემგზავრა, იქიდან ანტიოქიაში, შემდეგ [კი] კონსტანტინე-

პოლში, ბოლოს საკუთარ ქვეყანაში [დაბრუნდა]. მასთან ერთად წავიდა კვიპროსის მეფეც, რომელსაც თან ახლდა ტრიპოლის გრაფი[20]. ამ უკანასკნელმა მეფის და[21] შეირთო ცოლად. ცოტახნის შემდეგ[22] კვიპროსის მეფე ტრიპოლიში აღესრულა. სარაცინებმა დაამარცხეს ტრიპოლის გრაფი, რომელიც იძულებული გახდა მათთან მოლაპარაკებები ეწარმოებინა. ამრიგად, ქრისტიანთა არმია დასუსტებული აღმოჩნდა და მეფეების გამგზავრებიდან მალევე გადაწყდა, დაწყებულიყო ქალაქ ცეზარეა დე პალესტინის[23] ციხე-სიმაგრის გამაგრება[24]. იქ ჩამოვიდნენ იერუსალიმის მეფე, ავსტრიის ჰერცოგი, პატრიარქი[25], აკრის ეპისკოპოსი[26], ჰოსპიტალიერთა ორდენი, თითქმის ყველა, ვინც არმიისგან დარჩა – ტამპლიერების გარდა და ციხის გამაგრებამდე იქ იყვნენ. ამასთან, ტამპლიერებმა, რომელთაც არ სურდათ სიცრუეს ამოფარებოდნენ და არც ის უნდოდათ, რომ ღვთისა და წმიდა მიწის სამსახურის გამო მეტისმეტ საფრთხეში ჩაეგდოთ როგორც საკუთარი თავი, ასევე ხალხი, უდიდესი საქმე წამოიწყეს, რომლის დროსაც იმდენი თანხა დახარჯეს, რომ შეიძლება გაჩნდეს კითხვა: საიდან შოულობდნენ ისინი ამ ფულს? ამ გამაგრებულმა ციხე-სიმაგრემ[27] კი სარაცინებს იმაზე გაცილებით მეტი სირთულეები შეუქმნა, ვიდრე მანამდე ქრისტიანთა მთელმა არმიამ[28].

დროის ეტლი კი გზას აგრძელებდა. მთელი ლაშქარი აკრაში დაბრუნდა გარდა იმ ნაწილისა, რომელსაც საკმარისად აღმოაჩნდა ღვთის შიში იმისათვის, რომ ტამპლიერებს დადგომოდა გვერდით მათ მიერვე წამოწყებულ საქმეში; მეფემ, ჰერცოგმა და დიდებულებმა არა ერთი საბჭო გამართეს, რათა გადაეწყვიტათ, როგორ ემოქმედათ შემდგომში. ერთმა ბატონმა, სახელად ოლივიემ, კიოლნის კანონიკოსმა[29], რომელიც პაპის ნებით ქადაგებდა და საკუთარ ქვეყანაში ჯვაროსნული ლაშქრობისკენ მოუწოდებდა, ჯვარი გადასახა კოგებსა[30] და ადამიანთა უსაზღვრო რაოდენობას. ეს კოგები ესპანეთში გამოზამთრების შემდეგ[31] სწორედ ამ დროისათვის[32] დაბრუნდნენ აკრაში. ერთ დღეს საბჭოზე ყველა მხედართმთავარი შეიკრიბა და, ვინაიდან, ეს ოლივიე თავისი ჯვაროსნების სახელით მგზნებარედ მოუწოდებდა, რამე ეღონათ, სულიწმიდის შთაგონებით ერთხმად გადაწყვიტეს ბაბილონში[33] წასვლა. ისე მოხდა, რომ ისინი უფლის ამაღლების დღეს[34] აკრიდან გავიდნენ ზღვაში და უფლის წყალობით მშვიდობიანად მიაღწიეს სამოთხის მდინარის პირას[35] მდებარე ძალიან დიდ ეგვიპტურ ქალაქ დამიეტას[36]. აქ ქრისტიანთა არმია ამ მდინარის ერთ-ერთ კუნძულზე განლაგდა და იქიდან უტევდა ქალაქს რათა წაერთმია ის მტრისთვის; ამისათვის კი მათ პირველ რიგში წყლიდან აღმომართული კოშკი უნდა გაევლოთ. ეს უაღრესად გამაგრებული და უბადლო თავდაცვითი ნაგებობებით აღ-

ჭურვილი კოშკი აფერხებდა ჩვენების წინსვლას მდინარეზე და ქალაქის აღების ყოველგვარ შესაძლებლობასაც სპობდა, მაგრამ, ღვთის წყალობით, ისინი დაეუფლნენ ქალაქს უზარმაზარი შრომისა და ოფლის ღვრის შედეგად, თუმცა, ეს ღირსეული ადამიანების დაკარგვის გარეშე არ მომხდარა. ღვთის შეწევნით ქალაქი წმიდა ბართლომეს დღეს[37] დახოცილებისა და გაქცევის მცდელობისას დამხრჩვალთა გარდა CXIII ტყვესთან[38] ერთად აიღეს. ამრიგად, ახლა ყველა ჩვენიანის ერთადერთი სურვილი და ნებაა გადაკვეთონ მდინარე და ქვედა მხრიდან შეუტიონ ბაბილონის სულთანს, რომელიც მათ ურიცხვი ჯარით მდინარის მეორე მხრიდან უპირისპირდება. ჩვენს მეომრებს სურთ ვაჟკაცურ შეტევაში წაართვან მას ქალაქი და გააფთრებული შეტევა დაიწყონ როგორც მათი ხომალდების, ასევე გალერების წინააღმდეგ. დაე, უფლის ხელმა დაამარცხოს ქრისტეს ჯვრის მტრები და კიდევ უფრო აღამაღლოს თავისი ერთგულები ქრისტეს დიდებაში. ამინ.

კომენტარები

[1] ჟაკ დე ვიტრისთვის ამ წერილის მიკუთვნება სადავოა. გ. დიუშესიუშო ასკვნის, რომ „ის, ცხადია, ჟაკ დე ვიტრის ხელიდან არ არის გამოსული“. საქმე ეხება წერილს, რომელიც, მიუხედავად იმისა, უცნობი ავტორისაა ის თუ არა, უკვე შესულია ჟაკ დე ვიტრის წერილების კოლექციაში, სადაც მან, სავარაუდოდ, ჩაანაცვლა უკვე დაკარგული ნამდვილი წერილი. ეს უკანასკნელი 1218 წლის გაზაფხულით უნდა თარიღდებოდეს და, როგორც IV ავთენტური წერილიდან შეიძლება დავასკვნათ, ასახავდა მოვლენებს, რომლებიც 1217 წლის აღდგომიდან 1218 წლის თებერვლამდე პერიოდს მოიცავდა. Lettres de Jacques de Vitry, 1998, p. 40-43. ჩვენი მხრივ, წერილზე დაკვირვებისას, გვიჩნდება აზრი, რომ ის მართლაც არ უნდა მიეკუთვნებოდეს ჟაკ დე ვიტრის. აქ არსად არ ჩანს ავტორის მსოფლმხედველობა, რომლითაც მისი სხვა წერილებია გამსჭვალული. ამასთან, მეორე წერილის შემდეგ იგი უცბად გადადის ახალ მოვლენებზე მაშინ, როცა მისი წერილები ერთ მთლიან თხრობას წარმოადგენს. ამავე დროს, მესამე წერილი მოთხრობილია მესამე პირში, როცა დანარჩენ წერილებში ავტორი თვით არის ამ ამბების უშუალო მონაწილე, თვითმხილველი, ამიტომაც პირველ პირში მოგვითხრობს მის მიერ დანახულ ამბებს და განვითარებული მოვლენების შესახებ საკუთარ შეფასებას გვაძლევს. მესამე წერილში ავტორი უბრალოდ აღწერს მოვლენებს, რომლებიც სირია-პალესტინაში

ჯვაროსანთა კამპანიის პირველ ეტაპზე განვითარდა. ჯვაროსანთა კამპანიის დაწყებისას ჟაკ დე ვიტრი უშუალოდ გალილეაში იმყოფებოდა და განვითარებული მოვლენების თვითმხილველი იყო, ეს კი ამ წერილს არ ეტყობა. ჩვენი აზრით, გამომცემელთა დაკვირვება ამ კუთხით მეტად საგულისხმოა და ყურადსაღები. ასევე, ამ წერილში არსად გვხვდება შედარებები წმინდა წერილებთან, რაც ესოდენ დამახასიათებელია ჟაკ დე ვიტრის ეპისტოლარული მემკვიდრეობისათვის. მესამე წერილი დამიეტის აღების მოკლე ისტორიით მთავრდება მაშინ, როცა შემდგომ წერილებში ჟაკ დე ვიტრი ვრცლად მოგვითხრობს დამიეტის აღების მოვლენებზე, ზოგადად ეგვიპტის კამპანიაზე და დანარჩენი ოთხი წერილი (IV,V,VI,VII) მთლიანად ამ ამბებს ეძღვნება. თუმცა, ჩვენც ვერ ავუვლით გვერდს აღნიშნულ წერილს, რადგან ის, ერთი მხრივ, გამომცემლების მიერ არის შეტანილი ჟაკ დე ვიტრის წერილთა ნუსხაში და, მეორე მხრივ, იგი ძვირფასი წყაროა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის პირველი ეტაპის შესასწავლად. მეოთხე წერილიდან ჟაკ დე ვიტრი ეგვიპტის კამპანიაზე გადადის და, ფაქტობრივად, არაფერი აქვს ნათქვამი სირია-პალესტინაში განვითარებულ მოვლენებზე. იგი მხოლოდ მცირე აღწერებით შემოიფარგლება, რაც საერთო სურათის აღსაქმელად საკმარისი არ არის. ესეც საკმაოდ უცნაურია, რადგან ავტორი თითქოს არ თვლის საჭიროდ ადრესატების ყურადღება მიიქციოს სირია-პალესტინაში გამართულ ლაშქრობაზე. იმდენად გადაბმულია ერთმანეთზე ეგვიპტეში გასამგზავრებლად მზადების პერიოდის ამბები, რომ მეორე და მეოთხე წერილზე დაკვირვებით გვიჩნდება აზრი, თითქოს მეოთხე წერილი მეორეს გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს.

[2] 1218 წლის 29 მაისს დაიწყო დამიეტასთან არსებული ჯაჭვის კოშკის ალყა, რომელიც სამ თვეს გაგრძელდა და 1218 წლის 28 აგვისტოს იქნა აღებული. ამის შემდეგ ჯვაროსნებს გარკვეული დრო დასჭირდათ, რომ თავად ქალაქისათვის შემოერტყათ ალყა, რადგან სულთანი მათ მდინარის მეორე ნაპირზე არ უშვებდა. მაგრამ ფრანკებმა დამიეტის პორტთან არსებული ძველი არხი გახსნეს, რამაც მუსლიმთა ბანაკის დატბორვა გამოიწვია და 9 ოქტომბრიდან მათ უშუალოდ ქალაქის კედლებთან მიახლოება მოახერხეს. 1219 წლის 5 თებერვალს კი ჯვაროსნებმა ხელთ იგდეს სულთნის ბანაკი და აქედან დაიწყო ქალაქის სრული ალყა, რომელიც 1219 წლის 5 ნოემბრამდე გაგრძელდა.

[3] ანდრაშ II უნგრეთის მეფე (1205-1235), არპადების დინასტიიდან; მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი წინამძღოლი. იგი ბავარიისა და ავსტრიის ჰერცოგებთან, გერმანელ ბარონებთან ერთად გაემგზავრა აღმოსავლეთში და თავისი ჯარით აკრასთან გადავიდა. მისი მიზანი იყო გაეთავისუფლებინა იერუსალიმი და კონსტანტინოპოლის ლათინთა იმპერატორის ტიტული მიეღო. ეს ლაშქრობა წარუმატებელი აღმოჩნდა და ამიტომ 1218 წელს სამშობლოში დაბრუნდა. პტოლემაიდაში ყოფნისას ანდრაშ II მოიხიბლა რაინდთა სასულიერო ორდენების საქმიანობით და ევროპაში გამგზავრების წინ დიდი ქონება შესწირა კრაკ დე შევალიეს ჰოსპიტალიერებს. იერუსალიმის პატრიარქი რაულ დე მერენკური ჯვაროსნების მიტოვების შემთხვევაში მას განკვეთით დაემუქრა, მაგრამ პატრიარქის მუქარამ არ გაჭრა და მეფე უნგრეთში დაბრუნდა. მისი საქციელი საყოველთაო განკითხვის და მსჯელობის საგანი გახდა, ამან ჩრდილი მიაყენა მის რეპუტაციას, რადგან წმინდა მიწიდან ნაადრევი წამოსვლა გაქცევად და საერთო საქმის ღალატად ჩაუთვალეს.

[4] მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის საწყის ეტაპზე კვიპროსის სამეფო არც ისე მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ დროისთვის უკვე დამთავრებული იყო ვოლტერ მონბერიელის რეგენტობის პერიოდი და ქვეყანაში სტაბილურობა სუფევდა. ვოლტერ მონბერიელი მომავალი მეფის ჰიუგ ლუზინიანელის სიძე გახლდათ (იგი მის უფროს დაზე იყო დაქორწინებული), რომელიც, სელჩუკებთან წარუმატებელი ბრძოლის შემდეგ, თანხების გაფლანგვის ბრალდებით ქვეყნიდან იქნა გაძევებული. 1205 წლიდან ახალგაზრდა ჰიუგი ქვეყანას დამოუკიდებლად მართავდა. ჰიუგ ლუზინიანელს, თავისი ფეთქებადი ხასიათი გამო, ძალიან უჭირდა როგორც ეკლესიასთან და პაპობასთან, ისე საკუთარ ვასალებთან და მეზობლებთან ურთიერთობა. თუმცა, მისი მმართველობის პერიოდში კვიპროსი საკმაოდ მძლავრ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა.

მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის წყაროებში (ოლივერუსის „დამიეტის აღების ისტორია"; ჟაკ დე ვიტრის „იერუსალიმის ისტორია") ხშირად იხსენიება ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილე 100 კვიპროსელი რაინდი, რომლებსაც თავად კვიპროსის მეფე ხელმძღვანელობდა. Christian Society and the Crusades 1198-1229, 1971, p. 51.

[5] ავსტრიის ჰერცოგი ლეოპოლდ VI „დიდებული" (1198-1230). ბაბენბერგთა დინასტიიდან. ჰონორიუს III-ის თხოვნით იგი მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობაში ჩაერთო. 1212 წელს მონაწილეობა მიიღო ალბიგოელების წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში, ხოლო 1217 წელს ანდრაშ II-თან ერთად პალესტინაში გაემგზავრა, თუმცა ვერც იქ მიაღწია წარმატებას. შემდგომში ის ეგვიპტის ლაშქრობაში მონაწილეობდა, სადაც დამიეტის „ჯაჭვის კოშკის" აღებისას თავი გამოიჩინა. ეს ისტორია ვიტრის დაწვრილებით აქვს მოთხრობილი მეოთხე წერილში.

შემდგომში ის ეგვიპტის ლაშქრობაში მონაწილეობდა, სადაც დამიეტის „ჯაჭვის კოშკის" აღებისას თავი გამოიჩინა. ეს ისტორია ვიტრის დაწვრილებით აქვს მოთხრობილი მეოთხე წერილში.

შემდგომში ის ეგვიპტის ლაშქრობაში მონაწილეობდა, სადაც დამიეტის „ჯაჭვის კოშკის" აღებისას თავი გამოიჩინა. ეს ისტორია ვიტრის დაწვრილე-

ბით აქვს მოთხრობილი მეოთხე წერილში.

[6] მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის წინარე პერიოდში აკრა/იერუსალიმის სამეფო საკმაოდ სტაბილურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მეოთხე ჯვაროსნულ ლაშქრობას, მიუხედავად იმისა, რომ იგი „წმინდა მიწაზე“ არ მიმდინარეობდა, ჯვაროსნული სახელმწიფოებისთვის უსარგებლოდ ნამდვილად არ ჩაუვლია. მისი წყალობით აღმოსავლეთში ძალთა ისეთი განლაგება ჩამოყალიბდა, რომ იერუსალიმის მეფე ამორი II-სა და აიუბიან სულთან ალ-'ადილის ერთმანეთთან მშვიდობიანი ურთიერთობა აწყობდათ. ამორი II-ს, დასავლეთის დახმარების გარეშე, მუსლიმებთან ბრძოლის გაგრძელება არ შეეძლო. ეგვიპტის სულთანი კი, ახალი ჯვაროსნული ლაშქრის საფრთხის შიშით ფიქრობდა, რომ იერუსალიმის სამეფოსთან მშვიდობიანი ურთიერთობა შეენარჩუნებინა.

1205 წელს მეფე ამორი II-ის გარდაცვალების შემდეგ, იერუსალიმის სამეფოს ტახტის მემკვიდრედ არასრულწლოვანი დედოფალი მარია იქცა. რეგენტი კი მისი ბიძა ჟან დე იბელინი გახდა. 1208 წლისთვის დედოფალი სრულწლოვანი შეიქმნა და მისთვის მეუღლის მოძებნა გახდა საჭირო, რომელიც იერუსალიმის მეფის გვირგვინს დაიდგამდა თავზე. ამ მისიით ცეზარიის მფლობელი აიმარი და პტოლემაიდის ეპისკოპოსი საფრანგეთში გაემართნენ, რათა დახმარება მეფე ფილიპ ოგიუსტისთვის ეთხოვათ. იერუსალიმის სამეფოს მესვეურები იმედოვნებდნენ, რომ რომელიმე მდიდარ სამეფო სახლთან დაახლოება ჯვაროსნულ სახელმწიფოებს ახალ ძალას შემატებდა.

1210 წელს არჩევანი ჟან დე ბრიენზე შეჩერდა. მისი კანდიდატურა, თავდაპირველად, საკმაოდ არასასურველად ჩანდა, რადგან ჟანს არაფერი ებადა, ვინაიდან იგი მამამისის უმცროსი შვილი გახლდათ. ამასთან, იგი უკვე 60 წელს იყო მიღწეული.

მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ იერუსალიმის სამეფოში მდგომარეობა სწორედ ჟან დე ბრიენის გამეფების წინარე პერიოდში გართულდა. საქმე ისაა, რომ 1210 წლის ივლისში აკრა\იერუსალიმის სამეფოსა და სულთან ალ-'ადილს შორის დადებული ზავის ვადა ამოიწურა. მიუხედავად იმისა, რომ ჟან დე იბელინი და მის გარშემო მყოფი ბევრი დიდებული (მათ შორის ტამპლიერებისა და ჰოსპიტალიერების მაგისტრები) მზად იყვნენ ზავის განახლების შესახებ სულთნის წინადადება მიეღოთ, ზოგიერთი ბარონის ინიციატივით, სამხედრო მოქმედებები გაჩაღდა.

ჟან დე ბრიენი აკრაში 1210 წლის 13 სექტემბერს ჩამოვიდა. მეორე დღესვე პატრიარქმა ალბერტ იერუსელიმელმა იგი დედოფალ მარიაზე დააქორწინა. 3 ოქტომბერს კი იგი ტირში მეფედ აკურთხეს.

მიუხედავად არასასურველი სასტარტო მდგომარეობისა, ახალი მეფე ძალიან მალე პოპულარული გახდა. იგი ნამდვილად არ იყო ტახტისთვის

შეუფერებელი. მან კარგად იცოდა საერთაშორისო პოლიტიკა და სამხედრო საქმე. მის პოზიციებს აძლიერებდა ისიც, რომ მას საფრანგეთის მეფე ფილიპმა და ინოკენტი III-მ სოლიდური თანხა უბოძეს. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ჟანი ვასალებთან და არაბებთან ურთიერთობაშიც დიდი ტაქტით გამოირჩეოდა. ჟან დე ბრიენი (1170/75-1237)იერუსალიმის მეფე იყო 1210-1225 წლებში.1229-1237 მას კონსტანტინოპოლის ლათინთა იმპერიის იმპერატორ-რეგენტობაც მოუხდა. მისი პოპულარობა იმდენად დიდი იყო, რომ მისი პოზიციები საფუძვლიანად ვერც დინასტიურმა სირთულეებმა შეარყია. 1212 წელს დედოფალი მარია მშობიარობის დროს გარდაიცვალა და 1212 წლიდან 1225 წლამდე ჟანს მხოლოდ მისი და განსვენებული დედოფლის შვილის, იოლანდას (იგივე იზაბელა), რეგენტის ამპლუაში უწევდა მეფობა. ჟან დე ბრიენს გამეფებიდანვე მოუწია აიუბიანებთან შეტაკება. ვიდრე სულთან ალ-'ადილის ვაჟი ალ-მუ'აზზამი მცირე ძალებით აკრის მიდამოებში დათარეშობდა, მეფემ 1211 წლის ზაფხულში ტამპლიერებსა და თავის რამდენიმე ვასალს ნება დართო ზღვით დამიეტისკენ ელაშქრათ, თუმცა ეს ლაშქრობა წარუმატებელი გამოდგა. ამის შემდეგ, 1211 წელს, ჟან დე ბრიენი იძულებული გახდა ალ-'ადილს დაზავებოდა.

საინტერესოა, რომ ამ ზავის ვადა სწორედ მაშინ ამოიწურა, როცა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა დაიწყო. მანამდე კი აკრა\იერუსალიმის სამეფოში სრული სიმშვიდე სუფევდა. A History of The Crusades, 1951, p. 132-134.

აქვე უნდა ითქვას, რომ ჟან დე ბრიენი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობაში, რომლის დროსაც მას უნგრეთისა და კვიპროსის მეფეებთან მოუვიდა კონფლიქტი, ვინაიდან ისინი ჟან დე ბრიენს ამ კამპანიის საერთო ხელმძღვანელად არ მიიჩნევდნენ. ჟან დე ბრიენი სირიაში დარჩენილი ჯვაროსნების ერთადერთი წინამძღოლი გახდა მას შემდეგ, რაც უნგრეთის მეფე ევროპაში დაბრუნდა, ასევე შინ გაემგზავრა ანტიოქიისა და ტრიპოლის მთავარი, ხოლო კვიპროსის მეფე ამ კამპანიის დროს გარდაიცვალა. მან გაიხსენა რიჩარდ ლომგულის ძველი გეგმა, რომელიც ეგვიპტეზე პირდაპირ შეტევას ითვალისწინებდა. ჟან დე ბრიენმა ფლოტი დამიეტის შესართავთან გადასხა. დესანტის გადასხმის შემდეგ ეგვიპტის სულთანმა იერუსალიმი შესთავაზა დამიეტის სანაცვლოდ. მეფე თავის ბარონებთან ერთად ამ წინადადების მომხრე იყო ხოლო პაპის ლეგატი პელაგიუსი არ ეთანხმებოდა ზავს და დამიეტის აღებას მოითხოვდა. დამიეტის აღების შემდეგ მისი და პელაგიუსის ურთიერთობები კიდევ უფრო გაუარესდა. ბოლოს მეფე დაიღალა ამ ინტრიგებით და 1220 წლის 29 მარტს მიატოვა დამიეტა. ეგვიპტის კამპანიამ ჟან დე ბრიენს გაკოტრების მეტი არაფერი მოუტანა. მისი პრელატები წერდნენ: „სიღარიბე გახდა მთავარი მიზეზი მეფისა, რომელმაც მიატოვა არმია და დაბრუნდა აკრაში“. ჟან დე

ბრიენი მოგვიანებით კვლავ დაბრუნდა ეგვიპტეში, რადგან მასთან პელაგიუსის ელჩები მივიდნენ, რომ კაიროზე შეტევა დაეწყოთ. იგი არ ურჩევდა ამ ლაშქრობის ინიციატორებს ეგვიპტის სიღრმეში შეჭრას. მიუხედავად თავისი პოზიციისა, ჟან დე ბრიენი იძულებული გახდა ჩართულიყო ამ წამოწყებაში. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ავანტიურა მარცხით დამთავრდა და ჯვაროსნებს მთლიანად ეგვიპტის დატოვება მოუწიათ. აღნიშნული ლაშქრობის შემდეგ ჟან დე ბრიენი ევროპაში გაემგზავრა, რათა თავისი სამეფოსთვის სახსრები მოეძებნა. პაპ ჰონორიუს III-თან აუდიენციის დროს მან ამხილა პელაგიუსი და ამ კამპანიის წარუმატებლობაზე პასუხისმგებლობა მთლიანად მას დააკისრა. ელჩობის დროს ჰონორიუსმა ჟან დე ბრიენს შესთავაზა, რომ მისი ქალიშვილი ფრიდრიხ II შტაუფენზე დაექორწინებინა. ფრიდრიხმა, თავის მხრივ, მოსთხოვა იერუსალიმის ტახტი დაეთმო. რადგან ჟანი თავისი შვილის, იზაბელას რეგენტი იყო, ამიტომ ტახტი იზაბელას ქმარზე უნდა გადასულიყო და არა მამაზე. ამან ჟან დე ბრიენი ძალიან აღაშფოთა და თავის სიძეს დაუპირისპირდა. 1228 წელს იზაბელა გარდაიცვალა და ამის შემდეგ ფრიდრიხი კიდევ უფრო დაჟინებით აცხადებდა პრეტენზიას იერუსალიმის ტახტზე. 1229 წელს ჟან დე ბრიენი ლათინთა იმპერიის ბარონების მიერ მიწვეული იქნა კონსტანტინეპოლში იმპერატორ-რეგენტის ტიტულის მისაღებად ოღონდ იმ პირობით, თუ მომავალი იმპერატორი ბოდუენ კურტენე (ბოდუენ II კონსტანტინეპოლის ლათინთა სამეფოს იმპერატორი) დაქორწინდებოდა მის ქალიშვილ მარიაზე. 1235 წელს ლათინთა ბარონებმა ჟან დე ბრიენის ხელმძღვანელობით მოიგერიეს ნიკეის იმპერატორის იოან III დუკასა და ბულგარეთის მეფის ივან ასენ II-ის თავდასხმა დედაქალაქზე. ჟან დე ბრიენი მეორედ დაქორწინდა კილიკიის სომხეთის მეფის ლეონ I-ის ქალიშვილ სტეფანიაზე, რომლისგანაც ვაჟი ეყოლა, თუმცა ის მალევე გარდაიცვალა. მესამე ქორწინებიდან (მეუღლე ბერენგარია ლეონელი) მას ოთხი შვილი ჰყავდა. ჟან დე ბრიენი ღრმა მოხუცი გარდაიცვალა კონსტანტინეპოლში. სიკვდილის წინა ხანებში გახდა ფრანცისკანელთა ორდენის წევრი. იგი უშუალოდ იცნობდა წმინდა ფრანცისკ ასიზელს და 1228 წელს ასიზიში პაპ გრიგოლ IX-ის მიერ მის კანონიზაციას ესწრებოდა. ჟან დე ბრიენის თანამედროვეები მას სიმამაცით წარსულის გმირებს – ჰექტორსა და როლანდსაც კი ადარებდნენ, უწოდებდნენ მოგზაურ, მოხეტიალე რაინდს, რომელსაც ბედმა იერუსალიმისა და კონსტანტინეპოლის ტახტზე ასვლის ბედნიერება არგუნა.

[7] ტამპლიერები (ფრ: Templiers) - ტაძრის რაინდები. ასევე უწოდებდნენ ქრისტეს მილიციას. მას შემდეგ, რაც 1099 წელს ჯვაროსნებმა იერუსალიმი დაიკავეს, ევროპიდან წმინდა მიწაზე პილიგრიმთა მასობრივი ჩამოსვლა დაიწყო. მაგრამ მდგომარეობას ართულებდა ის, რომ იერუსალიმისკენ მიმავალი გზები ცუდად იყო დაცული, სრული განუკითხაობა სუფევდა.

პილიგრიმებს ძარცვავდნენ, კლავდნენ, ტყვედ მიჰყავდათ და ამ საქმეში მხოლოდ მუსლიმი ამირები და ბედუინები კი არ იყვნენ ჩართულნი, არამედ ადგილობრივი მოსახლეობაც. განსაკუთრებით საშიში იყო გზა იაფიდან იერუსალიმამდე, რომელიც რამლას მხარეში გადიოდა. რუსი იღუმენი დანილი, რომელმაც იმ დროისათვის (1112 წელი) ამ მხარეში იმოგზაურა, აღნიშნავდა, რომ რამლაში დიდებული ტაძარი ნახა, მაგრამ გარემო სრულიად უკაცრიელი იყო, რადგან ასკალონელი ეგვიპტელები შემთხვევას არ უშვებდნენ ხელიდან, რომ თავს არ დასხმოდნენ პილიგრიმებს. თვით მან გალილეაში წმინდა ადგილების მონახულება ბოდუენ I-ის დახმარებით შეძლო, რადგან მეფის რაზმს გაჰყვა, რომელიც მიდამოების დასაზვერად იყო გამოსული და მძარცველების ასალაგმავად. 1118 წელს იერუსალიმში მყოფმა ჯვაროსანმა რაინდებმა შექმნეს ძმობა, რომელიც მოწოდებული იყო წმინდა საფლავისკენ მიმავალი მლოცველებისა და საქარავნო გზების უსაფრთხოება დაეცვა. ორდენის შექმნის ინიციატორი და მისი პირველი დიდი მაგისტრი ფრანგი რაინდი ჰიუგ დე პეინი (Hugues de Payns) გახლდათ შამპანის საგრაფოდან. მან თავის რვა თანამოაზრესთან ერთად ჩამოაყალიბა ძმობა, დადეს ფიცი, რომ იცხოვრებდნენ სრულ მორჩილებაში, დაიცავდნენ წმინდა საფლავს და პილიგრიმებს. ბოდუენ II-მ მათ საცხოვრებლად სოლომონ მეფის ტაძრის ადგილზე აგებული ალ-აკსას (ომარის) მეჩეთის მხარე გამოუყო, რომელიც იმ ხანად იერუსალიმის მეფის რეზიდენციას წარმოადგენდა. აქედან მოდის მათი სახელწოდება ტამპლიერები – ტაძრის რაინდები (Fratres militiae Templi). ჟაკ დე ვიტრი, თავის „აღმოსავლეთის ისტორიაში“ წერს კიდეც ამ ორდენის დაარსების შესახებ: „ამ ცხრა რაინდმა წმინდა გადაწყვეტილება მიიღო. ისინი ცხრა წლის განმავლობაში წმინდა სამწყსოს ემსახურებოდნენ, როგორც გულმოწყალე მორჩილები. აღნიშნული სამსახურის გამო მეფემ, მისმა რაინდებმა და პატრიარქმა ამ კეთილი ადამიანებისათვის მრავალი წყალობა გაიღეს“. 1128 წელს ტრუას კრებაზე მათი ორდენის წესდება დამტკიცდა – „ქრისტეს ღარიბი ძმების მხედრობა“, რომელიც წმ. ბერნარმა შეადგინა. მან 1128 წელს ორდენის სადიდებლად დაწერა ტრაქტატი „ახალი რაინდობის ქების (ხოტბის) შესახებ“ „De laude novae militiae“. ჰოსპიტალიერების მსგავსად ტამპლიერთა ორდენის რაინდები ბერ-მონაზვნების წესზე ეწყობოდნენ, მაგრამ მათი მთავარი საქმე პილიგირმთა დაცვა და ჯვაროსნულ ომებში მონაწილეობა იყო. ტამპლიერებმა მთელ ჯვაროსნულ აღმოსავლეთსა და ევროპაში მალე მოიპოვეს სახელი. მეფეები, ეპისკოპოსები, ბარონები, გრაფები და ჯვაროსანთა მეთაურები ამ ორდენს უხვად სწირავდნენ მიწებსა და ფულს. გიიომ ტირელი გადმოგვცემს, რომ „მათი სამფლობელოები ზღვის ორივე მხარეს იმდენად ვრცელი იყო, რომ ქრისტიანულ სამყაროში სამეფო არ დარჩენილა, სადაც ამ ძმების საკუთრება არ ყოფილიყო, ხოლო მათი სიმდიდრე კი

თვით მეფეთა ქონებას უტოლდებოდა“. სულ მალე ეს ორდენი უძლიერეს სამხედრო შენაერთად გადაიქცა. იერუსალიმში არსებობს ორი ორდენი, ტამპლიერების და ჰოსპიტალიერების. ისინი ფლობენ აურაცხელ სიმდიდრეს და ევროპის ყველა რეგიონიდან შემოსდით უამრავი თანხა. ასევე ისინი ფლობენ ვრცელ მიწებს იერუსალიმის სამეფოში, საიდანაც ასევე დიდი შემოსავალი აქვთ. უფლის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის დღეებში მოწყობილ პროცესიაში ტამპლიერები მარჯვენა ფრთას იკავებენ, ხოლო ჰოსპიტალიერები მარცხნივ დგებიან. ტამპლიერები საუკეთესო მეომრეები არიან, ატარებენ თეთრ მოსასხამებს წითელი ჯვრებით. ბრძოლაში მათ წინ მიუძღვით ორფეროვანი დროშა, ბალზანოს სახელწოდებით. ისინი ბრძოლაში პირველები შედიან და უკან ყველაზე ბოლოს ბრუნდებიან. ემორჩილებიან მაგისტრს და როცა ის მოუწოდებს საბრძოლველად, გაისმის საყვირების ხმა და რაინდები მწყობრი რიგებით იწყებენ სვლას და მღერიან დავითიანის სიტყვებს: „არა ჩვენ ღმერთო, არამედ შენთვის და შენი სახელის დიდებისათვის“. შეტევაზე გადასვლის დროს, მტერს ესხმიან სრული საბრძოლო მწყობრით, ისე, რომ არცერთი მათგანი არ არღვევს ამ რიგს. ისინი არასდროს იხევენ უკან, მტერს ან სრულიად ანაგდურებენ, ან ბრძოლაში იღუპებიან. ომის შემდეგ, ისინი ჯარს არიერგარდში მოჰყვებიან და ამით იცავენ დანარჩენთა უსაფრთხოებას. თუ რომელიმე მათგანმა ბრძოლის დროს შიში გამოავლინა, გაქცევა მოინდომა ან თანამებრძოლებს უღალატა, სასტიკად სჯიან. მას ყველას თვალწინ ართმევენ ორდენის ძმის მთავარ ნიშანს – თეთრ მოსასხამს და ამით სამარცხვინოდ აძევებენ ძმობიდან. გაძევებულს უფლება აღარ აქვს ისადილოს სხვა ძმების გვერდით. იგი, როგორ ძაღლი ისე შეექცევა საჭმელს მიწაზე, ისე, რომ ჭურჭელიც კი არა აქვს წყლის დასალევად. ხოლო სალაფავს პირდაპირ მიწიდან მიირთმევს. თუ ძაღლი შეეზიარება ჭამის დროს, არ აქვს უფლება გააგდოს. ერთი წლის მერე, თუ მაგისტრი და ძმები ჩათვლიან, რომ დამნაშავე შესაბამისად დაისაჯა, თათბირის შემდეგ, შეიძლება უკან დააბრუნონ ორდენში. ტამპლიერები მკაცრად იცავენ ორდენის დადგენილ ნორმებს, მთელ დღეს ღია ცისქვეშ ატარებენ კარვებში, ერთად სადილობენ და ძილსაც ერთად მიეცემიან. რაც შეეხება ჰოსპიტალიერებს, ისინი მოსასხამებზე ატარებენ წითელ ჯვრებს, უვლიან ღარიბებს, მათხოვრებს და იცავენ თავინთი ორდენის დადგენილ წესებს. ტამპლიერების სიმამაცეს და მათ სამხედრო ღირსებებს მტრებიც კი აღიარებდნენ. სალაჰ ად-დინი აღნიშნავდა, რომ ჯვაროსანთა შორის, ტამპლიერების და ჰოსპიტალიერების რაინდები მუსლიმების ყველაზე დაუძინებელი მტრები იყვნენ და იმუქრებოდა, რომ „გაწმენდდა ქვეყნიერებას ამ ორი უწმინდური ჯგუფისგან, რადგან ისინი არასდროს შეწყვეტდნენ თავდასხმებს, ეს ყველაზე მავნე და საშიში ძალა იყო ურწმუნოებს (ქრისტიანებს) შორის“. ჯვაროსნულ აღმოსავლეთში ფრანკების

მიერ ციხესიმაგრეების მშენებლობის საქმეში დიდი წვლილი სწორედ ამ ორ დიდ ორდენს მიუძღვის. ტამპლიერები იერუსალიმის დაკარგვამდე წმინდა მიწაზე 18 დიდ ციხეს ფლობდნენ, სადაც ძირითადად მათი შენაერთები იყო განლაგებული. სწორედ ამ ციხეების საშუალებით აკონტროლებდნენ ჯვაროსანთა მმართველები დაკავებულ მიწებს სირია-პალესტინაში. ტამპლიერები ისეთ მნიშვნელოვან ციხესიმაგრეებს ფლობდნენ, როგორებიც იყო ტორტოზა, საფიტა (იგივე კასტელ-ბლანი) ტრიპოლის საგრაფოში, იერუსალიმის სამეფოში – თვით იერუსალიმის საფორტიფიკაციო ნაგებობების ნაწილს, იერიხონის კედლების გალავანსა და შატო-რუჟს (წითელი ციხე), რომელიც იერიხონსა და იერუსალიმს შორის დამაკავშირებელ საქარავნო გზას აკონტროლებდა. გალილეის საგრაფოში–საფეტის მიუვალ სიმაგრეს, ასევე ღაზის, ლა-ფევის, პილიგრიმების ცნობილ (ატლიტი) ციხეებს. იერუსალიმის დაკარგვის შემდეგ ტამპლიერთა რეზიდენცია აკრაში გადავიდა. მას შემდეგ, რაც ჯვაროსნებმა წმინდა მიწა დაკარგეს, ტამპლიერების ორდენის მთავარი რეზიდენცია საფრანგეთში გადავიდა. 1307 წელს ფილიპე IV ლამაზმა ორდენი გააუქმა. Хилленбранд, 2008, ст. 325; Bauer, 1997, p. 16-17.

[8] ჰოსპიტალიერთა (ფრ: Ordre de Saint-Jean de Jérusalem, teqstSi:l'Hôpital) ანუ იოანიტთა ორდენი. სახელწოდება მომდინარეობს ჯვაროსნულ ეპოქაში იერუსალიმში არსებული წმინდა იოანეს სახელობის ჰოსპიტალიდან, რომელიც ჯერ კიდევ ადრეული საუკუნეებიდან არსებობდა. მათ ასევე წმინდა იოანეს ორდენის რაინდებს უწოდებდნენ. 1099 წელს, იერუსალიმის აღების შემდეგ, რამდენიმე ფრანგმა რაინდმა გადაწყვიტა, რომ იერუსალიმში ჰოსპიტალი დაეარსებინა. ამ ორდენის დამაარსებლად ფრანგი რაინდი ჟერარ დე მარტიგი ითვლება, რომელიც მისი პირველი დიდი მაგისტრი გახდა. მათი მთავარი ფუნქცია ავადმყოფ პილიგრიმთა და დაჭრილ სამხედრო პირთა მოვლა იყო. თავიდან ეს რელიგიურ ორდენს წარმოადგენდა, რომლის წევრები მონასტრის ბერებივით ცხოვრობდნენ, იკვებებოდნენ ღარიბულად და უბრალო სამოსს ატარებდნენ. შემდგომში რაინდთა გარდა ამ ორდენში შედიოდნენ მორჩილები და მსახურები, რომელთა მოვალეობასაც ავადმყოფთა მოვლა წარმოადგენდა. ჰოსპიტალიერთა ეს ორდენი იერუსალიმში არსებული წმ. ლაზარეს ორდენის მსგავსად შეიქმნა, რომლის ძმების მოვალეობას კეთროვნების მოვლა-პატრონობა წარმოადგენდა. ჰოსპიტალი ერთდროულად 2000 პაციენტს ემსახურებოდა და წყალობას გასცემდა. ჰოსპიტალიერებმა თავიანთი საქმიანობით საზოგადოებაში მალე გაითქვეს სახელი და მდიდარი პირები ორდენისათვის უხვად გასცემდნენ შესაწირავს. გადმოცემით, სულთანი სალაჰ ად-დინი ღარიბულადაც კი შეიმოსა და რამდენიმე ხანი იცხოვრა ორდენის ძმებთან ერთად, რათა უკეთ გაცნობოდა ჰოსპიტალიერთა საქმიანობას. აღფრთოვანებას გამოთქვამს უსამა იბნ-მუნკიზი ჰოსპიტალიერთა საქმიანობის შესახებ: „სებასტიაში

ყოფნისას წმ. იოანეს სახელობის ეკლესია და ჰოსპიტალი ვნახე, რომლის ძმების საქმიანობამ აღტაცებაში მომიყვანა, მაგრამ ამავე დროს დამამწუხრა, რადგან მუსლიმებს შორის არ შემხვედრია ამის მსგავსი ღვთიური მოწყალება". Усама Ибн Мункыз, MCMXXII. ჰოსპიტალი ავადმყოფი პაციენტით ამ ორდენის ბეჭედზეც იყო გამოსახული. 1113 წელს რომის პაპმა პასხალიუს II-მ თავისი ბულით ოფიციალურად დაამტკიცა მისი წესდება, რაც, ფაქტობრივად, ამ ორდენის დაარსების საფუძვლად იქცა. შემდგომში ჰოსპიტალიერთა რაინდები სამხედრო ფუნქციასაც ითავსებდნენ, რადგან მათ მოვალეობაში პილიგრიმთა დაცვა და წმინდა მიწაზე მათი უსაფრთხოდ გადაადგილება შედიოდა. ამიტომ ეს ორდენი დროთა განმავლობაში უძლიერეს სამხედრო შენაერთად იქცა და ჯვაროსანთა მიერ წარმოებულ ყველა კამპანიაში იღებდა მონაწილეობას. ტამპლიერთა ორდენთან ერთად ისინი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ წმინდა მიწაზე. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს ჰოსპიტალიერთა ორდენის მთავარი რეზიდენცია ქალაქ აკრაში იყო. ჰოსპიტალიერებს უმნიშვნელოვანესი ციხე-სიმაგრეები ეკუთვნოდათ როგორც იერუსალიმის სამეფოში, ასევე სხვა ჯვაროსნულ სამთავრო-საგრაფოებში: კრაკ დე შევალიე, მარგათი, ჟიბელე, ბელვუარი (ბოვუარი) და ათეულობით დიდი თუ მცირე საფორტიფიკაციო სისტემების მთელი ქსელი. 1291 წლიდან, მას შემდეგ, რაც ჯვაროსნებმა პალესტინა დატოვეს, ისინი კვიპროსზე გადავიდნენ, ხოლო 1309 წლიდან კი როდოსზე, რომელსაც 1522 წლამდე ფლობდნენ, ამიტომ მათ როდოსის რაინდებსაც უწოდებდნენ. ამის შემდეგ ჰოსპიტალიერები კუნძულ მალტაზე დაფუძნდნენ და დღესდღეობით ჰოსპიტალიერების მემკვიდრედ მალტის ორდენი ითვლება.

[9] 1191 წ. 12 ივლისი. იერუსალიმის აღების შემდეგ აკრაც სალაჰ ად-დინის ხელში გადავიდა. მაგრამ სულ მალე ევროპიდან ახალი ძალები დაიძრნენ წმინდა ქალაქის გასათავისუფლებლად. ამ მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის ძირითადი მოვლენები განვითარდა არა იერუსალიმთან, არამედ აკრის მიდამოებში. ჯერ კიდევ ჯვაროსანთა ძირითადი ძალების მოსვლამდე, რომელსაც ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგული და საფრანგეთის მეფე ფილიპ ოგიუსტი ხელმძღვანელობდნენ, ჯვაროსნებმა იერუსალიმის მეფის გი დე ლუზინიანის, ტირის სენიორის კონრად მონფერატელის, შამპანის გრაფის ანრის, ფრიდრიხ ბარბაროსას ვაჟის, ფრიდრიხ შვაბელის ხელმძღვანელობით და იტალიელთა ფლოტის დახმარებით აკრას ალყა შემოარტყეს. სალაჰ ად-დინმა ვერ მოახერხა ალყის გარღვევა და ფრანკთა განდევნა ქალაქის მიდამოებიდან. ამასობაში აკრასთან ჯვაროსანთა ძირითადმა ძალებმა მოიყარეს თავი ფილიპ ოგიუსტის და რიჩარდ ლომგულის მეთაურობით. აკრის მდგომარეობა გამოუვალი გახდა, რადგან საერთო შეთანხმებით საფრანგეთის მეფეს იერიში მიჰქონდა ქალაქზე, ხოლო ინგლისის მეფე კი ქალაქის

სიახლოვეს დაბანაკებულ სალაჰ ად-დინის არმიას უტევდა. ბოლოს, სალაჰ ად-დინი იძულებული გახდა ქალაქი დაეთმო და თან ჯვაროსნებს შეჰპირდა, რომ გადაიხდიდა კონტრიბუციას 200 000 დინარის ოდენობით, გაათავისუფლებდა 2500 ტყვეს და ქრისტიანებს წმინდა ჯვარს დაუბრუნებდა, რომელიც მათ ჰატინთან ბრძოლაში დაკარგეს. ამ პერიოდიდან აკრა იერუსალიმის სამეფოს დედაქალაქი ხდება.

[10] 1217 წლის გაზაფხულზე ჯვაროსანთა ძირითადი ძალები ვენეციელების, ანკონელების და ზადარელების ხომალდებით უნგრეთის სამეფოს საპორტო ქალაქ სპოლეტოდან (სპლიტი) დაიძრნენ. აქ, ძირითადად, თავმოყრილნი იყვნენ უნგრელი, ავსტრიელი და გერმანელი რაინდები. ხოლო ჯვაროსნების ნაწილი კი გენუის, მარსელისა და ბრინდიზის პორტებიდან წმინდა მიწისაკენ გაემართა. უნგრეთის მეფეს თან ახლდნენ ავსტრიის, ბავარიის ჰერცოგები, გერმანელი და უნგრელი ბარონები. იმისათვის, რომ ყველა თავისი რაინდი გადაესხა წმინდა მიწაზე, უნგრეთის მეფემ ვენეციელებისგან ხომალდები იქირავა და ამის გამო მათ თავის მფლობელობაში არსებული ქალაქი ზადარი გადასცა. ასევე უნგრეთის მიწაზე მყოფ ტამპლიერთა ორდენის მაგისტრს სპოლეტო მიაგირავა. კვიპროსის მეფე ლიმასოლიდან პტოლემიადისაკენ გაემგზავრა. ჯვაროსნებმა ამ კამპანიაში საკმაოდ დიდ ძალებს მოუყარეს თავი. ქრისტიანების ლაშქარი 50 000 მეომარს აღწევდა. „ჰერაკლეს ისტორია"-ში (Estoire d'Eracles) ამ არმიის უფრო დაწვრილებითი აღწერაა მოცემული: 2000 რაინდი, 1000 ცხენოსანი მსახური, 20000 ქვეითი (სერჟანტი), ასევე 30000 გამყოლი მამაკაცი და ქალი. Röhricht, 1891, p. 33. თუმცა, ჟ. რიშარს შედარებით რეალური ციფრი აქვს მოყვანილი – 2000 რაინდი და 20 000 ქვეითი. Ришар, 2002, ст. 210. აბუ შამა 15 000 მეომარს ასახელებს. სხვა არაბი მემატიანე – ტაბარის გამგრძელებელი, ზოგადად, აღნიშნავს, რომ სირიაში სალაჰ ად-დინის დროიდან ფრანკებს ასეთი ძლიერი და მრავალრიცხოვანი არმია არ ჰყოლიათ, ეს დახმარება დიადი რომისგან, ასევე ჩრდილოეთით და დასავლეთით მდებარე სხვა ფრანკთა მიწებიდან მიიღეს. Мишо, 1841, ст. 432. რაც შეეხება ავტორის მიერ წერილში ნახსენებ 1191 წელს აკრის ალყაში მოქცევის ამბავს, სხვადასხვა წყაროს მონაცემების შეჯერებით ჯვაროსნებს ქალაქის მისადგომებთან დაახლოებით 25 000 მეომარი ჰყავდათ. იერუსალიმის მეფემ გი დე ლუზინიანმა 1189 წლის აგვისტოში აკრაზე შესატევად თავი მოუყარა მცირე არმიას, რომელიც ძირითადად სიცილიელი რაინდებისგან, ასევე იერუსალიმის სამეფოს იმ ბარონებისა და რაინდებისგან შედგებოდა, რომლებიც ჰატინის კატასტროფას გადაურჩნენ. არნოლდ ლუბეკელის ცნობით, აკრასთან მდგარი გის არმია 200 რაინდისაგან შედგებოდა და ბევრად მცირერიცხოვანი იყო თვით აკრის გარნიზონზე. გი დე ლუზინიანის ეს გაბედული და თავგანწირული რეიდი, თავიდან თვით სალაჰ ად-დინისათვისაც კი დაუჯერებელი

იყო, რომელიც იმ დროისათვის ბოფორის ციხეს უტევდა. მოგვიანებით, ამ არმიას შეუერთდნენ კონრად მონფერატელის, ანრი შამპანელის, ფრიდრიხ შვაბელის რაზმები და იტალიური ქალაქების – პიზისა და გენუის ფლოტილიის ხომალდები, რომლებმაც აკრას ზღვიდან ალყა შემოარტყეს. არაბი მემატიანის, სალაჰ ად-დინის ცხოვრების აღმწერის ბაჰა ად-დინის მონაცემებით, საფრანგეთის მეფე ფილიპ ოგიუსტი ექვსი ხომალდით მოადგა აკრას, ხოლო ინგლისის მეფის რიჩარდ ლომგულის ფლოტი 25 ხომალდისაგან შედგებოდა.

[11] აკრასთან შეკრებილმა ჯვაროსნებმა 1217 წლის ნოემბერში პირველი მოქმედება გალილეაში დაიწყეს. დამასკოს გამგებელმა ალ-მუ'აზზამმა ვერ მოახერხა ერთიანი ფრონტის შექმნა, რადგან ძალები სხვადასხვა მხარეში ჰყავდა გაფანტული. ეგვიპტის სულთანი ალ-'ადილი თავის ვაჟს საყვედურობდა, რომ მან არ მიმართა ძველებურ ხერხს – არ გაანადგურა მიდამოები, რათა მტერს სურსათით სავსე სოფლები და ქალაქები არ ჩავარდნოდა ხელში. ჯვაროსნებმა ციხე-სიმაგრე ლა ფევს გვერდი აუარეს, მოულოდნელად იორდანეს ნაპირებთან გამოჩნდნენ და ბეისანს შეუტიეს. ალ-'ადილმა ვერ მოახერხა წინააღმდეგობის გაწევა და სასწრაფოდ უკან დაიხია. ქრისტიანებმა დაიკავეს და დაარბიეს ბეისანი. ამის შემდეგ ძალები ჩრდილოეთისაკენ მიმართეს, იორდანე გადალახეს, ტიბერიადის ტბას (გალილეის ტბა) გვერდი აუარეს და ციხე-სიმაგრე ბანიასს (cezarea de filipi) ალყა შემოარტყეს. დამასკომდე სულ რაღაც 40-45 კილომეტრის მანძილი რჩებოდა. ამ რეიდმა დამასკოში შეშფოთება გამოიწვია, რადგან დღე-დღეზე ელოდნენ ქალაქის კედლებთან ჯვაროსანთა გამოჩენას. თუმცა, მათი შიში არ გამართლდა, ვინაიდან ქრისტიანებმა აღარ გააგრძელეს შეტევა, რადგან მუსლიმები სულ უფრო და უფრო უკან იხევდნენ ქვეყნის სიღრმეში. ჯვაროსნებს, ფაქტობრივად, ერთიანი ფრონტით წინააღმდეგობა არც შეხვედრიათ. ამავე დროს ალ'მუაზზამმა ნავასა და დამასკოს შორის მდებარე მიწები ააოხრა, ჭები ამოავსო, მინდვრები გადაწვა, რომ დამასკოსაკენ მოწინააღმდეგის სვლა შეეფერხებინა. ამიტომ, ჯვაროსანთა მეთაურებმა საჭიროდ აღარ ჩათვალეს გზა გაეგრძელებინათ, ტყვეებითა და ალაფით დატვირთული არმია აკრისაკენ გაბრუნდა უკან (გ. მიშო ამ რეიდს ქრისტიანთა ნეტარებით აღსავსე მოგზაურობას უწოდებს, რადგან ჯვაროსანთა მეთაურები და მეომრები იორდანეს წყალში განიბანენ, მათი სვლა იერიხონის დაბლობზე და ტიბერიადის ტბისკენ პილიგრიმთა სვლას უფრო წააგავდა ღვთის სადიდებელი სიმღერებით, ვიდრე საბრძოლოდ შემართული რაზმების სამხედრო წყობას.). რ. რორიხტს კი მარშრუტი უფრო დაწვრილებით აქვს მოცემული: ქრისტიანებმა 50000 მეომარი შეკრიბეს. მათი პირველი თავდასხმის პუნქტი აინ ტუბაუნი ('Ain Tuba'ûn, – ნაზარეთის დასავლეთით) იყო, მეორე დღეს ბეისანთან გაჩნდნენ, საიდანაც ალ-მალიქ-

მა თავის შვილ მალიქ ალ-მუ'აზზამთან ერთად უბრძოლველად უკან დაიხია. იგი დამასკოს სამხრეთით გაემართა, მარჯ ას-სუფარისკენ (Merdsch as-suffar – შავი მდელო, დამასკოსა და ნავას შორის, სადაც გადმოცემით პავლემ ჭეშმარიტი რჯული იწამა. მისმა უკუქცევამ დამასკოში პანიკა გამოიწვია, მაგრამ, როცა ჰიმსის მფლობელი ასად ად-დინ შირკუხი თავის რაზმთან ერთად ქალაქში შემოვიდა, მან მოსახლეობა დაამშვიდა. თუმცა, მკვლევრები ფიქრობენ, რომ ქრისტიანებმა სირიის სიღრმეში შეჭრას შეგნებულად აარიდეს თავი, რადგან ალ-მუ'აზზამმა და ალ-'ადილმა დასახმარებლად მეზობელ მუსლიმ ამირებს მოუწოდეს. დამასკოზე რეიდი მოუმზადებელი იყო, არმიას ამ შორეული და მომქანცველი ლაშქრობისათვის მეტი სურსათი სჭირდებოდა, კერძოდ წყლის რესურსები და დიდძალი საალყო მანქანები. Мишо, 1841, ст. 434; Röhricht, 1891,ст. 27-28; Ришар, 2002, ст. 210.

[12] 1217 წლის 3-დან 5 დეკემბრამდე. თაბორის მთა (ფრ: Mont Thabor) – ისტორიულ გალილეაში, ესდრელონის დაბლობზე. დღევანდელი ისრაელის ტერიტორია. ჯვაროსნულ ეპოქაში აქ ლათინებმა საფორტიფიკაციო ნაგებობები ააშენეს, რომლებიც ეგვიპტიდან დამასკომდე არსებულ გზას აკონტროლებდა. თაბორის მთის სიმაგრე იორდანეს ნაპირებს, კერძოდ ტიბერიადის ტბის სანაპიროებს გადმოჰყურებდა. პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ ამ მთაზე, სწორედ იმ ადგილას, სადაც ქრისტეს ფერისცვალება მოხდა, კლუნიელმა ბერებმა წმ. ელენეს სახელობის მონასტერი დააარსეს. 1187 წელს, ჰატინთან გამარჯვების შემდეგ, აიუბიანებმა ხელში ჩაიგდეს იგი, წმ. ელენეს მონასტერი. მათ ასევე გაანადგურეს ილიასა და მოსეს ადგილსამყოფელი და იმ ადგილზე დიდი ციხე-სიმაგრე აღმართეს, რომელიც პტოლემიადის (აკრის) მიდამოებს საფრთხეს უქმნიდა. 1211 წელს დამასკოს გამგებელმა ალ-მუ'აზზამმა იგი კიდევ უფრო გაამაგრა ძლიერი გარნიზონით. ციხეს 77 ბურჯი შემოავლო, რომელშიც 2000 მეციხოვნის განთავსება შეიძლებოდა. ინოკენტი III თავის წერილში (1213 წლის 19 აპრილი) სწორედ ამ ძლიერი ციხის შესახებ გამოთქვამს შეშფოთებას, რადგან ფრანკებმა და რომის პაპმა კარგად უწყოდნენ რა საშიშროებას წარმოადგენდა ეს ძლიერი და სტრატეგიულ ადგილზე მდებარე ციხე ჯვაროსანთა სამფლობელოებისათვის. საერთოდ, ამ ფორტიფიკაციის მუსლიმთა ხელიდან გამოგლეჯა სწორედ მეხუთე ლაშქრობის დაწყების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, ბეისანის აღების შემდეგ, ჯვაროსნებმა თაბორის მთაზე არსებული მუსლიმთა გარნიზონის წინააღმდეგ მეორე ძლიერი შეტევა დაიწყეს. მას შემდეგ, რაც პირველი რეიდი ასე უნაყოფოდ დამთავრდა, ჯვაროსანთა მეთაურებმა რიჩარდ ლომგულის ძველი გეგმა გაიხსენეს, რაც ეგვიპტეში ჯარის გადასხმას ითვალისწინებდა, მაგრამ, ვინაიდან ზამთრის პირი იყო და ჯარების ზღვით გადასხმა რთულდებოდა, ამიტომ გადაწყვიტეს, რომ თაბორის მთის ციხ-

ისათვის შეეტიათ. ჟან დე ბრიენმა ციხის საშველად მომავალი მოწინააღმ-დეგის რაზმი გაფანტა და ქრისტიანები თაბორის სიმაგრეებისათვის ალყის შემორტყმას შეუდგნენ, თუმცა ჯვაროსნებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს. ალყა 10 დღის განმავლობაში გრძელდებოდა და ქრისტიანები უშედეგოდ ცდილობდნენ მის აღებას. ანტიოქიისა და ტრიპოლის გრაფმა ბოემუნდ IV-მ, ძალების გამოფიტვის, ასევე პროვიანტის უქონლობის მომიზეზებით, აიძულა დანარჩენი რაინდები, რომ ალყა მოეხსნათ. ფაქტობრივად, სირია-პალესტინაში მიმდინარე ეს ჯვაროსნული ლაშქრობა თაბორის მთის ციხის უშედეგო ალყის შემდეგ დასრულდა, რადგან მისი ძირითადი მონაწილეები პტოლემიადიდან თავიანთ ქვეყნებში გაბრუნდნენ.

[13] შუა საუკუნეებში ციხე-სიმაგრეების მშენებლობის განვითარებამ საალყო მოწყობილობების განვითარებაც გამოიწვია. ზოგიერთი მათგანის გამოყენების ტექნიკა (მაგალითად, ბორბლებზე მოძრავი კოშკი, რომელსაც კედელს ადგამდნენ, ასევე ტარანი) ჯერ კიდევ ანტიკური დროიდან იყო ცნობილი, თუმცა, XIII საუკუნე, შეიძლება ითქვას, რომ საალყო ტექნოლო-გიების განვითარების თვალსაზრისით, საეტაპო პერიოდია. სწორედ ამ პე-რიოდში (ანუ მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის ეპოქაში) აღმოსავლეთის გავლენით, ევროპაში, ორი ტექნოლოგიური სიახლე მკვიდრდება: პეტრარია (კედლების სამტვრევი მანქანა, რომელიც სასწორის პრინციპით მუშაობდა) და ბერძნული ცეცხლი.

შუა საუკუნეების საალყო მანქანები ტრანსპორტირებისთვის ძალიან მძიმე იყო. ზღვაზე მათ გადასატანად სპეციალური ტიპის გემიც კი გამოიყ-ენებოდა. სახმელეთო ლაშქრობის პირობებში კი, მათ სატარებლად არმიას სპეციალურად გაწვრთვნილი ცხოველები ახლდა. თუმცა, აქვე უნდა ითქ-ვას, რომ საალყო მოწყობილებები დიდ მანძილზე იშვიათად დაჰქონდათ. საჭიროების შემთხვევაში მათ ადგილზე ამზადებდნენ. ბრძოლის დას-რულების შემდეგ კი მათ წვავდნენ, რათა იგი მტერს არ ჩავარდნოდა ხელ-ში. წყაროებში ზოგჯერ კონკრეტული პიროვნებებიც კი იხსენიება, რომ-ლებიც საალყო მანქანების კეთებაზე სპეციალიზდებოდნენ. მაგალითად, XIII საუკუნის ისტორიკოსი გერბერტ მეცელი ახსენებს ინჟინერ მორენს, რომელმაც, როგორც მემატიანე ამბობს: „ხის შესახებ უფრო მეტი იცის ვიდრე მღვდელმა ლათინური“. მესამე ჯვაროსნული ეპოქის ისტორიკოსი ამბროსი ხშირად ახსენებს მექანიზმს, რომელიც ლოდებს ისროდა. საინ-ტერესოა, რომ ჩვენამდე მოაღწია მუსლიმურმა წყაროებმა იმის შესახებ, თუ როგორი ეფექტი ჰქონდა ამ ტიპის იარაღის მოქმედებას. მაგალითად, უსამა იბნ მუნკიზი ჰყვება, თუ როგორ გაუპო თავი ფრანკების ბანაკიდან ნასროლმა ქვამ მუსლიმ ჯარისკაცს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯვაროსნული ლაშქრობის დროს ხშირად იყენებდნენ ხის კოშკებს ბორბლებზე, რომლებსაც ცეცხლისგან დაცვის

მიზნით ტყავი ჰქონდათ შემოვლებული; ფართოდ იყო გავრცელებული გა-ლავანზე კიბეების მიდგმის პრაქტიკაც. გამოიყენებოდა კედლის სამტვრევი მანქანა ტარანიც. საალყო მანქანები შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეების წინააღმდეგ მოქმედების ერთადერთი იარაღი არ იყო. მათი აღების მიზნით, ხშირად, ღრმა, გრძელ და ფართო სანგრებსაც იყენებდნენ. A History of The Crusades, 1977, p. 30-32; Средневековая Европа глазами современников и историков. 1994, ст. 169-170.

[14] წერილის ავტორი სწორედ თაბორის მთის ციხის ალყის მოხსნაზე მიუთითებს, რომელმაც ქრისტიანთა რიგებში დიდი განხეთქილება შეიტ-ანა. ამ ფრაგმენტში ასახულია ის უკმაყოფილება, რომელმაც ქრისტიან-თა რიგებში დაისადგურა. ამის მიზეზი ჯვაროსანთა მეთაურების უნიათო საქციელი იყო, ხოლო პირველ რიგში კი ბრალი ანტიოქიის და ტრიპოლის მთავარს ბოემუნდ IV-ს (უნგრეთის მეფე არ მონაწილეობდა ამ ლაშქრობაში, რადგან უკან დაბრუნების შემდეგ აკრაში ავად გახდა და კამპანიის მეთაუ-რობა ხელში აიღეს ბოემუნდ IV-ემ და ბარონების საბჭომ) ედებოდა. ციხეზე ალყის შემორტყმის დროს ჯვაროსანთა მეთაურთაგან მხოლოდ იერუსა-ლიმის მეფე ჟან დე ბრიენი აქტიურობდა, რომელმაც რამდენიმე მძლავრი იერიში მიიტანა მასზე. ვინაიდან, ის საერთო კამპანიის ხელმძღვანელად არ ითვლებოდა, ამიტომ ჯვაროსნებმა, ბოემუნდ IV-ის გადაწყვეტილებით, ალყა მოხსნეს და აკრისაკენ უკან დაიხიეს. იერუსალიმის პატრიარქი ამ ფაქტით იმდენად აღშფოთდა, რომ არმია მიატოვა და უნიათობის გამო, ფაქტობრივად, შერისხა მათი მეთაურები. ამიტომაც აქვს წერილის ავტორს ასე კრიტიკულად განხილული აღნიშნული საკითხი. თაბორის მთის ციხეზე შეტევას არაბი მემატიანეც აღწერს, კერძოდ, ტაბარის გამგრძელებელი, რომელიც გადმოგვცემს, რომ ქრისტიანებმა თაბორის ციხეს შეუტიეს, მაღ-ლობზე ავიდნენ და მის კედლებს მიუახლოვდნენ. ცოტა დააკლდათ მის აღებამდე, მაგრამ მათი ერთ-ერთი მეთაურის სიკვდილმა აიძულა ისინი, რომ გალავნის კედლებიდან, რომლის გარშემოც ჩვიდმეტი დღის განმავ-ლობაში იდგნენ, უკან დაეხიათ.

[15] ბელფორის ანუ ბოფორის ციხესიმაგრე. (ფრ: Belfort) ე.წ. ლამაზი ციხესიმაგრე. მდებარეობს დღევანდელ ლიბანში. XII საუკუნეშია აშენებული ჯვაროსნების მიერ 300 მეტრის სიმაღლის კლდეზე. აკონტროლებდა ტირო-სიდან დამასკოზე მიმავალ გზებს და დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ეკუთვნოდა სიდონის გრაფს რეჟინალდ გრენიეს, რომელიც ჰატი-ნის ბრძოლაში მონაწილეობდა და იმ მცირერიცხოვან რაინდთა შორის იყო, რომელმაც მუსლიმთა ალყის გარღვევა მოახერხა. 1190 წელს ის სალაჰ ად-დინმა მას შემდეგ აიღო, რაც სიდონის გრაფს ციხიდან უვნებლად გაშვებას შეჰპირდა. 1240 წელს დამასკოს გამგებელმა საზავო მოლაპარაკების შემ-დეგ იგი ჯვაროსნებს გადასცა. შემდგომში რეჟინალდ გრენიეს შვილიშვილ-

მა ტამპლიერებს მიჰყიდა, რომლებიც მას 1268 წლამდე ინარჩუნებდნენ.

[16] ბელინა (ფრ: Belinas) - ბანიასი ან პანეასი, რომელსაც ასევე ცეზარეა დე ფილიპს (Césarée de Philippe) უწოდებდნენ. ძველი ქალაქი, მდებარეობს დღევ. ისრაელში, ჰერმონის მთის ძირას, იორდანის აღმოსავლეთ შენაკადთან. 1099 წელს ჯვაროსნებმა ის უბრძოლველად აიღეს და იერუსალიმის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ქალაქს სტარტეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იერუსალიმის სამეფოსა და დამასკოს საამიროს შორის საზღვარს წარმოადგენდა. მას იერუსალიმის სამეფოს გასაღებს უწოდებდნენ. ამის გამო მოწინააღმდეგეთა შორის ეს ქალაქი ხელიდან ხელში გადადიოდა. 1164 წელს ნურ ად-დინ ზენგიმ დაიკავა და მრავალი მცდელობის მიუხედავად, ქრისტიანებმა ბრძოლითაც კი ვერ დაიბრუნეს, თუმცა 1229 წელს იმპერატორ ფრიდრიხ II-სა და სულთან ალ-ქამილის შორის დადებული ზავის თანახმად, იგი ტორონთან და საფეტთან ერთად ქრისტიანებს დაუბრუნდა.

[17] ეს ჯვაროსნების მესამე ცდა იყო, რომ ამ კამპანიაში რაიმე წარმატებისათვის მაინც მიეღწიათ. წინა ორი ლაშქრობისგან განსხვავებით, ეს რეიდი უფრო მეკობრულ ხასიათს ატარებდა, რადგან ჯვაროსანთა მეთაურების გარეშე რაინდთა მხოლოდ მცირე რაზმები მონაწილეობდა. იერუსალიმის პატრიარქი იმდენად აღაშფოთა თაბორის ციხესთან ჯვაროსანთა მეთაურების უნიათობამ, რომ მოლაშქრეები მიატოვა და აკრაში ეპისკოპოსებთან ერთად უკან გაბრუნდა. ასე რომ, ეს მესამე ცდა კიდევ უფრო უიღბლო აღმოჩნდა. რეიდი სიდონის სამხრეთით, ფინიკიაში, ლიტანიის (მარჯ-აიუნი) რეგიონში განხორციელდა. ერთმა უნგრელმა თავადმა (აბუ შამას მიხედვით უნგრეთის მეფის ანდრაშის დისშვილი) თავისი რაზმით ციხე-სიმაგრე გაზენი აიღო, თუმცა უკან დახევის დროს მისი რაზმი ბედუინებმა გაანადგურეს. თავის მხრივ, სიდონის გრაფმა 500 მეომრით ბოფორის (ბელფორის) ციხეზე შეტევა განახორციელა, მაგრამ ჰარინთან და მეშგარას მიდამოებში ეს რაზმი მუსლიმებმა გაანადგურეს. სიდონში მხოლოდ სამი მეომარი დაბრუნდა. რაც შეეხება ჯვაროსანთა მეორე რაზმს, იგი აკრაში გაბრუნდა, რადგან კოკისპირული წვიმებისა და აცივების გამო გზის გაგრძელება ვერ მოახერხეს.

[18] 1217 წლის 1 ნოემბრიდან 1218 წლის 1 იანვრამდე.

[19] ნათლისღების დღესასწაული (ბერძ. გამოცხადებას ნიშნავს). დასავლეთის ქრისტიანები ამ დღის აღნიშვნას მოგვების მიერ ჩვილ ქრისტესთან მიახლებას და, ამგვარად, მაცხოვრის ამქვეყნად მოვლინებას ზეიმობენ. აღმოსავლეთ ქრისტიანები კი იოანე ნათლისმცემლის მიერ იორდანეში ქრისტეს მონათვლას უკავშირებენ და აქ მაცხოვრის კაცობრიობისთვის მოვლენის გამოცხადებას ხედავენ. დასავლური ქრისტიანული სამყარო ამ დღესასწაულს 6 იანვარს, ხოლო აღმოსავლური სამყარო 19 იანვარს ზეიმობს.

[20] ბოემუნდ IV (1201-1233) ანტიოქიისა და ტრიპოლის მთავარი იყო. მესამე წერილის ავტორი მას ტრიპოლის გრაფს უწოდებს, მაშინ როცა ჟაკ დე ვიტრი თავის მეორე წერილში მას ანტიოქიის მთავრად და ტრიპოლის გრაფად იხსენიებს. აქაც ჩანს, რომ ეს წერილები სხვადასხვა ავტორის მიერ არის შედგენილი. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის წინარე პერიოდში ტრიპოლის საგრაფო საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ ეტაპზე მისი და ანტიოქიის სამთავროს ბედი ერთმანეთთან მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული. ამ პერიოდში აქ დიდ კონფლიქტს ჰქონდა ადგილი ბოემუნდ IV-სა და კილიკიის სომეხთა მეფე ლეო II-ს შორის, რომელშიც რომის პაპი, იერუსალიმის მეფე და მუსლიმი მეფე მთავრებიც კი აღმოჩნდნენ ჩათრეული.

კონფლიქტის საფუძველი ანტიოქიაში ტრიპოლის გრაფ ბოემუნდის დამკვიდრება გახდა. იგი ანტიოქიას თავისი ძმისშვილის, რაიმონდ რუპენის მემკვიდრეობითი უფლებების დარღვევით დაეუფლა. სომეხთა მეფე ლეო II რაიმონდ რუპენის ბიძა იყო. მას, თავის მხრივ, ციხე-სიმაგრე ბაგრას გამო კონფლიქტი ჰქონდა ტამპლიერებთან. სიტუაციას ართულებდა ისიც, რომ ბოემუნდის წინააღმდეგ მას ჰოსპიტალიერებიც აქეზებდნენ. მოწინააღმდეგეები კონფლიქტის მსვლელობისას არც მუსლიმი მეზობლების გამოყენებას თაკილობდნენ. მაგალითად, ბოემუნდი რეგულარულად აწარმოებდა მოლაპარაკებებს ლეოს მტერ სელჩუკებთან და ალეპოს მმართველ ალ-ზაჰირთან, რომელიც ყოველთვის მზად იყო ქრისტიანული სახელმწიფოები კონფლიქტში ჩაეთრია.

წმინდა მიწაზე გაჩაღებულ დაპირისპირებაში დიდი მნიშვნლობა ჰქონდა ეგვიპტის სულთან ალ-'ადილისა და იერუსალიმის მეფის განწყობას. სულთანი ალ-'ადილი ბოემუნდს ცუდი თვალით უყურებდა. იერუსალიმის მეფეების განწყობა კი ცვალებადი იყო. მაგალითად, ტრიპოლიში დაწყებული ბარონთა აჯანყების ჩახშობა ბოემუნდ ტარენტელმა მხოლოდ მას შემდეგ შეძლო, რაც მეფე ამორი გარდაიცვალა და აჯანყებულებს რეგენტმა ჟან დე იბელინმა დახმარება შეუწყვიტა.

კონფლიქტი ძალზე დიდხანს და დრამატულად ვითარდებოდა. მის დრამატულობაზე, ის გარემოებები მეტყველებს, რომ მისი მსვლეობისას ბოემუნდმა თავი კონსტანტინეპოლის ლათინი იმპერატორის ვასალად გამოაცხადა, ხოლო ანტიოქიაში კი ბერძენი კათალიკოსი სიმეონ II დასვა. ასევე კონფლიქტის მსვლელობისას აქტიურად განიხილებოდა სომხური ეკლესიის რომის ეკლესიასთან მიერთების საკითხიც. ამ პერიოდში დაძაბულობის გამო იერუსალიმის პატრიარქის ფუნქციების შესრულება თვით ინოკენტი III-ს მოუხდა. კონფლიქტს არც შეკვეთილი მკვლელობების გარეშე ჩაუვლია. კერძოდ, 1213 წელს ბოემუნდის 18 წლის უფროსი ვაჟი რაიმონდი, ტორტოზას ეკლესიაში, ასასინებმა მოკლეს. როგორც ჩანს, მკვლელობის

პროვოცირება ჰოსპიტალიერებმა მოახდინეს, რომლებსაც ასასინები ამ პერიოდში ხარკს უხდიდნენ. ჰოსპიტალიერების ხელი უნდა ერიოს მეორე მკვლელობაშიც. კერძოდ, ალბერტ იერუსალიმელის მკვლელობაში, რომელიც ასასინებმა მომდევნო წელს განახორციელეს.

კონფლიქტის ამოწურვას დიდად შეუწყო ხელი მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყებამ. მის გამო ბოემუნდმა მუსლიმი მეზობლების გამოყენების იმედი დაკარგა, რადგან ალეპოს მმართველი ალ-ზაჰირი, ამ დროს უკვე ქრისტიანებთან ავანტიურისტულ მეგობრობაზე მეტად ბიძამის ალ-'ადილის კეთილგანწყობას ეძებდა. ლეო II-მ კი შეცვლილი პოლიტიკური სიტუაციით ისარგებლა და რომთან მეგობრობა დაამყარა. რომის პაპი მზად იყო მისთვის ყველაფერი ეპატიებინა, თუ იგი ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობას დახმარებას აღმოუჩენდა. ჯვაროსნებთან თავისი მეგობრობა მან ჟან დე ბრიენისა და თავისი ქალიშვილ სტეფანიას ქორწინებითაც გაამყარა. 1216 წელს მან ანტიოქია უბრძოლველად დაიკავა და მის მმართველად ბოემუნდის მიერ შევიწროებული რაიმონდ რუპენი დანიშნა. ბაგრა კი კეთილგანწყობის ნიშნად ტამპლიერებს დაუთმო.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად მძიმე პოლიტიკური მემკვიდრეობისა ტრიპოლისა და ანტიოქიის საგრაფოები „წმინდა მიწაზე" მოსულ ჯვაროსნებს მშვიდ და სტაბილურ მდგომარეობაში დახვდა. Runciman, 1951, p. 135-138.

[21] მელიზანდა დე ლუზინიანი, ანტიოქიის პრინცესა (1200-1249), მეფე ჰიუგ I დე ლუზინიანის ნახევარდა.

[22] 1218 წლის 10 იანვარი.

[23] ცეზარეა (ფრ: Césarée de Palestine). იხ. მეორე წერილში. ქალაქის აღებაში 1101 წელს ჯვაროსნებს გენუელები დაეხმარნენ, რომლებმაც ციხეს ზღვიდან კატაპულტების გამოყენებით შეუტიეს. ლეგენდის მიხედვით, ამ მდიდარ ქალაქში წმ. გრაალი ინახებოდა. გიიომ ტირელის გადმოცემით, „როდესაც ჯვაროსნებმა ქალაქი აიღეს, ისრაელის მეფის ჰეროდეს მიერ აშენებული ტაძარი გაძარცვეს, რომელიც მან იმპერატორ ავგუსტუსის საპატივცემულოდ ააგო. იმ ტაძარში მრავალ განძეულობასთან ერთად აღმოჩნდა არაჩვეულებრივი სილამაზის თასი ძვირფასი მწვანე ქვებით მოოჭვილი. გენუელებმა ჩათვალეს, რომ ეს ერთიანი დიდი ზურმუხტი იყო, ამიტომ ნადავლის სახით გენუაში წაიღეს და ტაძარში გამოფინეს, რომელიც დღემდე იქ ინახება". სწორედ ეს ამბავი გახდა შემდგომში საფუძველი გრაალის თასის შესახებ არსებული ლეგენდების ციკლის შექმნისა. Виймар, 2008, ст. 177.

[24] მეხუთე ჯვარსონული ლაშქრობის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, როცა მონაწილეთა ძირითადი ნაწილი უკან გაემგზავრა, იერუსალიმის მეფემ ჟან დე ბრიენმა ჰოსპიტალიერების დახმარებით არსებული

ციხე-სიმაგრეების გამაგრება დაიწყო. პირველ რიგში ცეზარეა გაამაგრეს, რომელიც 1191 წელს ბრძოლების შედეგად დანგრეული და, ფაქტობრივად, მიტოვებული იყო მოსახლეობის მიერ. ამ ციხის გამაგრება არსებული ვითარების აუცილებლობით იყო გამოწვეული, რადგან თაბორის მთის ციხიდან და სხვა მოსაზღვრე მხარეებიდან ყოველთვის მოსალოდნელი იყო აკრის რეგიონზე მუსლიმთა მარბიელი რაზმების თავდასხმა.

[25] რაულ დე მერენკური.

[26] სავარაუდოდ, აქ საუბარია ჟაკ დე ვიტრიზე, რომელიც ამ პერიოდში 1216-1228 წწ. აკრის ეპისკოპოსი იყო. ეს ფაქტი კიდევ უფრო ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ აღნიშნული წერილი ვიტრის არ ეკუთვნის, ვინაიდან იგი საკუთარ თავს მესამე პირში არ მოიხსენიებდა. რაც შეეხება რ. რორიხტს, თავის ნაშრომში („მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის ისტორიის საკითხები" Röhricht, 1891, p. 26.) ის აღნიშნავს, რომ ამ ლაშქრობის პერიოდში სხვა სასულიერო პირებთან ერთად აკრის ეპისკოპოსი ჟაკ დე ვიტრიც იმყოფებოდა. სავარაუდოდ, მას ეს ინფორმაცია მესამე წერილის ამ ფრაგმენტიდან უნდა ჰქონდეს აღებული.

[27] პილიგრიმთა (პელერენის) ციხე (ფრ: Château Pèlerin) მდებარეობს დღევანდელ ისრაელში, ხაიფიდან სამხრეთით, კარმელის მთასთან. ასევე ცნობილია, როგორც ატლიტის ციხე. 1218 წელს მის მშენებლობას საფუძველი ჩაუყარა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთმა აქტიურმა მონაწილემ ფლამანდიელმა გრაფმა გოტიე დე ავენმა, რომელმაც ციხის აგება თავისი სახსრებით დაიწყო და პილიგრიმთა ციხე უწოდა. მშენებლობის დროს კი იგი ტამპლიერებს გადასცა, რომლებმაც მისი აგება დაასრულეს. ეს ციხე პალესტინაში ჯვაროსნების ერთ-ერთი სტრატეგიული პუნქტი იყო. იგი იმდენად მასშტაბური გახლდათ, რომ ალყის დროს 4000 ჯარისკაცის განთავსება შეიძლებოდა და ადგილმდებარეობის გამო (მდებარეობდა კონცხზე და მისი ნაწილი ზღვით იყო დაცული) აუღებლად ითვლებოდა. სახელწოდება პილიგრიმებისაგან მომდინარეობს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მის მშენებლობაში და მათი თავშეყრის ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენდა. იგი აკონტროლებდა ხაიფიდან ცეზარეისაკენ მიმავალ გზებს. მისი კედლები და სიმაღლე გამოირჩეოდა როგორც სიმტკიცით, ასევე მიუვალობით. მას შემდეგ, რაც ჯვაროსნები ეგვიპტეში გადასხდნენ და დამიეტას შეუტიეს, დამასკოს გამგებელმა ალ-მუ'აზზამმა პტოლემიადაში, აკრის და ცეზარეას მიმართულებით დაიწყო შეტევები, რათა ეგვიპტელთა მდგომარეობა შეემსუბუქებინა და აეძულებინა ჯვაროსნები, რომ სულთნის მიერ შეთავაზებულ პირობებს დათანხმებულიყვნენ. 1220 წელს მან ჯვაროსნებს ცეზარეა დაატოვებინა, რომლის კედლებიც დაანგრია, მაგრამ, მიუხედავად ორი მცდელობისა, პილიგრიმების ციხე მაინც ვერ აიღო. ეს ციხე-სიმაგრე შემდგომშიც ჯვაროსანთა ერთ-ერთ მთავარ

საყრდენ პუნქტს წარმოადგენდა. 1265 წელს ციხის გარნიზონმა ეგვიპტის სულთნის ბეიბარსის არმიის ალყას გაუძლო, მაგრამ 1291 წელს, აკრის დაცემის შემდეგ, ტამპლიერებმა ის უბრძოლველად დატოვეს. წმინდა მიწაზე ეს ჯვაროსნების უკანასკნელი სიმაგრე იყო.

[28] ჟაკ დე ვიტრი წერილის ამ ნაწილში გაკვრით ახსენებს ერთ-ერთი ციხე-სიმაგრის აღებისთვის წარმოებულ ბრძოლას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის დაპირისპირებები ტიპური მოვლენა იყო როგორც ჯვაროსნულ აღმოსავლეთში, ისე დასავლეთ ევროპაში. ციხე-სიმაგრეები წმინდა მიწაზე ჯვაროსნების ერთ-ერთ უმთავრეს სავიზიტო ბარათს წარმოადგენდა. მახლობელ აღმოსავლეთში სიმაგრეები, რა თქმა უნდა, აქამდეც უხილავთ, თუმცა, მათი ასეთი ფართო ქსელი აქ ნამდვილად სიახლე იყო.

ჯვაროსნების კონტროლირებად ყველა ქალაქს, სიდონის გარდა, კედლები ჰქონდა შემოვლებული. დიდი ციხეები კი მუსლიმების ტერიტორიის სიახლოვეს მდებარეობდა. მკვდარი ზღვის აღმოსავლეთით აშენებული იყო კერაკი, მისგან სამხრეთით კი–კრაკ დე მონრუაიალი. ეს კარგი პუნქტები იყო ეგვიპტისკენ მიმავალ ქარავნებზე თავდასასხმელად და ბედუინებისგან თავის დასაცავად.

ჯვაროსანთა სიმაგრეები, როგორც წესი, ამაღლებულ ადგილებზე შენდებოდა. მათი განლაგება იმგვარი იყო, რომ ერთი სიმაგრიდან სხვა სიმაგრეების დანახვაც შეიძლებოდა. მაგალითად, კრაკ დე შევალიედან, კასტელ ბლანი და ბელფორის ციხეები ჩანდა. ინფორმაციას მეციხოვნეები ერთმანეთს კოცონის საშუალებით გადასცემდნენ. წმინდა მიწაზე ჯვაროსნებმა მუსლიმებისგან მტრედების გამოყენებაც ისწავლეს. ინფორმაციის გადაცემის ამ საშუალების პოპულარობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ აკრაში მტრედების სახელობის საავადმყოფო მდებარეობდა. წყაროებში, ზოგჯერ, მტრედი საკმაოდ აქტიურ პერსონაჟადაც გვევლინება. მაგალითად, 1271 წელს, როდესაც სულთან ბეიბარსს მონფორის ციხეზე ალყა ჰქონდა შემორტყმული, წყაროებში აღნიშნულია, რომ მან მოკლა მტრედი, რომელსაც მის ბანაკში მყოფი ფრანკი ჯაშუშებისგან ციხეში ინფორმაცია მიჰქონდა.

საინტერესოა, რომ ჯვაროსნული სიმაგრეები უბრალო საფორტიფიკაციო ნაგებობებს არ წარმოადგენდნენ. წმინდა მიწაზე მათ ბიზანტიელების, მუსლიმებისა და ბუნებრივი პირობების გავლენით მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს.

შუა საუკუნეების ევროპული ციხე-სიმაგრე ფეოდალური სამყაროს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. აქაური ფეოდალები, უმთავრესად, სოფლებში ცხოვრობდნენ. ამ მხრივ, გარკვეულ გამონაკლისს, მხოლოდ სამხრეთ საფრანგეთისა და იტალიის დიდებულები წარმოადგენდნენ. ციხეების მშენებლობის საჭიროება ნორმანების განუწყვეტელმა შემოსევებმა

და გლეხების აჯანყების საფრთხემ განაპირობა. ამასთან, თანდათანობით, ციხეები მიმდებარე მხარის კონტროლისა და ფეოდალური შეუვალობის სიმბოლოდ იქცნენ.

X საუკუნის ციხე ჯერ კიდევ ხის კოშკი (ე.წ. დონჟონი) იყო, რომელსაც ბუნებრივ სიმაღლეებზე აშენებდნენ და თხრილი ჰქონდა შემოვლებული. თუმცა, მისი მშენებლობის ტექნიკა მალე განვითარდა. XI საუკუნიდან ციხეებს უკვე ქვისგან აშენებდნენ, თუმცა (მაგალითად, ნორმანდიაში), დიდხანს იყო შენარჩუნებული ხის სახურავები, რაც ალყის დროს ხანძრის გაჩენის საფრთხეს ქმნიდა.

შუა საუკუნეების საფორტიფიკაციო ნაგებობის მიზანს მოწინააღმდეგისთვის თანდათანობითი წინაღობების შექმნა წარმოადგენდა. შემტევს ჯერ ცარიელი, ან წყლით სავსე თხრილი უნდა გადაელახა. თხრილზე ასაწევი ხიდები იდებოდა, რომლის ორივე მხარეს კოშკი იყო აღმართული.

ციხის გამაგრებასთან ერთად საუკუნეების განმავლობაში მისი სოციალური ფუნქციაც მატულობდა. ციხე უკვე დონჟონის გარდა ეზოსაც მოიცავდა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა. ჩვეულებრივ, კედლებს შორის ციხე-სიმაგრის მფლობელის სახლი მდებარეობდა, აქვე იყო ეკლესია, ჭა და საცხობი. ციხე-სიმაგრეშივე ცხოვრობდნენ ხელოსნებიც. თანდათანობით, დილეგი, რომელიც ციხის ქვემოთა ნაწილში იყო მოთავსებული, ციხე-სიმაგრის აუცილებელ ატრიბუტად იქცა.

ყველაზე მეტად კლასიკური სახე საფრანგეთში მდებარე ციხე-სიმაგრეებს ჰქონდა. გერმანული საფორტიფიკაციო ნაგებობები (თუკი სამეფო კარებს (პფალცებს) არ მივიღებთ მხედველობაში) არქიტექტურული და სტრატეგიული თვისებებით გაცილებით მოკრძალებულად გამოიყურებოდა. აქაური დონჟონები ბუნებრივ კლდეებზე იყო აღმართული, რაც მათ ბუნებრივ დაცვას განაპირობებდა. Средневековая Европа глазами современников и историков, 1994, ст. 169-171; Хиллдебранд, 2008, ст. 453-483; A History of The Crusades, 1977, p. 31-33.

[29] წერილის ავტორი ამ პიროვნებას შემდეგნაირად მოიხსენიებს: Olivier, chanoine de Cologne, ოლივერუსი, თომას ოლივერი – მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი გამორჩეული მქადაგებელი და მონაწილე. სქოლასტი პადერბორნსა და კიოლნში. მოგვიანებით პადერბორნის ეპისკოპოსი და წმინდა საბინას ეკლესიის კარდინალ-ეპისკოპოსი იყო. რომის პაპის ინოკენტი III-ის დავალებით, 1213 წლიდან, ჯვაროსნული ომის ქადაგებას ეწეოდა ევროპის ჩრდილოეთში, ფრისლანდიაში, ბრაბანტსა და ფლანდრიაში. მონაწილეობდა 1215 წლის ლატერანის საეკლესიო კრებაში. ჯვაროსნებს ახლდა ეგვიპტის კამპანიის დროს. რობერტ კურსონელთან და ჟაკ დე ვიტრისთან ერთად ამ ლაშქრობის ერთ-ერთ გამორჩეულ მქადაგებლად ითვლებოდა. მისი გეგმით დამიეტასთან საალყო მანქანა ააგეს, რომელმაც

ჯვაროსნებს ქალაქის წინ მდებარე კოშკის (ჯაჭვის კოშკი) აღებაში დიდი დახმარება გაუწია. მან წერილი მისწერა ეგვიპტის სულთანს ალ-ქამილს და მოუწოდებდა, რომ ქრისტიანობა მიეღო. მისი ნაშრომია „დამიეტის ისტორია“ „Historia Damiatina“, რომელიც 1219-1222 წლებშია შექმნილია. ის ძვირფას წყაროს წარმოადგენს მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის შესასწავლად. მასვე აქვს ცნობები აღნიშნულ კამპანიაში ქართველთა შესაძლო მონაწილეობის შესახებ. სხვა წერილებში ჟაკ დე ვიტრის არსად არ ჰყავს მოხსენიებული ოლივერუსი მაშინ, როცა იგი დაწვრილებით გადმოგვცემს ამ ლაშქრობის მცირე, უმნიშვნელო დეტალსაც კი და, ასევე საუბრობს მის მონაწილეებზე. ეს ფაქტი, გარკვეულწილად, კიდევ ერთხელ ბადებს ეჭვს იმის შესახებ, რომ წერილი ჟაკ დე ვიტრის არ უნდა მიეკუთვნებოდეს. ჟაკ დე ვიტრის წერილებში ოლივერუსის მოუხსენიებლობა გვაფიქრებინებს, რომ შეიძლება ჟაკ დე ვიტრის არც სურდა ვინმე თანაზიარი ჰყოლოდა თავის საქმიანობაში და ამიტომაც, ამ პიროვნებაზე დუმილს ამჯობინებდა. უცნაურია, რომ ისეთი ფიგურა, როგორიც პაპის წარმომადგენელი იყო, რომელიც სამხედრო საქმესაც კი უძღვებოდა, არ მოეხსენიებინა მაშინ, როცა იგი სხვა, შედარებით უმნიშვნელო როლის მქონე სასულიერო პირებსაც კი იხსენიებს.

[30] კოგი (ფრ: Cogue), შუა საუკუნეების ერთანძიანი ხომალდი, რომელიც გამოიყენებოდა, როგორც დიდი ტვირთების გადასატანად, ასევე სამხედრო მიზნებისათვისაც.

[31] აქ საუბარია მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობაში ფრიზების და ჩრდილოეთ გერმანიაში (ფრისლანდიაში, კიოლნის და რეინის სხვა ქალაქებიდან შეკრებილი რაზმები) შეკრებილი სხვა მეომარი ხალხის მონაწილეობაზე, რომლებსაც გიბრალტარის სრუტით ხმელთაშუა ზღვაში შემოსვლა მოუწიათ, რათა წმინდა მიწასა და ეგვიპტეში მყოფ ჯვაროსნებს შეერთებოდნენ. ამ ექსპედიციამ პირენეის ნახევარკუნძულს შემოუარა და თითქმის ერთი წლით მოუწიათ იქ შეყოვნება, რადგან პორტუგალიასა და ესპანეთში მავრებს შეებრძოლნენ. ისინი ჯვაროსნებს მოგვიანებით შეუერთდნენ აკრასთან და შემდგომში მათთან ერთად გააგრძელეს ლაშქრობა ეგვიპტეში, სადაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს დამიეტისათვის ალყის შემორტყმასა და მის საბოლოო აღებაში. ამ ექსპედიციაში ასევე მონაწილეობას იღებდა ჰოლანდიის გრაფი ვილჰელმი თავისი რაზმით. ჟაკ დე ვიტრის მეოთხე წერილში აღნიშნული აქვს აკრაში ზღვით ფრიზებისა და ტევტონების მოსვლა.

[32] 1218 წლის 26 აპრილი.

[33] ბაბილონი (ფრ: Babylone). აქ საუბარია კაიროზე, რადგან ჯვაროსნულ ეპოქაში და, ზოგადად, შუა საუკუნეებში, ევროპელები კაიროს აიუბიანთა სულთანს ბაბილონის სულთანს უწოდებენ. ფრანგი რაინდის დე ბუას (1211 წლით დათარიღებული) წერილში, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას

წმინდა მიწაზე ქართველთა ლაშქრობის შესახებ, ეგვიპტის სულთანი ბაბილონის სულთნად მოიხსენიება. ბაბილონს შუა საუკუნეების ქართული წყაროები ბაღდადად მოიხსენიებენ. ჟამთააღმწერლის ცნობით, „ბაბილოვანი რომელ არს ბაღდადი“. ბაღდადის ხალიფას კი „ბაბილოვნელთა ხალიფას“ უწოდებდა. ნატროშვილი, ჯაფარიძე, 1974, გვ. 168-169; ავალიშვილი, 1929, გვ.139; ქართლის ცხოვრება, 1959; გვ. 221-232.

[34] 1218 წლის 24 მაისი.

[35] იგულისხმება მდინარე ნილოსი. შუა საუკუნეებში გავრცელებული წარმოდგენებით ნილოსი იმ ოთხი მდინარიდან ერთ-ერთი იყო, რომლებიც სამოთხიდან მოედინებოდა. (დაწვრილებით იხ. მეოთხე წერილი).

[36] დამიეტა, ქალაქი ეგვიპტეში (ფრ: Damiette). ნილოსის შესართავთან მდებარე მნიშვნელოვანი პორტი. მან განსაკუთრებული მნიშვნელობა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდში შეიძინა. ადგილმდებარეობის გამო მას ეგვიპტის გასაღებს უწოდებდნენ. 1169 წელს იერუსალიმის სამეფო ჯვაროსანთა ლაშქარმა მას ალყა შემოარტყა. 1217-1221 წლებში მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს სამხედრო მოქმედებების ეპიცენტრი იყო. ჯვაროსანთა ლაშქარმა დამიეტა აიღო, მაგრამ ვერ შეინარჩუნა და საზავო მოლაპარაკებით კვლავ ეგვიპტის აიუბიანებს დაუბრუნდა. მეშვიდე ჯვაროსნულ ლაშქრობაშიც (1248-1254) საფრანგეთის მეფემ, წმინდა ლუი IX-მ ეს ქალაქი აიღო და კაიროს მიმართულებით შეტევა გააგრძელა. თუმცა, როგორც მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობისას, ეს კამპანიაც ეგვიპტის სიღრმეში წარუმატებლად დასრულდა. ჯვაროსნებს დამიეტისა და, მთლიანად, ეგვიპტის დატოვება მოუწიათ.

[37] 1218 წლის 24 აგვისტო. ეს ისტორია, რომელიც ამ წერილის ავტორს ასე მოკლედ აქვს მოთხრობილი, ვრცლად ჟაკ დე ვიტრის შემდგომ წერილებშია გადმოცემული; კერძოდ, მეოთხე წერილი ჯარის ეგვიპტეში გადასასხმელად ჯვაროსნთა მზადებასა და დამიეტის ყურის წინ მდებარე კოშკის („ჯაჭვის კოშკი“, როგორც მას ჟაკ დე ვიტრი უწოდებს) აღებისათვის ბრძოლას ეხება. მეხუთე წერილში კი უკვე თვით დამიეტის ალყაზეა საუბარი, ასევე მის მიდამოებთან ეგვიპტის სულთნის არმიისა და ჯვაროსანთა შეტაკებაზე. მეექვსე წერილი დამიეტის აღებაზე მოგვითხრობს და შეტაკებებზე, რომლებიც მისი დაკავების შემდეგ მოხდა. ამ წერილების შედარებისას იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მესამე წერილი იმიტომ არის ჩასმული ამ წერილთა ნუსხაში, რომ ის მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის პირველ ეტაპზე განვითარებული ამბებით შეევსოთ, რომლებიც არ გვხვდება ჟაკ დე ვიტრისთან.

[38] 113 ტყვე.

წერილი მეოთხე

აღნიშნული წერილის თარიღი აქვე, წერილის პოსტსკრიპტუმშია მოცემული, სადაც მითითებულია, რომ იგი „წმინდა ჯვრის ამაღლებიდან მერვე დღეს დაიწერა“. ამაღლების დღესასწაული იმ პერიოდისათვის 14 სექტემბერს ემთხვეოდა, ანუ წერილი 1218 წლის 22 სექტემბერს უნდა დაწერილიყო. Lettres de Jacques de Vitry, 1998.

ა) აკრის ეკლესიის უღირსი მოძღვარი ჟაკი ღვთაებრივი წყალობითა და შეწევნით, პატივისცემით, ფეხზე ამბორით მიმართავს დიდ პონტიფიკოსს, უწმინდეს მამასა და ბატონს ჰონორიუსს.

ბ) აკრის ეკლესიის უღირსი მოძღვარი, იესო ქრისტეს, უმანკოთა ტარიგის მუდმივ სამსახურში მდგომი ჟაკი ღვთაებრივი წყალობით, მორჩილებითა და ანთებული გულით მიმართავს თავის ძვირფას ქრისტესმიერ ძმებს.

რაოდენ „ვიწროა კარიბჭე და ვიწროა გზა, რომელსაც სიცოცხლისკენ მიჰყავს და მცირედნი არიან ისინი“[1], ვინც ამ გზით შედის: „რადგან ის ბევრ სიმწარეს გამოგვატარებს, – გვეუბნება მოციქული, – იმისათვის, რომ ცათა სასუფეველში[2] შევიდეთ“, ხოლო უფალი სახარებაში ამბობს: „ეცადეთ, შეხვიდეთ ვიწრო კარით“[3]. ვინაიდან ბევრ ადამიანს არ ჰყოფნის გამბედაობა და სიმტკიცე, ის ტოვებს უფლის ლაშქარს თავისი აღთქმის შესრულების გარეშე ათასგვარ ტყუილს[4] ავრცელებს, ისწრაფვის პატიების მოსაპოვებლად და თავს სიზარმაცით იმართლებს. წინა წერილებში მოთხრობილი ამბების მსგავსად, რომლებიც უფლის ლაშქარში მომხდარ მოვლენებს ეხებოდა, გადავწყვიტე, ამ წერილში შემდგომ განვითარებული[5] ამბები გაცნობოთ. მაშ, მოგახსენებთ, რომ ცეზარეიდან გამგზავრების შემდეგ, სადაც იერუსალიმის გზა დიდი საფრთხის – ურჯულოთა უზარმაზარ ლაშქართან დაპირისპირების ფასად – გავამაგრეთ[6], ჩვენ, მცირერიცხოვანნი, მრავალთა წინააღმდეგ ვიბრძოდით. დიდმარხვის გაშუალებისას[7] იერუსალიმის იმავე გზაზე დისტრიქტად[8] წოდებულ ადგილს მივადექით, რათა ჩვენი ხელოსნები, რომლებიც ზღვაზე[9] მიუდგომელ ციხეს აშენებდნენ, ურჯულოთა თავდასხმებისგან დაგვეცვა. ამასობაში ცეზარეაში სარაცინები ჩამოვიდნენ. ზოგიერთი ჩვენგანი, თუმცა, უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ცოტა მათგანი, არ შეუშინდა მათ სიმრავლეს. რამდენიმე ჩვენმა ჯარისკაცმა სიცოცხლის ფასად მაინც შეძლო სარაცინების განდევნა მათ ბელადთან ერთად[10]. აკრაში სააღდგომო ზეიმის წინა დღეს დაბრუნებულებმა რაიმე მნიშვნელოვნის გაკეთება ვერ გავბედეთ, რადგან ბევრმა ჯვაროსანმა დაგვტოვა და უკან დაბრუნდა[11]. აღდგომის შემდეგ უფლის

წყალობით, რომელმაც ჩვენი დახმარება ინება, უეცრად ფრიზები[12] და ტევტონები[13] გამოჩნდნენ კოგებად წოდებული ორმოციოდე ხომალდით. მოთათბირების შემდეგ, იმის გათვალისწინებით, რომ ზაფხულში წყლის უკმარისობის გამო იერუსალიმის ალყაში მოქცევა შეუძლებელია, ხოლო იერუსალიმის სამეფოს მთიან ნაწილებში განლაგებული სხვა ქალაქები აუღებელი გვეჩვენებოდა, გადაწყდა, ეგვიპტის ნაყოფიერ მიწაზე წავსულიყავით, რომელიც სიმდიდრით აღმოსავლეთის ყველა ქალაქს აღემატება. სწორედ ეს ადგილი აძლევს სარაცინებს ძალას და აქედან მომდინარეობს ის სიმდიდრე, რომლის საშუალებითაც ისინი ჩვენს მიწებზე ბატონობენ[14]. ამ ქვეყნის დაპყრობის შემდეგ თავისუფლად შევძლებდით მთელი იერუსალიმის სამეფოს დაუფლებას[15]. ეგვიპტის მიწა სწორია, უმთო, იქ არც ქვებია და არც რაიმე სიმაგრეები, თუ არ ჩავთვლით სამ ქალაქს, დამიეტას, ბაბილონს რომელსაც ისინი კაირეს[16] ეძახიან და ალექსანდრიას. ერთ-ერთი მათგანიც რომ დაგვეპყრო, მთელ ქვეყანას ადვილად დავიმორჩილებდით.

ეგვიპტის მიწა ბევრი რამით არის განსაკუთრებული: უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ თავის ნეტარ დედასთან მარიამთან[17] ერთად იქ გარკვეული დრო გაატარა. იმ ადგილას, სადაც წმინდა ღვთისმშობელმა გაიარა, რათა მგზავრობით გამოწვეული დაღლილობისგან დაესვენა, ეკლესიაც კია აგებული, რომელსაც სარაცინები დიდ პატივს მიაგებენ. აქ ბევრად უფრო მეტი წმინდა მამა ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, ვიდრე მსოფლიოს ნებისმიერ სხვა ნაწილში. სწორედ ამიტომ, დღესაც კი აქ ქრისტიანთა რაოდენობა სარაცინთა რიცხვს[18] გაცილებით აღემატება. თუმცა, მათ არ აქვთ იარაღის გამოყენების უფლება, მიწას ამუშავებენ და ურჯულოთა უღელქვეშ იმყოფებიან. უფრო შორს, აღმოსავლეთისკენ და ქვეყნის დასალიერამდე ყველგან არიან ქრისტიანები[19]. ამრიგად, უფლის გულმოწყალების ძალით ეს მიწა რომ დაგვეპყრო, შევძლებდით დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე უწყვეტად გაგვევრცელებინა ქრისტიანული რელიგია. მხოლოდ ამ ქვეყანაშია და სხვაგან არსად არ მოიპოვება ის ბალზამის ვაზი[20], რომლისგანაც მირონი მზადდება.

ამაღლების[21] დღეს, წირვის შემდეგ, აკრაში მდებარე მაცხოვრის საფლავის ეკლესიაში პატრიარქმა სასულიერო პირებთან და ხალხთან ერთად უფლის ჯვარს ხე საზეიმოდ მოაშორა. საუბარია იმ ჯვარზე, რომელიც უფლის ჯვრის ამ ნაწილიდან იქნა წაღებული და სულ ახლახან, სარაცინებთან ომის დროს დაიკარგა[22]. ჯვრის არსებობით გამხნევებულები ეგვიპტისკენ მიმავალ ხომალდებში ჩავსხედით. ვინაიდან ზურგის ქარი არ იყო, მომდევნო კვირადღემდე პორტში დავრჩით. კვირას დილით უფალმა ჩვენთვის ასე საჭირო ჩრდილოეთის ქარი გამოგვიგზა-

ვნა. ორ დღე-ღამეში ქალაქ თანისს[23] გავცდით, მესამე დღეს კი დამიეტის წინ, ნილოსსა და ზღვას შორის მდებარე კუნძულს მივაღწიეთ, კერძოდ, წინასწარმეტყველ იერემიას სახელობის ეკლესიას, რომელიც ეგვიპტეში აღესრულა[24]. გვეგონა, რომ პატრიარქი, მეფე და ჯარის სხვა მხედართმთავრები ჩვენთან ერთად იყვნენ, მაგრამ მხოლოდ ნაკლებ მნიშვნელოვანი, უბადრუკი რანგის პირები აღმოჩნდნენ ჩვენ გვერდით. უფლის დახმარების იმედით, ასევე სულიერი და საერო ძალებით აღჭურვილი ჩვენიანები მტრის მიწას დაეუფლნენ, რაშიც უფლის სასწაულებრივი ჩარევა დავინახეთ. არანაკლები სასწაული იყო, რომ აღთქმული მიწიდან ეგვიპტემდე ჩვენი ნაოსნობა მხოლოდ ორი დღე და ღამე გაგრძელდა, ვინაიდან, ლაშქრის დანარჩენი შენაერთი, რომელიც მოგვიანებით გამოგვყვა, ორი თვე მოუნდა იმავე გზის გავლას. განა ისრაელის შვილებს ორმოცი წელი არ დასჭირდათ ეგვიპტიდან აღთქმულ მიწამდე მისაღწევად?

ამასობაში, პატრიარქი და მეფე ავსტრიის ჰერცოგთან, ტამპლიერებთან და ჰოსპიტალიერებთან ერთად სამი დღის შემდეგ შემოგვიერთდნენ[25]. მათ ძალიან გაუკვირდათ და, ამავდროულად გაუხარდათ, როცა ამ კუნძულზე მტრის წინააღმდეგობის გარეშე ჩვენი გაშლილი კარვები დაინახეს. კუნძული ქალაქ დამიეტის წინ მდებარეობს და მისგან ნილოსის შენაკადით არის გამოყოფილი. კუნძულის პირველ ნაწილში სამ მილზე მხოლოდ ქვიშა და მარილია. შემდეგ, ბაბილონის მხარეს ის შვიდი დღის სავალზეა გადაჭიმული. ეს ადგილი სავსეა სიმდიდრით და სხვადასხვა სახის სიკეთით, რომელსაც ბედუინებად წოდებული[26] ორი ათას სარაცინზე მეტი იცავდა. ადვილად დავიპყრობდით მას და ბევრ სიმდიდრესა და საკვებს ჩავიგდებდით ხელში, მაგრამ ლაშქრის პატარა ნაწილით ხომალდებიდან გადასვლა ვერ გავბედეთ. ამ კუნძულზე დიდი რაოდენობით ფრინველი ჰყავდათ მოშენებული. იმის ნაცვლად, რომ დედლებისთვის კვერცხები დაეწყოთ, ისინი მათ გასათბობად ღუმელში ათავსებდნენ და წიწილებიც მაშინვე იჩეკებოდა.

ნილოსს რაც შეეხება, რომელსაც ევფრატსაც უწოდებენ, სწორედ ამ მიწაზე მიედინება და ერთ-ერთია სამოთხის ოთხი მდინარიდან[27]; ყოველი წლის აგვისტოში წვიმისა და სხვა აშკარა მიზეზის გარეშე ის უცნაურად დიდდება და მთელ ეგვიპტეში ვრცელდება, ანოყიერებს მიწას და მოსავლიანს ხდის მას, რის გარეშეც ხილი არ იქნებოდა, რადგან ეგვიპტეში არასოდეს წვიმს, ანდა ძალიან იშვიათად. ადიდების შემდეგ ნილოსი ისევ თავის კალაპოტს უბრუნდება[28]. ამ მდინარეში ვხედავთ ურჩხულებს, რომლებსაც ნიანგებს (cocodrili) უწოდებენ – ფრანგულად „cocatriz"-ს[29]. ისინი ადამიანებსა და ცხენებს უსაფრდებიან და

ყველაფერს შთანთქავენ. აღმოსავლეთიდან წამოსული ყოველგვარი სანელებელი[30] ეგვიპტეში სწორედ ამ მდინარით შემოდის. მისი წყალი მკვრივი, ნელი და მღვრიეა და ყოველგვარ ნაკელსა თუ ნაშალზე უკეთ ანაყოფიერებს მიწას. ამის გამო წყლის დალევის შემდეგ ბევრ ჩვენგანს ფაღარათი შეეყარა და ზოგიერთი დაიღუპა კიდეც ამ ქვიშიან ადგილას. ასე რომ, უფლის ლაშქარში ბევრი ავადმყოფი გვყავდა, მაგრამ ღმერთმა მათ ერთი წყალობა და ნუგეში მოუვლინა მომკვდარიყვნენ საუბრით, მხიარულებითა და მადლიერებით. ღმერთმა საზღაურად მათ ეს ნუგეში უწყალობა, ვინაიდან ქრისტეს სიყვარულით[31] უარი თქვეს დედებისა და მამების, მეუღლეების, ვაჟებისა თუ მეგობრების ნუგეშზე.

კუნძულზე ოთხი თვე დავრჩით, რათა აუცილებელი იყო დაგვეპყრო განსაკუთრებულად გამაგრებული კოშკი, რომლის აღებაც ბალისტებით ან ე. წ. ტარანებით[32] შეუძლებელი იყო[33]. ქვემოდან კედლებსაც ვერ ავაფეთქებდით, ვინაიდან კოშკი შუა ნილოსში, კუნძულსა და ქალაქს შორის იდგა[34]. ქალაქსა და სანაპიროს შუა გაჭიმული ჯაჭვები ჩვენს ხომალდებს მდინარეზე აღმასვლის საშუალებას არ აძლევდა[35]. ამ კოშკის ალყის დროს ბევრმა ჩვენიანმა წამებულის გვირგვინი დაიდგა; მიუხედავად ამისა, მტრის მხრიდან დახოცილთა რიცხვი ქრისტიანთა ბანაკიდან დაღუპულებს ბევრად აღემატებოდა. გემების თავზე კიბეები აღვმართეთ, რომ კოშკს მივდგომოდით, მაგრამ მტერმა, რომელიც კოშკიდან ურიცხვ ისარს, ბერძნულ ცეცხლსა და უზარმაზარ ქვებს გვესროდა, მედგარი წინააღმდეგობა გაგვიწია. მდინარის წყლისა და შეიარაღებული ადამიანების დარტყმის შედეგად კიბეები დაიგლიჯა, რის გამოც მამაცი წამებული მეომრები წყლის დინებამ გაიტაცა. მაშინ, როცა კეთილშობილმა და ძალმოსილმა ლაშქარმა ამ კოშკის შტურმით აღების იმედი თითქმის დაკარგა, ზოგიერთმა ღარიბმა, უფლის ერთგულმა და მორჩილმა ადამიანებმა ფრიზებმა სხვადასხვა გზით ორი გემი გადააბეს ერთმანეთს, შემდეგ ამ საზიდარზე ორი ათასი მარკის ღირებულების გასაოცარი და არნახული მანქანა დიდი გაჭირვებით აღმართეს. ზემოთ კიბე გააკეთეს, ხოლო მის ქვეშ მბრუნავი ხიდი და ციხე-სიმაგრე, რომელიც კიბეს გადმოჰყურებდა, რაც შესაძლებლობას აძლევდა მთელი ნაგებობა დაეცვათ[36]. ეს ფრიზები ქედმაღლები სულაც არ არიან, ისინი მთელ იმედს უფლის შეწევნაზე ამყარებენ[37]. მარხვის, რიტუალების ჩატარების შემდეგ ლოცვითა და ცრემლით კოშკზე შეტევა ამ მოწყობილობით დაიწყეს. კოშკში მებრძოლებს შორის საუკეთესო ორას ორმოცდაათი სარაცინი იყო. მათ ცეცხლი ისროლეს, რომელიც ჩვენების მიერ მიდგმული კიბის პირველ ნაწილს მოედო. ერთმა გაბედულმა ჩვენიანმა დროშით ხელში სცადა მარტოდმარტოს შეეღწია კოშკში, მაგრამ ჩამოვარდა და დაიღუ-

პა; ამასობაში დანარჩენები კიბის სხვა ნაწილზე გადავიდნენ და მედგრად უძლებდნენ ქვებსა და მტრის შუბებს. მომლოცველები, დიდებულები თუ უბრალო ადამიანები მიწაზე ეცემოდნენ, თავზე მტვერს იყრიდნენ, კვნესითა და ტირილით შესთხოვდნენ უფალს[38] შეებრალებინა თავისი ხალხი, რათა სხვა ერებს არ ეთქვათ: „სადაა მათი ღმერთი?“[39] მაშინ ჩვენებმა კედელს დამწვარი კიბის ნარჩენები მიაყუდეს. მომლოცველთა ცრემლითა და ლოცვით გამხნევებულებმა, ასევე ღვთის რწმენაში[40] განმტკიცებულებმა შეძლეს კოშკში გადამხტარიყვნენ მიუხედავად ცეცხლის, შუბების, ისრებისა თუ ქვების წვიმისა და მოკლეს კიდეც რამდენიმე სარაცინი, ხოლო სხვებმა კოშკის ქვედა ნაწილს შეაფარეს თავი. ვინაიდან ისინი ცეცხლს ზემოთ ისროდნენ, ხოლო ჩვენიანებმა კვამლსა და ბერძნულ ცეცხლს ვერ გაუძლეს, ამიტომ კიბეზე უკან დაიხიეს. ამასობაში ქვემოდან მბრუნავი ხიდი აამოძრავეს და ბევრმა ჩვენიანმა მოახერხა კოშკისთვის გარს შემოევლო. მათ მთელი ღამე კოშკის კართან ძლიერი ცეცხლი ენთოთ. შიგნით გამოკეტილმა ბევრმა სარაცინმა ვეღარ გაუძლო, ფანჯრებიდან გადმოეშვნენ, მდინარეში ჩაცვივდნენ და დაიხრჩვნენ, სხვებმა კი თავისიანების დახმარებით უშველეს თავს და გაიქცნენ. საბოლოოდ კოშკში დარჩენილი ასთორმეტი სარაცინი თავიანთი იარაღითა და საკვებით ჩვენიანებს ჩაბარდა[41].

ამ კოშკის დაკარგვის შემდეგ მტერი ძალიან შეშფოთდა და შეშინდა, რადგან ის ხომ ამ მიწის, სამშობლოსა[42] და ყველა სხვა ქალაქის გასაღებს წარმოადგენდა. ჩვენიანები კი ამ დროს უფალს მადლობას სწირავდნენ წყალობისათვის, განსაკუთრებით კი იმისთვის, რომ კოშკში მოხვედრილი ათი ჩვენიანი საკმარისი აღმოჩნდა ბრძოლის ბედის გადასაწყვეტად მაშინ, როცა ორას ორმოცდაათი მტრის მეომარი დაიღუპა. ამასობაში სარაცინებმა, შეძლებისდაგვარად, ძალები მოიკრიბეს და ქალაქის მხრიდან ჩვენ წინ გადაჭიმული მდინარის ნაპირი ჩვენთან დასაპირისპირებლად თხრილების, იარაღის, ბალისტების, მანქანებისა და მეომრების გამოყენებით გაამაგრეს. მდინარეში წყლის მატება განსაკუთრებით ართულებდა და სახიფათოს ხდიდა ჩვენს მიზანს გადაგვეკვეთა მდინარე. სექტემბერში წმინდა ჯვრის დღესასწაულზე, როცა ეს წერილი დავწერეთ, მდინარე ჯერ არ გვქონდა გადალახული და არც ალყა გვქონდა შემორტყმული, მაგრამ ვამზადებდით გემებს, ყველაფერს, რაც ამგვარი წამოწყებისთვის იქნებოდა აუცილებელი და ახალი ჯვაროსნების ჩამოსვლას ველოდებოდით. როგორც ჩვენთვის იყო ცნობილი[43], ისინი უზარმაზარ ბრბოსთან ერთად მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან მოიჩქაროდნენ ქალაქის ასაღებად. ამ ალყის დროს ჩვენთან ბევრი სარაცინი მოვიდა მოსანათლად. უფრო მეტიც მოვიდოდა, მაგრამ მდინარის გადმოლახვა ძალიან ძნელი იყო: ზოგიერთი წყალში ჩავარდა და დაიხრჩო, სხვები თავისიანებმა მოკლეს.

სანამ ეს ამბები ხდებოდა უფლის ლაშქარში, სულთანმა[44], რომელსაც ეგვიპტის სამეფოს დაკარგვის ეშინოდა და თან დამასკოს სამეფოს ხელში ჩაგდების სურვილით შეპყრობილი სარაცინების მხრიდან ამბოხს უფრთხოდა, თაბორის მთის დასაცავად მომზადებული იარაღითა და საბრძოლო მანქანებით აღჭურვილი ჯარისკაცების ერთი ჯგუფი დამასკოში გაგზავნა, ხოლო მეორე ნაწილი ეგვიპტეში დატოვა[45]. აკრასა და იერუსალიმს შორის მდებარე ეს ციხე-სიმაგრე[46] მან დიდი ძალისხმევითა და უთვალავი ხარჯებით ააგო „როგორც ლურსმანი ჩვენს თვალებში[47]“, თუმცა მანვე დაანგრია ის და პირწმინდად გაანადგურა: „უფალმა ინება ასე და ეს თვალხილული სასწაულია[48]“. ვინაიდან, უფლის მთელ ლაშქარს წელიწადში თითო ციხე-სიმაგრის აღება რომ შეეძლოს, ეს საკმარისი იქნებოდა [მათ დასამარცხებლად]. ქრისტიანთა ჯარებმა შიშის ძალით დაანგრიეს ჟიბელეც[49]. თუ არ ვცდები, ტირსა და დამასკოს შორის მდებარე დაახლოებით ხუთი სხვა გამაგრებული ციხე-კოშკიც აიღეს, რადგან უფალმა მათ გულში შიში ჩაუნერგა, რომელიც სუფევდა როგორც ჩვენში, ასევე ჩვენთვის და ჩვენს გარეშეც. ამ წელიწადში უფლის მიერ მომხდარი სასწაულის უფრო სწრაფად აღსაქმელად მოგახსენებთ, რომ ომის დასაწყისში[50] სულთანი გავაძევეთ, მერე მისი სახლები ცეცხლს მივეცით და მისი მიწის ნაწილი გავაცამტვერეთ, იერუსალიმის გზაზე ორი ძლიერი ციხე-კოშკი დეტრუა და ცეზარეა ავაგეთ. უფლის ლაშქრით შეშინებულმა სარაცინებმა თაბორის მთა[51], ქალაქი ჟიბელე და სხვა ციხე-სიმაგრეები დაანგრიეს. შემდეგ ზღვით ეგვიპტის მიწას მივადექით, და ბოლოს, მთელი ეგვიპტის გასაღები, ნილოსის შუაში მდებარე კოშკი, ხელში ჩავიგდეთ. კოშკსა და ქალაქს შორის გაჭიმული რკინის ჯაჭვები გავწყვიტეთ, რომლებიც მდინარეზე გემების ზემოთ ასვლას აბრკოლებდა და მათ გვერდზე გადებული მოტივტივე ხიდიც კი დავანგრიეთ.

სხვათა შორის, სულთანი დარდს გადაჰყვა[52].

ასე რომ, უფალს ვართ მინდობილი: მან დაიწყო თავისი საქმე და მას[53] ძალიან მალე ბედნიერად დაასრულებს. უფლის ყველა საქმის სადიდებლად და ჩვენი ვაჟებისთვის მისი სასწაულების საჩვენებლად, ადიდეთ ის და მიენდეთ[54], ლოცეთ უფალი, ვინაიდან მან უხვად გვიბოძა თავისი წყალობა[55]. განუწყვეტლივ ილოცეთ ჩვენთვის, რათა მან ეგვიპტის მიწიდან აღთქმულ მიწამდე მიგვიყვანოს, ღრუბლებისა და ცეცხლის სვეტებში[56] გაგვატაროს, წითელი ზღვა[57] დააცხროს, გამომშრალ, გამოფიტულ და

უწყლო მიწაზე[58] გამოგვეცხადოს, მარაშის[59] წყლები დაათბოს, უდაბნოს კლდიდან[60] სასმელი წყალი გადმოაფრქვიოს, საღამოს ხორცი გვიწყალობოს, დილას კი ციური მანანა[61], გველის ნაკბენებისგან[62] დაგვიცვას, ფეხსაცმელი არ დაგვეცვითოს და ტანსაცმელი არ დაგვეხეს[63], აღთქმული მიწა[64] დაგვინაწილოს იმის წყალობით, რომელმაც თქვა: „მე მოგიმზადებთ ადგილს: ჩემი მამის სახლში ბევრი სახლია[65]“.

A[ა]

ეს წერილი უკვე დაწერილი იყო და შიკრიკიც გზას უნდა დადგომოდა, როცა ახალი ამბები შევიტყვეთ: სალადინის ძმამ სულთანმა, რომელიც ძმის სიკვდილის შემდეგ აღთქმულ მიწას ფლობს ქრისტიანთა წინააღმდეგ, დამიეტის კოშკის აღების ამბავი რომ შეიტყო, კიდევ უფრო მძიმე სიკვდილით დაასრულა ტკივილიანი ცხოვრება. სირ პიერ ჰანიბალი და სხვა რომაელები[66] წმინდა ბართლომეს[67] დღესასწაულის შემდეგ კვირას ცხრა ხომალდით დამიეტის პორტს მიადგნენ. წმინდა ტახტის ლეგატი, ალბის ეპისკოპოსი[68] სენიორი პ(ელაჟი)[69] აკრაში რომაელ დიდებულთან ერთად[70] ჩამობრძანდა. ქრისტეს ლაშქარი მის ჩამოსვლას ყოველდღიურად იმ იმედითა და სურვილით ელოდა, რომ ქალაქს აიღებდა. ეძღვნება დამიეტასთან [მყოფ ჯარს], წმინდა ჯვრის აღმართვის მერვე დღეს[71].

[ბ]

ილოცეთ ჩვენი დაღუპული თანამებრძოლებისთვის, ჩვენი ეკლესიის არქიდიაკვნის გოტიე დე ტურნესათვის, რომლის ხელითაც ღმერთმა აკრაში ბევრი კარგი საქმე გააკეთა. ილოცეთ ჩვენი ეკლესიის მოძღვრის, უფალი კონსტანტ დე დუაშოსთვის, ჩვენი ეკლესიის მგალობლის, უფალი ჟან დე კამბრესთვის[72], სირ რენიესათვის, რომელიც ჩვენი კლერკი იყო, შემდეგ კი აკრის სენ-მიშელის ტაძრის პასტორი გახდა, ასევე ჩვენი მსახურის, ჰ.-სთვის[73] და ყველა სხვათათვის, რომელთაც ჩვენთან ერთად იმსახურეს ქრისტიანთა ლაშქარში. ილოცეთ აგრეთვე იმ გარდაცვლილი თანამებრძოლებისთვის, რომელთაც უცხოეთში დაგვტოვეს და უფალთან დაიმკვიდრეს სასუფეველი, ნუაიონის კანცლერის, უფალ თომასათვის, უფალ ლეონიუსისათვის, რომელიც თეოლოგიას ასწავლიდა აკრაში. ილოცეთ ასევე კარდინალ რ(ობერის) ძმისწულის უფალ ალექსანდრესთვის[74], ახალგაზრდა ჟან დე კამბრეს[75], ჩვენი მგალობლის ძმისწულისათვის, რომელმაც ქრისტესთვის ყველა ამქვეყნიური სიკეთე მიატოვა და მაცხოვართან ამაღლდა. კოშკის ალყაში მოქცევის დროს ჩვენი ოჯახის ზოგიერთმა წევრმა წამებულის გვირგვინი დაიდგა. უფალი რენო დე ბარბაშონი ჩვენი ეკლესიის განძეულის მცველი იყო. დილის

წირვის მოსმენის შემდეგ წმინდა სამების ღამეს მან, საკურთხევლის წინ მუხლებზე დაცემულმა, უკანასკნელი ზიარება მიიღო. სერობის შემდეგ კი ლოგინი ჩვენს სამრეკლოსთან მდებარე პატარა კარავში გააშლევინა, ხოლო მომდევნო ღამეს მირონი ვაცხეთ. მისი ბაგეები განუწყვეტლივ იმეორებდა იმის სახელს, ვინც მთელი თავისი ცხოვრება ერთგულ ქადაგებაში გაატარა, გამთენიისას კი ღმერთის დიდებითა და მადლობით უფლისკენ გაემგზავრა. დამიეტაში ორი თვე ავად ვიყავი და კინაღამ მოვკვდი, მაგრამ უფალმა გადამარჩინა და ამ დღემდე, ალბათ, იმიტომ მომიყვანა, რომ ჩემი ცოდვების გამოსასყიდად ვიღვაწო და ვიტანჯო. დაე, კურთხეულ იყოს უფალი უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

კომენტარები

[1] მათეს სახარება, 7, 14.

[2] საქმენი, 14, 21.

[3] ლუკას სახარება, 13, 24.

[4] ფსალმუნები, 57, 4.

[5] რაც შეეხება ჟაკ დე ვიტრის მიერ წინა წერილებში მოხსენიებულ ამბებს, რომელიც უფლის ლაშქარში მოხდა, საუბარი უნდა იყოს მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის პირველ ეტაპზე განვითარებული მოვლენების შესახებ. ეს ამბები მას თავის მესამე წერილში უნდა შეეტანა, რომელიც დაკარგულად ითვლება და, მკვლევართა აზრით, მისი წერილების ნუსხაში უცნობი ავტორის მიერ დაწერილი ეპისტოლეთი არის ჩანაცვლებული. რაც შეეხება მეორე წერილს, აქ ჟაკ დე ვიტრი, ძირითადად, თავის მისიონერულ საქმიანობაზე მოგვითხრობს. მეოთხე წერილში კი უფლის ლაშქარზე საუბრისას, სავარაუდოდ, იგი სირია-პალესტინაში წარმოებულ სამხედრო კამპანიაზე მიანიშნებს. ის პალესტინაში, ფაქტობრივად, ერთი წლით ადრე ჩადის, სანამ ანდრაშ II-ის ხელმძღვანელობით მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა დაიწყებოდა, ანუ 1217 წლის 4 ნოემბრამდე. თავისი მისიონერული საქმიანობის დასასრულს, როდესაც იგი აკრაში ბრუნდება, მიზეზად პატრიარქის ბრძანებას ასახელებს და განმარტავს, რომ ზღვის გადალახვა, ე. ი. ეგვიპტეში ლაშქრობა მზადდებოდა. ისე ჩანს, თითქოს ჟაკ დე ვიტრი გვერდს უვლის მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის პირველ ეტაპს და ამ კამპანიიდან მხოლოდ ეგვიპტეში გამგზავრებამდე მომხდარ რამდენიმე მომენტს აღნიშნავს. მეოთხე წერილში, ამ კამპანიის რამდენიმე ფრაგმენტი ეგვიპტეში ლაშქრობის მიზეზების კუთხით არის გადმოცემული. მეორე წერილში მას განხილული აქვს თავისი მოგზაურობა სხვადასხვა

მხარეში და არსად არა აქვს მოცემული სამხედრო მოქმედებების ამბები, რადგან იმ დროისათვის პტოლემიადაში ჯერ კიდევ არ იყო ჯვაროსანთა ძალების თავმოყრა დაწყებული. მაგრამ მოულოდნელად გადადის ეგვიპტეში ლაშქრობის გეგმებზე მაშინ, როცა ეს გეგმა აქტუალური მხოლოდ სირია-პალესტინაში წარმოებული წარუმატებელი სამხედრო კამპანიის შემდეგ გახდა. მეორე წერილის ბოლო ფრაგმენტებსა და მეოთხე წერილის საწყის გვერდებს თუ დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ ისინი ერთმანეთს ავსებს და, ფაქტობრივად, მეოთხე წერილი მეორეს გაგრძელებაა.

[6] მესამე წერილში ცეზარეას ციხე-ქალაქის გამაგრების შესახებ არის მოცემული ინფორმაცია. ეს კი მას შემდეგ მოხდა, რაც პალესტინა უნგრეთისა და კვიპროსის მეფეებმა, ანტიოქიის მთავარმა და ტრიპოლის გრაფმა ბოემუნდ IV-მ დატოვეს. მშენებლობები იერუსალიმის მეფე ჟან დე ბრიენმა დაიწყო, რათა აკრის რეგიონი მუსლიმთა თავდასხმებისაგან დაეცვა. მესამე წერილში ეს ციხე-სიმაგრე „ცეზარეა დე პალესტინას“ სახელწოდებით არის მოხსენიებული. აქაც შეიძლება დავუკვირდეთ, რომ ერთი და იგივე გეოგრაფიული პუნქტი სხვადასხვა სახელწოდებით იხსენიება. სავარაუდოდ, ჟაკ დე ვიტრი სწორედ ცეზარეას ციხის მშენებლობის ამბებს უკავშირებს იერუსალიმის გზის გამაგრებას.

[7] (ფრ: Mi-Carême) შუა საუკუნეებიდან საფრანგეთში არსებული დღესასწაული დიდმარხვის პერიოდში.

[8] დისტრიქტი, დეტრუა. (ფრ: Le Destroit, La tour du Détroit). ლათინურად Districtum-ნიშნავს სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს. ჟაკ დე ვიტრი ამ ადგილს დისტრიქტად მოიხსენიებს, თუმცა, შესაძლებელია, აქ სხვა მნიშვნელობაც ჰქონდეს, რადგან ამავე წერილში იგი ცეზარეასთან ერთად ციხე-სიმაგრე დეტრუასაც იხსენიებს. ვიტრის ამ განმარტებაში ის აზრი ხომ არ არის ჩადებული, რომ იმ დროისათვის ეს მხარე, ფაქტობრივად, დაცლილი იყო მოსახლეობისგან (ცეზარეა და მისი მიმდებარე მიწები 1191 წლის შემდეგ დაიცალა) და ამიტომაც, აღნიშნული ადგილი მუსლიმთა და ქრისტიანთა სამფლობელოებს შორის არსებულ გამყოფ ხაზს წარმოადგენდა? ჟაკ დე ვიტრი ამბობს, რომ ცეზარეიდან იერუსალიმის გზაზე წამოვიდნენ და დისტრიქტად წოდებულ ადგილს მიადგნენ. წერილიდან ჩანს, რომ ისინი იერუსალიმის მიმართულებით დაძრულან, კერძოდ, ცეზარეიდან სამხრეთისაკენ მაშინ, როცა დეტრუა და მის ახლოს მდებარე მომლოცველთა (პილიგრიმების) ციხე ცეზარეის ჩრდილოეთით მდებარეობდა, რომელიც კარმელის მთას ესაზღვრებოდა. ჟ. რიშარი წერს, რომ დეტრუის ხეობა სეზარეს საგრაფოს მხარე იყო. Ришар, 2002, ст. 106. შესაძლებელია, რომ ჟაკ დე ვიტრის შეცდომით აქვს ეს მიმართულება მოხსენიებული. მაშინ, როცა ეს გეოგრაფიული ნომენკლატურები ცეზარეიდან ხაიფის მიმართულებით ჩრდილოეთით მდებარეობდა. დეტრუა

– ჯვაროსნული ეპოქის ციხე-სიმაგრე. დღევანდელი ხაიფის სამხრეთით ზღვის სანაპიროსთან ახლოს მდებარეობდა. უძველესი ციხე ანტიკური პერიოდიდან, რომელიც დროთა განმავლობაში დაინგრა და 1103 წლამდე ნანგრევებად იყო ქცეული. XII საუკუნეში ტამპლიერთა ორდენის ერთ-ერთი რეზიდენცია გახდა. ტამპლიერთა ორდენის დამაარსებლების, მისი პირველი დიდი მაგისტრების ჰიუგ დე პეიენისა და გოტფრიდ სენტ-ომერის ხელმძღვანელობით აშენდა. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს მისგან მოშორებით ტამპლიერებმა მომლოცველთა (პილიგრიმთა) ციხე-სიმაგრე ააგეს, რის გამოც დეტრუამ თავისი მნიშვნელობა დაკარგა.

[9] აქ საუბარია მომლოცველთა (პილიგრიმების) ციხე-სიმაგრეზე.

[10] იმ დროისათვის საომარი მოქმედებები შეჩერებული იყო. თუმცა, ჟაკ დე ვიტრის ინფორმაცია მიანიშნებს, რომ მისი მიდამოები დაუცველი გახლდათ და თაბორის მთის ციხის მუსლიმთა გარნიზონის მხრიდან მოსალოდნელი იყო თავდასხმები. 1191 წლის ბრძოლების შემდეგ ცეზარეას მიდამოები, ფაქტობრივად, განადგურებული იყო, ხოლო რაც შეეხება იმ დროისათვის სარკინოზების იქ გამოჩენას, სხვა წყაროებით არ დასტურდება. სავარაუდოდ, ავტორი მიუთითებს საფრთხეზე, რომელიც გალილეაში ჯვაროსანთა წარუმატებელი სამხედრო კამპანიის შემდეგ შეიქმნა. ამ რეგიონში საომარი მოქმედებები მას შემდეგ განახლდა, რაც ჯვაროსნები ეგვიპტეში გადასხდნენ. დამასკოს გამგებელმა ალ-მუ'აზზამმა გალილეაში არსებულ ფრანკთა სამფლობელოებს შეუტია, რომ ეგვიპტეზე ჯვაროსანთა საფრთხე შეესუსტებინა.

[11] აქ საუბარია მეხუთე ლაშქრობის პირველ ეტაპზე, როდესაც წარუმატებელი კამპანიის შემდეგ უნგრეთის მეფემ ანდრაშ II-მ, კვიპროსის მეფემ ჰიუგ დე ლუზინიანმა, ასევე ანტიოქიის მთავარმა და ტრიპოლის გრაფმა ბოემუნდ IV-მ თავიანთ ჯარებთან ერთად ჯვაროსნები მიატოვეს. საერთოდ, ამ პასაჟიდან ჩანს, რომ ბრძოლები მანამდე მიმდინარეობდა, სანამ ეგვიპტეში ლაშქრობას გადაწყვეტდნენ და, სამწუხაროდ, დე ვიტრი ამ საკითხს, ფაქტობრივად, გვერდს უვლის. აღნიშნავს მხოლოდ ცეზარეის გამაგრებას, პილიგრიმების ციხის მშენებლობას, ცეზარეასთან მომხდარი შეტაკებების ამბავს, ჯვაროსანთა რაზმების უკან გაბრუნებას, ფრიზებისა და გერმანელი ჯვაროსნების ჩამოსვლას წმინდა მიწაზე. ეს მხოლოდ ის მცირე მასალაა, რასაც ჩვენ ავტორის მონაყოლიდან ვხვდებით, რომელიც სირია-პალესტინაში განვითარებულ მოვლენებს შეეხებოდა. დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ, იხ. III წერილი.

[12] ფრიზების მოსვლის შესახებ კომენტარი იხ. III წერილი.

[13] ტევტონები – (ლათ: Teutoni, Teutones, ფრ: Teutons). აქ, ჩვენი აზრით, დე ვიტრი გერმანელებზე საუბრობს და არა ტევტონთა ორდენზე, რადგან ისინი (ტევტონები) ფრიზების გვერდით ჰყავს დასახელებული. ეს კი მი-

ანიშნებს, რომ აქ ეთნიკურ ჯგუფებზეა საუბარი. იმ დროისათვის ევროპაში ჩრდილოეთის გერმანელ ტომებს ტევტონებს უწოდებდნენ. მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობაში ფრიზებთან ერთად მონაწილეობდნენ რაინის ჩრდილოეთის მიწების გერმანელები.

[14] ჟაკ დე ვიტრის აქ გააზრებული აქვს იმ დროისათვის ეგვიპტეზე არსებული შეხედულებები, რომლის მიხედვითაც ეს ქვეყანა წარმოადგენდა ხიდს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. სწორედ აქ იყრიდა თავს აღმოსავლეთიდან მოტანილი სიმდიდრე და ალექსანდრიის პორტის საშუალებით ევროპის ქვეყნებს მიეწოდებოდა. XII საუკუნის ებრაელი მოგზაური ბენჟამენ ტუდელელის ცნობით, „ეს ქვეყანა (ეგვიპტე) დასავლეთთან გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდა და მისი მთავარი პორტის ალექსანდრიის საშუალებით შორეული აღმოსავლეთიდან ევროპაში ტკბილეული, ასევე ფუფუნების სხვა საგნები შემოდიოდა“. მიუხედავად ევროპელების მიერ ეგვიპტესთან დაწესებული სავაჭრო შეზღუდვებისა, კერძოდ, აკრძალული იყო ეგვიპტეში რკინის და ხე-ტყის ექსპორტი (1215 წელს ლატერანის კრებაზე ინოკენტი III-მ გადაწყვეტილება მიიღო, რომ ევროპელებისათვის ეგვიპტესთან ვაჭრობა აეკრძალა. ეს შეეხებოდა ეგვიპტეში რკინისა და ხე-ტყის მასალის ექსპორტს. ასევე აეკრძალათ საზღვაო ქალაქებს სარკინოზებისათვის გემების მიყიდვა, მათ ფლოტში სამსახური. ეგვიპტეს ოთხი წლით სრული ბლოკადა გამოუცხადეს. ვინც ამ გადაწყვეტილებას დაარღვევდა, განკვეთით ემუქრებოდნენ). მაინც მთელი XII-XIII საუკუნეების მანძილზე, მცირე შესვენებებით, იტალიურ ქალაქებს და ხმელთაშუა ზღვის სხვა პორტებს ეგვიპტესთან მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა. მათ ეგვიპტის პორტებში თავიანთი ფაქტორიები ჰქონდათ გახსნილი და გადმოცემით, 1215-1216 წლებში, მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყებამდე, ალექსანდრიაში სამი ათასამდე ევროპელი ვაჭარი იყრიდა თავს.

დე ვიტრი თავის წიგნში საუბრობს მორალურ ასპექტებზე აღმოსავლეთის ქრისტიანულ კოლონიებში და მრავალ გვერდს უთმობს ამ შორეული ადგილების არსებულ მდგომარეობას. მას ყველაფერი არ უნახავს, რაც აღწერა და ხშირად იმეორებს გაგონილ ამბებს ანდა ძველი ამბების ცნობილ ვერსიებს. ასევე, ყველა გეოგრაფიული ადგილის აღწერა სირიასა და ეგვიპტეში შემდგომში მოძიებულ იქნა მოგზაურთა და მეცნიერთა მიერ. თუმცა გასაკვირია, რომ ჟაკ დე ვიტრი არ ახსენებს პირამიდებს, ვინაიდან ეს ნაგებობები მისი ინტერესების სფეროში არ ჯდებოდა. ყველა ქრონისტს შორის, რომელიც ჯარს აღმოსავლეთში გაჰყვა, მხოლოდ ერთმა მათგანმა, XIII საუკუნეში მცხოვრებმა - არნოლდ ლიუბეკელმა გადმოგვცა ინფორმაცია პირამიდების შესახებ. Michaud,1829, p. 178; Cannuyer, 1984, p. 673-681; Райт, 1988, ст. 266-267.

[15] ჟაკ დე ვიტრი აქ აღნიშნავს ჯვაროსან მეთაურთა გადაწყვეტილებას ეგვიპტეში ჯარის გადასხმის შესახებ. სირია-პალესტინაში წარმოებული უშედეგო კამპანიის შემდეგ იერუსალიმის მეფე ჟან დე ბრიენმა თავის თავზე აიღო ჯვაროსანთა მეთაურობა, აკრასთან დარჩენილ მოლაშქრეებსა და მათ სულიერ წინამძღოლებს შესთავაზა, რომ უშუალოდ ეგვიპტისათვის დაერტყათ. ჯვაროსნებს ამ გეგმით სურდათ, რომ საფრთხე კონკრეტულად აიუბიანთა ტახტისათვის შეექმნათ, რათა შემდგომში დაეყოლიებინათ ისინი, დაეთმოთ იერუსალიმი და წმინდა მიწაზე არსებული სხვა მიტაცებული ტერიტორიები. ჯვაროსნებისათვის ეგვიპტეზე ლაშქრობის გეგმა ახალი არ იყო. ეს ძველი გეგმა ჯერ კიდევ იერუსალიმის პირველი მეფეების დროსაც არსებობდა. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ იერუსალიმის მეფე ბოდუენ I 1118 წელს სწორედ ეგვიპტეში ლაშქრობის დროს გარდაიცვალა. შემდგომში ეს იდეა სულ ცოცხლობდა ჯვაროსანთა მეთაურთა შორის, რადგან ეგვიპტის დაპყრობა იერუსალიმის სამეფოს დიდ პრობლემას მოუხსნიდა და, ფაქტობრივად, სამეფოს სამხრეთის საზღვრებზე არსებული საშიშროებაც მოიხსნებოდა. ამიტომაც, XII საუკუნის განმავლობაში იერუსალიმის მეფეები პერიოდულად სამხედრო ექსპედიციებს აწყობდნენ ეგვიპტის მიმართულებით. მესამე ჯვაროსნულ ლაშქრობაში ეს იდეა რიჩარდ ლომგულსაც ჰქონდა, თუმცა მაშინ ეს საკითხი დღის წესრიგში არ დამდგარა. მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი მემატიანე ვილარდუენიც აღნიშნავს, რომ იერუსალიმის მიწების ფლობის სიმტკიცისათვის საჭირო იყო ეგვიპტის დაპყრობა: „ზღვის იქითა მიწები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დავიბრუნოთ, თუ საბერძნეთს ან ბაბილონის მიწას დავიკავებთ“. ამ მონაკვეთშიც კარგად ჩანს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეები ეგვიპტის ფლობას. მოგვიანებით, 1211 წელს, ახლად გამეფებულმა ჟან დე ბრიენმა ამ იდეის განხორციელება სცადა, თუმცა ძალების სიმცირის გამო წარმატებას ვერ მიაღწია. ეგვიპტეზე ლაშქრობის შესახებ ჟაკ დე ვიტრის მიერ მოცემული განმარტება საინტერესოა, რადგან აშკარად ჩანს, რომ მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის პირველ ეტაპზე ლათინებმა ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწიეს და ამიტომაც აღნიშნავს ჟაკ დე ვიტრი, რომ როგორც იერუსალიმი, ასევე სხვა ქალაქები აუღებელი ეჩვენებოდა. ეს იმიტომ, რომ სირია-პალესტინაში აიუბიანებს საკმაოდ დიდი ძალები ჰყავდათ თავმოყრილი, რადგან მათი მზერა სწორედ იერუსალიმისკენ იყო მიპყრობილი და მას საკმაოდ მტკიცედ იცავდნენ. აიუბიანები არ ელოდნენ ქრისტიანთა ასეთ გაბედულ თავდასხმას ეგვიპტეზე, რომელმაც დასაწყისში აიუბიანთა მმართველები დააბნია, რაც კარგად ჩანს იმდროინდელ წყაროებში მოცემული ინფორმაციით.

[16] ქალაქი კაირო.

[17] მათეს სახარება 2, 13-15.

[18] ჟაკ დე ვიტრი აქ ეგვიპტის ქრისტიან მოსახლეობას, იაკობიტებს და

კოპტებს გულისხმობს. ბერძნული ეკლესიის წიაღიდან იაკობიტების მიმდევართა განდევნის შემდეგ, მათ თავშესაფარი ჰპოვეს სირიის, სპარსეთის, შუა აზიისა და აღმოსავლეთ აზიის შორეულ რეგიონებში. შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფები დასახლდნენ ეგვიპტეში, ნუბიაში, აბისინიაში. ჟაკ დე ვიტრი აკრაში ჩამოსვლის შემდეგ თავის წერილებში ძირითადად სწორედ იაკობიტებზე საუბრობს, როგორც ქრისტიანული ეკლესიის წიაღში არსებულ ერესზე. რაც შეეხება კოპტებს, ჟაკ დე ვიტრის მათ შესახებ ინფორმაცია აქვს თავის „აღმოსავლეთის ისტორიაში“, სადაც გადმოგვცემს კოპტების ჩვეულებას, კერძოდ, ნათლობის დროს ბავშვის სახეზე ჯვრის ფორმის საცეცხლურის საშუალებით დაღს ასვამდნენ, რაც, ზოგადად, აფრიკის ქრისტიანებში იყო გავრცელებული. მსგავსი ჩვეულება ახასიათებდათ სირიელ იაკობიტებსაც: ბავშვებს ნათლობის წინ შუბლზე ან ორივე ლოყაზე ცეცხლით ხალს ამოუწვავდნენ ნიშნად იმისა, რომ ნათლობა ცეცხლით ჩატარდა. კიოლნის არქიეპისკოპოსი ოლივერუსიც საუბრობს ეგვიპტეში მცხოვრები იაკობიტების შესახებ, რომლებიც წინადაცვეთას მისდევდნენ. თუმცა, ლათინურ წყაროებში ეგვიპტელი იაკობიტები და კოპტები ხშირად ერთმანეთში ერეოდათ. რიგი ავტორები კოპტებს იაკობიტებად იხსენიებდნენ, რაც გამოწვეული იყო მათ შესახებ არსებული მწირი ინფორმაციით და ორივე რელიგიური ჯგუფის მონოფიზიტური აღმსარებლობით. პირველი ლათინი ავტორი, რომელმაც ეს ჯგუფები ერთმანეთისაგან განასხვავა იყო XIII საუკუნის მემატიანე ვილჰელმ (უილიამ) ტრიპოლელი, რომელიც თავისი ტრაქტატის „De statu Sarracenorum“ მეხუთე თავში გადმოგვცემს ინფორმაციას კოპტების შესახებ. Schöndorfer, 1997, p. 91-93.

[19] დე ვიტრი აქ გამოხატავს დასავლეთში გავრცელებულ მოსაზრებას, რომელიც იოანე პრესვიტერის სამეფოს უკავშირდებოდა. ევროპელთა წარმოდგენით, ეს სამეფო უკიდურეს აღმოსავლეთში მდებარეობდა, რომელიც ქრისტიანებით იყო დასახლებული და მისი მეფე ნესტორიანული მრწამსის აღმსარებელი გახლდათ. ამ წარმოდგენების მიხედვით, მისი სამეფოს ფარგლებში აბისინიის მხარეებიც შედიოდა, რომელიც ძველი ცნობების თანახმად, ქრისტიანებით იყო დასახლებული და იგი ქრისტიანული აღმოსავლეთის ერთ-ერთ უკიდურეს ფორპოსტს წარმოადგენდა. რაც შეეხება აღმოსავლეთისა და ქვეყნის დასალიერის წარმოსახვას, იმდროისათვის ეს გეოგრაფიული სივრცე კონკრეტულ საზღვრებში არ ჯდებოდა. ამ სამყაროს შესახებ მაშინდელ ჯვაროსნულ აღმოსავლეთსა თუ ევროპაში ბევრი ისტორიული სინამდვილისაგან შორს მდგომი ამბავი ვრცელდებოდა. ამიტომ, ჩვენი აზრით, ჟაკ დე ვიტრის აღმოსავლეთს და ქვეყნის დასალიერს კონკრეტული გეოგრაფიული გარშემოწერილობა არ გააჩნდა.

[20] (ფრ: La vigne du baume, ლათ: Vinea balsami). ჟაკ დე ვიტრი „აღმოსავლეთის ისტორიაში“ დაწვრილებით საუბრობს ბალზამის ვაზის ისტორიაზე.

ის აღნიშნავს, რომ „ადრე ბალზამის ძირი წმინდა მიწისა, კერძოდ იერიხონის მიდამოების გარდა არსად არ იზრდებოდა. მაგრამ, მოგვიანებით, ეგვიპტელებმა იგი ბაბილონის (კაირო) მიდამოებში გადაიტანეს, რომელსაც მუსლიმთა მმართველობის პერიოდში ქრისტიანები უვლიდნენ. ეგვიპტელები ამტკიცებენ, რომ ის მხოლოდ ქრისტიანების ხელში ხარობს და როცა მას სარკინოზები უვლიან, იმ წელს ნაყოფს არ იძლევა. ამ ტერიტორიაზე ექვსი წყარო არსებობს, რომელთაგან ერთ-ერთში, გადმოცემით, მარიამმა პატარა იესო აბანავა“. ჟაკ დე ვიტრი იმ ძველი გადმოცემების ამბებს იმეორებს, რომელიც მაშინ ამ სურნელოვანი ბუჩქის ისტორიის გარშემო იყო გავრცელებული. კაიროში არსებული ბალზამის ბუჩქის ისტორია პირველად ფრიდრიხ I ბარბაროსას ელჩმა ბურხარდ სტასბურგელმა მოგვითხრო, რომელიც დიპლომატიური მისიით სალაჰ ად-დინის კარზე იყო გაგზავნილი. მისი ცნობით, ბალზამის სითხის მიღება ქრისტეს ეგვიპტეში ყოფნის მისტერიებთან იყო დაკავშირებული. „ეგვიპტეში ჩასულმა მარიამმა ერთ-ერთ წყაროსთან სხეული განიბანა და პატარა იესოს საცვლები გარეცხა. შემდგომში სწორედ ამ წყაროდან იკვებებოდა ის ძირები, რომელიც გამოყოფდა სურნელოვან სითხეს. იმ ადგილს ეთაყვანებოდნენ არა მარტო ქრისტიანები, არამედ ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობაც.“ ბურხარდ სტრასბურგელი გადმოგვცემს, რომ ამ ბუჩქების ძირებიდან მიღებულ ბალზამს ამუშავებდნენ და იღებდნენ მირონს. ბალზამის სურნელოვანი ძირების შესახებ ცნობები ანტიკური ეპოქიდან გვხვდება. იოსებ ფლავიუსის ცნობით, ეგვიპტეში მისი ჩამოტანა კლეოპატრას უკავშირდება. ამ საკითხის შესახებ მრავალი ცნობა არსებობს, რომელიც XII-XIII საუკუნეების ავტორთა ქრონიკებში გვხვდება. ამ ისტორიის ერთ-ერთი ანონიმი ავტორის გადმოცემით („იერუსალიმის ადგილმდებარეობის, წმინდა ადგილების, თვით ქალაქისა და მისი მიდამოების შესახებ“ (1130წ.)), ბალზამის წყაროები პალესტინაში მოიპოვებოდა. Горелов, 2006, ст. 101-103.

[21] 1218 წლის 24 მაისი.

[22] ჰატინთან ბრძოლაში 1187 წლის 4 ივლისს. ჰატინის ბრძოლის შემდეგ ქრისტიანები მუსლიმებისაგან ჯვრის გამოსყიდვას ცდილობდნენ. მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს რიჩარდ ლომგული სალაჰ ად-დინისაგან მის დაბრუნებას მოითხოვდა, რაც საზავო მოლაპარაკების პირობებშიც შედიოდა. ინგლისის მეფე პირობას დებდა, რომ თუ ეგვიპტელები ქრისტიანებს ამ ჯვარს დაუბრუნებდნენ, მათ შორის მშვიდობა ჩამოვარდებოდა. არაბული წყაროების ცნობებით, სალაჰ ად-დინმა ინგლისის მეფის და ბიზანტიის იმპერატორის ელჩებს ამ თხოვნის შესრულებაზე უარი უთხრა. აღნიშნული ლაშქრობის პერიოდში ქართველთა მეფე თამარმა სალაჰ ად-დინთან ელჩი გააგზავნა და ჯვრის სანაცვლოდ 200 000 დინარს იხდიდა, მაგრამ მუსლიმებმა ქართველთა მეფესაც უარი განუცხადეს. სხვა ვერ-

სიით, სალაჰ ად-დინი ამ ჯვრის დაბრუნებას ბერძნებს დაჰპირდა და ზღვით გააგზავნა კიდეც ბიზანტიაში, მაგრამ პიზელმა მეკობრეებმა ის გაიტაცეს და კორსიკაში წაიღეს, შემდგომში კი გენუელებმა დაისაკუთრეს. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს აიუბიანები ჯვაროსნებს ჯვრის დაბრუნებას დაჰპირდნენ, მაგრამ ვერსად ნახეს. ამ ჯვრის დაბრუნების საკითხი საღვთო რომის იმპერატორმა ფრიდრიხ II-მ დააყენა აიუბიანებთან მოლაპარაკებისას. ავალიშვილი, 1989, გვ. 110-111; ჯაფარიძე, 1995, გვ. 135-136. გადმოცემით, სალაჰ ად-დინი აპირებდა წმინდა ჯვარი აკრის კაპიტულაციის შემდეგ ქრისტიანთათვის გადაეცა, მაგრამ ვინაიდან სულთანი სხვა პირობების შესრულებას აყოვნებდა, გაგულისებულმა რიჩარდმა მუსლიმი ტყვეები დაახოცინა, ამიტომ მუსლიმებმა ჯვარი აღარ დაუბრუნეს ქრისტიანებს. „ჰერაკლეს ისტორია“ გადმოგვცემს ამბავს დაკარგული ჯვრის მოძიების შესახებ, თითქოს ჰატინთან ბრძოლის შემდეგ, როდესაც ეს ჯვარი დაიკარგა, ანრი შამპანელთან მისულა ერთ-ერთი ჯვაროსანი, რომელიც ამ ბრძოლაში მონაწილეობდა და მოუთხრო მას, რომ გახურებული ომის დროს ჯვარი დამარხეს, რათა სარკინოზებს არ ჩავარდნოდათ ხელში. შემდეგ მას უშედეგოდ ეძებდნენ და ვერსად ნახეს. წყაროს ცნობით, იერუსალიმის ალყის დროს (1187წ.) მის კედლებზე სირიელების ჯვარი გამოიტანეს, რომელიც ასევე წმინდა ძელის ნაწილებისგან იყო შეკრული. ჟაკ დე ვიტრი აღნიშნავს, რომ ეს ჯვარი მუსლიმებთან ბრძოლისას (ჰატინთან) დაიკარგა, მაგრამ, ამავე დროს, წმინდა ჯვრის იმ ნაწილზე საუბრობს, რომელიც ეგვიპტეში გამგზავრების წინ გამოიტანეს. საინტერესოა, თუ რომელ ჯვარზეა საუბარი?! შეიძლება ეს ის ჯვარი იყოს, რომელიც „ჰერაკლეს ისტორიაშია“ მოხსენიებული სირიელების ჯვრის სახელით. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობისას სირია-პალესტინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს, იერუსალიმის პატრიარქმა მეომრები წმინდა ჯვრით დალოცა და ლაშქრობაში რაინდებს თავადაც ახლდა ამ წმინდა რელიკვიით.

[23] თინისი (ფრ: Thanis). დღევანდელი დაბა სან-ელ-ჰაგარი, მენზალის სამხრეთით, ნილოსის დელტაში. ძველი ეგვიპტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი, დაარსებული მესამე სამეფო დინასტიის პერიოდში (ძვ. წ. აღ. 1075-664 წწ.), 21-ე დინასტიის დედაქალაქი. ანტიკურ ხანაში ამ ქალაქს თენესოსი ეწოდებოდა. ის მენზალეს ტბაში არსებულ პატარა კუნძულზე მდებარეობდა. თინისი ხმელთაშუა ზღვის ვაჭრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო ალექსანდრიისა და დამიეტის შემდეგ. მას მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა სირიისა და იტალიის ქალაქებთან. მას შემდეგ, რაც ფრანკებმა დამიეტა დატოვეს, თინისიც ეგვიპტელების ხელში გადავიდა. სულთანმა ალ-მალიქ ალ-ქამილმა მისი ციხე დაანგრია, რადგან შიშობდა, რომ მტერს ის კვლავ არ გამოეყენებინა მათ წინააღმდეგ, როგორც დასაყრდენი პუნქტი ეგვიპტის შუაგულში ლაშქრობისათვის. The Encyclopaedia of Islam, 2000, p. 531-532.

[24] იერემიას გარდაცვალებაზე ეგვიპტეში. თინისის ხალხის მიერ დევნილი იერემია პატივით დაკრძალეს ეგვიპტელებმა. Oliverus, 1894, p. 242-243; Lettres de Jacques de Vitry, 1998, p.108.

[25] 1218 წლის 29 მაისი.

[26] ბედუინი (ფრ. Bédouin). ჯვაროსნული ეპოქის ლათინურ წყაროებში ბედუინებზე ინფორმაცია პირველად XII საუკუნის ავტორთან ალბერტ აახენელთან გვხვდება, რომელიც თავის ნაშრომში „იერუსალიმის წმინდა ომების ქრონიკებში“ მათ წეს-ჩვეულებებს აღწერს და აღნიშნავს, რომ ისინი მესაქონლეობას მისდევდნენ, ასევე ვაჭრობდნენ და მათი ქარავნები არაბეთის, ეგვიპტის, სირიისა თუ პალესტინის უდაბნოებში მოგზაურობდნენ. ალბერტ აახენელი მათ იდუმეებად მოიხსენიებს, რომლებსაც უამრავი საქონელი ჰყავდათ და მათი ეს სიმდიდრე ხშირად იზიდავდა კიდეც ჯვაროსანთა მმართველებს, რომლებიც თავს ესხმოდნენ მათ ბანაკებს. ჟაკ დე ვიტრი „აღმოსავლეთის ისტორიაში“ წერს, რომ „ბედუინების წარმომავლობა არაბებიდან მომდინარეობს და, როგორც თვითონ ამტკიცებენ, მუჰამედიც მათი ტომიდან იყო, ასევე ნათელმხილველები, რომლებსაც სჯეროდათ, რომ თავიანთი სიკვდილის დღე ღმერთის მიერ იყო დადგენილი და ამიტომ არაფრის შეცვლა არ შეიძლებოდა; ბრძოლაში საომარი აღკაზმულობის გარეშე მიდიოდნენ, მხოლოდ ხმლებს და შუბებს იყენებდნენ. სარკინოზებისგან განსხვავებით მშვილდს არ ხმარობდნენ, რაც მათი აზრით, მშიშრების იარაღი იყო და ამის გამო სძულდათ ისინი (სარკინოზები). კარვებში ცხოვრობდნენ და ერთ ადგილზე არასდროს ჩერდებოდნენ. ღარიბულად იცვამდნენ, ძირითადად ცხვრისა და თხის ტყავისგან შეკერილი სამოსით იმოსებოდნენ და მრგვალ წითელ ქუდებს ატარებდნენ“. ჟაკ დე ვიტრი ისლამში მათ ადგილს ვერ ხედავს და სექტად მიიჩნევს, რადგან მუჰამედის რჯულს მტკიცედ არ იცავდნენ. იგი წერს, რომ „ისინი სარაცინებს ერეტიკოსებად და უღმერთოებად მიიჩნევენ, რადგან ბევრი მათგანი ქრისტიანების მსგავსად მზის ამოსვლის დროს ლოცულობს. ეს ტრადიცია თავიანთი წინაპრებისგან გადმოიღეს, რომლებიც ადრე ქრისტიანები იყვნენ“. ბედუინების შესახებ მრავალ ლათინ ავტორს აქვს ცნობები და აღნიშნავენ, რომ ბედუინები მუჰამედის კანონებში სიმტკიცეს არ ამჟღავნებდნენ. ჟან დე ჟუანვილი წერს, რომ „ბედუინებს არ სწამთ მუჰამედის სწავლების და მუჰამედის ბიძის ალის კანონებს მისდევენ, ასევე სწამთ მთის მოხუცის, რომელიც ასასინების აღმზრდელია.“ Жан де Жуанвиль, 2012, ст. 63; Горелов, 2006, ст. 252-254; Stambuli, 1991, p. 67.

[27] დაბადება, 2, 14. ედემიდან გამოედინებოდა მდინარე, რომელიც ანაყოფიერებდა სამოთხეს. შემდეგ ის ოთხ მდინარედ იტოტებოდა. შუა საუკუნეების კოსმოგრაფიის მიხედვით სამოთხის მდინარე ოთხი იყო: ჯეონი,

ფისონი, ტიგროსი და ევფრატი. კარტოგრაფიაში ხშირად ნილოსსაც გამოსახავდნენ სამოთხის მდინარედ. მათი მისტიფიკაცია შუა საუკუნეებში ძველი თქმულებებით და ბიბლიური წარმოდგენებით გახლდათ განპირობებული. საერთოდ, ამ მდინარეების იდენტიფიკაცია აღრეული იყო. ევფრატისა და ტიგროსის შესახებ ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან ჰქონდათ მეტ-ნაკლებად რეალური ცნობები. მათი ლოკალიზაციაც მაშინდელ რუკებსა თუ პორტოლანებზე შედარებით ზუსტად ხდებოდა. იმდროინდელი კარტოგრაფია ნაკლებად იცნობდა ნილოსის, ინდისა და განგის როგორც სათავეებს, ასევე დინების მიმართულებებს. ამიტომაც, ჯეონსა და ფისონს ხშირად ნილოსთან, განგთან და ინდთან აიგივებდნენ. ასევე გვხვდება ფისონის გაიგივება მდინარე ფაზისთანაც. შუა საუკუნეებში ნილოსის სათავეებს ატლანტის ოკეანეს ან წითელი ზღვის აღმოსავლეთით არსებულ მიწებს უკავშირებდნენ. XII საუკუნის კარტოგრაფის ლამბერ დე სენ-ომერის მსოფლიო რუკაზე ნილოსის სათავეებთან ახლოს ევფრატი მოედინებოდა, ამიტომ ჟაკ დე ვიტრის მიერ ნილოსის და ევფრატის გაიგივება შუა საუკუნეების კარტოგრაფიული აღრევებით უნდა იყოს გამოწვეული.

[28] ნილოსის ადიდების უცნაურობების შესახებ ჯერ კიდევ ანტიკური ხანის მწერლები წერდნენ. ჰეროდოტე და სენეკა ეგვიპტეს ნილოსის საჩუქარს და მის მხოლოდშობილს უწოდებდნენ. ანაქსაგორას განმარტებით ნილოსის ადიდების მიზეზი მდინარის სათავეებთან უნდა ვეძიოთ, კერძოდ აბისინიაში, როცა გაზაფხულზე წვიმების შედეგად ყინულის გალღვობა იწყებოდა და აბისინიის მთებიდან ქვემო ეგვიპტეში უხვი წყალი მოედინებოდა. ჰეროდოტეს და პლინიუსის განმარტებით, ნილოსის ადიდებას მზე განაპირობებდა, ამ მიზეზით წყლის მოქცევა დინების საწინააღმდეგოდ იწყებოდა, რაც მდინარის დაბლობზე წყლის მოვარდნას იწვევდა. გიიომ ტირელის ცნობით, ნილოსის ადიდება მთელი ზაფხულის განმავლობაში გრძელდება, ივნისიდან სექტემბრის ჩათვლით. საერთოდ, ჟაკ დე ვიტრის გეოგრაფიულ წარმოდგენებზე დიდი გავლენა მოახდინა როგორც ანტიკურმა, ისე შუა საუკუნეების კოსმოგრაფიამ, რაც აშკარად ეტყობა მის თხზულებას „აღმოსავლეთის ისტორია“. ამ ნაწარმოებში ნათლად ჩანს 1100 წელს შედგენილი ენციკლოპედიური ტიპის კომპილაციური ნაშრომის „სამყაროს ხატის“ გავლენა, რაც ჟაკ დე ვიტრის მიერ განსაკუთრებით პალესტინისა და აზიის გეოგრაფიის აღწერისას არის შესამჩნევი. Райт, 1988, ст. 36-37.

[29] ამგვარადაა მოხსენიებული ტექსტში.

[30] XII საუკუნის მემატიანე გიიომ ტირელი გადმოგვცემს, რომ ადენის პორტი წითელ ზღვაზე მთავარ პუნქტს წარმოადგენდა, სადაც თავს იყრიდა აღმოსავლეთიდან მოსული ქარავნები. შემდეგ ნილოსის საშუალებით ადიოდნენ ალექსანდრიამდე, საიდანაც იტალიელებს ევროპაში გაჰქონდათ

აღმოსავლური სანელებლები, ტკბილეული, წამლები, ძვირფასი ქვები და ქსოვილები. Райт, 1988, ст. 266-267.

[31] ლუკას სახარება 14, 26 და მათეს სახარება 19, 29.

[32] ბალისტა (ფრ: Baliste) - სასროლი მექანიზმი. იგი გამოიყენებოდა დიდი ისრების, უფრო შუბების ტიპის იარაღის სატყორცნად. ეს გახლდათ დიდი არბალეტი, რომელიც დანადგარს წარმოადგენდა. ბალისტას ნაირსახეობა იყო კატაპულტი. საერთოდ, ბალისტას ტერმინით აღინიშნებოდა ნებისმიერი შორსმტყორცნელი მოწყობილობა, საიდანაც ისროდნენ არა მარტო ისრებსა და შუბებს, არამედ მცირე ზომის ქვებსაც. ეს მექანიზმები მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის გასანადგურებლად გამოიყენებოდა, ასევე გალავანზე იერიშის მიტანისას, ძირითადად, ციხის ალაყაფის დასაზიანებლად და დამცავი ხის კონსტრუქციების დასანგრევად. რაც შეეხება ტარანს, იგი გალავნის ალაყაფის ან კედლის გასანგრევი მექანიზმი იყო. ტარანი დიდი ზომის ხის მორს წარმოადგენდა, რომელსაც თავი წამახვილებული ჰქონდა და, ძირითადად, ლითონის კაუჭებით ან რკინის სოლებით იყო წაწვეტებული. ტარანები საერთოდ შეჯავშნული, კუს ფორმის მექანიზმი გახლდათ, რომელიც რკინის ფირფიტებით და ტყავებით იყო დაცული, რომ მეომრები გალავნის კედლებისგან წამოსული ისრების, ლოდების, ცეცხლგამჩენი ქოთნების სეტყვისგან დაეცვა.

[33] აქ დე ვიტრი დაწვრილებით აღწერს კოშკის აღების ისტორიას მაშინ, როცა მესამე წერილში ამ საკითხზე მხოლოდ მცირე მასალაა მოცემული. ჩვენი აზრით, ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ მესამე წერილი დე ვიტრის არ უნდა ეკუთვნოდეს. მესამე წერილის ეპილოგში ამ უცნობ ავტორს ძალიან მშრალად აქვს მოცემული ეგვიპტის კამპანიის პირველი პერიოდი, კერძოდ დამიეტის წინ კუნძულზე მდებარე კოშკის და თვით ქალაქის აღებაც კი. წერილის ავტორი ამბობს, რომ ქალაქი აღებული იქნა. სავარაუდოდ, აქ საუბარი უნდა იყოს დამიეტაზე და არა მის წინ მდებარე კოშკზე, რომელიც მის ყურეში შესასვლელს იცავდა.

[34] ეს კოშკი მდინარის შესართავის შუაგულში მდებარეობდა, პატარა კლდის თხემზე და ხის ხიდით ხმელეთს უკავშირდებოდა. მესამე წერილშიც არის აღნიშნული კოშკის მდებარეობის და მისი მიუდგომლობის შესახებ.

[35] ამ კოშკიდან გაბმული ჯაჭვის გამო ჟაკ დე ვიტრი მას „ჯაჭვის კოშკს“ უწოდებდა.

[36] შდრ. Oliverus. „ჩვენ ძალიან მტკიცედ მივაბით ერთმანეთს ორი კოგი იმისათვის, რომ ამ შეკრული ნაგებობით რყევის საფრთხე თავიდან აგვეცილებინა. შემდეგ მათზე ოთხი ანძა და ამდენივე საიალქნე ბოძი აღვმართეთ, წვერზე კი სოლებითა და თოკების ქსელით გამაგრებული ციხე განვათავსეთ; აღნიშნული ნაგებობის გვერდები და სახურავი ტყავებით დავფარეთ, რომ ციხე საომარი მანქანებისგან დაგვეცვა. ამ პატარა ციხ-

ეზე ძალიან გამძლე თოკებზე დაკიდებული კიბე დავამაგრეთ, რომელიც ხომალდების ცხვირს ოცდაათი წყრთით სცდებოდა“. Lettres de Jacques de Vitry, 1998, p.108-109. კიოლნის არქიეპისკოპოსის ოლივერუსის ეს ნაშრომი ძალიან მნიშვნელოვანია საკითხის შესასწავლად, რადგან ის დამიეტის ალყის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო. იგი ავსებს ჟაკ დე ვიტრის ცნობებს. ოლივერუსი არა მარტო სულიერად, არამედ სამხედრო-ტექნიკური კუთხითაც ეხმარებოდა ჯვაროსნებს, მისი მეთვალყურეობითა და მითითებებით იქნა აგებული საალყე კოშკები.

[37] ფსალმუნი 77, 7.

[38] ფსალმუნი 3, 5.

[39] ფსალმუნი 78, 10.

[40] ეფესელთა 6, 10.

[41] ამ კოშკის აღებას ჯვაროსნები სამი თვე მოუნდნენ. ჯვაროსანთა ესკადრა 1218 წლის 29 მაისს დამიეტასთან, ნილოსის შესართავთან გადასხდა, ხოლო ეს კოშკი 1218 წლის 24 აგვისტოს იქნა აღებული. Ришар, 2002, ст. 211. თუმცა, დე ვიტრი აღნიშნავს, რომ ამ კუნძულზე ოთხი თვე დარჩნენ, რათა ეს კოშკი აეღოთ.

[42] Patria -ში აქ იგულისხმება ქალაქი დამიეტა. Lettres de Jacques de Vitry, 1998, p. 109.

[43] კოშკის აღების დროს და შემდგომშიც ჯვაროსანთა რაზმებს ახალი ძალები ემატებოდა. კოშკის აღების შემდეგ მოლაშქრეთა ნაწილი სამშობლოში გაემგზავრა. ეგვიპტეში დარჩენილი თანამემამულეები და საეკლესიო პირები სასტიკად ამხელდნენ მათ საქციელს, ხოლო უკან დაბრუნებისას მათი გემების დაღუპვას კი ღვთის რისხვას მიაწერდნენ. ასევე უკან დაბრუნდნენ ფრიზები და ჰოლანდიელებიც, რაც სერიოზული დანაკლისი იყო დამიეტასთან მდგარი ჯვაროსნებისათვის. ფრიზებმა თავი გამოიჩინეს კოშკის აღების დროს, რომლის შესახებაც ჟაკ დე ვიტრი ამ წერილში მოგვითხრობს. მაგრამ უკვე დამიეტასთან მდგომ ჯვაროსნებს ევროპიდან ნელ-ნელა ემატებოდა ძალები. განსაკუთრებით გაიზარდა იტალიელთა რიცხვი, რადგან გენუელებმა, ვენეციელებმა და პიზელებმა თავიანთი ფლოტის საშუალებით ახალი ძალები გამოაგზავნეს. ჯვაროსნები ძალზე საჭიროებდნენ მათ დახმარებას, რადგან საზღვაო ქალაქების ასაღებად ამ ქალაქების მცხოვრებლებს საკმაო გამოცდილება და ტექნიკური აღჭურვილობა ჰქონდათ. ასევე დამიეტასთან თავი მოიყარეს გერმანიიდან, ინგლისიდან და საფრანგეთიდან წამოსულმა როგორც პილიგრიმებმა, ასევე მოლაშქრეებმა. სწორედ ამ დროს ჩამოვიდა ჯვაროსანთა ბანაკში პაპის მიერ სულიერ წინამძღოლად გამოგზავნილი პელაგიუსი. ჟაკ დე ვიტრი, სავარაუდოდ, ამ ძალების მოსვლის მოლოდინზე საუბრობდა, რადგან წერილის დასაწყისშიც აღნიშნავდა ჯვაროსანთა რაზმების უკან გაბრუნებას და

ამას კიდევ სახარებისეულ პასაჟებს ურთავდა, რითაც თავის უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავდა იმ მოლაშქრეთა მიმართ, რომლებმაც თანამოძმენი ასეთ გაჭირვებაში მიატოვეს.

[44] აბუ ბაქრ ალ-მალიქ ალ-‘ადილი, აიუბიანთა დინასტიიდან. სალაჰ-ად-დინის უმცროსი ძმა (1145-1218 წწ.), ალეპოს (1183-1186 წწ.) და დამასკოს გამგებელი (1196-1218 წწ.), ეგვიპტის სულთანი (1200-1218). ლათინები მას Saphadin-ს უწოდებდნენ. სალაჰ ად-დინის სიკვდილის შემდეგ მისი მემკვიდრეობისათვის დაიწყო ბრძოლა. ალ-‘ადილმა 1196 წელს დამასკო წაართვა სალაჰ ად-დინის უფროს ვაჟს ალ-აფდალს. შემდგომში მან ეგვიპტის მმართველობა ხელში ჩაიგდო და 1200 წელს უზენაესი სულთანი გახდა. იგი სალაჰ ად-დინის ღირსეული თანამებრძოლი იყო, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ჯვაროსნების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში, იბრძოდა იერუსალიმის აღებისათვის. სალაჰ ად-დინის მსგავსად დიდსულოვნება გამოიჩინა და 1000 დატყვევებული მოქალაქე უსასყიდლოდ გაათავისუფლა. იერუსალიმის აღების (1187 წ.) შემდეგ იგი ტრანსიორდანიას დაეუფლა და ამ რეგიონში არსებულ ჯვაროსანთა ყოფილ ციხეებს ფლობდა, კერძოდ, კერაკსა და მონრუიალს. მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდში იგი შუამავლის როლს ასრულებდა რიჩარდ ლომგულსა და სალაჰ ად-დინს შორის. საერთოდ, სალაჰ ად-დინი მას ნაკლებად ენდობოდა, რადგან საკმაოდ მოხერხებული დიპლომატი იყო, ამასთან, ამბიციურიც და ფრანკთა სენიორებთან ადვილად აბამდა კავშირებს. ინგლისის მეფე ფიქრობდა კიდეც, შეექმნა იერუსალიმის ლათინურ-მუსლიმური სამეფო, რომელსაც სათავეში ალ-‘ადილი ჩაუდგებოდა და თავისი და ჟანა მიეთხოვებინა მისთვის. მაგრამ ეს ქორწინება ჩაიშალა, რადგან მეფის დამ უარი განაცხადა ცოლად გაჰყოლოდა მუსლიმ მმართველს. სხვა (არაბ ავტორთა) წყაროებით, ალ-‘ადილმა თავად უარყო ეს კავშირი, რადგან ქორწინების შემთხვევაში მას, როგორც იერუსალიმის მეფეს, ქრისტიანობა უნდა მიეღო. მან თავისი მმართველობის მანძილზე მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა და ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას უწყობდა ხელს. ცდილობდა, შეევსო სახელმწიფო ხაზინა, რომელიც მისი ძმის მრავალწლიანი საომარი კამპანიის შედეგად დაცარიელებული იყო. ალ-‘ადილმა ვენეციისა და გენუის მმართველებთან დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა და ხელს უწყობდა მათ ვაჭრობას ეგვიპტის მიწებზე. მისი მოქნილი პოლიტიკის ერთ-ერთი შედეგი იყო ეგვიპტეში ვაჭრობის გაფართოების სანაცვლოდ ვენეციელების საიდუმლო შეთანხმებაზე დათანხმება, რაც შემდეგში მდგომარეობდა: ევროპიდან წამოსულ რაინდებს ისინი ყველანაირად შეუშლიდნენ ხელს გადმოელახათ ზღვა. ვენეციელებმა გემების გაქირავების სანაცვლოდ დიდი თანხა დააწესეს, რაც ჯვაროსანთა ახალი ძალების ლევანტში გადმოსვლას აფერხებდა. ამ შეთანხმების ერთ-ერთი აშკარა გამოხატულება იყო ის ფაქტი, რომ მეო-

თხე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს ვენეციელებმა, რომლებმაც ლათინებსა და ბერძნებს შორის არსებული სიძულვილით, ასევე იმპერიის ტახტზე არსებული შინაომებით ისარგებლეს, ყველაფერი გააკეთეს ევროპაში თავმოყრილი რაინდების არა იერუსალიმის, არამედ კონსტანტინეპოლის კედლებთან გადასაყვანად. ალ-'ადილის მმართველობის პერიოდში საქართველოსა და აიუბიანებს შორის გარკვეული დიპლომატიური კონტაქტები არსებობდა, თუმცა ეს ურთიერთობები დროთა განმავლობაში კონფლიქტის სახეს იღებდა და ამ დაპირისპირების მიზეზი შაჰ-არმენთა სახელმწიფოს, ხლათის ქვეყნის დაუფლებისათვის ბრძოლები იყო. წყაროებით ცნობილია 1203 წელს თამარის სამეფო კარზე ალ-'ადილის მიერ გამოგზავნილი ელჩობა. ჯაფარიძე, 1994. გვ. 139-140.

[45] სალაჰ ად-დინის სიკვდილის შემდეგ, 1193 წელს, დაიწყო ბრძოლა მისი მემკვიდრეობისათვის. ალ-'ადილი თავისი შვილის ალ-მუ'აზზამის ინტრიგებს უფრთხოდა, რომელსაც დამასკოზე ეჭირა თვალი. იერუსალიმიც მის ხელში გადავიდა. ალ-'ადილის სიკვდილის შემდეგ იგი დამასკოს სრულუფლებიანი გამგებლი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ალ-'ადილის სიკვდილის შემდეგ მისი ვაჟები მოჩვენებით მშვიდობას ინარჩუნებდნენ, მათ შორის მაინც არსებობდა უნდობლობა და ფარული დაპირისპირება. ალ-მუ'აზზამი ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში არ ემორჩილებოდა სულთანს. ეს კარგად გამოჩნდა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის პირველ ეტაპზე, როცა აკრასთან თავმოყრილმა რაინდებმა გალილეაში, იორდანეს ნაპირებისაკენ დაიწყეს შეტევა და იმ დროისათვის მამა-შვილმა ალ-'ადილმა და ალ-მუ'აზზამმა ერთიანი ფრონტის შექმნა ვერ მოახერხეს, რის გამოც სულთანი საყვედურობდა კიდეც ალ-მუ'აზზამს, რომ არ გაითვალისწინა მისი რეკომენდაციები, შეექმნა ერთიანი ფრონტის ხაზი დამასკოს მიმართულებით. ფრანკთა პირველმა რეიდმა იორდანეს ნაპირებს მიაღწია, რამაც დამასკოს მოსახლეობაში პანიკა გამოიწვია, ხოლო ალ-'ადილი, ფაქტობრივად, უბრძოლველად გაეცალა საბრძოლო მოქმედებების არეალს.

[46] ლათინური munitionem ამ წერილში აღნიშნავს თავად თაბორის მთის ციხე-სიმაგრეს. Deschamps, 1939, p. 26. Lettres de Jacques de Vitry, 1998, p. 109. 1187 წელს თაბორის მთის ციხესიმაგრე სალაჰ ად-დინმა დაიკავა. შემდგომში აიუბიანები დიდი ძალისხმევით იცავდნენ მას, რადგან სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა, რომელიც აკრასა და იერუსალიმს შორის დამაკავშირებელ გზებს, ასევე თვით პტოლემიადის დაბლობსაც კი აკონტროლებდა. ჯვაროსნებმა მეხუთე ლაშქრობის პირველ ეტაპზე მისი აღება სცადეს, მაგრამ უშედეგო ალყის შემდეგ უკან გაბრუნდნენ. აქ ჟაკ დე ვიტრი სულთან ალ-'ადილს თაბორის მთის ციხის გამაგრებას მიაწერს, თუმცა, მასზე საფორტიფიკაციო სამუშაოები დამასკოს გამგებელმა ალ-მუ'აზზამმა ჩაატარა. თაბორის მთის ალყის შესახებ იხ. III წერილი.

[47] რიცხვთა, 33, 55.

[48] ფსალმუნი 117, 23. ეს არის პირველი ცნობა ჟაკ დე ვიტრის წერილებში, როცა მუსლიმებმა ციხეების დანგრევა დაიწყეს, რაც დამიეტისა და მთლიანად ეგვიპტის დაკარგვის შიშით იყო გამოწვეული. ჯვაროსანთა პირველი წარმატება დამიეტის მისადგომებთან მუსლიმებისათვის იმდენად დამთრგუნველი აღმოჩნდა, რომ უკვე „ჯაჭვის კოშკის" აღების შემდეგ აიუბიანთა მმართველებმა სიმაგრეების განადგურება დაიწყეს. თაბორის მთის სიმაგრეები დამასკოს მმართველის ბრძანებით იქნა განადგურებული. პალესტინაში სწორედ ალ-მუ'აზზამმა დაიწყო მის ხელში არსებული ციხე-სიმაგრეების და სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობების ნგრევა, რათა ისინი ქრისტიანებს არ ჩავარდნოდათ ხელში.

[49] საყურადღებო ფაქტია, რომ ეგვიპტეში ბრძოლების მიმდინარეობის დროს მუსლიმები ციხე-სიმაგრეებს ანგრევდნენ, რადგან იმ მომენტისათვის მათ დაკარგული ჰქონდათ რწმენა, რომ წმინდა მიწაზე განლაგებულ პუნქტებს შეინარჩუნებდნენ. ასე მოიქცა დამასკოს გამგებელი ალ-მუ'აზზამი, როცა მან იერუსალიმის გალავანი დაანგრია, რითაც ჟაკ დე ვიტრის სიტყვით, ქართველთა რისხვა და მუქარა გამოიწვია. ამ წერილში დასაზუსტებელია, თუ რომელ ციხეზეა საუბარი. თუ ჟიბელეა, მაშინ ის ჟაკ დე ვიტრის მეორე წერილის მიხედვით ქრისტიანების ხელში იყო და მუსლიმები როგორ დაანგრევდნენ? მეორე წერილში ეს ქალაქი ჟაკ დე ვიტრის სხვადასხვა სახელწოდებით აქვს ნახსენები, ჟიბელე და ბიბლოსი. როგორც ჩანს, ჟაკ დე ვიტრის ეს ამბავი სხვა ჩვენთვის უცნობ მოვლენასთან აქვს აღრეული. მას ჯერ უწერია, რომ ჟიბელე ქრისტიანებმა შიშის ძალით დაანგრიეს, ხოლო იმავე პასაჟში აღნიშნავს, რომ ეს ქალაქი მუსლიმებმა ქრისტიანების შიშით დაანგრიეს. ამ შემთხვევაში არცერთი მის მიერ ნახსენები ფაქტი ამ ქალაქის განადგურების შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამება. ისტორიიდან იმ პერიოდში მოწინააღმდეგეთა მხრიდან ჟიბელეს დანგრევის შესახებ ინფორმაცია ცნობილი არ არის. ერთი ცხადია, რომ თუ ვინმე ანგრევდა იმ დროისათვის გამაგრებულ საფორტიფიკაციო ნაგებობებს, ამ საქმეს მუსლიმი ამირები ჩადიოდნენ, რადგან ეგვიპტეში ჯვაროსანთა წარმატებების შემდეგ მათ პალესტინა, ფაქტობრივად, დაკარგულად მიაჩნდათ. ჯვაროსნული ლაშქრობების სხვა ეტაპზეც გვხვდება მსგავსი ფაქტები. მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, როცა 1189 წელს საღვთო რომის იმპერატორმა ფრიდრიხ I ბარბაროსამ მცირე აზიაში რუმის სელჩუკების წინააღმდეგობა დაძლია და სირიისაკენ დაიძრა, სალაჰ ად-დინის მოწოდებით მისმა ამირებმა ციხეების ნგრევა დაიწყეს, რათა მტერს საფორტიფიკაციო სისტემები ხელში არ ჩავარდნოდა. ასევე იშვიათია ფაქტები, რომ მტრის შემოტევის შიშის ძალით ჯვაროსნებს თავიანთი ციხეები დაენგრიათ. თუ ხსნა არსაიდან არ იყო, უვნებლობის ფი-

ცის მიღების შემდეგ ისინი ციხეს ხელუხლებლად ტოვებდნენ, რაც, ალბათ, იმით იყო გამოწვეული, რომ ჯვაროსნებს იმედი ჰქონდათ, დაიბრუნებდნენ დაკარგულ ტერიტორიებს. ამასთან, ეს ციხეები წმინდა მიწაზე მათ დასაყრდენს წარმოადგენდა და ამიტომაც ამ ნაგებობების საფუძვლიანად დანგრევას ერიდებოდნენ. ჯვაროსნებმა მთელი წმინდა ომების მანძილზე დიდი საფორტიფიკაციო სამუშაოები ჩაატარეს და მათი ძალაუფლების სიმტკიცის სიმბოლოს სწორედ ეს ნაგებობები წარმოადგენდა.

[50] აქ საუბარია იმ მოვლენებზე, რომელიც მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დასაწყისში მოხდა, როცა ჯვაროსნებმა გალილეაში პირველი შეტევა დაიწყეს.

[51] რაც შეეხება ჟაკ დე ვიტრის მიერ ნახსენებ თაბორის მთის სიმაგრის დანგრევას, ეს სინამდვილეს შეეფერება. ხოლო მის მიერ მოხსენიებული სხვა ციხე-სიმაგრეები, რომლებიც თაბორის მთის სიმაგრესთან ერთად მუსლიმებმა დაანგრიეს, ავტორი მათ არ აკონკრეტებს. სავარაუდოდ, ტორონის, ბანიასის, ბოფორისა და საფეტის ციხეები უნდა იგულისხმებოდეს.

[52] ეს ფრაზა ერთადერთ ხელნაწერში ფიგურირებს. Lettres de Jacques de Vitry, 1998, p. 109. ალ-'ადილი 1218 წლის 31 აგვისტოს 75 წლის ასაკში გარდაიცვალა. ჯვაროსნების მიერ დამიეტასთან მიღწეულმა წარმატებამ იმდენად დაამწუხრა, რომ დარდს გადაჰყვა, რადგან იგი არ მოელოდა ფრანკთა გამოჩენას უშუალოდ ეგვიპტის სანაპიროებთან. ჯვაროსანთა კამპანიას სირია-პალესტინაში მუსლიმთა მმართველები სერიოზულად არც აღიქვამდნენ, რადგან ამ ხნის განმავლობაში ზღვიდან მოსული მოლაშქრეების მრავალ რაზმს გადმოულახავს ეს სივრცე, მაგრამ მათი რეიდები მუსლიმთათვის დიდ საფრთხეს არ წარმოადგენდა. ასე უყურებდნენ კიდეც აიუბიანთა მმართველები სირია-ეგვიპტეში უნგრეთის მეფის და მისი ბარონების უბადრუკ მცდელობებს, გალილეაში რაიმე წარმატებებისათვის მიეღწიათ. მაგრამ ამჯერად ეგვიპტეში ფრანკთა ასეთ გაბედულ საქციელს ნამდვილად არ ელოდნენ. სულთნის ამ თვითდაჯერებას ის ფაქტიც ამყარებდა, რომ მან, ფაქტობრივად, მთელი თავისი მმართველობა ჯვაროსნებთან მშვიდობის შენარჩუნებას შეალია. ალ-'ადილმა ისიც კი მოახერხა, რომ XIII საუკუნის დასაწყისში ლევანტს ჯვაროსანთა ახალი დიდი ექსპანსია ააცილა. ამიტომაც, ლათინთა რაზმების დამიეტასთან გამოჩენა მისთვის მოულოდნელი იყო. ალ-'ადილმა დიპლომატიური გზებით სცადა ფრანკთა მეთაურებთან მოლაპარაკება, მაგრამ უშედეგოდ. როდესაც მას მოუვიდა ცნობა დამიეტის დამცველი კოშკის დაცემის შესახებ, მიხვდა, რომ დამიეტის დაცემაც შორს აღარ იყო და ამის შემდეგ კაიროსაკენ მიმავალ გზაზე მტერს აღარაფერი შეუშლიდა ხელს. ეს კი მისი სამეფოს დასასრულის დასაწყისი იქნებოდა. იგი დამასკოშია დაკრძალული. ალ-'ადილის ადგილი ეგვიპტეში დაიკავა მისმა ძემ – ალ-ქამილმა (1218-1238), რომელიც ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში განაგებდა ეგვიპტეს. ალ-'ადილის სხვა შვილები აიუბიანთა სახელმწიფოს დანარჩენ მხარეებს მართავდნენ. დამასკოს მმართველი ალ-მუ'აზზამი (1218-1227) გახდა (დე ვიტრის მეხუთე წერილის მიხედვით კონრადინი), ხლათის და ალ-ჯაზირის მფლობელი კი – ჯერ ალ-ავჰადი (1208-1210), ხოლო შემდეგ მისი ძმა – ალ-აშრაფი (1210-1220) იყო.

[53] ფილიპელთა, 1,6.

[54] ფსალმუნები 144, 10 და 106, 8; ფსალმუნი 21, 24.

[55] ტობი, 12, 6.

[56] გამოსლვათა, 13, 21.

[57] გამოსლვათა, 14, 16-22.

[58] ფსალმუნი 62,3.

[59] გამოსლვათა, 15, 23-25.

[60] რიცხვთა, 20, 8-11.

[61] გამოსლვათა, 16, 8.

[62] საქმენი, 28, 3-6.

[63] მეორე სჯულის, 29,5.

[64] ფსალმუნი 77, 54.

[65] იოანეს სახარება, 14, 2.

[66] აქ საუბარი უნდა იყოს რომიდან და იტალიის სხვა ქალაქებიდან ჩამოსულ მებრძოლებზე.

[67] 24 აგვისტო.

[68] ალბი (ლათ: Albanum), ქალაქი იტალიაში, დღევანდელი ლაციოს რეგიონი.

[69] პელაგიუს გალვანი (1165-1230) ბენედიქტელი ბერი, კარდინალი, სამართლის დოქტორი. მის სახელთან ასოცირდება მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის საბოლოო კრახი, ვინაიდან იგი ჯიუტი ხასიათით გამოირჩეოდა, რაც ეგვიპტის კამპანიის დროს ჯვაროსან წინამძღოლებთან კონფლიქტში გამოიხატა. 1218 წელს ჰონორიუს III-მ მას ამ ლაშქრობის სულიერი წინამძღოლობა დაავალა. პელაგიუსმა რამდენჯერმე უარყო ეგვიპტის სულთნის ალ-ქამილის შემოთავაზებები, რითაც სულთანი დამიეტის სანაცვლოდ იერუსალიმის მიწას ჰპირდებოდა. მაგრამ მან ეს შეთავაზება უარყო, რადგან იმედი ჰქონდა, რომ მას ფრიდრიხ II დაეხმარებოდა. მისი გეგმით ჯვაროსნებმა ეგვიპტის სიღრმეში შესვლა დაიწყეს, რათა კაირო დაეკავებინათ. მაგრამ ეს კამპანია მარცხით დასრულდა, რაც მთელი კამპანიის საბოლოო დამარცხების მიზეზი გახდა. პელაგიუსი 1213 წელს კონსტანტინეპოლში იქნა გაგზავნილი, როგორც პაპ ინოკენტი III-ის წარმომადგენელი, სადაც ლათინურ და ბერძნულ ეკლესიებს შორის არსებული დავის მოწესრიგებისა და, ფაქტობრივად, შერიგების საკითხები უნდა განხილულიყო. ამ

შემთხვევაშიც, მან თავისი შეურიგებელი და ჯიუტი ხასიათით ჩაშალა ეს შეთანხმება, რომლის ინიციატივა თვით რომის პაპისგან მოდიოდა. ბერძენი ისტორიკოსის გიორგი აკროპოლიტის დახასიათებით პელაგიუსი „მძიმე ხასიათის, ამბიციური და თავხედი კაცი გახლდათ, რომელიც ისე წარმოაგდენდა საკუთარ თავს, თითქოს პაპის ძალაუფლების ყველა ასპექტი მასში იყო თავმოყრილი. იგი თავიდან ფეხებამდე წითლად იყო შემოსილი. მისი ჩაცმულობაც ხაზს უსვამდა მის პატივმოყვარეობას და უპატივცემულობას ბერძნების მიმართ. იგი ატუსაღებდა ბერძენ ბერებს და სდევნიდა ორთოდოქს მღვდლებს.“ Grousset, 1991, p. 223.

[70] ჟაკ დ’ანდრია. Lettres de Jacques de Vitry, 1998, p.109.

[71] წმინდა ჯვრის აღმართვის დღე უწევდა 14 სექტემბერს. Lettres de Jacques de Vitry, 1998, p.109.

[72] ჟან დე კამბრე უფროსი.

[73] წერილში ასეა მოცემული.

[74] ალექსანდრე კურსონელი, რობერტ კურსონელის ძმისწული, დაიღუპა დამიეტის ალყის დროს.

[75] ჟან დე კამბრე უმცროსი (კაპელან ჟან დე კამბრეს ძმისშვილი). გარდაიცვალა 1218 წლის 22 სექტემბერს.

წერილი მეხუთე

წერილი შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი წყდება ფრაზაზე „ამასობაში ჩვენ რომ მთელი ეგვიპტის გასაღები, დამიეტა, დაგვეპყრო“. აქ აღწერილია 1219 წლის გაზაფხულის მოვლენები. იგი შეიცავს იმ ამბების ამსახველ მასალას, რომელიც აპრილ-მაისში არ იქნა გაგზავნილი. „სექტემბერში აკრის ეპისკოპოსმა შეადგინა ზაფხულის მოვლენების ამსახველი ნაშრომი, რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყება: „გაცნობებთ, რომ აღდგომისთვის...“. მონათხრობი წყდება 29 აგვისტოს ბრძოლის შემდეგ...შესაბამისად, წერილის მეორე ნაწილი თარიღდება 1219 წლის სექტემბრით“. Lettres de Jacques de Vitry, 1998, p. 12.

აკრის ეკლესიის უღირსი მოძღვარი ჟაკი ღვთაებრივი წყალობითა და შეწევნით, პატივისცემით, ფეხზე ამბორით მიმართავს წმინდა მსოფლიო ეკლესიის დიდ პონტიფიკოსს უწმინდეს მამასა და ბატონს ჰონორიუსს.

მრავალი ღირსებით შემკული აღმოსავლეთის ეკლესია იმ დედოფალს ჰგავს, რომელიც, გადმოცემის თანახმად, მეფის მარჯვნივ იდგა ოქროსფერ სამოსში ჩაცმული[1], დაბადებიდანვე გაიფურჩქნა, როგორც რელიგიის მიმდევარი და თავისი სინათლის სხივები მოჰფინა დასავლეთს; ვერაგი მუჰამედის დროიდან დღემდე, მან როგორც თავისი დიდების დაღმასვლა, ასევე თითქმის გაქრობამდე მისული სამყაროს დასასრულიც ნახა. ის, მრავალი დარტყმის მიუხედავად, არ დაეცა, გამუდმებით უძალიანდებოდა გააფთრებული მტრის მბრწყინავ შუბს, მაგრამ, აი, ახლა, დასუსტებული და ვნების ხორციელ დინებებში ჩაფლული დაემორჩილა მატყუარა, ყალბი წინასწარმეტყველის ცრუ წინადადებებს. ამასთან, რამდენად მძიმედ უნდა იყოს დაჭრილი, რომ აბრეშუმებში გაზრდილმა, რომელიც უფლისაგან ისე აღმოჩნდა მიტოვებული, როგორც ქოლგა ვენახში ანდა ქოხი კიტრების ველზე[2], ამჯობინა სიბინძურე[3]. თუმცა, ეკლესია ზოგიერთი თავისი წევრის სულში რთველის შემდეგ ვაზზე დარჩენილი ყურძნის მარცვლების, ან ჯოხით[4] დაბერტყვის შემდეგ ზეთისხილის ხეებზე აქა-იქ შერჩენილი ნაყოფის, ან ყუცის ქვეყანაში[5] მყოფი იობის, ან სოდომში დაბანაკებული ლოტის[6], ან ეკალთა შორის ამოსული შროშანის[7] მსგავსად ისევ ორ ცეცხლს შუა რჩება და იძულებულია განაცხადოს: „ყველამ, ვინც კი გზაზე გამოივლით, შემომხედეთ და ნახეთ, არსებობს კი ჩემი ტკივილის მსგავსი სატკივარი[8]. მე გამოვკვებე და აღვზარდე შვილები, მაგრამ მათ ხელი მკრეს[9]; როგორ გამუქდა ოქრო, მისი მშვენიერი ფერი გახუნდა[10]; ნუღარ დამიძახებთ ნაყომს ანუ ლამაზს, არამედ მიწოდეთ მარაში, სხ-

ვაგვარად, მწარე, ვინაიდან ყოვლისშემძლემ სიმწრით ამავსო“. ამ სიტყვებით ქარიშხლით განადგურებული უბედური ქვრივი კვლავ გმინავს, მუხლებზე დაცემული შესთხოვს უფალს და განუწყვეტლივ აკაკუნებს მისი წყალობის კარზე. ღმერთმა მზერა მის დარდზე[11] შეაჩერა და ამით ეკლესიის ბევრ შვილს საკუთარი დედის ტკივილის გაზიარების სურვილი შთაუნერგა. მათ მიატოვეს ცოლები, შვილები, გაყიდეს მემკვიდრეობით მიღებული მიწები და ამჯობინეს, რათა საკუთარი ცხოვრება უკეთესი და მარადიული ზეციური მემკვიდრეობისთვის დაეკავშირებინათ[12]. დატოვეს თავიანთი ქვეყანა, ნათესავები, მამისეული სახლი[13], გავიდნენ „გარეშე ბანაკსა მას“ და, სხეულზე სირცხვილის[14] ნიშნებითა და დაღებით აღბეჭდილებმა[15] მოისურვეს, ვიწრო კარით შესულიყვნენ სასუფეველში, ამასთან, მრავალი საქმე წამოიწყეს ქრისტეს სახელით და დაადგნენ მარადიული სამშობლოსაკენ[16] მიმავალ შორეულ გზას. ასე რომ, ამ უხვ მოსავალში უფალმა, რომელიც აკურთხებდა წელიწადის მანძილზე[17] ნაღვაწი კეთილი საქმეების გვირგვინს, მოიმკო მირონი თავის ბალზამთან ერთად, იგემა სხივი თაფლთან ერთად, შესვა საკუთარი ღვინო თავის რძესთან[18] ერთად. ზოგიერთმა, ვინც ციური საცავებისკენ, ზეციური სასახლისკენ, მარადიული სიხარულისკენ გაემგზავრა და აქაური უბადრუკი ცხოვრება მიატოვა, ეს ყოველივე უჩვეულო ქარიშხლის ძალით გააკეთა, სხვებმა – გარკვეული სნეულების ფასად, ზოგმაც – საკუთარი სისხლის დანთხევით.

მას შემდეგ, რაც ღვთის შეწევნით დამიეტის პორტს მივადექით, ზაფხულში თანისის ველთან, – კერძოდ ნილოსის ზემოთ უფლის ლაშქრის დიდი ნაწილი, თითქოს ნადიმზე[19] ყოფილიყო მიწვეული, ლოცვითა და უფლის[20] დიდებით, თითქმის ყოველგვარი ტკივილის გარეშე, ქრისტიანულად[21] აღესრულა გავრცელებული ფაღარათის გამო[22]. ზამთრის პირას ნილოსის შუაში ჩვენიანებმა ძლიერი ხელითა და გაშლილი მკლავით[23], ანუ დიდი ძალისხმევით აიღეს კარგად გამაგრებული კოშკი, რომელიც, ქალაქსა და ჩვენს შორის იყო. ათი ჩვენიანი კიბით გადავიდა კოშკში, მოკლა ან ტყვედ ჩაიგდო ორას ორმოცდაათი მოწინააღმდეგე[24]; გარდა ამისა, გავწყვიტეთ ქალაქსა და ამ კოშკს შორის გაჭიმული ჯაჭვები, რომლებიც ხელს უშლიდა ჩვენს გემებს მდინარეზე აღმასვლაში. სარაცინებმა იმდენი გემი ჩაძირეს მდინარეში და იმდენი სხვა დაბრკოლება შექმნეს, რომ ვერ მოვახერხეთ გემების ნილოსის სათავისკენ წაყვანა და ამიტომ, მთელი ზამთარი მდინარეზე დაგროვილ ქვიშაში გავატარეთ. მდინარის გადაკვეთაც შეუძლებელი იყო, რომ ქალაქისთვის ახლოდან შეგვეტია; თუმცა, ძალიან დიდი ხიფათის ფასად მაინც მოვახერხეთ რამდენიმე ხომალდი გაგვეტარებინა ქალაქსა და კოშკს შორის – შუბების, ხელშუბების, ქვებისა და ცეცხლის ქვეშ; რამდენიმე ჩვენიანი იქ დაიღუპა კიდეც. ამგვარად, ღირსმა მამამ ალბის ეპისკოპოსმა და პაპის ტახტის ლეგატმა შეძლო თავისი კოგის ნილოსის ზედა ნაწილისკენ დაძვრა ისე, რომ არც ნივთები დაუკარგავს, არც ადამიანებს მიდგომიათ ზიანი. ჩემი მხრიდან, მეც ჩავაშვებინე წყალში ჩემი კოგი[25] დაახლოებით ორას კაცთან ერთად; თუმცა, ზოგიერთი მათგანი მოკლეს, ზოგიც დაიჭრა. მერე მდინარეში დავკარგე ნავი და მასთან ერთად დაახლოებით ოცი კაცი; ექვსი მათგანი ტყვედ ჩავარდა, დანარჩენები კი გააფთრებულ ბრძოლაში დაიღუპნენ. ტამპლიერების ოცდაათკაციანმა კოგმა თითქმის შეძლო ქალაქის გადაკვეთა, მაგრამ სარაცინებმა შეაჩერეს. ტამპლიერებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს, ბევრი მტერი შეიწირეს, მაგრამ, როცა ვეღარ გაუძლეს მოწინააღმდეგის ზეწოლას, ჩაძირეს თავიანთი გემი და ხუთას სარაცინ მებრძოლთან ერთად ჩაიძირნენ. ასე რომ, სიკვდილისას, სამსონის მსგავსად, მათ უფრო მეტი მტერი შეიწირეს, ვიდრე მთელი სიცოცხლის მანძილზე[26].

ამ ზამთარში ცოტა ხალხი დაგვეღუპა, სამაგიეროდ ბევრი სარაცინი მოკვდა ჩვენიანების შუბების ქვეშ: მაგალითად, ერთ დღეს, როცა უამრავმა სარაცინმა საკუთარი გალერეებით მოინდომა ჩვენს ხომალდებზე შეტევა, ჩვენს წინააღმდეგ წამოსული ათასზე მეტი მომხდური დაიღუპა ჩვენი მცირერიცხოვანი რაზმის შუბების ქვეშ და ზოგიც მდინარეში დაიხრჩო. ცოტა ხნის შემდეგ სარაცინელთა მრავალრიცხოვანმა ჯგუფმა გადო ხიდი მდინარის ზედა ნაწილში ნილოსის გადმოსაკვეთად, რათა შეგვბრძოლებოდნენ. მიუხედავად ამისა, რამდენიმე ჩვენმა ჯარისკაცმაც კი ორი ათასზე მეტი მომხდური მოკლა. ასე რომ, რადგანაც თავად უფალი იბრძოდა ჩვენთვის, ამიტომ ბევრი ეგვიპტელი, რომელიც თავს გაქცევით შველოდა, ტყვიასავით ჩაინთქა ბობოქარ წყალში. ჩვენიანები კი სრულიად უვნებელნი ბანაკში ტრიუმფით დაბრუნდნენ. მხოლოდ ორმა ჩვენიანმა დაიდგა წამებულის გვირგვინი[27].

თუმცა, ღვთის განგებამ არ ისურვა, რომ ეს ზამთარი, რომელიც ჩვენ უდაბნოში გავატარეთ, უსარგებლო ყოფილიყო ადამიანთა სულებისთვის: უფალმა ჩვენიანებს გამოუგზავნა სნეულება, რომლის განკურნებაც ექიმთა ოსტატობას აღემატებოდა. ეს იყო გადამდები დაავადება, რომელიც ჯარის დიდ ნაწილს მოედო არა აშკარა მიზეზით, არამედ ღვთიური გზით ცოდვების გამოსყიდვისა თუ უფრო დიდი გვირგვინის დასადგმელად: ავადმყოფებს ბარძაყები და წვივები ჯერ უსივდებოდათ, შემდეგ უჩირქდებოდათ, პირში კი ზედმეტი ხორცი ეზრდებოდათ, გამუდმებულ სისუსტეს გრძობდნენ, ნელ-ნელა ძალა ეცლებოდათ. ამ დროს ისინი თავისიანებს ესაუბრებოდნენ, განუწყვეტლივ უხმობდნენ

ღმერთს, ბოლოს ხუჭავდნენ თვალებს, თითქოს მიიძინესო, და საკუთარ სულს უფალს ავედრებდნენ. სხეულის მიტოვების შემდეგ მათი სულები ზეცის მკვიდრთა სიხარულს ერწყმოდა[28]. ამ დღეებში უფლისკენ გაემგზავრა ღირსი მამა რობერ დე კურსონი[29], სენტ-ეტიენის კარდინალი ცელიუსის[30] მთიდან, განათლებული და ღვთისნიერი ადამიანი, გულისხმიერი, ქველმოქმედი და გულუხვი, სავსე ღვთის ნებით, წმინდა მიწის გათავისუფლებაზე მეოცნებე; მასთან ერთად გარდაიცვალნენ ღირსი მამა პარიზის ეპისკოპოსი[31] და კიდევ რამდენიმე კეთილშობილი, რომელთაც თავიანთი ქონება და თავისი ხალხი უფალს მიუძღვნეს. მათი სახელებიც სიცოცხლის წიგნშია ჩაწერილი[32].

ზამთრის სიმძიმემ, საშინელმა სიცივემ და ადიდებული ზღვით გამოწვეულმა წყალდიდობამ ბევრი ჩვენიანი და კიდევ უფრო მეტი სარაცინი შეიწირა. უფალს რომ არ შეეწყალებინა თავისიანები და სასწაულებრივად არ შეეჩერებინა ჩვენი ბანაკისკენ შეუბრალებლად და უეცრად წამოსული ზღვის საფრთხე, ალბათ, ვერც ერთი ჩვენიანი ვერ გაექცეოდა სიკვდილს. ჩვენებმა, მართლაც რომ ღვთიური შთაგონებით, ცოტა ხნით ადრე ბანაკის გარშემო დიდი თხრილი გათხარეს არა ზღვის ადიდების შიშით, არამედ იმისათვის, რომ მისი საშუალებით ჩვენი გემებისათვის საფრთხე აგვერიდებინა და მდინარის ქვედა ნაწილიდან ისინი ზევით გაგვეყვანა. მაგრამ გააფთრებულმა წყალმა ჩვეულ ზღვარს გადააჭარბა, ბანაკის მიმართულებით ერთი მილით გადმოვიდა კალაპოტიდან და ყველაფერი დაფარა, რაც კი ამ თხრილის მიღმა იყო, მათ შორის კარვები და საკვების მარაგი. ზოგიერთი ჩვენიანი დაიხრჩო, სხვები, ვინც თხრილს შეაფარა თავი, ღვთის წყალობით გადარჩნენ. როცა ნაკადმა თხრილს მოაღწია, ბანაკის მხრიდან ის რამდენიმე ადგილას ჩაიშალა, ვინაიდან თხრილის სიღრმიდან წყალი მდინარის კალაპოტში ჩაედინებოდა. ამ ნაკადს, რომელიც ნელ-ნელა გარს გვერტყმოდა, დიდი ვაი-ვაგლახით დავუპირისპირეთ გემების იალქნები, ქვიშა და დამხრჩვალი ცხოველების ლეში. ღვთის ნებით, ასე გადავურჩით საშიშ და გაუთვალისწინებელ წარღვნას. როცა ჩვენიანები ასე იღწვოდნენ, ღირსმა მამამ, ალბის ეპისკოპოსმა, პაპის ტახტის ლეგატმა იერუსალიმის პატრიარქთან, არქიეპისკოპოსებთან, ეპისკოპოსებთან და ყველა სასულიერო პირთან ერთად, გადაწყვიტა სამდღიანი მძიმე მარხვა დაეწყო – მხოლოდ წყალი და პური მიეღო. ყოველ პარასკევს დააწესეს, პროცესია ფეხშიშველებს ჩაეტარებინათ ფსალმუნების კითხვით, ლიტანიითა და ლოცვით. ისინი მოუწოდებდნენ ხალხს, მიემართათ უფლისთვის და ეთხოვათ მისგან შემწეობა, იმედის ღუზის[33] გადმოგდება. ასევე, მიემართათ იმ სასოებისთვის, რომელიც უღირსთა ხსნა[34], მწუხარეთა მანუგეშებელი და გაჭირვების სალბუნია, სასოებაა. იგი ვერ დაეყრდნობა ცხენის ძალას და არ მიენდობა ადამიანის ფეხებს[35], რომელსაც შესწევს უნარი გაიმარჯვოს ყოველთვის და ყველანაირ შემთხვევაში. ეს კი ერთნაირად ვრცელდება როგორც მცირედზე, ასევე მრავალზე. ამრიგად, ამ ფრთხილმა და მასზე დაკისრებული საქმის ერთგულმა კაცმა ქრისტეს ლაშქრიდან განდევნა ყველა მეძავი, ის ადამიანი, ვინც სასმელის საშოვნელად ტავერნებს სტუმრობდა, ვინც კამათელს აგორებდა და აზარტული თამაშებით ერთობოდა, აბინძურებდა და სახელს უტეხავდა ამ წმინდა წამოწყებას; ზოგი ეკლესიიდანაც კი განკვეთა.

დიდი მარხვის მოახლოებისას უფალმა შეიბრალა თავისი ხალხი და, ვინაიდან, უკვე ძალიან გვიჭირდა მდინარეზე ჩვენი გემებით აღმა გადაადგილება, ნილოსის გადაკვეთა დიდი სისხლისღვრის გარეშე მოვახერხეთ. უფალმა ისეთი საშინელი შიში დაატეხა თავს ეგვიპტელთა მეფეს და უძლეველ ლაშქარს, რომ ისინი შუაღამით[36] გაიქცნენ და ჩვენიანებს თავიანთი ბანაკი დაუტოვეს კარვებით, აღჭურვილობის დიდი ნაწილით, გემებითა და ცხოველებით. ქალაქში დარჩენილმა ეგვიპტელებმა დაინახეს, რომ მათი უფროსი მთელ ჯართან ერთად გაიქცა, ამიტომ მათმა დიდმა ნაწილმაც თავს გაქცევით უშველა. სიჩქარისაგან კარებთან ჭყლეტვაში დაახლოებით ათასამდე ქალი და კაცი გაიგუდა; სხვებმაც გაქცევა ამჯობინეს და ქალაქი ჩვენ დაგვიტოვეს. დილაადრიან, მტრის ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, დიდი სიჩქარით გადავკვეთეთ მდინარე და ქალაქს ყოველი მხრიდან ალყა შემოვარტყით, როგორც წყლით, ასევე ხმელეთით[37]. გემებისგან ძალიან მყარი ხიდი გავაკეთეთ, რათა მეორე მხარეს ქალაქისა და მდინარის დასაცავად უდაბნოში დარჩენილთ უფრო სწრაფად და ადვილად მივშველებოდით[38].

დამასკოს მეფე კონრადინმა[39] რომ შეიტყო, თავისი ძმის, ეგვიპტის სულთნის, გაქცევის შესახებ, თურქთაგან[40] მრავალრიცხოვანი ლაშქარი შეკრიბა და ეგვიპტეში ჩამოვიდა თავის ძმისა და ქალაქის დასახმარებლად[41]. ამრიგად, ევფრატის ნაპირებზე[42] ბაბილონსა[43] და ალექსანდრიაში, ასევე ყველაზე შორეული აღმოსავლეთის რეგიონებში მცხოვრებნიც კი[44] ჩვენს წინააღმდეგ გაერთიანდნენ. გაუმართლებლად ჩავთვალეთ ამ მრავალრიცხოვან არმიასთან იარაღით დაპირისპირება, ვინაიდან ჩვენიანების დიდი ნაწილი დაავადებული იყო, ცხენების უმეტესობა ზამთრის მანძილზე დაგვეღუპა, დარჩენილი მეომრები კი დასუსტებულები და ძალაგამოცლილები იყვნენ. მოთათბირების შემდეგ გადავწვიტეთ, არმიისათვის თხრილის ორივე მხრიდან დამცავი ნაგებობები აგვეგო. თურქებმა ძალიან ძლიერი შეტევა დაიწყეს, მათმა [ერთმა] ნაწილმა მდინარე გალერებით გადმოლახა, სხვებმა კი უდაბნოდან შემოგვიტიეს

თხრილის მხარეს. უფლის შეწევნით მტრის ორი ათასი მეომარი დაიჭრა ან დაიღუპა, რის გამოც მოწინააღმდეგეები ქაოტურად დაბრუნდნენ ბანაკში[45]. ჩვენმა მხარემ, სამაგიეროდ, ძალიან ცოტა მეომარი დაკარგა, ნაწილი კი მსუბუქად დაიჭრა. ყოველივე ამის გარდა აალებადი მანქანის გაჩერებაც მოვახერხეთ, რომელიც თურქებმა გემებზე განათავსეს და ჩვენი ხიდის დასაწვავად გამოუშვეს, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს და ხიდი საერთოდ არ დაზიანებულა. შემდეგ, როგორც კი ქალაქის ასაღებად წავედით, სარაცინებმა ჩვენს ბანაკზე შეტევა წამოიწყეს და ამით შეეცადნენ ჩვენთვის გეგმები ჩაეშალათ. ამასობაში, მოვამზადეთ კატაპულტები, ურეოები, კიბეები და სხვა საომარი მანქანები, რომ კედლები დაგვენგრია ან მიწისქვეშა გასასვლელებით შეგვეღწია ქალაქში. მადლობას ვწირავთ უფალს, რომ მისი შეწევნით ქრისტიანებმა ქალაქი ასე მალე აიღეს, სადაც მხოლოდ მცირერიცხოვანი მტერიღა იყო დარჩენილი, რომელიც საკვების დიდ ნაკლებობას განიცდიდა[46] .

მალე კონრადინი იძულებული გახდა, თავისი ლაშქრის დიდ ნაწილთან ერთად უკან დაეხია, ვინაიდან შეიტყო, რომ იკონიუმის სულთანი[47], სომხეთის მეფე[48] და სალადინის ვაჟი[49] მხედართა და ფეხოსანთა ურიცხვი ჯარით მის ქვეყანას ალეპოსა და დამასკოს მხრიდან შეესია. ასევე მისთვის ცნობილი გახდა, რომ მტერს განზრახული ჰქონდა თავად კონრადინზე მიეტანა იერიში და მიწაც წაერთმია[50]. ამასობაში, მთელი ეგვიპტის[51] გასაღები, დამიეტა, რომ დაგვეპყრო, ადვილად დავუმორჩილებდით ამ მიწას ქრისტეს სამეფოს, უფლის წინამძღოლობით, სიხარულითა და მხიარულებით[52] დავბრუნდებოდით უკან და თქვენი ლოცვა წარუძღვებოდა ჩვენს მსვლელობას[53].

გაცნობებთ, რომ სრულად აღგიწერეთ აღდგომის პერიოდში ქრისტეს ლაშქრის მდგომარეობა, რომელიც დამიეტის მისადგომებთან იბრძოდა, რამდენი ხიფათის – წყლის, ცეცხლის, ჰაერისა და მტრის – დაძლევა მოუხდა მას მდინარის გადაკვეთისას; ახლა კი აღვწერთ, თუ რა მოხდა შემდეგ. მთელი გასული ზაფხულის მანძილზე ძალ-ღონე არ დაგვიშურებია ქალაქის ასაღებად, ხშირად წყლითა და ხმელეთით მოყენებულ ზიანსაც არ ვეპუებოდით. ამ დროს კი სარაცინებმა საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს თავიანთი ჯარი და ისეთი გააფთრებით შემოგვიტიეს, რომ ერთ დღეს შემოიჭრნენ კიდეც ბანაკში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოვახერხეთ მათი განდევნა და დიდი ზარალიც ვაზღვევინეთ – ბევრი ადამიანი და ცხენი დავუხოცეთ. ასეთი დარტყმის მოყენებით მათ გვაიძულეს, უარი გვეთქვა ჩვენს გეგმებზე – მიუხედავად იმისა, რომ შეიძლებოდა წარმატებისთვისაც მიგვეღწია. კარგად გვესმოდა, რომ ამ წამოწყებას სასტიკი ბრძოლის გარეშე ბოლომდე ვერ მივიყვანდით.

ხანგრძლივად ვითათბირეთ იმის თაობაზე, თუ ვინ დაიცავდა ბანაკს, ვინ წამოვიდოდა ჩვენთან ერთად, ვინ წარუძღვებოდა ხომალდებს მტრის გემებთან შესახვედრად და მათი კარვების დასაპყრობად მდინარის გადაკვეთისას. სასულიერო პირებთან და ჯართან, დიდთან თუ პატარასთან შეთანხმებით გადაწყდა, რომ ჯარს საბრძოლო მზადყოფნაში მოვიყვანდით. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, სწორედ იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის დღეს[54] დავიძარით, რათა ხალხისა და ზოგიერთი სასულიერო პირის ჩუმი დრტვინვა[55] ჩაგვეჩუმებინა. ყოველივე ამის განსახორციელებლად კარგად მოფიქრებული გეგმა გვქონდა: თუ სარაცინები ამ ბრძოლაში ჩვენი მონდომებითა და წმინდა ჯვრის შემწეობით დაეცემოდნენ და თუ მოვახერხებდით მათ ბანაკში შესვლას, რომლისგანაც ერთი ლიე გვაშორებდა, ჩვენიანებს შესაძლებლობა ეძლეოდათ უსაფრთხოდ დაეწყოთ ქალაქზე შეტევა. როგორც კი ჩვენი ჯარები მწყობრად განლაგდნენ, ბანაკი დავტოვეთ; სარაცინებიც საბრძოლო მწყობრით გამოვიდნენ თავიანთი ბანაკიდან. გამარჯვებაში დარწმუნებულები ვიყავით, რადგან ჩვენი წინსვლის პარალელურად მტერი უკან იხევდა.

მტერს თავისი ხომალდების ზღვამდე მისაყვანად თხრილი გაეკეთებინა, რომელსაც სწორედ მაშინ მივაღწიეთ, როცა მათ დაცვის გარეშე მიატოვეს იგი. ამ დროს ჩვენიანები, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, წინ წავიდნენ. რამდენადაც ჯარით წინ მივიწევდით, იმდენად სარაცინები უკან იხევდნენ და გარბოდნენ. ჩვენმა სარდლებმა საჭიროდ არ ჩათვალეს მტრის დადევნება, რადგან, ერთი მხრივ, მათ ჩაკეტვას ვერ მოვახერხებდით, ხოლო, მეორე მხრივ, ჩვენი ჯარისკაცები წყურვილითა და უდაბნოს სიცხით ქანცგაწყვეტილები იარაღის სიმძიმისგან ძალიან იტანჯებოდნენ. თათბირის შემდეგ გადაწყდა, რომ აზრი არ ჰქონდა მტრის ბანაკამდე მისვლას, რადგანაც მტერს გაქცევისას თან წაეღო თავისი კარვები. სარდლებმა ხელქვეითების[56] თანხმობით განაცხადეს, რომ ჩვენს კარვებში უნდა დავბრუნებულიყავით. უკანა გზაზე კი სარაცინებმა შუბები, ისრები, კეტები, ხელშუბები და სხვა იარაღი დაგვადევნეს, ზოგიერთებმა გზა გადაგვიღობეს, სხვებმა გვერდებიდან შემოგვიტიეს, ზოგიც უკან დაგვედევნა. ჩვენმა ფეხოსნებმა და ზოგიერთმა მხედარმაც კი ვერ გაუძლო ამ ტკივილებს, აზრი იცვალეს, ნებისმიერი გზით მოინდომეს საკუთარ ბანაკში დაბრუნება და შუა ბრძოლაში მიგვატოვეს. გაქცევისას მათი უმეტესობა სიცხისა და წყურვილისაგან დაიღუპა. ამასობაში, სარაცინებმა ისეთი გააფთრებით შეუტიეს ჩვენს მხედრებს, რომ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს მათაც და ცხენებსაც. ზოგიერთმა მხედარმა ამას ვერ გაუძლო, სხვები კი მტერს ეკვეთნენ,

სარაცინებმა ალყა შემოარტყეს ცალკე დარჩენილ მხედრებს, რომლებიც მათი ბრძოლის ტაქტიკას არ იცნობდნენ და ისეთი ძალით დაუშინეს ხელკეტები, შუბები, ხელშუბები და ბერძნული ცეცხლი, რომ ჩვენი მხედრები დაიღუპნენ.

ამრიგად, აღნიშნულ ბრძოლაში ორასი ადამიანი დავკარგეთ: ჰოსპიტალიერთა ორდენის რაინდები და სხვა ჯვაროსნები. მათ შორის იყვნენ შემდეგი დიდებულები: ბოვეს რჩეული, სენიორი გოტიე საფრანგეთის მეფის კამერგერი და მისი ვაჟი ვიკონტ დე ბომონი, სენიორი ჟან დ'არში, სენიორი ანდრე დ'ესპუასი და სენიორი ანდრე დე ნანტუელი, ზემოთ ნახსენები რჩეულის ძმა. სხვა დიდებულები კი ტყვედ ჩავარდნენ ან დაიღუპნენ. ქვეითებს რაც შეეხება, ჩვენმა მსხვერპლმა დაახლოებით ორი ათასს მიაღწია. ქრისტეს მტრებმა დახოცეს და აკუწეს ჩვენები, ხოლო დარჩენილებს საკუთარ საძოვრებამდე გვდიეს. ამ სასაკლაოს შემდეგ დამცინავი შეძახილებით თავიანთ კარვებში დაბრუნდნენ და თან წაიღეს ნადავლი, უკან კი უზარმაზარი ზარალი დატოვეს. ისინი ყოველდღე ბრუნდებოდნენ ჩვენს ბანაკთან და შეურაცხმყოფელი სიტყვებით გვიწვევდნენ, ლანძღვით გვავსებდნენ. მინდა იცოდეთ, რომ ზოგიერთმა ჯვაროსანმა, შიშის თუ იმის გამო, რომ ისინი მხოლოდ ერთი წელი იყვნენ ლაშქარში, დააპირა მდინარის ხელახლა გადაკვეთა[57], რამაც დარჩენილებში დიდი შიში და ღვარძლი გამოწვია. ასევე უნდა იცოდეთ, რომ ქალაქიდან საკუთარი ნებით გამოსულებისგან და გაქცევისას ტყვედ ჩავარდნილებისგან როგორც შევიტყვეთ, ქალაქში ჩაკეტილ მაცხოვრებლებს საკვები არ აქვთ. ისინი ისე იტანჯებიან შიმშილით, რომ მალე იძულებულნი გახდებიან ჩაგვბარდნენ ან როგორმე მიაღწიონ ზავს[58]. მაშინ, როდესაც ქალაქს მნიშვნელოვანი დახმარების გარეშეც ავიღებთ, ქვეყნის დარჩენილი ნაწილიც ძალიან ადვილი მისაწვდომი გახდება ჩვენთვის, ხოლო ამ ქვეყნის დამორჩილების შემდეგ, ღვთის შეწევნით, დავბრუნდებით იუდეაში, რათა ისევე აღვადგინოთ დედა იერუსალიმის კედლები, როგორც სხვა სიმაგრეები, რომელთა კედლები, კოშკები და დამცავი ნაგებობები სრულად არის დაზიანებული[59].

კომენტარები

[1] ფსალმუნი 44, 10.
[2] ესაია 1, 8.
[3] გოდებანი 4, 5.
[4] ესაია 24, 13.

[5] იობი 1, 1.
[6] დაბადება 13, 12.
[7] ქებათა ქება 2, 2.
[8] გოდებანი 1, 12.
[9] ესაია 1, 2.
[10] გოდებანი 4, 1.
[11] დაბადება 31, 42. გამოსვლათა 4, 31.
[12] I პეტრე 1, 4.
[13] დაბადება 12, 1.
[14] ებრაელთა 13, 13.
[15] გალატელთა 6, 17.
[16] ლუკას სახარება 13, 24. მათეს სახარება 7, 14.
[17] ფსალმუნი 64, 12.
[18] ქებათა ქება, 5, 1.
[19] ლუკას სახარება 14, 24. .
[20] ესაია 41, 16.
[21] საქმენი 7, 60.
[22] იმ ეპოქის სამხედრო ბანაკებში ჩვეულებრივი მოვლენა იყო ისეთი ინფექციური დაავადებები, როგორიც იყო მალარია, ხოლერა და დიფტერია. თვით ჟაკ დე ვიტრიც დაავადდა ამ ლაშქრობაში და ორი თვის განმავლობაში ავადმყოფობდა. ეს გამოწვეული იყო საჭმლის უვარგისობით, სამხედრო ბანაკებში არსებული ანტისანიტარიით და, ასევე, ადგილობრივი კლიმატური პირობებით. კონკრეტულ შემთხვევაში ეგვიპტის უდაბნოს კლიმატი ამ დაავადების გავრცელებას ხელს უწყობდა. ჟაკ დე ვიტრი მიანიშნებს, რომ ეს დაავადება გავრცელებული იყო ზაფხულში და სწორედ წელიწადის ამ დროს დაიღუპა მოლაშქრეთა უმეტესობა. იგი მეოთხე წერილშიც საუბრობს სენზე, რომელიც მონაწილეებს წყლის უვარგისობის გამო შეეყარათ. მოგვიანებით, მეშვიდე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს (1249 წ.) ეგვიპტეში მყოფ მოლაშქრეთა ბანაკშიც გავრცელდა ეპიდემია, რომელმაც კინაღამ საფრანგეთის მეფე ლუი IX შეიწირა. მეფე ფაღარათით დაავადდა და ჟან დე ჟუანვილიც აღნიშნავს, რომ ეს იყო დიზინტერია. Жан де Жуанвиль, 2012, ст.75
[23] მეორე სჯულის 5, 15.
[24] კოშკის აღების ამბავი ჟაკ დე ვიტრის მეოთხე წერილში დაწვრილებით აქვს მოცემული. „აღმოსავლეთის ისტორიაში", სადაც ჟაკ დე ვიტრი აღწერს ამ ამბავს, აღნიშნული აქვს, რომ შეიპყრეს ასამდე სარკინოზი.
[25] წერილის ამ მონაკვეთიდან ჩანს, რომ ჟაკ დე ვიტრის თავისი რაზმი ჰყავდა. სავარაუდოდ, ესენი უნდა ყოფილიყვნენ ქალაქ აკრის და მისი რეგიონის მაცხოვრებლები, სადაც ვრცელდებოდა აკრის ეპისკოპოსის ხელისუფლება. XIII საუკუნეში ჟან დე იბელინის მიერ შედგენილი იერუ-

სალიმის „მეფეთა წიგნის“ მიხედვით, ეპარქიის ხელმძღვანელებს და ქალაქების სენიორებს ავალებდნენ, რომ ლაშქარში სერჟანტები (ქვეითები) გამოეყვანათ. კერძოდ, იერუსალიმის სამეფოდან 500 მეომარი, ასევე 500 აკრიდან, 300 ნაბლუსიდან, 200 ტივერიადიდან, 150 ასკალონიდან, 100-100 იაფიდან, ტირიდან, ლიონიდან და სხვა ქალაქებიდან. ჟან დე იბელინის ქარტიის მიხედვით, მოქალაქეებს ეძლეოდათ ლაშქრობის დროს მოპოვებული ნადავლის მეათედი, რაც მიანიშნებს, რომ ქალაქების მცხოვრებლებს (კოლონისტებს) სამხედრო კამპანიებში მონაწილეობა უწევდათ. თუმცა, უფრო ხშირად, კოლონისტებს სენიორები და ბარონები ავალებდნენ გამაგრებით სამუშაოებს, ციხის ციტადელებზე ყარაულში დგომას, ბანაკად მდგომი რაზმების სურსათ-სანოვაგითა და საომარი აღჭურვილობით მომარაგებას.

[26] მას შემდეგ, რაც ჯაჭვის კოშკი აიღეს, ჯვაროსნები ნილოსის დასავლეთ სანაპიროზე განლაგდნენ. მართალია, პორტში ეგვიპტელების მიერ მოწყობილი წინაღობები ურთულებდა ფრანკებს ქალაქთან მიახლოების საშუალებას, მაგრამ მათ გათხარეს ძველი არხი, რომელიც ადრე ნახევრად ამოვსებული იყო. ამის შემდეგ ქრისტიანებმა მოახერხეს, რომ გვერდი შემოევლოთ არსებული წინაღობებისათვის.

[27] ალ-ქამილმა, რომელმაც ტახტზე ალ-‘ადილი შეცვალა, დამიეტის სანაპირო გაამაგრა და ჯვაროსნებს არ აძლევდა საშუალებას, რომ გადაელახათ მდინარე და შეეტიათ ქალაქისათვის. მან რამდენჯერმე მიიტანა იერიში ჯვაროსანთა ბანაკზე, მაგრამ ჟან დე ბრიენის მეთაურობით უკუაგდეს ეგვიპტელთა დესანტი. ამავე დროს, ვერც ქრისტიანებმა მოახერხეს ნაპირის გადალახვა, რადგან ეგვიპტელთა გემები არ აძლევდნენ საშუალებას, მიახლოებოდნენ ქალაქის სიმაგრეებს. რაც შეეხება ეგვიპტელების მიერ ხიდის დაკავების მცდელობას, ჟაკ დე ვიტრი „აღმოსავლეთის ისტორიაში“ უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს ამ შეტაკებებზე, სადაც თავი გამოიჩინეს ჰერცოგმა ლეოპოლდმა, ტამპლიერებმა და ჰოსპიტალერებმა. სწორედ მათი რაზმების საშუალებით, დიდი ძალისხმევის ფასად, ჯვაროსნებმა მოიგერიეს მუსლიმთა ეს შეტევა და უკუქცეული სარაცინები შთანთქა ადიდებულმა ნილოსმა ისე, როგორც ოდესღაც ფარაონის მეომრები ზღვის ტალღებმა. ჟაკ დე ვიტრი ასევე აღნიშნავს ბანაკში მყოფი ქალების და ბავშვების მიერ გაწეულ დახმარებაზე, რომლებსაც მებრძოლთათვის წყალი, ღვინო, პური, ისრები და ხელშუბები მიჰქონდათ, ხოლო ეკლესიის მსახურები ლოცვას აღავლენდნენ, უვლიდნენ დაჭრილებს და ავადმყოფებს. რაც შეეხება ამ შეტაკებებში ჯვაროსანთა მხრიდან დაღუპულთა რაოდენობას, ავტორი „აღმოსავლეთის ისტორიაში“ უფრო რეალურ სურათს გვიხატავს და მიუთითებს ორივე მხრიდან დაღუპულთა დიდი რიცხვის შესახებ.

[28] მოგვიანებით, მსგავსი დაავადების შესახებ წერს მეშვიდე ჯვაროსნული ლაშქრობის მემატიანე და მისი მონაწილე ჟან დე ჟუანვილი. იგი დაწვრილებით გადმოგვცემს ბანაკში გავრცელებული სენის შესახებ, თუმცა მისი მონაყოლიდან ჩანს, რომ ჯვაროსნებში ეპიდემია ნილოსის თევზის ჭამის შედეგად გავრცელდა, რადგან ეს თევზი მძორით იკვებებოდა. იმ დროისათვის მდინარე სავსე იყო დახოცილ მებრძოლთა გვამებით, რომელთა დასაფლავებასაც ვერ აუდიოდნენ მოლაშქრეები. ლუი IX-მ ასობით მაწანწალა დაიქირავა, რომ მდინარე გვამებისგან გაეწმინდათ და დაემარხათ ისინი. ჟან დე ჟუანვილი გადმოგვცემს, რომ დამხრჩვალთა ამოცნობა წარმოუდგენელი იყო, მხოლოდ წინადაცვეთით არჩევდნენ ქრისტიანებს სარკინოზებისაგან. ქრისტიანებს საერთო საფლავი გაუთხარეს, ხოლო სარკინოზებს კი კვლავ მდინარის დინებას ატანდნენ. სწორედ ამ გვამებით იკვებებოდნენ ის თევზები, რომლებსაც მებრძოლები მიირთმევდნენ და ამიტომაც მოიწამლა ამდენი ადამიანი. ასევე, ჟან დე ჟუანვილი დაავადებების გავრცელებას ეგვიპტის კლიმატსაც აბრალებს. ის ავადმყოფობის ნიშნებსაც აღწერს, დაავადებულებს უხმებოდათ ფეხის კუნთები, ნაკუნთალზე კანი უშავდებოდათ, ღრძილები უჩირქდებოდათ, პირში ხორცი ულპებოდათ და დალაქებს უხდებოდათ მისი მოშორება, რათა მათ საჭმელი და წყალი მიეღოთ. ვერავინ ვერ კურნავდა ამ სენს, ამიტომაც უამრავი იღუპებოდა. ძალიან მძიმე სანახავი იყო ეს ყველაფერი, ვინაიდან ბანაკში მუდმივი კვნესა და გოდება ისმოდა. დაავადდა თვით ჟუანვილიც, რომელიც აღწერს თავის ავადმყოფობის ნიშნებს (სავარაუდოდ სურავანდით): ჰქონდა საშინელი სურდო, რომელიც გაუჩერებლად მოსდიოდა პირიდან და ცხვირიდან. იგი აღნიშნავს, რომ ეს მოახლოებული სიკვდილის ერთ-ერთი ნიშანი იყო, რადგან ასეთ გამონადენს მოჰყვებოდა სისხლი, რისი შეჩერებაც არ შეეძლოთ. სიკვდილის პირას მყოფი ჟუანვილი ძლივს გადარჩა, რადგან იმ დროისათვის სარაცინებთან მოხვდა ტყვედ და მათ ისეთი წამალი დაალევინეს, რომელმაც ის რამდენიმე დღეში ფეხზე დააყენა. Жан де Жуанвиль, 2012, ст. 72-79.

[29] რობერტ კურსონელი (1160-1219). იგი დაიბადა ინგლისში და სწავლობდა პარიზში. 1212 წ. გახდა კარდინალი. ახალგაზრდობაში ფულკ ნეილის მოწაფე იყო და გამოირჩეოდა მჭერმეტყველებით. უნივერსიტეტში მეგობრობდა ლოთართან (შემდგომში პაპი ინოკენტი III). სწორედ ამ მეგობრობას უნდა უმადლოდეს რობერტ კურსონელი თავის დაწინაურებას. 1215 წელს პაპმა მას დაავალა პარიზის უნივერსიტეტის რეფორმირება. ჟაკ დე ვიტრის მსგავსად მან გარკვეული როლი ითამაშა ალბიგოელების წინააღმდეგ მიმართულ ქადაგებებში და მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის მომზადებაში. ჟაკ დე ვიტრი ამ ქადაგებაში სწორედ მისი ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი იყო. რობერტ კურსონელი ქადაგებდა ყველგან და ჯვარს გარდასახავდა განურჩევლად ყველას, ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს, ხეიბრებს. იმათაც კი, ვისაც არ შეეძლო ჯვაროსნულ ლაშქრობაში წას-

ვლა. მან საფრანგეთში საკმაოდ დიდი თანხა შეაგროვა. საფრანგეთის მეფე ფილიპ ოგიუსტს არ მოსწონდა რობერტ კურსონელის ასეთი აქტიურობა, რადგან მისი ნებართვის გარეშე აგროვებდა თანხებს, მეომრებს, ჯვრის მიღების გამო ათავისუფლებდა სასჯელისგან და ვალებისგან პილიგრიმებს და, ასევე ემუქრებოდა იმათ, ვინც არ ისმენდა მის ქადაგებას. რობერტ კურსონელი დამიეტასთან ბრძოლისას თან ახლდა ჯვაროსნებს როგორც პაპის ლეგატი. სამწუხაროდ, დამიეტის აღების წინ იგი ბანაკში გავრცელებული დაავადებით გარდაიცვალა. როგორც „ჰერაკლეს ისტორიის“ ავტორი ერნული წერს: კარდინალ რობერი (რობერტ კურსონელი) გარდაიცვალა, ხოლო პელაგიუსი გადარჩა, რაც დიდი უბედურება იყო. კარდინალის უდროოდ გარდაცვალებას ძალიან განიცდიდნენ მისი თანამედროვეები და შემდგომი ხანის ისტორიკოსები. მათი ეს პოზიცია დამყარებული იყო პელაგიუსის ჯიუტი და ქედმაღალი საქციელის შედეგზე, რომელმაც უარყოფითი გავლენა იქონია მთლიანად მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის კამპანიაზე. სამწუხაროდ, ჟაკ დე ვიტრი თავის წერილში არაფერს ამბობს რობერტ კურსონელის მისიაზე, რომ იგი პაპის ლეგატი და, საერთოდ, მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი მთავარი პროპაგანდისტი იყო. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჟაკ დე ვიტრის დუმილი, რობერტ კურსონელის მისიის გამო, გამოწვეული იყო იმით, რომ იგი არ ეთანხმებოდა კარდინალის პოზიციას ეგვიპტელებთან დაზავების შესახებ და პელაგიუსს უჭერდა მხარს, რაც მის წერილებში კარგად ჩანს. ასეთივე დუმილს ამჯობინებს ჟაკ დე ვიტრი მეორე სულიერი წინამძღოლის, კიოლნის არქიეპისკოპოსის, ოლივერუსის მიმართაც, რომელსაც წერილებში საერთოდ არ იხსენიებს.

[30] რომის შვიდი გორაკთაგან ერთ-ერთი. რობერტ კურსონელი იყო ცელესიუსის მთის წმინდა სტეფანეს ეკლესიის კარდინალი.

[31] პიერ დე ლა შაპელი (ფრ: Pierre de La Chapelle), პარიზის ეპისკოპოსი 1208-1219 წწ. ეგვიპტეში ჯართან ერთად იმყოფებოდნენ ბორდოს არქიეპისკოპოსი, ანჟერის, ბოვეს ეპისკოპოსები, ნუაიონის კანცლერი და სხვა მრავალი სასულიერო პირი, რომლებიც სულიერად ამხნევებდნენ მეომრებს. მრავალი მათგანი სწორედ ბანაკში გავრცელებულმა დაავადებებმა შეიწირა, რომელთა შესახებ ჟაკ დე ვიტრი თავის წერილებშიც მოგვითხრობს.

[32] გამოცხადება, 13, 8; 17, 8; 21, 27.

[33] ებრაელთა 6, 18-19.

[34] ფსალმუნი 36, 39.

[35] ფსალმუნი 146, 10.

[36] 1219 წლის 4-დან 5 თებერვლის ღამე. Lettres de Jacques de Vitry, 1998, p.133. ჟაკ დე ვიტრი აქ საუბრობს ალ-ქამილის უკუქცევის მიზეზზე. ღვთის შიშის გამო ეგვიპტელთა უკუქცევის შესახებ მისი განმარტება ძალიან ბანალურია. ამის რეალური მიზეზი იყო ალ-ქამილის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება. ერთ-ერთმა მისმა ამირამ, წარმოშობით ქურთმა იმად ად-დინმა, რომელმაც ისარგებლა ჯარში არსებული უკმაყოფილებითა და მღელვარებით, გადაწყვიტა, რომ ჩამოეგდო ალ-ქამილი და მისი უმცროსი ძმა ალ-ფაიზი გაემეფებინა. ალ-ქამილმა ბანაკში ყოფნისას შეიტყო ამ შეთქმულების შესახებ, ისარგებლა ღამის სიბნელით და სასწრაფოდ გაეშურა კაიროსაკენ. სულთნის ამგვარი საქციელი იმდენად მოულოდნელი იყო მეომრებისთვის, რომ ჯარში პანიკა ატყდა და მათ, ფაქტობრივად, უბრძოლველად მიატოვეს თავიანთი ბანაკი. მაგრამ დამასკოს გამგებელის ალ-მუ'აზზამის დახმარებით ალ-ქამილმა ჯარში წესრიგის აღდგენა მოახერხა, დაატყვევა იმად ად-დინი და შეთქმულების სხვა მონაწილენი.

[37] ჟაკ დე ვიტრი საკმაოდ ვრცლად აღწერს ამ ამბავს „აღმოსავლეთის ისტორიაში“. გადმოგვცემს, რომ წმინდა აგათიას დღესასწაულის ღამეს, როცა მლოცველები შეიკრიბნენ, რათა მეორე დღეს მდინარის გადასაკვეთად მომზადებულიყვნენ, ღმერთმა შეიბრალა თავისი რჩეულები და ააცილა მათ მტრის ვერაგული მახე, შუა ღამით სულთანი და მისი სატრაპები ისეთი შიშით დალახვრა, რომ მათ მიატოვეს ბანაკი და უკანმოუხედავად ისე გაიქცნენ, რომ არც ჩვენ გაგვიგია რამე და არც ეგვიპტელებს, რომლებიც საბრძოლველად მზად იყვნენ. ერთმა მათგანმა აპოსტატმა, რომელმაც დიდი ხნის წინ მიატოვა ქრისტეს რჯული და სულთნის მხარეს იბრძოდა, მოადგა ნაპირს და ფრანგულად გადმოგვძახა, რას ელოდებით, რატომ არ იძვრით? სულთანი გაიქცა. ამ სიტყვების შემდეგ გვთხოვა, შეგვეფარებინა იგი და აგვეყვანა ჩვენს გემზე, რომ დავრწმუნებულიყავით მის სიმართლეში. ეს მებრძოლებმა ჩვენს ლეგატს, მეფესა და სხვა ბარონებს აცნობეს. ამ ინფორმაციით აღფრთოვანებული ჩვენი ჯარისკაცები ერთმანეთს ასწრებდნენ მეორე ნაპირზე გადასვლაში. ტამპლიერები პირველნი მოახტნენ ცხენებს, აღმართეს დროშები და წმინდა იოანეს ჰოსპიტლის ძმებთან და წარჩინებულ ბარონებთა ერთად გაეშურნენ ქალაქისკენ, სადაც წარმართთა ასოცკაციან რაზმს შეეჩეხნენ, რომელიც სასწრაფოდ გაანადგურეს. იერუსალიმის მამაცი მეფე, ჰოსპიტალიერების მაგისტრის, ორდენის რაინდების და ნევერის გრაფის თანხლებით დაედევნა გაქცეულ მტერს, მაგრამ უშედეგო დევნის შემდეგ უკან მობრუნებულებს ქალაქის კარებთან ჩასაფრებული დაწყევლილი ტომის რაზმთან მოუხდათ შეტაკება. მათ ერთი დარტყმით განდევნეს ისინი ქალაქის ალაყაფამდე ისე, რომ შეშინებულებს უკან არც კი მოუხედავთ. ამავე დროს, ნევერის გრაფმა, ჰოსპიტალიერთა რაინდებთან ერთად, რომელსაც არც კი შეუსვენია, შეკრიბა ჩვენი რამდენიმე მებრძოლი და ხმალამოღებული ეკვეთა მოწინააღმდეგეს, რომელიც ცდილობდა ქალაქ თინისისათვის შეეფარებინა თავი. ჟაკ დე ვიტრი მთელ ამ ამბავს ღვთის სასწაულს უწოდებს და მოჰყავს შედარება მეფეთა წიგნიდან, როცა სირიის მეფემ ალყა შემოარტყა სამარიას და ღმერთმა იმდენად

დალახვრა შიშით, რომ მიატოვა ბანაკი და უკან მოუხედავად გაიქცა ქალაქის კედლებიდან. „ისევე, როგორც მაშინ, როდესაც ქალაქის კარებთან მყოფმა კეთროვნებმა შეატყობინეს სამარიტელებს სირიელების გაქცევის შესახებ, ამჯერად ერთმა კეთროვანმა, ოღონდ სულიერად ავადმყოფმა, რომელზეც მე გიამბეთ, გვაუწყა ეგვიპტელთა გაქცევის შესახებ. ისევე, როგორც სამარიტელებმა ჩაიგდეს ხელში სირიელთა ბანაკი, ასევე ჩვენმა მეომრეებმა დაისაკუთრეს ეგვიპტელთა მიერ მიტოვებული სიმდიდრე და საომარი აღჭურვილობა. მტერი იმდენად შეშინდა, რომ მიატოვეს თავიანთი შვილები, ცოლები, სიმდიდრე, იარაღი და თვით დამიეტაც.“ История средних веков, 2001, ст. 468-469. გარდა ჟაკ დე ვიტრისა, სხვა მემატიანეები, რომლებიც ამ შემთხვევის შესახებ წერენ, სულთნის უკუქცევას ასევე ღვთის ნებასა და მუსლიმთა წინააღმდეგ გამოგზავნილ სასჯელს მიაწერენ, რადგან მათ არ იცოდნენ ამ მოვლენის რეალური სინამდვილე.

[38] ჟაკ დე ვიტრი „აღმოსავლეთის ისტორიაში“ წერს, რომ ნილოსის სწრაფი დინება არ გვაძლევდა საშუალებას, მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადავსულიყავით. ამიტომ, საჭირო იყო, რომ ხიდი გაგვეკეთებინა. მყარი გემები ერთ ხაზზე ჩავამწკრივეთ მდინარის ერთი ნაპირიდან მეორემდე და ღვთის შემწეობით მოვახერხეთ ხიდის აგება. ამან ჩვენი მოლაშქრეების ორ ბანაკს შორის არსებული უფსკრული მოსპო და მტერს აღარ ვაძლევდით საშუალებას, რომ მდინარეზე თავისუფლად ეცურავათ. ამის შემდეგ ჩვენმა ჯარმა ქალაქს ყოველი მხრიდან ალყა შემოარტყა.

[39] ალ-მუ‘აზზამ ისა შარაფ ად-დინი (ფრ: Conradin), აიუბიანთა დინასტიიდან (1218-1227). სალაჰ ად-დინის ძმისშვილი და ეგვიპტის სულთნის ალ-‘ადილის ვაჟი. ალ-‘ადილმა ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში ჩააბარა სამართავად დამასკო, რომელსაც 1218 წლიდან, მამამისის გარდაცვალების შემდეგ, ერთპიროვნულად განაგებდა. ჯერ კიდევ მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყებამდე მან რამდენჯერმე ილაშქრა აკრაზე, თუმცა ვერ აიღო. ალ-‘ადილი იმ დროისათვის მტკიცედ იცავდა იერუსალიმის ჯვაროსნებთან დადებულ საზავო პირობებს, რაც ალ-მუ‘აზზამის უკმაყოფილებას იწვევდა. მამამისის და თავისი ძმებისგან განსხვავებით, იგი ჯვაროსანთა მიმართ შეურიგებლობით გამოირჩეოდა და ყოველთვის მზად იყო მათთან საბრძოლველად. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის პირველ ეტაპზე აქტიურად ებრძოდა ქრისტიანებს გალილეასა და პტოლემიადაში. ალ-მუ‘აზზამის დამსახურება გახლდათ, რომ ჯვაროსნებმა ვერ აიღეს თაბორის გამაგრებული ციხე-სიმაგრე და თაბორის მთის მიდამოებში მისმა გამოჩენამ აიძულა ჯვაროსნები, ციხისათვის ალყა მოეხსნათ და უკან დაეხიათ.

[40] ჟაკ დე ვიტრი მუსლიმებს ხან სარაცინებს, ხან თურქებს უწოდებს. აქ თურქის სახელის ქვეშ იგი, სავარაუდოდ, სელჩუკებს მოიაზრებს, რომლებიც ჯერ კიდევ მალიქ შაჰის მემკვიდრეების დროიდან დაფუძნდნენ სირიაში. ამიტომაც, ჟაკ დე ვიტრი დამასკოელ მუსლიმებს ამ სახელით განასხვავებს ეგვიპტელი არაბებისგან – სარაცინებისაგან.

[41] ალ-მუ‘აზზამის ჩამოსვლამ ეგვიპტეში დროებით შეამსუბუქა ალ-ქამილის მდგომარეობა. მან შეაგროვა დაფანტული ლაშქარი, დაიმორჩილა განდგომილი ამირები და 1219 წლის მარტის დასაწყისში კვლავ შეუტია დამიეტასთან დაბანაკებულ ჯვაროსნებს. მას შემდეგ, რაც ჯვაროსნები ეგვიპტეში გადავიდნენ, სულთანი ალ-‘ადილი და შემდგომში მისი შვილი ალ-ქამილი სირიისა და მესოპოტამიის მმართველ აიუბიანებს სთხოვდნენ დახმარებას, კერძოდ, დამასკოს გამგებელ ალ-მუ‘აზზამს, ასევე ხლათისა და ალ-ჯაზირის (ზემო მესოპოტამია) მმართველ ალ-აშრაფს. აიუბიანებს სურდათ, რომ სირია-პალესტინაში მეორე ფრონტი გაეხსნათ ჯვაროსანთათვის, ალ-მუ‘აზზამს და ალ-აშრაფს უნდა შეეტიათ პტოლემიადასა და გალილეაში არსებული ციხე-სიმაგრეებისათვის. ამით მათ სურდათ, რომ იერუსალიმის მეფის ჟან დე ბრიენის ყურადღება მიექციათ და ჯვაროსანთა ძალები დაეფანტათ, მაგრამ მუსლიმებმა ვერ მოახერხეს აღნიშნული გეგმის შესრულება. ჟან დე ბრიენმა ეგვიპტეში გადასვლის წინ აკრის მიმდებარე ციხეების დასაცავად საკმაოდ სერიოზული ძალა დატოვა ელზასელი გარნიეს მეთაურობით. ამავე დროს, დამასკოს გამგებელს დროულად ვერც ხლათის და ალ-ჯაზირას მმართველი ალ-აშრაფი მიეშველა, რადგან, სავარაუდოდ, საფრთხეს გრძნობდა ქართველთა მხრიდან. ქართველები იმუქრებოდნენ, რომ იერუსალიმის დანგრეული კედლებისა და სხვა სიწმინდეების შებილწვის საპასუხოდ დამასკოს დაარბევდნენ. ასევე, მონღოლთა რაზმები გამოჩნდნენ აზერბაიჯანსა და კავკასიაში, რამაც შეაფერხა ზემო მესოპოტამიის მუსლიმების აქტიური და დროული დახმარება ეგვიპტელებისათვის. რ. სტამბულს თავის მონოგრაფიაში დეტალურად აქვს განხილული აიუბიანთა სამხედრო ძალების სავარუდო რაოდენობა. სულთან ალ-ქამილს დაახლოებით 12 000-იანი ცხენოსანი არმია ჰყავდა, ხოლო დამასკოს ემირ ალ მუ‘აზზამმა ძმის დასახმარებლად 3000 მებრძოლი გამოიყვანა. რაც შეეხება ჩრდილოეთ სირიის ამირებს, ალეპოსა და ჰომსის მმართველებს, მათაც დაახლოებით ამდენივე მებრძოლის გამოყვანა შეძლეს. ამას ემატებოდა სხვა მცირე საამიროებიდან მოსული რაზმები. სულთნის დასახმარებლად აგრეთვე გამოვიდნენ ქურთების, თურქმენებისა და ბედუინების დამხმარე ძალები. Stambuli, 1991, p. 66-67.

[42] სავარაუდოდ, ჟაკ დე ვიტრი აქ დამასკოს საამიროს მიწებს გულისხმობს, რომელსაც ალ-მუ‘აზზამი მართავდა, ასევე ალ-ჯაზირის და ხლათის რეგიონებს, რომლის მმართველიც მაშინ ალ-აშრაფი იყო. აღსანიშნავია, რომ იმ დროისათვის ალ-აშრაფმა ეგვიპტეში გამგზავრება ვერ მოახერხა, რადგან საფრთხეს გრძნობდა ქართველთაგან. ნატროშვილი, 1991, გვ. 88-89; ჯაფარიძე, 1995, გვ. 179; Ришар, 2002, ст. 221

[43] კაირო.

[44] შესაძლებელია, რომ აქ საუბარი იყოს არაბეთის ნახევარკუნძულის სარკინოზებზე, კერძოდ იემენის რეგიონებზე, რომლებსაც ეგვიპტელთა დასახმარებლად თვით ბაღდადის ხალიფამაც მოუწოდა, ან კიდევ უფრო სავარაუდოა, რომ აქ იგულისხმებოდნენ ზემო მესოპოტამიელი სელჩუკები, კერძოდ ალ-ჯაზირის და ხლათის მმართველი ალ-აშრაფი, რომელიც ეგვიპტის სულთნის მოწოდებებს გამოეხმაურა. მართალია, ზემო მესოპოტამიის მიწები შორეული აღმოსავლეთის მხარეებს არ წარმოადგენდა, მაგრამ შუა საუკუნეების ჯვაროსნული კარტოგრაფია აღნიშნული ტერიტორიების ზუსტ ლოკალიზაციას ვერ ახდენდა. ის, რომ ამ შორეული აღმოსავლეთის მიწებში ჟაკ დე ვიტრი სპარსეთის რეგიონს ვარაუდობდეს, საეჭვოა, რადგან მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობაში სპარსეთ-ერაყის სელჩუკების სამხედრო ძალები არ მონაწილეობდნენ. ერთი იმიტომ, რომ სპარსეთის სელჩუკებს ეგვიპტისა და წმინდა მიწის საქმე აიუბიანების შიდა პრობლემებად მიაჩნდათ და მერე – იმ დროისათვის სპარსეთს მონღოლები ემუქრებოდნენ.

[45] ჟაკ დე ვიტრი „აღმოსავლეთის ისტორიაში“ წერს, რომ ალეპოს ჯართან და მრავალრიცხოვან დიდებულთან ერთად სულთნის საშველად ეგვიპტისაკენ გამოეშურა ნურ ად-დინი [ჩვენი აზრით, აქ უნდა იგულისხმებოდეს ალ-აზიზ მუჰამადი]. ზოგიერთი ჩვენი მეომრის უნებისყოფობის გამო, მათ ის ადგილები დაიკავეს, რაც, თავის დროზე, სასწაულებრივი შეტევის შედეგად ავიღეთ. ამჯერად, ქალაქს (დამიეტას) მიმდგარნი, თავად აღმოვჩნდით ალყაშემორტყმულნი. რომ არა ფრიზებისა და გერმანელების სიმამაცე, რომლებიც ჩვენს ბანაკს მდინარის და ზღვის შესართავთან იცავდნენ, მთელი ყურე მტრის ხელში აღმოჩნდებოდა. აღდგომის წინ, შაბათს დილით, როცა მღერიან „Oculi mesi semper ad Dominum“ და არ ველოდებოდით საშიშროებას, სარაცინებმა მთელი ძალით შემოგვიტიეს და თხრილებში შემოგვივარდნენ. სწორედ რომ ღმერთმა გვიხსნა განსაცდელისგან, რადგან მათი შემოტევა მოვიგერიეთ და უკუვაქციეთ დიდი დანაკარგებით.

[46] ქალაქში დარჩენილი გარნიზონისათვის შიმშილის შესამსუბუქებლად ალ-ქამილმა მდინარეში ჩააყრევინა გამოშიგნული აქლემების ცხედრები, რომლებიც საკვებით იყო გამოტენილი. მას იმედი ჰქონდა, რომ ქალაქის მიმართულებით მდინარეში მცურავ ამ მძორებს ჯვაროსნები ყურადღებას არ მიაქცევდნენ, ხოლო ალყაშემორტყმულები კი მოახერხებდნენ საკვების მიღებას და ცოტაოდენ მაინც მოითქვამდნენ სულს, მაგრამ მოალყეებმა ეგვიპტელებს ეს ეშმაკობა შეუტყვეს და ნადავლი ხელში ჩაიგდეს. ალ-ქამილს კონტაქტი რომ არ გაეწყვიტა ქალაქში მყოფებთან, საუკეთესო მყვინთავებს აგზავნიდა, რომლებიც მდინარის სიღრმეზე ცურვით აღწევდნენ ადგილზე. ამ ხერხით სულთანს კავშირი ჰქონდა ალყაშემორტყმულებთან და საქმის კურსში იყო, თუ რა ხდებოდა ქალაქის კედლებს მიღმა. ეს ეშმაკობაც კი

შეუტყვეს ქრისტიანებმა – მდინარეზე ზარებით შემკულ დიდ სათევზაო ბადეს აბამდნენ და ასე იჭერდნენ მუსლიმთა მზვერავებს. Мишо, 1841, ст. 479; Куглер, 1995, ст. 380. ეგვიპტელების ამ ხერხის შესახებ ჟაკ დე ვიტრი მეექვსე წერილში გვაწვდის ინფორმაციას.

[47] იზ ად-დინ ქეი-ქავუს I (1210-1219) იკონიის (ფრ: Iconium), რუმის სულთანი. ბარ ჰებრეუსი მის გარდაცვალებას 1219 წლით ათარიღებს, „ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის“ ანონიმი ავტორი კი 1218 წლით, ხოლო იბნ-ბიბი 1220 წლით. მისი მმართველობის დროს ძალიან გაძლიერდა რუმის სელჩუკების სახელმწიფო. მან დაიპყრო შავი ზღვის სანაპირო ქალაქები სამსუნი, სინოპი და ტრაპეზუნდის მეფე ალექსი კომნენოსი აიძულა, რომ ხარკი ეხადა სელჩუკთა სასარგებლოდ. ამ წარმატების შემდეგ დაიკავა ანატოლია და დალაშქრა კილიკიის სომხეთის სამეფო. აღნიშნული გამარჯვებებით რუმის სელჩუკების ტერიტორიები ხმელთაშუა ზღვიდან შავ ზღვამდე გავრცელდა. თავისი მმართველობის ბოლო წლებში ქეი-ქავუს I-მა სირიაზე ილაშქრა. შენგელია, 2003, გვ. 183-184.

[48] ლეონ I (1198-1219) კილიკიის სომხეთის სამეფოს მეფე, რუბენიდების დინასტიიდან. 1198 წელს, ტარსში აკურთხეს მეფედ, რომის პაპის და გერმანიის იმპერატორის ჰენრი VI-ის ხელდასხმით, რითაც აღიარა მათი მფარველობა. მისი მონაწილეობა სირიის ლაშქრობაში რუმის სელჩუკებთან ერთად განპირობებული იყო იმ მორჩილების პირობით, რომელიც ითვალისწინებდა სომეხთა 500 კაციანი შეიარაღებული რაზმის გამოყვანას სელჩუკთა საომარ მოქმედებებში. სირიაში ლაშქრობამდე იზ ად-დინ ქეი-ქავუს I-მა დალაშქრა კილიკია და აიძულა სომხეთის მეფე, რომ დამორჩილებოდა.

[49] აბულ-ფიდას თანახმად, სალაჰ ად-დინს 17 ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავდა. ამ ვაჟებიდან რამდენიმეს მოუწია მამის დანატოვარი სამფლობელოების მართვა. უფროსი ალ-აფდალი (დამასკოს გამგებელი 1193-1195), ალ-აზიზ უსმანი (ეგვიპტის სულთანი 1193-1198), ალ-ზაჰირ ღაზი (ალეპოს ამირა 1193-1216), ალ-მალიქ ალ-დაფარ ხადერი (მოსულის ამირა 1193-1196), ალ-ზაჰირ დაუდი (ალ-ბირის თავადი, გარდ. 1234 წ.) და თურან-შაჰი (გარდ. 1250წ.). გარდა შვილებისა, მის მემკვიდრეობაზე პრეტენზიას აცხადებდა მისი ძმა ალ-'ადილი და ძმისშვილები. სალაჰ ად-დინის სიკვდილის შემდეგ დაიწყო ბრძოლები მის მემკვიდრეებს შორის და საბოლოოდ მათ შორის ძლევამოსილი, მისი ძმა ალ-'ადილი აღმოჩნდა, რომელიც 1200 წლიდან ეგვიპტის სულთანი და, ამავე დროს, აიუბიანთა უზარმაზარი სახელმწიფოს უზენაესი მბრძანებელი გახდა. აიუბიანთა სახელმწიფო დიდ კონფედერაციულ გაერთიანებას წარმოადგენდა. მისი მემკვიდრეები, ფაქტობრივად, დამოუკიდებელად მართავდნენ თავიანთ მიწებს, მხოლოდ ეგვიპტის მბრძანებლის უზენაესობას აღიარებდნენ და ვალდებულებას კისრულობდნენ როგორც მის, ასევე ერთმანეთის წინაშე, რათა საერთო

საფრთხის შემთხვევაში სამხედრო ძალებით დახმარებოდნენ. მემკვიდრეებს შორის გაუთავებელი ბრძოლა მიდიოდა პირველობისა და ახალი მიწების ხელში ჩასაგდებად. ამიტომ, სალაჰ ად-დინის სიკვდილის შემდეგ არ თაკილობდნენ, რომ ერთმანეთის საწინააღმდეგოდ საერთო მტერთან, კერძოდ კი ჯვაროსნებთან, სამხედრო ალიანსშიც კი გაერთიანებულიყვნენ. ეს წინააღმდეგობა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდში და მესოპოტამიაში მონღოლთა გამოჩენის დროსაც გრძელდებოდა. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში საუბარი იყოს სალაჰ ად-დინის უფროს ვაჟზე ალ-აფდალზე, რომელიც ძმის, ალ-აზიზ უსმანის გარდაცვალების შემდეგ პრეტენზიას აცხადებდა ეგვიპტის ტახტზე, მაგრამ ბიძამისმა ალ-'ადილმა იმძლავრა, მას დამასკოც წაართვა და მხოლოდ მესოპოტამიაში, ევფრატის დასავლეთით არსებული ციხე-სიმაგრე სამოსატა შერჩა სამართავად, რომელსაც გარდაცვალებამდე, 1225 წლამდე განაგებდა. XIII საუკუნეში აიუბიანთა ცენტრალური ხელისუფლებით უკმაყოფილო სალაჰ ად-დინის მემკვიდრეებს რუმის სელჩუკიანი მმართველები მოევლინენ მოკავშირეებად, რომლებსაც ასევე პრეტენზიები ჰქონდათ სირიისა და მესოპოტამიის მიწებზე. ჯერ კიდევ რუქნ ად-დინის მმართველობის პერიოდში ალ-აფდალი ფარულ გარიგებაში იყო სელჩუკთა სულთანთან საკუთარი ბიძის წინააღმდეგ, ხოლო უკვე ქეი-ქავუსის სირიაზე გალაშქრების დროს უნდა შესულიყო აიუბიანების წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიაში.

[50] ჟაკ დე ვიტრი აქ გადმოგვცემს სირიასა და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში განვითარებულ ამბებს (1218-1219 წწ.). აიუბიანები ალეპოს 1183 წელს დაეუფლნენ. მას 1186 წლიდან მართავდა სალაჰ ად-დინის მესამე ვაჟი ალ-ზაჰირ ღაზი ღიას ად-დინი. ამ ქალაქის ფლობას აიუბიანები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, როგორც სირიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ცენტრსა და ანტიოქიის სამთავროს მიწებთან ახლოს მდებარე ტერიტორიას. რუმის სულთანმა იზ ად-დინ ქეი-ქავუს I-მა ალეპოს ამირას მალიქ ზაჰირის (ალ-ზაჰირ ღაზი ღიას ად-დინი) გარდაცვალების შემდეგ (1216 წ.) მისი დაკავება მოინდომა. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდში მან დამასკოს გამგებლის ალ-მუ'აზზამის სირიაში არყოფნით ისარგებლა და ალეპოზე შეტევა მოაწყო. გადმოცემით, მას ჯვაროსნებთან აიუბიანების წინააღმდეგ შეთანხმება ჰქონდა დადებული. გეგმის მიხედვით, რუმის სელჩუკებს ჩრდილოეთიდან მეორე ფრონტი უნდა გაეხსნათ აიუბიანების წინააღმდეგ. ამ ლაშქრობაში მას თან ახლდნენ კილიკიელი სომხები, მალათიის, სივასის და მარაშის ამირები. ალეპოსა და ჩრდილოეთ მესოპოტამიაზე რუმის სელჩუკების გამოსვლა სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა აიუბიანებს სირიაში. ეს კი პირდაპირ ჯვაროსანთა წისქვილზე ასხამდა წყალს, რადგან ისინი ორმაგი დარტყმის ქვეშ ექცეოდნენ. სწორედ ამ მოსალოდნელი საფრთხის გამო დატოვა ალ-მუ'აზზამმა

ეგვიპტე და თავისი მიწების დასაცავად გაეშურა. პირველ ჯერზე რუმის სულთანმა ალეპო ვერ აიღო საკუთარი ამირების ღალატის გამო. ქალაქის კარებთან მას დამასკოს გამგებლისა და არაბი ბედუინების გაერთიანებული ძალები შეებრძოლნენ, რომლებმაც ღამით სულთნის ბანაკზე თავდასხმა მოაწყვეს, რის შედეგადაც მისმა სარდლებმა მიატოვეს იგი. სულთანმა თავისი ერთგული მონებისგან შემდგარი რაზმით გაარღვია მტრის ალყა. შემდგომში ყველა ის ამირა, რომელმაც ალეპოსთან ბრძოლაში უღალატა, ერთ სახლში შეყარა და ამობუგა. ამის შემდეგ ქეი-ქავუს I კვლავ დაიძრა ალეპოსკენ და მისი მოახლოებით შეშინებულმა ალეპოელებმა ქალაქი უბრძოლველად გადასცეს. ალეპოს აღებამ დამასკოში დიდი შიში გამოიწვია, მაგრამ სულთანმა სირიის სიღრმეში სვლა აღარ გააგრძელა, ალეპოში თავისი გარნიზონი დატოვა, მოსახლეობაც შეიწყნარა და უკან იკონიაში გაბრუნდა. იზ ად-დინ ქეი-ქავუს I-ის გარდაცვალების შემდეგ, 1221 წლიდან რუმის სელჩუკებმა ალეპოზე კონტროლი დაკარგეს. აიუბიანთა ცალკეული მმართველები წარმატებით უპირისპირდებოდნენ რუმის სელჩუკების შემოტევებს სირიასა და ჩრდილოეთ მესოპოტამიაზე. 1218 წელს ხლათის მმართველმა ალ-მალიქ ალ-აშრაფმა მანბიჯთან სასტიკად დაამარცხა ქეი-ქავუსის ლაშქარი და დაემუქრა რუმის სელჩუკიანთა სამფლობელოებს ანატოლიაში. შენგელია, 2003, გვ. 413-414; ჯაფარიძე, 1995, გვ. 173.

[51] იგივე ჩანაწერია პაპ ჰონორიუს III-ის 1218 წლის ნოემბრით დათარიღებულ წერილში (Presuti 1716, Pothast 5934): „ქრისტიანთა ლაშქარი ახლა ზღვის იქითაა და ისეთი საქმე წამოიწყო, რომელსაც შეიძლება სრული გამარჯვება ან უიმედობა მოჰყვეს, – ამას ის ადამიანები ამბობენ, რომლებიც კარგად იცნობენ ამ ადგილებს. ლაშქარმა ალყა შემოავლო დამიეტას, მდიდარსა და დიდ ქალაქს. უფალს რომ მოენდომებინა და ეს ქალაქი მთლიანად ქრისტიანებს ჩაეგდოთ ხელში, მათ მთელს ეგვიპტეში თითქმის არავითარი, ან ძალიან უმნიშვნელო დაბრკოლებაღა შეხვდებოდათ". Lettres de Jacques de Vitry, 1998, p.133.

[52] ფსალმუნი 125, 2. ლუკას სახარება 1, 14.

[53] წერილი, რომელშიც ჟაკ დე ვიტრი აღწერს 1219 წლის გაზაფხულის მოვლენებს, აქ მთავრდება. ის არ იქნა გაგზავნილი. მას მოჰყვა ზაფხულის მოვლენების ამსახველი მინაწერები Lettres de Jacques de Vitry, 1998, p.133.

[54] 1219 წლის 29 აგვისტო.

[55] რიცხვთა 11, 1.

[56] ტექსტში განმარტებულია, როგორც minores.

[57] ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის აღთქმა, ჩვეულებრივ, არ შეიცავდა დებულებას მსახურების ხანგრძლივობის შესახებ. პაპ ინოკენტი III სურვილი, დაედგინა ორწლიანი ვადა, უშედეგო აღმოჩნდა. Donovan, 1950, p. 55. საერთოდ, მთელი ამ კამპანიის მანძილზე ჯვაროსანთა ძალები ცოცხ-

ალი რესურსების უკმარისობას განიცდიდნენ, რადგან რეგულარულად ხდებოდა მოლაშქრეთა სამშობლოში გაბრუნება. ამის მიზეზი იყო, ერთი მხრივ, საერთო ხელმძღვანელობის არარსებობით, ხოლო, მეორე მხრივ, პაპის ლეგატის პელაგიუსის საქციელით გამოწვეული კიდევ უფრო გამძაფრებული დაპირისპირება ჯვაროსანთა მეთაურებს შორის. მართალია, დროდადრო ეგვიპტეში ახალი ძალები ჩამოდიოდნენ, მაგრამ გაუთავებელი მიმოსვლა ვნებდა სამხედრო დისციპლინას. საერთოდ, ჯვაროსნულ ლაშქრობებში სამხედრო ვალდებულების განსაზღვრული ვადა მკაცრად არ იყო გაწერილი, შორეულ სირიასა თუ ეგვიპტეში გამგზავრებას და იქ ყოფნას საკმაოდ დიდი სახსრები სჭირდებოდა. ძირითადად, მეფეები, ბარონები, და გრაფები ინახავდნენ თავიანთ რაინდებს, მაგრამ ეს რესურსები ამოუწურავი არ იყო. თან აღსანიშნავია, რომ დამიეტასთან ჯვაროსნები თითქმის ჩვიდმეტი თვის განმავლობაში იდგნენ და ჯარის შენახვას კი დიდი ხარჯები სჭირდებოდა. თვით იერუსალიმის მეფე ჟან დე ბრიენი იმდენად გააღატაკა ამ დაუსრულებელმა კამპანიამ, რომ ვალებში ჩავარდა. ამიტომაც იყო, რომ დამიეტის აღების შემდეგ ჯვაროსნებში დაპირისპირება დაიწყო ნადავლისა და ქალაქის კვარტლების გაყოფის გამო, რასაც ჟაკ დე ვიტრი აღწერს კიდეც მეექვსე წერილში.

[58] ჟაკ დე ვიტრი „აღმოსავლეთის ისტორიაში“ მოგვითხრობს, რომ ალყისაგან დამიეტაში იმდენად მძიმე სიტუაცია იყო, რომ ერთი კომში თერთმეტ ბეზანტად იყიდებოდა. შიმშილმა იმდენად დააუძლურა მოქალაქენი, რომ მრავალი ეპიდემია გავრცელდა და ხალხი მასობრივად იხოცებოდა. ქალაქიდან რომ არავინ გაპარულიყო, გარნიზონის ციხისთავის ბრძანებით, მისი ალაყაფის კარები შიგნიდან გვამებითა და მიწით ამოავსეს, მაგრამ ზოგიერთი მოქალაქე მაინც ახერხებდა საიდუმლო გვირაბებით და კოშკების ქონგურებიდან თოკებით ჩამოძრომას და ჩვენს ბანაკში გადმოსვლას, სადაც ისინი შეწყალებასა და პურს ითხოვდნენ.“

[59] აქ ჟაკ დე ვიტრი იმ ამბებს აღნიშნავს, რომელიც დამიეტის ალყის დროს იერუსალიმში და სირია-პალესტინის სხვა ციხე-ქალაქებში დატრიალდა. დამასკოს გამგებელმა ალ-მუ'აზზამმა იერუსალიმის კედლების ნგრევა დაიწყო, რათა დამიეტის აღების შემდეგ ჯვაროსნები იქაც არ გამოჩენილიყვნენ. ეს ნგრევა არა მარტო გალავნის კედლებს, არამედ ქრისტიანთა წმინდა ადგილებსაც შეეხო. დამასკოს სულთნის ამ საქციელმა დიდი ვნებათა ღელვა გამოიწვია არა მარტო იერუსალიმის მუსლიმურ მოსახლეობაში, არამედ მთელ სირია-პალესტინაში. არაბი მემატიანე სიბტ იბნ ალ-ჯაუზი წერს, რომ „როდესაც მათ კედლების ნგრევა დაიწყეს, ქალაქში ისეთი ხმაური და ყვირილი გაისმა, თითქოს მეორედ მოსვლის დღე დამდგარიყოს. ქალები და გოგონები, მოხუცები და ახალგაზრდები, ყველანი ერთად გაემართნენ ალ-აკსას მეჩეთისაკენ, კლდისკენ (კლდის გუმბათის მეჩეთი) და თავი შეაფარეს მას. იგლეჯდნენ ტანსაცმელს, იჭრიდნენ წვერსა და თმებს“. ალ-მუ'აზზამი თავის გადაწყვეტილებას იმით ამართლებდა, რომ „თუ ფრანგები იერუსალიმს მოადგებოდნენ, ისინი ყველას დახოცავდნენ, ხოლო ამის შემდეგ დამასკოს და ისლამის ქვეყნებსაც დაიპყრობდნენ“. ამიტომ, მისი აზრით, სჯობდა ფრანგები დაუცველ ქალაქში შესულიყვნენ, რაც შემდგომში მის დაცვას გაუძნელებდა. მიუხედავად ამ მოწოდებისა, იერუსალიმის მოსახლეობაში საშინელმა შიშმა დაისადგურა, თითქმის ყველა ტოვებდა მას, როგორც მუსლიმები, ისე ებრაელები, ბერძნები და სხვა კონფესიის წარმომადგენლები. არსებული მდგომარეობით გაღიზიანებულმა ფანატიკოსმა მუსლიმებმა უფლის საფლავის დაწვაც კი მოინდომეს, მაგრამ ალ-მუ'აზზამმა ნება არ მისცა. გარდა იერუსალიმისა, დამასკოს გამგებელმა ამავე მიზნით დაანგრია იერუსალიმისა და აკრის გარშემო არსებული ციხე-სიმაგრეებიც. Хилленбранд, 2008, ст. 212-213. საერთოდ, აღნიშნულ ხერხს მუსლიმები ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდში ადრეც მიმართავდნენ. მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, როდესაც საღვთო რომის იმპერატორი ფრიდრიხ I ბარბაროსა 1189 წლის 11 მაისს აღმოსავლეთისაკენ დაიძრა, მან აიუბიანებისათვის მოულოდნელად, საკმაოდ ადვილად დასძლია რუმის სელჩუკების წინააღმდეგობა. ამ ამბავმა პანიკა გამოიწვია სირია-პალესტინაში, რადგან გერმანელების გამოჩენას ალეპოსა და დამასკოს კედლებთან ელოდნენ. სალაჰ ად-დინმა მოუწოდა თავის ქვეშევრდომებს, რომ სირიის ციხეების სიმაგრეები მანამდე გაენადგურებინათ, სანამ ისინი გერმანელებს ჩაუვარდებოდათ ხელში, მაგრამ ბედნიერმა შემთხვევამ იხსნა სირია საფრთხისაგან. 1190 წლის 10 ივნისს, კილიკიაში, პატარა მდინარე სალეფის გადალახვისას (სხვა ცნობებით ცურვის დროს) ფრიდრიხი დაიხრჩო, გერმანელ ჯვაროსანთა არმია დაიფანტა და დიდი ნაწილი უკან გაბრუნდა.

წერილი მეექვსე

წერილში მოთხრობილია 1219-1220 წლების ზამთრის მოვლენები. რ.ბ.ც. იუჟენის მოსაზრებით, იგი დაწერილი უნდა იყოს 1220 წლის გაზაფხულზე. Lettres de Jacques de Vitry, 1998, p.12.

(ა)[1] აკრის ეკლესიის უღირსი მოძღვარი ჟაკი ღვთაებრივი წყალობითა და შეწევნით, პატივისცემით, ფეხზე ამბორით მიმართავს უწმინდეს მამასა და ბატონს ჰონორიუსს, წმინდა მსოფლიო ეკლესიის დიდ პონტიფიკოსს.

(ბ) აკრის ეკლესიის უღირსი მოძღვარი ჟაკი ღვთაებრივი წყალობით ძვირფას ქრისტესმიერ ძმას უფალ ჟან დე ნიველსა[2] და სხვა ერთგულ ძმებს უსურვებს საამო უღლის[3] სიხარულითა და თანხმობით ტარებას.

(გ) აკრის ეპისკოპოსი ჟაკი ძვირფას ქრისტესმიერ დას, სააბატოს წინამძღოლს, ასევე აივიერის მონასტერს წინ არსებულისკენ სვლას უსურვებს[4].

დაე, ადიდონ მათ უფალი მოწყალებისა და ადამიანთათვის ჩადენილი სასწაულების გამო, ადიდონ ის, ვინც დახსნა ბრინჯაოს კარნი და გაწყვიტა რკინის ჯაჭვები[5]. მან დაგვიმორჩილა ხალხები და ჩვენს ფეხქვეშ[6] განართხა ერები; დიახ, ახლა წმინდა ეკლესიას და ქრისტიანთა ლაშქარს დაუმორჩილა ურჯულოთა ეს დიდებული ქალაქი, ქალაქი ურწმუნოთა იმედი, კარგად გამაგრებული და აუღებელი[7], ადრე არაერთგზის გარშემორტყმული სხვადასხვა ხალხების მიერ და მუდამ დაუმარცხებელი. ახლა უფალმა დაძლია ცოდვილთა ძალები[8], გაგვიხსნა კარიბჭე[9] ურწმუნოთა დამორჩილებისა და ქრისტეს სამეფოს განვრცობისკენ, რათა პატარა მელიების დაჭერისა და განდევნის შემდეგ[10], უფლის ვაზს ეხარა, როგორც ახალდარგულ მცენარეს და ნაყოფი[11] მოეცა იმ ვაზს, რომელიც ველურ ყურძენს[12] ისხამდა. იქ, სადაც ამდენჯერ იქნა ნახსენები დემონის პირით წარმოთქმული ვერაგი მუჰამედის დაწყევლილი, საზიზღარი სახელი, ამიერიდან იხსენიებოდეს იესო ქრისტეს კურთხეული სახელი, სახელი დიდებული, მიცემული თავად უფლის[13] მიერ, რათა ეგვიპტელებმა შეიცნონ უფალი, მოიქცნენ მისკენ და ჭეშმარიტების ნათელი გავრცელდეს დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, ვინაიდან ჩვენი ღმერთი მათი ღმერთი არ არის. ამის მოწმენი ჩვენი მტრები თავად არიან[14], მათ დაინახეს უფლის ძალა და იხილეს მისგან ქმნილი სასწაულები დამიეტის აღების დროს.

(ა) ამ წერილით ახლავე მოვახსენებ თქვენს უწმინდესობას, თუ როგორ მოხდა ყოველივე ეს.

(ბ) ქვემოთ იხილავთ, როგორ და რამდენად სასწაულებრივად მოხდა ყველაფერი.

მას შემდეგ, რაც არაერთხელ წარუმატებლად შემოგვიტიეს ჩვენი ღობისა და თხრილის მხრიდან, სარაცინებმა სრულ არეულობაში უკან დაიხიეს და ძალიან ბევრი თავისიანი დატოვეს ბრძოლის ველზე. მაშინ ისევ მიმართეს მათთვის ჩვეულ ცბიერ ხერხებს შეეცადნენ, მოეტყუებინათ და გაეცურებინათ ჩვენიანები ვერაგული სიტყვებით, ათას დაპირებას გვაძლევდნენ, თუ ალყას მოვხსნიდით და უკან დავიხევდით. ეს დაპირებები ძალიან მნიშვნელოვნად ეჩვენებოდათ მათ, ვინც ყველაზე ნაკლებ წინდახედული იყო. მტერი, პირველ რიგში, გვპირდებოდა, რომ დაგვიბრუნებდა წმინდა ჯვარს, ამ უკიდეგანოდ ვრცელ და დაბლობ ქვეყანას თავისი იერუსალიმითა და უფლის საფლავით[15], ასევე დაბრუნებდნენ ტყვედ წაყვანილ ყველა ქრისტიანს, მოგვცემდნენ ფულს[16] იერუსალიმის კედლების აღსადგენად[17]. ისინი ასევე დაგვპირდნენ, რომ დაგვიბრუნებდნენ ტირის ტერიტორიაზე მდებარე ციხე-კოშკ ტორონს[18] სხვა სიმაგრეებთან ერთად, საფეტს[19], ბოფორსა და ბელინას, რომელთა კედლებიც მათვე დაანგრიეს[20]. ამავე დროს, მათ განზრახული ჰქონდათ, შეენარჩუნებინათ ყველაზე მძლავრად გამაგრებული ციხე-კოშკები ანუ კრაკი[21] და მონ-რუაიალი[22]. გვპირდებოდნენ, რომ მათ საზღაურად ყოველწლიურ ღალას გადაგვიხდიდნენ[23]. ბევრ ჯვაროსანს[24] ეს შემოთავაზება მნიშვნელოვნად და ხელსაყრელად მიაჩნდა, ამიტომ თვლიდა, რომ უნდა დავთანხმებულიყავით. თუმცა, ვინც საკუთარი გამოცდილებით კარგად იცნობდა ამ მელიების ორპირობას, სრულიად არ ენდობოდა მათ ცრუ სიტყვებს. უპირველეს ყოვლისა, ასეთები იყვნენ ტამპლიერები, წმიდა იოანესა და წმიდა მარიამის გერმანელ ჰოსპიტალიერთა ორდენი[25], ასევე უფალი ლეგატი პატრიარქთან[26] ერთად, არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები და ყველა სასულიერო პირი, ასევე ჯვაროსანთა ერთი ნაწილი[27]. მათი აზრით, სარაცინებს განზრახული ჰქონდათ, ამ ვითომდა ზავის მეშვეობით დაექსაქსათ ქრისტეს ლაშქარი, თავად კი შეეკრიბათ ყველა ძალა და დაებრუნებინათ ეს ვაკე და სწორი ქვეყანა, ასევე იერუსალიმი თაბორის მთასთან[28] ერთად და სხვა მნიშვნელოვანი ადგილები მაშინ, როცა ჩვენთან მყოფი ჯვაროსნები უკვე წასულები იქნებოდნენ, ხოლო სხვები კი ამ ამბების შეტყობის შემდეგ მოერიდებოდნენ (წმინდა მიწაზე) ჩამოსვლას, თუმცა, ჩვენ სრულებით არ გვჯეროდა, რომ წმინდა ჯვარი მათ ხელში იყო. მას შემდეგ, რაც აკრა[29] წავართვით, სალადინი და სარაცინები გულმოდგინედ დაეძებდნენ ჯვარს, რათა სიკვდილისაგან ეხსნათ თავიანთი ტყვეები, მაგრამ ვერ მიაგნეს[30]. ასე რომ, ჩვენს რიგებში განხეთქილებამ იჩინა თავი. სწორედ

თავიდანვე ამისკენ ისწრაფვოდნენ სარაცინები და ყველა საშუალებით ცდილობდნენ აღნიშნული მიზნისთვის მიეღწიათ. უფალმა ლეგატმა - წინდახედულმა, ფრთხილმა, ფხიზელმა და ყურადღებიანმა ადამიანმა, როცა საქმე უფლის დაცვას შეეხო, ჩათვალა, რომ ამ განხეთქილებასა და დროის გაწელვას უფრო დიდი საფრთხე მოჰყვებოდა. ზოგიერთი ჩვენიანი ბოროტად იყენებდა ღვთის გულმოწყალებას მაშინ, როცა თავად ღმერთი გვაძლევდა ამ ქალაქს: ქალაქში დარჩენილთა ერთი ნაწილი უკვე დაღუპული იყო, სხვები შიმშილით იტანჯებოდნენ და იხოცებოდნენ; ძალიან ცოტაღა იყო დარჩენილი ისეთი, ვისაც ქალაქის დაცვა შეეძლო. სულთანი დღისითა და ღამით, წყლითა თუ ხმელეთით იმდენ ახალ მებრძოლს აგზავნიდა, რამდენის პოვნასაც მოახერხებდა.

უფალმა ლეგატმა მეტი ლოდინი აღარ მოინდომა, მაგრამ იმის შიშით, რომ ზოგიერთ ჩვენგანს[31] შეიძლებოდა ხელი შეეშალა მისი გეგმისთვის ან კიდევ შეეტყობინებინა ეს საიდუმლო სარაცინთა მოენეებისათვის, თავისი განზრახვა სულ რამდენიმე ადამიანს გაუზიარა: ზოგიერთ სასულიერო პირს და თავისი კარის რაინდებს, რომელთაც ენდობოდა. ის შუაღამისას ადგა, ქალაქის თხრილთან მივიდა თავის რაინდებთან და მათ მსახურებთან ერთად. სარაცინებს ხიდი დაენგრიათ, რომელიც ქალაქის პირველ კედელთან და მის ჭიშკართან მიდიოდა. ლეგატმა ბრძანა, ხიდი შეეკეთებინათ კიბეებისა და ძელების გამოყენებით. ასე რომ, ჩვენებმა პირველი კედლის თხრილს მიაღწიეს, უზარმაზარი ცეცხლი დაანთეს და ჭიშკარი დაწვეს. შემდეგ, ძალიან სწრაფად გაირბინეს ცეცხლში და უკვე ორ კედელს შუა აღმოჩნდნენ; ახლა მეორე კედლის ჭიშკართან დაანთეს ცეცხლი, აღმართეს კიბეები და ზედ აცოცდნენ, სხვებმა კი მეორე ალმოდებული კარიბჭე გაიარეს. გაოგნებულმა და დაბნეულმა, გატეხილმა და შიშისაგან გაქვავებულმა მტერმა, რომელმაც დაკარგა თავდაცვის იმედი, ძალიან მცირე წინააღმდეგობა გასწია. არც ერთი ჩვენიანი არ დაღუპულა, მხოლოდ რამდენიმე იყო მსუბუქად დაჭრილი. შედეგად კი, უფალმა სასწაულებრივად გადმოგვილოცა ქალაქი, მან დიდება უწყალობა არა ვინმე სხვას[32], არამედ გამარჯვება რომის წმინდა ეკლესიასა და მის ლეგატს უბოძა. რამდენადაც ეს თავად უფლის ნება იყო, მან დიდება არ უწყალობა იმათ, ვინც საკუთარ სახელს ეძიებდა[33].

ისინი უკვე ერთმანეთში დავობდნენ ნადავლისა და ქალაქის გაყოფაზე[34]. მეორე დღეს ქალაქის კოშკებზე ჩვენი დროშების დანახვისას სულთანსა და მის ლაშქარს თავზარი დაეცათ და გაქცევა გადაწყვიტეს. დიდი ტკივილითა და სევდით სულთანმა ცეცხლს მიაცემინა თავისი ბანაკი და ის ხიდი, რომელიც მათ მდინარეზე გადეს. ის დარწმუნებული იყო და იცოდა კიდეც, რომ უფალი სასწაულებრივად იბრძოდა ჩვენს

მხარეს, დევნიდა და თავგზას უბნევდა სარაცინებს.

ბოლოს, თებერვალში წმინდა ქალწულ აგათიას დღესასწაულზე, ამ თვის ნონაში[35], გადავლახეთ ნილოსი, რომელსაც ჟიონსაც[36] ეძახიან და მაშინ, როცა სარაცინები როგორც წყლის, ასევე ორივე კუნძულის მხრიდან გარბოდნენ, ალყა შემოვარტყით დამიეტას; სამოცი ათასზე მეტი სარაცინი აღმოჩნდა მომწყვდეული ქალაქის კედლებს შიგნით[37]. თუმცა, ცხრა თვის შემდეგ ანუ ნოემბერში, ანუ ნონამდე[38], ქალაქის აღების შემდეგ სამი ათასი სარაცინი ძლივსღა ვიპოვეთ; ამათგან ასიოდესღა შესწევდა ქალაქის დაცვის ძალა. უფალმა ჩვენი მტერი საშინელი ჭრილობით დალახვრა, მახვილი აღმართა მათ უკან[39] და ყველა მტერი უხუცესიცა და ყველაზე ახალგაზრდაც[40], ისიც, ვინც ტახტზე იჯდა, და ისიც, ვინც კედელს[41] მიექცა - ამოხოცა, დაარტყა რა მათ ზურგიდან და თავს დაატეხა სამუდამო სირცხვილი[42]. ქალაქში შესვლისას სწორედ ამიტომ ვიპოვეთ მიწაზე დაგდებული ამდენი გვამი. ცოცხლად დარჩენილი სარაცინები იმდენად ცოტანი იყვნენ, რომ ამდენ მიცვალებულს ვერ ასაფლავებდნენ, ძალიან ძნელი ასატანი იყო აყროლებული გვამის სუნი, რომელიც ჰაერში იდგა[43]. ქალაქის გაწმენდის შემდეგ მირქმის[44] დღესასწაულზე უფალი ლეგატი, პატრიარქი და ყველა სასულიერო პირი ხალხთან ერთად პროცესიით შევიდა ქალაქში ანთებული სანთლებითა და ჩირაღდნებით, ჰიმნებისა და საგალობლების, სადიდებელი და სამადლობელი სიმღერების მღერით[45]. ამასობაში უფალმა ლეგატმა გაამზადებინა მთავარი ბაზილიკა[46] და იქ არქიეპისკოპოსის ტახტიც კი დაადგმევინა. ქალაქის კედელთან აშენებულ მრავალ ეკლესიაში ვერაგი მუჰამედის განდევნის შემდეგ დღისითაც და ღამითაც აღესრულება ღვთისმსახურება ღვთისა და მისი წმინდანების სადიდებლად. იქ მსახური მოძღვრები სხვადასხვა ეკლესიაში ყოველდღიურად წარუდგენენ ძეს თავის მამას. სიმართლე რომ ითქვას, ქალაქში ძალიან ცოტა საკვები ვიპოვეთ, სამაგიეროდ, უხვად იყო ოქრო, ვერცხლი, ასევე აბრეშუმის ქსოვილი, ძვირფასი ტანსაცმელი და ბევრი სხვა მოძრავი ქონება. ჩვენს ლაშქარში უფრო მეტი ქურდი და ყაჩაღი იმყოფებოდა, რომელთაც მხოლოდ სახელი ჰქონდათ მომლოცველისა. უფლისთვის საძულველი ეს ადამიანები არც უფალ ლეგატს ემორჩილებოდნენ და სიხარბისგან დაბრმავდნენ ახორის მსგავსად[47].

სარაცინებს თავიანთი განძის ყველაზე დიდი ნაწილი გადაემალათ, ან მიწაში ჩაეფლათ, ან მდინარეში გადაეყარათ. ასე რომ, ძლივს მოვაგროვეთ ორმოცი ათასი ბეზანტი[48] და ჩვენიანებს გავუყავით. ამან არცთუ ისე უმნიშვნელო დრტვინვა და რისხვა გამოიწვია[49]. უგუნურ და მოუწესრიგებელ მდაბიოთაგან ვინმემ შეიძლება კამათი დაგიწყოს ან

ჩხუბიც კი აგიტეხოს. იმ სარაცინებს რაც შეეხება, რომლებიც ქალაქში დავატყვევეთ, მათგან ოთხასი საუკეთესო და ყველაზე მდიდარი დავიტოვეთ, რათა შეგვძლებოდა მათ სანაცვლოდ ჩვენი ტყვეების დაბრუნება. ვინაიდან ყველა ტყვის გამოკვება ძალიან ძვირია, დანარჩენები ქრისტიანებს მივყიდეთ სიცოცხლის ბოლომდე რომ ემსახურონ. თუმცა, დიდი გაჭირვებისა და დანახარჯის საფასურად მოვახერხე ბავშვების გადამალვა და დატოვება. თუ არ მეშლება, მათგან ხუთასზე მეტი მოინათლა და ნათლობის შემდეგ უფლის ხელში გადავიდა, როგორც ღმერთისთვის და კრავისთვის მსხვერპლად შეწირული პირველი ნაშიერი: ეს ისინი არიან, ვისაც ჯერ კიდევ არ შეუცოდავს ქალთან, უბიწონი არიან და კრავს ყველგან გაჰყვებიან, სადაც კი წავა[50]. ამათ გარდა, კიდევ სხვებიც დავიტოვე, რომლებიც ზოგიერთ ჩემს მეგობარს მივანდე, რათა გამოკვებონ და აზიარონ წმინდა წერილებს ღვთის მსახურებისათვის.

უფალმა ლეგატმა იერუსალიმის სამეფოს გასაფართოებლად ჯვაროსანთა თანხმობით ქალაქსა და მის შემოგარენზე არსებული მთელი ძალაუფლება სამუდამოდ გადასცა იერუსალიმის მეფეს[51]. ქალაქის სახლებს და ზოგიერთ კოშკს რაც შეეხება, ამ მიზნით საგანგებოდ შერჩეულმა ჯვაროსნებმა ისინი სხვადასხვა ერს შორის გაანაწილეს[52]. პირველი კედლის მესერს მიღმა, პატარა ნაგებობების გარდა, ოცდარვა დიდი კოშკი იყო, რომელთაც შეიძლებოდა აუღებელი გაეხადათ ქალაქი, უფალს რომ სასწაულებრივად არ გადმოეცა ის ქრისტიანთათვის. გარდა ამისა, არანაკლები სასწაული[53] იყო, რომ უფალმა დაგვამორჩილებინა ქალაქი თანისი მიმდებარე ციხე-კოშკით[54], რომელსაც რვა მიუდგომელი კოშკი ჰქონდა და მხოლოდ ერთი მხრიდან შეიძლებოდა მასზე შეტევა. ქალაქი თანისი თავის ეპარქიასთან ერთად, სხვათა შორის, დამიეტის დაქვემდებარებაში იმყოფება.

ყველა ამ მოვლენის მიმდინარეობისას უფალმა დიდება სხვას არავის უბოძა[55], მაგრამ იმისათვის, რომ გამარჯვება ჩვენი სიმრავლისთვის ან ადამიანური ძალებისთვის არ მიგვეწერა, მორჩილებაში ვყოფილიყავით და მივნდობოდით უფალს, როგორც წინასწარმეტყველი ამბობს: ჩემს ნდობას მშვილდ-ისარზე არ ვამყარებ და ვერც შუბი გადამარჩენს[56], უფალი ანიჭებს სიკვდილს და სიცოცხლეს, ჩაჰყავს ჯოჯოხეთში და ამოჰყავს იქიდან, აღატაკებს და იძლევა სიმდიდრეს, ამცირებს და ადიდებს[57]. ამ ქალაქის ჩვენთვის გადმოლოცვამდე უფალმა დაუშვა, რომ მის ხალხს ბევრი უბედურება და სხვადასხვაგვარი დევნა გადაეტანა ცოდვათა განსაწმენდად და რჩეულთა[58] შორის ყველაზე დიდი გვირგვინის სატარებლად. მტრებიც კი აღფრთოვანებულნი იყვნენ ჩვენით, როგორც დაწერილია: „განადგურებამდე გული ივსება სიამაყით[59]“. ერთ

დღეს[60], როცა ჩვენი მრავალი ფეხოსანი და მხედარი სულთანთან საბრძოლველად დაიძრა, თითქოს არაფრის ეშინოდათ და დარწმუნებულნი იყვნენ საკუთარ სიმამაცეში[61], ღვთის ხატი არ გაიძღოლეს[62], წავიდნენ მტრისკენ არა ცრემლითა და ერთგულებით, არამედ დიდი ზარ-ზეიმითა და მედიდურობით; ბევრი მათგანის მიზანი მხოლოდ სარგებელი და დროებითი გამორჩენა იყო. ამასობაში, სულთანს გამოცდილებამ აჩვენა, რომ ჩვენიანთა მცირე რაოდენობაც კი ადვილად იმარჯვებდა საკმაოდ ბევრ მის მომხრეზე, რათა მოკავშირედ[63] თავად უფალს უხმობდნენ. ასე რომ, მან, ჩვენიანების შიშით, ვერ გაბედა დაეცადა ლაშქრისათვის, უკან დაიხია, კარვებითა და მთელი აღჭურვილობით გაქცევაც დაიწყო. როცა ჩვენი ლაშქარი მიუახლოვდა თხრილს, რომელიც სულთანმა ბანაკს შეამოვლევინა, ჩვენიანები, თითქოს ამ გადაადგილებით დაღლილები, შეჩერდნენ და დასვენება მოიწყვეს. ამ დროს, რაც არ უნდა უცნაური იყოს, მაშინ, როცა მტერი სულაც არ მოსდევდა, ზოგიერთმა ჩვენიანმა ზურგი იბრუნა და ყოველგვარი აშკარა მიზეზის გარეშე გაიქცა. ამგვარი საქციელით შეწუხებულმა ზოგიერთმა ჩვენმა ძლიერმა და გულმაგარმა მხედარმა ამჯობინა, ლაშქარი უკნიდან დაეცვა; თავიანთი კავალერიის სამწყობრო წესით განლაგების შემდეგ სამხედრო დისციპლინის წესების შესაბამისად, ისინი უკან გამოჰყვნენ ლაშქარს. ასე ჯარი დიდი დანაკარგების გარეშე უკანდახევას შეძლებდა, მაგრამ ზოგიერთ ჩვენიანს მობეზრდა უკან დადევნებული სარაცინების ზეწოლა და მათ ცხენებს ისრებს ესროდნენ, გადაწყვიტეს, არ მიეტოვებინათ მეგობრები და მათზე მრავალრიცხოვან სარაცინს შეუტიეს.

შედეგად, იმ დღეს ბანაკში დაბრუნებამდე, ათასზე მეტი მებრძოლი დავკარგეთ; ზოგიერთი მათგანი შუბით განგმირეს, სხვები სიცხით ქანცგაწყვეტილი ცხენების დავარდნის შემდეგ ტყვედ აიყვანეს; ბევრი ფეხოსანი წყურვილით დაიხრჩო მხურვალე მზის ქვეშ. ზოგი კი, ვინც შიშით შეიშალა, ღვთისგან გამოგზავნილი, ჩვენთვის მიუწვდომელი მსჯავრით[64] აღესრულა. ამ დღეს ორასზე მეტი მხედარი დავკარგეთ მოკლული თუ დატყვევებული. ტყვედ ჩავარდნენ შემდეგი დიდებულები: ბოვეს რჩეული ეპისკოპოსი და მისი ძმა ანდრე დე ნანტუელი ჟან დ’არში, მამაცი რაინდი ანდრე დ’ეპუასი, გოტიე, საფრანგეთის მეფის კამერგერი და მისი ვაჟი ვიკონტ დე ბომონი[65], ანჟერის ეპისკოპოსის ძმა ოდონ დე კასტილიონი[66] და ბევრი სხვა; მრავალი მათგანი უფლისკენ ნეტარებით, წამებულის გვირგვინით შემოსილი გაემგზავრა.

მე კი იმ დღეს იარაღის გარეშე გავედი, მანტიითა და სტიქარით შემოსილი, უფალ ლეგატთან და პატრიარქთან ერთად, რომელსაც წმინდა ჯვარი[67] მოჰქონდა; უფალმა არ მოინდომა რომ მე, უღირსი და საცო-

დავი ამ წამებულებთან ერთად თავისთან მივეხმე, არამედ ინება, რომ დავეტოვებინე კიდევ სხვა ტკივილებისა და მძიმე შრომის დასათმენად. სწორედ მან მოთოკა ჩვენი ამპარტავნება ბევრი სხვა უბედურებით. ასე რომ, ყოველ ჯერზე, როცა კი მივაყენებდით ნავებს და მდინარიდან კიბეებით მივადგებოდით ქალაქის კარიბჭეს, სარაცინები ბერძნულ ცეცხლს[68] გვესროდნენ და გვაძევებდნენ; ისინი ქვებს ისროდნენ იმ საბრძოლო მანქანებით, რომლებსაც ქვისსატყორცნებს უწოდებენ[69] და ზოგიერთ ჩვენიანს კლავდნენ კიდეც. არც ხმელეთზე, თხრილების გაყვანის მძიმე და ძვირადღირებულ სამუშაოებში გვქონდა წარმატება, ვინაიდან თხრილის წყლები გვიშლიდა ხელს. ქალაქის კედელთან ტარანად წოდებული საომარი მანქანები მივაყენეთ, რომლებსაც სარაცინებმა ცეცხლი წაუკიდეს დიდი რაოდენობით გამოსროლილი ბერძნული ცეცხლის მეშვეობით და ბევრი ჩვენიანი დააზიანეს. მრავალი მეომარი შედიოდა ქალაქში ისე, რომ ჩვენ ამაზე არაფერი ვიცოდით. ზოგი მათგანი ხმელეთით ახერხებდა ამას, ზოგიც ყვინთავდა და ისე კვეთდა მდინარეს, რაც არცთუ უმნიშვნელო მხარდაჭერა იყო ქალაქში მყოფთათვის. ჩვენები მდინარეზე დიდ ბადეებს ჭიმავდნენ, ადამიანებზე თევზაობდნენ და ბადეებით იჭერდნენ სარაცინებს. მაშინ ყველაფერი ვცადეთ და ბევრი ვიფიქრეთ იმაზე, თუ კიდევ რა შეიძლებოდა გაგვეკეთებინა: ქალაქი მართლაც ბევრად უფრო გამაგრებული იყო აღებამდე ცოტა ხნით ადრე, ვიდრე ალყის დასაწყისში. ასე რომ, უფალი გამარჯვებას მხოლოდ თავისი თავისთვის ამზადებდა, თუმცა, არც ჩვენიანების ძალისხმევის მნიშვნელობას უგულებელყოფდა.

ჩვენ მთლიანად უფალზე ვართ მინდობილნი, მასზე, ვინც სასწაულებრივად გაგვიღო ეგვიპტის კარი, ვინაიდან ის დაუმორჩილებს ეგვიპტის დანარჩენ ნაწილს ქრისტიანთა იმპერიას, ააკაშკაშებს რა სინათლეს წყვდიადში და განფენს თავისი ეკლესიის ძლიერებას ქვეყნის დასალიერამდე. თქვენ კი განუწყვეტლივ ილოცეთ ქრისტეს ლაშქრისთვის, რათა უფლის ვაზი გავრცელდეს აღთქმულ მიწაზე, ურწმუნონი განიდევნონ, რწმენა აღორძინდეს, აღდგეს იერუსალიმის კედლები[70], რომლებიც ჩვენმა მტრებმა დაამხეს; აი მაშინ, ის დათანხმდება მსხვერპლის ზიარებასა და ტარიგს[71], ხოლო ჩვენ კი ვადიდებთ ადგილს, სადაც მისი ფეხი დადგმულა[72].

[ა[73]] პირველი ალყის დროს ქალაქ დამიეტაში ორმოცდახუთი ათასი მებრძოლი იმყოფებოდა, ქალების, ბავშვებისა და ხეიბართა ჩაუთვლელად ამ უკანასკნელთა რაოდენობა დაახლოებით ოცდათხუთმეტი ათასი იყო. იქ სულთნის მიერ ქალაქის დასახმარებლად გამოგზავნილი ოთხასიოდე მებრძოლიც იმყოფებოდა, რომლებიც ღამე ხმელეთით შევიდნენ ქალაქში. უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა მათგანი უფალმა სასწაულებრივად ჩაუგდო ხელში[74] მორწმუნეებს თავისი სახელის სადიდებლად. როცა მათ ჩვენი ბანაკის გადაკვეთა მოინდომეს, რათა ქალაქში შესულიყვნენ, ჩვენებმა შეამჩნიეს და ას ოცდათვრამეტი მათგანი მოკლეს. ოცდაათამდე მებრძოლი დაუბრუნდა სულთნის ლაშქარს, ხოლო დანარჩენებმა თავშესაფარი ქალაქში ჰპოვეს.

[ბ] მოგესალმებიან ჩვენი თანამგზავრები და მეგობრები ო. დე დინანი, ჟან დე კამბრე ჩვენი მგალობელი, ჩვენი ეკლესიის სენეშალი.

[ბ, გ] დონ რენიე[75], სენ-მიშელის წინამძღოლი, მცირე ძმათა[76] ორდენში გადავიდა. ეს რელიგია ძალიან გავრცელდა მთელ მსოფლიოში, რადგანაც ისინი აშკარად პირვანდელი ეკლესიის ფორმებსა და მოციქულთა ცხოვრებას ბაძავენ. მიუხედავად ამისა, ის ჩვენ ძალიან სახიფათოდ[77] გვეჩვენება, ვინაიდან არა მხოლოდ სრულყოფილები, არამედ ახალგაზრდა და ჩამოუყალიბებელი ძმები, რომლებიც მონასტრული დისციპლინით უნდა გამოიცადონ, ორ-ორად იფანტებიან მთელ მსოფლიოში[78]. როცა ჩვენს ლაშქარში ამ ორდენის სარწმუნოებით გულანთებული წინამძღვარი და დამაარსებელი[79] მოვიდა, ის არ შეუშინდა მტრის ლაშქრის გავლას. მან რამდენიმე დღე იქადაგა უფლის სიტყვა სარაცინების წინაშე და დიდ შედეგს ვერ მიაღწია. თუმცა, სულთანმა, ეგვიპტის მეფემ, საიდუმლოდ სთხოვეს მას, ეთხოვა უფლისთვის შემწეობა, რათა ის იმ რელიგიას მიმხრობოდა, რომელიც უფრო მოსაწონი იქნებდა ღმერთისათვის. ამავე ორდენს შეუერთდნენ კოლინუს ანგელიკუსი, ჩვენი კლერკი, და ორი ჩვენი ამხანაგი: მეტრ მიშელი და დონ მატიე, რომელთაც მე წმინდა ჯვრის ეკლესიის მრევლი ჩავაბარე. აღარაფერს ვამბობ მგალობელზე, ანრიზე და ზოგიერთ სხვაზე.

[ბ] მე უკვე დასუსტებული და გულგატეხილი ვარ, მსურს ჩემი ცხოვრება სიმშვიდეში დავასრულო. გიგზავნით ორ პატარა ბავშვს, რომლებიც ბაბილონის ხანძარს[80] გადაურჩნენ, მათთან ერთად აბრეშუმის ქსოვილს და კიდევ ერთ წერილს. აჩვენეთ ეს წერილი ვილიერის აბატს[81], ასევე ჩვენს სხვა მეგობრებს. მშვიდობით.

კომენტარები

[1] ეს სამი ასო (ა), (ბ) და (გ) შეესაბამება წერილების ხელნაწერთა სამ სხვადასხვა ჯგუფს. პრეამბულის ფორმულირება იცვლება ხელნაწერთა ჯგუფების მიხედვით. Lettres de Jacques de Vitry, 1998, p.158.

[2] ჟან დე ნიველი, უანიეს ავგუსტინელების ორდენის პრიორატის წევრი.

პარიზში სწავლების შემდეგ მიიღო ლიეჟის წმინდა ლამბერტის ეკლესიის დეკანის და მოძღვრის თანამდებობა. 1216 წელს რომის პაპის ინოკენტი III-ის დავალებით დაიწყო ჯვაროსნული ომის ქადაგება. გარდაიცვალა 1233 წელს და დასაფლავებულია უანიეში. Schöndorfer, 1997, p. 17; Funk, 1909, p. 20-24.

[3] მათეს სახარება 11, 30.

[4] ფილიპელთა 3, 13.

[5] ფსალმუნი 106, 15-16.

[6] ფსალმუნი 46, 4.

[7] იგავთა 21, 22. იერემია 1, 18.

[8] ფსალმუნი 74, 11.

[9] I კორინთელთა 16, 9.

[10] ქებათა ქება 2,15.

[11] ფსალმუნი 143, 12.

[12] ესაია 5, 2.

[13] ესაია 62, 2.

[14] მეორე სჯულის 32, 31.

[15] აქ ჟაკ დე ვიტრი საუბრობს იმ ცნობილ პირობაზე, რომელიც დამიეტას ალყაში სრულად მოქცევის შემდეგ ალ-ქამილმა შესთავაზა ჯვაროსნებს. მას შემდეგ, რაც ჯვაროსნებმა დამიეტის წინ მდებარე ჯაჭვის კოშკი აიღეს და როგორც ზღვიდან, ისე ხმელეთიდან ალყა შემოარტყეს ქალაქს, ალყაში მოქცეულთა მდგომარეობა გამოუვალი გახდა. ეგვიპტელებმა, რამდენჯერმე სცადეს მისი გარღვევა და ქრისტიანთა უკუგდება, მაგრამ ყოველი ცდა უნაყოფო გამოდგა. 1219 წლის ზაფხულში იყო პირველი შეთავაზება ეგვიპტელთა მხრიდან.

[16] მუსლიმები ერთ ჯერზე 200 000 დინარს იხდიდნენ და გაათავისუფლებდნენ ყველა ქრისტიანს, რომლებიც მათ დაატყვევეს სალაჰ ად-დინის სიკვდილის შემდეგ.

[17] მეხუთე წერილში ჟაკ დე ვიტრი აღნიშნავს იერუსალიმის კედლების და იუდეის სხვა ციხე-სიმაგრეების დანგრევის ფაქტს, თუმცა იქ საუბარია დამიეტის და ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ ჯვაროსანთა მომავალ გეგმებზე, კერძოდ იერუსალიმის და იუდეის გათავისუფლებაზე. მოგვიანებით, 1229 წელს, ეგვიპტის სულთნის და საღვთო რომის იმპერატორის ფრიდრიხ II-ის შეთანხმების შემდეგ იერუსალიმი დაუბრუნდა ქრისტიანებს და, როგორც მათე პარიზელი თავის ქრონიკაში გადმოგვცემს, ქრისტიანებმა ქალაქის დანგრეული გალავნის კედლების, კოშკების მშენებლობა დაიწყეს. გარდა იერუსალიმისა, ქრისტიანებს დაუბრუნდათ ბეთლემი, ნაზარეთი, მიწები იერუსალიმსა და აკრას შორის. ასევე, იაფადან მომავალი გზა იერუსალიმისკენ, ციხე-ქალაქები სიდონის, ცეზარეის და ტორონის სენიორიები.

მათე პარიზელი აღნიშნავს, რომ ყველა ეს უკან დაბრუნებული ქალაქი და ციხე ქრისტიანებმა ღვთის მადლით კვლავ აღადგინეს, ხოლო უფლის საფლავი შეამკეს და ნაკურთხი წყლით გაწმინდეს.

[18] ტორონი (ფრ: Toron), ციხე-სიმაგრე ლიბანის სამხრეთით, ისტორიულ გალილეაში. ტირიდან დამასკოსკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა. ეს ციხე-სიმაგრე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო ჯვაროსნულ ეპოქაში. იგი გალილეის მმართველის ჰიუგ დე სენტ-ომერის მიერ აშენდა საფეტთან და შატო ნეფთან ერთად. მისი ვაჟი გოტფრუა დე სენტ-ომერი ტამპლიერთა ორდენის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო. იერუსალიმის სამეფოს სენიორების, გალილეის მმართველთა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პუნქტად ითვლებოდა. 1187 წლიდან, მას შემდეგ, რაც იგი სალაჰ ად-დინმა ქრისტიანებს წაართვა, მუსლიმთა ხელში გადავიდა. 1229 წელს იაფას შეთანხმების შემდეგ, რომელიც ფრიდრიხ II-სა და ეგვიპტის სულთან ალ-ქამილს შორის გაფორმდა, ციხე-სიმაგრე ჯვაროსნებს დაუბრუნდათ. იქ დაფუძნდნენ ტევტონთა ორდენის რაინდები, რომლებმაც გაამაგრეს იგი. 1239 წელს იაფას 10 წლიანი ზავის ვადის ამოწურვის შემდეგ კვლავ გადავიდა მუსლიმთა ხელში, მაგრამ 1240 წელს ტიბო შამპანელის და რიჩარდ კორნოუელის ხელმძღვანელობით მოწყობილი ე. წ. „ბარონების ჯვაროსნული ლაშქრობის“ მერე იგი კვლავ ქრისტიანებმა დაიბრუნეს. საბოლოოდ, 1266 წელს აიღო სულთანმა ბეიბარსმა და მას შემდეგ მამელუქთა ხელში დარჩა.

[19] საფეტა (ფრ: Sephet) მდებარეობდა ისტორიულ გალილეაში. დღევანდელი ცფათი, ქალაქი ისრაელის ჩრდილოეთით. პირველად იხსენიება ახ. წ. აღ. 66 წელს, იუდეის ომების დროს, როგორც ერთ-ერთი გამაგრებული პუნქტი რომაელთა თავდასხმების მოსაგერიებლად. მის შესახებ ცნობებს გვაწვდის ამ ომების მონაწილე ებრაელი ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე იოსებ ფლავიუსი. პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ 1102 წელს ჯვაროსნებმა აქ დიდი ციხე ააგეს, რომლის გარშემოც მომავალში ქალაქი გაშენდა. XII საუკუნეში ჰოსპიტალიერებმა აქ თავიანთი სამლოცველო, ჰოსპიტალი და დიდი მაგისტრის რეზიდენცია ააშენეს. 1188 წელს, ციხის გარნიზონის უვნებლად გაშვების შემდეგ, იგი სალაჰ ად-დინმა დაიკავა. მოგვიანებით ეს ციხე შამპანის გრაფმა ტიბო ნავარელმა ტამპლიერებს გადასცა. 1266 წელს აიღო სულთანმა ბეიბარსმა, რომელმაც ეს ციხე-ქალაქი ჩრდილოეთ გალილეის უმთავრეს ცენტრად აქცია.

[20] 1219 წელს ალ-მუ'აზზამმა ამ ციხეების გარდა ბანიასი და თვით თაბორის მთაზე აღმართული ციხე-სიმაგრეც კი დაანგრია, რადგან მიაჩნდა, რომ ეგვიპტეში მარცხის შემდეგ ქრისტიანები მას დაეპატრონებოდნენ და არ სურდა მოწინააღმდეგის ხელში გამაგრებული პუნქტები დარჩენილიყო. ამავე დროს, მან ხელში ჩაიგდო ახლად შეკეთებული სეზარეა და მისი

კედლებიც დაანგრია. გენუელებმა, რომლებიც იცავდნენ ქალაქს, ვერ მოახერხეს მისი გადარჩენა და თავიანთი ხომალდების საშუალებით მოსახლეობა გახიზნეს. ალ-მუ'აზზამმა შეუტია მომლოცველთა ციხეს, რომელსაც ტამპლიერები იცავდნენ, მაგრამ ვერ აიღო. მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, აიუბიანთა მდგომარეობა დამიეტასთან გამოუვალი რჩებოდა და ამიტომ ჯვაროსნებს ტერიტორიების გაცვლა შესთავაზეს - პალესტინა ეგვიპტის სანაცვლოდ.

[21] კრაკი, კერაკი (ფრ: Crac) იერუსალიმის სამხრეთით, მკვდარი ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ციხე ისტორიულ ტრანსიორდანიაში. ჯვაროსანთა ერთ-ერთი დიდი ციხე-სიმაგრე ლევანტში. გამორჩეული იყო თავისი ადგილმდებარეობით და მიუდგომელი ციტადელით. თვით ჯვაროსნები და ლათინური წყაროები მას „კრაკ დე მოაბს" უწოდებდნენ (მოაბი - ისტორიული მხარე, რომელიც მდებარეობდა მდინარე იორდანეს სანაპიროზე, მკვდარი ზღვის აღმოსავლეთით). მისი მშენებლობა 1140 წელს იერუსალიმის მეფე ფულკის დროს დაიწყო და 1161 წელს დამთავრდა. ეს ციხე-სიმაგრე იერუსალიმის ბარონმა პაიენ დე მილმა ააშენა, რომელსაც სამეფოს კარზე ბუტიკულარიუსის თანამდებობა ეკავა. იგი ტრანსიორდანიის სენიორი იყო; შემდგომში მისი ოჯახის წევრები ფლობდნენ ამ ციხე-სიმაგრესაც და მის მიმდებარე ტერიტორიასაც. ეს ციხე-სიმაგრე აკონტროლებდა სავაჭრო გზებს დამასკოდან როგორც ეგვიპტისაკენ, ასევე მექისაკენ და ტრანსიორდანიის ჯვაროსანი სენიორების მთავარ რეზიდენციას წარმოადგენდა. 1176 წლიდან, ციხე რენო დე შატილიონს ეკუთვნოდა, რომელიც ჰატინთან ბრძოლაში დაიღუპა. მრავალი მცდელობის შემდეგ, 1188 წელს, იგი სალაჰ ად-დინმა აიღო. მონ-რუაიალთან ერთად, ეს ნაგებობა ერთ-ერთ იმ იშვიათ ციხეს წარმოადგენს, რომლის დაბრუნებაც შემდგომში ჯვაროსნებმა ვეღარ შეძლეს.

[22] მონ-რუიალი (ფრ: Mont-Royal) „სამეფო ბორცვი", ეს ციხე-სიმაგრე დღევანდელ იორდანიაში, მდინარე იორდანეს აღმოსავლეთით მდებარეობს, ისტორიულ ტრანსიორდანიაში. 1115 წელს იერუსალიმის მეფე ბოდუენ I-მა ააშენა, რომელიც თავის სენიორს რაიმონდ დე პიუის გადასცა, მაგრამ ფულკის მმართველობის დროს მას დე მილის სენიორალური სახლის წარმომადგენლები დაეპატრონენ. 1189 წელს იგი სალაჰ ად-დინმა აიღო. ჟაკ დე ვიტრის ამ ცნობიდან საინტერესო ის არის, რომ ორივე ციხეს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა და ამიტომ გამოჰყოფს მათ. ორივე ციხე უმნიშვნელოვანეს საქარავნო გზებზე მდებარეობდა, რომელიც აკავშირებდა სირიას ეგვიპტესთან და არაბეთთან. თავის დროზე ჯვაროსნები აქ გამავალი ქარავნებისგან საკმაოდ დიდ შემოსავალს იღებდნენ. ფაქტობრივად, ამ პუნქტების ფლობით ისინი სასიცოცხლო მნიშვნელობის მაგისტრალებს აკონტროლებდნენ. ეს პუნქტები ომების დროს გზას უღობავდა სირიელთა

და ეგვიპტელთა სამხედრო კონტიგენტებს, რაც აფერხებდა მათი ძალების კონცენტრაციას ქრისტიანების წინააღმდეგ საერთო ფრონტის შესაქმნელად. აქედან გამომდინარე, ამ პუნქტების ფლობას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მუსლიმებმა ამიტომაც მოინდომეს ეს ციხეები შეენარჩუნებინათ ყოველწლიური რენტის ფასად, თუ შედგებოდა მოლაპარაკება წმინდა მინის დაბრუნების თაობაზე. აღნიშნული ციხეების მნიშვნელობაზე უფრო დაწვრილებით მოთხრობილია „აღმოსავლეთის ისტორიაში". „ეს ორი ციხე მდებარეობდა არაბეთში და აკონტროლებდა კიდევ იმ მხარეში არსებულ სხვა დანარჩენ შვიდ სიმაგრეს. მექისკენ მიმავალი ან უკან დაბრუნებული სარაცინელი ვაჭრები და პილიგრიმები ყოველთვის გადიოდნენ იმ გზას, რომელსაც ეს ციხეები კეტავდა. მაგრამ ის, ვინც ფლობდა იერუსალიმს, ძალა და უნარი შესწევდა, ამ რეგიონის მცხოვრებთათვის ბევრი ზიანი მიეყენებინა, გაენადგურებინა მათი ვენახები და მინდვრები". ამ პასაჟიდან ჩანს, ჟაკ დე ვიტრი კარგად იყო ინფორმირებული თუ რას წარმოადგენდა ეს ციხეები მოწინააღმდეგე მხარეებისათვის. ამიტომ, საყურადღებოა მისი ცნობა, რატომ თქვეს ჯვაროსნებმა უარი ამ შემოთავაზებაზე. მიუხედავად იმისა, რომ დანარჩენი პუნქტები და იერუსალიმის კედლები დანგრეული იყო, მუსლიმებს ეს ციხეები, თავიანთი მნიშვნელობის გამო, არ დაუნგრევიათ.

[23] ალ-ქამილი ჯვაროსნებს ზავის სანაცვლოდ პირდებოდა იერუსალიმის სამეფოს 1187 წლამდე არსებული საზღვრებით, ტრანსიორდანიის ციხეების კრაკისა და მონ-რუაიალის გამოკლებით, თუმცა ამ ციხეების სანაცვლოდ ყოველწლიურ რენტას იხდიდა. სულთანი ასევე პირობას დებდა, რომ ქრისტიანებს წმინდა ჯვარს დაუბრუნებდა. პელაგიუსი თავის უარს იმ არგუმენტით ასაბუთებდა, რომ ამ ორი ციხის მუსლიმთა ხელში დატოვება მუდმივ საფრთხეს შეუქმნიდა იერუსალიმს. Stambuli, 1991, p. 104.

[24] ჯვაროსანთა ამ რიგებში ჟაკ დე ვიტრი მოიაზრებს იერუსალიმის მეფე ჟან დე ბრიენს, მისი სამეფოს ბარონებს და საფრანგეთის სხვადასხვა რეგიონებიდან ეგვიპტეში გადმოსულ ფრანგ ჯვაროსნებს. ასევე ევროპიდან ჩამოსულ ჰოლანდიელ და გერმანელ რაინდებს. ამ ზავის მომხრეები იყვნენ ბანაკში ახლად ჩამოსული ლესტერის გრაფი და მისი ინგლისელი ბარონები, რომელთა შესახებაც ჟაკ დე ვიტრი აღნიშნავს „აღმოსავლეთის ისტორიაში".

[25] წმინდა მარიამის სახელობის ჰოსპიტალიერების გერმანული ორდენი (გერმ. Brüder und Schwestern vom Deutschen Haus Sankt Mariens in Jerusalem). იგივე ტევტონთა სასულიერო-რაინდული ორდენი. ამ ორდენს საფუძველი 1190 წელს ჩაეყარა. ფრიდრიხ I ბარბაროსას შვილმა ფრიდრიხ შვაბელმა დააარსა იგი წმინდა მიწაზე გერმანელი რაინდების დასახმარებლად. 1191 წელს აკრის აღების შემდეგ ლუბეკელმა და ბრემენელმა ვაჭრებმა ქალაქში ჰოსპიტალი დააარსეს, რომელიც გერმანელ პილიგრიმებს მოემსახურე-

ბოდა. მისი წევრების მთავარი მოვალეობა თავიდან მხოლოდ ავადმყოფთა მოვლა-პატრონობა იყო. ამ ორდენის წესდება ბენედიქტელების და წმინდა იოანეს სახელობის რაინდთა (ჰოსპიტალიერები) ორდენის წესდებაზე იყო დამყარებული, რომელიც, როგორც ცნობილია, ჰოსპიტალიერებმა შეუქმნეს გერმანელ რაინდებს. ამიტომაც, თავიდან ეს ორდენი ჰოსპიტალიერების ორდენის განაყოფად ითვლებოდა. 1191 წელს ის პაპმა კლიმენტი III-მ ბულით დაამტკიცა „Fratrum Theutonicorum ecclesiae S. Mariae Hiersolymitanae“ (წმინდა მარიამ იერუსალიმელის ეკლესიის ტევტონთა ძმობა“). ეს ორდენი ცნობილია მეორე სახელწოდებითაც: „Ordo domus Sanctae Mariae Teutonicorum in Jerusalem“. ჟაკ დე ვიტრი ამიტომ უწოდებს მათ წმინდა იოანეს და წმინდა მარიამის ჰოსპიტალიერთა ორდენს, რომლის ნათლობაც 1198 წლის 5 მარტს აკრის მთავარ ტაძარში შედგა. მას ესწრებოდნენ იერუსალიმის პატრიარქი სამღვდელოებასთან ერთად, ასევე ტამპლიერთა და ჰოსპიტალიერთა დიდი მაგისტრები. იგი რაინდთა სასულიერო ძმობად გადაკეთდა, რომლის მოვალეობასაც გარდა ჰოსპიტლის ავადმყოფთა პატრონობისა, ასევე მუსლიმთა წინააღმდეგ ბრძოლა და წმინდა მიწის დაცვა წარმოადგენდა. 1199 წელს, რომის პაპმა ინოკენტი III-მ მათი წესდება ბულით დაამტკიცა, რამაც იგი ტამპლიერთა და ჰოსპიტალიერთა ორდენების მსგავსად, ფაქტობრივად, დამოუკიდებელ ორგანიზაციად აქცია. ორდენი უშუალოდ ექვემდებარებოდა რომის პაპს და საღვთო რომის იმპერატორს. ამ პერიოდიდან იწყება ტევტონთა ორდენის აქტიური სამხედრო ოპერაციები წმინდა მიწაზე. 1220 წლიდან მათი რეზიდენცია ზემო გალილეაში მდებარე ციხე-სიმაგრე მონფორი გახდა, რომლის გარშემო არსებული მიწა ორდენის წევრებმა ფრანგი ბარონების დე მილის სახლისაგან იყიდეს. XII საუკუნის უცნობი მემატიანის ტრაქტატში „იერუსალიმის მიწების და მისი მცხოვრებლების შესახებ“, ალემანებზე წერს: „აკრაში მდებარეობს ტევტონების ორდენის სახლი; ისინი მამაცი მეომრები არიან, ბრძოლაში შეუდრეკელნი და სასტიკნი. იცავენ წმინდა მოციქულ პავლეს წესებს. როცა მათ კონფლიქტი მოუვიდათ ჰოსპიტალიერებთან, რადგან მოინდომეს ტევტონებისათვის ქონება წაერთმიათ, ორდენის წევრებმა დახმარებისათვის ტამპლიერებს მიმართეს და შეჰპირდნენ, რომ მათ მფარველობაში შევიდოდნენ, თუ ისინი გვერდზე დაუდგებოდნენ მათთვის ამ მძიმე დროს. და როცა ისინი დაემორჩილნენ ტამპლიერებს, მათ ტევტონების შავ ჯვარს, რომელსაც ისინი მოსასხამზე ატარებდნენ, წრე დაუმატეს. ამით, ყველა ძმობისგან განსხვავებით, ტევტონებს განსაკუთრებული ნიშანი ჰქონდათ. ამ ორდენის წევრები ასევე უვლიან ავადმყოფებს და ყველა გაჭირვებაში მყოფს“. Горелов, 2006, ст. 145-140.[26] უკვე XIII საუკუნის პირველი ნახევრიდან ეს ორდენი ევროპაში იწყებს დამკვიდრებას ტრანსილვანიის, პრუსიის, პოლონეთის მიწებზე და აღმოსავლეთ ევროპაში რომის პაპების დასაყრდენი

ხდება კათოლიციზმის გავრცელების კუთხით. წმინდა მიწის დაკარგვის შემდეგ 1309 წელს მარიენბურგში დაბინავდნენ და ეს ციხე-სიმაგრე ტევტონთა ორდენის რეზიდენცია, ასევე მისი მიწების მთავარი ცენტრი გახდა.

[26] რაულ დე მერენკური.

[27] ჟაკ დე ვიტრი ჯვაროსნების ამ ჯგუფში ძირითადად მოიაზრებს იტალიელებს, კერძოდ, ჯვაროსანთა ბანაკში მყოფ ვენეციელებს, გენუელებს, პიზელებსა და იტალიის სხვა ქალაქებიდან თუ რეგიონებიდან ჩამოსულ მოლაშქრეებს, რომელთა ძირითადი ნაწილი ეგვიპტეში პელაგიუსთან ერთად გადმოვიდა.

[28] ამ მთაზე აგებული ციხე-სიმაგრე, რომელსაც ჯერ კიდევ მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის პირველ ეტაპზე უშედეგოდ უტევდნენ ქრისტიანები.

[29] 1191 წელი. ქალაქი 12 ივლისს დაეცა.

[30] მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდში ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგული ითხოვდა, რომ ემ ჯვარი მისთვის გადაეცათ. რაც შეეხება სალაჰ ად-დინის მიერ ჯვრის ძიების ამბავს, ეს ალბათ დაკავშირებული უნდა იყოს იმ ისტორიასთან, რომელიც რიჩარდის მიერ აკრის აღების შემდეგ წამოყენებულ მოთხოვნას ეხება, სადაც იგი ითხოვდა ჯვარს იმ რამდენიმე ათასი მუსლიმი ტყვის სანაცვლოდ, რომელიც ჯვაროსნებს ხელში აკრის დაცემის შემდეგ ჩაუვარდათ. მაგრამ, როგორც ვიცით, სალაჰ ად-დინმა ვერ გამოისყიდა ტყვეები. ერთი მიზეზი ის იყო, რომ მართლაც ვერ მონახა ეს ჯვარი, ხოლო მეორე, მოლაპარაკების გაჭიანურება, რამაც რიჩარდის რისხვა გამოიწვია და მეფემ დატყვევებულები დაახოცვინა. არის ასეთი ცნობაც, რომ რიჩარდს უბრალოდ არ შეეძლო თავისი სახსრებით შეენახა ტყვეები და ამიტომაც მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. საპასუხოდ, სალაჰ ად-დინმა იგივე ვერაგობა ჩაიდინა და შემდგომში ყველა ჯვაროსანი ტყვე დაახოცვინა, რომლებიც ჯერ კიდევ ჰატინის ბრძოლიდან და იერუსალიმის აღებიდან ჰყავდათ საპყრობილეებში მუსლიმებს. მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, რიჩარდ ლომგულმა დაუბრუნა ქრისტიანებს აკრა და მას შემდეგ ეს ციხე-ქალაქი იერუსალიმის სამეფოს დედაქალაქი გახდა. რაც შეეხება ჯვრის დაკარგვის ამბავს, ეს ისტორია ჟაკ დე ვიტრის მოცემული აქვს მეოთხე წერილში, სადაც აღნიშნავს, რომ ჯვარი სარკინოზებთან ომის დროს დაიკარგა. იმ დროისთვის, როგორც ჩანს, ჯვაროსნებში და, ზოგადად, სამღვდელოებაში გავრცელებული იყო თვალსაზრისი, რომ ჯვარი დაკარგული იყო, რადგან მის გადმოცემას მუსლიმები სულ აჭიანურებდნენ, იგი ვერც რიჩარდმა დაიბრუნა, ხოლო აიუბიანები კი თავიანთ საქციელს იმით ამართლებდნენ, რომ ამ ჯვარს ვერსად მიაგნეს.

[31] აქ იგულისხმება ჯვაროსნების ის ნაწილი, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ ომის გაგრძელებას და თანახმანი იყვნენ შემოთავაზებულ პირობებზე.

[32] ესაია 42, 8.

[33] დე ვიტრის მიერ გადმოცემული ამ პასაჟიდან ჩანს, რომ პელაგიუსის გეგმით მოხდა ქალაქის აღება. მართალია, პელაგიუსმა გარკვეული როლი ითამაშა ქალაქის საბოლოო შტურმში, როცა თავისი რაზმი წაიყვანა შეტევაზე, მაგრამ ჟაკ დე ვიტრი ცდილობს, რომ პაპის ლეგატისა და საერთოდ სამღვდელოების როლი ამ საქმეში განსაკუთრებით გამოაჩინოს, ხოლო სხვა ჯვაროსანთა ღვაწლი კი დაამციროს. ეს დამოკიდებულება განსაკუთრებით შეიმჩნევა წერილში მას შემდეგ, რაც ალ-ქამილის წინადადებამ ჯვაროსანთა რიგებში განხეთქილება წარმოშვა. როგორც ვიცით, ლაშქარში ბანაკად მდგარი სასულიერო პირები ერთხმად ეთანხმებოდნენ პაპის ლეგატს ბრძოლის გაგრძელების თაობაზე და ამიტომ, ჟაკ დე ვიტრი დამიეტის აღებით აღნიშნულ საკითხში პელაგიუსის პოზიციას ამართლებს. წერილის ამ მონაკვეთიდან ჩანს, თითქოს ციხის შტურმში მონაწილეობას მხოლოდ ლეგატის რაზმი ღებულობდა, მაგრამ ავტორთა ცნობებით, ჯვაროსანთა სხვა რაზმებიც მონაწილეობდნენ ამ გადამწყვეტ შეტევაში, კერძოდ, ჟან დე ბრიენი თავის რაინდებთან და სხვა მოლაშქრეებთან ერთად. წარმოუდგენელია, რომ მოალყეთა მხოლოდ ერთ ნაწილს მიეტანა შტურმი ქალაქის სიმაგრეებზე, ხოლო მეორე ნაწილი,Ю ყოველივე ამის პასიური მონაწილე ყოფილიყო. ქალაქის მთავარი ციტადელის გარნიზონი უბრძოლველად ჩაბარდა სიდონის გრაფს ბალიანს, რადგან ამ გარნიზონის მეთაური, ქალაქის მმართველი წარმოშობით სიდონელი მუსლიმების ოჯახიდან იყო და სურდა, რომ დამორჩილებოდა მას, ვისაც შემდგომში სენიორად აღიარებდა.

[34] აქ ჟაკ დე ვიტრი გულისხმობს იმ ამბავს, როცა დამიეტის აღების შემდეგ ჯვაროსნებმა ქალაქის კვარტლების გაყოფა დაიწყეს. ამ ამბავს სერიოზული დაპირისპირება მოჰყვა და განხეთქილება შეიტანა ჯვაროსანთა მეთაურებს შორის. ჟან დე ბრიენი მოითხოვდა, რომ ქალაქი გადაეცათ მისი ხელისუფლებისთვის. ამას, რა თქმა უნდა, არ ეთანხმებოდნენ სხვა მოლაშქრეები და პირველ რიგში იტალიური ქალაქების წარმომადგენლები. ვენეციელებს, გენუელებს და პიზელებს ლეგატის იმედი ჰქონდათ, რომ ის იერუსალიმის მეფეს მთლიანად არ გადასცემდა ქალაქს, რადგან მათი მთავარი მიზანი იყო დამიეტაში საკუთარი კვარტლების, სავაჭრო მოედნების მოწყობა, რაც საშუალებას მისცემდათ, თავისუფლად ევაჭრათ ლევანტისა და ევროპის ქალაქებთან. ტრადიციისამებრ, ამ ქალაქების წარმომადგენლები ლაშქრობაში დახმარების საზღაურად აღებული ქალაქების კვარტლებს ითვისებდნენ საგადასახადო რენტისგან თავისუფალი მოძრაობისა და ვაჭრობის სანაცვლოდ. პირველი ჯვაროსნული ლაშქრობიდან მოყოლებული ისინი ამ პრივილეგიით სარგებლობდნენ. ასევე თავისი გეგმები ჰქონდათ ქალაქში რაინდთა ორდენების წარმომადგენლებს, განსაკუთრებით ტამპლიერებს და ტევტონებს. მათ პრეტენზიებს ამაგრებდა ალ-ქამილის შეთავაზება ზავის შესახებ, რომელსაც მხარს უჭერდა ჟან დე ბრიენი და ამიტომაც პელაგიუსს მეფის წინააღმდეგ აქეზებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ პელაგიუსმა დამიეტა სამართავად ჟან დე ბრიენს გადასცა, იგი ეჭვის თვალით უყურებდა მას, ხსენებული პოზიციის გამო და, ამავე დროს, არც აპირებდა, რომ მეფისათვის ქალაქზე სრული ძალაუფლება მიეცა. იმ პერიოდში ჟან დე ბრიენმა დაიწყო ქალაქის მმართველობის მოწყობა, თავისი მონეტაც კი მოჭრა, რაც უკმაყოფილებას იწვევდა ლეგატსა და სხვა ჯვაროსნებს შორის. ამიტომაც, ჟან დე ბრიენსა და პელაგიუსს დიდი კონფლიქტი მოუვიდათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რამაც საბოლოოდ ძლიერ იმოქმედა მთლიანად კამპანიის ბედზე.

[35] 1219 წლის 5 თებერვალი. None - აქ თვის მეხუთე დღე. ჟაკ დე ვიტრი იმ თარიღზე მიანიშნებს, როცა ალ-ქამილმა ბანაკი მიატოვა, რადგან გაიგო, რომ მის წინააღმდეგ შეთქმულება მზადდებოდა. ფრანკებმა უბრძოლველად დაიკავეს მუსლიმთა ბანაკი და ამ დღიდან, ფაქტობრივად, დამიეტის ალყა დაიწყო, რომელიც 1219 წლის 5 ნოემბრამდე გაგრძელდა. ეს საკითხი დაწვრილებით იხ. V წერილში.

[36] აქ ჟაკ დე ვიტრი მდინარე ჯეონს გულისხმობს. ეს ფორმულირება მოდის სამოთხის ოთხი მდინარის წარმოსახვიდან, რომლის შესახებ ასეთი წარმოდგენა გავრცელებული იყო იმ დროის დასავლეთში. ეს ინფორმაცია კარგად ჩანს შუა საუკუნეების რუკებზე. ამ მდინარეების სახელების აღრევა ხშირად ხდებოდა და ნილოსს დე ვიტრი ხან ევფრატს, ხან კი ჯეონს უწოდებს (მეშვიდე წერილში ჟაკ დე ვიტრი ჯეონს იხსენიებს ჯეოსის სახელწოდებით, მაგრამ იქ საუბარია სპარსეთისა და შუა აზიის რეგიონებზე, კერძოდ, მდინარეების ამუდ-დარიის და სირ-დარიის მიმდებარე მხარეებზე, რაც იმის ნათელი მაგალითია, რომ იმდროინდელი წარმოდგენებით სამოთხის ამ მდინარეებს ერთი კონკრეტული გეოგრაფიული ნომენკლატურა არ გააჩნია). მეშვიდე ლაშქრობის მონაწილე და მემატიანე ჟან დე ჟუანვილი განმარტავს კიდეც, თუ რატომ აიგივებდნენ ნილოსს სამოთხიდან გამომავალ მდინარეებთან. „ეს მდინარე ყველა მდინარისგან განსხვავდება, რადგან რაც უფრო უახლოვდება შესართავს, უფრო მეტი პატარა მდინარე, ნაკადული უერთდება მას, მაგრამ ამ მდინარეში [ნილოსი] არცერთი არ ჩაედინება. პირიქით, ეგვიპტემდე [ქვემო ეგვიპტემდე] ის ერთ კალაპოტში მოედინება, ხოლო შემდეგ შვიდ დინებად იტოტება, რომლებიც ეგვიპტეში იშლება. აქ ყვებიან, რომ ბაბილონის სულთანმა თავისი ხალხი გააგზავნა, რათა გაერკვია, თუ საიდან მოედინებოდა ეს მდინარე და მის შესართავამდე მიეღწიათ. უკან დაბრუნებულებმა სულთანს აცნობეს, რომ ისინი აჰყვნენ დინებას და იმხელა მთებს მიადგნენ, რომლებზეც ასვლა არავის შეეძლო. იქ დაინახეს უცნაური ხეები, ასევე სხვადასხვა ჯიშის უცხო ცხოველები – ლომები, სპილოები, ქვეწარმავლები, რომლებიც მათ უთ-

ვალთვალებდნენ, როცა ისინი დინებას მიუყვებოდნენ. Жан де Жуанвиль, 2012, ст. 49-50. სავარაუდოდ, სწორედ ეს იყო იმ მრავალ ცნობათაგან ერთ-ერთი, რომლის მიხედვითაც ევროპელები თავიანთ წარმოსახვაში ნილოსის სათავეებს სამოთხის ნაპირებთან აიგივებდნენ. სამოთხის მდინარეების შესახებ განმარტება იხ. IV წერილში.

[37] სხვა ავტორთა გადმოცემებით, (ჟაკ დე ვიტრის ამ წერილის (ა) ხელნაწერშიც განსხვავებული რაოდენობაა მოცემული, ტექსტის ძირითად ნაწილში მოცემულ რაოდენობასთან შედარებით. ასევე განსხვავებული რაოდენობაა დასახელებული ოლივერუსის თხზულებაშიც) გარნიზონი, ქალაქის მოსახლეობასთან ერთად, ალყის შემორტყმის წინ 45-56 ათასს ითვლიდა, მაგრამ დაცემის დროისათვის 4 ათასამდე შემცირდა შეტაკებების, გავრცელებული ეპიდემიების და შიმშილის შედეგად.

[38] „აღმოსავლეთის ისტორიაში“ ჟაკ დე ვიტრი აღნიშნავს, რომ ნოემბრის 5 რიცხვში დამიეტა აღებული იქნა ჩვენი ლეგატის ძალისხმევით, სარაცინებთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, რისთვისაც დიდი ძალისხმევა არ დაგვჭირებია. ამგვარ გამარჯვებას მხოლოდ უფლის დახმარებით მივაღწიეთ, რადგან სწორედ მან ჩააგონა თავის შვილებს, ჩამოსულიყვნენ ეგვიპტეში, რათა საკუთარი დიდება მთელ ქვეყანაზე გაევრცელებინათ.

[39] ეზეკიელი 12, 14.

[40] დაბადება 44, 12.

[41] I მეფეთა 25, 22. III მეფეთა 21, 21. IV მეფეთა 9, 8

[42] ფსალმუნი 77, 66.

[43] წერილის ამ მონაკვეთიდან ჩანს, რომ ჩვიდმეტთვიანმა ალყამ დამიეტის მოსახლეობა საშინელ მდგომარეობაში ჩააგდო. პირველ რიგში, ისინი სურსათის ნაკლებობას განიცდიდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ალ-ქამილი ათასგვარ ხერხს მიმართავდა, რათა ალყაშემორტყმულთა მდგომარეობა მცირედით მაინც შეემსუბუქებინა. ჟაკ დე ვიტრის ამ ცნობიდანაც ჩანს, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილისაგან განადგურდა. სწორედ ამ მდგომარეობამ გაუადვილა ქრისტიანებს დიდი ბრძოლის გარეშე აეღოთ ქალაქის ციხე, რადგან შიმშილისაგან დასუსტებულ გარნიზონს ბრძოლის გამართვის თავი ფაქტობრივად აღარც ჰქონდა. მოგვიანებით, ჟან დე ჟუანვილი წერდა, რომ 1249 წელს, როდესაც საფრანგეთის მეფის ლუი IX-ის ეგვიპტეში გადასვლის შემდეგ „დამიეტა თურქებმა უბრძოლველად მიატოვეს, რაც ღმერთის დიდი წყალობა იყო, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი აღება პირდაპირი შეტევით შეუძლებელი იქნებოდა და მოგვიწევდა ალყის საშუალებით ქალაქის მოსახლეობის შიმშილით განადგურება, როგორც ეს მეფე ჟანმა ჩვენი მამების დროს მოახერხა“. Жан де Жуанвиль, 2012, ст. 44.

[44] 1220 წლის 2 თებერვალი.

[45] ამ საკითხის შესახებ ასევე ცნობებს გვაწვდის კიოლნის არქიეპისკოპოსი ოლივერუსი. იგი წერს: „გიხაროდეს კიოლნის ქვეყანავ, იხარე და ადიდე უფალი, რადგან შენ საკუთარი მოლაშქრეებით, ხომალდებით, იარაღით უფრო მეტი გააკეთე, ვიდრე მთელმა დანარჩენმა გერმანიის იმპერიამ. და შენ, კიოლნო, წმინდათა ქალაქო, ქალწულთა ლილიების, წამებულთა ვარდებისა და აღმსარებელთა იების ბაღებში ჩაფლულო, მუხლი მოიყარე და ხმამაღლა მადლობა შესწირე ღმერთს შენი შვილების ღვთისმოსავი სიმამაცის გამო“. Historia damiatina,1894, p. 239, 3-13. Куглер, 1995, ст. 382. სავარაუდოდ, კიოლნის წმინდა ქალაქად აღქმაში ოლივერუსი იმ ლეგენდას გულისხმობს, რომელიც ფრიდრიხ I ბარბაროსას მიერ მილანის აღების შემდეგ კიოლნში სამი წმინდა მოგვის (სამი წმინდა მეფის: კასპარის, ბალთაზარის, მელხიორის) ნეშტის გადასვენების ისტორიას ეხება, მას შემდეგ, რაც იმპერატორის ჯარისკაცებმა მილანის მთავარი ტაძარი გაძარცვეს. ამ მოგვების სახელზე შემდეგ კიოლნის მთავარი ტაძრის მშენებლობა დაიწყეს. ლეგენდის თანახმად, მათი ნეშტები დღესაც იქ ასვენია და ამიტომაც ტაძარი მათი სახელობისაა. ამავე დროს, ოლივერუსი კიოლნის ქვეყანას იმიტომ გამოჰყოფს, რომ მან მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის წინ სწორედ აქ იქადაგა. საინტერესოა ასევე მისი სარკაზმული შენიშვნა გერმანიის იმპერიაზე, რომელიც, სავარაუდოდ, საღვთო რომის იმპერატორ ფრიდრიხ II-ზე მიანიშნებს, რადგან, მიუხედავად მრავალი დაპირებისა, იგი ფეხს ითრევდა და აჭიანურებდა ჯვაროსნულ ლაშქრობაში წასვლას. როგორც ჩანს, ამ კონკრეტულ პასაჟში ოლივერუსი ფრიდრიხის მიმართ სამღვდელოების უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავდა. აღსანიშნავია, რომ ეს პასაჟი მოცემულია ასევე ჟაკ დე ვიტრის „აღმოსავლეთის ისტორიაში“, რაც გარკვეულწილად მკვლევართა დაეჭვებას იწვევს. ამ თხზულების მესამე წიგნში, სადაც დამიეტის აღების და მთლიანად ეგვიპტის კამპანიაა მოცემული, არის ოლივერუსის წერილის ის ნაწილი, რომელიც მან თავის თანამოქალაქეებს მისწერა. გარდა ამისა, „აღმოსავლეთის ისტორიის“ მესამე წიგნში ბევრი დამთხვევაა ოლივერუსის თხზულებიდან „დამიეტის ისტორია“. თუმცა, მკვლევართა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ეს წიგნი ჟაკ დე ვიტრის ორიგინალური თხზულება უნდა იყოს, რადგან იქ მოცემული ამბები, ფაქტობრივად, ზუსტი გამეორებაა მისი წერილებისა, სადაც დამიეტის აღების ამბები აქვს აღწერილი.

[46] ჯვაროსნებმა ქალაქის აღების შემდეგ 141 მარმარილოს სვეტით შემკული მთავარი მეჩეთი ეკლესიად გადააკეთეს. სხვათა შორის, მეშვიდე ჯვაროსნულ ლაშქრობაში, როდესაც საფრანგეთის მეფე ლუი IX-მ 1249 წლის 6 ივნისს დამიეტა აიღო, იგივე მეჩეთი ქრისტიანებმა ხელახლა მონათლეს ღვთისმშობლის სახელობის ტაძრად.

[47] ისო ნავე 7, 1, 20-26. წერილის ამ ფრაგმენტში ალეგორიაა ახანზე, ზარას ვაჟზე, რომელმაც სიხარბის ცოდვა ჩაიდინა და ახორის ველზე

ჩაქოლეს. ჟაკ დე ვიტრი აქ მიანიშნებს იმ ძარცვა-გლეჯის ფაქტზე, რომელიც დატრიალდა დამიეტაში, როცა ქალაქი ქრისტიანების ხელში აღმოჩნდა. ლეგატი და იერუსალიმის მეფე ცდილობდნენ, რომ შეეჩერებინათ საყოველთაო განუკითხაობა, რადგან აშკარა იყო, რომ დისციპლინის შენარჩუნება ამ ჭრელ მასაში ძალიან ძნელი იქნებოდა. ამიტომაც გამოხატავს უარყოფით დამოკიდებულებას ჟაკ დე ვიტრი მოლაშქრეთა მიერ ქალაქის გაუმაძღარი ძარცვის გამო.

[48] ბეზანტი (ფრ: Besant d'or) – ბიზანტიური ოქროს ან ვერცხლის ფული. XII საუკუნემდე, სანამ ევროპელები ოქროს ფულის მოჭრას დაიწყებდნენ, არაბულ, ბიზანტიურ და სხვა სახის ოქროს ფულს დასავლეთში ბეზანტს (Bisantios) უწოდებდნენ. მოგვიანებით, 1249 წელს, როდესაც ჯვაროსნებმა დამიეტა აიღეს, ქალაქში მოპოვებული ნადავლის ფასი 6 ათასს ლივრს შეადგენდა (ლივრი-ფული შუა საუკუნეების საფრანგეთში. დაახლოებით უტოლდებოდა 20 სუს ან 240 დენიეს). ლუი IX-ის ეპოქაში ძირითადად პოპულარული იყო პარიზის და ტურის დენიე. ბეზანტი XIII საუკუნეში უდრიდა დაახლოებით 10 ტურის სუს ან 120 დენიეს. ქრისტიანებს, რომლებსაც ევროპაში მხოლოდ ვერცხლის ფულთან ჰქონდათ საქმე, ჯვაროსნული ომების დროს აღმოსავლეთში გაეცნენ ბეზანტებს, ოქროს მონეტებს. პირველად მათ ხელში აღმოჩნდა ბიზანტიური პერპერა, რომელიც 15 სუს უდრიდა. ასევე უწოდებდნენ სარაცინების ბეზანტს ან ფატიმიდურ დინარს. ტირსა (1124-1127 წწ) და აკრაში მათი მიბაძვით ჯვაროსნებმა საკუთარი მონეტის მოჭრა დაიწყეს. 1131 წლით დათარიღებულ აქტში არის განსხვავება ბიზანტიურ პერპერასა და სარაცინების ბეზანტს შორის. ერთი სარაცინული ბეზანტი უდრიდა 12 ოქროს ფრანკს. Жан де Жуанвиль, 2012, ст. 44-45; Ришар, 2002, ст. 49.

[49] იერუსალიმის ჯვაროსანი მეფეების ძველი ტრადიციით დაპყრობილი ქალაქის სიმდიდრის მესამედი მეფეს ეკუთვნოდა, ხოლო დანარჩენი ორი მესამედი მოლაშქრეებს შორის ნაწილდებოდა. მოგვიანებით, 1249 წელს, როდესაც ლუი IX-მ დამიეტა აიღო, გადაწყვიტა, რომ ქალაქის ქონება მთლიანად პაპის ლეგატისათვის გადაეცა, მაგრამ ლეგატმა უარი განაცხადა მასზე და შეახსენა, რომ ადათისამებრ, რომელიც იერუსალმის ჯვაროსანი მეფეების ტრადიციიდან მოდიოდა, ეს ქონება ნაწილდებოდა მეფესა და მოლაშქრეთა შორის. როგორც ჟან დე ჟუანვილი მოგვითხრობს: „ამ ჩვეულებას გულითადად იცავდა მეფე ჟანი (ჟან დე ბრიენი), როცა დაიპყრო დამიეტა. როგორც ძველები გადმოგვცემენ, იერუსალიმის მეფეები, რომლებიც ქვეყანას ჟანის გამეფებამდე მართავდნენ, აღნიშნულ წესს ასევე გულმოდგინედ იცავდნენ". მართალია, 1249 წელს ეგვიპტელებმა დამიეტა უბრძოლველად დათმეს, მაგრამ ქალაქის მიტოვებისას ბაზარი დაწვეს და მასთან ერთად იქ არსებული მთელი სურსათ-სანოვაგეც განადგურდა. ლუი IX-მ ქალაქში მოპოვებული ნადავლი ლეგატს ჩააბარა და მკაცრად გააფრთხილა საკუთარი რაინდები განკვეთის შიშით, რომ ქალაქში მოძიებული მთელი ავლა-დიდება ლეგატისათვის მიებარებინათ, რადგან ჯარს საკმარისი საკვები ჰქონოდა. Жан де Жуанвиль, 2012, ст. 45.

[50] გამოცხადება 14, 4.

[51] მიუხედავად ამ წყალობისა, ლეგატსა და მეფეს შორის მაინც უთანხმოებამ იჩინა თავი. ამის შესახებ იხილეთ ზემოთ.

[52] აქ საუბარია იტალიელებზე, კერძოდ ვენეციელებზე, გენუელებზე, პიზელებზე, ასევე რაინდთა ორდენებზე, ტამპლიერებზე, ტევტონებზე, ჰოსპიტალიერებზე და სხვა ჯვაროსნებზე, რომლებიც დამიეტის აღებაში მონაწილეობდნენ.

[53] ოლივერუსი თინისის აღებას იმავე თარიღს უკავშირებს (1219 წლის 23 ნოემბერი) Lettres de Jacques de Vitry, 1998, p. 240.

[54] დამიეტის აღების შემდეგ, შეშინებულმა მუსლიმებმა უბრძოლველად მიატოვეს თინისის ძლიერი ციხესიმაგრე, რომელიც მენზალეს ტბაზე, დამიეტის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობდა. ეს ციხე-სიმაგრე უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტი იყო და დამიეტისათვის ბუნებრივ დაცვას წარმოადგენდა. ჟაკ დე ვიტრის ცნობით, ჯვაროსნების მიერ დამიეტის აღების შემდეგ მათმა მცირე ფლოტილიამ (ათასი მებრძოლი) სურსათის ხელში ჩასაგდებად თინისის ციხეს მიაშურა. მაგრამ ქრისტიანთა მცირე რაზმის გამოჩენაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ ეგვიპტელებს ეს ძლიერი ციხე-სიმაგრე უბრძოველად მიეტოვებინათ.

[55] ესაია 42, 8.

[56] ფსალმუნი 43, 7.

[57] I მეფეთა 2, 6-7.

[58] I კორინთელთა 9, 25.

[59] იგავთა 16, 18.

[60] 1219 წლის 29 აგვისტო.

[61] მსაჯულთა 20, 22.

[62] ფსალმუნი 53, 5.

[63] ფსალმუნი 51, 9.

[64] იოანეს სახარება 5, 30.

[65] ამ პიროვნებებზე საუბარია მეხუთე წერილში და აქვე ჟაკ დე ვიტრი იმეორებს ამ პირთა სახელებს. მის მიერ მოთხრობილი ეს ისტორია მეხუთე წერილში აღწერილი ამბის გამეორებაა და აღნიშნული მონაკვეთი იქ წინ უსწრებს დამიეტის აღების ფაქტს. მეექვსე წერილში კი ეს ნაწილი ქალაქის აღების შემდეგაა მოცემული. ამ შემთხვევაში ჟაკ დე ვიტრი მეხუთე წერილში მოთხრობილ ამბავს უბრუნდება.

[66] ამ დატყვევებულთაგან ნაწილი ეგვიპტის სულთანმა უკან დააბრუნა.

მათი ტყვეობიდან გამოხსნას ჟაკ დე ვიტრი ლეგენდარული მეფე დავითის გამოჩენის ამბავს უკავშირებს. მას შემდეგ, რაც ეგვიპტის სულთანმა მეფე დავითის ისტორიის შესახებ შეიტყო, დამიეტასთან დატყვევებული ჯვაროსნები თავის ძმას, დამასკოს ემირს ალ-მუ'აზზამს გაუგზავნა, რომელმაც ისინი ბაღდადის ხალიფას გადასცა. მან კი მშვიდობის და საზავო მოლაპარაკების სანაცვლოდ ტყვეები დავითს გაუგზავნა, რომელმაც ისინი გაათავისუფლა და ანტიოქიაში დააბრუნა. ჟაკ დე ვიტრი დამიეტასთან განლაგებულ ქრისტიანთა ბანაკში ლეგენდარულ მეფეზე ამბების გავრცელებას სწორედ ამ გათავისუფლებული ჯვაროსნების მიერ მოთხრობილ ისტორიებს უკავშირებს. რაც შეეხება კონკრეტულ ისტორიულ პირებს, რომელთა დატყვევების ამბებს ჟაკ დე ვიტრი აქ აღნიშნავს – ტამპლიერთა და ტევტონთა რამდენიმე რაინდი თვითონ სულთანმა გაათავისუფლა, რომ ამ კეთილი ნებით ჯვაროსნებთან ზავის დადებისათვის მიეღწია. კერძოდ, ტყვეობიდან დაბრუნდნენ ოდო დე კასტილიონი და ანდრე დე ნანტუელი. რაც შეეხება ჟან დ'არშის და ანდრე დ'ეპუასს, ისინიც გათავისუფლდნენ, მაგრამ მათი უკან დაბრუნების ამბავი უცნობია. ამ საკითხის გარშემო თავის თხზულებაში „დამიეტის ისტორია", ასევე მოგვითხრობს კიოლნის არქიეპისკოპოსი ოლივერუსი. Schöndorfer, 1997, p. 202.

[67] წმინდა ჯვარი ასევე ჩანს ამ ლაშქრობის პირველ ეტაპზე, როცა იერუსალიმის პატრიარქმა გამოიტანა ის და დალოცა ჯვაროსნები. იმ დროისათვის ჯვრის იმდენი ფრაგმენტი არსებობდა, რომ ძნელი გასარკვევია, თუ რომელი იყო ნამდვილი და რომელი – ყალბი. „ჰერაკლეს ისტორიის" ავტორი გადმოგვცემს, რომ ჰატინთან წმინდა ჯვრის დაკარგვის შემდეგ, ვინმე სერჟანტმა ანრი შამპანელს მიაწოდა ინფორმაცია, თითქოს ჯვარი ომის დროს ჩამარხეს, მაგრამ ძიებამ შედეგი ვერ გამოიღო. იერუსალიმის ალყის დროს (1187წ.) მის კედლებზე მეომართა გასამხნევებლად სირიელების ჯვარი გამოჰქონდათ. Ришар, 2002, ст.184.

[68] ბერძნული ცეცხლის გამოგონება მიეწერება ვინმე სირიელ ბერძენს კალინიკოსს, რომელმაც 673 წელს შექმნა ეს იარაღი. საერთოდ, ბერძნულ ცეცხლს ძირითადად საზღვაო ბრძოლების დროს იყენებდნენ, რადგან ბიზანტიელების მიერ შექმნილი ეს იარაღი გემებზე იყო დამონტაჟებული. მას ნავთისა და სხვადასხვა მინარევებისგან ამზადებდნენ, შემდეგ სპეციალურ სპილენძის ჭურჭელში ათავსებდნენ, ადუღებდნენ გარკვეულ ტემპერატურამდე და ამ სითხეს ისროდნენ სპეციალური ლითონის მილებიდან მოწინააღმდეგის გემების დასაწვავად. ასევე ისროდნენ კატაპულტებიდანაც სპილენძის ქოთნების საშუალებით. კატაპულტებიდან ნასროლი ამ მინარევით სავსე კასრი, ან ქოთანი, როდესაც ხვდებოდა მიზანს, სკდებოდა და ბომბის ეფექტი ჰქონდა. იქიდან გადმოღვრილი სითხე სწრაფად აალდებოდა და მისი ჩაქრობა მართლაც ძნელი იყო. მაშინდელ ეპოქაში გემები ძირითადად

ხის მასალისგან მზადდებოდა და ამიტომაც ეს იარაღი საკმაოდ ეფექტური იყო მოწინააღმდეგის ფლოტის გასანადგურებლად. თუმცა, ამ იარაღის გამოჩენის შემდეგ, გემების კორპუსს ლითონის ფირფიტებით ფარავდნენ, რათა აეცილებინათ ხანძარი. მუსლიმები ასევე წარმატებით იყენებდნენ მას ხმელეთზე საომარი მოქმედებების დროსაც. განსაკუთრებით გაიზარდა მუსლიმთა მიერ მისი გამოყენება ჯვაროსნული ომების პერიოდში. ბერძნულ ცეცხლს ესროდნენ არა მარტო ციხე-სიმაგრეებს, არამედ მოწინააღმდეგის სამხედრო ბანაკებს, საომარ მანქანებს და იყენებდნენ ასევე ცოცხალი ძალის გასანადგურებლადაც. ხშირი იყო მისი გამოყენება ციხე-სიმაგრეების თავდაცვის დროსაც, როცა მისი საშუალებით წვავდნენ მტრის კატაპულტებს, ბალისტებს, ტარანებს და საალყო კოშკებს. XII საუკუნის არაბი ავტორის ატ-ტარსუსის (მან სპეციალური ნაშრომი დაწერა თავისი ეპოქის სამხედრო ხელოვნების შესახებ და 1174 წელს ის სალაჰ ად-დინს მიუძღვნა) ცნობით, ბერძნული ცეცხლის დამზადების ერთ-ერთი ხერხი ასეთი იყო: იმისათვის, რომ დავამზადოთ საუკეთესო მინარევი, რომ ვისროლოთ მანჯანიყის (კატაპულტის არაბული სახეობა, დამუშავებული ქვების და ლოდების სატყორცნი მექანიზმი, რომელსაც იყენებდნენ ალყაშემორტყმული ციხე-სიმაგრეების, გალავნების დასანგრევად) მეშვეობით, უნდა ავიღოთ 10 ფუნტი კუპრი, 3 ფუნტი ფისი, ½ ფუნტი სანდარაკი, [ბერძნულად წითელი დარიშხანი ან არომატული ფისი] და შელაქი [ბუნებრივი ლაქი], 3 ფუნტი სუფთა, მაღალი ხარისხის გოგირდი, გასუფთავებული ყველა მინარევისგან, 5 ფუნტი გამდნარი დელფინის ქონი, ამდენივე გამდნარი, გასუფთავებული თხის ღვიძლის ქონი. გაადნე კუპრი, დაამატე ქონი, შემდეგ ცალკე გაადნე ფისი და შეურიე მას. შემდეგ დააქუცმაცე დანარჩენი შემადგენელი კომპონენტები, თითოეული ცალ-ცალკე, დაამატე მას მინარევი, დაანთე ცეცხლი და ადუღე, თან კარგად ურიე. თუ გინდა, რომ იგი ომის დროს გამოიყენო, ამ მინარევის ერთი ნაწილი აიღე და დაუმატე 1/10 მინერალური მომწვანო ფერის გოგირდი, რომელიც დაძველებულ მცენარეულ ზეთს წააგავს. ყველაფერი ეს ქვაბში მოათავსე, ადუღე, სანამ არ გავარვარდება და აალდება. შემდეგ აიღე სპილენძის ქოთანი და ქეჩის ნაჭერი, ჩაასხი ეს ადუღებული სითხე და ისროლე ის მანჯანიყიდან იმ მიმართულებით, რისი დაწვაც გინდა. როგორც კი ეს ქოთანი მიზანს მოხვდება და ცეცხლი მოეკიდება, მისი ჩაქრობა შეუძლებელი ხდება. Хилленбранд, 2008, ст. 501; Беннет, ..., 2008, ст. 229. ბერძნული ცეცხლის გარეგნული სახე აღწერილი აქვს ჟან დე ჟუანვილს: „ბერძნული ცეცხლი სიდიდით ღვინის კასრის ზომის იყო, სროლის დროს მისგან გამომავალი ცეცხლოვანი კუდი შუბის სიგრძე გახლდათ. ფრენის დროს კი იმხელა ხმას გამოსცემდა, მეხის გავარდნა გეგონებოდათ. ის ცაში მფრინავ გველეშაპს ჰგავდა. მისი შუქი იმხელა მანძილზე ანათებდა, თითქოს ბანაკი დღის სინათლით ყოფილიყო განათებული. Жан

де Жуанвиль, 2012, ст.53.

[69] აქ ნაგულისხმევი უნდა იყოს კატაპულტის არაბული ნაირსახეობა მანჯანიყი, რომელსაც მუსლიმები შუა საუკუნეებში წარმატებით იყენებდნენ როგორც ციხე-ქალაქების ასაღებად, ასევე მტრის ცოცხალი ძალის წინააღმდეგ. ამ საომარი მანქანების შესახებ თავის ტრაქტატში ატ-ტარსუსი განასხვავებს სამ სახეობას: არაბულს, თურქულსა და ფრანგულს. ამ მანქანებიდან ისროდნენ როგორც სპეციალურად დამუშავებულ ქვის ჭურვებს, ასევე ბერძნულ ცეცხლსაც. ადრე მანჯანიყების მუშაობის მექანიზმი დამყარებული იყო ადამიანების ძალაზე, მაგრამ სალაჰ ად-დინის პერიოდიდან ამ მექანიზმების მოხმარების პრინციპი დაიხვეწა, ამიტომ მისი სასროლო სიმძლავრე და მანძილი დამოკიდებული იყო უკვე მძიმე საპირწონეზე. ატ-ტარსუსი აღნიშნავს, რომ ეს მექანიზმები ქვებს 120 მეტრის რადიუსში ისროდა.

[70] ფსალმუნი 50, 20.

[71] ფსალმუნი 50, 21.

[72] ფსალმუნი 131, 7.

[73] ასოების (ა), (ბ) და (გ) თაობაზე იხ. ზემოთ პირველი შენიშვნა.

[74] ფსალმუნი 30, 9. I მეფეთა 26, 8.

[75] დონ რენიე გარდაიცვალა დამიეტასთან ალყის დროს.

[76] აქ საუბარია ფრანცისკანელებზე, რომლებსაც ასევე მინორიტებს (მცირე ძმებს) უწოდებდნენ.

[77] რ. ბ. ც. იუჟენს ამ მონაკვეთის ნამდვილობაში ეჭვი არ ეპარება, განსხვავებით გუბოვიჩისა და რონკალიასგან, რომელთაც ეს სადავოდ მიაჩნიათ. იგი აღნიშნავს, რომ ჟაკ დე ვიტრიმ 1216 წელს მცირე ძმათა ორდენის არსებობა აღმოაჩინა. 1220 წელს მან გააცნობიერა ამ „რელიგიისგან“ გამომდინარე საფრთხეები: ფრანცისკანული ენთუზიაზმიდან ყველაზე საშინელ ფანატიზმში გადასვლა ძალიან ადვილია. Lettres de Jacques de Vitry, 1998, p.159.

[78] საინტერესოა ასევე ის ფაქტი, რომ ფრანცისკანელთა ორდენის წევრები საქართველოში XIII საუკუნის 30-იანი წლებიდან გამოჩნდნენ. ამ ორდენის წევრი იაკობ დე რუსანო ასრულებს დიპლომატიურ საქმიანობას, როცა ის გვევლინება რომის პაპსა და საქართველოს მეფეს შორის წარმოებული ეპისტოლარული მიმოწერის ელჩად. 1234 წლის 16 აპრილით დათარღებულ ეპისტოლეში, რომელიც პაპმა გრიგოლ IX-მ მისწერა რუსუდანს, მოხსენიებულია სწორედ მინორიტი (ფრანცისკანელი) ბერი იაკობ დე რუსანო, რომელმაც რომში ჩაიტანა ცნობები საქართველოს შესახებ. ერთ-ერთ წერილში (1233 წ.) აღნიშნულია, რომ საქართველოს მეფემ პატივით მიიღო იაკობ დე რუსანო თავის თანმხლებ მინორიტ ძმებთან ერთად და საშუალება მისცა მოენახულებინათ სამეფოს სხვადასხვა მხარე. 1234 წლის 19 აპრილით დათარიღებულ გრიგოლ IX-ის ეპისტოლეში, რომელიც მინორიტ ბერებს ეძღვნება, აღნიშნულია პაპის მადლიერება მათი საქართველოში და სარკინოზთა ქვეყნებში მოღვაწეობის მიმართ. ეს ეპისტოლეები გამოხატავს მხარეთა სურვილს ეკლესიების ურთიერთ დაახლოების შესახებ და როგორც მათი შინაარსიდან ჩანს, ფრანცისკანელი ბერები, გარდა საკუთარი სამონასტრო ცხოვრების წეს-ჩვეულებების ქადაგებისა, აქტიურ დიპლომატიურ საქმიანობასაც ეწეოდნენ. მ. თამარაშვილი ვარაუდობს, რომ იაკობი და მისი ძმები მინორიტების ორდენიდან საქართველოში უნდა მოსულიყვნენ არა უადრეს 1230 წლისა და ასკვნის, რომ სწორედ ამ დროიდან უნდა დაწყებულიყო ლათინი ბერ-მონაზვნების მიმოსვლა და თბილისში მათი მისიის დაარსება. თამარაშვილი, 1902, გვ. 12-13; ტაბაღუა, 1984, გვ. 81- 86; პაპაშვილი, 1995, გვ. 83-85.

[79] აქ საუბარია წმინდა ფრანცისკ ასიზელზე, რომელიც შეუერთდა ლაშქრობის მონაწილეებს, როცა ისინი უკვე დამიეტაში იმყოფებოდნენ. თუმცა, ჟაკ დე ვიტრის „აღმოსავლეთის ისტორიაში“ ეს მოთხრობილი აქვს, როგორც ჯერ კიდევ დამიეტის აღებამდე მომხდარი ამბავი, რადგან ალ-ქამილი ბანაკში იმყოფებოდა ნილოსის ნაპირებთან, დამიეტის სიახლოვეს. ფრანცისკ ასიზელს სურდა, რომ მოერიგებინა მოწინააღმდეგენი და ჯერ თავისი შუამდგომლობა ჯვაროსანთა მეთაურებს შესთავაზა, მაგრამ ისინი გულგრილად მოეკიდნენ წმინდა მამის რჩევებს. ამის შემდეგ იგი უშიშრად გაემართა მუსლიმთა ბანაკისკენ, მივიდა ეგვიპტის სულთან ალ-ქამილთან და შესთავაზა, რომ მიეღო ქრისტიანობა. ეს ამბავი ასევე აღწერილი აქვთ კიოლნის არქოეპისკოპოს ოლივერუსს და გიიომ ტირელის შემდგომდროინდელ გამგრძელებელს. გიიომ ტირელის გარდაცვალების შემდეგ (XII საუკუნის 80-90 წლების მიჯნა) მისი ქრონიკა გააგრძელეს შემდგომმა მემატიანეებმა, რომლებმაც ეს ისტორია 1275 წლამდე მიიყვანეს. მოთხრობილია, თუ როგორ მივიდა ფრანცისკ ასიზელი თავის თანამოაზრესთან ერთად ალ-ქამილთან, სთხოვდა, რომ მუჰამედის რჯული დაეგმო და ჭეშმარიტ სარწმუნოებას შესდგომოდა. სულთნის ქვეშევრდომები ურჩევდნენ, რომ ბერებისათვის თავები მოეკვეთა მათი ასეთი თავხედური საქციელის გამო. ფრანცისკ ასიზელი საკუთარ თავსაც კი სთავაზობდა სულთანს, რათა ჩაეგდო იგი ცეცხლში და ამით ეჩვენებინა მისთვის ჭეშმარიტი აღმსარებლობის განსხვავება ცრუ მიმდევართაგან. სულთანმა არ მიიღო მისი რჩევა, მაგრამ კი არ დასაჯა ისინი, არამედ პატივისცემით უკან გამოისტუმრა. ამ თავგადასავლის შემდეგ წმინდა ფრანცისკი ევროპაში დაბრუნდა, სადაც ფრანცისკანელების სასულიერო ორდენი დააარსა.

[80] შდრ. გამოცხადება 18, 9-10.

[81] ვილიერის სააბატო (ფრ: Abbé de Viliers) ცისტერიანელთა მონასტერი. მდებარეობს ბელგიაში. XII საუკუნეში დააარსა წმინდა ბერნარ კლერვოელმა.

წერილი მეშვიდე

წერილი დაწერილი უნდა იყოს 1221 წლის 18 აპრილს. Lettres de Jacques de Vitry, 1998. p.12

ა) აკრის ეკლესიის უღირსი მოძღვარი ჟაკი ღვთის წყალობით, უღრმესი პატივისცემითა და ერთგულებით, უმაღლეს პონტიფიკოსს წმინდა მამასა და ბატონს ჰონორიუსს გემთხვევით ფეხზე.

ბ) ყოვლად მაღალ უსამღვდელოესობას და ქრისტესმიერ ძვირფას პიროვნებებს, ვილიერის აბატს, ძმა ვალტერს (უტრეხტიდან), უფალ ჟან დე ნიველს და მის ძმებს უანიედან, ასევე ამ მხარეებში მცხოვრებ ჩვენს სხვა მეგობრებს, ღვთის წყალობით აკრის ეკლესიის უღირსი მოძღვარი ჟაკი მარადიულ უფლისმიერ სალამს უძღვნის.

გ) ლეოპოლდს, ავსტრიის დიდებულ ჰერცოგს, ღვთის წყალობით აკრის ეკლესიის უღირსი მოძღვარი ჟაკი [უსურვებს] გამოსცადოს დროებითი კეთილდღეობა ისე, რომ არ დავკარგოთ მარადიული სიკეთე.[1]

დ) ქრისტესმიერ ძვირფას და პატივცემულ პიროვნებებს, დეკან ეტიენსა[2] და კანცლერ ფილიპს, ასევე პარიზში მცხოვრებ ყველა მოძღვარს და ეპარქიის სკოლების ხელმძღვანელს აკრის ეკლესიის უღირსი მოძღვარი ჟაკი ღვთის წყალობით [უსურვებს], ღვთის სამსახურისთვის[3] გაავრცელონ სიბრძნისა და ცოდნის ტალანტები.[4]

ე) აკრის ეპისკოპოსი ჟაკი ღვთის წყალობით მიესალმება ყველა ქრისტესმიერ მეგობარს.

მას შემდეგ, რაც უფალმა თავისი გულმოწყალებითა და კეთილგანწყობით ისმინა საკუთარ მსახურთა დაუსრულებელი ვედრება და ქრისტიანებს ქალაქი დამიეტა[5] გადასცა, სამოცმა ათასმა მეომარმა ქალაქის კედლებთან თავი შესწირა ბრძოლას უმახვილოდ და უბრძოლველად[6]. მიუდგომელი ციხე-სიმაგრე თანისი ქრისტიანებს დაუმორჩილა მაშინ, როცა ურწმუნო სარაცინები გარბოდნენ, თუმცა, მათ არავინ მისდევდა. ბევრმა ჩვენიანმა დაივიწყა უფლის ამდენი წყალობა და თავს დაიტეხა მისი რისხვა; სულები სხვადასხვა დანაშაულით დაიმძიმეს, საშინლად მოატყუეს მთელი ჯარი და თაღლითობით მიითვისეს გარდაცვლილ ურწმუნოთა როგორც ქონება, ასევე ქალაქის განძი. მათზე განრისხებულმა [უფალმა], მსგავსად ახორისა, რომელმაც იერიქონში ფარულად ჩაიდინა ქურდობა, ისინი ანათემას[7] გადასცა, ზღვასა და ხმელეთზე მათი დაღუპვა ამგვარად განცხადებული შურისძიების წარმოსაჩენად დაუშვა. ზოგი სარაცინებმა ჩაიგდეს ტყვედ, ზოგი ზღვაში დაიხრჩო, ზოგიერთებმა ერთმანეთი ამოწყვიტეს; სხვებმა კი მკრეხელურად მოპოვებული ფული

სავალალოდ დახარჯეს ავხორცობაში[8], მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან და სათამაშო სახლებში ხშირ სიარულში[9]. ასე რომ, ამ სამარცხვინო ნადავლმა ბედნიერება კი არ მოიტანა, არამედ ის ხაფანგი აღმოჩნდა და დაღუპა თავისი უბედური მფლობელები, რომლებიც შებოჭილნი შეიქნენ ეკლესიიდან განკვეთის ბორკილებით და ფულიც მათთან ერთად[10] გაქრა. ამ უბედურ დროში ჯვაროსნებმა, რომელთაც მომლოცველთაგან მხოლოდ სახელი შერჩენოდათ, შერყვნეს ის თავიანთი საქციელით[11]; ისინი უფრო და უფრო ეფლობოდნენ ცოდვებში, არად აგდებდნენ ღვთის შიშს და სირცხვილში ჩაფლულნი ჯიუტად განაგრძობდნენ იქ ყოფნას[12]. ისინი ფუფუნებით ცხოვრებას მიეცნენ, გადადიოდნენ რა ლხინიდან ლოთობაზე, ჯიჯგნიდნენ და ლანძღავდნენ ერთმანეთს[13]. ეს შფოთისთავები, უღმერთოები და მოღალატეები თავიანთი ხრიკებით ანგრევდნენ ქრისტეს საქმეს და ხელს უშლიდნენ ქრისტეს ლაშქრის წარმატებას. რაც შეეხება პრელატებს, ისინი [ჯვაროსნები] მათ საერთოდ არ ემორჩილებოდნენ და არანაირ პატივისცემას არ გამოხატავდნენ მათ მიმართ, პირიქით, ზიზღით უყურებდნენ ეკლესიის მახვილს და არაფრად აგდებდნენ ეკლესიიდან განკვეთის საფრთხეს.

ამასობაში იერუსალიმის მეფემ თითქმის ყველა რაინდთან ერთად[14] მიატოვა ლაშქარი. ტაძრის[15] მაგისტრმა[16] თავისი ძმების დიდი ნაწილის[17] თანხლებით უკან დაიხია. თითქმის ყველა ფრანგი რაინდი[18] გაქრა და უფალმა პატრიარქმაც[19] აღარ ისურვა ჩვენთან ლაშქარში დარჩენა. ყველამ, ვინც კვიპროსიდან იყო, მიგვატოვა[20]; რაც შეეხება აღმოსავლეთის ხალხს, მღვდლები იქნებოდნენ თუ საერო რაინდები[21], თითქმის ყველა წასული იყო. ასე რომ, დამიეტასთან[22] მყოფი ჯვაროსნების ლაშქარი დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. თითქმის ყველა ჩვენი რაინდი იმდენად უბადრუკ მდგომარეობაში იყო, რომ ძლივძლივობით იპოვეს ოთხი თუ ხუთი რაინდი, რომლებმაც თავი ხელში აიყვანეს და [თავისი თავი] ქრისტეს სამსახურში ჩააყენეს. ეს კი გამოიწვია იმან, რომ ლაშქარში აღარ იყვნენ არც მეფე, არც პრინცები და არც სხვა გავლენიანი პირები გარდა სიცილიის სამეფოს გრაფი მატიესისა, რომელიც თავის რაინდებს, სადამდეც შეეძლო[23], საკუთარი სახსრებით ინახავდა. ბატონი პაპის ლეგატი მონაწილეობდა მომარაგებაში და შეძლებისდაგვარად იყენებდა შემოსულ შემოწირულობებს[24]. მიუხედავად ამისა, ჩვენები, რომლებიც უფრო მრავალრიცხოვანნი იყვნენ, მაგრამ არ შეეძლოთ უსაფრთხოდ შეკრებილიყვნენ სარაცინების მრავალრიცხოვნობის გამო, გამაგრებულ ადგილებთან და თხრილებთან დარჩნენ, რათა ქალაქი დაეცვათ. თუმცა, ეგვიპტის სულთანი დამიეტიდან ერთი დღის სავალზე იმყოფებოდა. კუნძულზე მან ბანაკი დასცა და უამრავ ხაფანგს გვიმზადებდა[25]. შემთხ-

ვევას ხელიდან არ უშვებდა, რომ ჩვენთვის უსიამოვნებები მოეყენებინა ან ჩვენს შორის[26] უთანხმოების დასათესად გამოეყენებინა ზოგიერთი მამაკაცი, ბელიალის ვაჟები[27], მოღალატე ქრისტიანები[28].

სარაცინების უმრავლესობა ვერაგულ ხაფანგს უდებდა იმ ჩვენს მეომრებს, რომლებიც სიფრთხილეს კარგავდნენ და წინდაუხედავად გადიოდნენ ბანაკიდან. ისინი ქრისტიანებს თავებს კვეთდნენ და ამაში ეგვიპტის სულთნისგან გასამრჯელოსაც იღებდნენ. მეორე მხრივ, ხანდახან ჩვენებიც ატყვევებდნენ ზოგიერთ სარაცინს უკან დაბრუნებისას, თუმცა სიმართლე უნდა ითქვას, რომ მათი რიცხვი დიდი არ იყო, რადგანაც ისინი თხის მოქნილობით უსხლტებოდნენ ხელიდან, ტოვებდნენ საკუთარ იარაღს და თავს აფარებდნენ ჭაობებს. ხანდახან ისინი [სარაცინები] თურქოპოლების[29] ზოგიერთ რაინდს, როდესაც გარკვეული საჭიროებების გამო, მაგალითად, შეშის დამზადების ანდა ბალახების შეგროვებისას ცხენზე ამხედრებულები ჩამოშორდებოდნენ თავიანთ ჯარს, მაშინ სარაცინები ისრით დაჭრიდნენ ხოლმე ცხენს და ტყვედ აჰყავდათ რაინდი. თუმცა, ისინი ვერასოდეს ბედავდნენ ბრძოლაში დაპირისპირდებოდნენ ჩვენს ჯარს, ყოველ შემთხვევაში, თუ რიცხვით დიდად არ აღემატებოდნენ ჩვენებს. ასევე მათ რამდენჯერმე გაითამაშეს, თითქოს გარბოდნენ და ტყვედ ჩაიგდეს ერთი ჩვენიანი, რომელიც წინდაუხედავად გაედევნა და მათ ალყაში მოექცა. ასევე, როცა ჩვენები უკან ბრუნდებოდნენ, მოქნილ ცხენებზე ამხედრებული ბედუინები მოშორებით უკან მიჰყვებოდნენ არიერგარდს და ნებისმიერ შემთხვევას იყენებდნენ რომელიმე ჩვენიანის შესაპყრობლად, რომელიც გაუფრთხილებლობის გამო დაშორდებოდა ხოლმე ძირითად ჯგუფს. მათი მოისარნი უკნიდან უშენდნენ ისრებს ჩამორჩენილთა ცხენებს და ზოგიერთ ჩვენგანს ატყვევებდნენ[30]. აქედან გამომდინარე, სამი ათასზე მეტი ქრისტიანი დაატყვევეს ალექსანდრიაში[31], კაიროსა და დამასკოში[32] ზოგიერთი მათგანი ზღვის მეკობრეებმა[33], ზოგიერთი – ბრძოლაში, სხვები კი – საკვების ძიებისას. ბევრი ამ უბედურთაგანი, რომლებიც მტრების ვერაგულ ხაფანგებში მოხვდნენ, მაშინ დაიჭირეს, როცა ისინი გაუფრთხილებლად თევზაობდნენ ბანაკიდან ოდნავ მოშორებით მდებარე ტბაზე, ან როდესაც მეტისმეტად ჩამორჩებოდნენ თავისიანებს ზღვის ნაპირას. ყველა ისინი მდევრებმა დაატყვევეს. ერთ დღეს, როცა ჩვენი რაინდები, მუსლიმთა ჯართან[34] ერთად სოფლიდან ქანცგაწყვეტილები ბრუნდებოდნენ და თან მოჰქონდათ უზარმაზარი ნაალაფარი საქონელი, ასევე მოჰყავდათ ურჯულოები, თურქები[35], რომლებმაც გადამალეს ცხენები, ჩაუსაფრდნენ და თავს დაესხნენ ჩვენს არიერგარდს. მათ ისრების წვიმა დააყარეს ცხენებს, დაჭრეს ისინი და უდიდესი ზიანი მოგვაყენეს, რადგანაც ზოგიერთი ჩვენი რაინდი, ყველაზე პატივსაცემი და საუკეთესო მებრძოლები, ტყვედ წაიყვანეს, ზოგიც მოკლეს. ამგვარად, ყოველდღიურ შეტაკებებში ქრისტიანთა ლაშქარი ხან მტერზე სუსტი აღმოჩნდებოდა და ტყვეობით ან სიკვდილით ასრულებდა ბრძოლას, ხან პირიქით, ისინი ჯაბნიდნენ მოწინააღმდეგეს, მუსრს ავლებდნენ ან ტყვედ იგდებდნენ ქრისტეს ჯვრის მტრებს. რადგანაც სარაცინები ჩვენიანებზე უფრო ფრთხილად და მარჯვედ ახერხებდნენ დამალვას, თავს არიდებდნენ ჩვენს რაინდებთან შეტაკებას, თუ რიცხობრივად მნიშვნელოვნად არ აღემატებოდნენ და მათზე აშკარა უპირატესობით არ სარგებლობდნენ. როგორც უკვე აღვნიშნე, როცა, მათ სამი ათასზე მეტი ჩვენიანი ჰყავდათ დატყვევებული, ჩვენ მხოლოდ ათასიოდე ტყვე თუ გვეყოლებოდა. ამასთან, სარაცინები ხშირად თავისი ნებით მოდიოდნენ ჩვენს ბანაკებში, მაგრამ როცა ნახულობდნენ, რომ ცხოვრება, რომელსაც ქრისტიანები მისდევდნენ, საკმაოდ მკაცრი და მძიმე იყო და ბევრად განსხვავდებოდა მათი თავაშვებული ყოფისგან, დიდხანს ვერ ჩერდებოდნენ, მალულად გვტოვებდნენ და კვლავ ურწმუნოების ჭაობში ეფლობოდნენ. სამაგიეროდ, ზოგიერთი ჩვენიანიც, საბრალო უბადრუკი ადამიანები, გადადიოდნენ ურჯულოთა ბანაკში, რათა თავშეუკავებლად მისცემოდნენ ორგიებს, ფუფუნებასა და საძაგელ სიამოვნებებს, რითიც ეფლობოდნენ ამ სიბინძურეში[36].

ამგვარად, ეგვიპტის სულთანმა ბევრი ასეთი განდგომილი მიიღო თავისთან, თუმცა, მან არაფერი იცოდა მათი ორგულობისა და მერყევი ბუნების შესახებ. ის [სულთანი] მათ მთლად კეთილშობილური განზრახვით არ იყენებდა: აგზავნიდა თავისი სამეფოს ყველაზე შორსმდებარე რეგიონებში, საიდანაც ისინი ვერასოდეს დაბრუნდებოდნენ უკან. თავად განდგომილებს რაც შეეხება, სარაცინებს ისინი ისე ეზიზღებოდათ, რომ ცოტაოდენ საკვებსაც ძლივს აძლევდნენ; მათ უარს ეუბნებოდნენ თავშესაფარზე და მუდმივად საყვედურობდნენ, რომ არ შეეძლოთ სარაცინების კანონების დაცვა და არც ქრისტიანებად ვარგოდნენ. ამასობაში ეგვიპტის სულთანი ცდილობდა, ყველა ღონე ეხმარა, რომ ჩვენთვის ზიანი მოეყენებინა, დაესუსტებინა და რაც შეიძლება მეტად გაეთიშა ჩვენი ჯარი. მან თავის ძმას, დამასკოს სულთან კონრადინს, უბრძანა, რომ ახალი ციხე-სიმაგრისათვის ალყა შემოერტყა, რომელსაც პელეგრინის [მომლოცველთა] ციხე-სიმაგრე ერქვა[37] და აკრის რეგიონში მდებარეობდა. ამის შედეგად ბევრი ჩვენი რაინდი მთელი სისწრაფით გაემართა ამ გამაგრებული ადგილის საშველად მაშინ, როცა აკრის მცხოვრებლები ჩვენს არმიას არ დაეხმარნენ და არ შეუერთდნენ დამიეტასთან[38]. ზემოხსენებული სულთნის მეორე ძმამ, სახელად სერაფმა, რომელიც ასირი-

ელების მხარეში მდებარე სამეფოს კალაფის მმართველი იყო[39], სულთნისგან, თავისი ბატონისაგან, ბრძანება მიიღო, რომ თავისი ჯარით ანტიოქიისა და ტრიპოლის მისადგომებთან გამაგრებულიყო, რათა ჩვენ ამ რეგიონებიდან ვერანაირი დახმარება ვერ მიგვეღო[40]. მეტიც, მან ზღვაზე გალერების დიდი რაოდენობა განალაგა, რათა მომლოცველებისა და ვაჭრებისათვის გზა გადაეკეტა და ჩვენთვის კვიპროსზე მცხოვრები ქრისტიანების დახმარების საშუალება მოესპო. ამას გარდა, მან უამრავი მეომარი განალაგა ნავებსა და გალიონებზე[41] თანისის ციხე-სიმაგრის ირგვლივ, ასევე დიდ ტბაზე, რომლის ერთი ნაპირიც თითქმის ჩვენს ბანაკამდე იყო გადაჭიმული. მას ასევე ძალიან ბევრი ბედუინი, დაქირავებული მეომარი და რაინდი ჰყავდა, რომლებიც დამიეტის ორივე მხარეს იყვნენ განლაგებულნი, რათა ჩვენი ჯარისათვის სხვადასხვა მხრიდან შეეტიათ; მან ასე დაგვსაჯა: შვიდჯერ უფრო დიდი ზიანი მოუვლინა ჩვენს ლაშქარს, რადგან ის, როგორც ზემოთ ვთქვით, შვიდ ნაწილად იყო დაყოფილი[42].

და აი, როცა ღმერთმა თავისი ხალხის მწუხარება[43] დაინახა, არ მიატოვა[44] უკვე მიტოვებულები, არამედ თავისი გულმოწყალებით ანუგეშა მწუხარენი, რომელთაც ბოლოს და ბოლოს მწუხარებამ გონიერება შესძინა[45] და შეიცნეს, რომ ტანჯვასა და სხვადასხვა საფრთხეში უფლისთვის უნდა მიემართათ[46]. მათ დაინახეს თავიანთი სისუსტე და ის, რომ ადამიანების მხრიდან არავითარი დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდათ, ამიტომ უფრო მტკიცედ შეუდგნენ ღვთიური დახმარების[47] ლოდინს და მთელი სასოება უფალზე დაამყარეს[48]. ღმერთმა მართლაც შეაღწია მათი სულების სიღრმეში, ღვთიური ქადაგებით გააცოცხლა ისინი, მოიქცეოდა რა მათ გულებში[49] და სინანულით აღავსებდა თავიანთი ცოდვების გამო. ისინიც სხვა ადამიანებად[50] გარდაიქმნენ. ასე რომ, უფლის ლაშქარი სრულიად შეიცვალა და იმის საპირისპირო გახდა, რაც მანამდე იყო, ის მოულოდნელად მონასტერს დაემსგავსა: იწვოდნენ რა სულიერი წადილით, მათი გონება უფრო დაფიქრებულად მოქმედებდა – ყველა მსუბუქი ყოფაქცევის ქალს აიძულებდნენ დაეტოვებინა ჯარი, ხოლო თუ აღმოაჩენდნენ, რომ ისინი დაწესებულ ვადაზე დიდხანს დარჩნენ, ბანაკის შუაგულში მათ როზგებით სცემდნენ და უმეტესობას რკინით უშანთავდნენ შუბლს. უფრო მეტიც, მათი საჯარო ბრძანებით, ნებისმიერს ეკრძალებოდა ტავერნაში დასალევად შესვლა. ასევე აიკრძალა კამათლებით და აზარტული თამაშებით გართობა. დამრღვევს შესაბამისად განსაზღვრული ოდენობის ჯარიმა ეკისრებოდა. თორმეტმა მრჩეველმა ბატონი ლეგატის მარშალთან ერთად ფიცი დადო, რომ დასჯიდნენ ბოროტმოქმედებს. წმინდა ქადაგებებისა და სულის მხსნელი

ბრძანებების მორჩილად აღმსრულებელნი ცდილობდნენ საქმით განეხორციელებინათ ის, რაც ყურით აღიქვეს. მოკლედ, ჯარში ძალიან ცოტა მებრძოლი დარჩა, ამიტომ სულაც არ ცდილობდნენ დაპირისპირებოდნენ მრავალრიცხოვან სარაცინებს, გარდა გადაუდებელი საჭიროებისა. ამ ხნის განმავლობაში ისინი ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რომ ღვთის საამებელი საქმეები ეკეთებინათ: ქალაქში დაბრუნდნენ მცხოვრებლები, აშენდა ეკლესიები, დანგრევის პირას მყოფი შენობები შეკეთდა; ისინი ამუშავებდნენ მინდვრებს, აშენებდნენ ვენახს[51] და ყველა მხრიდან ამაგრებდნენ ქალაქს. ნილოსზე, ქალაქის საპირისპირო მხარეს, დიდი ძალისხმევის შედეგად, შესანიშნავად გამაგრებული ციხე-სიმაგრე ააშენეს პორტისა და ხომალდების დასაცავად: ყველას – დიდიან-პატარიანად თავიანთი ზურგითა და მხრებით ერთსა და იმავე ადგილას მიჰქონდა ქვიშა; ამ ქვიშით მათ ტორონის გორაკივით[52] მაღალი ბორცვი აღმართეს, რომლის ქვიშაც თიხიანი მიწისგან აშენებული კედლით იყო გამაგრებული. ეგვიპტეში ქვები არ მოიპოვება, მათი შემოტანა ზღვით მხოლოდ კვიპროსიდან და სირიიდან შეიძლება დიდი ხარჯის ფასად. ასე რომ, მათ ააგეს თითქმის აუღებელი ციხე-სიმაგრე, რომელსაც ვერც ამფეთქებლები, ვერც ქვებისმსროლელი მანქანები და ვერც ბერძნული ცეცხლი ვერაფერს დააკლებდა. შუაში აღმართეს წარმოუდგენელი სიმაღლის ხის კოშკი – არა მხოლოდ ციხე-სიმაგრის დასაცავად, არამედ უფრო იმიტომ, რომ ის დამიეტისკენ მიმავალი ხომალდებისათვის ნიშანი ყოფილიყო. ამას გარდა, ააშენეს მეორე ციხე-სიმაგრეც, რომელიც დამიეტისა და თანისის ციხე-სიმაგრეს შორის არსებულ გზაზე მდებარეობდა. ჩვენები მას სალაპარაკო ენაზე ბუტავანს[53] უწოდებდნენ.

ყოველივე ამის შედეგად სარაცინები ძალიან დამწუხრებულნი იყვნენ, რადგანაც სამუშაოებმა წაართვა მათ ტბის საკმაოდ დიდი ნაწილი, ჩვენი ჯარი კი დიდი რაოდენობით შესანიშნავი თევზით მოამარაგა; უფრო მეტიც, სარაცინები ძველებურად ველარ შეავიწროვებდნენ ჩვენს ჯარს თავიანთი ნავებითა და გალიონებით. ამგვარად, უფალმა იმდენი სხვადასხვა სახის საკვები გამოგვიგზავნა, რომ ეს სავსებით საკმარისი იყო ჩვენი საწყალი რაინდებისა და სხვა ღარიბების გამოსაკვებად. ეგვიპტეში უკვე ოთხი ციხე-სიმაგრე გვქონდა: დამიეტა, თანისი, ტორონი უდაბნოში და ბუტავანის ციხესიმაგრე დიდ ტბაზე[54]. ჩვენების მდგომარეობა განუწყვეტლივ უმჯობესდებოდა, მტრებისა კი სწრაფად უარესდებოდა[55]. მეტიც, სარაცინებში უთანხმოებამ იჩინა თავი და მათ ერთმანეთში ჩხუბი დაიწყეს[56]. ამასობაში, დამასკოს მეფე კონრადინმა, რომელსაც ალყა ჰქონდა შემორტყმული პელეგრინის ციხე-სიმაგრისთვის, სრულ არეულობაში დაიხია უკან; მან საკმაოდ ბევრი თავისიანი

დაკარგა მოკლულთა სახით[57]. მისმა ძმამ სერაფმა, რომელიც უკვე ვახსენეთ, შეიტყო, რომ ინდოეთის მეფე დავითმა[58] დაიპყრო მისი მიწები. ის იძულებული გახდა, თავის ჯართან ერთად[59] დაეტოვებინა ჩვენი ტერიტორია.

უფალმა ინება, რომ მეფე დავითი, ეს ყოვლისშემძლე პიროვნება და საბრძოლო საქმეებში გამოცდილი რაინდი, მოქნილი გონების მქონე ადამიანი და ბრძოლებში გამარჯვების მომტანი, ჩვენს დროში[60] ურწმუნოთა წინააღმდეგ მიმართული მახვილი ყოფილიყო, ვერაგი მუჰამედის ბოროტი ტრადიციებისა და საზიზღარი კანონების გამანადგურებელი. ეს სწორედ ის მეფე დავითია, რომელსაც ხალხი მღვდელ ჟანს უწოდებს[61]. ის ძმებს შორის ყველაზე უმცროსი იყო ისევე, როგორც დაწერილია ისრაელის წმინდა მეფე წინასწარმეტყველ დავითზე[62], რომელიც ამისდა მიუხედავად, ყველაზე ამაღლებული აღმოჩნდა და ღვთის ძალით მეფედ იქნა ნაკურთხი.

იმას, თუ როგორ სასწაულებრივად[63] წარმოგზავნა ის უფალმა ჩვენს დროში და განადიდა მისი საქმენი[64], წარმართა მისი სვლა[65], დაუმორჩილა მას ურიცხვი ქვეყანა, ხალხები, ტომები და ენები[66], ნათლად ვიხილავთ ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტით. შევეცადეთ შეძლებისდაგვარად კარგად გვეთარგმნა ის არაბულიდან ლათინურად ჩვენი ერთგული თარჯიმნების დახმარებით.

„ნაწყვეტი ინდოეთის მეფე დავითის ისტორიიდან, რომელსაც ხალხმა მღვდელი ჟანი უწოდა“[67]

სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმინდისათა. ამინ.

აი ცხოვრება მეფე დავითისა, ისრაელის მეფის ძისა, მეფე სარხისის[68] ვაჟისა, მეფე ჟანის[69] ვაჟისა, ბულგაბოგას ვაჟისა[70], რომელსაც სწამდა იესო ქრისტესი. მეფე დავითი ყველაზე უმცროსი იყო ძმებს შორის. მამამისს, ისრაელის მეფეს[71] ექვსი ვაჟი ჰყავდა, დავითი მათ შორის ყველაზე პატარა იყო. მამის სიკვდილის შემდეგ ტახტზე უფროსი ძმა ავიდა. მეფე, ისევე, როგორც მამამისი, ისრაელის მეფე და ყველა მათი წინაპარი, დაემორჩილა სპარსთა მეფეს სახელად ხანხანას[72], რაც ჩვენს ენაზე მეფეთმეფეს ნიშნავს; ამ უკანასკნელის სამფლობელოები გადაჭიმული იყო ხასსარიდან[73] ბელლასაგუნამდე[74] ეს მიწა იმ მდინარის გადაღმა მდებარეობდა, რომელსაც სპარსულად ჯეოსს[75] უწოდებდნენ. სპარსეთის მეფემ ასტროლოგები შეკრიბა და სთხოვა, მისთვის მომავალი ეწინასწარმეტყველათ და ისიც, რაც მისი სიკვდილის შემდეგ მოხდებოდა. მათი ჩვეულების თანახმად, წინასწარმეტყველებმა უმანკო ყმაწვილი მოიყვანეს და ორივე მკლავი მოაჭრეს. შემდეგ მისი სისხლი ლარნაკში შეაგროვეს და შეულოცეს. გარდაცვალებამდე ბავშვმა ყველა

წინასწარმეტყველება უთხრა. მან თქვა ისიც, რომ ვინმე მეფე დავითი, ძალიან ცნობილი გვარიდან, დაიმორჩილებდა სპარსების სამეფოს. მაშინ ზემოხსენებულმა ხანხანამ, სპარსთა მეფემ, გამოჰკითხა მათ დავითზე, ასევე აინტერესებდა და იცნობდნენ თუ არა ისინი ამ პროვინციაში მეფეს, რომელსაც დავითი ერქვა. მათ უპასუხეს, რომ არავის იცნობდნენ ამ სახელით, თუმცა ისრაელის მეფეს ჰყავდა ვაჟი, სახელად დავითი, პატარა ბავშვი, რომელიც სათვალავში ჩასაგდებიც არ იყო. მაშინ მეფემ უთხრა ასტროლოგებს: „ვაფრინოთ შიკრიკები მის ძმასთან, რომ გამოგვიგზავნოს ის, ჩვენ მას მოვკლავთ[76] და გავთავისუფლდებით მისი სახელისაგან“. ასე რომ, მეფემ სასწრაფოდ გაგზავნა შიკრიკები ინდოეთის მეფესთან, დავითის ძმასთან და შესთავაზა მას ძმის გამოგზავნა, იმ მიზეზით, რომ მისთვის სიკეთე სურდა და აპირებდა პატივით აევსო ის. როდესაც შიკრიკებმა ეს შეტყობინება გადასცეს, დავითის ძმამ, იმის გამო, რომ არ იცოდა რას უპირებდა მეფე ბავშვს, მეფესთან უმცროსი ძმა გაგზავნა და თან რამდენიმე ერთგული ადამიანიც გააყოლა, რომელთაც ენდობოდა. ბავშვის ჩამოსვლით სპარსეთის მეფემ ძალიან გაიხარა. ბავშვი მიწას ემთხვია მის წინაშე და დიდი მოწიწებით მიესალმა. ის ძალიან კარგი შესახედავი იყო და როგორც კი დაინახა, მეფეს ის ძალიან შეეცოდა. იქვე იმყოფებოდა მეფის ორი ცოლი; ერთი მეფე ჟანის ასული, რომელიც ამავე დროს ისრაელის მეფის, დავითის მამის მამიდა იყო. მეორე კი მეფე ხანიხის[77] ასული გახლდათ. მეფეს მისგან ჰყავდა ვაჟი, სახელად ფილიპი. ცოლებმა უთხრეს მეფეს: „ნუთუ არ გეშინიათ ღმერთის? ეს ბავშვი თქვენი სიტყვის თანახმად მოვიდა აქ. ის თქვენი ჩრდილის ქვეშაა, დააბიჯებს თქვენს ხალიჩაზე და თქვენ გსურთ მოაკვდინოთ იმ ეშმაკისეული სიტყვების გამო, რომლებიც თქვენ გიწინასწარმეტყველეს, ანუ იმის გამო, რაც იმ ბავშვმა გითხრათ, რომელიც დაასახიჩრებინეთ და მოაკვლევინეთ?“ ორივე ცოლმა მწარედ უსაყვედურა მეფეს. ერთი მათგანი, დავითის მამის მამიდა ქრისტიანი იყო, მეორე კი – ურწმუნო. მეფეს გულის სიღრმეში შერცხვა და დაფიქრდა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო. საბოლოოდ, ღვთის ნებით, მეფემ დავითი თავის სამეფოში გაუშვა. ბავშვი მაშინვე გაემგზავრა ცხენით თავისიანებთან ერთად; უფლის შეგონებით ისინი დღე და ღამე გაუჩერებლად მიაჭენებდნენ ცხენებს, ორმოცი ლიე გაიარეს, ცხენების შეცვლისგანაც კი იკავებდნენ თავს, რომ უფრო სწრაფად ევლოთ. ამ დროს მწიგნობრები და ასტროლოგები ეახლნენ მეფეს და განუცხადეს, რომ მან შეცდომა დაუშვა, ამ ბავშვს წასვლის ნება რომ მისცა. მეფემ მაშინვე ინანა თავისი საქციელი და დავითს მხედრები დაადევნა, რომელთაც მისი შეპყრობა უბრძანა. თუმცა, მათ ის (ბავშვი) ვერ იპოვეს: ეს იყო ღვთის განგება,

რომ დავითმა თავის დაღწევა მოახერხა. საბოლოოდ მან თავისი ძმის ქვეყანას მიაღწია.

ამ მოვლენებიდან სამი წლის შემდეგ დავითის ძმა გარდაიცვალა. მთელი სამეფო შეიკრიბა დავითის გარშემო და ის მეფედ აირჩიეს, რადგანაც [ყმაწვილი] მშვენიერი აღნაგობის, გონიერი და კეთილშობილი იყო. პირველ რიგში უფლის ნების შესაბამისად, მას სასულიერო პირის წოდება მიანიჭეს, როგორც ეს მისი წინამორბედების დროს ხდებოდა, შემდეგ კი სამეფო მირონი სცხეს. ამის შემდეგ დავითს ცოლად შერთეს დამახუსის[78] ქალიშვილი. დავითმა ისე იღვაწა, რომ მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი ხალხის რიცხვი: ვერავინ შეძლებდა მათ დათვლას[79]. სწორედ ის გაემართა სპარსეთის მეფის ხანხანას მიწების დასაპყრობად. ამ უკანასკნელმა მის წინააღმდეგ ძალიან დიდი ჯარი გამოიყვანა და მათ შორის ბრძოლა გაიმართა. ამგვარად, ღვთის განგებით და ცხოველმყოფელი ჯვრის დახმარებით მეფე დავითმა გაიმარჯვა და დაამარცხა სპარსეთის მეფე. დავითის ხალხის დიდი ნაწილი დაიღუპა, იმათ გარდა, ვინც ნათლობის წყლით იყო განბანილი. თვით სპარსეთის მეფე ხანხანა ტყვედ აიყვანეს, ფეხზე ოქროს ბორკილები დაადეს და ურმით წამოიყვანეს დავით მეფის ქვეყანაში.[80] მეფე დავითმა დაიმორჩილა თავისი მტრის მთელი მიწები, სამეფო, რომელსაც უწოდებდნენ „სარაცინების მეფეთა მეფის სამეფოს“ და სადაც სამოცდაოთხი დიდ ქალაქი იყო:[81] ერთს ერქვა დამაგალჩა,[82] სხვებს – ხაზაჰარი[83], ლაკელეში[84], მელექი, ბესიბელექი[85], ხატენი[86], ასგუჩენტი[87], ხაოჯენტი[88], ბაკარა[89], სამარყანდა[90], ფარგანა[91], აგაჟია[92]. ხაზაჰარიდან ფარგანამდე ათი დღის სავალია[92], ხაოჯენტიდან ბაშარამდე – ოცი დღის[94], ბაშარიდან ზარმიშამდე[95] კი – რვა დღისა, ზარმიშიდან ბოხარიშამდე ათი დღის, ბოხარიშიდან აბიარამდე – ათი დღის და ბოლოს, ზარმიშიდან ბელლასაგუმამდე[96] – ათი დღის სავალი. ამის შემდეგ მეფე დავითი მივიდა მიწაზე, რომელსაც ალაანარს[97] უწოდებენ და რომელიც ინდოეთის საზღვრებთან მდებარეობს. იმ პროვინციაში, სადაც ქალაქი ალანაარი მდებარეობს, იმდენი ქალაქი იყო, რომ მათ ჩამოთვლას ვერავინ შეძლებდა. ქალაქს, რომელშიც სპარსეთის მეფე ჩვეულებრივ ცხოვრობდა, ღაზნას[98] უწოდებდნენ. ეს ყველაზე დიდი და საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ქალაქი იყო. იქ არანაკლებ ხუთასი მეჩეთი, ამდენივე სკოლა, ასევე ექვსასი თავშესაფარი გახლდათ, სადაც თავი შეეფარებინათ სარაცინების ბრძენებს, რომლებსაც ჩვენს ენაზე „ბერებს“ უწოდებენ.

ამის შემდეგ მეფე დავითი შეებრძოლა ალანაარის მეფეს და დაამარცხა ის. თითქმის მთელი მისი ხალხი განადგურდა, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც მანამდე ჩვენს რჯულზე მოიქცა;[99] როდესაც ეს მხარე საბოლოოდ დაიმორჩილა, დავითმა მიაღწია ქვეყანას, რომელსაც ხატას[100] უწოდებენ. ამ დროს ხატის მეფესა და ხავარასმისანს[101] შორის ზავი იყო დადებული, მათ საერთო მფლობელობაში იყო ზონა, რომელიც მოიცავდა ბაშარას, სამარყანდს, ბელლასაგუნს[102]. ხავარასმისანმა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, მეფე დავითს შიკრიკები გაუგზავნა და მასთან შეთანხმება დადო. მან დავითს მთელი ის მიწები დაუთმო, რომელთაც მდინარე ჯეოსის გადაღმა ფლობდა[103]. რადგანაც დავითისგან საფრთხეს აღარ ელოდა, ხავარასმისანმა უამრავი ადამიანი შეაგროვა და გადასერა პროვინცია, რომელსაც ხორასანს[104] უწოდებენ, დიდი არაკი[105], მცირე არაკი, რომლებიც დიდი პროვინციებია, ასევე დიარბეშენი[106] და ექვს დღეში ბალდახის[107] შემოგარენს მიაღწია. მან შიკრიკები გაუგზავნა ბალდახის ხალიფას, რომელიც ქალაქს ორმოცდაერთი წლის მანძილზე განაგებდა. ხალიფას ალენანზერ ლენიდალა[108] ერქვა, რაც ითარგმნება, როგორც „ღვთაებრივი კანონის დახმარება“. ეს მისი მეტსახელი იყო, მისი სახელი კი გახლდათ რომანზურ მოცადის ვაჟი[109] ამიტომაც მან უარი უთხრა ხავარასმისანს ვასალური ერთგულების ფიცის დადებაზე. ხალიფას შეეშინდა, რადგანაც მას არ ჰქონდა საკმარისი ძალა მისთვის[110] წინააღმდეგობის გასაწევად; ის აზრს თავის ერთგულ მრჩეველებს დაეკითხა, რომლებმაც ურჩიეს დახმარებისათვის ქალაქ ბარაში[111] მცხოვრები იაფელეკისათვის, ინდოეთის პატრიარქისათვის[112], მიემართა და შეეთავაზებინა მეფე დავითისათვის ხავარასმისანთან დადებული ზავის დარღვევა, რადგანაც ამის შედეგად იგი ხელს აიღებდა მასზე თავდასხმის განზრახვაზე[113].

ხალიფა რამდენიმე თანმხლებთან ერთად ცხენით გაემგზავრა ღამე, რადგანაც დღისით ცხენით ის მხოლოდ გარკვეულ დღეებში მოგზაურობდა[114]; მან მიაღწია პატრიარქის საცხოვრებელს, რომელიც ბალდახში მდებარეობდა. პატრიარქმა დაინახა თუ არა, დიდი პატივით მიიღო და კმაყოფილება გამოხატა მისი ჩამოსვლის გამო. შემდგომ ხალიფამ ლაპარაკი დაიწყო და უთხრა: „უკიდურესად გაჭირვებულ სიტუაციაში ვითხოვ შენს დახმარებას, რადგანაც მეგობრის ერთგულება გასაჭირში გამოიცნობა: აი, ამ საძაგელმა ხავარასმისანმა ჩვენს წინააღმდეგ მთელი ძალები გამოიყვანა. თუ ის დაიპყრობს შენს მიწას, სიკვდილს მისცემს ყველა ქრისტიანს, რადგანაც მათ მიმართ უსაზღვრო ზიზღითაა განმსჭვალული“. პატრიარქმა უპასუხა, რომ ეს სიმართლე იყო. ბოლოს ხალიფამ უთხრა: „თქვენ შეგიძლიათ შემდეგნაირად გამიწიოთ სამსახური: მეფე დავითი და ყველა, ვინც თქვენს კანონებს იცავს, დაგემორჩილებიან. გთხოვთ, რომ წერილებისა და შიკრიკების საშუალებით მოსთხოვოთ მეფე დავითს, დაიწყოს ხავარასმისანთან ომი; ამგვარად, ის ჩვენ

თავს დაგვანებებს. დარწმუნებული ვარ, რომ ხავარასმისანი დაბრუნდება თავის ქვეყანაში, როგორც კი მეფე დავითი მას შეუტევს. თუ ამას შემისრულებთ, ჩვენ გიბოძებთ ყველაფერს, რასაც თქვენ თავად მოისურვებთ და მოისურვებენ ისინი, ვინც თქვენს კანონებს ემორჩილება“. პატრიარქმა ხალიფას სიტყვას ასე უპასუხა: „როგორც იცით, შევფიცეთ თქვენს წინამორბედებს და პირადად თქვენ, რომ არც ერთ ქრისტიან მეფეს არ გავუგზავნიდით წერილს და არ მივაწვდიდით არანაირ ცნობას თქვენი ტერიტორიის თაობაზე“. ამაზე ხალიფამ უპასუხა: „მე ვარ ამ მიწის პატრონი, ამასთანავე, სარაცინების წინასწარმეტყველთა ხალიფა. მე გაძლევთ ამის ნებას, რაზეც რწმუნების წერილი გადმოგეცემათ“. პატრიარქმა ყურად იღო ხალიფას თხოვნა და მეფე დავითს აცნობა, რომ გაეწყვიტა ზავი ხავარასმისანთან. ასეთი მოწოდების მიღებისთანავე მეფე დავითმა ურიცხვი ლაშქარი შეკრიბა და ხავარასმისანის ტერიტორია დაიპყრო. ამ ამბის გაგონებისთანავე ხავარასმისანი სახლში გაბრუნდა[115]. კმაყოფილმა ხალიფამ პატრიარქს უამრავი ოქრო მიართვა, რომლის მიღებაზეც ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა. მან მხოლოდ ერთადერთი რამ სთხოვა ხალიფას – დაენგრია პატრიარქის ეკლესიის ზემოთ მდებარე მეჩეთი, რომლის გამოც ის თავს შეურაცხყოფილად თვლიდა. ხალიფამ იმ ღამესვე საძირკვლამდე დაანგრევინა მეჩეთი: მომდევნო დღეს მისი კვალიც კი აღარსად ჩანდა – ეს იყო პირველი ცუდი ნიშანი სარაცინების კანონთან დაკავშირებით. როცა ხავარასმისანი თავის ტერიტორიაზე დაბრუნდა, მან დავითთან მშვიდობის დამყარება მოინდომა, მაგრამ ამ უკანასკნელმა კატეგორიული უარი თქვა მის შეთავაზებაზე; მაშინ, ხავარასმისანმა უამრავი ადამიანი შეკრიბა, გადალახა მდინარე ჯეოსი მეფე დავითის ძალებთან დასაპირისპირებლად. დავითმა გაშლილ მინდორზე მედგარ ბრძოლაში გაანადგურა მტერი. მოწინააღმდეგე ჯარის დიდი ნაწილი ბრძოლაში დაიღუპა. ზოგი ირწმუნებოდა, რომ თავად იგიც ამ ბრძოლას შეეწირა, თუმცა სხვებს ამაში ეჭვი ეპარებოდათ.

მეფე დავითმა ისევ შეკრიბა მრავალრიცხოვანი ლაშქარი, ასევე თექვსმეტი სხვა დიდი ჯარი; ერთში ასი ათასი კაცი იყო, მეორეში კი – დაახლოებით ორასი ათასი; მან ეს არმია ჯვრის ნიშნის ქვეშ ორმოცჯგუფად გაყო; ამგვარად, თითოეულში ასი ათასი კაცი შედიოდა. ის მიადგა მდინარე ჯეოსის ნაპირებს[116] და აიღო ხორასმანი[117], მოა[118], ბენდეი[119], ტეხრისი[120], ნანრუ, სარხესი[121], თუსი[122], ტარსისი[123], დარგანი[124], ხორასანი[125], ნიხაგარი[126], თერმედე[127], ბაგუარდა, ნასა[128], ბასტემი[129], ედაბამაგანი[130], სერეგი, ბოლხე[131], სეჯისტანი[132], საარსიტანი[133], მესედალი[134], შეში[135], მეანი[136], სეჰერი[137]. ყველა ეს დიდი ქალაქი იყო, რომ არაფერი

ვთქვათ პატარა ქალაქებსა და ციხეებზე, რომელთა რიცხვიც ორასს აღწევდა. მან დაიპყრო ასევე სულთან სონიარის სამეფო[138], სადაც შემდეგი ქალაქები მდებარეობდა: მუსაჰარი[139], დელბიკანი[140], დეშაანი, კურხაანი, და კიდევ ერთი პროვინცია, სახელად დელგორი, სადაც რვა დიდი ქალაქი იყო განლაგებული, ასევე მარენდრანის[141] სამეფო, სადაც რვა დიდი ქალაქი და ორასამდე ციხე-სიმაგრე გახლდათ. ამ ტერიტორიის გადაკვეთას სიგრძეზე ოცი დღე სჭირდებოდა, სიგანეზე კი – თორმეტი. აქ მთავრდებოდა ხავარასმისანის მიწები. თაჯის სულთნის სამეფო[142] მდებარეობდა სპარსეთის სამეფოს საზღვართან, რომელსაც დიდ არაკს უწოდებდნენ, რაც „დიდ სამეფოს“ ნიშნავს[143]. მის გადასაკვეთად ცხენით სამი თვეა საჭირო. ამ სამეფოს დედაქალაქს რაჰი[144] ეწოდება. სხვების სახელები იყო: ოერი, შარაი[145], სეხემენხი, სემანანი[146], გასვინი[147], სენხანი, ხამი[148], ხაშანი[149], ამედანი[150], ესბოანი, სანგუა[151], სენხეჰანი[152], კონინე, ამანია, აქვე მდებარეობდა სამასზე მეტი ციხე-სიმაგრე. დიარბაქანის[153] მხარეში კი შემდეგი ქალაქები მდებარეობს: მირისი, ეიოანი, ბელოხანი[154] კოჰაი, ხანჯა, ეშენი, არამი, ენუშაარი, მერაღა[155], სადა, ხანოგინი, ტესტემოდი, სარდაჰანი, გუარდუჰილი, მუნედო, სოლემესტე და ეს მიწა სიგრძეში ორმოცდაშვიდი დღის სავალია[16]. ხანკას პროვინციაში ოცი ქალაქი და ასოცი ციხე-სიმაგრე იყო; მას ებიბეთის[157] სამეფოს, ასევე პატარა არაკს, ანუ პატარა სამეფოს უწოდებდნენ. მეფე დავითმა დაიმორჩილა ყველა აქ ჩამოთვლილი ქვეყანა[158]. ის ბაღდადიდან ხუთი დღის სავალზე იყო დაშორებული, იგივე მანძილი აშორებდა მას მუსეეხს. ჯარის მთავარსარდალმა ქართველების მიწას მიაღწია, რომლებიც დაამარცხა და ორმოცი ციხე-სიმაგრე წაართვა: მართალია, ისინი ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ სარაცინების მოკავშირეებს წარმოადგენდნენ[159]. შემდეგ მეფემ შიკრიკები გაუგზავნა ბალდახის ხალიფას[160]. როდესაც ისინი ბალდახში შედიოდნენ, თავს ზემოთ ეჭირათ დროშა, რომელზეც ჯვარი იყო გამოსახული[161]. სარაცინებმა ჰკითხეს: „რატომ გიჭირავთ ჯვარი თავებს ზემოთ მაშინ, როცა ბალდახში ხართ (რომელსაც სარაცინების ენაზე დარესელემი ეწოდება და რაც „ხსნის კარს“ ნიშნავს)“. შიკრიკებმა უპასუხეს: „ჩვენმა ბატონმა, მეფე დავითმა გვიბრძანა, რომ ამგვარად შემოვსულიყავით ამ ქვეყანაში, თუ არადა, არ შემოვსულიყავით საერთოდ: თუ უარს გვეტყვით, ჩვენ უკან გავბრუნდებით“. ხალიფამ შეიტყო ეს ამბავი და თქვა: „შემოვიდნენ ისე, როგორც მათ სურთ“. როგორც კი ხალიფამ ისინი იხილა, წამოდგა, დიდი პატივით მიიღო და თავის გვერდზე დასვა. შიკრიკებმა სიტყვა ითხოვეს და მოახსენეს თავიანთი ბატონის დანაბარები: „ჩვენი მეფე მოგესალმებათ და გაცნობებთ ჩვენი იაფელეკის (ანუ პატრიარქის) თხოვნას, რომ ყოველთვის წრფელი

გულით იყოთ ქრისტიანების მიმართ და პატივი სცეთ ჩვენს ეკლესიებს, იმის გათვალისწინებით, რომ მან დაგითმოთ თქვენი კუთვნილი მიწების მეექვსედი; ის ასევე დასძენს, რომ სურს ფლობდეს ბალდახს, რათა იქ პატრიარქის რეზიდენცია განათავსოს". ხალიფამ უპასუხა: „მეფემ ღვთაებრივი ძალის წყალობით თავის კანონებს იმხელა მიწები დაუმორჩილა, რომ თავად ყველგან ყოფნას ვერ შეძლებს. დაპყრობილ მიწებზე მმართველები უნდა დანიშნოს: ასე რომ, ვევედრები, მე დამნიშნოს ამ მიწის მმართველად და იმდენ ფულს გადავუხდი, რამდენსაც მოისურვებს". შიკრიკებმა განაგრძეს: „ჩვენ აქ ფულის სათხოვნელად არ მოვსულვართ, მაგრამ ვინაიდან შევიტყვეთ, რომ თქვენ წმინდა ქალაქი იერუსალიმი დაანგრიეთ[162], წავიღებთ საკმარის ფულს იმისათვის, რომ ოქროთი და ვერცხლით აღვადგინოთ იერუსალიმის კედლები". ხალიფამ ელჩებს ათასი ბიზანტიური მონეტის ღირებულების საჩუქრები მიართვა, თუმცა შიკრიკები ძღვენის მიღებას არ დასთანხმდნენ.

როცა მეფე დავითმა მიაღწია ქალაქს, რომელსაც კასვინი[163] ეწოდებოდა და დაიმორჩილა იგი, იქ თავისი მმართველი გაგზავნა რამდენიმე თავისიანთან ერთად. როგორც კი მეფემ ეს მიწა დატოვა, ქალაქის მაცხოვრებლებმა მის ზურგსუკან მოკლეს მეფის ბალი[164] და მისი ოჯახის სხვა წევრები. ამ ამბის შეტყობისთანავე მეფემ თავისი ჯარის ნაწილი გაგზავნა ამ მიწისათვის ალყის შემოსარტყმელად. ალყა ექვს დღეს გაგრძელდა. მეშვიდე დღეს, შუაღამისას ქალაქის სამი კოშკი და კედლების ექვსი წყრთა ჩამოინგრა. მაშინ ქრისტიანებმა შეაღწიეს ქალაქში და ოთხმოცი ათასი მეომარი დახოცეს.

ღმერთმა[165] თავის მსახურ მეფე დავითს დაუმორჩილა კარახერის მიწა, სადაც თორმეტი დიდი ქალაქი იყო განლაგებული, გარდა ამისა, სულთან ბეგრიხარის მიწა, სადაც რვა დიდი ქალაქი იყო, ასევე მიწა, რომელსაც საკომს უწოდებენ, ოცი დღის სავალზე საგიბუსიდან, ათი დღის სავალზე ფარაღიდან და მარგანიდან. შემდეგ მან თავის ხელისუფლებას დაუმორჩილა კოეგენტის მიწა, საიდანაც დიდი რაოდენობით უმაღლესი ხარისხის აბრეშუმი გამოდიოდა; ეს მიწა გადაჭიმულია ბოკარამდე, სადაც სამოცდაექვსი მდინარე და სამასამდე ქალაქია, თორმეტი ათასი მოსამართლითა თუ კონსულით და თორმეტი დღის სავალზეა გადაჭიმული – აქედან ჰარსინოთის ტერიტორიამდე რვა დღის სავალია, სახერამდე – ოცი დღისა. ეს ყველაფერი მდინარე ჯეოსის იქითა მხარეს მდებარეობს და ამ მიწების ფარგლებში ორასორმცდაათი ციხე-სიმაგრე და დიდი ქალაქია განლაგებული. მდინარე ჯეოსის აქეთ მხარეს კი მან სულთან მახემოთის სამეფო დაიპყრო, რომლის მიწებსაც ხორასანი ეწოდება. იქ სადაც შემდეგი ქალაქები მდებარეობს: ამანხიონირო, მერო, სირხოსი, თოსი და მომერი, დაბული, სარასტანი, გარამიენი, ნესაორი, სადაც შესანიშნავი ქსოვილები მზადდება, ბარახი, ჰერტე, სადაც ძვირფასი ქვები მოიპოვება, და ბასტემი, შერი, დამირიგაჯი; ესენი ყველაზე დიდი ქალაქებია. სხვა გამაგრებულ ადგილებსა და დიდ ქალაქებს რაც შეეხება, მან თავის ხელისუფლებას ორასოცდათორმეტი ამგვარი ადგილი დაუმორჩილა.

ის ასევე დაეუფლა სულთან სენეხას მიწებს, რომლებიც შემდეგ დიდ ქალაქებს მოიცავდა: ნესიორი, დებიაგანი, დესტანი, გარგანი. ამასთან, დაიპყრო დეკატან-დე-ჰენსინის რეგიონი, რომელშიც რვა დიდი ქალაქი იყო განლაგებული. დაიმორჩილა მახარანზედრანის მხარე და მომიჯნავე ტერიტორია ათი დიდი ქალაქითა და ორასორმოცდაათი დიდი ციხე-სიმაგრით; შემდეგ დაიპყრო დიდი სულთნის, ყველა ჩამოთვლილ სულთანთა შორის უძლიერესის, გეორესეთის ტერიტორიები, რომლებიც სიგრძეში სამი თვის სავალზე იყო გადაჭიმული და ამდენივეზე – სიგანეში.

ყოველივე ამის მერე მან სულთან თეორ დელბარახის მიწა დაიპყრო. შემდეგ ის მიადგა ბალდახის მისადგომებს. მან დამატებით აიღო დებიგაანის მიწები, რომლებზეც ორმოცდაშვიდი დიდი და ცნობილი ქალაქი იყო განლაგებული. მათგან უმთავრესი იყო: ლერეი, ასშარი, გასვინი, ჩონი, გასეენი, სეფენი, სადაც შესანიშნავი და ძვირფასი ქსოვილები მზადდებოდა, ასევე ჰამედანი[166]; გარდა ამ ორმოცდაშვიდი ქალაქისა, ეს ტერიტორია მოიცავდა სამასოც ციხე-სიმაგრესა და დიდ გამაგრებულ ქალაქს. ამის შემდეგ მან აიღო სულთან სარდახანის მიწები, რომლებიც შემდეგ ქალაქებს შეიცავდა: ჰარმანს და მარაჰანს, სელემეთს, მაჰარაჯას, სადაც მოიპოვება მიწა, რომელიც თავის დასაბანად გამოიყენება.

ბოლოს მან დაიპყრო ემირ ბობერის მიწა, რომელიც თერთმეტ ქალაქს მოიცავდა და რომლის დედაქალაქიც იყო ქემე, ასევე ას სამოცდაათი ციხე-სიმაგრე და გამაგრებული დიდი ქალაქები. აი, ეს არის სპარსეთის უკანასკნელი რეგიონი ჩვენი მხრიდან. აქედან დაწყებული ბალდახამდე ხუთი დღის სავალზე მხოლოდ ვრცელი ველია გადაჭიმული. ყველა ზემოთ მოყვანილი სახელი სპარსულ ენაზეა წარმოდგენილი. მეფე დავითს სამი ლაშქარი ჰყავდა; ერთი მათგანი მან ეგვიპტის სულთნის ძმის კალაფის[167] ტერიტორიაზე გააგზავნა, მეორე – ბალდახში, მესამე კი – მოსისკენ[168], რომლის ძველი სახელიც ნინივე არის და ანტიოქიიდან მხოლოდ თხუთმეტი დღის სავალზეა. ეშურებოდა რა აღთქმულ მიწაზე მისვლას, იქ უფლის საფლავის მონახულებას და წმინდა ქალაქის აღდგენას, მას სურდა მანამდე ღვთის შეწევნით, ქრისტიანობის სახელით დაემორჩილებინა იკონიის სულთნის მიწები, ასევე ალეპო და დამასკო და მათ შორის მდებარე მთელი ტერიტორია, რათა ზურგსუკან ერთი

მტერიც კი არ დაეტოვებინა.

წინამდებარე წერილების ნიმუშები ტრიპოლის გრაფს[169] ამ რეგიონებიდან ჩამოსულმა მისმა ხალხმა მოუტანა; სხვა მსგავსი წერილები კი იმ ვაჭრებმა მოიტანეს, რომლებსაც აღმოსავლეთიდან სანელებლები და ძვირფასი ქვები შემოჰქონდათ; ყველა, ვინც ამ რეგიონიდან მოდიოდა, ერთსა და იმავე რამეს ამბობდა. ჩვენი ლაშქრის ზოგიერთი წევრი ეგვიპტის სულთანს დაეტყვევებინა; მან ისინი დამასკოში გააგზავნა თავის ძმა კონრადინთან. ამ უკანასკნელმა ისინი გაუგზავნა თავის ბატონს ბაღდადის ხალიფას, რომელმაც, თავის მხრივ, მეფე დავითს გადასცა ტყვეები დიდი გამოსასყიდის სანაცვლოდ. როდესაც მეფემ შეამჩნია, რომ ისინი ქრისტიანები იყვნენ, ბორკილები ახსნა და ანტიოქიაში დააბრუნა. სწორედ მათ მოგვიტანეს ზემოხსენებული ამბები და ბევრი სხვა ცნობაც მეფე დავითის შესახებ. ეგვიპტის სულთანმა შეიტყო რა ბაღდადის ხალიფას შიკრიკებისაგან მეფე დავითის დაუმარცხებელი ძლევამოსილების, მისი შესანიშნავი გამარჯვებების შესახებ და ასევე ის, რომ მან თავის ძალაუფლებას დაუმორჩილა ორასი დღის სავალზე არსებული სარაცინების მიწები, ისე რომ ვერავინ შეძლო მას წინ აღდგომოდა, გაოგნებულმა და დათრგუნულმა სულთანმა თავისთან მოაყვანინა რამდენიმე წარჩინებული, რომლებიც კაიროს ციხეში ჰყავდა გამომწყვდეული. ეს იყო ელუ დე ბოვე, მისი ძმა ვიკონტ დე ბომონი, ჟან დ'არში, ეიუდ დე შატილიონი[170], ანდრე დ'ეპუასი და მეტაძრეების, წმინდა იოანეს ჰოსპიტლის და ტევტონთა რაინდთა სახლის ზოგიერთი ძმები[171]. ეგვიპტის სულთანს იმედი ჰქონდა, რომ მათი დახმარებით მშვიდობას მოიპოვებდა. ამის გარდა, მან პირადი შიკრიკები გამოგვიგზავნა დამიეტის ლაშქარში წერილით, რომლითაც ყოველნაირად ცდილობდა, რომ ჩვენთან მშვიდობა დაემყარებინა ან ზავი დაედო.[172] ამ ამბების გამგონე ქრისტიანთა ჯარი ხარობდა და სიძლიერეს[173] ღვთის დახმარებაში ხედავდა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მივიღეთ რომის იმპერატორის ფრიდრიხის წერილი. ამ უკანასკნელის შიკრიკები აცხადებდნენ, რომ თუ ღმერთის ნება იქნებოდა, იმპერატორი აგვისტოს თვეში დიდი და მამაცი ჯარით შემოგვიერთდებოდა ღვთის სადიდებლად და ქრისტიანთა დასახმარებლად. წინა წელს ხელში ჩაგვივარდა სარაცინთა წიგნი,[174] რომელიც ურწმუნოთა შორის ძალიან დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მისი ავტორი იყო ვინმე ასტროლოგი, რომელსაც სარაცინები მოციქულად მიიჩნევენ; მან წიგნი დიდი გულმოდგინებით და თავიანთი კანონის წარმომავლობაზე დაყრდნობით დაწერა. სხვა რამეებთან ერთად, მან იწინასწარმეტყველა, რამდენ ხანს იარსებებდა მათი კანონი – და რადგან ის მახვილით დაიწყო, მახვილითვე დაიღუპებოდა. ამის

გარდა მან იწინასწარმეტყველა დიდი უბედურებები, რომლებსაც სალადინი ქრისტიანებს დაატეხდა თავს. ასევე ამბობდა, რომ ურწმუნოთა რასის განადგურებამდე და მათი კანონის ამოძირკვამდე ის საბოლოოდ დაიმორჩილებდა იერუსალიმის სამეფოს ბევრ სხვა სამეფოსთან ერთად. ამის შემდეგ არა წინასწარმეტყველური ტონით, არამედ მეთოდურად გადმოგვცემდა ისტორიას და საკმაოდ ნათლად აღწერდა ქალაქ აკრის აღებას, საფრანგეთისა და ინგლისის მეფეების, ასევე დასავლეთის სხვა მმართველების არმიებში მომხდარ მოვლენებს – თითქოსდა საკუთარი თვალით ეხილა ეს ყველაფერი. მან აგრეთვე ზუსტად აღწერა ის, რაც საკუთარი თვალით ვიხილეთ, ყველაფერი, რაც თავს გადაგვხვდა დამიეტის აღებამდე, ასევე ის, რაც სარაცინებს სხვადასხვა სიტუაციაში შეემთხვათ. ამიტომაც, ჩვენ უფრო იოლად დავიჯერეთ მისი წინასწარმეტყველება და გვწამდა, რომ ჯერ არმომხდარი მოვლენები მალე რეალურად ახდებოდა. მან იწინასწარმეტყველა, რომ დამიეტის აღების შემდეგ ქრისტიანი ხალხი დაეუფლებოდა ალექსანდრიას, კაიროს, ბაბილონსა და მთელ ეგვიპტეს. ძლევამოსილი ქრისტიანი პრინცი, ქრისტიანი ხალხის ლაშქრის წყალობით, დაიკავებდა დამასკოს, ალეპოსა და მის ყველა მიმდებარე ტერიტორიას, გაათავისუფლებდა ურწმუნოთა ხელიდან ქალაქ იერუსალიმს და მთელ სირიას. ამ წინასწარმეტყველების სარაცინი ავტორი მოკვდა. ბევრი ჩვენთაგანი უარს ამბობდა დაეჯერებინა მისი წინასწარმეტყველება, მხედველობაში არ იღებდა იმ ფაქტს, რომ ბალაამმა[175], ჯადოქარმა და ურწმუნომ, იწინასწარმეტყველა ქრისტესა და ისრაელის ვაჟების შესახებ, რომ ნაბუქოდონოსორმა სიზმარში ნახა მომავლის სამეფოები და ქვა, რომელიც მთას წყდება ადამიანის ხელის შეხების[176] გარეშე და რომ ფარაონს, ეგვიპტის მეფეს, ესიზმრა მომავალი ნაყოფიერების საიდუმლო და შემდგომი სიღარიბე[177]; იყო ასევე კაიაფა (Caïphe), რომელიც ამ წლის მღვდელმთავარი გახლდათ: ის თავად[178] კი არ წინასწარმეტყველებდა, არამედ სულიწმინდის ძალით ლაპარაკობდა ბალაამის სახედარივით[179] და თავად არ ესმოდა, რასაც ამბობდა. ვფიქრობ, რომ არც ერთ წმინდა წინასწარმეტყველს არ უსაუბრია უფრო ღიად ქრისტეზე და მის შობამდელ ორ პერიოდზე, როგორც ეს თავად ღმერთმა ქმნა სიბილას[180] პირით: მოწინააღმდეგე მხარის მიერ მოწოდებული ცნობები ყველაზე უფრო დამაჯერებელია.

ამასობაში, იმისათვის, რომ დაეჭვებულთა გულებიდან ყველანაირი ორაზროვნება გაექროთ, სირიელებმა, რომლებიც ამ წელიწადს ჩვენთან ერთად იყვნენ ლაშქარში, გვაჩვენეს სხვა ძალზედ ძველი წიგნი, რომელიც სარაცინების ენაზე იყო დაწერილი და მათ ის ძველ ბიბლიოთეკაში ეპოვათ. მისი სათაური იყო: „წმინდა პეტრე მოციქულის გა-

მოცხადებები შედგენილი ტომებად მისი მოწაფის კლემენტის მიერ“[181]. ვინც არ უნდა იყოს ამ წიგნის ავტორი, მან ისე ღიად და ზუსტად იწინასწარმეტყველა უფლის ეკლესიის მდგომარეობა დასაბამიდან ანტიქრისტეს მოსვლამდე და სამყაროს აღსასრულამდე, რომ როდესაც ხედავ, თუ როგორ ახდა წარსულის წინასწარმეტყველება, ეჭვი აღარ გეპარება ნაწინასწარმეტყველებ მომავალში. სხვა რაღაცეებთან ერთად მან იწინასწარმეტყველა სარაცინების ვერაგი კანონების გაქრობა. ასევე განაცხადა, რომ ურწმუნოთა დასუსტება გარდაუვალია და ქრისტიანი ხალხი, პირველ რიგში, მწვანეში ჩაფლულ და წყლით გარშემორტყმულ ქალაქს დაიმორჩილებს – ის ამგვარად დამიეტას მოიხსენიებდა; შემდეგ საუბრობს ორ ახალ მეფეზე; ერთი დასავლეთიდან უნდა მოვიდეს, მეორე კი, მისი წინასწარმეტყველებით, აღმოსავლეთიდან მოვა წმინდა ქალაქში ზემოთ ნახსენებ მეფესთან ერთად. ამ მეფეების საშუალებით ღმერთი ბოლოს მოუღებს უღმერთო ადამიანების საშინელ კანონებს. ბევრი განიგმირება მახვილით, სხვები კი ქრისტეს რჯულზე მოიქცევიან, მრავალი ერი[182] უნდა გაერთიანდეს ისრაელის გადასარჩენად, როცა გამოჩნდება იუდა[183]; შემდეგ იქნება საშინელი სამსჯავრო და დასასრული.

ცოტა ხნის შემდეგ, როცა ჩვენ აპოკალიფსის ეს წიგნი დამიეტის წინ ქვიშაზე შეკრებილთ ვაჩვენეთ, მათი წარმოდგენისათვის და დასამშვიდებლად, შევიტყვეთ ზემოთ ნახსენები წერილების მოსვლისა და იმ სასიხარულო ამბების შესახებ, რომელიც მეფე დავითსა და იმპერატორ ფრიდრიხს ეხებოდა, რაც ზემოთ ნახსენები ორი წერილიდან უკვე შევიტყვეთ. ყოველივე ამან ენით აღუწერელი სიხარული მომანიჭა. ხალხში კიდევ უფრო განმტკიცდა ქრისტეს რწმენა მიუხედავად იმ უამრავი დამღლელი და მკაცრი გამოცდისა, რომელიც ამ დღემდე ხალხმა ქრისტესათვის გადაიტანა. ჩვენ კვლავ უფალზე ვამყარებთ იმედებს, რადგანაც ის, ვინც იწყებს, თავადვე დაასრულებს[184], ის გააფართოებს თავისი კარვის სივრცეს და დაასუსტებს თოკებს[185], და მისი საფლავი დიდებით იქნება მოსილი, და დაანგრევს უღმერთოებას მხოლოდ სულის შებერვით[186]: რადგანაც მხოლოდ ის გვაძლევს და გვართმევს სიცოცხლეს, ჩავყავართ და ამოვყავართ ჯოჯოხეთიდან, გვაღარიბებს ან გვამდიდრებს, გვამდაბლებს და აგვამაღლებს[187]. საუკუნეთა შიგან პატივი, ძლევამოსილება და დიდება მას. ამინ.

დაიწერა დამიეტის ლაშქარში აღდგომის მერვე დღეს[188].

კომენტარები

[1] ჟაკ დე ვიტრი „აღმოსავლეთის ისტორიაში“ განსაკუთრებით აქებს ლეოპოლდის გმირობას, რომელიც „წელიწადნახევრის განმავლობაში წმინდა მიწაზე გმირულად ებრძოდა ქრისტეს მტრებს. სამშობლოში გამგზავრების წინ ლეოპოლდმა ტევტონთა ორდენს გადასცა მრავალი საომარი ცხენი და აღჭურვილობა. ასევე მოგვითხრობენ, რომ მან დაუტოვა 200 მარკა და კიდევ უფრო მეტი თანხა მიწების შესაძენად. ტამპლიერებს კი საჩუქრად გადასცა 500 ოქროს მარკა, ახალი ციხე-სიმაგრის ასაშენებლად“. საინტერესოა, რომ ჟაკ დე ვიტრი თავისი წერილების ადრესატებში არცერთ სხვა სამხედრო თუ პოლიტიკურ მოღვაწეს არ იხსენიებს. როგორც ჩანს, აკრის ეპისკოპოსი თავს ვალდებულად თვლიდა, რომ მოეხსენიებინა იგი პაპის და სხვა სწავლული პირების გვერდზე. მიუხედავად იმისა, რომ ლეოპოლდმა ეგვიპტე მანამდე დატოვა, ვიდრე ჯვაროსნები დამიეტას აიღებდნენ, ჟაკ დე ვიტრი მაინც გამოარჩევს მას, როგორც დიდებულ რაინდს სხვა უკან გაბრუნებული ბარონებისაგან განსხვავებით, რომლებიც ეგვიპტეში დარჩენილი თანამებრძოლების და სასულიერო პირების კრიტიკის ობიექტები გახდნენ. ასევე აქებს ლეოპოლდის საქმეებს პადერბორნის ეპისკოპოსი და სან საბინას კარდინალ-ეპისკოპოსი თომას ოლივერუსი თავის „დამიეტის ისტორიაში“. მისი გადმოცემით, ჰერცოგმა ეგვიპტეში ლაშქრობისას თავი გამოიჩინა ვაჟკაცობით, ქრისტიანობისათვის თავდადებით და მოწყალებით. ეგვიპტეში ყოფნისას იგი დაუახლოვდა ტევტონთა ორდენის დიდ მაგისტრს ჰერმან ფონ ზალცას და მასთან ერთად მრავალი საგმირო საქმე ჩაიდინა. ასევე, ევროპაში დაბრუნების წინ ლეოპოლდმა ტევტონთა ორდენს საჩუქრად გადასცა 6000 ვერცხლის მარკა და თავის სამეფოში მიწები უბოძა.

[2] ეტიენი, პარიზის უნივერსიტეტის დეკანი.

[3] აქ ჟაკ დე ვიტრი სალამს უძღვნის პარიზის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდის სწავლულებს და მასწავლებლებს. სამწუხაროდ, მისი სტუდენტობის პერიოდის ცხოვრების წლების შესახებ, ფაქტობრივად, არაფერია ცნობილი. სავარაუდოდ, იგი პარიზის უნივერსიტეტში 1187 წლამდე სწავლობდა. Funk, 1909, p.10-11.

[4] მათეს სახარება 25, 14-30.

[5] მას შემდეგ, რაც ღვთაებრივი წყალობითა და თანაგრძნობით იხილა ქრისტეს ლაშქრის მორჩილება და მოთმინება და შეიბრალა რა მათი ხანგრძლივი ღვაწლი, უფალმა გახსნა მათ წინაშე ეგვიპტის კარნი და დაუმორჩილა ქრისტიანებს ეგვიპტის ცნობილი ქალაქი დამიეტა...“. შდრ. Historia Orientalis-ის პროლოგი. Lettres de Jacques de Vitry, 1998, p. 204. მსგავსი ალეგორიული პასაჟი ჟაკ დე ვიტრის მოცემული აქვს მეექვსე წერილში. „ჩვენ

მთლიანად უფალზე ვართ მინდობილნი, მასზე, ვინც სასწაულებრივად გაგვიღო ეგვიპტის კარნი, ვინაიდან ის დაუმორჩილებს ეგვიპტის დანარჩენ ნაწილს ქრისტიანთა იმპერიას, ააკაშკაშებს რა სინათლეს წყვდიადში და განფენს თავისი ეკლესიის ძლიერებას ქვეყნის დასალიერამდე". შდრ. VI წერილი.

[6] VI წერილში, ჟაკ დე ვიტრი აღნიშნავს კიდეც, რომ როცა ჯვაროსნებმა დამიეტას ალყა შემოარტყეს, ქალაქში სამოცი ათასზე მეტი სარაცინი აღმოჩნდა მომწყვდეული და როცა იქ შევიდნენ, სამი ათასი ძლივს იპოვეს, ისინიც ყოველგვარი წინააღმდეგობის უნარს მოკლებული. საერთოდ, დამიეტის ალყამ ორივე მხარეს დიდი რაოდენობის მსხვერპლი გამოიწვია. მოგვიანებით, 1249 წელს, VII ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილე და მემატიანე, დამიეტასთან ბანაკში მყოფი ჟან დე ჟუანვილი, როცა იხსენებს 1219 წლის ქალაქის აღების ისტორიას, მიანიშნებს, სწორედ ალყის შედეგად შიმშილითა და ეპიდემიებით გამოწვეული დიდი რაოდენობის მსხვერპლის შესახებ. დაღუპულთა რაოდენობის განსაზღვრა მართლაც ძნელია, რადგან თვითმხილველებიც კი დაზუსტებულ რაოდენობას უბრალოდ ვერ მოგვაწვდიდნენ. ამიტომაც, ჟაკ დე ვიტრის VI წერილის სხვადასხვა ხელნაწერში ქალაქის მოსახლეობიდან დაღუპულთა ციფრი 45-60 ათასს შორის მერყეობს.

[7] ისო ნავე 7, 1.

[8] ლუკას სახარება 15, 13.

[9] ჯვაროსანთა ფართო გატაცებამ აზარტული თამაშებითა და მეძავი ქალებით დამიეტასთან დგომის პერიოდში ჟაკ დე ვიტრის ყურადღებაც მიიქცია. ჟაკ დე ვიტრი ერთადერთი ავტორი არ არის, რომელიც ჯვაროსნებს ამ მხრივ განიკითხავს. როგორც ევროპული ისე მუსლიმანური წყაროები ერთხმად აღნიშნავს, რომ ჯვაროსანთა საყვარელი გართობა მსუბუქი ყოფაქცევის ქალები, სხვადასხვა აზარტული თამაში, აბანო და პომპეზური დღესასწაულები იყო. მაგალითად, გიიომ ტირელი სასტიკად აკრიტიკებს გრაფ რობერტ ფლანდრიელსა და მის თანამებრძოლებს იმისთვის, რომ ისინი მთელ დღეს აზარტულ თამაშებში ატარებდნენ, ანტიოქიის სამიკიტნოებსა და აბანოებს ხშირად სტუმრობდნენ.

მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის ისტორიკოსები კი, მაგალითად, ინგლისელი ამბროსი, ბევრს საუბრობენ ფრანგთა ორგიებზე, რომელიც მათ ტირის აღების შემდეგ გამართეს.

წყაროებში ამ ტიპის ჩანართები, რა თქმა უნდა, მოწინააღმდეგისა თუ მეტოქის დისკრედიტაციის მიზნით კეთდებოდა. მიუხედავად ამისა, არ გვაქვს საფუძველი მათ რეალურობაში ეჭვი შევიტანოთ. ის ფაქტი, რომ ჯვაროსნულ აღმოსავლეთში პროსტიტუცია ფართოდ იყო გავრცელებული, ეჭვს არ იწვევს, თუმცა, მთლად ნათელი არ არის, თუ ვინ იყო ამ საქმით დაკავებული.

უსამა იბნ-მუნკიზი გვაწვდის ცნობას, რომ მუსლიმი ტყვე ქალის ყიდვა 500 ვერცხლის დინარად შეიძლებოდა. წყაროებიდან ისე ჩანს, რომ პროსტიტუცია ბევრი ადამიანისთვის პროფესიად იყო ქცეული. მაგალითად, თავის პირველ წერილში ჟაკ დე ვიტრი ძალიან იმედგაცრუებულია იმის გამო, რომ სახლის მეპატრონეები (მათ შორის ეკლესიის მსახურები) ხშირად ოთახებს მეძავებზე აქირავებდნენ. შუა საუკუნეების ავტორები ფართოდ ამხელენ ჯვაროსნების აბანოებით გატაცებასაც. აბანოს შესახებ უსამა იბნ-მუნკიზის ცნობილი მონათხრობიდან ისე ჩანს, რომ აქ, ზოგჯერ, ქალები კაცებთან ერთად დადიოდნენ. ჟაკ დე ვიტრის „აღმოსავლეთის ისტორიიდან" ისიც კი იკვეთება, რომ აბანოში ერთად სიარულს არც მღვდლები და მონაზვნები თაკილობდნენ. თუკი უსამას მონათხრობს დავუჯერებთ, აბანოში წვერის გაპარსვა და თმების შეჭრაც შეიძლებოდა. იბნ ჯუბაირი კი აღნიშნავს, რომ აქ ბევრი ოთახი იყო, სადაც შემსვლელებს თბილ, ცხელ და ცივ აუზს სთავაზობდნენ.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ მუსლიმი ავტორები ფრანკ ქალებს დაუფარავად ამხელენ მსუბუქ ყოფაქცევაში. აღმოსავლეთში ითვლებოდა, რომ ფრანკები თავისუფალ სექსუალურ ცხოვრებას ეწეოდნენ. უსამა იბნ მუნკიზის გარდა, ამას მოწმობს აბუ შამა. იგი გვიყვება წმინდა მიწაზე ჩამოსული სამასი ფრანკი ქალის შესახებ, რომლებიც ყველასთვის (მათ შორის ეკლესიის მსახურებისთვისაც) ადვილად იყვნენ ხელმისაწვდომნი. Хиллдебранд, 2008 p. 338-339; A History of The Crusades, 1977, p. 20-25.

[10] საქმენი 8, 20.

[11] დაბადება 6, 12.

[12] გამოცხადება 22, 11.

[13] ჯვაროსნულ აღმოსავლეთში გართობის საკმაოდ მრავალფეროვანი საშუალებები არსებობდა. შეიძლება ითქვას, რომ გაცილებით მეტი, ვიდრე ევროპაში. ევროპაში, მშვიდობიანობის პერიოდში, რაინდის ცხოვრება ჭამით, ძილითა და ნადირობით შემოიფარგლებოდა. მეურნეობას რაინდი წოდებრივი სიამაყის გამო არ უძღვებოდა. თვით ფეოდალურ სასამართლოსაც კი მისი მოხელეები უძღვებოდნენ (თუკი საქმე წოდებით მათ სწორს არ ეხებოდა). საღამოობით რაინდები, როგორც წესი, ციხე-სიმაგრეში ცეცხლის გარშემო იკრიბებოდნენ და ძვლებსა და ჭადრაკს თამაშობდნენ. რაინდების საოცრად ერთფეროვანი ცხოვრება ოდნავ იცვლებოდა, როცა სასახლეში სტუმრები მოდიოდნენ, დღესასწაული აღინიშნებოდა, ან ტურნირი იმართებოდა.

შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეების ხშირი სტუმრები იყვნენ ჟონგლიორები. ამ სიტყვით სხვადასხვა პროფესიის ადამიანები აღინიშნებოდნენ, რომელთა ფუნქციაც ხალხის გართობა იყო. მათ შორის იყვნენ აკრობატები, მუსიკოსები, მომღერლები, რომანების მთხრობელები და ტრუბადურე-

ბი. ციხე-სიმაგრეებში ისინი, ჩვეულებრივ, ქორწილის, ტურნირების, ახალგაზრდა ფეოდალის რაინდად კურთხევის დროს მოდიოდნენ.

ჟონგლიორებს საკმაოდ მძიმე ცხოვრება ჰქონდათ. ისინი, როგორც წესი, ქალაქის მოსახლეობის მდაბიო ფენას წარმოადგენდნენ. მათი ყოფა ფეოდალურ გარემოსთან იყო დაკავშირებული. მათი სარკაზმი, ხშირად, ფეოდალური ევროპის მანკიერი მხარეებისკენ იყო მიმართული. ჟონგლიორებს შორის განსაკუთრებით პოპულარულები იყვნენ ჯუჯები და კუზიანები.

რაინდთა შეჯიბრი შუა საუკუნეებში გართობის კლასიკურ ფორმას წარმოადგენდა. ამ დროს არსებობდა მოსაზრება, რომ შეჯიბრის ფენომენი მხოლოდ XI საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა. თუმცა, ალბათ უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ მან მხოლოდ ამ პერიოდში მიიღო მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული სახე. გამომდინარე იქიდან, რომ ამ ტიპის ორთაბრძოლების პროტოტიპებს უფრო ადრეულ პერიოდშიც ვხვდებით.

შეჯიბრს, ანუ ე. წ. ტურნირებს, როგორც წესი, მეფეები და ბარონები აწყობდნენ. მასში ევროპის სხვადასხვა კუთხიდან მოსული რაინდები მონაწილეობდნენ. ორთაბრძოლებში ჩართვას არც უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენლები თაკილობდნენ. ტურნირებმა, ჯვაროსნულ ლაშქრობებთან ერთად, შეიძლება ითქვას, რომ გადამწყვეტი როლი ითამაშა ფეოდალური სოციალური სისტემისა და რაინდის ქცევის კოდექსის ჩამოყალიბებაში. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ტურნირებზე რაინდების საბრძოლო ხელოვნებაც იხვეწებოდა. სოციალური პრესტიჟის გარდა ტურნირებში მონაწილეობის მოტივაციას ფულადი ჯილდოს მიღების სურვილიც აძლიერებდა.

საინტერესოა, რომ XIV საუკუნემდე ტურნირზე რაინდებს შორის ინდივიდუალური დაპირისპირებები დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. წმინდა მიწაზე გამართული ტურნირები ჯგუფური ორთაბრძოლის სახით უნდა წარმოვიდგინოთ. ასეთ დაპირისპირებაში ორასამდე კაცი მონაწილეობდა, სადაც რაინდები უფრო მცირე ჯგუფებში იყვნენ გაერთიანებულნი. ტურნირის პირობები სხვადასხვაგვარი იყო. ზოგჯერ მოწინააღმდეგისთვის უბრალო დარტყმის მიყენებაც საკმარისი იყო, ზოგჯერ კი მისი ცხენიდან ჩამოგდება იყო საჭირო. ტურნირზე მთავარ სანახაობად, როგორც ზემოთ აღინიშნა, დაჯგუფებების ბრძოლა ითვლებოდა. ორი მხარე, რომელიც „ნაციების“ ან კუთხეების მიხედვით იყო გაყოფილი, ერთმანეთთან შეურიგებელ ბრძოლას იწყებდა. ამგვარი დაპირისპირებები განსაკუთრებით საშიში იყო, რადგან ცხენიდან ჩამოვარდნილ მეომრებს ხშირად ცხენები ფეხით თელავდნენ. გამარჯვებულებს დამარცხებულები ტყვედ აჰყავდათ. ართმევდნენ ცხენებსა და იარაღს და მათ გამოსასყიდის გადახდას აიძულებდნენ. შუა საუკუნეებში ბევრი რაინდისთვის ტურნირი შემოსავლის

საკმაოდ კარგი წყარო იყო.

ეკლესია ტურნირებს კიცხავდა, რადგან მასში იმ ძალის არარენტაბელურ გამოყენებას ხედავდა, რომელიც მაცხოვრის საფლავის გამოხსნისთვის იყო საჭირო. იმ სახელმწიფოებში, სადაც სამეფო ხელისუფლება ძლიერი იყო (მაგალითად, ინგლისში) ტურნირის აკრძალვა არაერთგზის სცადეს, თუმცა ამას ხელშესახები შედეგი არ მოუტანია. ტურნირი მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში რაინდთა გართობის უმთავრეს საშუალებად რჩებოდა.

ტურნირის გარდა წმინდა მიწაზე ფართოდ იყო გავრცელებული ნადირობა. ამ თვალსაზრისით, ჯვაროსნები აღმოსავლეთის ლანდშაფტს ადვილად მოერგნენ. წყაროები მათ მონადირის ამპლუაში ძალიან ხშირად წარმოგვიდგენენ. მაგალითად, იერუსალიმის ასიზებში აღნიშნულია, რომ ფულკ ანჟუელი კურდღელზე ნადირობისას გარდაიცვალა. მძიმედ აღჭურვილი ჯვაროსნები ბოლომდე არ იყვნენ დაცული გარეული ცხოველებისგან და ქვეწარმავლებისგან. მათ განსაკუთრებულ საფრთხეს ლომები და გველები უქმნიდნენ. ნადირობა შუა საუკუნეების ევროპულ არისტოკრატიას იმის გამო უყვარდა, რომ აქ რაინდს თავისი სიმამაცის გამოვლენა შეეძლო. დაჭრილ ტახთან და დათვთან ომი ისეთივე სახიფათო იყო, როგორც შეიარაღებულ მტერთან დაპირისპირება. ირმების დევნა ცხენოსნობის ტექნიკას ავითარებდა, რომელიც ბრძოლებში სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო. შუა საუკუნეების რაინდი არასოდეს ამაყობდა მშვილდის გამოყენების ტექნიკით. იგი მდაბიოთა იარაღად ითვლებოდა. რაინდები კი ჩიტებზე შევარდნებით ნადირობდნენ.

საინტერესოა, რომ ჯვაროსნები ზოგჯერ თავიანთი მტრების მუსიკალური ხელოვნებითაც ინტერესდებოდნენ. მაგალითად, მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ ერთხელ რიჩარდ ლომგული სალაჰ ად-დინის სიმებიან საკრავებზე დამკვრელმა მოხიბლა. ჟან ჟუანვილთან კი აღნიშნულია, რომ ლუი IX აღფრთოვანებული დარჩა სამი სომეხი ძმის შემოქმედებით.

საინტერესოა, რომ წყაროების საშუალებით ჩვენთვის ცნობილია რამდენიმე სიმღერის დასახელება, რომლებიც ჯვაროსანთა ეპოქაში პოპულარობით სარგებლობდა. მაგალითად, ამბროსის თქმით, როდესაც რიჩარდი შინ ბრუნდებოდა, ხალხი მის დიდებასა და გულუხვობაზე მღეროდა. იგივე ამბროსი ხშირად ახსენებს სიმღერას როლანდზე, რაც XII-XIII საუკუნეებში მის პოპულარობაზე მიგვანიშნებს. ამავე პერიოდში ასევე ფართო გავრცელება ჰქონია სიმღერებს პიპინ მოკლესა და კარლოს დიდზე, მეფე არტურზე, პარისსა და ელენეზე, ტრისტანსა და იზოლდაზე, ალექსანდრე მაკედონელზე. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ანტიოქიისა და იერუსალიმის სიმღერის პირველი ვარიანტებიც სწორედ ამ პერიოდში ჩამოყ-

ალიბდა. A History of The Crusades, 1977, p. 30 - 35; Гуревич, 1994, ст. 163-164,177-178.

[14] 1220 წლის თებერვალში. Lettres de Jacques de Vitry, 1998, p. 204. ჟ. რიშარის აზრით, 1220 წლის 29 მარტს მეფე ეგვიპტიდან გაემგზავრა. იერუსალიმის მეფე ჟან დე ბრიენი უკმაყოფილო იყო პელაგიუსის უარით, რადგან პაპის ლეგატმა არ მიიღო სულთნის მიერ შემოთავაზებული ზავის პირობები. ამის შესახებ ჟაკ დე ვიტრი წერს კიდეც VI წერილში, რომ ამ შემოთავაზებამ ჯვაროსნებში უთანხმოება გამოიწვია. იერუსალიმის მეფეს და პელაგიუსს შორის დაპირისპირება წარმოიშვა. პაპმა პელაგიუსს განუსაზღვრელი უფლებები მიანიჭა. ჟან დე ბრიენი უნდა დამორჩილებოდა მას როგორც სასულიერო, ასევე სამხედრო საქმეში. მეფე უკმაყოფილო იყო პელაგიუსის მედიდურობით, რომელიც დაუკითხავად სჯიდა მის ხელქვეით მყოფ რაინდებს. მიუხედავად იმისა, რომ დამიეტის აღების შემდეგ ლეგატმა ქალაქზე კონტროლის უფლება მეფეს გადასცა, იმდენად დიდი იყო უთანხმოება, რომ ჟან დე ბრიენმა მიატოვა ეგვიპტე და სირიაში დაბრუნდა, ვინაიდან აქ რეალურ ხელისუფალს პელაგიუსი წარმოადგენდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იერუსალიმის მეფე მხოლოდ ლეგატთან უთანხმოების გამო არ გაბრუნებულა უკან. მას შემდეგ, რაც ჯვაროსნები ეგვიპტეში გადასხდნენ, მუსლიმებმა იერუსალიმის მეფეს სირიაში მეორე ფრონტი გაუხსნეს. დამასკოს ემირის ალ-მუ'აზზამის თავდასხმებმა მძიმე დღეში ჩააგდო აკრის რეგიონის მოსახლეობა. ფაქტობრივად გაუკაცრიელდა აკრის გარშემო არსებული მიწები. ფრანკები თავს დაცულად მხოლოდ ტირისა და აკრის ციხე-ქალაქში გრძნობდნენ. 1218 წლის აგვისტოში სირიაში დარჩენილმა ჯვაროსნებმა ესდრელონის დაბლობზე მოაწყვეს მარბიელი ლაშქრობა, მაგრამ კაიმონთან მძიმე მარცხი განიცადეს დამასკოს ემირის და არაბი ბედუინების გაერთიანებულ რაზმებთან ბრძოლისას. მეფის არყოფნის დროს დამასკოს ემირმა გაანადგურა ცეზარეის ახლადაშენებული სიმაგრეები, რომლებიც ასე გულმოდგინებით გაამაგრა ეგვიპტეში გამგზავრების წინ და იქ სერიოზული გარნიზონიც დატოვა. ამას დაემატა სასახლის კარის ინტრიგები, რაც, ასევე, ერთ-ერთი მიზეზი გახდა მისი უკან დაბრუნებისა. მოგვიანებით, 1221 წლის 7 ივლისს, იგი კვლავ დაბრუნდა ეგვიპტეში და სათავეში ჩაუდგა კაიროსაკენ დაძრულ ჯვაროსანთა არმიას. მაგრამ მისი დაბრუნება დამიეტასთან გამოწვეული იყო პელაგიუსის თხოვნით, არმიისათვის ეხელმძღვანელა ჯვაროსანთა შორის ავტორიტეტულ პირს, რადგან, როგორც თვით ჟაკ დე ვიტრი აღნიშნავს, ფაქტობრივად, არავინ იყო ჯვაროსანთა მეთაურებიდან ეგვიპტეში დარჩენილ არმიაში. თუმცა ჟან დე ბრიენი კვლავ თავის პოზიციაზე იდგა, როცა სულთნისგან დესპანი მოუვიდათ ახალი საზავო პირობებით. ამჯერად, ეგვიპტელები დამიეტის დაბრუნების და ეგვიპტიდან ჯარების გაყვანის სანაცვლოდ, მთელ

პალესტინას უთმობდნენ, იმ საზღვრებში, რომელიც ლათინებს, 1186 წლამდე ჰქონდათ. კერძოდ, მუსლიმები ტოვებდნენ მდინარე იორდანეს მთელ დასავლეთ მხარეს, მხოლოდ ტრანსიორდანიას და იდუმეის უდაბნოს იტოვებდნენ, პეტრას ჩათვლით. იგი ურჩევდა პელაგიუსს, რომ ესარგებლათ შემოთავაზებული სამშვიდობო ინიციატივით. სამწუხაროდ, ჟაკ დე ვიტრი მუსლიმთა მეორე შემოთავაზებაზე ამ წერილში არაფერს წერს და, საერთოდ, ეს წერილი დამიეტასთან ჯვაროსანთა ბანაკში არსებული ვითარების აღწერით წყდება. იგი დათარიღებულია 1221 წლის 18 აპრილით, მაშინ ჯერ კიდევ ჯვაროსნები ბანაკად იდგნენ დამიეტასთან და მათი სვლა კაიროსკენ 1221 წლის ივლისის თვეში დაიწყო. ჟაკ დე ვიტრი VII წერილში წყვეტს ეგვიპტის კამპანიაზე საუბარს და გადადის ჯვაროსანთა ბანაკში გავრცელებული, მოარული ამბების აღწერაზე, რომელიც აღმოსავლეთიდან მომავალ მითიურ მოკავშირეს ეხებოდა. Ришар, 2002, ст. 215; Funk, 1909, p. 103-105. Stambuli, 1991, p. 104.

[15] ასე მოიხსენიებს ჟაკ დე ვიტრი ამ შემთხვევაში ტამპლიერებს. სხვა წერილებში იგი ტამპლიერებად იხსენიებს მათ. მხოლოდ II წერილში ერთხელ იხსენიებს მათ ტაძრის მილიციის ძმებად. XII საუკუნის ქართული წყაროები ტამპლიერებს მოიხსენიებს ტაძრელებად. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მოსახსენიებლებში ტამპლიერები მოხსენიებულნი არიან, როგორც „ტაძრელები". მონასტრის ერთ-ერთ ხელნაწერში (H-1661), იხსენიება ტამპლიერთა ორდენის რამდენიმე წევრი: „ქრისტე ღმერთო, შეიწყალე სირ ვრიდრიშ; სირი ჯილიბედ მოიხსენე უფალო; შეიწყალე ძმაჲ ჯვრის პერი ტაძრელთა; ჯვარო პატიოსანო, ადიდე და შეიწყალე სირ პერ კუმანდორი ტაძრელთა". გარდა ამ საბუთისა, ტამპლიერთა მოსახსენიებლები მონასტრის სხვა აღაპებშიც გვხვდება. ეს აღაპები შედგენილი უნდა იყოს XII საუკუნის მეორე ნახევარში, უფრო ზუსტად, 1187 წლამდე. მეტრეველი, 1962; მეტრეველი, 1976. გვ: 255-258; წურწუმია, 2010, გვ. 83.

[16] პიერ დე მონტეგიუ, ტამპლიერთა ორდენის დიდი მაგისტრი 1219-1232 წლებში. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის პირველ ეტაპზე მონაწილეობდა ტამპლიერთა ორდენის დიდი მაგისტრი გიიომ დე შარტრი (შარტრელი) (1210-1218). იგი ახლდა ჯვაროსანთა არმიას ეგვიპტეშიც, როდესაც ისინი გადასხდნენ დამიეტასთან, მაგრამ 1218 წლის აგვისტოში გარდაიცვალა ჯარში გავრცელებული ავადმყოფობით. სხვადასხვა ვერსიით იგი ბრძოლაში მიღებული ჭრილობებისგან დაიღუპა. მისი გარდაცვალების შემდეგ ტამპლიერთა ორდენის მაგისტრი გახდა პიერ დე მონტეგიუ. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ეგვიპტეში წარმოებულ კამპანიაში. მოწინააღმდეგე იყო სულთნის სამშვიდობო შემოთავაზებისა და მხარს უჭერდა კარდინალ პელაგიუსს. მისი ძმა პიერ გუერინ დე მონტეგიუ კი იმ დროისათვის ჰოსპიტალიერთა ორდენის დიდი მაგისტრი იყო.

[17] რაც შეეხება, ტამპლიერთა მაგისტრის და მისი რაინდების უკუქცევას, ცოტა უცნაურია, რომ აქ დავინახოთ უთანხმოება პელაგიუსს და ტამპლიერებს შორის. როგორც ჟაკ დე ვიტრი VI წერილში აღნიშნავს, ტამპლიერები სხვა რაინდთა ორდენებთან ერთად მხარს უჭერდნენ ომის გაგრძელებას და წინააღმდეგნი იყვნენ მუსლიმებთან ყოველგვარი საზავო პირობებისა. იერუსალიმის მეფის წასვლა ეგვიპტიდან გასაგებია, რადგან მოუვიდა უთანხმოება პელაგიუსთან, მაგრამ ტამპლიერების მიერ ამ კამპანიის მიტოვება უცნაურია. პელაგიუსის ავტორიტარულმა მმართველობამ და მისმა ქედმაღლურმა ხასიათმა ძველი მოკავშირეებიც გაანაწყენა.

[18] სავარაუდოდ, ფრანგების სახელქვეშ ჟაკ დე ვიტრი გულისხმობს ზოგადად, როგორც იერუსალიმის სამეფოს, ისე ჯვაროსანთა სხვა სამეფო-საგრაფოებიდან და საფრანგეთის მიწებიდან ჩამოსულ ბარონებს და რაინდებს და მათი ეგვიპტიდან გამგზავრების შესახებ ჟაკ დე ვიტრი მოგვითხრობს კიდეც წინა წერილებში.

[19] აქ საუბარია იერუსალიმის პატრიარქ რაულ დე მერენკურზე. როგორც ვხედავთ, არც სამღვდელოებაში იყო სრული თანხმობა ომის გაგრძელების შესახებ, როგორც ამას ჟაკ დე ვიტრი წარმოგვიდგენს წინა წერილში.

[20] 1218 წელს, მას შემდეგ, რაც ჯვაროსნები გადასხდნენ დამიეტასთან, მათ ლაშქარში იმყოფებოდა კვიპროსის სამეფოს კონეტაბლი (მეჯინიბეთ-უხუცესი), ცეზარეის სენიორი გოტიე თავის 100 რაინდთან ერთად. მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს დამიეტის ალყაში. მაგრამ მისი ეგვიპტეში ყოფნის დროს, ცეზარეა რამდენჯერმე გახდა დამასკოს გამგებლის, ალ-მუ'აზზამის თავდასხმის ობიექტი. ამიტომაც გოტიემ დატოვა თავის რაზმელები ეგვიპტეში და უკან გაბრუნდა თავისი სენიორიის დასაცავად. ჟაკ დე ვიტრი კვიპროსელებში მოიაზრებს გოტიეს მიერ დატოვებულ რაინდებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დამიეტის აღებისათვის ბრძოლაში, მაგრამ შემდგომში, ჩათვალეს რა, რომ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა, დაბრუნდნენ სამშობლოში. სავარაუდოდ, არც კვიპროსელები ეთანხმებოდნენ ომის გაგრძელების იდეას, რადგან მიაჩნდათ, რომ ხელსაყრელი ზავი მუსლიმებთან, მეტ უსაფრთხოებას შესძენდა მათ პოზიციებს, როგორც კუნძულზე, ისე პტოლემაიდაში.

[21] აქ, სავარაუდოდ, იგულისხმება სირია-პალესტინის რეგიონიდან მოსული რაინდები და ასევე ამ რეგიონების ქალაქებიდან შეკრებილი მოქალაქეთა რაზმები, რომლებიც ამ ქალაქების ეპარქიებიდან იყვნენ გამოსულნი. ამიტომ გამოჰყოფს რაინდების ამ კატეგორიას სამხედრო-სასულიერო ორდენების რაინდებისგან. ეს რაზმები შეკრებილნი იყვნენ აკრის რეგიონის ქალაქებიდან, მაგრამ მას შემდეგ, რაც იერუსალიმის მეფე უკან გაემგზავრა, აღარ ისურვეს სიუზერენის გარეშე ბრძოლის გაგრძელება. როგორც ჩანს, უკან გაემგზავრნენ თვით ამ ქალაქთა ეპარქიების მმართველებიც, რომელთა თაოსნობით იყვნენ სალაშქროდ გამოსულნი ეს რაზმები. როგორც ვიცით, XIII საუკუნეში, ჟან დე იბელინის მიერ შედგენილი „მეფეთა წიგნის“ სამართლის მიხედვით, იერუსალიმის სამეფოს ეპარქიების ხელმძღვანელებს ვალდებულება ჰქონდათ, მეფის მოწოდებაზე ქალაქებიდან გამოეყვანათ მოქალაქეთა რაზმები, რომლებიც ავსებდნენ ჯვაროსანთა არმიების სერჟანტთა (ქვეითთა) რიგებს. ამ საკითხზე იხ. V წერილში.

[22] ჟაკ დე ვიტრი, რა თქმა უნდა, მალავს მოლაშქრეთა უკუქცევის ძირითად მიზეზებს, მაგრამ ვერც უარყოფს ეგვიპტეში დარჩენილთა მდგომარეობის სიმძიმეს. ჯვაროსანთა რიგებში გაჩენილი უთანხმოება მხოლოდ ეგვიპტის სულთნის მიერ წამოყენებული საზავო პირობებზე შეუთანხმებლობის გამო არ დაწყებულა. დამიეტის აღების შემდეგ ჯვაროსნებს შორის დაიწყო კონფლიქტი აღებული ქალაქის კვარტლების, ხელში ჩაგდებული ტყვეების, ნადავლის გაყოფის და მითვისების გამო. სამწუხაროდ, ეს არეულობა ვერ შეაჩერეს ვერც ლეგატმა, ვერც მეფემ და ვერც ორდენთა მაგისტრებმა. ამიტომაც, წუხილით წერს ჟაკ დე ვიტრი, სწორედ ამ უზნეობის შესახებ, რაც გავრცელებული იყო ჯვაროსანთა ბანაკში. უნდა აღინიშნოს, რომ დე ვიტრის ისე აქვს მოცემული ეს პასაჟი, თითქოს, მეფის, ტამპლიერთა მაგისტრის, იერუსალიმის პატრიარქის, სხვა ბარონების და ეპისკოპოსების წასვლა ბანაკიდან გამოწვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ ჯვაროსანთა რიგებში არსებული მძიმე მორალური ვითარების გამო. მკვლევრები მუსლიმთა შემოთავაზებულ პირობებზე პელაგიუსის უარს რამდენიმე ფაქტორით ხსნიან. ერთი, რომ პელაგიუსი არ ენდობოდა ეგვიპტელთა პირობას, რომ დაცლიდნენ წმინდა ქალაქს და პალესტინას, რაც ჟაკ დე ვიტრის VI წერილშიც აქვს აღნიშნული. მეორე ის, რომ პელაგიუსს დიდი იმედი ჰქონდა, რომ დამხმარე ძალას მიიღებდა და ეს არ იყო საფუძველს მოკლებული. დამიეტის აღების შემდეგ, ეგვიპტეში გადმოვიდა გერმანელ რაინდთა დიდი დესანტი (400 ბარონი) ბავარიის ჰერცოგის მეთაურობით, რომელიც იმპერატორმა ფრიდრიხ II-მ გამოაგზავნა. გერმანელთა კვალდაკვალ ეგვიპტეს მოადგა მალტის გრაფის საკმაოდ დიდი ესკადრა. ამავე დროს, თვით ფრიდრიხი ჯერ კიდევ 1219 წლიდან აიმედებდა ჰონორიუს III-ს, რომ თვითონ აუცილებლად გაემგზავრებოდა ეგვიპტეში, დამიეტასთან მდგარი ჯვაროსნების დასახმარებლად. პელაგიუსიც საქმის კურსში იყო იმპერატორის პირობის შესახებ, რადგან იმ დროისათვის აქტიური მიწერ-მოწერა მიმდინარეობდა პაპსა და ლეგატს შორის. ასევე, ჰონორიუს III-მ დახმარება სთხოვა საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშას და ქართველებიც აიმედებდნენ პაპს, რომ გაილაშქრებდნენ სირიის მიმართულებით. სწორედ ამ პერიოდში მყარდება დიპლომატიური კონტაქტები საქართველოს სამეფო კარსა და პელაგიუსს შორის. ქართველთა მოსალოდნელი გამოჩენის შესახებ, ჟაკ დე ვიტრის „აღმოსავლეთის ისტორიაშიც“ აისახა.

ამავე დროს, ეგვიპტეში მყოფ ჯვაროსანთა ბანაკში გავრცელდა ინფორმაციები აღმოსავლეთიდან მომავალი მოკავშირის შესახებ (მონღოლების გამოჩენას ისლამის საზღვრებთან ჯვაროსნები საკუთარ ინტერესებს და იმედებს უსადაგებდნენ), რომელმაც ჯვაროსანთა წარმოდგენაში გააცოცხლა თითქმის მივიწყებული ამბავი ლეგენდარული იოანე პრესვიტერის მისტერიებისა. ამას დაემატა ჯვაროსანთა ბანაკში გავრცელებული ცნობები მოციქულთა მოწაფის „კლიმენტის წიგნის“ და IX საუკუნის სპარსელი ნესტორიანელი ჰუნაინ იბნ ისჰაკის წიგნის „ჰანანის წინასწარმეტყველების“ შესახებ, რომლებიც წინასწარმეტყველებდნენ დამიეტისა და ეგვიპტის დაპყრობას, დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ქრისტიანი მეფეების გამოჩენას და ისლამის დაცემას. თუმცა, ამ მოსალოდნელ მოკავშირეებს შორის პელაგიუსს ყველაზე უფრო ფრიდრიხის ეიმედებოდა, რადგან ლეგატი თვლიდა, რომ მისი გამოჩენა ეგვიპტეში ჯვაროსანთა დაქსაქსულ ძალებს კვლავ გააერთიანებდა, რაც საბოლოოდ ამ კამპანიას წარმატებას მოუტანდა. ყველაფერმა ამან, შესაძლოა გარკვეული როლი ითამაშა პელაგიუსის ინიციატივაზე, რომ ბოლომდე მიეყვანა ეგვიპტის დაპყრობის კამპანია. ის, რომ ეს ინფორმაციები ჯვაროსანთა შორის მართლაც სერიოზული მსჯელობის საგანი იყო, ასახულია კიდეც ჟაკ დე ვიტრის ამ წერილში. საკითხის გარშემო იხ. თამარაშვილი, 1902, გვ. 5-12; Bezzola, 1974; ტაბაღუა, 1984, გვ. 73-81, 176-184; ჯაფარიძე, 1995, გვ. 175-176; Ришар, 2002, ст. 214; თვარაძე, 2008, გვ. 92-131.

[23] მატიე, აპულიის გრაფი, რომელიც 1220 წლის ივლისში ეგვიპტეში ჩამოვიდა. ოლივერუსი „დამიეტის ისტორიაში“ მას სიცილიელ მატიედ მოიხსენიებს. Lettres de Jacques de Vitry, 1998, p. 204; Funk, 1909, p. 89, 104.

[24] მას შემდეგ, რაც ჯვაროსნებმა დამიეტა აიღეს, პელაგიუსის ავტორიტეტი განსაკუთრებით გაიზარდა ევროპის ქვეყნების მონარქების თვალში და რომის პაპის ჰონორიუს III-ის კარზე. პაპმა უხვად გაიღო შეწირულობები, როგორც ფულადი თანხების, ისე ჯარისათვის აუცილებელი პროვიანტის სახით. ამავე დროს, პაპი აქტიურად მოუწოდებდა ევროპელ მმართველებს, გრაფებს, ბარონებს, არქიეპისკოპოსებს, რომ დახმარებოდნენ შემოწირულობებით ეგვიპტეში მყოფ მხედრობას. Мишо, 1841, ст. 696-700. საერთოდ, პაპის ლეგატი საკმაოდ მკაცრად აკონტროლებდა თანხების განკარგვას, რაზეც მიუთითებს კიდეც ჟაკ დე ვიტრი. ამავე დროს, პელაგიუსის ეს მკაცრი ზედამხედველობა არ მოსწონდათ მოლაშქრეებს, რადგან მან ჯერ კიდევ დამიეტის აღების შემდეგ მკაცრ ზომებს მიმართა მაროდიორების წინააღმდეგ. მოლაშქრეებს აუკრძალა, გაეტანათ ქალაქიდან ნაძარცვი ქონება და დიდი ნაწილი ჩამოართვა კიდეც მათ. პელაგიუსის ეს პოლიტიკა, ამავე დროს, აიძულებდა ჯვაროსანთა ნაწილს, ეფიქრათ, რაც შეიძლება მალე დაეღწიათ თავი ლეგატის ხელიდან. ბევრი უნებართვოდ

ტოვებდა კიდეც ჯვაროსანთა ბანაკს. ამიტომაც აღნიშნავს ჟაკ დე ვიტრი, რომ ზოგიერთი სულმოკლე დროის გასატარებლად მუსლიმთა ბანაკშიც კი იპარებოდა და მაროდიორობდა.

[25] სულთანმა ალ-ქამილმა თავისი ბანაკი მოაწყო ნილოსის დელტის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირზე, იქ, სადაც მდინარის აღმოსავლეთის შენაკადი ორ დამოუკიდებელ ტოტს ქმნიდა და ააგო ციხე-ქალაქი, რომელსაც უწოდა მანსური (ალ-მანსურა, არაბ. უძლეველი). ამ ციხე-ქალაქში მან ააშენა თავისი დროებითი რეზიდენცია, ბაზარი, აბანოები და მტკიცე გალავანი შემოარტყა მას. როგორც, ჟ. რიშარი აღნიშნავს, სწორედ მანსურის ციხემ ორჯერ იხსნა ეგვიპტე ფრანკთა მძლავრობისაგან. Ришар, 2002, ст. 217. მკვლევრის ამ ნათქვამში გააზრებულია ის ამბები, რომლებიც დატრიალდა ამ ციხესთან მეხუთე და მეშვიდე ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდში. ორივე შემთხვევაში ჯვაროსანთა არმია სწორედ მანსურის კედლებთან შეფერხდა. როგორც მეხუთე, ისე მეშვიდე ლაშქრობის დროს, მას შემდეგ, რაც ეგვიპტელებმა დამიეტა დათმეს, მანსურის ციხე კაიროს გზაზე მთავარი წინაღობა გახდა ფრანკებისთვის, რაც საბოლოოდ ეგვიპტიდან მათი განდევნით დასრულდა.

[26] ჟაკ დე ვიტრი აქ პელაგიუსსა და ჟან დე ბრიენს შორის არსებულ უთანხმოებას მოიაზრებს. მას შემდეგ, რაც ლეგატის მოწოდებით, მეფე კვლავ დაბრუნდა დამიეტასთან, მათ შორის ისევ უთანხმოება ჩამოვარდა. ამჯერად კონფლიქტის მიზეზი ეგვიპტის სიღრმეში ლაშქრობის იდეა იყო, რომელიც ლეგატს გეგმაში ჰქონდა. დამიეტის აღების შემდეგ, როგორც ვიცით, ალ-ქამილმა კვლავ შესთავაზა ზავი ჯვაროსნებს, კიდევ უფრო ხელსაყრელი პირობებით. ჟან დე ბრიენის დაბრუნება გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, ლეგატის მოთხოვნით და, მეორე მხრივ, ჯვაროსანთა რიგებში არსებული მძიმე ვითარებით, რომელსაც ჟაკ დე ვიტრი აღნიშნავს კიდეც ამ წერილში. პელაგიუსმა ჟან დე ბრიენს გააცნო ეგვიპტის სიღრმეში, კერძოდ კაიროზე ლაშქრობის გეგმა. როგორც აღვნიშნეთ, დამიეტის აღების შემდეგ, მისი პოზიცია ომის გაგრძელების საქმეში კიდევ უფრო განმტკიცდა. ერთი, რომ მისი ძალისხმევით დამიეტის ალყა ბოლომდე იქნა მიყვანილი, ხოლო მეორე ის, რომ პელაგიუსს ახალი მოკავშირეების იმედი გაუჩნდა. ლეგატი კაიროზე ლაშქრობის გეგმას იმით ასაბუთებდა, რომ „ბოროტება თავის ბუნაგშივე უნდა დაეთრგუნათ, რადგან სწორედ ეგვიპტე იყო ამ ბოროტების სათავე, საიდანაც ურჯულოთა არმიები ივსებოდა, ხოლო მისი მეთაურები მთავარ საფრთხეს წარმოადგენდნენ წმინდა ომის მიზნებისათვის. ამიტომ, არავითარ შემთხვევაში ხელიდან არ უნდა გაეშვათ ეს შემთხვევა. ფრანკები მიზანთან ასე ახლოს არასდროს ყოფილან. პირველი გამარჯვების შემდეგ დაყოვნება და ერთი ადგილის ტკეპნა მტერს საშუალებას მისცემდა, უკეთ მომზადებულიყო, გამარჯვების რწმენა დაებრუნებინა მაშინ, როცა

ქრისტიანთა გულებში უმოქმედობის გამო შიში ისადგურებდა. რომ დღეს მთელი ქრისტიანული სამყარო მათ შესცქეროდა იმედით და წმინდა მიწა მოელოდა ხსნას ურჯულოთა ხელიდან.“ პელაგიუსი მოუწოდებდა მეფეს და მეომრეებს, რომ საფუძვლიანად ამოეძირკვათ ვერაგი მუჰამედის და მისი მიმდევრების სახელი. მიუხედავად ასეთი პათოსისა, ჟან დე ბრიენს აეჭვებდა კაიროზე ლაშქრობის აუცილებლობა, რომ ეს შეიძლება კატასტროფით დამთავრებულიყო ჯვაროსნებისათვის. მას, პირველ რიგში, აფიქრებდა ამ დროისათვის ნილოსის ადიდების გამო კაიროსკენ მიმავალი გზების დატბორვით გამოწვეული სირთულეები. იგი აღნიშნავდა, რომ „ჩვენ მოვხვდებით სრულიად უცხო ქვეყანაში, ქრისტიანებისადმი მტრული ხალხებით დასახლებულში, სადაც თუ ვერ გავიმარჯვებთ, ვერსად ვერ ვიპოვით თავშესაფარს და მოწყალებას. თუ ჩვენ გავიმარჯვებთ, ვერ გავმაგრდებით, რადგან ევროპიდან ჩამოსული ბარონები და რაინდები ყოველთვის მზად არიან უკან გაბრუნდნენ სამშობლოში. აღმოსავლეთში მცხოვრები ქრისტიანები კი ცოტანი არიან და არა აქვთ საშუალება, ასეთი უკიდეგანო ქვეყანა დაიკავონ. ჩვენ არ გვეშინია მუსლიმთა მხედრობისა, მაგრამ ბრძოლა მოგვიწევს არა მარტო ჯართან, არამედ მთლიანად მოსახლეობასთან. ჩვენ შეგვიძლია ისინი დიდ ბრძოლაში დავამარცხოთ, მაგრამ ისინი მოერიდებიან ჩვენთან შეტაკებას და დაიხევენ უკან თავიანთ უწყლო უდაბნოში და დაელოდებიან ხელსაყრელ მომენტს, ვიდრე ქრისტიანებს ამ სიცხისგან მოწამლულ ჰაერში არ შეაწუხებს ავადმყოფობა, შიმშილი, უწყლობა, ლაშქრობის სიმძიმე, ერთმანეთში კონფლიქტი, ნილოსის ადიდება. ყველაფერი ეს წყალში ჩაყრის ბრძოლის ველზე ჩვენს გამარჯვებას. დამიეტის და თანისის დაკავებაც საკმარისია, რომ მოვარჯულოთ ეგვიპტის ხალხები. პირველ რიგში უნდა დავიბრუნოთ წმინდა ქალაქი და არ ვიფიქროთ იმ ქვეყნის დაპყრობაზე, რომელსაც არასდროს ვფლობდით. შევიკრიბეთ არა იმიტომ, რომ ჯვრის ბაირაღის ქვეშ დაგვეპყრო თებეს, მემფისისა და ბაბილონის მიწები, არამედ – იერუსალიმის გასათავისუფლებლად, რათა იქ გავმაგრდეთ და დავიცვათ ის ბოროტი ხალხებისგან.“ Мишо, 1841, ст. 489-492.

[27] ბელიალი – ბიბლიური პერსონაჟი, დემონური ძალის მქონე. მისი სახელი ასოცირდება გარყვნილებასთან, ცდუნებასთან და უწმინდურ ძალასთან.

[28] აქ საუბარია იმ ფრანკებზე, რომლებმაც მიიღეს ისლამი და იმყოფებოდნენ მუსლიმთა ბანაკში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ კამპანიის დროს ზოგიერთი ეს რენეგატი უბრუნდებოდა ქრისტიანობას და გადმოდიოდა ჯვაროსანთა ბანაკში. ერთ-ერთმა ასეთმა გამუსლიმებულმა ფრანკმა შეატყობინა კიდეც ჯვაროსნებს ალ-ქამილის ბანაკში დაწყებული არეულობების შესახებ, რაც სულთნის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების შედეგად დაიწყო. ამ საკითხზე იხ. V წერილი.

[29] თურქოპოლები – დაქირავებული, მსუბუქი მოისარი ცხენოსანი რაზმები ჯვაროსანთა არმიებში. მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან, რაც ნიშნავს თურქ მეომრებს, მებრძოლებს. პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დროს ევროპელები გაეცნენ მათ, როგორც ბიზანტიურ არმიაში მოქმედ მსუბუქ კავალერიას, რომლებიც თან ახლდნენ ჯვაროსნებს, როგორც გამყოლი, მზვერავი და არიერგარდის დამცველი რაზმები. XII საუკუნიდან კი უკვე გამოჩნდნენ ჯვაროსანთა არმიებში. მათ რიგებს ავსებდნენ ადგილობრივი თურქმენების, სელჩუკების, სირიელების და ასევე იმ ახალგაზრდების რიგებიდან, რომლებიც წარმოადგენდნენ ბერძენი და თურქი ოჯახების შერეული ქორწინებიდან დაბადებულ ჭაბუკებს. ამ ჭაბუკების ნაწილი გაქრისტიანებული იყო. ეს იყო მსუბუქი, მოისარი კავალერია, რომლებიც სერიოზულ ზიანს აყენებდნენ სელჩუკთა და ეგვიპტელ მამლუქთა ცხენოსან რაზმებს და ამავე დროს, ჯვაროსანთა მეთაურები მათ იყენებდნენ მარბიელი და შორეული სამხედრო რეიდებისათვის. სამხედრო კამპანიის დროს, თურქოპოლებს დავალებული ჰქონდათ არიერგარდის და პროვიანტის დაცვაც. თურქოპოლების რაზმები მსახურობდნენ თვით რაინდთა სამხედრო-სასულიერო ორდენებშიც, თუმცა, ქრისტიანი რაინდებისგან და სერჟანტებისგან განსხვავებით, მათი სტატუსი ამ ორდენებში მკაცრად იყო განსაზღვრული და ჩინით თუ პოზიციით ჯვაროსან რაინდებზე დაბლა იდგნენ. ტამპლიერთა ორდენის რაინდები თურქოპოლებს ასევე იყენებდნენ სხვა, დროებით დაქირავებული მუსლიმების რაზმების მეთაურებად. ჯვაროსნებთან მებრძოლი მუსლიმები თურქოპოლებს მოღალატეებად თვლიდნენ და ტყვედ ჩავარდნილებს სასტიკად სჯიდნენ. 1187 წელს, ჰატინთან ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, სალაჰ ად-დინმა ტყვედ ჩავარდნილი არც ერთი თურქოპოლი არ დაინდო და მისმა მეომრებმა ყველანი დახოცეს, როგორც მოღალატეები და სარწმუნოების მტრები, მაშინ როცა, სულთანმა დატყვევებული ჯვაროსნების ნაწილი გამოსასყიდის ფასად და გარკვეული პოლიტიკური თუ სტრატეგიული მოსაზრებებით გაათავისუფლა. მას შემდეგ, რაც XIII საუკუნის ბოლოს ჯვაროსნებმა დატოვეს სირია-პალესტინის მიწები, თურქოპოლთა რაზმების ნაშთები, რაინდთა ორდენებთან ერთად, კუნძულ კვიპროსზე, როდოსსა და მალტაზე გადავიდნენ. გერმანელ ტევტონთა ორდენის რაინდები თავიანთ მსუბუქ კავალერიასაც თურქოპოლებს უწოდებდნენ.

[30] ჯვაროსნული აღმოსავლეთის საბრძოლო ხელოვნება ისტორიოგრაფიაში საკმაოდ კარგადაა შესწავლილი. მის შესახებ არსებობს ისეთი მნიშვნელოვანი ნაშრომები, როგორიცაა: Хилльдебранд, 2008; Smail, 1967; Marshall, 1992; Pringle, 1986. აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვნად წაიწია წინ წმინდა მიწის არქეოლოგიურმა შესწავლამაც.

არაბულ წყაროებს შორის, სადაც აქცენტი სამხედრო საქმეზეა გაკეთე-

ბული, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ათ-თარსუსის 1174 წელს დაწერილი თხზულება, რომელიც მან სალაჰ ად-დინს მიართვა. ჩვენს შემთხვევაში (ანუ მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობაზე მსჯელობისას) არანაკლებ საინტერესოა 1214 წლით დათარიღებული ალ-ხამავის ნაშრომი, რომელიც სიღრმისეულად აშუქებს სამხედრო საქმის ორგანიზებასა და ალყის წარმოების წესებს. წერილობითი წყაროების მონაცემებს მნიშვნელოვნად ავსებს ნივთიერი კულტურის ძეგლები.

მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის ეპოქაში ჯვაროსნებს, ძირითადად, აიუბიანებთან უწევდათ ბრძოლა. აიუბიანების არმია (იმამ ად-დინ ზენგისა და ნურ ად-დინის არმიების მსგავსად), ძირითადად, თურქი და ქურთი პროფესიონალი მებრძოლებისგან შედგებოდა. სალაჰ ად-დინს ასევე ჰყავდა ელიტური შენაერთები, რომელთა რიცხვსაც მამლუქი მონები ავსებდნენ.

გარდა პირადი არმიისა, აიუბიან სულთნებს თავიანთი ნათესავების დახმარების იმედი ჰქონდათ, რომლებიც სხვადასხვა მხარეებს (ალეპო, დამასკო და ა.შ.) მართავდნენ. ისინი არმიაში ხშირად დაქირავებულ თურქმანებსა და არაბ ბედუინებსაც იწვევდნენ. მიუხედავად აიუბიანთა დინასტიის ქურთული წარმომავლობისა მათ არმიაში თურქული ელემენტი სჭარბობდა. მუსლიმთა არმიის მთავარი იარაღი იყო შუბი, რომელიც რკინისგან ან ხისგან (რკინის წვერით) კეთდებოდა. იგი მეომრებს მოწინააღმდეგის რამდენიმე მეტრის დისტანციაზე დაზიანების საშუალებას აძლევდა. შუბს ფეხოსნებიც აქტიურად იყენებდნენ. წყაროებში სხვადასხვა სახეობის (მაგალითად იემენური და ინდური) შუბებიც კი იხსენიება.

უსამა იბნ-მუნკიზი გვიყვება საინტერესო ისტორიას იმის შესახებ, რომ მან, თავის პირველ ბრძოლაში (1119 წელს) მთელი ძალით დაარტყა შუბი ფრანკ რაინდს. იგი დარწმუნებული იყო, რომ ჯვაროსანი მოკლა, მაგრამ შემდეგ შემთხვევით შეიტყო რაინდის გადარჩენის ამბავი. შუბს მხოლოდ მისი აბჯრის ორი ფენა გაუჭრია. ეს ცნობა ფრიად საინტერესოა იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად ეფექტური, ან არაეფექტური იყო მუსლიმთა იარაღი მძიმედ აღჭურვილი ჯვაროსნების წინააღმდეგ. თავის თხზულებაში უსამა შუბის გამოყენების ტექნიკაზეც საუბრობს და მკითხველს ურჩევს იგი, ფრანკული წესით, (მიბჯენით) დაიჭირონ. უსამა საინტერესოდ ჰყვება ფრანკების მხრიდან შუბების გამოყენების ტექნიკაზეც. კერძოდ, თავისი თხზულების ერთ-ერთ ნაწილში იგი საუბრობს ახლადდაქორწინებულ წითლებში გამოწყობილ ქურთ მებრძოლზე, რომელიც ფრანკი შუბოსნის მსხვერპლი გახდა. მეორეგან კი აღნიშნავს, რომ არასოდეს უხილავს შუბის დარტყმის ისეთი ძალა, რომელმაც, ერთ-ერთ ბრძოლაში, მისი თანამებრძოლი იმსხვერპლა.

მიუხედავად შუბის დიდი მნიშვნელობისა, ხმალს მუსლიმურ სამყაროში ძალიან მაღალი სტატუსი ჰქონდა. თუმცა, წყაროებიდან ისე ჩანს, რომ

ფრანკების ხმლები გაცილებით ეფექტური იყო. მაგალითად, ალ-ყაზვინის ცნობით, ფრანკული ხმლები ინდურზე გაცილებით ბასრი და გამძლე იყო.

ხელჩართულ ბრძოლაში მუსლიმები ხანჯლებსა და ტაბარებს (ნაჯახის მსგავსი იარაღი) იყენებდნენ. როგორც ჩანს, ისინი ფრანკების წინააღმდეგ ბრძოლისას ძალიან ეფექტური იყო. მაგალითად, იბნ-ვასილი აცხადებს, რომ 1250 წელს მანსურის ციხესთან ბრძოლისას ყველა ფრანკი ამ იარაღით იქნა მოკლული. ათ-თარსუსი ძალიან დეტალურ ცნობებს გვაწვდის ჯვაროსანთა ეპოქის მშვილდებისა და არბალეტების შესახებ და მათი დამზადების საიდუმლოებებზეც საუბრობს. მისი თხზულებიდან ჩანს, რომ ფრანკებს განსაკუთრებით ცხენოსანი მოისრების ეშინოდათ. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მუსლიმთა ჯარში ფეხოსან მშვილდოსნებსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ. მუსლიმთა არმიაში ფარსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ათ-თარსუსი აღნიშნავს, რომ ყველა ხალხი თავისებურ ფარს ატარებს. იგი მუსლიმურ მრგვალ ფარს, რომელიც ლითონის, ხისა და ტყავისგან შედგებოდა, „ტურსს“ უწოდებს. ჯვაროსნების ფარს კი „ტარიკის“ სახელით იხსენიებს. ამ ტიპის ფარი ზედა ნაწილში მომრგვალებული იყო, ქვემოთ კი ვიწროვდებოდა და წვეტიანი ბოლოთი მთავრდებოდა. ტარიკის მსგავსი იყო მესამე ტიპის ფარიც, რომელსაც „ჯანუვიას“ უწოდებდნენ. მისი საშუალებით მეომრები ისრების „წვიმისგან“ თავდასაცავ ზღუდეს ქმნიდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ფარი, პირველ რიგში საბრძოლო იარაღი იყო. იგი მისი მფლობელის სოციალურ სტატუსზეც მიანიშნებდა. ცალკეულ შემთხვევებში იგი სიმდიდრისა და ფუფუნების ნიშნადაც ითვლებოდა.

წმინდა მიწაზეც და ევროპაშიც რაინდის აღჭურვილობა პრაქტიკულად იდენტური იყო. ჯვაროსანთა არმია რაინდებისა და სერჟანტებისგან შედგებოდა. შუა საუკუნეების ჯვაროსანი ნამდვილ ციხე-სიმაგრეს წააგავდა. სერჟანტებიც რაინდებივით იყვნენ ჩაცმული, თუმცა, მათი აღჭურვილობა ყოველთვის სრულყოფილი არ იყო. შესაძლოა მათ ფარი, ან მუზარადი არ ჰქონოდათ. ამის გამო, ომის დროს ყველაზე ხშირად სწორედ ისინი იღუპებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ მუსლიმი ავტორები, ზოგჯერ, ფრანკი სარდლების სიმამაცეს ხოტბას ასხამენ, მაგრამ ეს „კომპლიმენტები“ ძალიან შეზღუდულ ხასიათს ატარებს. მაგალითად, ისინი საკმაოდ იშვიათად აქებენ ფრანკებს ტყვეებთან კარგი მოპყრობის გამო. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთ გამონაკლისს ბოდუენ IV წარმოადგენს, რომელსაც ხშირად ახსენებს იბნ ალ-ასირი. კერძოდ, იგი ჰყვება, თუ როგორ დიდსულოვნად მოექცა 160 ალეპოელ ტყვეს. მუსლიმები ფრანკებში მხოლოდ სიმამაცეს აფასებდნენ. თავის თხზულებაში უსამა იბნ-მუნკიზი ამბობს „ფრანკები – ღმერთო, დააუძლურე ისინი – ადამიანისთვის დამახასიათებელი არანაირი ღირსებით არ ხასიათდებიან გარდა სიმამაცისა...“.

თავის მხრივ მოწინააღმდეგის სამხედრო ღირსებებს, როგორც ჩანს, ჯვაროსნებიც მიაგებდნენ პატივს. იგივე უსამა გვიყვება 1104 წელს ბაბუა-მისისა და ტანკრედის დაზავების შესახებ, რომელიც ანტიოქიას ბოემუნდ ტარენტელის შემდეგ მართავდა. უსამას ბაბუას ტანკრედისთვის ცხენი მიურთმევია. ცხენზე ქურთი ახალგაზრდა, სახელად ჰასანუნი ყოფილა ამხედრებული. ჯვაროსნები მოხიბლულან მისი ცხენზე ჯირითის ხელოვნებით და მისთვის ძვირფასი ტანსაცმელი უჩუქებიათ. Гуревич, 1994, ст. 163-165, 167; Хиллдебранд, 2008, ст. 432-449; A History of The Crusades, 1977, p. 30 - 35.

[31] ამ კამპანიის დროს ტყვედ ჩავარდნილ ქრისტიანებს მუსლიმები კაიროში და კიდევ უფრო შორს, ბაღდადში აგზავნიდნენ. ჟაკ დე ვიტრი ამ წერილში აღნიშნავს კიდეც, რომ სულთანმა ხალიფას წარჩინებული ჯვაროსანი ტყვეები გაუგზავნა, რათა მათზე ზემოქმედების მეშვეობით, სასურველი ზავისათვის მიეღწია და შემდგომში მათ მოლაპარაკების პროცესში იყენებდა. რაც შეეხება ალექსანდრიაში დატყვევებულებს, აქ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე. კერძოდ, ალ-ქამილის მოწოდებით ეგვიპტელებმა თავიანთ ქვეყანაში მცხოვრები ქრისტიანი კოპტების და მელქიტების შევიწროება დაიწყეს, რომლებსაც ჯვაროსნებთან კავშირს აბრალებდნენ. სულთანმა ასევე მოუწოდა თავის ძმებს, რომ მესოპოტამიასა და სირიაში ადგილობრივი ქრისტიანების დევნა დაეწყოთ. ეგვიპტიდან დევნილი კოპტების ნაწილმა თავი ეთიოპიას შეაფარა. ეგვიპტელებმა ალექსანდრიის წმინდა მარკოზის ტაძარი წაბილწეს, დიდი თანხა დააკისრეს და ქალაქში მყოფი ქრისტიანთა მრევლი მკაცრად შეზღუდეს. თვით ალექსანდრიის პატრიარქი ნიკოლოზი დილეგში ჩააგდეს, რადგანაც აბრალებდნენ, რომ მას მიმოწერა ჰქონდა რომის პაპთან და ევროპელებს ეგვიპტეში ლაშქრობისაკენ მოუწოდებდა. ნიკოლოზს ჯერ კიდევ ადრე, 1209 წელს ჰქონდა მიმოწერა ინოკენტი III-თან, სადაც იგი დახმარებას სთხოვდა, რომ ეშუამდგომლა ალ-'ადილთან, ეგვიპტეში ქრისტიანთა ხვედრის შესამსუბუქებლად და მუსლიმთა ტყვეობაში მყოფი სასულიერო თუ სამხედრო პირების გასათავისუფლებლად. პატრიარქი მხოლოდ 1221 წელს, ჯვაროსნებსა და სულთანს შორის დადებული ზავის შემდეგ გაათავისუფლეს, მას შემდეგ, რაც ფრანკებმა დატოვეს დამიეტა. წყაროების მონაცემებით, ამ პერიოდში, ქრისტიანთა დევნის დროს ეგვიპტეში ფანატიკოსმა მუსლიმებმა ასთხუთმეტი ეკლესია გაძარცვეს და დაანგრიეს. ნიკოლოზი მოგვიანებით ჰონორიუსსაც სთხოვდა დახმარებას, მას შემდეგ, რაც ჯვაროსნებმა დამიეტა და მთლიანად ეგვიპტე დატოვეს. ჯვაროსანთა წასვლის შემდეგ კიდევ უფრო დამძიმდა ქრისტიანთა მდგომარეობა ალექსანდრიაში და ზოგადად ეგვიპტეში. Ришар, 2002. p. 216-217; Мишо, 1841, ст. 700-703; Grousset, p. 216-218.

[32] ამ ქალაქებში დატყვევებული ქრისტიანების გარდა, მუსლიმთა ხელში იმყოფებოდნენ ამ კამპანიის დროს ტყვედ ჩავარდნილი ჯვაროსნები. ზოგიერთი მათგანის ტყვეობის და მათი შემდგომი ბედის შესახებ ჟაკ დე ვიტრი V, VI და VII წერილებში მოგვითხრობს.

[33] სულთნის მოწოდებით, მუსლიმმა მეკობრეებმაც გაახშირეს თავდასხმები ქრისტიანთა გემებზე და პორტებზე. სულთნის ხელისუფლება ადრე სასტიკად სდევნიდა მათ. რადგან განურჩევლად მრწამსისა, ისინი ყველას ესხმოდნენ თავს ზღვაზე. არსებულმა ვითარებამ კი აიძულა მუსლიმი მმართველები, რომ მიეცათ უფლება მეკობრეებისათვის, თავისუფლად ეთარეშათ. ეგვიპტელებმა, ფაქტობრივად, მეკობრეებს მიანდეს ჯვაროსანთა ფლოტილიებთან ბრძოლა, რადგან მას შემდეგ, რაც ფრანკები დამიეტასთან გადმოსხდნენ, მათ კონტროლი დაკარგეს ზღვასა და პორტებზე. მეკობრეთა ეს რაზმები სერიოზულ ზიანს აყენებდნენ ეგვიპტისკენ მომავალ იტალიური ქალაქებისა და ჯვაროსანთა ფლოტილიებს, რომლებსაც დამიეტისკენ გადაჰქონდათ არმიისთვის განკუთვნილი სურსათი, თანხები და გადაჰყავდათ მოლაშქრეები.

[34] ტექსტში მუსლიმთა ჯარი იწოდება „Turcopoli". Lettres de Jacques de Vitry, 1998, p. 204.

[35] საინტერესოა, ამ შემთხვევაში ვინ იგულისხმება თურქებში? მეხუთე წერილში ჟაკ დე ვიტრი თურქებს უწოდებს სირიის და ევფრატის რეგიონებიდან, დამასკოს გამგებლის ალ-მუ'აზზამის მიერ შეკრებილ მეომრებს, რომელთა არმიები გაემართნენ ეგვიპტის სულთნის დასახმარებლად. V წერილში ჟაკ დე ვიტრი აშკარად განასხვავებს თურქებს ეგვიპტელი სარკინოზებისგან, რომლებსაც, განსხვავებით თურქთაგან, ავტორი სარაცინებად მოიხსენიებს. რაც შეეხება ამ წერილში თურქებად (მოხსენიებულ თურქთა სახელქვეშ) მოხსენიებულ მუსლიმებს, აქ ავტორი აღარ აკეთებს განსხვავებას და მოწინააღმდეგეს, ხან თურქებად, ხან სარაცინებად იხსენიებს.

[36] სოფონია 1, 12.

[37] ჟაკ დე ვიტრი ამ ციხის გარშემო განვითარებული მოვლენების შესახებ გვესაუბრება III და IV წერილებში. როგორც ჩანს, მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფრანკთა პოზიციებისათვის სირია-პალესტინაში და ჟაკ დე ვიტრი ამ ციხის მნიშვნელობაზე და მის გარშემო განვითარებული მოვლენების შესახებ სამ წერილში აღნიშნავს. მისი ასე ხშირი მოხსენიება წერილებში იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ ეგვიპტეში განვითარებული მოვლენების პარალელურად, მის მიდამოებთან პერმანენტული შეტაკებები მიმდინარეობდა და ალ-მუ'აზზამმა, მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდში ორჯერ, უშედეგოდ სცადა აეღო იგი. თუმცა იმ დროისათვის დამასკოს გამგებელი ახალ სისტემატიურ თარეშზე გადავიდა ჯვაროსანთა სამფლობელოების წინააღმდეგ აკრისა და ტირის რეგიონში. იგი არა მარტო ციხე-ქალაქებს უტევდა, არამედ დაიწყო ფრანკთა წინააღმდეგ ეკონომიკური საბოტაჟი. კერძოდ, მისი ბრძანებით, მუსლიმები ანადგურებდნენ ქალაქგარეთ ფრანკ-

თა დასახლებების მეურნეობას, ბაღ-ვენახებს, ხეხილის ხეებს, წვავდნენ მოსავალს. ეს კიდევ უფრო ამძიმებდა ისედაც გაღატაკებული იერუსალიმის სამეფოს მდგომარეობას. იერუსალიმის მეფის პრელატები საფრანგეთის მეფე ფილიპ ოგიუსტს სთხოვდნენ ფინანსური დახმარება გაეწია გაღატაკებული სამეფოსათვის, მაგრამ მეფემ ყურადღების გარეშე დატოვა ეს მოთხოვნა.

[38] ზოგადად, ჟაკ დე ვიტრის უარყოფითი დამოკიდებულება აქვს ქალაქების მცხოვრებთა მიმართ და განსაკუთრებით ეს გამოსჭვივის აკრის მოქალაქეებზე საუბრის შემთხვევაში. ეს კარგად ჩანს მის II წერილში. ის, რომ აკრის მცხოვრებლები არ მონაწილეობდნენ ეგვიპტის კამპანიაში, სრულ სიმართლეს არ შეესაბამება. ეგვიპტის ლაშქრობაში მონაწილეობდა მეფე თავის რაინდებთან ერთად, რომლებიც აკრის სამეფოს და მის გარშემო არსებული სენიორიების სამხედრო კონტიგენტს წარმოადგენდნენ. მერე თვით ჟაკ დე ვიტრი აღნიშნავს V წერილში, რომ მას ჰყავდა რაზმი და ეს მებრძოლეები აუცილებლად იქნებოდნენ აკრიდან, რადგან ეპარქიის ხელმძღვანელებს ჟან დე იბელინის მიერ შედგენილი „მეფეთა წიგნის“ სამართლის მიხედვით, ვალდებულება ჰქონდათ აღებული, რომ მეფის ბრძანებით გამოეყვანათ ქალაქის მოსახლეობიდან მეომრები, რომლებიც ძირითადად სერჟანტთა (ქვეითთა) რიგებს ავსებდნენ. გარდა ამისა, ჟაკ დე ვიტრი VII წერილში აღნიშნავს, რომ პრელატებს ჰყავდათ თავიანთი რაზმები და ესენი იყვნენ აკრის რეგიონის ეპარქიების მცხოვრებლები. ჟაკ დე ვიტრის წუხილი და შიში გასაგებია, რადგანაც, როგორც წერილიდან ჩანს, მდგომარეობა ქრისტიანთა ბანაკში ძალიან მძიმე იყო. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, უბრალო მოლაშქრეებისთვის და თვით რაინდებისათვის, ძირითადად გაუგებარი იყო იერუსალიმის სანაცვლოდ კაიროსთვის და დამიეტისთვის ბრძოლა, რომ მათი დაპყრობის მნიშვნელობა რაიმე სტრატეგიული ნიშნით აღექვათ. ასევე შეიძლება ავხსნათ ტამპლიერთა მაგისტრის უკუქცევის მიზეზი. პილიგრიმთა (პელერინის) ციხე-სიმაგრე ტამპლიერების ხელში იყო და ამიტომაც დიდი მაგისტრი თავის რაინდებთან ერთად გაეგზავრა მის დასაცავად. უნდა აღინიშნოს, ის ფაქტიც, რომ სირია-პალესტინაში მუსლიმთა გააქტიურება ემსახურებოდა ჯვაროსანთა ძალების დაქსაქსვას.

[39] ჟაკ დე ვიტრის მიერ ნახსენები ასირიელების მხარეში მდებარე სამეფო კალაფის მმართველ სერაფის სახელქვეშ იგულისხმება ხლათის და ალ-ჯაზირის გამგებელი, ქალაქ ჰარრანის მფლობელი, ალ-მალიქ ალ-აშრაფ მუსა (1210-1237). სულთან ალ-'ადილის უმცროსი ვაჟი, რომელიც 1210 წელს, ძმის ალ-მალიქ ალ-ავჰადის გარდაცვალების შემდეგ დაეუფლა ხლათს და შაჰ-არმენის ტიტულიც მიიღო. ხლათის დაკავების შემდეგ იგი გახდა ივანე ათაბაგის ქალიშვილის თამთას მეუღლე, რომელიც მანამდე ალ-მალიქ ალ-ავჰადის ცოლი იყო. ალ-აშრაფი ერთ-ერთი ყველაზე ენერგიული მმართველი გახლდათ აიუბიანებს შორის. მან მოახერხა რუმის სელჩუკთა სულთნის ქეი-ქაუსის დამარცხება 1218 წელს მანბიჯის ბრძოლაში, რომელიც ემუქრებოდა აიუბიანთა სამფლობელოებს ჩრდილოეთ სირიაში. ასევე, ალ-აშრაფმა მოახერხა მნიშვნელოვნად გაეფართოებინა საკუთარი სამფლობელოები ჩრდილოეთ სირიასა და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში. კონტროლი დაამყარა ქალაქ ალეპოზეც. მას შემდეგ, რაც 1219 წლის ნოემბერში დამიეტა დაეცა და ჯვაროსნებმა დაიწყეს კაიროზე ლაშქრობის მზადება, ალ-მალიქ ალ-ქამილმა სწორედ ძმებს მოუწოდა დასახმარებლად. ალ-აშრაფს დაევალა თავისი აქტიურობით საფრთხე შეექმნა ჯვაროსანთა სამფლობელოებისათვის ჩრდილოეთ საზღვრებიდან. სწორედ ამას აღნიშნავს ჟაკ დე ვიტრი წერილის ამ მონაკვეთში. Zarnke, 1875, p. 138-148; ჯაფარიძე, 1995, გვ. 172-174. ჩვენს ნაშრომში ასევე გაზიარებულია ისტორიოგრაფიაში ადრე გამოთქმული მოსაზრება, რომ ასირიელთა მხარეში მცხოვრები კალაფის მმართველი სერაფი უნდა იყოს ხლათის და ჩრდილოეთ სირიის მმართველი ალ-მალიქ ალ-აშრაფ მუსა. მაგრამ წერილში ქვემოთ ნახსენებ მეფე დავითსა და სერაფს შორის არსებული დაპირისპირების ისტორია გააზრებული გვაქვს ქართველთა და ხლათის მმართველის კონფლიქტის ჭრილში. Tsitlanadze, Gogoladze, 2012, p. 99-103.

[40] ალ-აშრაფმა ეგვიპტის სულთნის წინადადება დახმარების თაობაზე დამიეტის დაცემის შემდეგ მიიღო, 1219 წლის ნოემბრის შემდეგ, მაგრამ იგი დროულად ვერ მიეშველა საკუთარ ძმას. მან ეგვიპტეში გამგზავრება მხოლოდ 1221 წლის დამდეგისათვის მოახერხა და მისი შეფერხების მიზეზად მკვლევრები ასახელებენ საფრთხეს ქართველთა მხრიდან, რომელიც ემუქრებოდა აიუბიანთა სამფლობელოებს ხლათის და ჩრდილოეთ მესოპოტამიის რეგიონში. კერძოდ, თ. ნატროშვილი ვარაუდობს, რომ ალ-აშრაფის ეგვიპტეში გამგზავრება გზას გაუხსნიდა ქართველთა მხედრობას დამასკოსკენ. ასევე გ. ჯაფარიძე ფიქრობს, რომ ალ-აშრაფის დაბრკოლების მიზეზი შეიძლება მართლაც იყო საფრთხე ქართველთა მხრიდან და 1220 წელს, მონღოლების მიერ ქართველთა დამარცხებამ გზა გაუხსნა მას ეგვიპტისაკენ. ჟ. რიშარიც აღნიშნავს, რომ ქართველთა სამეფო, მიუხედავად მონღოლთა დარტყმებისა, მაინც ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა და საფრთხეს უქმნიდა ალ-აშრაფის სამფლობელოებს სომხეთში. სწორედ ქართველთა ზეწოლის შედეგად ვერ მოახერხა ალ-აშრაფმა 1221 წლამდე ეგვიპტის სულთნის დახმარება. საერთოდ, მკვლევართა ამ მოსაზრებას მხარს უმაგრებს ის ამბები, რომლებიც გადმოცემული აქვთ ჟაკ დე ვიტრის, ოლივერუსს და XIII საუკუნის სხვა ავტორებს, კერძოდ, იორდანუსს, სიმონ დე კვენტინს, ვოლატერანოს, კარდინალ ბარონიუსს, მარინო სანუტოს. ისინი ერთხმად აღნიშნავენ, რომ ქართველები მზად იყვნენ ჯვაროსანთა დასახმარებლად, დაემუქრნენ ალ-მუ'აზზამს იერუსალიმის კედლების დანგრევის

გამო და შეუთვალეს, რომ დაარბევდნენ დამასკოს. ამავე დროს, მკვლევართა მიერ გააზრებულია ის დიპლომატიური კონტაქტები, რომლებიც დამყარდა ქართველთა მეფე გიორგი IV ლაშას და პელაგიუსს შორის დამიეტის აღების შემდეგ. სწორედ ამ დროს გამოცხადებულან ქართველთა ელჩები ჯვაროსანთა ბანაკში და შეთანხმებულან, რომ საქართველოს მხედრობა დაეხმარებოდა ჯვაროსნებს, ხოლო აიუბიანებს კი საფრთხეს შეუქმნიდა ჩრდილოეთ სირიასა და მესოპოტამიაში. ეს რეგიონი სწორედ ალ-აშრაფის საგამგებლო მიწა-წყალს წარმოადგენდა. ამ დიპლომატიური კონტაქტების შესახებ ცნობებს ვხვდებით პელაგიუსის და ჰონორიუს III-ის, საქართველოს მეფის რუსუდანის, ივანე ათაბაგის და ჰონორიუს III-ის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში. ნატროშვილი, 1991, გვ. 89; ჯაფარიძე, 1995, გვ. 179; Ришар, 2002. ст. 220-221; თამარაშვილი, 1902, გვ. 7-12; ტაბაღუა, 1984, გვ. 73-81.

[41] იალქნიანი ხომალდი.

[42] რაც შეეხება ჟაკ დე ვიტრის მიერ აქ მოხსენიებულ ხლათის გამგებლს და მის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს, აშკარად გადაჭარბებულად აქვს მოცემული ალ-აშრაფის მიერ აღმოჩენილი დახმარების მასშტაბები. ჩვენი აზრით, ასეთი ფართო, ყოვლისმომცველი სამხედრო ოპერაციის ჩატარების შესაძლებლობა ალ-აშრაფის სამხედრო პოტენციალს აღემატებოდა. მან დახმარება გაუწია ალ-ქამილს, იმყოფებოდა კიდეც მის ბანაკში, მაგრამ საეჭვოა, რომ სახმელეთო ოპერაციის გარდა, საკუთარი ძალებით ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო მოეცვა. ის, რომ მუსლიმთა ფლოტმა დამიეტასთან და თანისის ციხე-სიმაგრესთან მენზალეს ტბაში, ნილოსის დელტის მიდამოებში გემები შემოიყვანა და ჯვაროსანთა ხომალდებს დიდი ზიანი მიაყენა, სიმართლეს შეესაბამება, მაგრამ ეს მოხერხდა არა მხოლოდ ალ-აშრაფის, არამედ სხვა მუსლიმი ამირებისა და გამგებლების საერთო ძალისხმევით. ალ-ქამილის მოწოდებას, გარდა დამასკოს და ხლათის გამგებლებისა, გამოეხმაურნენ აიუბიანთა სხვა მმართველებიც, რომელთა სამფლობელოები მოიცავდა სირიის, ჩრდილოეთ მესოპოტამიის, არაბეთის რეგიონის მხარეებს. კერძოდ, ალ-ქამილს მხარში ამოუდგნენ, ალეპოს, ბაალბეკის, ჰამის, ბასრის და სხვა საამიროების გამგებლები. სწორედ მათი დახმარებით შეიქმნა ერთიანი ფრონტი ჯვაროსანთა წინააღმდეგ როგორც ხმელეთზე, ისე ზღვაზეც.

[43] დაბადება 31, 42.

[44] გამოსვლათა 4, 31.

[45] ისაია 28, 19.

[46] ფსალმუნები 3, 5.

[47] იოანეს სახარება 8, 23.

[48] ოლივერუსისა და ჟაკ დე ვიტრის თხზულებები პირველხარისხოვანი წყაროებია, რათა დავინახოთ, თუ როგორ აღიქვა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის კრახი პაპის კურიამ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენამდე ასევე მოაღწია ეპისტოლარულმა მემკვიდრეობამ, რომელიც საშუალებას გვაძლევს, იგივე მოვლენები ჯვაროსნული ლაშქრობის სხვა მონაწილეების თვალით დავინახოთ. მაგალითად, შეგვიძლია დავასახელოთ, ტამპლიერთა მაგისტრის პიტერ მონტეგიუს მიერ დაწერილი ორი წერილი, რომლებიც როჯერ ვენდოვერის ქრონიკაშია დაცული. პირველი მათგანი 1221 წლით თარიღდება და, სავარაუდოდ, ელნეს ეპიკოპოსისადმია მიწერილი. მეორე წერილის (რომელიც 1222 წელს დაიწერა) ადრესატი კი ინგლისში ტამპლიერთა ორდენის წარმომადგენელია. საინტერესოა, ასევე, პეტრე ალბანელის წერილი ჩესტერის მმართველისადმი, თუმცა, ეს წერილები, მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის ფინალურ ფაზას ეხება, რომლის შესახებაც ჟაკ დე ვიტრის წერილებში ინფორმაციას ვერ ვხვდებით. Crusade and Christendom, 2013, p. 250, 260.

[49] ესაია 46, 8.

[50] I მეფეთა, 10, 6.

[51] ფსალმუნი 106, 34.

[52] ტორონის ციხე მდებარეობდა ისტორიულ გალილეაში, რომელიც აკონტროლებდა ტირიდან დამასკოსკენ მომავალ გზას. ის აშენებული იყო სამხრეთ ლიბანის მთებში, მაღალ ბორცვზე. სახელწოდება ტორონი მოდის ძველი ფრანგულიდან, რაც ნიშნავს მიუდგომელ ბორცვს ანდა მნიშვნელოვან ადგილს. ეს სახელწოდება ამ ციხემ ადგილმდებარეობის გამო მიიღო. ჟაკ დე ვიტრი სწორედ ასე უწოდებს ნილოსის ნაპირზე აშენებულ ციხეს, მსგავსად ტორონისა და მას უდაბნოს ტორონის სახელით მოიხსენიებს. სამხრეთ ლიბანის ტორონის შესახებ ინფორმაცია იხ. VI წერილში.

[53] ბუტავანი (ფრ: Butavant). ეს სახელი შეიძლება მოდიოდეს ფრანგული დასახლებული პუნქტის ბუტავანის სახელწოდებიდან, რომელიც ბოვეს მახლობლად მდებარეობს, სადაც 1199 წელს ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთისა და ინგლისის მეფეთა წარმომადგენლები. Lettres de Jacques de Vitry, 1998, p. 205; Briefe des Jacobus de Vitriaco, 1894. s. 98.

[54] დიდი ტბა. აქ საუბარია მენზალეს ტბაზე, რომელიც ნილოსის დელტის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა. ტბის დასავლეთ სანაპირო ზოლთან მდებარეობდა დამიეტა, ხოლო აღმოსავლეთ ნაპირზე თანისის ციხე-სიმაგრე.

[55] აქ მთავრდება ჟაკ დე ვიტრის მიერ აღწერილი ეგვიპტისათვის ბრძოლის ისტორია. წერილის დათარიღებიდან (1221 წლის 18 აპრილი) ჩანს, რომ ეგვიპტის კამპანია ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. წერილის მიხედვით, მიმდინარე კამპანიაზე საუბარი წყდება დამიეტის აღების შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე, რომლებიც ჯვაროსნებსა და ეგვიპტის სულთანს შორის წვრილ-წვრილი შეტაკებებით აისახებოდა. VI წერილი დათარიღე-

ბულია 1220 წლის გაზაფხულით და მასში ასახულია 1219-1220 წლების შემოდგომა-ზამთრის მოვლენები, წყდება დამიეტის აღების ამბით. დამიეტა ჯვაროსნებმა აიღეს 1219 წლის 5 ნოემბერს. VII წერილში მოვლენების აღწერა კი გრძელდება 1220 წლის მარტის ამბებით, კერძოდ იერუსალიმის მეფის ჟან დე ბრიენის უკან გაბრუნებით (1220 წლის 29 მარტი). სწორედ აქედან უნდა მოვიაზროთ VII წერილის მიხედვით განვითარებული მოვლენები, რასაც ჟაკ დე ვიტრი აღწერს 1221 წლის აპრილამდე. იქ აღწერილი ძირითადი ამბები, კერძოდ: იერუსალიმის მეფის, ტამპლიერთა მაგისტრის, იერუსალიმის პატრიარქის და სხვა ჯვაროსნების უკან გაბრუნება, სიცილიის გრაფ მატიეს ყოფნა (ეგვიპტეში ჩამოვიდა 1220 წლის ივლისში) ჯვაროსანთა ბანაკში, ალ-ქამილის მიერ მანსურის გამაგრება-მშენებლობა, სულთნის მოწოდება ეგვიპტეში ქრისტიანთა შევიწროებისაკენ, დამასკოს გამგებლის მიერ პელეგრინის ალყა, ხლათის და ალ-ჯაზირის მმართველის ალ-აშრაფის გამოსვლა ანტიოქიის და ტრიპოლის რეგიონში, ასევე მისი გამგზავრება ეგვიპტეში, მონღოლთა გამოჩენა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური წრეების თვალსაწიერში, რომელიც ჯვაროსანთა წრეებში აღქმულ იქნა, როგორც იოანე პრესვიტერის ხელახალი მოვლინება – ყველა ეს მოვლენა, სავარაუდოდ, ამ პერიოდს (1220 მარტი-1221 წლის აპრილი) ემთხვევა. კაიროზე ლაშქრობა დაიწყო 1221 წლის ივლისში. იერუსალიმის მეფე ჟან დე ბრიენი ეგვიპტეში დაბრუნდა 1221 წლის 7 ივლისს, როცა ჯვაროსანთა არმია მზად იყო სალაშქროდ. მეფემ კიდევ ერთხელ სცადა პელაგიუსის დაყოლიება მუსლიმებთან საზავო პირობებზე, მაგრამ ვერაფრით შეასმინა ლეგატს თავისი მოსაზრებები და ჟან დე ბრიენიც იძულებული გახდა სათავეში ჩადგომოდა არმიას. მიუხედავად იმისა, რომ ფრანკებმა მანსურამდე დაუბრკოლებლად იარეს, მეფის შიში გამართლდა. ალ-ქამილი თავისი არმიით მათ მანსურის კედლებთან ელოდებოდა. მან მოუწოდა თავის ძმებს: დამასკოს გამგებელს ალ-მუ'აზზამს, მოსულის ამირას, ხლათის მმართველს ალ-აშრაფს და მათგან დიდი მატერიალური და ცოცხალი ძალის დახმარება მიიღო. ალ-ქამილმა ამ ომს „საღვთო ომის" სახე მისცა და მოუწოდა მუსლიმებს, რომ ყველა გაერთიანებულიყო მისი დროშის ქვეშ, რადგან ისლამს დიდი საფრთხე ემუქრებოდა. სულთნის მოწოდებაში ძირითადი აქცენტები მიმართული იყო ჯვაროსანთა მიერ ჩადენილ უმსგავსო ქმედებებზე, როცა მათ დამიეტის მეჩეთზე ჯვარი აღმართეს, ზარები ჩამოკიდეს და მუეძინების ლოცვა ქრისტიანი ბერების ქადაგებებით შეცვალეს. მისმა სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჯარზე და მას შემდეგ, რაც შეიტყვეს, რომ ქრისტიანებმა დატოვეს დამიეტა და გაემართნენ მანსურისაკენ, მუსლიმთა ათასეულებს ერთხმად აღმოხდათ „ალაჰი დიდია"! 24 ივლისს ჯვაროსნებმა მიაღწიეს ნილოსის დელტის სამხრეთ-აღმოსავლეთის სანაპიროს, მაგრამ გადამწყვეტი შეტაკება, ფაქტობრივად,

არც გამართულა. ფრანკებმა ვერ მოახერხეს მანსურზე გენერალური იერიშის მიტანა, რადგან ეგვიპტელებმა მოშალეს ნილოსის დამბები, რამაც გამოიწვია გზების დატბორვა. ამას დაემატა მდინარის ძლიერი ადიდება და კალაპოტიდან გადმოსვლა, რის შედეგად ფრანკები მოსწყდნენ გარემომცველ სამყაროს, ხმელეთზე მყოფ არიერგარდს, რომელსაც დავალებული ჰქონდა მოემარაგებინა ავანგარდი პროვიანტით, საბრძოლო მასალით და ახალი რაზმებით. ფაქტობრივად, ჯვაროსნები ჭაობში აღმოჩნდნენ, საიდანაც გამოსვლა შეუძლებელი იყო. ამას დაემატა ხმელეთიდან მუსლიმთა მოისარი რაზმების დისტანციური შეტევები და ეგვიპტელთა ფლოტის მიერ ნილოსის დელტის სათავეების გადაკეტვა. მუსლიმთა ესკადრამ მოახერხა დამიეტის ყურეში შესვლა და იქ მდგარი ქრისტიანთა გემების განადგურება. ამჯერად არათუ წინსვლა, არამედ უკან დახევაც კი შეუძლებელი გახდა. ფრანკები გარემოცულნი აღმოჩნდნენ, როგორც ხმელეთიდან, ასევე წყლიდან. ყოველივე ამან კატასტროფის წინაშე დააყენა ჯვაროსანთა არმია და მისი მეთაურები უკვე აქეთ სთხოვდნენ სულთანს უსაფრთხოების გარანტიებს, საზავო პირობების სანაცვლოდ. ამჯერად პელაგიუსიც მიხვდა მდგომარეობის სიმძიმეს და, ფაქტობრივად, იერუსალიმის მეფეს ეგვიპტის სულთანთან საზავო მოლაპარაკების წარმოება გადააბარა.

სულთანმა მოლაპარაკებებზე დიდი პატივით მიიღო ჟან დე ბრიენი, რაც ძალიან აღიზიანებდა პელაგიუსს. მან ძვირფასი საჩუქრები გადასცა მეფეს და ჯვაროსნებს საჭმელიც კი გაუგზავნა. ზავი დაიდო: ფრანკებს შეეძლოთ უკან გაბრუნებულიყვნენ, დამიეტა კი მუსლიმებს უნდა დაბრუნებოდათ. ჟან დე ბრიენმა მიაღწია შეთანხმებას, რომ ხელმოწერის და ქალაქის ევაკუაციის შემდეგ ეგვიპტესა და სირიაში დატყვევებული ჯვაროსნები გათავისუფლდებოდნენ მუსლიმთა ტყვეობიდან. ამ შეთანხმებამ იტალიელი ვაჭრების უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი ცდილობდნენ, რომ დრო გაეწელათ, ვინაიდან მალტის გრაფის, ენრიკო პესკატორეს ძალებს ელოდებოდნენ. თუმცა, მცდელობა ამაო იყო. 1221 წლის 7 სექტემბერს დამიეტა ქრისტიანებმა დაცალეს და ალ-ქამილი კი ტრიუმფით შევიდა ქალაქში. წასვლამდე ჟან დე ბრიენმა რვაწლიანი ზავი დადო მუსლიმებთან. რ. სტამბული თავის ნაშრომში წერს, რომ თავის მხრივ, ჟაკ დე ვიტრიმაც მადლობის წერილი მისწერა სულთანს, რადგანაც მან ტყვეები გაათავისუფლა და „სულთნის კეთილგანწყობა ჯვაროსნების მიმართ სულ უფრო და უფრო დიდი ხდება. როდესაც ზავი დაიდო, მან გაათავისუფლა იესო ქრისტეს თაყვანიმცემლები, რომლებიც მის ციხეებში იმყოფებოდნენ. ისინი დაახლოებით ოცდაათი ათასი იყვნენ. მან (სულთანმა) არჩევანის საშუალება მისცა: თუ სურდათ, შეეძლოთ თავიანთ მიწებზე დაბრუნება, თუ არა და – მის არმიაში სამსახური. მან ასევე ბრძანება გასცა, რომ გათავისუფლებულებისათვის მიეცათ საკვები. ამისათვის იგი მხოლოდ მდიდრებს ახ-

დევინებდა ფულს, ხოლო ავადმყოფებსა და ღარიბებს საერთოდ არაფერს არ ართმევდა“. საბოლოოდ, სწორედ ჟან დე ბრიენის შუამდგომლობის შემდეგ, ალ-ქამილმა ნება დართო ფრანკთა რაზმების ნაშთებს უვნებლად გამოსულიყვნენ ამ ხაფანგიდან.

მუსლიმების გამარჯვებას მანსურასთან ხელი შეუწყო ფრიდრიხ II-ის ჩამოუსვლელობამაც. დამიეტაში მას მოუთმენლად ელოდნენ. სულთანი ალ-ქამილი ებრაელ და მუსლიმ ვაჭრებს ეკითხებოდა ფრიდრიხის შესახებ და ინფორმაციებს აგროვდებდა. საბოლოოდ იმპერატორი არ ჩამოვიდა და გამარჯვების მომტანი ჯვაროსნული ლაშქრობა აღარ შედგა. დამარცხებაში პაპი ფრიდრიხს ადანაშაულებდა, ვინაიდან პელაგიუსის დადანაშაულება პაპობის პრესტიჟს ჩირქს სცხებდა. იმპერატორი კი თვლიდა, რომ მან იწინასწარმეტყველა ამ ლაშქრობის მარცხი და მისი იქ ყოფნა-არყოფნა არაფერს არ ცვლიდა. ამის შემდეგ ურთიერთობები რომის კურიასა და იმპერატორს შორის გართულდა. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ გადაწყდა, რომ იმპერატორი 1227 წელს გაემგზავრებოდა წმინდა მიწაზე, მაგრამ ჰონორიუს III ამას ვეღარ მოესწრო. ეს ამბები დასრულდა 1221 წლის 30 აგვისტოს კაპიტულაციით, დამიეტის და მთლიანად ეგვიპტის დატოვებით. წერილში აღწერილი შემდგომი მოვლენები კი ეხება მოარული ლეგენდების და წინასწარმეტყველთა წიგნების განხილვას. საკითხი ეხება ლეგენდარული იოანე პრესვიტერის (მეფე-ხუცესი) მითიური პერსონაჟის რეინკარნაციას, კერძოდ, „მეფე დავითის რელაციოს“. მეფე დავითის ამბავი ასევე გადმოცემულია პელაგიუსის და ჰონორიუს III-ის მიმოწერაში. საერთოდ, პელაგიუსის, ჰონორიუსის, ჟაკ დე ვიტრის და ოლივერუსის ცნობებისა თუ წერილების საფუძველზე, შემდგომში მრავალი ინფორმაცია გავრცელდა ევროპაში მეფე დავითზე. იოანეს ახალ პროტოტიპებზე ამბებს გვაწვდის XIII საუკუნის მემატიანე ბერი ალბერიხი. მის ქრონიკაში საუბარია მონღოლთა გამოჩენის შესახებ და ამ „მოისარი ტომების“ ამბები კი მისთვის ასოცირდება აღმოსავლეთში მცხოვრებ ქრისტიან მბრძანებელთან და ალბერიხიც მონღოლთა მბრძანებელს მეფე დავითს უწოდებს. მეფე დავითზე ინფორმაცია გვხვდება ასევე XIII საუკუნის ავტორის კოგეშალეს ინგლისურ ქრონიკაში, სადაც აღნიშნულია, რომ 1221 წელს მთელს საქრისტიანოში გავრცელდა ხმა მეფე დავითზე, რომელიც იოანე მეფე-მღვდლად იწოდება. ის თავისი ჯარით დაიძრა ინდოეთიდან, გაანადგურა მიდიელები და სპარსელები. XIII-XIV საუკუნეების ვენეციელი ისტორიკოსი მარინო სანუტო უფროსიც თავის თხზულებაში „ჯვრის სარწმუნოების საიდუმლოთა შესახებ“ ასევე იმეორებს წინა ავტორთა გადმოცემებს, მაგრამ საინტერესოა მისი ცნობებიც საქართველოს შესახებ, კერძოდ, მონღოლებისა და ქართველების პირველი შეტაკებები, ქართველთა სურვილი დახმარებოდნენ ჯვაროსნებს და ქართველთა ლაშქრობების ადრინდელი ისტორიები სელჩუკების წინააღმდეგ

სპარსეთის მიმართულებით. Stambuli, 1991. p. 106-107; 115-116. „Gesta Dei per Francos“, 1611, p. 237.

[56] საერთოდ, აიუბიანთა შორის მტკიცე ერთობა არ იყო, რადგან სალაჰ ად-დინის მიერ დატოვებული უზარმაზარი პოლიტიკურ-გეოგრაფიული სივრცე, ერთიან, მთლიან ორგანიზმს არ წარმოადგენდა. მისი გარდაცვალების შემდეგ, ეს უზარმაზარი კონფედერაციული გაერთიანება განაწილდა მის მემკვიდრეებს შორის. ფორმალურად, ამ სახელმწიფოს უზენაესად ითვლებოდა დიდი სულთანი, რომელიც დამასკოში, ან კაიროში იჯდა. მხოლოდ მას შეეძლო თავისი დროშის ქვეშ გაეერთიანებინა აიუბიანთა ძალები საერთო საფრთხის შემთხვევაში, მაგრამ ამ სივრცეზე არსებული მსხვილი თუ წვრილი საამიროების მმართველები თავს დამოუკიდებლად გრნობდნენ და საკუთარი მიწების სრული პატრონები იყვნენ. მართალია, მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდში, დროებით განმტკიცდა კავშირი აიუბიანთა მმართველებს შორის, რადგან საფრთხე უკვე კარს იყო მომდგარი და ეგვიპტის დაკარგვის შემთხვევაში, არც სირია-პალესტინაში მყოფ მუსლიმებს დაადგებოდათ კარგი დღე. ჯერ კიდევ მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყების წინ, ეს ფარული თუ აშკარა მტრობა ნათლად გამოვლინდა, როცა ჩრდილოეთ სირიაზე პრეტენზიები განაცხადა აიუბიანთა საერთო მტერმა, რუმის სულთანმა ქეი-ქავუსმა. შემდგომში, 1224 წელს, ალ-მუ'აზზამის წაქეზებით, ხლათისა და ალ-ჯაზირის გამგებელს ალ-აშრაფს აუჯანყდა თავისი ძმა შიჰაბ ად-დინ ღაზი, რომელმაც ისარგებლა ალ-აშრაფის არყოფნით და მოინდომა დაპატრონებოდა ხლათს. ეს კონფლიქტი კიდევ უფრო გამწვავდა XIII საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს, როცა დაპირისპირება უკვე შეიარაღებულ შეტაკებებში გადაიზარდა და მხარეები არ ერიდებოდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ საერთო მტრების, ჯვაროსნების და ხორეზმელების ძალების გამოყენებასაც კი. კონკრეტულ შემთხვევაში რთულია გავარკვიოთ, თუ უშუალოდ რომელ კონფლიქტზე მიუთითებს ჟაკ დე ვიტრი, მაგრამ რადგან იგი ეხება 1221 წლის გაზაფხულის პერიოდში სირია-პალესტინაში დატრიალებულ ამბებს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს უთანხმოება არსებობდა დამასკოსა და ხლათის გამგებელს შორის.

[57] დამასკოს გამგებელმა ეს ციხე მიატოვა მანამ, სანამ ის ხელმეორედ ეგვიპტეში გამოემართებოდა. მის მიერ პელერინის ციხის დატოვება არ იყო გამოწვეული აღმოსავლეთიდან ჯვაროსანთა მითიური მოკავშირის გამოჩენით, როგორც წერილის შემდგომი მონაკვეთიდან ჩანს, როცა ჟაკ დე ვიტრის, ორივე ძმის უკუქცევა სწორედ ამ მოვლენასთან აქვს დაკავშირებული. ალ-მუ'აზზამის მიერ პელერინის ციხის მიტოვება, გამოწვეული იყო ამ ციხის უნაყოფო ალყით. მას შემდგომში ვხედავთ ალ-ქამილის ბანაკში, მაშინ, როცა ჯვაროსნებმა 1221 წლის ივლისის პირველ რიცხვებში დაიწყეს შეტევა კაიროზე. ალ-მუ'აზზამთან ერთად სულთანის ბანაკში იმყოფებოდ-

ნენ ალეპოს, ჰამის, ბაალბეკის, ბასრის ამირები და არაბეთის ნახევარკუნ-ძულიდან შეკრებილი ბედუინთა რაზმების მეთაურები. იგი კამპანიის ბოლომდე იდგა ძმის გვერდით და მონაწილეობდა ასევე იმ საზავო პირობების შემუშავებაში, რომელიც 1221 წლის აგვისტოში შესთავაზა ალ-ქამილმა ჯვაროსნებს, მანსურასთან გამარჯვების შემდეგ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ალ-მუ'აზზამი, თავისი ძმისგან განსხვავებით, შეუძლებლად თვლიდა ფრანკებთან ზავის დადებას და მოითხოვდა, რომ არა მარტო ეგვიპტიდან, არამედ, სირია-პალესტინიდან ამოეკვეთათ ქრისტიანებისათვის ფეხი. საერთოდ, ის აიუბიანთა შორის გამოირჩეოდა ჯვაროსნებისადმი შეურიგებელი პოზიციით და ამ დამოკიდებულების გამო ხშირად მოსდიოდა კონფლიქტი, როგორც თავის ძმებთან, ისე სხვა ამირებთან. მოგვიანებით, ალ-მუ'აზზამი განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო ალ-ქამილის და გერმანიის იმპერატორ ფრიდრიხ II-ის ახლო ურთიერთობებით. ამას ემატებოდა შიდა ტერიტორიული კონფლიქტები ძმებს შორის სხვა საამიროებზე გავლენის განსამტკიცებლად. ეს დაპირისპირება იმდენად გაღრმავდა ფრიდრიხ II-ის წმინდა მიწაზე გამოჩენის პერიოდში, რომ ალ-მუ'აზზამმა ხორეზმელები მოიწვია თავისი ძმების ალ-ქამილისა და ალ-აშრაფის გაერთიანებული კოალიციის წინააღმდეგ, რომლებმაც მის წინააღმდეგ საბრძოლველად, თვით გერმანიის იმპერატორს სთხოვეს დახმარება. ალ-მუ'აზზამის საღვთო ომის იდეა გამოხატული იყო მის ტიტულატურაში – „როგორც ჯიჰადის მეომარი, რომელსაც მფარველობს ღმერთი, გამარჯვებული, ის, ვინც იცავს ჭეშმარიტი რელიგიის საზღვრებს, ისლამის ბურჯი". წარწერაში მოხსენიებული ეს „ჰაჯიბა", მიძღვნილი ალ-მუ'აზზამისადმი, დათარიღებულია 1213-1214 წლებით. Хилленбранд, 2008, ст. 207.

[58] ჟაკ დე ვიტრის ამ წერილში მოცემული აქვს „მეფე დავითის რელაციის" ტექსტი, რომელიც ეხება ნახევრად რეალური და ზღაპრული ინდოეთის მეფის იოანე პრესვიტერის თქმულების რეინკარნაციას ჯვაროსანთა წარმოდგენებში. საერთოდ, მკვლევართა აზრით, ამ რელაციოს საფუძველი გახდა თათარ-მონღოლთა მეთაურის, ჩინგიზ-ხანის ჯარის დასავლეთისკენ ლაშქრობების ისტორიები, რომლებიც ჯვაროსანთა წრეების აზროვნებაში წმინდა მიწის დასახსნელად აღმოსავლეთიდან მომავალი უხილავი ქრისტიანი მმართველის შესახებ არსებული ლეგენდების ციკლში გაერთიანდა. შუა საუკუნეების ევროპული კარტოგრაფია ინდოეთს სამ ნაწილად ჰყოფდა. ერთი, რომელიც მოიცავდა ეთიოპიას და მას შუა ან მცირე ინდოეთად განიხილავდნენ. მეორე, ინდოეთს მიდიის გაღმა ქვეყანას უწოდებდნენ, ხოლო მესამე ნაწილი კი სადაც იყო იოანე პრესვიტერის სამეფო, სამყაროს კიდედ მიიჩნევდნენ. ზოგადად, ჯვაროსნულ ეპოქაში, ინდოეთის საკვირველების და მისი მხარეების მისტერიების შესახებ გავრცელებულ თვალსაზრისს, დიდად შეუწყო ხელი, 1122 წელს პაპ კალიქტუს II-ის კარზე

ინდოეთის პატრიარქის ვინმე იოანეს ვიზიტმა, რომელიც დაუჯერებელ ამბებს ჰყვებოდა აღმოსავლეთის რეგიონების შესახებ. ამ ცნობებს გვაწვდის ოდო ფონ რეიმსი. ასევე, ასეთი ტიპის ცნობებს გარკვეულწილად ხელს უწყობდა თომა მოციქულის მისიონერული მოღვაწეობის ამბები იმ რეგიონებში. ინდოეთის მოსახლეობას ევროპელები წმინდა თომას მრევლსაც უწოდებდნენ, რის გამოც ინდოეთი მოიაზრებოდა ქრისტიანულ ქვეყანად. ამიტომაც, იოანე პრესვიტერის 1165 წლის ეპისტოლეში, ამ ქრისტიანი მეფის სამშობლო ინდოეთის მიწებია, სადაც მისი ქვეშევრდომებიც ძირითადად ქრისტიანები იყვნენ. სწორედ ამ წერილიდან წამოვიდა შემდგომში ამ მითიური მეფის ინდოელობის ამბები, რომელიც მთელი XII-XIII საუკუნეების მანძილზე ასეთი ეთნიკურ-გეოგრაფიული ნიშნით აღიქმებოდა მაშინდელ ევროპულ სამყაროში. ჟაკ დე ვიტრიც იმეორებს ამ გავრცელებულ თეორიას, მითიური, მეფე-მღვდლის ინდოელობის შესახებ და ამჯერად იოანეს მემკვიდრე, დავითი გამოჰყავს ინდოეთის მეფედ. საინტერსოა, ასევე ის ფაქტიც, რომ დე ვიტრის ახალი პრესვიტერის სამშობლო ეთიოპიაში არ გადააქვს და მიუხედავად იმისა, რომ დავითის ინდოელობის თეორიაც, ძველ გადმოცემებზეა დამყარებული, ჩვენ მემატიანეს შემოჰყავს ახალი გეოგრაფიულ-პოლიტიკური ნომენკლატურა მისი სამეფოების გალერეაში – „ხატა", ხატაეთი. ხატაეთის გეოგრაფიული ცნების გაჩენა, ვიტრისეულ რელაციოში, გვიჩვენებს, რომ ჩვენს მემატიანეს მეტ-ნაკლებად ზუსტი ინფორმაციები ჰქონდა ამ თქმულების არქეტიპის საფუძვლების შესახებ. მონღოლთა გამოჩენის შემდეგ, XIII საუკუნის შუა ხანებიდან, მას შემდეგ, რაც პაპის კურიამ ახალი კვლევა-ძიება ჩაატარა ამ ლეგენდარული მეფის სამშობლოს მოსაძიებლად, ნელ-ნელა გაფერმკრთალდა მისი ინდოელობის თეორია, რადგან აღმოსავლეთში, კერძოდ ცენტრალური აზიის სტეპებში, იოანეს ადგილსამყოფელს ვერ მიაგნეს და მისი ფიგურა თურქულ-მონღოლური ტომების მეთაურების სხვადასხვა ისტორიულ პერსონაჟებს დაუკავშირეს. XIV საუკუნიდან კი პოპულარული იყო იოანეს ეთიოპელობის თეორია და ამ იდეის ხორცშესხმას და მისი სამეფოს მოძიებას აფრიკის აღმოსავლეთით ცდილობდნენ პორტუგალიელები. თუმცა, დროთა განმავლობაში მათმა ცდამ, მოეძებნათ ეს უნახავი მეფე-მღვდელი, უშედეგოდ ჩაიარა. Райт, 1988, ст. 244-249.

[59] რაც შეეხება ალ-აშრაფის უკუქცევის მიზეზს, განსხვავებით თავისი ძმისგან, მას, როგორც ჩანს, მართლაც ჰქონდა სერიოზული საფუძველი. 1221 წლისათვის ვითარება მისი სამეფოს ჩრდილოეთ საზღვრებთან საკმაოდ დაძაბული იყო. 1220 წლის ბოლოს, სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში გამოჩნდნენ მონღოლთა რაზმები, რომლებმაც დიდი რისხვა დაატეხეს თავს ადგილობრივ მოსახლეობას. მათ მიერ ქართველთა დამარცხებამ გარკვეული რეზონანსი გამოიწვია მეზობელ მუსლიმურ ქვეყნებში და თვით

ჯვაროსანთა წრეებშიც. მონღოლთა მიერ ქართველთა დამარცხება აისახა კიდეც ჟაკ დე ვიტრის „მეფე დავითის რელაციოს“ ერთ-ერთ პასაჟში. თუმცა, ალ-აშრაფის უკუქცევას თუ მონღოლთა გამოჩენას დავუკავშირებთ, შეიძლება დავინახოთ ის ისტორიული რეალობა, რომელიც დატრიალდა 1221 წლის დასაწყისში საქართველოს საზღვრებთან. მონღოლებმა იმ ხანებში შეიტყვეს ქართველთა და მუსლიმთა ერთობლივი მზადების შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს, ხლათის და აზერბაიჯანის მმართველთა ძალების ერთიან გამოსვლას კავკასიაში შემოსული მონღოლების გასადევნად. მაგრამ მათ დაასწრეს მოკავშირეებს, არ მისცეს ამ გეგმის განხორციელების საშუალება და სასტიკად დაამარცხეს 1221 წლის იანვარში ქართველთა არმია. შეიძლება ეს ფაქტი გახდა მიზეზი ალ-აშრაფის უკუქცევისა, რადგან მან დაინახა მონღოლთა გამოჩენის საფრთხე. თუმცა, მეორე მხრივ, ხლათის მმართველის ამ საქციელში სხვა მიზეზიც შეიძლება დავინახოთ და გამოვრიცხოთ მონღოლური კვალი. როდესაც მონღოლები 1220 წლის დეკემბერში კავკასიაში შემოვიდნენ, ისინი ჯერ კიდევ შორს იყვნენ ხლათის და ალ-ჯაზირის რეგიონებიდან, კერძოდ, ალ-აშრაფის სამფლობელოებიდან. მონღოლთა ამ ექსპედიციამ მოიცვა აღმოსავლეთ კავკასიის რეგიონები. კერძოდ, ისინი აზერბაიჯანის მხრიდან შემოვიდნენ რანში, მოაღწიეს განჯამდე, შემდგომ მოარბიეს სომხეთი და ჰერეთი, ბანაკად კი დადგნენ გაგისა და მუღანის მხარეში. ბოლოს, როდესაც 1221 წლის ზამთარში ქართველები კიდევ ერთხელ დაამარცხეს, გაიარეს შირვანი და დარუბანდის გზით გადავიდნენ კასპიისპირეთის მხარეებში და გაეცალნენ კავკასიას. მონღოლთა საფრთხე რომ არ დამუქრებია აიუბიანთა ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვრებს, ჩანს კიდეც ალ-აშრაფის პოზიციაში, როცა საკითხი ეხებოდა ქართველთა ინიციატივით, 1220 წელს ანტიმონღოლური კოალიციის შეკვრის მცდელობას. ალ-აშრაფის მხრიდან უარის მიზეზი იყო მისი მოუცლელობა, რადგან ემზადებოდა ეგვიპტეში ფრანკთა წინააღმდეგ გასალაშქრებლად. მისი პოზიცია კარგად ჩანს მის მიერ ახსნილ მიზეზშიც, რომ თათრები შორს იყვნენ და ჯერ კიდევ არ ემუქრებოდნენ მის ქვეყნებს, ხოლო ჯვაროსნებთან ომი კი სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმედ მიაჩნდათ იმ დროს აიუბიანთა მესვეურებს. იბნ ალ-ასირის ცნობით, ალ-აშრაფმა ეგვიპტეში ჯვაროსანთა წინააღმდეგ გამგზავრების მიზეზით, ასევე უარი უთხრა ბაღდადის ხალიფა ან-ნასირს დახმარების თაობაზე, ბაღდადზე მონღოლთა მოსალოდნელი თავდასხმის შემთხვევაში. როგორც ვხედავთ, მონღოლთა გამოჩენის პირველ ეტაპზე, აიუბიანებისათვის თათრები ჯერ კიდევ არ წარმოადგენდნენ სასიცოცხლო საფრთხეს. მოვლენების ასეთი რეკონსტრუქციით, საეჭვოდ გვეჩვენება წერილისეული პასაჟი ლეგენდარულნი დავითის ჯარების (მონღოლთა) გამოჩენის გამო ალ-აშრაფის უკუქცევაზე. მაგრამ, ვისგან უნდა წამოსულიყო ის საშიშროება, რომელმაც აიძულა ხლათის გამგებელი, უკან დაეხია?! ხომ არ იყო აქ გააზრებული იმ პერიოდში ალ-აშრაფის სამფლობელოებზე ქართველთა მხრიდან მომავალი მუქარა, რომლის შესახებ წერდნენ მემატიანეები?! იბნ ალ-ასირის ცნობით, ქართველები დაემუქრნენ კიდეც ხლათის მმართველს, რომ უარის შემთხვევაში მის ქვეყანას დაარბევდნენ. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ მონღოლთა მოსვლამდე ჯვაროსნებსა და ქართველებს შორის უკვე არსებობდა კონტაქტები, რაც ითვალისწინებდა მათ გამოჩენას სირიის საზღვრებთან. ამის შესახებ სავარაუდოდ ინფორმირებულნი იქნებოდნენ ასევე აიუბიანთა მესვეურები. ჯერ კიდევ ინოკენტი III-მ თავის სიცოცხლეში 1211 წელს გიორგი IV ლაშას შესთავაზა იერუსალიმის გათავისუფლებაში მხარდაჭერა. ამ მოწოდებების ერთ-ერთი გამოძახილია ფრანგი რაინდის დე ბუას წერილი, სადაც იგი ქართველთა დახმარებას რეალურ ფაქტად აღიქვამს. მიუხედავად იმისა, რომ ამ წერილში ბევრი რამ საკამათოა და ისტორიკოსთა მოსაზრებით, სხვა მოვლენებს უკავშირდება, ეს საკითხი აქტუალური გახდა უშუალოდ მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდში 1217-1221 წწ., როცა ქართველებს დახმარებას სთხოვდნენ რომის პაპი ჰონორიუს III და მისი ლეგატი პელაგიუსი. ამ გეგმით ქართველებს საფრთხე უნდა შეექმნათ აიუბიანებისათვის ჩრდილოეთიდან, რაც დაქსაქსავდა მაჰმადიანთა საერთო კოალიციის ძალებს, რომლებიც შეკრა ეგვიპტის სულთანმა ალ-ქამილმა დამიეტის და იერუსალიმის გადასარჩენად. ამაზე მოწმობს ვენეციელი ისტორიკოსის მარინო სანუტო უფროსის (1260-1338), პადერბორნის ეპისკოპოსის ოლივერუსის ცნობებიც (XIII ს). მარინო სანუტოს თანახმად, დამიეტის აღებამ აღაფრთოვანა ქართველები და გადაწყვიტეს აეღოთ დამასკო. ოლივერუსის მიხედვით, ქართველებმა გადაწყვიტეს „დაეპყროთ სარკინოზების რომელიმე განთქმული ქალაქი და აგრეთვე თქვეს, რომ მათთვის სირცხვილია იმის ყურება, თუ როგორ მოვიდნენ ფრანკები დიდი და საშიშროებებით სავსე ზღვის გავლით... აიღეს ასე კარგად გამაგრებული ქალაქი დამიეტა ხანგრძლივი ალყის შემდეგ და თვითონ პირობა დადეს, რომ დაიპყრობდნენ დამასკოს ან სხვა რომელიმე განთქმულ ქალაქს“. XIII საუკუნის მემატიანე ალბერიხი თავის ქრონიკებში იძლევა ცნობას, რომ პელაგიუსმა ელჩობა გააგზავნა ქართველთა ქვეყანაში, რათა ქართველებს ზურგიდან დაერტყათ მაჰმადიანებისათვის. ეს ცნობები მოწმობს იმ ფაქტს, რომ ქართველებს სურდათ ჩრდილოეთიდან საფრთხე შეექმნათ აიუბიანებისათვის. ჟაკ დე ვიტრიც „აღმოსავლეთის ისტორიაში“ აღნიშნავს, რომ ქართველები ძალიან გააღიზიანა დამასკოს სულთნის კონრადინის (ალ-მუ‘აზზამი) მიერ იერუსალიმის კედლების დანგრევამ და მათ მუქარა შეუთვალეს სულთანს, რომ გაილაშქრებდნენ მისი ქვეყნის წინააღმდეგ.

XIII საუკუნის მემატიანის იორდანუსის ცნობით, ქართველები ეპის-

ტოლეებითაც მოუწოდებდნენ ჯვაროსნებს ბრძოლისაკენ და პირობას დებდნენ, რომ მათთვის სირცხვილი იქნებოდა, თუ არ გადაწვავდნენ დამასკოს, არ დაიმორჩილებდნენ ურწმუნოთა მთავარ ადგილებს.

გიორგი IV ლაშას დროინდელი მემატიანე ცნობებს გვაძლევს ქართველთა მიერ ხლათის მიმართულებით განხორციელებულ ლაშქრობებზე. შესაძლებელია, ჯვაროსანთა მხრიდან გამოწვევამ ქართველებს ხლათის მიმართულებით ლაშქრობისაკენ უბიძგა. მემატიანე გვამცნობს, რომ მეფემ „მოწუა და მოარბია ხლათისა ქვეყანა, შემოიხუეწა ხლათელი და ...შემოიხვეწა კარნუ ქალაქელნი...ჩადგა ბასიანს..“.

ამავე დროს, „მეფემან აიღო ოროტი და ყოველნი ციხენი და მიმდგომი მისნი ვიდრე ნახჭევანამდე და განძას კართამდის, აიღო შამქორი“. ამ ამბის მოთხრობის შემდეგ მემატიანე მონღოლთა შემოსევის შესახებ ცნობას გვაწვდის: „და შემოვიდეს უცხო თესლნი ვინმე ლაშქარნი სომხითს და ჰერეთს, ევნო რამე მცირედნი მათგან“.

ამ ცნობებიდან ჩანს, რომ ქართველებს აქტიური სამხედრო კამპანია უწარმოებიათ სამხრეთ დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. შესაძლებელია, ეს ლაშქრობები მარტო ყმადნაფიცთა დასასჯელად და მარბიელი მიზნებისათვის არ იყო მოწყობილი. მართალია, არაბული წყაროები არ მოგვითხრობს XIII საუკუნის მეორე ათწლეულში ხლათსა და საქართველოს სამეფოს შორის არსებულ კონფრონტაციაზე, მაგრამ ჟაკ დე ვიტრის VII წერილის ეს მონაკვეთი ამ დაპირისპირებაზე მიგვანიშნებს.

ჟაკ დე ვიტრის მიერ მოხსენიებული სერაფი, ჩვენი აზრით, ასირიელიების მხარეში მდებარე სამეფოს კალაფის (ხლათი) გამგებელი ალ-აშრაფი იყო. მემატიანის ცნობით ირკვევა, რომ ალ-აშრაფს საფრთხე უნდა შეექმნა ანტიოქია-ტრიპოლისათვის. ხოლო დამასკოს გამგებელი კიდევ უფრო სამხრეთით იერუსალიმის სამეფოს მიწებს უნდა დამუქრებოდა, რათა არ მიეცა საშუალება იქ მყოფი ჯვაროსნებისათვის, რომ დახმარებოდნენ ეგვიპტეში ჩასულ ქრისტიანებს.

ჟაკ დე ვიტრის ამ ინფორმაციაში შეიძლება დავინახოთ ქართული კვალი. როგორც ვიცით, დამიეტის აღების შემდეგ, ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ქართველებსა და ჯვაროსნებს შორის, რათა ქართველებს ჩრდილოეთის მხრიდან დარტყმა განეხორციელებინათ და დაექსაქსათ აიუბიანთა კოალიცია. რაც შეეხება მონღოლებს, ისინი 1220-21 წწ. პერიოდში ხლათთან არ გამოჩენილან. მათი მარშრუტი ცნობილია: ჟამთააღმწერლის ცნობით, მათ „განვლეს თურანი, ჯეონი, ხუარასანი, ერაყი, ადარბადაგანი და მოიწივნეს განძას...მოიწივნეს საზღვართა საქართველოსა და იწყეს დარბევა ქვეყანა გაგისა“. როგორც ვიცით, ქართველებს რამდენიმე შეტაკება მოუხდათ მონღოლებთან, სადაც დამარცხდნენ და ბოლო მარცხის შემდეგ, მონღოლები მოვიდნენ სამშვილდემდე, მაგრამ შემდგომ

უკუიქცნენ, დარუბანდის გზით გაეცალნენ კავკასიას და გადავიდნენ ყივჩაღებში. ჟამთააღმწერელთან ჯეონი ამუ-დარიასთან იყო გაიგივებული. ეს ჩანს თვით მემატიანის ცნობიდან, როდესაც იგი აღნიშნავს, რომ ჯალალ ად-დინი ჩინგიზ-ხანს ეომებოდა ჯეონს იქით და ჯეონს აქეთ ხორასნისაკენ.

რაც შეეხება დავითის სახელის ქვეშ ქართველთა მეფის ისტორიული სახის აღქმას, ვფიქრობთ, რომ შეიძლება დავინახოთ ქართველთა მეფე გიორგი IV ლაშას ისტორიული ფიგურა. იმ პერიოდის რიგ წყაროებში ქართველთა მეფეები ამ სახელით იხსენიებიან. თავრიზის კრებულში, რომელიც გადაწერილია 1219 წელს, დაცულია დოკუმენტი: „პასუხი მეფე დავითს, აბხაზის პატრონს“. ამ დავითში კი ნამდვილად იგულისხმება ლაშა-გიორგი. მოგვიანებით, მარკო პოლოც აღნიშნავს, რომ ქართველთა მეფეებს „ყოველთვის დავით მელიქს უწოდებენ, ანუ, ფრანგულად რომ ვთქვათ, დავით მეფეს“. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება ჟაკ დე ვიტრის დავითის სახელქვეშ ჩინგიზ-ხანის და ებრაელთა ლეგენდარული მეფის დავითის გვერდზე ქართველთა მეფე გიორგი IV ლაშას ისტორიული ფიგურაც მოვიაზროთ. „ქართლის ცხოვრება“, 1955, გვ. 370; „ქართლის ცხოვრება“, 1959, გვ.164-165; თოდუა, 1979, გვ. 5-6; ჯაფარიძე, 1995, გვ. 176-180; თვარაძე, 2008, გვ. 92-132; თვარაძე, 2004; ნატროშვილი, 1991, გვ. 89; Richard, 1955. p. 234; Ришар, 2002. p. 221-222; Zarncke, 1879; Tsitlanadze, Gogoladze, 2012. p. 99-103.

[60] მსაჯულთა 2, 16.

[61] 1221 წლის დასაწყისიდან დამიეტასთან მყოფ ჯვაროსანთა ბანაკში და შემდგომ ევროპაში გავრცელდა ინფორმაციები უცნობი მეფე-მღვდლის შესახებ, რომელსაც წყაროები მეფე დავითს უწოდებდნენ. ჟაკ დე ვიტრის მიერ დავითის სახელქვეშ მღვდელი ჟანის მოაზრებას ძველი გადმოცემების კვალი ადევს, რომელიც XII საუკუნის შუა ხანებიდან ევროპელთა წარმოდგენებში შემოსულ მითიურ იოანე პრესვიტერთან ასოცირდებოდა. პირველად, მეფე დავითის ამბავი მოცემულია ჰონორიუს III-ის 1221 წლის 13 მარტით დათარიღებულ წერილში, რომელიც პაპმა გაუგზავნა ტრირის არქიეპისკოპოსს. იგი წერს: „ჩვენმა ღირსეულმა ძმამ, ალბის ეპისკოპოსმა და ტახტის ლეგატმა შეგვატყობინა, რომ, ვინმე მეფე დავითი, რომელსაც ხალხში პრესვიტერ იოანეს უწოდებენ, ეს კათოლიკე და ღვთისმოშიში ადამიანი დიდი ჯარით შეიჭრა სპარსეთში, მას შემდეგ, რაც სპარსეთის სულთანი გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხა. დაიპყრო 24 დღის სავალზე მდებარე მისი ქვეყანა, ამ ქვეყანაში არსებული უამრავი ციხე და ქალაქი და იმდენად შორს წამოვიდა, რომ ბაღდადს 10 დღის სავალზე მოუახლოვდა. ამ ლეგატმა ელჩები გააგზავნა „Aviguttam“-ში, ქართველთა ქვეყანაში, რომლის მოსახლეობა კათოლიკეები და ძლიერ მეომარი ხალხია, რომ მათთვის ეთხოვა, თავის მხრივ დაეწყოთ ომი სარაცინების წინააღმდეგ. რაც შეეხება

ჟაკ დე ვიტრის მიერ ამ წერილში მოტანილ „მეფე დავითის რელაციოს“ ამბავს, ეს არის მისი გავრცელების მეორე ფაზა, რომელიც 1218 წლის აპრილით თარიღდება. თვარაძე, 2008, გვ. 104-105; Klopprogge, 1993, p. 111-112. Lettres de Jacques de Vitry, 1998, p. 12.

[62] I მეფეთა 17, 14.

[63] აქ იწყება პირველი ქარტია, დოკუმენტი მღვდელი ჟანის შესახებ, გადაწერილი ჟაკ დე ვიტრის მიერ. Lettres de Jacques de Vitry, 1998, p. 205.

[64] ეკლესიასტე, 2, 4.

[65] იგავთა 20, 24.

[66] ფსალმუნი 46, 4.

[67] ინდოეთის ლეგენდარული მეფის დავითის რელაციო შუა საუკუნეების ჯვაროსნული აღმოსავლეთის მსოფლმხედველობის ნათელი სურათია. ეს მოარული ლეგენდა, კარგად გვიხატავს იმ ვითარებას, თუ რა ცოდნას ფლობდნენ ევროპელები იმდროინდელი აღმოსავლეთის გეოგრაფიული, ეთნოლოგიური, პოლიტიკური ისტორიის შესახებ. პალესტინაში მცხოვრებ ლათინებს საკმარისი მიზეზები ჰქონდათ, რათა დაინტერესებულიყვნენ იმ ქრისტიანი ხალხით, რომლებიც მუსლიმური სამყაროს მიღმა ცხოვრობდნენ. როდესაც პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ეიფორიამ გადაიარა, აღმოსავლეთში მყოფებმა სწრაფად იგრძნეს იზოლაციის საფრთხე. ისინი მუდმივი ზეწოლის ქვეშ ცხოვრობდნენ მუსლიმთა მტრული გარემოცვის პირობებში და პერმანენტულად განიცდიდნენ საიმედო მოკავშირის არარსებობის პრობლემას. ამიტომ დიდი გულისყურით ადევნებდნენ თვალს იმ მოვლენებს, რომელიც მესოპოტამიის ჩრდილო-აღმოსავლეთით და სპარსეთის რეგიონებში ვითარდებოდა. უკვე XII საუკუნის დასაწყისში ლათინურ წყაროებში ჩნდება ქრისტიანი მეფის სახე, რომლის სამეფო კავკასიის მთების ძირში, გოგისა და მაგოგის აპოკალიფსური ხალხების სამყაროს საზღვრებთან მდებარეობდა. ჯვაროსანთა წარმოდგენებში ქართველთა მეფე დავით IV აღმაშენებელი მიდიისა და სპარსეთის მუსლიმების დაუძინებელი მტერი და ლათინთა ერთგული მოკავშირე იყო. ჟ. რიშარი ფიქრობს, რომ ჯვაროსანთა წარმოდგენებში კავკასიას და იქ არსებულ საქართველოს სამეფოს საკრალური ადგილი ეჭირათ. ქართველი მეფეები ალექსანდრეს კარიბჭის (კასპიის კარი, დარუბანდი. ჟ. რიშარის წარმოდგენით შეიძლება მოვიაზროთ დარიალიც) მცველნი იყვნენ და შუა საუკუნეების მრავალი კარტოგრაფი გოგისა და მაგოგის ქვეყანას სწორედ საქართველოს საზღვართან განიხილავდა. ამიტომ მკვლევრის აზრით, მითიური, ქრისტიანული სამეფოს წარმოდგენებში არც ქართველთა ქვეყანა უნდა გამოვრიცხოთ. თუმცა, საქართველოს მეფე არ იყო ერთადერთი, რომელმაც ლათინთა ყურადღება მიიპყრო. უმეტეს შემთხვევებში ჯვაროსანთა მოლოდინი და იმედები ისტორიულ რეალობას სცილდებოდა და XII საუკუნის 40-იანი წლებიდან ევროპელთა მსოფლმხედველობაში შემოდის სპარსეთის მიღმა, უკიდურეს აღმოსავლეთში მცხოვრები, ნესტორიანული მრწამსის აღმსარებელი ლეგენდარული იოანე პრესვიტერის თქმულება.

მითიური პრესვიტერის (მეფე-ხუცესის, მეფე-მღვდლის) გამოჩენა II ჯვაროსნული ლაშქრობისათვის მზადების პერიოდს ემთხვევა. რომის პაპის კარზე ხმა გავრცელდა, აღმოსავლეთიდან მოულოდნელი, შესაძლო მოკავშირის გამოჩენის შესახებ. ეს ცნობა რომის პაპს მიაწოდა სირიის ქალაქ გაბალის კათოლიკე ეპისკოპოსმა ჰუგომ. 1145 წელს რომის პაპ ევგენი III-თან ჩამოვიდა ეპისკოპოს ჰუგოს ელჩობა, რომელიც სთხოვდა მას დახმარებოდა ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობაში. 1144 წელს ედესის დაკარგვამ შეაშფოთა ჯვაროსნები და მათ დაიწყეს ზრუნვა, რომ მიეღოთ დახმარება ევროპის მონარქებისგან. ამ საქმეში მათ პირველ რიგში რომის პაპის იმედი ჰქონდათ. პაპთან აუდიენციაზე ეპისკოპოსმა განაცხადა, რომ ნესტორიანული სარწმუნოების მმართველმა იოანემ, რომელიც მეფედ და მღვდლად იწოდებოდა და ცხოვრობდა სპარსეთის და არმენიის მიღმა, უკიდურეს აღმოსავლეთში, დიდ ბრძოლაში დაამარცხა სპარსელების და მიდიელების ლაშქარი და მოისწრაფვოდა იერუსალიმის დასახმარებლად. გაბალის ეპისკოპოსის მონათხრობის უძველესი ვერსია გვხვდება ცნობილი გერმანელი მემატიანის, ქალაქ ფრაიზინგის ეპისკოპოსის, II ჯვაროსნული ლაშქრობის აქტიური პროპაგანდისტისა და მონაწილის, ოტო ფრაიზინგის თხზულებაში.

საინტერესოა, თუ რა მოვლენებმა გააჩინა აღმოსავლეთში მცხოვრები უცნობი პრესვიტერის თქმულება? იყო ეს რეალურ, ობიექტურ სინამდვილეზე დამყარებული გადმოცემა, თუ ლეგენდა, რომელიც დროთა განმავლობაში ამ სახით გამოიკვეთა ხალხთა მეხსიერებაში და საბოლოოდ ასეთი ფორმა მიიღო ჯვაროსნული ომების პერიოდში? საერთოდ, ლეგენდის ჩამოყალიბებას, როგორც ვიცით, წინ უძღვის, ისტორიული, მითოლოგიური და ფოლლორული სიუჟეტების ციკლის გარკვეული პერიოდი. რა თქმა უნდა, იოანე პრესვიტერის ლეგენდა XII საუკუნის შუა ხანებში არ დაბადებულა და არც ედესის დაკარგვა წარმოქმნიდა ასე უცბად მითს, აღმოსავლეთში მცხოვრები უცნობი მოკავშირის შესახებ. როდესაც ჯვაროსნები ახლო აღმოსავლეთში გამოჩნდნენ და დაიკავეს წმინდა ქალაქი, ისინი კარგად ხვდებოდნენ, რომ მხოლოდ საკუთარი ძალებით ვერ შეძლებდნენ გამკლავებოდნენ მუსლიმთა სამხედრო ძალების აურაცხელ რესურსს. ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეთა დიდი ნაწილი, თავისი აღთქმის შესრულების შემდეგ, უკან, სამშობლოში ბრუნდებოდა. სირია-პალესტინაში დარჩენილი ევროპელთა მცირერიცხოვანი დასახლებები ძირითადად ციხე-ქალაქებში იყვნენ შეკეტილნი და მუსლიმთა მიწების უკიდეგანო ზღვაში პატარა კუნძულებივით მოჩანდნენ. ამიტომაც, ჯვაროსნები სულ უფრო

მეტად ამყარებდნენ იმედებს აღმოსავლეთის ქრისტიან ხალხებზე. მთავარი მოკავშირე მუსლიმთა წინააღმდეგ ბრძოლაში, აღმოსავლეთის ქრისტიანული სამყაროდან, ბიზანტიის იმპერია უნდა ყოფილიყო, თუმცა, I ჯვაროსნული ლაშქრობის მიმდინარეობისას გამოჩნდა ის პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური კონფრონტაცია, რომელიც ამ ლაშქრობების ისტორიის მანძილზე წითელ ზოლად გასდევდა ორი ქრისტიანული სამყაროს ურთიერთობებს. რაც შეეხება მცირე აზიაში, კილიკიის და სირიის რეგიონში არსებულ წვრილ სომხურ სამთავროებს, ისინი, მართალია, ჯვაროსანთა პირველი გამოჩენისთანავე ევროპელებს მხარში დაუდგნენ, მაგრამ სომეხი მთავრების ხელისუფლებაც არსებულ მიწებზე მყიფე იყო და იქით საჭიროებდნენ დახმარებას მუსლიმთა აგრესიისაგან. აღმოსავლეთში არსებული ქრისტიანული სამეფოთაგან, ვისგანაც შეიძლებოდა დახმარება მიეღოთ ევროპელებს, რჩებოდა საქართველოს სამეფო, მაგრამ, ამ კონტაქტებისათვის, ფაქტობრივად, გადაულახავ ბარიერად რჩებოდა საქართველოს სამეფოსა და ჯვაროსნულ პოლიტიკურ ერთეულებს შორის არსებული მსხვილი თუ წვრილი სელჩუკური საამიროების არსებობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დავით აღმაშენებლის ფიგურა ჯვაროსანთათვის მაინც წარმოადგენდა გარკვეულ იმედს. ამის ნათელი მაგალითია წმინდა საფლავის მეფსალმუნის ანსელუსის შედგენილი წერილი პარიზის მღვდელთმთავარ გალონისადმი 1108-1109 წლებში (ასევე არსებობს მოსაზრებები, რომ იგი დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდგომ დაიწერა), სადაც დავით აღმაშენებელი ჯვაროსანთა შემწედ და მოკავშირედ იყო აღქმული. როგორც წერილის ავტორი იუწყება: „ ... ის დავითი, რომელიც, თავისი წინაპრებივით კასპიის კარს – გოგსა და მაგოგს ზღუდავს, უჭირავს იგი და დარაჯობს, რასაც შვილი მისი აქამდე ასრულებს, ვისი ქვეყანა და სამეფო მიდიელთა და სპარსთა წინააღმდეგ ჩვენი, ასე ვთქვათ, ბურჯია.“ დავითის და ჯვაროსნების ურთიერთობების შესახებ სხვა ცნობებიც მოგვეპოვება, რომლებიც ნათლად მიუთითებს, რომ დავით აღმაშენებელს გარკვეული კონტაქტები ჰქონდა ჯვაროსნებთან, მაგრამ, ევროპელებს მოზღვავებულ მუსლიმთა კოალიციებთან ბრძოლაში რეალური სამხედრო დახმარება სჭირდებოდათ. ჯვაროსანთა წარმოდგენა მოსალოდნელი მოკავშირის გამოჩენის შესახებ ობიექტურ სინამდვილეს ხშირად სცილდებოდა და უამრავ ზღაპრულ ამბავს თხზავდნენ მის გარშემო. უნდა აღინიშნოს, რომ თვით დავით აღმაშენებლის ისტორიული ფიგურაც მათ წარმოდგენებში, ხშირ შემთხვევაშიც, ლეგენდარული ფერებით იყო შემკობილი.

იოანე პრესვიტერის ლეგენდის არქეტიპი, მეტნაკლებად შეიცავდა ისტორიული რეალიებს და აქედან გამომდინარე, ისტორიოგრაფიაში არსებობს მოსაზრებები, რომ ოტოსეული ვერსია დაუკავშირონ იმ დროის ისტორიულ მოვლენებს და მასთან დაკავშირებულ ისტორიულ პირებს.

გაბალის ეპისკოპოსის მონათხრობში მკვლევართა აზრით, ჩანს ის ალეგორიული სიუჟეტები, რაც დაკავშირებულია XII საუკუნის 30-40-იან წლებში შუა აზიაში დატრიალებულ მოვლენებთან. ამ თქმულების წარმოშობის საფუძველი დევს XII საუკუნის 20-იან წლებში, თურქესტანის საზღვრებთან სტეპის მომთაბარეთა გამოჩენაში. კერძოდ, ეს ამბები უკავშირდება შვიდმდინარეთის რეგიონში ყარა-ხატაელთა სახელმწიფოს დაარსების ისტორიას, ასევე სპარსეთისა და შუა აზიის მუსლიმებთან გამართული ბრძოლების ამბებს. 1141 წელს, კატვანის ველზე, სამარყანდთან ახლოს ყარა-ხატაელებმა გაანადგურეს სელჩუკთა დიდი სულთნის სანჯარის ლაშქარი. ამ გამარჯვების შემდეგ, ელიუი დაშმა მიიღო „გურხანის“ ტიტული („გურხანის“ ტიტული აღნიშნავდა საყოველთაო ხანის ტიტულს. ამ წოდებას იღებდნენ აღმოსავლეთში მომთაბარე თურქთა ტომების გაერთიანებების მეთაურები) და საფუძველი ჩაუყარა ამ სახელმწიფოს. მეცნიერთა აზრით, სწორედ ეს ამბავი გახდა იოანე პრესვიტერის ლეგენდის საფუძველი. ბრძოლის ამ ექომ, როგორც ჩანს, მოაღწია ახლო აღმოსავლეთში მყოფ ჯვაროსანთა წრეებამდე და მათ თავისებური ინტერპრეტაცია მისცეს სამარყანდთან მომხდარ ამბებს და იგი ჯვაროსნული ფანტაზიის საბურველში გაახვიეს. ამას დაემატა 1144 წლის ედესის ტრაგედია და ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის მზადების პერიოდში ამ ფანტაზიამ სული შთაბერა კიდეც აღნიშნულ თქმულებას.

ჯვაროსანთა იმედები არ გამართლდა. კატვანის ველზე მომხდარ ამბებს, საერთო არაფერი ჰქონდა ჯვაროსნულ იდეებთან. ყარა-ხატაელთა მეთაურს, არც რაიმე სურვილი და მიზანი ამოძრავებდა, რომ დასავლეთისაკენ წინსვლა განეგრძო და მისთვის სადღაც შორს, ტიგროსის ნაპირებთან გამოჩენილიყო. იმ დროისათვის იგი თავისი შიდა პრობლემებით იყო დაკავებული, რომ შეენარჩუნებინა მიღწეული წარმატებები და განემტკიცებინა საკუთარი ხელისუფლება ახლად დაპყრობილ ტერიტორიებზე. 1143 წელს ელიუი-დაში გარდაიცვალა და შემდგომში მის მემკვიდრეებს, ძირითადად, ახლად ათვისებული ტერიტორიების შენარჩუნებისათვის ბრძოლები უხდებოდათ შუა აზიის მუსლიმებთან.

მიუხედავად იმისა, რომ II ჯვაროსნულ ლაშქრობაში (1147-1149) უცნობი მეფე-მღვდელი არსად გამოჩენილა, შემდგომდროინდელმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ ეს ამბავი საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, ევროპელთა და ჯვაროსანთა მეხსიერებაში ღრმად ჩაიბეჭდა.

სწორედ ამ დროიდან, ლათინთა ყურადღება, სპარსეთის მიღმა, ჯერ კიდევ უცნობი ინდოეთის და აფრიკის (მაშინდელი ევროპული კოსმოგრაფიით ლიბიის) აღმოსავლეთში მდებარე აბისინიის (ეთიოპიის) ფოლკლორული სამყაროს ნახევრადრეალისტური შეხედულებების გააზრებაზე გადავიდა. ამ წარმოდგენებზე დიდი გავლენა იქონია ინდოეთის მეფის იო-

ანე პრესვიტერის სახელით ევროპაში გავრცელებულმა 1165 წლის ეპისტოლემ, რომლის ადრესატები იყვნენ, რომის პაპი ალექსანდრე III, ბიზანტიის იმპერატორი მანუელ I, საღვთო რომის იმპერატორი ფრიდრიხ I ბარბაროსა და საფრანგეთის მეფე ლუი VII და პორტუგალიის მეფე ალფონს I. ეს ეპისტოლე, რომელმაც ჩვენამდე მხოლოდ ბიზანტიის იმპერატორისადმი გაგზავნილმა პირმა მოაღწია, სრული ფიქცია იყო. წერილი გაჟღენთილი იყო შუა საუკუნეების ხალხთა წარმოდგენებში აღმოსავლეთის სამყაროზე არსებული ლეგენდარული ამბებით. ეს იყო აღმოსავლეთში არსებული ზღაპრული სამეფოს პანეგირიკი, რომელშიც აღრეული იყო ბიბლიური, სახარებისეული (აპოკალიფსური), ფოლკლორული და მითიური სიუჟეტები. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ, განსხვავებით ოტონისეული ვერსიის გარკვეული ისტორიული რეალიებისა, 1165 წლის ეპისტოლეში გადმოცემულ ზღაპრულ ამბებს, პაპის მხრიდან დაინტერესება მოჰყვა. ამ ეპისტოლეს პასუხად, რომის პაპმა ალექსანდრე III-მ 1177 წელს, წერილი მისწერა ამ მისტიკურ მმართველს და თავისი მკურნალი ექიმის, ფილიპე მაგისტროსის მეთაურობით, ელჩობაც გააგზავნა ევროპელთათვის უცნობ და წარმოსახვით სამეფოში. თუმცა, სამწუხაროდ, ამ ელჩობის ბედი ჩვენთვის უცნობია. საერთოდ მიაღწია თუ არა ფილიპე მაგისტროსის მისიამ რაიმე მიზანს და რა ინფორმაციებით დაბრუნდა ის უკან, ცნობა არ მოგვეპოვება. იმდროინდელი წყაროები ახალი სიუჟეტებით ავსებდა ამ მოარულ ლეგენდას და უნახავ მეფე-ხუცესს, ებრაელთა ბიბლიურ წინასწარმეტყველ, მეფე დავითთანაც კი აიგივებდნენ. საინტერესოა, რომ აღმოსავლეთის ამ ლეგენდარული ქრისტიანი მბრძანებლის სამყაროში წყაროები ათავსებს კავკასიას და კონკრეტულად საქართველოს სამეფოსაც. ზოგადად, ამ მითიური ხუცესის სამყარო მოიცავს ქრისტიანული აღმოსავლეთის იმ ხალხებსა და რეგიონებს, რომელთა შესახებაც იმდროინდელ ლათინურ სამყაროში მეტად მწირი ინფორმაციები ჰქონდათ.

XIV-XVI საუკუნეების დასავლეთევროპული პორტოლანები და რუკები საკმაოდ მდიდარ მასალას შეიცავს იოანე პრესვიტერის ლეგენდარული სამეფოს ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერილობის შესახებ. მეცნიერ ი. ჰალებერგს თავის ნაშრომში „უკიდურესი აღმოსავლეთი“ მოყვანილი აქვს სხვადასხვა მოგზაურთა ცნობები იოანეს ქვეყნის შესახებ. მისი ცნობით, იოანეს იმპერიას ეკუთვნოდა კუნძული მილსტერაკი და მის გვერდით იმყოფებოდა კუნძული კასონი. ხოლო რაც შეეხება კატალანურ რუკას, აქ იოანეს სამეფო მდებარეობს ეთიოპიაში, რადგანაც მას ნუბიის სუვერენადაც მიიჩნევენ. ბიანთან იოანეს სამშობლოს ჩვენ კვლავ ეთიოპიაში ვპოულობთ. გენუელების ძველი რუკების მიხედვით იოანე პრესვიტერის სამეფო სხვადასხვა რეგიონში მდებარეობდა. ზოგიერთ რუკაზე იოანე ინდოეთის მეფედაც ჰყავთ გამოსახული. თ. ფიშერის მიერ გამოცემულ შუა

საუკუნების საზღვაო რუკებში, იოანეს სამშობლოდ მიიჩნევა აბისინია ან ეგვიპტე. ვალსპერგერის რუკაზე კი ეს სამეფო მდებარეობს მდინარე ტიგროსის ნაპირებთან. ლეარდოს რუკაზე იოანეს სამშობლო მოიცავს ეთიოპიასა და ბაბილონს. მაუროს რუკა კი მას აბისინიაში ათავსებს. დიოგო ჰომემის ცნობებით, იოანე პრესვიტერი ინდოეთისა და ეთიოპიის მეფედ არის დასახელებული და მისი სამეფო რუკაზე, ზოგადად, აღმოსავლეთით მოიაზრება.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ XII-XIV საუკუნის წერილობითი წყაროების მიხედვით, იოანეს სამშობლო მდებარეობდა აზიაში. რაც შეეხება XIV-XVI საუკუნეების საზღვაო რუკების მონაცემებს, ამ ლეგენდარული მეფის სამეფოს აფრიკის აღმოსავლეთ ნაწილში მოიაზრებენ, სადაც, მათი აზრით, აბისინიის სამეფო იყო.

XII-XIII საუკუნეების ლათინურ წყაროებში საქართველო „ავესგიის“ სახელწოდებით არის მოხსენიებული. თუმცა, ამ გეოგრაფიულ ტერმინს ხშირად ურევდნენ აბისინიასთან და ამ ქვეყნების ქრისტიან მმართველებს ერთმანეთთან აიგივებდნენ კიდეც. 1172 წელს, რიშარ დე პუატიე (ასევე ცნობილია, როგორც რიშარ დე კლუნი) მოგვითხრობს ქრისტიან მმართველებზე, რომლებმაც გადასახადები დააკისრეს კერპთაყვანისმცემლებს. „ქრისტიანი მეფეები“, რომლებიც ამ ტექსტის მიხედვით ცხოვრობენ სპარსეთის, მიდიელების და მაკედონელების ქვეყნების მიღმა მხარეს, ავტორი მათ ნუბიის და ავესგიის მეფეებად მოიხსენიებს. რიჩარდ დე პუატიე ეთიოპიას იხსენიებს „ავესგიის“ სახელწოდებით. ეს შეიძლება იყოს საქართველოს მეფე, რადგან იმ დროის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში ავესგიად („Avesgia“, „Avoguia“) იწოდებოდა საქართველო, აფხაზეთი, ხოლო საქართველოს მეფე „Rex Avoguia“-დ მოიხსენიება. ასევე უნდა აღვნიშნოთ ინოკენტი III-ის წერილი გიორგი IV ლაშასადმი, დათარიღებული 1211 წლის 7 ივნისით, სადაც ქართველთა მეფე ავესგიის მმართველად, „Rex Avoguia“-დ არის მოხსენიებული. რუსუდან მეფეც ლათინურ ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში „Regina de Aveguia“-დ იწოდება. შუა საუკუნეების ევროპული კარტოგრაფია ერთმანეთში ხშირად ურევდა ინდოეთის და ეთიოპიის მხარეებს. მემატიანეები აბისინიას ინდოეთის ნაწილადაც თვლიდნენ და იოანე პრესვიტერის სამეფოშიც მოიაზრებდნენ.

აღნიშნულთან დაკავშირებით ვაქვეყნებთ ინოკენტი III-ს წერილს გიორგი IV ლაშასადმი: „ჩვენი ხელმწიფე ყოვლისშემძლე იესო ქრისტე, რომელიც მბრძანებლობს წყალზე, მთელ ზღვებსა და მდინარეებზე, ასევე მთელ დედამიწაზე არსებულ ქალაქთა საზღვრებზე მას შემდეგ, რაც თავად გადაიხადა გამოსასყიდი ხარკი კაცთა მოდგმის გასათავისუფლებლად. მსახურად წარმოდგენილმა (მსახურის ფორმა მიღებულმა) მოკვდავთა გასაჭირი სწორედ საკუთარი ნებით თავის თავზე აიღო. თავისი სხეული გასწირა

ხელებით ჯვარზე გასაკრავად. ამის შემდეგ იგი მხოლოდ კი არ მიიღეს, არამედ, ყველაფერი, რაც კი იწინასწარმეტყველა, კერძოდ კი ის, რომ მასზე წილს ყრიდნენ (მას დაინაწილებდნენ), ახდა. მართლაც ამ რწმენის მიმდევართა დახმარებაში იყო ხსნა. ისინი (მისი მიმდევრები) ქრისტეს მსგავსნი უნდა იყვნენ, თავიანთი სამშობლოს დასაცავად თავგანწირულნი მზად უნდა იყვნენ, გაერთიანდნენ და თავი გასწირონ. ამისათვის მათ უძვირესი გამოსასყიდი გადაიხადეს; თავიანთი სისხლის საფასურად, რწმენისადმი სიტყვით უთქმელი ერთგულებით აღასრულეს მათზე დაკისრებული მოვალეობა. ქრისტიანობის ამ უნივერსალური პრინციპების გამო, რაც გულისხმობს, რომ თავიანთი დაცვის ქვეშ მყოფთ გადარჩენაში უნდა დაეხმარონ. ამდენად, აპირებენ, რომ შეგროვდნენ იერუსალიმის დასახმარებლად და გაანადგურონ ის, ვინც ქრისტიანულ სარწმუნოებას ემტერება. ამას ადამიანების წინაშე სახელის მოსახვეჭად კი არ აკეთებენ, არამედ ზეციური ბატონისათვის, რომლისგანაც საზღაურად მარადიულ ჯილდოს მოიხვეჭენ. ამ დროს კი, შენი (ქრისტეს) მოდგმის კვალი ფესვგასადგმელია ქრისტეს დანატოვარ სამშობლოში. იმ სამშობლოში, რომლის მზაკვარი მფლობელების წინააღმდეგ ბრძოლას საკუთარი თავი შესწირე და მთელი ძალით ცდილობდი, შეგეჩერებინა ისინი. შენი თავგანწირვის შემდეგ ჩვენ ღმერთს რწმენით ვადიდებთ. ვითხოვთ შენგან პატიებას და სასიკვდილო ცოდვების მონანიებას. შენი ღვთაებრივი ბუნება უდიდესია და ასევე სრულყოფილი, რომელიც ჩვენ გვასაზრდოებს, რომ მაქსიმალურად გავუსწორდეთ და დავამარცხოთ წარმართთა ღალატი. თუმცა, ეს შფოთი დროებითია, ხოლო შენგან მარადიული სიხარულითა და ბედნიერებით დაფასდება (დასაჩუქრდება) ის, ვინც ამქვეყნად შენთვის მოღვაწეობს (მონაწილეობას იღებს) თავის სამეფოში, რათა მან შენით დაიმკვიდროს ზეციური სასუფეველი“. Migne, v. 216, 1855, p. 434.

რამ გამოიწვია წმინდა მიწაზე დაბადებული ლეგენდის ინდოეთში გადატანა? ვარაუდობენ, რომ ეს არის შედეგი 1122 წელს, რომში პაპ კალიქსტუს III-თან მისტიკური პერსონაჟის ვიზიტისა, რომელიც ხან ეპისკოპოსად და ხან ინდოეთის პატრიარქ იოანედ იწოდებოდა. გადმოგვცემენ, რომ ეს ამოუცნობი პერსონაჟი საკვირველ ამბებს ჰყვებოდა თავისი მიწების შესახებ და ამ მონათხრობმა გარკვეულწილად, ხელი შეუწყო სპარსეთის გაღმა მხარეებში არსებული სამყაროს შესახებ ზღაპრულ წარმოდგენებს. სავარაუდოდ, ამ ლეგენდის წყაროები კიდევ უფრო ძველია და შორეულ გვიანანტიკურ ხანაში გადადის. კერძოდ, II-III საუკუნეების ავტორის ფსევდოკალისთენეს რომანში „ალექსანდრიანში“ ჩანს მისი სიუჟეტები. რომანის მთავარი გმირი ალექსანდრე მაკედონელი აღმოსავლეთში ლაშქრობისას აღწევს სამოთხის კარს, ინდოეთის მეფე პორის დამარცხების შემდეგ, სადაც ხვდება ბრაჰმანთა და ნეტართა მეფე იოვანეს (იოვანთე). 1165 წლის

ეპისტოლეშიც იოანე პრესვიტერი სამი ინდოეთის მეფეა, რომლის სამეფოში ცხოვრობენ ბრაჰმანები და ის აპოკალიპტური ხალხები, რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა ჩაკეტა ჩრდილოეთის დიდ მთებში.

1145 წელს სირიის ქალაქ გაბალის ეპისკოპოსის ნაამბობმა იოანე პრესვიტერის სამყაროს ადგილმდებარეობა სადღაც სპარსეთისა და არმენიის მიღმა უკიდურეს აღმოსავლეთში გადაისროლა და მოგვიანებით ეს სამყარო ლათინთა წარმოდგენებში ინდოეთის სივრცეში მოიაზრებოდა. სავარაუდოდ, სწორედ ნესტორიანულ ინფორმაციებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ელიუი-დაშის გამარჯვების 80 წლის შემდეგ (1141 წელს ყარახატაელთა მეთაურმა ელიუი-დაშმა კატვანის ველზე დაამარცხა სელჩუკთა დიდი სულთანი სანჯარი, რომელმაც საფუძველი დაუდო იოანე პრესვიტერზე თქმულებების წარმოქმნას) მოხდა ამ ლეგენდის რეინკარნაცია. მითის გავრცელებას და ახალი სიუჟეტებით გამდიდრებას ხელს უწყობდა ის მოვლენები, რაც ლათინებს დაატყდათ თავს მეხუთე ლაშქრობის დროს. ამ ლაშქრობის პერიოდში ჯვაროსნებს აღმოსავლეთის ქრისტიანი მეფეების დახმარების იმედი ჰქონდათ, რომელთა სახეებში მოიაზრებდნენ საქართველოს, ნუბიისა და აბისინიის მმართველებს.

XIII საუკუნიდან პრესვიტერის პერსონაჟთა გალერეაში შემოდის მისი ახალი პროტოტიპი მეფე დავითი. დავითის ლეგენდაში ასახული ამბები, მკვლევართა აზრით, ჩინგიზ-ხანის ლაშქრობების გამოძახილია. თუმცა ამ უკანასკნელის იდენტიფიცირება ინდოეთის და ხატაეთის მეფე დავითთან ძალიან რთულია. მონღოლთა ხანი კერპთაყვანისმცემელი იყო და მის გენეალოგიას არაფერი საერთო არ ჰქონდა დავითთან. ამ საკითხთან დაკავშირებით, ჟ. რიშარის აზრით, სახელი დავითი მოდის ძველი ტრადიციებიდან და შეიძლება ჩინგიზ-ხანი გაიგივებული იყო სტეპების სხვა სუვერენთან, რომლის გენეალოგიაც იქნა მისთვის გამოყენებული. რ. ჰენიგის აზრით, დავითის სახელი შეიძლება დავაკავშიროთ დავით აღმაშენებელთან. მისმა სახელმა გადაფარა გიორგის IV ლაშას პიროვნება, რომელიც ემზადებოდა ჯვაროსნების დასახმარებლად. რაც შეეხება დავითის სახელის ქვეშ ქართველთა მეფის ისტორიული სახის აღქმას, ვფიქრობთ, რომ შეიძლება დავინახოთ ქართველთა მეფე გიორგი IV ლაშას ისტორიული ფიგურა. იმ პერიოდის რიგ წყაროებში ქართველთა მეფეები ამ სახელით იხსენიებიან. თავრიზის კრებულში, რომელიც გადაწერილია 1219 წელს, დაცულია დოკუმენტი: „პასუხი მეფე დავითს, აბხაზის პატრონს“. ამ დავითში კი ნამდვილად იგულისხმება გიორგი IV ლაშა. მოგვიანებით, მარკო პოლოც აღნიშნავს, რომ ქართველთა მეფეებს „ყოველთვის დავით მელიქს უწოდებენ, ანუ ფრანგულად რომ ვთქვათ დავით მეფეს“. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება ჟაკ დე ვიტრის დავითის სახელქვეშ ჩინგიზ-ხანის და ებრაელთა ლეგენდარული მეფის დავითის გვერდზე ქართველთა

მეფე გიორგი IV ლაშას ისტორიული ფიგურაც მოვიაზროთ.

1221 წლისთვის, ასევე ორი ნესტორიანელი ხანი განიხილებოდა მემატიანეების აზროვნებაში მეფე დავითის პროტოტიპად: ქრისტიანი კერაიტების ხანი თოღრული და ასევე ნაიმანების ნესტორიანელი მეთაური ქუჩლუკი, რომელმაც ყარა-ხატაეთი დაიპყრო. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგაც, მთელი XIII-XIV მანძილზე გრძელდებოდა ამ მითიური სუვერენის სამეფოს ძიება. სიმონ დე კვენტინი, პლანო კარპინი, გიიომ რუბრუკვისი, მარკო პოლო და სხვები იოანეს სამეფოს ძიებაში იმ დასკვნამდე მიდიოდნენ, რომ ამ ლეგენდარული მეფე-ხუცესის ისტორიული პროტოტიპები იყვნენ მონღოლეთის და ჩინეთის მხარეებში მცხოვრები ქრისტიანი ნესტორიანელი ტომების მეთაურები, რომელთა მემკვიდრეობა დაისაკუთრა ჩინგიზ-ხანმა. მემატიანეთა გადმოცემებში თვით ჩინგიზ-ხანსაც ვხვდებით პრესვიტერის პროტოტიპთა გალერეაში. XIII საუკუნის ცნობილი სირიელი სწავლული და საეკლესიო მოღვაწე აბულ-ფარაჯი (ბარ-ჰებრეუსი) იოანეს პროტოტიპად კერაიტების მბრძანებელს მიიჩნევდა. იგი გადმოგვცემს: „იმ დროისათვის, აღმოსავლეთ თურქთა ხალხებს შორის, რომლებიც აღიარებდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას, მბრძანებლობდა თავადი უნგხანი, კერაიტების ტომიდან, რომელსაც ასევე უწოდებდნენ მეფე იოანეს. ეს კერაიტები, რომლებმაც მიიღეს ქრისტიანობა, უკან აღარ დაბრუნებიან მუსლიმთა რჯულს. აბულ-ფარაჯის გადმოცემას იმეორებს ჰულაგუიანთა ვეზირი, სწავლული-ენციკლოპედისტი რაშიდ ად-დინი, რომელიც ასევე აღნიშნავს, რომ კერაიტების მბრძანებლები იყვნენ ქრისტიანული მრწამსის მატარებელნი და მთლიანად ეს მეომარი-მომთაბარე ტომი ქრისტიანებისგან შედგებოდა. დავითის სახელი ასევე შეიძლება დაკავშირებული იყოს ბიბლიურ დავით წინასწარმეტყველთან, რომელიც ლათინურ და ებრაულ წყაროებში აღქმულია, როგორც წმინდა მიწაზე განდევნილი იუდეველების დამბრუნებელი და ურწმუნოთა ხელიდან იერუსალიმის გამათავისუფლებელი. აქ ასევე უნდა გავიაზროთ ელინისტური ეპოქის ფსევდოკალისთენეს რომანი „ალექსანდრიანი“, რომლის სიუჟეტები გარკვეულწილად საფუძვლად დაედო კიდეც ინდოეთის მეფის იოანეს სამყაროს რეალიებს. მითი ამ მისტიური მმართველის შესახებ საუკუნეების განმავლობაში ახალ-ახალი პასაჟებით ივსებოდა და იოანე პრესვიტერის ლეგენდას, ერთი, კონკრეტული ისტორიული პროტოტიპი არ გააჩნდა. ეს თქმულება ღია -მოარული ლეგენდის ფორმაა და მასში დროთა განმავლობაში ხვდებოდნენ ისტორიული თუ მითოლოგიური პერსონაჟები.

რაც შეეხება ჟაკ დე ვიტრის მიერ წერილში მოცემულ „დავით მეფის რელაციოს“, აქ გააზრებულია მონღოლთა მეთაურის ჩინგიზ-ხანის, ნესტორიანელი ქუჩლუკის, სხვა მომთაბარე ტომების ქრისტიანი ხანების, ასევე, გიორგი IV ლაშას და აბისინიის სუვერენის რეალიებიდან აღებული ისტორიები, რომელიც ასე გამოიკვეთა აღმოსავლეთში მყოფი ჯვაროსნების მსოფლმხედველობაში. რელაციო წარმოადგენს იმდროინდელი ჯვაროსნული აღმოსავლეთის ნახევრად რეალისტურ შეხედულებების სინთეზს, აღმოსავლეთის პოლიტიკური, გეოგრაფიული, ეთნოლოგიური და ფოლკლორული სამყაროს შესახებ. რელაციოში გვხვდება უამრავი პერსონაჟის სახე და გეოგრაფიული ნომენკლატურა, რომელთა იდენტიფიკაცია ძალიან ძნელია და ხშირ შემთხვევაში არ ხერხდება მათი ისტორიული პროტოტიპების და გეოგრაფიული შესაბამისობების დადგენა. ამიტომ, რიგ შემთხვევებში, მხოლოდ მოკლე კომენტარით ვიფარგლებით. ოტო ფრაიზინგი „Chronicon sive historia de duabus civitatibus“ – „ქრონიკა ანუ ორი სახელმწიფოს ისტორია“, თამარაშვილი, 1902, გვ. 563; თვარაძე, 2008; თვარაძე, 2004; გოგოლაძე, 2011; გოგოლაძე, 2005; სალია,1970; ქიქოძე, 1942; მამისთვალიშვილი, 2014; Abulfaradsch, 1663. p. 143, Oppert, 1864; Richard, 1955; Doresse, 1957; Gogoladze, Tsitlanadze, 2009; Klopprogge, 1993; Hennig, 1935; Halleberg, 1906; La carte catalane, XIV siecle; Fischer, 1886; La carte de Walsperger (Zeitschr. Erdk.Berlin XXVI, Tafel X); Leardo, Mappamondo del 1453, 1954; Il mappamondo di Fra Mauro Camaldolese, 1806; Miller, 1895-96; Mandeville, 1993; Ricoldo da Montecroce, 1793. Zarnke, 1879; Брун, 1870; Хенниг, 1962, ст. 27-37, 447; Рашид ад-дин, 1952, ст. 127; Бартольд, 1963; Grousset, 1991; Гумилев, 1994; Горелов, 2006; Хомем, 2007;

[68] სარხისი (ფრ. Sarchis). ქვემოთ, რელაციოს ერთ-ერთ მონაკვეთში, ჟაკ დე ვიტრი, როდესაც საუბრობს დავით მეფის მიერ ხორასნის მიწების და ქალაქების დაპყრობაზე, მოხსენიებული აქვს მსგავსი სახელწოდების გეოგრაფიული ტოპონიმი, „სარხესი“, რომელიც ნამდვილად არსებობდა ისტორიული ხორასნის ჩრდილო-აღმოსავლეთით მერვსა და ჰერათს შორის. რაც შეეხება, „მეფე სარხის“, შესაძლებელია, აქ დე ვიტრის ისტორიულ-მითიური პერსონაჟის და გეოგრაფიული ტოპონიმის სახელები აღრეული, ან გაიგივებული ჰქონდეს. ასეთი ისტორიული ფიგურა, როგორც სხვა ქვემოთ მოხსენიებული პერსონაჟები, რომლებიც მეფე დავითის წინაპრებად ჰყავს მოხსენიებულნი, ისტორიულ რეალობაში არ არსებობდნენ. რადგან ეს ისტორიული პუნქტი მდებარეობდა ხორასანში, სპარსეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეებში და ძველი გადმოცემებით, ებრაელთა დაკარგული ათი ტომის შთამომავლებიც სწორედ ამ რეგიონში ცხოვრობდნენ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩვენს მემატიანეს გეოგრაფიულ ტოპონიმთან ჰქონდეს დაკავშირებული ვინმე მეფე სარხისი.

[69] გარდა ზემოხსენებული ეთიოპიის მეფის ზედწოდების – ზანის ლათინური ვარიანტისა, ამ მეფის სახელწოდება ჟან, იოანეს ლათინურ-ფრანგული ვარიაციებია. მეფე ჟან – ეს არის, ჯერ კიდევ XII საუკუნის შუა ხანებში გავრცელებული ლეგენდის მთავარი პერსონაჟის იოანეს (ჟო-

ჰანნეს) ამბის გააზრება. ჟან რიშარის მოსაზრებით, მღვდელი ჟანის ლეგენდა, სავარაუდოდ, წარმოიშვა ეთიოპიის ქრისტიანი მეფის შესახებ ჯვაროსანთა მიერ წმინდა მიწაზე შეგროვილი ინფორმაციის საფუძველზე. მისი სახელი ამ სუვერენის წოდების – ზანის დამახინჯებული ვარიანტი უნდა იყოს. 1177 წელს პაპ ალექსანდრე III-ის მიერ დაწერილ წერილში ის მოიხსენიება „ინდოელთა მეფედ". მღვდელი ჟანის ლეგენდის გავრცელებას ხელს უწყობდა ჯვაროსანთა მძაფრი სურვილი, ეპოვათ მოკავშირე, რომელიც მუსლიმებზე თავდასხმას ზურგიდან შეძლებდა. დამიეტას აღების შემდეგ მთელი ეგვიპტის დასაპყრობად ჯვაროსნებს აუცილებელად სჭირდებოდათ აღმოსავლელი ქრისტიანების დახმარება. რაც შეეხება „მეფე დავითს", ამ პერსონაჟის შესახებ გვაქვს „Relatio de Davide", რომელმაც ჩააღწია დამიეტაში 1221 წელს. როგორც ჩანს, ამ მეფემ ბევრი გამარჯვება მოიპოვა მუსლიმურ სამყაროში. ის იყო ისრაელის მეფის ვაჟი, რომელიც, სავარაუდოდ, ბულგაბოგადან ჩამოვიდა. მისგან შექმნეს სწორედ მღვდელი ჟანის სახე და ხშირად აიგივებდნენ მათ ერთმანეთთან. ეს იყო მითიური პერსონაჟი, რომელსაც ქუჩლუკის და ჩინგის ხანის წარმატებებს მიაწერდნენ. ვფიქრობთ, რომ მეფე ჟანის სახელწოდება ასევე უნდა მოდიოდეს ლეგენდის არქეტიპიდან. იოანე, თქმულების არქეტიპის (ოტო ფრაიზინგის ქრონიკა) მიხედვით, მოგვთა ჩამომავალი იყო და მისი სამშობლო მდებარეობდა სპარსეთისა და არმენიის მიღმა, უკიდურეს აღმოსავლეთში. უკვე, 1165 წლის ეპისტოლეში იოანე პრესვიტერი კი ინდოეთის მეფედ იხსენიება. ამ ეპისტოლეში მისი სამეფო მოიცავდა სამ ინდოეთს. ამ სამი ინდოეთიდან ერთ-ერთი, მცირე ინდოეთი ევროპელთა თვალში ეთიოპიად აღიქმებოდა და იოანეს უკვე ინდოეთის და აბისინიის მეფედ წარმოსახავდნენ. კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობა შეიძინა ამ თეორიამ XIII საუკუნის პირველი ნახევრიდან, როცა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის წყაროებში გვხვდება მონაცემები აბისინია-ნუბიის ქრისტიანი სუვერენის შესახებ, როგორც ჯვაროსანთა ერთ-ერთი მოკავშირისა. მოგვიანებით, პლანო კარპინის და მარკო პოლოს ცნობების მიხედვით, შუა და მცირე ინდოეთი ეთიოპიად მოიაზრებოდა და მის მოსახლეობას შავ სარაცინებს უწოდებდნენ. ამ პერიოდიდან, იოანე პრესვიტერი აბისინიის მმართველადაც აღიქმებოდა მაშინდელ სამყაროში. უშუალოდ ეთიოპიის მეფედ იოანე პრესვიტერს და მის ჩამომავლებს, დასავლურ კარტოგრაფიაში უფრო მოგვიანებით XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან აღიქვამდნენ. XIV საუკუნის კოლომბოელი ეპისკოპოსი იორდანუსი მას პირდაპირ აბისინიის ქრისტიან მეფედ მიიჩნევდა და გამოჰყოფდა კიდეც აფრიკის ამ რეგიონს ინდოეთისგან. XIV-XV საუკუნეებში, კიდევ უფრო განმტკიცდა აზრი იოანეს ეთიოპელობის შესახებ და პორტუგალიელებმა მის მოსაძებნად რამდენიმე ექსპედიცია მოაწყვეს. ძირითადად, იოანეს ეთიოპელობის თეორია აქტუალური გახდა XIII საუკუ-

ნის ბოლოს, მას შემდეგ, რაც ამ მითიური მეფის ადგილსამყოფელი ვერ აღმოაჩინეს სპარსეთის მიღმა, აღმოსავლეთში პაპის და სხვა ქრისტიანი მმართველების მიერ გაგზავნილმა ელჩობებმა. Tsitlanadze, Gogoladze, 2012. p. 99-103; Richard, 1955, p. 225-242. იხ. ასევე Doresse, 1957; Marco, 1955, p. 374-375 და 381-382.

[70] ჟ. რიშარის აზრით, სახელი ბულგაბოგა თურქული ან მონღოლური წარმოშობისაა. ნაწილი ავტორებისა ფიქრობს, რომ ბულგაბოგას ეტიმოლოგია დაკავშირებულია ჩინგის-ხანთან და მეორე ვერსიით ამ სახელის ქვეშ ვარაუდობენ, ნაიმანების ნესტორიანელ ხანს ქუჩლუკს, რომელმაც დაიპყრო ყარა-ხატაეთის სამეფო და შეებრძოლა მონღოლებს. ამ ჰიპოტეზას ამაგრებს, ის, რომ ქუჩლუკის დიდ ბაბუას ინანჩს უწოდებდნენ ბულგა-ბუკას (Bulga-Buqa). Richard, 1955. p. 234.

[71] XIII საუკუნის მემატიანის მათე პარიზელის ცნობით, ებრაელები განსაკუთრებული მღელვარებით და სიხარულით ელოდნენ მეფე დავითის გამოჩენას, ვინაიდან იგი ისრაელის დაკარგული ტომების შთამომავალი იყო. სპარსეთის მხარეებში მცხოვრები ებრაელთა ტომების საცხოვრისის და მეფე დავითის შესახებ ერთ-ერთი უძველესი ცნობა ევროპულ წყაროებში, გვხვდება XII საუკუნის ესპანეთში მცხოვრები ებრაელი ავტორის, ბენჟამინ ტუდელელის მოგზაურობის წიგნში. მისი ცნობები ეხება მიდიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ებრაელთა ნახევრად ლეგენდარული გმირის დავით ელროის (ალროი, მენაჰემ ბენ სულეიმან ალ-რუჰი, ფსევდომესია) ისტორიას, რომელიც ებრძოდა სელჩუკთა სულთანს სანჯარს. ბენჟამინ ტუდელელის ქრონიკა დათარიღებულია 1160-1173 წლებით, რადგან მისი მონათხრობიდან ვიგებთ, რომ მას ამ წლებში უმოგზაურია აღმოსავლეთის ქვეყნებში (თუმცა მკვლევარებს შორის არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მისი მოგზაურობა ფიქციაა). გ. ოპერტი მის ცნობებს 1165 წლის ახლო ხანებით ათარიღებს. საერთოდ, მკვლევართა თვალსაზრისით, ამ ებრაელი ავტორის მონაცემები ქრონოლოგიური კუთხით, ოტო ფრაიზინგის ცნობების შემდეგ უძველესია იოანე პრესვიტერზე გავრცელებულ ლეგენდებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ბენჯამინ ტუდელელის ცნობები შეიცავს არაპირდაპირ მონაცემებს ამ მითიური მეფე-ხუცესის შესახებ, იგი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს წყაროს ამ მოარული ლეგენდის შესასწავლად. ოტო ფრაიზინგის ქრონიკა დათარიღებულია დაახლოებით 1145 წლით, რადგან აღნიშნავს, რომ სწორედ ამ წელს რომის პაპ ევგენი III-თან დიპლომატიური მისიით ჩამოსულა სირიის ქალაქ გაბალის (ჯებაილი) ეპისკოპოსის ჰუგოს ელჩობა, რომელიც პონტიფიკოსს სთხოვდა დახმარებას ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის მოსაწყობად, რათა დაებრუნებინათ 1144 წელს დაკარგული ედესა. Richard, 1955. p. 235; Otto Bischof von Freising. 1960; Oppert, 1864, p. 17-25.

[72] ხანხანა (ფრ. Chancana). სავარაუდოდ, მონღოლურად დიდი ხანი, ხანთა ხანი. Schöndorfer, 1997, p. 200-201. ვინ შეიძლება იგულისხმებოდეს სპარსთა მეფე ხანხანაში? თვით სპარსეთზე მითითება მიანიშნებს, რომ ჟაკ დე ვიტრისათვის სპარსეთი, მესოპოტამიის აღმოსავლეთის მხარეების განზოგადებული განმარტებაა და კონკრეტულ პოლიტიკურ და გეოგრაფიულ სივრცეზე არ მიუთითებს. რაც შეეხება სპარსთა მეფის სახელწოდებასაც, თვით ტექსტიდან ჩანს, რომ იგი მოხსენიებულია არა საკუთარი სახელით, არამედ ტიტულის სპარსული ტერმინის ლათინიზებული ფორმით. აქ საუბარია ისტორიული სპარსეთის იმ მხარეებზე, სადაც გადმოცემით ცხოვრობდნენ ებრაელთა ათი დაკარგული ტომის შთამომავლები. ჟაკ დე ვიტრის ინფორმაცია სწორედ ამ ძველ გადმოცემებს ეყრდნობა. ჟაკ დე ვიტრის მიერ მოთხრობილი დავითის ეს ისტორია ორიენტირებულია ძველ აღთქმაში გადმოცემულ ამბავზე, რომელიც ისრაელის მეფე დავითის ლეგენდის გააზრებაა. ძველი აღთქმის მიხედვით, დავითი იყო რვა ძმას შორის ყველაზე უმცროსი, რომელიც ყმაწვილობიდანვე სილამაზით იყო განთქმული. იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში წარმატებით ებრძოდა ფილისტინელებს. ამის გამო მან გამოიწვია მეფე საულის ეჭვიანობა და ზიზღი. საულმა გადაწყვიტა დავითის მოკვლა, მაგრამ თავისი განზრახვის შესრულება ვერ შეძლო. თუმცა დავითი იძულებული იყო გაქცეულიყო და საულის სიკვდილის შემდეგ ყველა უხუცესმა ხმა მისცა მის მირონცხებას და ისრაელის გვირგვინოსნად გამოცხადებას. საულის სიკვდილის შემდეგ, იუდეის მეფე იყო მისი შვილი, რომელიც შემდგომ დავითმა დაამარცხა და ებრაელთა ორი სამეფო გააერთიანა. ბენჟამინ ტუდელელის ცნობებიც ებრაელთა სპარსეთში მოსახლეობის შესახებ, სწორედ ძველი წყაროების და გადმოცემების გააზრებით არის დაწერილი და აღნიშნავს კიდეც, რომ ისინი გადმოასახლა მეფე შალმანაზარმა [სალმანასარი]. ეს ტომები ბაბილონიდან (ბაღდადიდან) ხუთი დღის სავალზე, ამადიაში და ჩაფტონის მთებში, მიდიის ტერიტორიებთან ახლოს ცხოვრობდნენ. შემდეგ მოგზაური აღწერს ებრაელთა გმირის დავით ელროის ისტორიას, რომელიც თავს დავით წინასწარმეტყველის ჩამომავლად თვლიდა და ჰქონდა მისია, რომ ებრაელთა ეს დაკარგული, სამშობლოდან მოწყვეტილი ტომები აღთქმულ მიწაზე დაებრუნებინა და გაეთავისუფლებინა იერუსალიმი. ამიტომაც იგი წარუდგა სპარსეთის მეფე სინჯარ შაჰ ბენ შაჰს [სავარაუდოდ, აქ მოიაზრება მუიზზ ად დინ აბულ ჰარის აჰმად სანჯარი – სელჩუკთა დიდი სულთანი 1118-1153 წლებში] და მოსთხოვა, რომ არ შეეშალა ხელი ღვთისგან მინიჭებული საქმის შესრულებაში. შემდგომში ავტორი აღწერს დავით ელროის თავგადასავალს და მის ვერაგულად მოკვლის ისტორიას. მსგავსი ისტორიები ლტოლვილი ებრაელთა წინამძღოლის დავითის შესახებ სხვა წყაროებშიც გვხვდება. ბენჟამინ ტუდელელის ეს ცნობა კი უძველესია დავითის ამ ისტორიის შესახებ. მისი მონათხრობიდან აუცილებლად წარმოგვიდგება მეხსიერებაში XIII საუკუნის ხატას და ინდოეთის ლეგენდარული მეფის დავითის ამბავი. როგორც ტუდელელის თხზულებაში, ასევე ჟაკ დე ვიტრისთან ეს პიროვნებები ლეგენდარული ფერებით არიან შემოსილნი, მათი საცხოვრისი სადღაც სპარსეთის აღმოსავლეთშია, ორივე იბრძვის სპარსელთა სულთნის წინააღმდეგ, ორივე ებრაელთა ჩამომავალია და მეფის რანგშია გამოყვანილი. მათი მიზანია მაჰმადიანებთან ბრძოლა და იერუსალიმის გათავისუფლება. ისინი ლეგენდარული პერსონაჟები არიან და მათი სახელები სწორედ ებრაელთა ბიბლიური მეფის დავით წინასწარმეტყველის ალეგორიული წარმოსახვაა. ჟაკ დე ვიტრის დავითი სწორედ ბიბლიური დავითის აღქმაა ჯვაროსანთა აზროვნებაში. ჯერ კიდევ უხილავი ჩინგის-ხანი, რომელიც თავისი ძლევამოსილი არმიით მუსრს ავლებდა შუა აზიის და სპარსეთის მაჰმადიანებს, ჯვაროსანთათვის მესიანისტური ფიგურაა, რომელიც დავით წინასწარმეტყველის ადგილს იკავებს იერუსალიმისათვის ბრძოლაში. ამ ლეგენდარული მეფის სახე ამიტომაც ამოტივტივდა მეხსიერებაში და ეს აისახა კიდეც აკრის ეპისკოპოსის თხზულებაში, რომელიც იმ ეპოქის გამოძახილი იყო. Jüdische Reisen im Mittelalter, 1991. p. 85-89; Klopprogge, 1993, p. 125-127; ბიბლია, გვ. 256-274; თავაძე, 2007, გვ. 479-483; Gogoladze, Tsitlanadze, 2009, p. 72-82.

[73] ხასსარი, შასარი (ფრ. Chasar), სავარაუდოდ, ქაშგარი – აღმოსავლეთ თურქესტანის რეგიონი. Zarnke, 1879, s. 34.

[74] ბელასაგუნი, ბალასაგუნი (ფრ. Bellasachun), ქალაქი შვიდმდინარეთის რეგიონში მდინარე ჩუიზე, ისიკ-ყულის უდაბნოსთან ახლოს. დღევანდელ ყირგიზეთის ტერიტორიაზე. XII საუკუნის დასაწყისში შედიოდა ყარა-ხანიდების სახელმწიფოს შემადგენლობაში, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ამ საუკუნის 20-იან წლებში, შვიდმდინარეთის რეგიონში, ყარა-ხატაელთა მეთაურმა ელიუი-დაშმა ჩამოაყალიბა ახალი სახელმწიფო, მის დედაქალაქად აქცია ბელლასაგუნი. ყარა-ხატაელთა სამეფო მოიცავდა ტერიტორიას ამუდარიიდან და ბალახშის ტბიდან აღმოსავლეთ თურქესტანის (ბეიშანის მთიანეთის ჩათვლით) რეგიონს. 1219 წელს დაიპყრეს მონღოლებმა. ჟაკ დე ვიტრის მიერ მოცემული საზღვრები, რომელიც სპარსეთის მეფის სამფლობელოებში შედიოდა, მიესადაგება იმ დროისათვის ხორეზმშაჰ ალა ად-დინ მუჰამედის სახელმწიფოს აღმოსავლეთის საზღვრების კონტურებს. მას შემდეგ, რაც ხორეზმშაჰმა XIII საუკუნის პირველ ათწლეულში წარმატებული საომარი კამპანია აწარმოა ყარა-ხატაელების, ყარა-ხანიდების, ღურიდების სახელმწოფოების წინააღმდეგ, მისმა პოლიტიკურმა გავლენამ მოიცვა ავღანეთის და შვიდმდინარეთის რეგიონის მიწებიც. ბელასაგუნი იმდროისათვის ყარა-ხატაელთა სახელმწიფოს დედაქალაქი იყო და ხორეზმშაჰის რაზმებმა მის კედლებამდეც მიაღწიეს. ამიტომ, შეიძლება და-

ვუშვათ ის ვარაუდი, რომ ჟაკ დე ვიტრის მიერ აღწერილი გეოგრაფიული სივრცე ხორეზმის სახელმწიფოს აღმოსავლეთის საზღვრების აღქმაა და სპარსთა მეფე ხანხანაში შეიძლება მოვიაზროთ ასევე ალა ად-დინ მუჰამედის ისტორიული ფიგურაც.

[75] ჯეოსი (ფრ. Geos), იგივე ჯეონი. ამ შემთხვევაში საუბარია შუა აზიის მდინარე სირ-დარიის აღმოსავლეთით მიმდებარე მიწებზე. საერთოდ, ჯეოსს ძველი კარტოგრაფია ამუ-დარიასთან აიგივებს, მაგრამ აქ, სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს სირ-დარიის რაიონზე, რადგან ბელლასაგუნი სწორედ მის აღმოსავლეთით მდებარეობდა. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ჟაკ დე ვიტრი შეცდომით ამუ-დარიის რეგიონს ასახელებს, რადგან მაშინდელ ევროპულ გეოგრაფიულ წარმოდგენებში ამ მიწების ზუსტი ლოკალიზაცია ვერ ხერხდებოდა. ამუ-დარიას ელინისტურ ეპოქაში უწოდებდნენ ოქსოს. ძველი ბერძნები მოიხსენიებდნენ მას ასევე არაქსად. შუა საუკუნეების კარტოგრაფიული და გეოგრაფიული შეხედულებებით, სამოთხის ბაღებიდან მომდინარე ერთ-ერთი მდინარე. ჟაკ დე ვიტრის მიერ დასახელებული რეგიონი, ეს არის მიწები ამუ-დარიასა და სირ-დარიას შორის, ისტორიული ტრანსოქსიანა, ძველი ბერძნები მას სოგდიანას უწოდებდნენ – არაბ. მავერანნაჰრი, მდინარის გაღმა მიწები. ჟაკ დე ვიტრი VI წერილში ჯეოსს იხსენიებს, როგორც ჟიონს და აიგივებს ნილოსთან. როგორც ვხედავთ, სამოთხის მდინარეებს ერთი კონკრეტული გეოგრაფიული განმარტებები არ გააჩნდათ და ამის მაგალითია ჟაკ დე ვიტრის მიერ ერთი და იმავე ნომენკლატურის – ჟიონის, ჯეოსის დედამიწის სხვადასხვა მხარეში გადატანა. ეს ნათლად გამოხატავს, თუ როგორი ბუნდოვანი კარტოგრაფიული წარმოდგენები ჰქონდათ აღმოსავლეთზე იმდროინდელ ევროპელ სწავლულებს.

[76] დაბადება 37, 20.

[77] ხანიხი (ფრ. Chanichi) – მსგავსი შესატყვისია ხანხანასი. საერთოდ, მემატიანის მიერ მსგავსი ტერმინებით, „ხანხანა“, „ხანიხი“-თ აღნიშვნა, მიანიშნებს, რომ იმდროინდელი ევროპელი ავტორებისათვის, ზოგადად, „ხან“-ის ტიტულით მოიაზრებოდნენ აღმოსავლეთის უცნობი მხარეების მმართველები.

[78] დამახუსი (ფრ. Damachus), ასევე დამახაგასი, უცნობია ამ გეოგრაფიული ადგილის ლოკალიზაცია.

[79] გამოცხადება 7, 9.

[80] ძნელია გავარკვიოთ, თუ რომელ ბრძოლაზეა აქ საუბარი. იყო ეს ჩინგიზ-ხანის და ხორეზმელების ომების გამოძახილი იმდროინდელ ჯვაროსნულ აღმოსავლეთში? ჩვენი აზრით, საეჭვოა, რადგან ქვევით გვხვდება ამ მმართველთა ბრძოლების ანარეკლი, მისი ალეგორია ჟაკ დე ვიტრის მიერ გადმოცემულ ამბებში. უნდა აღვნიშნოთ, რომ მონღოლებთან ბრძოლაში დამარცხებული ხორეზმშაჰი ტყვედ არ ჩავარდნილა. იგი შემდგომში ჩინგიზ-ხანის მიერ გამოგზავნილი სარდლების რაზმების მიერ იქნა უკუქცეული და დევნილობაში გარდაიცვალა. ამიტომ, ვიტრისეულ ვერსიაში, რომელიც მოგვითხრობს სპარსეთის მეფის დატყვევებაზე, ხომ არ არის ზოგადად იმ ძველი ლეგენდების გააზრების კვალი, რომელიც ებრაელთა მეფის დავითის და სპარსეთის მმართველის სინჯარ შაჰის კონფლიქტს ეხება?! როგორც უკვე აღვნიშნეთ, დავითის ეს ისტორია ჟაკ დე ვიტრის გააზრებული აქვს ძველი გადმოცემებიდან და მისი წინამორბედი ლათინი ავტორების შრომებიდან. ჟაკ დე ვიტრის მიერ მოთხრობილი შემდგომი ისტორიები ნათლად წარმოგვიდგენს ჩინგიზ-ხანის მიერ წარმოებული ომების მთელ პერიპეტიებს, როცა მონღოლებმა მეთოდურად გააგრძელეს აღმოსავლეთ თურქესტანის, მავერანნაჰრის და ხორეზმის მიწების რბევა და ხელში ჩაგდება.

[81] ჟაკ დე ვიტრის მიერ გადმოცემული ქვემოთ მომხდარი ამბების ძირითადი ნაწილი ეხება მონღოლების მიერ თურქესტანის, ავღანეთის, ხორეზმის, ხორასანის და სპარსეთის ისტორიული მიწების დალაშქვრისა თუ დაპყრობების ისტორიებს, რომელიც ასეთი ალეგორიული სახით აისახა ჩვენი ავტორის ქრონიკაში. რაც შეეხება მის მიერ აღნიშნული „სარაცინების მეფეთმეფის სამეფოს“ იდენტიფიკაციას, სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს ხორეზმშაჰის უზარმაზარი იმპერიის ისტორიული რეალიების გააზრება, რადგან იმ დროის აღმოსავლეთში არ არსებობდა სხვა ძლევამოსილი მუსლიმი მმართველის სახელმწიფო, გარდა ალა ად-დინ მუჰამედისა, რომლის სახელზეც ხუტბას თვით კასპიისპირეთიდან ინდოეთამდე აღავლენდნენ მეჩეთებში. მონღოლებთან ხორეზმელებს პირველი შეტაკება 1218 წლის ბოლოს მოუხდათ. ალა ად-დინ მუჰამედის მეთაურობით ხორეზმელები შეებრძოლნენ მონღოლთა მეთაურის ვაჟს ჯუჩის, სადაც მხოლოდ ხორეზმშაჰის უფლისწულის ჯალალ ად-დინის გმირულმა და უნარიანმა ხელმძღვანელობამ გადაარჩინა მამამისი ტყვეობას და ჯარები – სრულ განადგურებას. ხორეზმელებმა ამ შეტაკებაში 20 ათასი მეომარი დაკარგეს. ეს იყო პირველი შეტაკება, ხოლო ნამდვილი ომი, მოწინააღმდეგეთა მთელი რესურსების გამოყენებით, მას შემდეგ დაიწყო, რაც ხორეზმშაჰის ბიძაშვილმა ოთრარის ამირამ ინალ გაირ-ხანმა (XIII საუკუნის სპარსელი ისტორიკოსი, ჯალალ ად-დინის ისტორიის მემატიანე, შიჰაბ ად-დინ ან-ნასავი, მას ინალ-ხანს უწოდებს) დახოცა ჩინგიზ-ხანის მიერ გამოგზავნილი ვაჭრები და ელჩები. მონღოლთა მბრძანებელს სურვილი ჰქონდა, რომ საკუთარი ქარავნების უსაფრთხოება უზრუნველეყო, რადგან შუა აზიის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, მისი ახლადშექმნილი სახელმწიფოს ეკონომიკური კეთილდღეობისთვის. ჩინეთის დაპყრობის შემდეგ, ჩინგიზ-ხანს სურდა, რომ, მუსლიმური აღმოსავლეთის ჩინეთთან

ვაჭრობა ხელში ჩაეგდო და საქარავნო გზებზე სრული კონტროლი დაეწ-ესებინა. ამიტომ, ჯერ კიდევ 1218 წლის გაზაფხულზე მონღოლთა მბრ-ძანებელმა ხორეზმშაჰთან გააგზავნა ელჩობა ძვირფასი საჩუქრებით. ალა ად-დინ მუჰამედმა მიიღო ელჩები და ასევე გამოთქვა სურვილი ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების შესახებ, რამაც ძალიან გაახარა ჩინგიზ-ხანი. სწორედ ამის შემდეგ გააგზავნა მან ხორეზმში ის 450 ვაჭარი ძვირფასი საქონელით, რომელთა ელჩობა ასე ტრაგიკულად დასრულდა. XIII საუკუ-ნის სპარსელი ისტორიკოსის ჯუვეინის ცნობით, ამ ქარავანში 450 ვაჭარი იყო, რომლებიც მუსლიმები იყვნენ, მაგრამ ოთრარის ხორეზმელმა ამირამ ვაჭრებს დააბრალა მონღოლთა ყაენის აგენტობა და დაატყვევა ისინი. ან-ნასავის ცნობით, მიუხედავად იმისა, რომ ალა ად-დინ მუჰამედს არ ჰქონდა გაცემული ბრძანება მათი დასჯის შესახებ, ამირამ ისინი მაინც დახოცა. ოთრარის მმართველის ვერაგობა გახდა შემდგომში მიზეზი მონღოლთა და ხორეზმელთა შორის ატეხილი დიდი ომისა, რომელიც ხორეზმის სახელმ-წიფოს სრული განადგურებით დამთავრდა. როდესაც ჩინგიზ-ხანმა შეიტყო ოთრარში თავისი ვაჭრების დახოცვის და ქარავნის ქონების ხორეზმელთა ხელში ჩაგდების შესახებ, გადაწყვიტა, რომ შური ეძია და დაიწყო სამზადი-სი დიდი ომისათვის. მაგრამ მანამდე ელჩი გააგზავნა ხორეზმშაჰთან, რომ-ლის პირით უსაყვედურა მას, რომ მან დაარღვია ურთიერთშორის დადებუ-ლი პირობა მშვიდობის და ქარავნების უსაფრთხოების შესახებ. მონღოლთა მეთაური სთხოვდა ალა ად-დინ მუჰამედს, რომ გადაეცა მისთვის მთავარი დამნაშავე, მაგრამ, ხორეზმშაჰმა უარი თქვა მისი ხელქვეითის გადაცე-მაზე. იმის მაგივრად, რომ მუჰამედს აეცილებინა მონღოლთა რისხვა და დიპლომატიური გზებით ეძებნა მშვიდობა ჩინგიზ-ხანთან, გადაწყვიტა, რომ მოეკლა მონღოლთა ელჩი ბორგა იბნ-კაფრაჯი. ხორეზმშაჰის მემკვი-დრე ჯალალ ად-დინი აფრთხილებდა მამამისს და ურჩევდა, რომ გადაე-ცა მონღოლებისათვის მთავარი დამნაშავე, რადგან სჯობდა ერთი კაცის სისხლი დაღვრილიყო, ვიდრე მრავალი მუსლიმისა, მაგრამ მან არ შეისმინა შვილის თხოვნა და სიკვდილით დაასჯევინა მონღოლთა დესპანი. თვით ან-ნასავი აძაგებდა ხორეზმშაჰს ამ საქციელის გამო და აღნიშნავდა, რომ ეს იყო ყველაზე მდაბალი საქციელი, რაც შეეძლო ჩაედინა სახელმწიფოს მეთაურს. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ასეთი სულელური საქციელი-სა, ხორეზმშაჰს ჰქონდა მიზეზები მონღოლთა მბრძანებლის მიმართ უკმაყ-ოფილებისა, რადგან ჩინგიზ-ხანი მას, წერილებში და საქვეყნოდ, შვილად მოიხსენიებდა, რითაც ხაზს უსვამდა საკუთარ უზენაესობას მუსლიმთა მბრძანებლის წინაშე. მუჰამედის აზრით, ჩინგიზ-ხანს არ ჰქონდა უფლება ასეთი დამცირებით მოეხსენიებინა მუსლიმთა შორის ყველაზე დიდი მბრ-ძანებელი. საერთოდ, ხორეზმშაჰის პოზიცია ამ საკითხში იწვევს გაკვირვე-ბას, მაგრამ ალა-ად-დინ მუჰამედს საკუთარი თავი მიაჩნდა დედამიწაზე

ყველაზე დიდ მბრძანებლად, რომელიც ფლობდა სამხედრო ძალების აურა-ცხელ რესურსს და მონღოლთა ურწმუნო მბრძანებლის წინაშე უკანდახევა ლაჩრულ საქციელად მიაჩნდა. სწორედ ამ ამბების შემდეგ, 1219 წლიდან დაიწყო გადამწყვეტი შეტაკებები მონღოლებსა და ხორეზმელებს შორის. მემატიანეები მოწინააღმდეგეების სამხედრო ძალების რაოდენობასთან დაკავშირებით ფანტასტიკურ ციფრებს ასახელებენ. მუსლიმი ავტორების მიხედვით, მონღოლთა ძალები 600-700 ათასს შორის მერყეობდა, ხოლო ხორეზმელთა არმიების საერთო რიცხვი 400 ათასს აღემატებოდა. ეს, რა თქმა უნდა, აშკარად გადამეტებულია რეალობას. სპარსელი ისტორიკო-სის რაშიდ ად-დინის ცნობით, ჩინგიზ-ხანის გარდაცვალების დროისათვის მონღოლთა რეგულარული არმიების საერთო რაოდენობა 129 ათასს არ აჭარბებდა, რაც ვ. ბარტოლდის აზრით, სინამდვილესთან შედარებით ახ-ლოს დგას. მაგრამ, სანამ ხორეზმის მიწებზე შემოვიდოდა, ჩინგიზ-ხანმა გადაწყვიტა, რომ ბოლო მოეღო კიდევ ერთი საშიში მტრისათვის, ნაიმანთა მეთაურის და ყარა-ხატაელთა „გურხანის“ ქუჩლუკისათვის. ამ დროისათ-ვის, ქუჩლუკი, როგორც ახალი გურხანი, ყარა-ხატაელთა სახელმწიფოს ახალი მმართველი, არა მარტო მონღოლებს ეღობებოდა წინ, არამედ სე-რიოზულ საფრთხეს უქმნიდა ხორეზმელთა ინტერესებს მავერანნაჰრში და მთლიანად შუა აზიაში. 1218 წლის თებერვალში ქუჩლუკის დატყვევების და სიკვდილით დასჯის შემდეგ, ხორეზმისაკენ გზაზე მონღოლებს აღარაფერი ეღობებოდათ. Бартольд, 1963, ст. 464-465; Буниятов, 1986, ст. 132-135.

[82] ქვემოთ ჩამოთვლილი ამ ქალაქების და ოლქების იდენტიფიკაცია რთულია და რიგ შემთხვევებში შეუძლებელიც. ჟაკ დე ვიტრი დამახინჯე-ბული 1219 წლის სექტემბერში, ინტერპრეტაციით გადმოგვცემს ამ ტო-პონიმების სახელწოდებებს. ხორეზმის საზღვრებში შემოსული მონღოლები, პირველად მიადგნენ ოთრარს, რომლის ამირას მიმართ თავისი ანგარიშები ჰქონდათ გასასწორებელი. 1220 წლის თებერვალში მონღოლებმა ხუთთვი-ანი ალყის შემდეგ აიღეს ქალაქი და ინალ გაიარ-ხანი (ბარტოლდი უწოდებს კაიარ-ხანს) შეიპყრეს, წამებით ამოხადეს სული და ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი ამოხოცეს, ნაწილი ტყვედ წაიყვანეს, ხოლო ოთრარი მთლი-ანად გაანადგურეს. ოთრარის მისადგომებთან ჩინგიზ-ხანმა თავისი არმია რამდენიმე ნაწილად გაყო, რის შესახებაც ჟაკ დე ვიტრის ქვემოთ აქვს საუბარი, როცა მეფე დავითმა ჯეოსის ნაპირებთან თავისი ლაშქარი სამ ნაწილად გაყო და ხორეზმის მიწების სხვადასხვა მხარეში გააგზავნა.

[83] ხაზაჰარი (ფრ. Chasahar, Sasahari). სავარაუდოდ, ხაზარასპი ან ხახ-სარი. ამუ-დარიის ნაპირებთან, ხორეზმის მხარეში, ცნობილ ქალაქებს სად-ვარსა და დარგანს შორის. XIII საუკუნის არაბი გეოგრაფი და სწავლული იაკუთ ალ-ჰამავი მას ხახასრს უწოდებს. სამარყანდიდან 2 ფარსახის მან-ძილზე. ვ. ბარტოლდის ცნობით, დღესაც შემორჩენილია ამ სახელწოდებით

არსებული გეოგრაფიული პუნქტი. Бартольд, 1963, ст. 185, 198.

[84] ლაკელეში (ფრ. Lakehelech). სავარაუდოდ, ილამიში, ლამიში, ფერღანის ოლქში. ჯუვეინის გადმოცემით, 1210 წელს ილამიშის სტეპებში გაიმართა ბრძოლა ხორეზმშაჰ ალა ად-დინ მუჰამედს და ყარა-ხატაელებს შორის, რომელიც დასრულდა ისლამის მტრების სრული განადგურებით. გამარჯვებულმა ხორეზმშაჰმა თვით ყარა-ხატაელთა არმიის მეთაური ტაიანკუ ჩაიგდო ხელში, რომელიც მისი ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს. Бартольд, 1963, ст. 215, 420.

[85] ბესიბელექი (ფრ. Bessibehelec). სავარაუდოდ, ბიშბალიკი, მხარე უიღურთა ქვეყანაში, სამარყანდიდან აღმოსავლეთით, 7 დღის სავალზე. როდესაც, ჩინგიზ-ხანმა დაასრულა ხორეზმის დაპყრობა, აღებული რეგიონები სამართავად გადასცა, როგორც საკუთარ შვილებს და შვილიშვილებს, ასევე ადგილობრივ მუსლიმ ამირებს, რომლებმაც ნებაყოფლობით მიიღეს მონღოლთა ყაენის სამსახური. ეს ქალაქი და მისი ოლქი, გადასცა ხორეზმელ დიდებულს მაჰმუდ იალავაჩს, რომლის შვილი მასუდ-ბეგი, უგედეის მმართველობის პერიოდში, ასევე იდგა მონღოლთა სამსახურში, განაგებდა მავერანნაჰრის, ალმალიკის, ქაშგარის, ბიშბალიკის რეგიონებს. Бартольд, 1963, ст. 545, 549, 557.

[86] ხატენი, შატენი (ფრ. Chaten). სავარაუდოდ, ხოტენი. თურქესტანის ერთ-ერთი რეგიონის ცენტრი, სირ-დარიის აღმოსავლეთით. მონღოლთა გამოჩენამდე, ამ რეგიონისთვის დიდი ბრძოლები ჰქონდათ გამართული ალა ად-დინ მუჰამედსა და ქუჩლუკს. ჩინგიზ-ხანმა ხორეზმზე ლაშქრობის დროს დაიპყრო ხოტენი და ქაშგარი. მოგვიანებით, XIII საუკუნის ბოლოს, ნესტორიანელი პატრიარქი მარ იაბალახ III (1281-1316) თავისი მოგზაურობის წიგნში აღწერს, რომ, როდესაც მგზავრობდა ჩინეთიდან სპარსეთისაკენ, გაიარა ქაშგარი და ხოტენი, რომელიც მონღოლთა გაუთავებელი თავდასხმების შედეგად გაპარტახებული და მოსახლეობისგან დაცლილი იყო. Бартольд, 1963, ст. 421, 581.

[87] ასგუჩენტი (ფრ. Asguchent), ქალაქი ხოჯენტთან ახლოს. ჩინგიზ-ხანმა მავერანნაჰრის რამდენიმე მცირე და დიდი დასახლებული პუნქტი აიღო: ზერნუკი, სირ-დარიის ნაპირებთან, ნური, ყიზილ-ყუმის უდაბნოსთან, საიდანაც მონღოლთა მეთაური გაემართა ბუხარისაკენ. მონღოლთა სხვა რაზმებმა ჩინგიზ-ხანის შვილის ჯუჩის და სხვა სარდლების მეთაურობით აიღეს სიგნაკი, რომელიც ოთრარიდან 24 ფარსახის მანძილზე მდებარეობდა. შემდეგ უზგენდი, ბირჩინლიგკენტი, აშნასი, ჯენდი, ბენაკეტი. თითქმის ყველა ეს ქალაქი მცირე წინააღმდეგობის შემდეგ, ფაქტობრივად, უბრძოლველად გადავიდა მონღოლთა ხელში, რადგან ხორეზმშაჰმა ვერ მოახერხა ერთიანი ფრონტის შექმნა ქვეყნის საზღვრებთან, კერძოდ, სირ-დარიის ნაპირებთან. Бартольд, 1963, ст. 481-484.

[88] ხოჯენტი, შაოჯენტი (ფრ. Chaogent), მავერანნაჰრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი, მდინარე სეიხუნის ნაპირებზე. აქ მონღოლებს მოუხდათ სერიოზული ბრძოლა ქალაქის ასაღებად და ჩინგიზ-ხანმა თავისი საუკეთესო სარდლები ჩაღათაი და უგედეი გააგზავნა. ჯუვეინის და რაშიდ ად-დინის ცნობით, ჯალალ ად-დინის თანამებრძოლმა თიმურ-მალიქმა მონღოლებს დიდი წინააღმდეგობა გაუწია ამ ქალაქის დაცვის დროს. მემატიანეები აღტაცებას გამოთქვამენ მისი გმირული ბრძოლის გამო. მას შემდეგ, რაც ქალაქის დაცვა შეუძლებელი გახდა, თიმურ-მალიქმა თავისი ხალხით, პატარა ნავებისგან შემდგარი ფლოტილიით, სირ-დარიის დინებას მისცა თავი. მონღოლები გზადაგზა მისდევდნენ ნაპირების გაყოლებით და ცხრილავდნენ მის თანამებრძოლებს. მტერმა რამდენჯერმე გზა თვით მდინარის დინებაზე გადაუკეტა, მაგრამ მამაცმა მეთაურმა მოახერხა ალყის გარღვევა. ან-ნასავის და ჰამდალაჰ ყაზვინის გადმოცემით, ბოლოს, როცა ყველა თანამებრძოლი დაკარგა და მარტო დარჩა, მდევარს შესძახა, რომ კარპაჭში ორი ისარი შემორჩენოდა და ეს საკმარისი იყო მათ გასანადგურებლად. მისი სიმამაცით მოხიბლულმა მონღოლთა მდევარი რაზმის მეთაურმა მისცა უფლება, რომ სამშვიდობოს დაეღწია თავი და ისიც შემდგომში შეუერთდა ჯალალ ად-დინს. Буниятов, 1986, ст. 142-143; Бартольд, 1963, ст. 485-486.

[89] ბაკარა (ფრ. Bakara), ბუხარა. მიუხედავად იმისა, რომ ჟაკ დე ვიტრი დამახინჯებული ფორმით გადმოგვცემს ამ გეოგრაფიული პუნქტის დასახელებას, სწორედ ბუხარაზეა აქ საუბარი, რადგან იმ რეგიონის (მავერანნაჰრი) ქალაქებს შორის არის დასახელებული, როგორიცაა სამარყანდი, ფერგანა. მავერანნაჰრის ოლქი ხსენებული ქალაქებით ადრე შედიოდა ყარა-ხატაელების სამეფოში, რომელიც მათ დაიკავეს 1141 წლის შემდეგ, რაც დაამარცხეს სელჩუკთა დიდი სულთანი სანჯარი. იმ დროისათვის ბუხარას და სამარყანდს მართავდნენ ყარა-ხანიდების თურქული დინასტიის წარმომდგენლები, რომლებიც დაემორჩილნენ ახალ დამპყრობლებს. შემდგომში XIII საუკუნის დასაწყისში მავერანნაჰრისათვის ბრძოლაში ჩაება ხორეზმშაჰი ალა ად-დინ მუჰამედი. ხორეზმშაჰმა 1207 წელს, ყარა-ხანიდების დახმარებით მოახერხა ამ ქალაქების ყარა-ხატაელთა ხელიდან გამოგლეჯა, მაგრამ მუჰამედმა თავისი გუშინდელი მოწინააღმდეგეები, ყარა-ხანიდთა უკანასკნელი წარმომადგენელი უსმანი და მისი ოჯახი სიკვდილით დასაჯა და 1212 წლისათვის ბოლო მოუღო ამ დინასტიას. თუმცა ბრძოლები ამ რეგიონისათვის შემდგომშიც გრძელდებოდა, როცა მასზე პრეტენზიას აცხადებდა ყარა-ხატაელთა ახალი გურხანი, ნაიმანთა მეთაური ქუჩლუკი. მიუხედავად იმისა, რომ ხორეზმელებს ნაიმანების მეთაურის სახით სერიოზული მოწინააღმდეგე გამოუჩნდათ, მათ მოახერხეს ამ რეგიონის შენარჩუნება, რადგან ქუჩლუკმა თავისი რელიგიური შეუმწყნარებლობით

არა თუ მუსლიმები, არამედ თვით მონღოლებიც გადაიმტერა, რომლებსაც თურქესტანის და მავერანნაჰრისაკენ მიმავალ გზებზე ისედაც ეღობებოდათ ნაიმანთა მეთაურის სამფლობელოები. 1218 წლის თებერვალში მონღოლებმა დაამარცხეს ქუჩლუკი და სიკვდილით დასაჯეს. როდესაც მონღოლები სირ-დარიის ნაპირებს მოადგნენ, ეს უკვე ხორეზმის მიწები იყო და სამარყანდის და ბუხარისათვის ბრძოლაში მათ მოუწიათ ალა ად-დინ მუჰამედის სახელმწიფოსთან შეტაკება. ბუხარას ჩინგიზ-ხანი 1220 წლის თებერვალში მიადგა, ქალაქს რომელსაც ავტორები „აღმოსავლეთის ქვეყნების ისლამის გვირგვინს და მუსლიმთა ქალაქების დედას“ უწოდებდნენ. ბუხარის გარნიზონი მემატიანეთა გადმოცემით, 20-30 ათასის ფარგლებში მერყეობდა, მაგრამ მიუხედავად ასეთი მრავალრიცხოვანი და კარგად შეიარაღებული რაზმისა, მეციხოვნეთა მეთაურმა ინანჩ-ხანმა, რამდენიმედღიანი წინააღმდეგობის შემდეგ, თავის რაზმთან ერთად მიატოვა ალყაშემორტყმული ქალაქი და გაქცევით უშველა თავს. ამის შემდეგ, მონღოლებმა ფაქტობრივად უბრძოლველად აიღეს ბუხარა, რომელიც სასტიკად გაძარცვეს და მოაოხრეს. ეს ფაქტიც კარგად გვიჩვენებს, რომ საერთო ხელმძღვანელობას მოკლებული რაზმები და კარგად გამაგრებული დიდი ქალაქებიც ვერ უძლებდნენ მტრის დაწოლას და მონღოლებიც მეთოდურად იკავებდნენ მოწინააღმდეგის მიწებს. ამავე დროს. ჯუვეინის გადმოცემით, მას შემდეგ, რაც ქალაქი მონღოლთა ხელში აღმოჩნდა, ჩინგიზ-ხანი შევიდა მთავარ მეჩეთში და მისი კათედრიდან წარმოთქვა სიტყვა, სადაც საკუთარი თავი ღმერთის მახვილად მოიხსენია, რომელიც გამოგზავნილი იყო სამყაროს შემოქმედის მიერ, როგორც სასჯელი დედამიწაზე ხალხის ცოდვების გამო. Бартольд, 1963, ст. 477-478.

[90] სამარყანდი (ფრ. Samarchanda), მავერანნაჰრის მთავარი ქალაქი, რეგიონის პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი. ბუხარის დაცემამ დიდი რეზონანსი გამოიწვია შუა აზიის და სპარსეთის მუსლიმურ სამყაროში. როგორც ვხედავთ, ჩვენი მემატიანეც საკმაოდ დეტალურ ინფორმაციას ფლობდა შორეულ შუა აზიაში დატრიალებული მოვლენების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ჯვაროსნულ აღმოსავლეთში მონღოლთა გამოსვლა და მუსლიმთა მარცხი საკუთარი მიზნებისა თუ იმედების აღსრულებად მიიჩნიეს. ბუხარის აღების შემდეგ, მარტის თვეში, ჩინგიზ-ხანი მიადგა სამარყანდს, რომელიც კიდევ უფრო მძლავრად იყო გამაგრებული და კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი გარნიზონი იცავდა მას. ქალაქის დამცველებს 20 საბრძოლო სპილოც ჰყავდათ. მემატიანეები მის დამცველ მეციხოვნეთა საკმაოდ დიდ რიცხვს ასახელებენ, 40 ათასიდან 110 ათასის ფარგლებში. საერთოდ, ხორეზმშაჰი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მავერანნაჰრის მთავარი ცენტრების დაცვას, მაგრამ მემატიანეთა და მკვლევართა აზრით, უდიდესი შეცდომა დაუშვა, როცა უარი თქვა გენერალურ ბრძოლაზე, რადგან მისი სამხედრო ძალები მრავალრიცხოვნებით აღემატებოდა მონღოლთა მეთაურის დროშის ქვეშ შეკრებილ არმიებს. ალა ად-დინ მუჰამედს მისი ერთ-ერთი გამოჩენილი მოხელე შიჰაბ ად-დინ ხივაკი ურჩევდა, რომ მტერს დახვედროდნენ სირ-დარიის ნაპირებთან, ქვეყნის საზღვრებთან, მეორე ფრთა – შვილის ჯალალ ად-დინის მეთაურობით იმ გეგმას სთავაზობდა, რომ შემოეშვათ მტერი მავერანაჰრში, დაექსაქსათ წვრილ-წვრილი შეტაკებებით, შეეფერხებინათ გამაგრებულ ქალაქებთან თავდაცვითი ბრძოლებით და ამუ-დარიის ნაპირებთან შეექმნათ მთავარი წინაღობა. სხვები კი, კიდევ უფრო მცდარ გეგმას თავაზობდნენ, უკან დაეხიათ ღაზნისაკენ, ჰინდიყუშის მთებისკენ. საბოლოოდ ხორეზმშაჰმა მიიღო ჯალალ ად-დინის მომხრეების წინადადება და ფიქრობდა, რომ ამ გეგმით, ძლიერი გარნიზონების საშუალებით უნდა შეექმნათ დაბრკოლებები მავერანნაჰრის მიწებზე, რაც საშუალებას მისცემდა ხორეზმელებს გადაეკეტათ გადასასვლელები მთებზე და მდინარეებზე. ამიტომაც ხორეზმშაჰმა, ფაქტობრივად, მავერანნაჰრის მიწები საერთო თავდაცვითი სისტემების გარეშე დატოვა და ქვეყნის სიღრმეში დაიხია. ეს გეგმა მცდარი აღმოჩნდა, როგორც მოვლენებმა გვიჩვენა. ჩინგიზ-ხანი თავისი მზვერავების, ხორეზმშაჰის მტრების და მოღალატეების წყალობით კარგად იყო ინფორმირებული, თუ რა ხდებოდა მოწინააღმდეგის ბანაკში. ასე რომ, ბუხარის აღების შემდეგ, მონღოლთა მეთაური სამარყანდს, ამ რეგიონის მეორე უმნიშვნელოვანეს ცენტრს, ფაქტობრივად, დიდი ბრძოლების გარეშე მიადგა. მონღოლებმა ხერხს მიმართეს, გამოიტყუეს მეციხოვნეთა ძირითადი ნაწილი მისი გალავნის კედლებიდან, მოაჩვენეს, რომ ბევრად უფრო მცირერიცხოვანნი იყვნენ, მაგრამ მოუწყვეს ჩასაფრება და გამოტყუებული გარნიზონის დიდი ნაწილი ალყაში მოაქციეს და ამოხოცეს. ამის შემდეგ ისინი, ფაქტობრივად, დაუცველ ქალაქში უბრძოლველად შევიდნენ, სასტიკად გაანადგურეს და გაძარცვეს. სამარყანდი 1220 წლის 17 მარტს დაეცა. მხოლოდ ქალაქის ციტადელის გარნიზონმა გაუწია ძლიერი წინააღმდეგობა, მაგრამ დახმარებას მოკლებულებმა ვერ გაუძლეს მომხდურთა შტურმს და მეციხოვნეთა მეთაურმა 1000 მეომრით, ღამით მოახერხა მონღოლთა ალყის გარღვევა და სამშვიდობოს გასვლა. დამცველთა გარეშე დარჩენილი მოსახლეობის დიდი ნაწილი მონღოლებმა ტყვედ აიყვანეს და უზარმაზარი თანხა 200 000 დინარი დააკისრეს. ვინც ვერ გადაიხადა, დახოცეს ან ქალაქიდან გარეკეს. მემატიანეები დახოცილი მოსახლეობის და მეციხოვნეების უზარმაზარ ციფრებს ასახელებენ, 50 ათასიდან 70 ათასის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ციფრები შეიძლება გადაჭარბებულიც იყოს, შემდგომი მოვლენები გვიჩვენებს, რომ სამარყანდი, ფაქტობრივად, დაიცალა და აოხრდა. თითქმის სამ თვეში ჩინგიზ-ხანმა დიდი ბრძოლების გარეშე მოახერხა მავერანნაჰრის უზარმაზარი რეგიონის დაკავება და მისი უმნიშვნელოვანესი ცენტრების დაპყრობა. ამჯერად, მას

მხოლოდ ხორეზმშაჰის არმიის გაფანტული რაზმების განადგურება დარჩა სამომავლო გეგმებში და თვით ნირწამხდარი მუჰამედის სადევნელად და შესაპყრობად თავისი არმიიდან გამოყო ორი საუკეთესო სარდალი ჯებე და სუბუდაი, რომელთა რეიდის შესახებ დეტალურნფორმაციებს გვაწვდის ჩვენი მემატიანე ქვემოთ მოთხრობილ ისტორიებში. Буниятов, 1986, ст. 146-147; Бартольд, 1963, ст. 478-481.

[91] ფარგანა (ფრ. Phargana), ფერღანა, ფერგანა, აღმოსავლეთ თურქესტანის რეგიონი. XII საუკუნის მეორე ნახევრიდან ფერღანის ოლქის მთავარი ქალაქი იყო უზგენდი, რომელიც ადრე ყარა-ხანიდების მმართველობის ეპოქაში მავერანნაჰრის დედაქალაქი იყო. X საუკუნის არაბი მოგზაურის, შამს ად-დინ აბუ აბდალლაჰ მუჰამედ ბენ აჰმედ მაკდისის ცნობით, ფერღანის ოლქში შედიოდა 40 ქალაქი და დასახლებული პუნქტი. ფერღანასთან მონღოლები გამოჩნდნენ, როცა ჩინგიზ-ხანმა სამარყანდის აღების შემდეგ, თავისი რაზმები გააგზავნა ხოჯენტის, ვახშის და სხვა ქალაქების ასაღებად. Бартольд, 1963, ст. 485-486. ჩინურ წყაროებში თურქესტანი იხსენიება, როგორც ჩინური თურქესტანი, ძველი ბაქტრია. Бартольд, 1922, ст. 3-7.

[92] აგაჟია (ფრ. Agagya). ამ გეოგრაფიული პუნქტის იდენტიფიკაცია ძალიან ძნელია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი მდებარეობდა ფერღანის მხარეში, რადგან დე ვიტრის დასახელებული ჰყავს ფერღანის გვერდით. თუმცა, როგორც აღვნიშნე მის მიერ გადმოცემული მოვლენების ქრონოლოგიურ თანამიმდევრობაზე დაყრდნობა მეტად საფრთხილოა. შეიძლება მოვიაზროთ მის მიერ მოხსენიებული პუნქტის ქვეშ ფერღანის ერთ-ერთი დიდი ქალაქი ახსიკეტი? წყაროებში არაფერია ნათქვამი მონღოლების მიერ ამ ქალაქის დაპყრობის შესახებ, მაგრამ, სავარაუდოდ, იგი ალბათ ვერ გადაურჩებოდა მათ რისხვას. ახსიკეტი იმ დროისათვის დიდ ქალაქს წარმოდგენდა და მემატიანეთა გადმოცემით მისი დასახლებების ფართობის სიგრძე რამდენიმე მილს მოიცავდა, გარეუბნებში არსებული ბაღების ფართობი ორ ფარსახზე იყო გაშლილი. Бартольд, 1963, ст. 218.

[93] ხაზარასპიდან მრავალი სავაჭრო მაგისტრალი უერთდებოდა ხორეზმის ქვეყნის სხვა ქალაქებს. მაკდისი გვაწვდის დეტალურ ინფორმაციებს ამ ქალაქებს შორის არსებულ მანძილებზე. ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობით, ხაზარასპი მდებარეობდა მერვსა და ურგენჩს (გურგანჯი) შორის არსებულ მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე, 10 ფარსახის მანძილზე. Бартольд, 1963, ст. 211. ჟაკ დე ვიტრის ამ ქალაქებს შორის არსებულ მანძილებზე ინფორმაცია, სავარაუდოდ, უნდა ჰქონდეს ჩვენთვის უცნობი წყაროებიდან. საეჭვოა, რომ ის სარგებლობდეს მუსლიმი ისტორიკოსების ან გეოგრაფების მასალებით. რელაციოს ბოლოს იგი აღნიშნავს, რომ მეფე დავითის ეს ისტორია მას მიაწოდეს ტრიპოლის გრაფის ხელქვეითებმა და ვაჭრებმა, რომლებსაც ეს ინფორმაციები გადასცეს მეფე დავითის მიერ სარკინოზთა ტყვეობიდან

გამოხსნილმა ჯვაროსნებმა.

[94] ბაშარა (ფრ. Bachara). ტექსტში ამ გეოგრაფიული პუნქტის აღნიშვნა სხვადასხვა ტრანსკრიპციით გვხვდება. X საუკუნის არაბი გეოგრაფი ალ-ისთახრის ცნობით, ხოჯენტიდან სამარყანდამდე 8 დღის სავალი იყო.

[95] ზარმიში (ფრ. Zarmich). ზანდერამში, ან ზანდერამიში, შუა საუკუნეების ფერღანის ოლქის ქალაქი. ვ. ბარტოლდის მოსაზრებით, ამ ქალაქის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა დაუდგენელია, Бартольд, 1963, ст. 214-215.

[96] ბელლასაგუმი (ფრ. Bellasachum). ამ გეოგრაფიული პუნქტის აღნიშვნა წერილში მცირე განსხვავებებით გვხვდება.

[97] ალანაარი (ფრ. Alaanar). ოლქი ისტორიული სპარსეთის აღმოსავლეთში, ჰერათსა და ღაზნას შორის. დაიპყრეს მონღოლებმა 1221 წლისათვის. რ. რორიხტი, ფიქრობს, რომ ეს ტერმინი არის ალ-ჰურის (Al-ghur) ლათინიზებური ვარიანტი და ალანაარის სამეფოს გეოგრაფიულ მდებარეობას მოიაზრებს ჰერათსა და ღაზნას შორის. ეს ტერმინი არაბულ წყაროებში არ გვხვდება, მაგრამ არ შეესაბამება მავერანაჰრის გეოგრაფიულ საზღვრებს. ეს ქვეყანა ამუდარიის სამხრეთით მდებარეობდა და ღურიდების მმართველობის ქვეშ იყო. Хаутала, 2014. ст. 35. Röhricht, 1894. s. 100. აქ ჟაკ დე ვიტრის მიერ გადმოცემული თხრობა უკვე ეხება ჩინგიზ-ხანის ლაშქრობების ამბებს ავღანეთისაკენ. მას შემდეგ, რაც მონღოლებმა დაიპყრეს ხორეზმის დედაქალაქი ურგენჩი, ხორეზმელების წინააღმდეგობის ცენტრი გადავიდა ავღანეთისაკენ, რადგან დევნილმა ჯალალ ად-დინმა იქ თავი შეაფარა თავის საუფლისწულო მიწებს. მონღოლების ურგენჩთან გამოჩენამდე, ჯალალ ად-დინმა მიაღწია დედაქალაქს, რათა სათავეში ჩადგომოდა ქალაქის დაცვას, მაგრამ ალა ად-დინ მუჰამედის დედამ თურქან-ხათუნმა არ ისურვა თავისი შვილიშვილის გამეფება (ამ დროისათვის ხორეზმშაჰი გარდაცვლილი იყო) და ინტრიგები მოუწყო მას. ან-ნასავი და იბნ-ალასირი გადმოგვცემენ, რომ მას იმდენად სძულდა თავისი შვილიშვილი, საკუთარი რძლის, უფლისწულის დედის აი-ჩიჩეკის გამო, რომ იფიცებოდა, ჩინგიზ-ხანის ტყვეობაში მირჩევნია სიკვდილი, ვიდრე ჯალალ ად-დინის მფარველობაში ყოფნაო. დედოფლის ვეზირები ჯალალ ად-დინის მოკვლასაც აპირებდნენ, მაგრამ ერთგული მომხრეების წყალობით ჯალალ ად-დინმა თავი დააღწია საფრთხეს და გაეცალა ურგენჩს. რაც შეეხება თურქან-ხათუნს, ის არ გაჩერდა ურგენჩში და მაზანდარანში თავი შეაფარა ილალის ციხეს. თუმცა აქაც ვერ დააღწია თავი მონღოლებს, ხელში ჩაუვარდა მათ და ტყვეობაში დალია სული 1233 წელს. Буниятов, 1986, ст. 149-151.

[98] ღაზნა (ფრ. Gasne), ქალაქი დღევანდელი ავღანეთის აღმოსავლეთში. სპარსული კულტურის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი. X-XI საუკუნეებში ღაზნევიდების თურქული დინასტიის სახელმწიფოს დედაქალაქი. XIII საუკუნიდან

აქ გაბატონდნენ ხორეზმელები, მას შემდეგ, რაც 1208 წელს ალა ად-დინ მუ-ჰამედმა ბოლო მოუღო აქ არსებულ ღურიდების სახელმწიფოს. ღაზნა იქცა ხორეზმშაჰის შვილის ჯალალ ად-დინის საუფლისწულო მამულად. მას შემდეგ, რაც მუჰამედი ხორასანში გაიქცა, მისმა შვილმა ჯალალ ად-დინმა თავი შეა-ფარა ღაზნას. მონღოლები ღაზნასთან გამოჩნდნენ, როდესაც, ფაქტობრივად, დაასრულეს ხორეზმის დაპყრობა. დევნილი ხორეზმშაჰი აღარ წარმოადგენდა მათთვის არავითარ საფრთხეს, რადგან ალა ად-დინ მუჰამედმა, მას შემდეგ რაც მიატოვა მავერანნაჰრი და ამუდარიის ნაპირები გადმოლახა, მონღოლთა რაზმები ჯებეს და სუბუდაის მეთაურობით მას ფეხდაფეხ გადმოჰყვნენ. ხო-რეზმშაჰმა თავი ნიშაბურს შეაფარა, მაგრამ ვერც ხორასანში შეძლო ფეხის მოკიდება, რადგან მტერი დაუღალავად მოსდევდა. საბოლოოდ, იგი 1221 წლის იანვარში ლტოლვილობაში, კასპიის ზღვის სანაპიროსთან მდებარე ერთ-ერთ პატარა კუნძულზე (აშურ-ადე, გურგანიდან სამი დღის სავალზე), ფილტ-ვების ანთებისგან გარდაიცვალა. ან-ნასავი გადმოგვცემს: იმდენად მძიმე იყო დიდებული ხორეზმშაჰის ხვედრი, რომ გარდაცვლილს, წესიერი სამოსელიც კი არ გააჩნდა, წესი რომ აეგოთ და მისი ერთ-ერთი მსახურის პერანგში გააპატი-ოსნეს და ასე მიაბარეს მიწას. ამასობაში, მონღოლებმა ხორეზმის დედაქალაქს ურგენჩს ალყა შემოარტყეს და ჩინგიზ-ხანის შვილების უგედეის, ჩაღატაის და ჯუჩის მეთაურობით, მძიმე შვიდთვიანი ბრძოლების შემდეგ, აიღეს და სასტი-კად გაანადგურეს. ურგენჩის აღებით მონღოლებმა დაასრულეს ხორეზმისათ-ვის ბრძოლა და მოქმედებების ასპარეზი ხორასანში გადაიტანეს. თავიდან, დევნილი ჯალა-ად-დინი თავისი მომხრეებით გაემართა ნიშაბურისკენ, მაგრამ იქ ვერ მოიკიდა ფეხი და თავი შეაფარა ღაზნას. სწორედ აქედან იწყება მისი აქტიური და დაუღალავი ბრძოლები მონღოლთა წინააღმდეგ. ჯალალ ად-დინ-მა პირველი სერიოზული დარტყმები მიაყენა მოწინააღმდეგეს და ფერვანის დაბლობზე, ღაზნას და ბამიანს შორის სასტიკი დამარცხება მიაყენა მონ-ღოლების 30 000 არმიას. ჩინგიზ-ხანმა სწრაფი რეაქცია მოახდინა მარცხზე და თავისი ძირითადი ძალები დაძრა ავღანეთისკენ. მან ღაზნისკენ მიმავალ გზაზე აიღო ბამიანი და მიადგა კიდეც ღაზნას. ჯალალ ად-დინმა ვერ მოახ-ერხა ქალაქის თავდაცვის ორგანიზება, რადგან იგი მიატოვეს ავღანელებმა და კარლუკებმა. ამიტომ, შესუსტებული ძალებით ვერ აღუდგა მონღოლთა რაზმებს, ღაზნა მიატოვა და ინდის ნაპირებისკენ დაიხია. მონღოლებმა 1221 წელს, უბრძოლველად დაიკავეს ღაზნა და ხორეზმშაჰის შვილს დაედევნენ. ინდის ნაპირებთან ბრძოლაში ჯალალ ად-დინმა თავიდან წარმატებას მიაღწია, თვით ჩინგიზ-ხანიც კი გაქცევას აპირებდა, რომ ჩასაფრებულმა მონღოლ-თა 10 000 რაზმმა, მას მოულოდნელად ზურგიდან დაარტყა და გადაწყვიტა კიდეც ბრძოლის ბედი. მონღოლებს აქ ხელში ჩაუვარდათ მისი 8 წლის შვილი, რომელიც დაუნდობლად მოკლეს. უფლისწულის ბრძანებით, საკუთარი დედა, ცოლი და მის ბანაკში მყოფი სხვა ქალები მდინარეში გადაყარეს, რომ მტერს

არ ჩავარდნოდათ ხელში, რადგან ბანაკის დაცვა შეუძლებელი იყო. თვით, ჯალალ ად-დინმა თავისი ცხენი (რომელსაც მადლობის ნიშნად შემდგომში უვლიდა თბილისის აღებამდე, თუმცა არასდროს მასზე აღარ ჯდებოდა) ინ-დის ტალღებში შეაგდო და მცირე რაზმთან ერთად მიაღწია სამშვიდობოს. Бартольд, 1963, ст. 504-513.

[99] აქ, ალანაარის სამეფოს ხალხის გაქრისტიანების ისტორიაში, სა-ვარაუდოდ, უნდა იგულისხმებოდეს მაშინდელ ჯვაროსნულ აღმოსავ-ლეთში გავრცელებული წარმოდგენები შუა აზიისა და ინდოეთის მხარეე-ბში მცხოვრები ქრისტიანი თემების შესახებ. როგორც ვიცით, ლეგენდის თანახმად, მითიური იოანე პრესვიტერი ნესტორიანელი ქრისტიანი იყო და მისი სამეფოს მცხოვრებნიც ძირითადად ამ კონფესიის მიმდევრები იყვნენ. ეს ცოდნა, შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრები ქრისტიანული თემების შესახებ ჯერ კიდევ თომა მოციქულის მისიონერული მოღვაწეობის ამბების გააზრებიდან მოდიოდა. გადმოცემით, ინდოელი ქრისტიანები წმინდა თომას მრევლის შთამომავლები იყვნენ. V-VI საუკუნეებში, ბიზანტიის იმპერიიდან ნესტორიანელების და იაკობიტების მრწამსის მიმდევრების დევნის შემდეგ, მათი დასახლებები გაჩნდა როგორც იმპერიის აღმოსავლეთ რეგიონებში, ისე შორეული სპარსეთის, შუა აზიისა და ჩინეთის მხარეებში. მიუხედავად იმისა, რომ ნესტორიანელობას იქაც დევნიდნენ, ამ კონფესიამ იმდენად მტ-კიცედ მოიკიდა ფეხი აზიის სტეპებში, რომ 1009 წელს მონღოლური ეთნი-კური ჯგუფის, კერაიტების ტომთა მეთაურმა მიიღო ნესტორიანული მრწამ-სი. ლ. გუმილიოვის აზრით, XII საუკუნის 20-იან წლებში ყარა-ხატაელების თურქესტანში პირველი გამოჩენის დროს, მათ რიგებში მრავლად იყვნენ ნესტორიანელები. XI საუკუნიდან ნესტორიანელობა გავრცელდა ონგუტებ-ში, უიღურებში, ღუზებში, ნაიმანებში და სხვა მომთაბარეებში. შუა აზიის და სპარსეთის მხარეებში გაჩნდნენ ბერძნული ორთოდოქსული ქრისტიანო-ბის მიმდევრებიც და XI საუკუნეში მართლმადიდებელი პატრიარქი იჯდა ქალაქ მერვში. Гумилев, 1994, ст. 38-46, 96-98. რაც შეეხება ჟაკ დე ვიტრის ცნობას, რომელიც მიუთითებს ალანაარის მცხოვრებთა ქრისტიანულ (ამ შემთხვევაში კათოლიკურ) რჯულზე მოქცევას, გასაგებია, რომ მემატია-ნის ეს ცნობა სინამდვილეს არ შეესაბამება, მაგრამ აქ უნდა გავიაზროთ ის შეხედულებები, რომლებიც გავრცელებული იყო კათოლიკურ წრეებში, აღმოსავლეთის ტომების ქრისტიანული აღმსარებლობის შესახებ. მონ-ღოლებმა დასავლეთისკენ (თურქესტანის, ავღანეთის, შვიდმდინარეთის) ლაშქრობის დროს მრავალი ტომი დაიპყრეს, რომელთა შორის მართლაც იყვნენ ნესტორიანული და იაკობიტური მრწამსის ქრისტიანები. ალანაარის სამეფოს ქრისტიანებში უნდა ვიგულისხმოთ ის ტომები, რომლებიც მონ-ღოლებმა თურქესტანის მიმართულებით მოძრაობისას დაიპყრეს. როგორც აღვნიშნეთ, ჟაკ დე ვიტრის მიერ დასახელებული გეოგრაფიული და პოლი-

ტიკური ნომენკლატურების იდენტიფიკაცია ძალიან რთულია, რადგან აქ მოცემული ამ მხარეების სახელწოდებები, უმეტეს შემთხვევაში, ლათინური ფორმის დამახინჯებული ვარიანტებია.

[100] ხატა (ფრ. Chatha) ხატაეთის, ყარა-ხატაელების სამეფო. შუა საუკუნეების მუსლიმურ და ევროპულ ისტორიოგრაფიაში მას უწოდებენ ხიტას, ხატას. ეს პოლიტიკური გაერთიანება ჩამოყალიბდა XII საუკუნის 30-40-იან წლებში შვიდმდინარეთის რეგიონში, რომლის ცენტრი იყო ქალაქი ბელლასაგუნი. ამ სამეფოს დამაარსებელი იყო ჩინელი პრინცი, ლიაოს დინასტიის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი ელიუი დაში, რომელიც იდგა იმ ტომების გაერთიანების სათავეში, რომლებმაც თავი შეაფარეს შუა აზიის აღმოსავლეთ რეგიონებს მას შემდეგ, რაც ჩინეთში დაინგრა ლიაოს იმპერია ჯურჯანების დარტყმების შედეგად. ყარა-ხატაელთა მეთაურს დიდი ბრძოლების გადატანა მოუხდა ადგილობრივ მმართველებთან, რომ დამკვიდრებულიყო თურქესტანის აღმოსავლეთში. პირველად ყარა-ხატაელები მუსლიმებს შეეტაკნენ 1137 წელს ხოჯენტთან, სადაც დაამარცხეს სამარყანდის ყარა-ხანიდების სახელმწიფოს მმართველის მაჰმუდ-ხანის არმია. სტეპის მომთაბარეების შემოსვლამ ისლამის ტერიტორიების სივრცეში დიდი ვნებათღელვა გამოიწვია შუა აზიის და ხორასნის მუსლიმებში. ამიტომ, სელჩუკთა ხორასნის დიდმა სულთანმა სანჯარმა გადაწყვიტა, რომ ბოლო მოეღო ისლამის მტრებისათვის და მავერანნაჰრისაკენ დაძრა დიდი ძალები. 1141 წელს სამარყანდთან ახლოს, კატვანის ველზე ყარა-ხატაელები შეებრძოლნენ ხორასნის დიდი სულთნის სანჯარის მეთაურობით შეკრებილ ლაშქარს, სადაც სტეპის მომთაბარეებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს. ყარა-ხატაელებმა ამ ბრძოლის შემდეგ აიღეს სამარყანდი და ბუხარა, ხოლო ხორეზმშაჰმა მშვიდობის სანაცვლოდ ყოველწლიური ხარკი იკისრა. ელიუი დაშის გამარჯვების ექომ სირიაში მყოფ ჯვაროსნებამდეც მოაღწია და, სავარაუდოდ, სწორედ აქედან გავრცელდა ჯვაროსანთა წარმოდგენებში ყალბი თეორიები აღმოსავლეთიდან მომავალი უცნობი ქრისტიანი მმართველის შესახებ, რომელიც იოანე პრესვიტერის ლეგენდის სახით გამოიკვეთა ევროპელთა აზროვნებაში. XIII საუკუნიდან ეს სამეფო საკმაოდ დასუსტდა და 1211 წელს დაიპყრეს ჩინგიზ-ხანისგან დევნილმა ნესტორიანელ ნაიმანთა მომთაბარე ტომებმა. წერილის მიხედვით, ხატაეთის სამეფოსთან დავითის (ჩინგიზ-ხანი) რაზმების გამოჩენა, მას შემდეგ, რაც ამ მეფის ჯარებმა დაიპყრეს სამარყანდი, ბუხარა, ფერღანა, ღაზნა და სხვა ქალაქები, მიუთითებს ჩვენი მემატიანის მიერ მიმდინარე მოვლენების ქრონოლოგიურ აღრევაზე. დავითის რელაციის ნიღაბქვეშ, გააზრებულია მონღოლთა სამხედრო კამპანია ხორეზმის და შუა აზიის მიმართულებით, მაგრამ ჩინგიზ-ხანის ურდოების ხორეზმის საზღვრებთან გამოჩენა მოხდა მას შემდეგ, რაც მონღოლთა მეთაურმა დაასრულა ყარა-ხატაეთის სამეფოს დაპყრობა, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, მდებარეობდა სირ-დარიის აღმოსავლეთით, ხორეზმის სახელმწიფოს მიწების გაღმა. საერთოდ, ისტორიულ-გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, მონღოლები ვერ მოადგებოდნენ ხორეზმის საზღვრებს, რომ არ გადაელახათ შვიდმდინარეთის ტერიტორია, სადაც არსებობდა სტეპის ამ მომთაბარეთა დიდი გაერთიანება, რომელიც XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე გარკვეულ სტრატეგიულ და ეკონომიკურ მაკავშირებელ ღერძს წარმოდგენდა მუსლიმური შუა აზიის და ჩინური სამყაროს ურთიერთობების საკითხში.

[101] ხავარასმისანი (ფრ. Chavarasmisan), ხორეზმშაჰი. ამ შემთხვევაში აქ საუბარია ალ ად-დინ მუჰამედის ისტორიულ ფიგურაზე (1200-1220 წწ.) აქ წერილში პირველად გვხვდება მეტ-ნაკლებად ზუსტი მინიშნება ხორეზმშაჰზე. თუ მანამდე ის „სპარსეთის მეფედ“, „ხანხანად“, „სარაცინების მეფეთ მეფედ“ გვხვდება წერილში, ამჯერად, მინიშნება კონკრეტულია. თუმცა საინტერესოა, რომ „ხავარასმისანად“ ჟაკ დე ვიტრი იმ ეპიზოდიდან იხსენიებს ხორეზმშაჰს, როცა საუბარს იწყებს ყარა-ხატაელებსა და ხორეზმელებს შორის ურთიერთობებზე და დავითის ნიღაბქვეშ ჩინგიზ-ხანის გარდა შემოჰყავს ნაიმანთა ნესტორიანელი მეთაურის ქუჩლუკის ისტორიული ფიგურა.

[102] მავერანნაჰრისათვის ბრძოლა ხორეზმელებსა და ყარა-ხატაელებს შორის ჯერ კიდევ XII საუკუნის შუა ხანებიდან დაიწყო. ხორეზმშაჰი ალა ად-დინ ათსიზი (1127-1156) გამუდმებულ ბრძოლებს აწარმოებდა სელჩუკთა დიდი სულთნის სანჯარის (1118-1153) წინააღმდეგ, ხორასნის დაუფლებისათვის ბრძოლაში. ამავე დროს, ალა ად-დინ ათსიზის ინტერესები მიმართული იყო სამარყანდის ყარა-ხანიდების სახელმწიფოსკენ, თუმცა მას არ დასცალდა გეგმების შესრულება. მისი საქმეები წარმატებით გააგრძელეს მისმა მემკვიდრეებმა. სწორედ ამ რეგიონისთვის ბრძოლაში ერთმანეთს შეეჯახა ყარა-ხატაელთა და ხორეზმელთა ინტერესები და ეს კონფლიქტი ნახევარ საუკუნეზე მეტხანს გრძელდებოდა. ხორეზმელები გარკვეულწილად სარგებლობდნენ ადგილობრივი ხანების ერთმორწმუნეობით და აქეზებდნენ კიდეც მათ „ურწმუნოების“ წინააღმდეგ საბრძოლველად. ხორეზმელთა გამოჩენა ამ რეგიონში ერთგვარი შვებაც იყო ადგილობრივი მუსლიმებისთვის, რადგან კატვანის ველზე, სელჩუკთა დიდი სულთნის სანჯარის დამარცხების დროიდან ისინი ხარკს უხდიდნენ სტეპის მომთაბარეებს. ვერც ხორეზმელები გადაურჩნენ სტეპის მომთაბარეთა რისხვას და მაშინ ალა ად-დინ ათსიზმაც ხარკის სანაცვლოდ იყიდა მშვიდობა, რომელსაც ხორეზმელები ყარა-ხატაელებს, ფაქტობრივად, 1210 წლამდე უხდიდნენ. ალა ად-დინ მუჰამედის ხელისუფლებაში მოსვლის დროიდან კი ამ მიწებისათვის ბრძოლა ახალი ძალით დაიწყო. მის წინამორბედებს უჭირდათ მოწინააღმდეგეებთან გამკლავება და ზოგჯერ ყარა-ხატაელთა რაზმები თვით

ურგენჩის კედლებამდეც აღწევდნენ. ამჯერად, ბრძოლების ასპარეზი უკვე სირ-დარიის ნაპირების აღმოსავლეთით გადავიდა. რაც შეეხება ჟაკ დე ვიტრის მიერ ნახსენებ ზავის ამბებს, რომელიც დადებული იყო ხატას (ყარა-ხატაეთის) მეფეს და ხავარსმისანს შორის, სავარაუდოდ, აქ უნდა გავიაზროთ ამ კონფლიქტის დროს ხორეზმელებსა და ყარა-ხატაელებს შორის დადებული დროებითი სამშვიდობო ხელშეკრულების ამბები. როდესაც, ხორეზმშაჰი ღაზნისთვის და ჰერათისათვის ებრძოდა ღურიდების მმართველებს, დახმარებისათვის მიმართა თავის გუშინდელ მოწინააღმდეგეს ყარა-ხატაელთა გურხანს, რომლის დახმარებამ გადაარჩინა კიდეც ხორეზმშაჰი კატასტროფას. ამ ურთიერთდახმარების დროს დადებული იქნა ზავი მხარეებს შორის, რის მიხედვითაც, ორივე მხარე მავერანნაჰრში გარკვეულ პოლიტიკურ და სამხედრო წონასწორობას ინარჩუნებდა. ეს ამბები ეხება 1205-1206 წლების პერიოდებს. თუმცა, მას შემდეგ, როცა ხორეზმშაჰმა განიმტკიცა პოზიციები ხორასანსა და ავღანეთში, თავისი გუშინდელი მოკავშირეების წინააღმდეგ წამოიწყო ნამდვილი „საღვთო ომი“, რომელიც მიმართული იყო სტეპის მომთაბარეების, ისლამის მტრების წინააღმდეგ. შემდგომში, 1218 წელს, მონღოლთა აღმოსავლეთ თურქესტანში გამოჩენის დროისათვის, ხატაეთის სამეფოს მმართველი იყო ნაიმანთა ტომების მეთაური ქუჩლუკი. 1208 წელს, როდესაც მონღოლთა სარდალმა სუბუდაიმ გამოდევნა ნაიმანები და მერკიტები ირტიშის დაბლობიდან ქუჩლუკმა თავის ხალხთან ერთად თავი შეაფარა ყარა-ხატაეთის საზღვრისპირა რეგიონებს. ყარა-ხატაელთა „გურხანმა“ (საყოველთაო ხანი, ხანთა ხანი), ჩულხუმ შეიფარა იგი, მაგრამ, როგორც კი მოძლიერდა ქუჩლუკი, მოაწყო გადატრიალება, დაატყვევა „გურხანი“ და მიითვისა კიდეც მისი ხელისუფლება. უკანასკნელი „გურხანი“ ჩუხლუ 1213 წელს ნაიმანებმა მოკლეს და ქუჩლუკმა მიიღო ყარა-ხატაელთა მმართველის ტიტული. ქუჩლუკი იყო ნესტორიანული მრწამსის ქრისტიანი, რომელიც შემდგომში ებრძოდა ხორეზმელებს და იმდენად შორს გავრცელდა მისი წარმატებების ექო, რომ 1217 წელს ბაღდადის ხალიფამ ან-ნასირმა ნესტორიანელთა პატრიარქის პირით, რომელიც ამ ქალაქში ცხოვრობდა, დახმარება სთხოვა მას ხორეზმშაჰ მუჰამედის წინააღმდეგ საბრძოლველად. თუმცა, ქუჩლუკის მმართველობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ჩინგიზ-ხანმა თავისი სარდალი ჯებე გააგზავნა ქუჩლუკის წინააღმდეგ. მონღოლთა სარდლის გამოჩენა თვით მუსლიმებმა შვებად აღიქვეს ქუჩლუკის მათი რელიგიისადმი მტრული დამოკიდებულების გამო და დაეხმარნენ კიდეც საძულველი მტრის განადგურების საქმეში. მონღოლებმა აიღეს ქაშგარი და ბელლასაგუნი. ქუჩლუკი გაიქცა, მაგრამ ჯებე თავისი რაზმით დაეწია ბადახშანის ველზე, სარიკოლთან და 1218 წელს ბრძოლაში მოკლა. ქუჩლუკის სიკვდილის შემდეგ ყარა-ხატაელები, ფაქტობრივად, უბრძოლველად დაემორჩილნენ ახალ

დამპყრობლებს და მათმა სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა. ამის შემდეგ მონღოლებს, აღარაფერი ეღობებოდათ ხორეზმისაკენ მიმავალ გზაზე. Бартольд, 1963, ст. 469-471. როგორც აღვნიშნეთ, ქუჩლუკის ნესტორიანელობამ, მისმა მტრულმა დამოკიდებულებამ ადგილობრივი მუსლიმების მიმართ, ასევე მონღოლების და ხორეზმელების წინააღმდეგ წარმოებულმა ომებმა, ამ ქრისტიანი მმართველის შესახებ გარკვეული როლი შეასრულა ჯვაროსანთა შეხედულებებზე და თავისი ადგილი დაიკავა ხატაეთის და ინდოეთის მეფის დავითის რელაციოში.

[103] აქ, სავარაუდოდ, იგულისხმება ხორეზმშაჰსა და ნაიმანების მეთაურს შორის დადებული ხელშეკრულების ამბების ანარეკლი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მემატიანე ამ ზავს მოიაზრებს დავითსა (ჩინგიზ-ხანი) და ხორეზმშაჰს შორის დადებულს, საფიქრებელია, რომ ეს ეხება ყარა-ხატაელთა ახალ „გურხან“ ქუჩლუკსა და ალა ად-დინ მუჰამედს შორის მავერანნაჰრის რეგიონისთვის გამართული მოლაპარაკებების საკითხს. ბაღდადის ხალიფას წინააღმდეგ ხორეზმშაჰმა სამხედრო კამპანია წამოიწყო 1217 წლიდან, მას შემდეგ, რაც მოაგვარა საქმეები მავერანნაჰრში. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ჟაკ დე ვიტრის ამ ინფორმაციაში ჩამალული უნდა იყოს ეს ამბავი. როგორც აღვნიშნეთ, ვიტრისეული დავითის ისტორიაში უნდა გაერთიანებულიყო მონღოლთა მეთაურის ჩინგიზ-ხანის და ქუჩლუკის ისტორიები. ორივე მმართველის წარმოებული ომები მიმართული იყო შუა აზიის ისლამური სამყაროს წინააღმდეგ, ამიტომ ჯვაროსანთა წარმოდგენებში ამ ისტორიულ პერსონაჟთა საქმენი ასე იქნა გააზრებული ქრისტიანი, მითიური მეფის რელაციოში. რაც შეეხება მონღოლებს და ხორეზმელებს შორის გაფორმებულ საზავო ხელშეკრულებას, ეს უფრო გვიან მოხდა, 1218 წელს, მას შემდეგ, რაც ხორეზმშაჰს ჩაუვარდა ბაღდადზე ლაშქრობის კამპანია. რაც შეეხება ალა ად-დინ მუჰამედისა და ქუჩლუკის წინააღმდეგობას, ორივე მმართველს პრეტენზიები ჰქონდა მავერანნაჰრზე. 1210 წლისათვის, ამ რეგიონიდან ყარა-ხატაელთა განდევნის შემდეგ, ხორეზმელებს ახალი მოწინააღმდეგ გამოუჩნდათ ქუჩლუკის სახით, რომელმაც ხელში ჩაიგდო ყარა-ხატაელთა „გურხანის“ ტახტი. ქუჩლუკმა აქტიური მოქმედებები დაიწყო მავერანნაჰრში, სადაც განსაკუთრებით მწვავე იყო შეტაკებები სამარყანდისა და ბუხარისათვის. ამ მიწებისათვის დაპირისპირება ყარა-ხატაელებსა და ხორეზმელებს შორის ჯერ კიდევ ქუჩლუკის გამოჩენამდე დაიწყო. ალა ად-დინ მუჰამედი უკვე 1210 წლისათვის ბრძოლებს აწარმოებდა ყარა-ხატაელების წინააღმდეგ „გურხანის“ ჩულხუს მმართველობის პერიოდში. მუჰამედმა მოახერხა მათი დამარცხება და მავერანნაჰრში პოზიციების გამაგრება. ხორეზმელთა წარმატებებს ხელს უწყობდა ასევე ამ რეგიონის მუსლიმი მოსახლეობის მხარდაჭერა, რომლებიც სტეპის მომთაბარეებს ისლამის მტრებად თვლიდნენ. მათი ეს სიძულვილი გამოწვეული

იყო, იმ მიზეზით, რომ ელიუი დაშის მემკვიდრეები ადგილობრივ მუსლიმ მოსახლეობას მტრულად უყურებდნენ. 1207 წლის შემდეგ, რაც შვიდმდინარეთში გამოჩნდნენ მონღოლთა მიერ დევნილი ნაიმანების ტომები, ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა მუსლიმთა საზიანოდ. პირველად, მას შემდეგ, რაც შუა აზიაში გავრცელდა ისლამი, ამ რელიგიის მიმდევრებს ასეთი სერიოზული საფრთხე რელიგიური დევნის თვალსაზრისით არ დამუქრებიათ, სანამ, ბუდისტი და ნესტორიანელი ნაიმანების მეთაურმა არ დაიწყო მათი დევნა მის მიერ დაკავებული ტერიტორიებიდან. ქუჩლუკი ადგილობრივ მოსახლეობას აიძულებდა, რომ შეეცვალათ რწმენა, მიეღოთ ქრისტიანობა ან ბუდიზმი, შეეცვალათ გარეგნული სახე და ეტარებინათ ჩინური სამოსი. ამ დევნის გამო, ქაშგარის და ალმალიკის ამირები დახმარებას თვით ჩინგიზ-ხანსაც სთხოვდნენ, რათა გაეთავისუფლებინა ისინი ამ ურწმუნოთა ჩაგვრისაგან. ქუჩლუკის წარმატებებმა აიძულა ალ-ად-დინ მუჰამედი მშვიდობა ეძებნა ნაიმანების მეთაურთან და საბოლოოდ შეუთანხმდა საზავო პირობებზე, რომელიც ორივე მხრიდან გარკვეულ დათმობებს ითვალისწინებდა. სწორედ ამ დაზავების შესახებ არსებული ინფორმაციები აისახა წერილის ამ მონაკვეთში. ხორეზმის სულთანს კვლავ ჰქონდა პრეტენზიები სამარყანდსა და ბუხარაზე, თუმცა რაც შეეხება ბელლასაგუნს, რომელიც ჟაკ დე ვიტრის ასევე ამ ქალაქების გვერდზე ჰყავს მოხსენიებული, როგორც საერთო მფლობელობის ზონად, ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. ბელლასაგუნი ყარა-ხატაელების სახელმწიფოს დედაქალაქი იყო და მიუხედავად იმისა, რომ ხორეზმელებმა 1210 წლის სექტემბერში, ილამიშის სტეპებში სასტიკად დაამარცხეს ყარა-ხატაელთა არმია, ხორეზმელები არ გამოჩენილან ბელლასაგუნის კედლებთან. ამ გამარჯვებამ ალა ად-დინ მუჰამედს სახელი გაუთქვა მთელ მუსლიმურ სამყაროში. მისი წარმატება აღიქვეს, როგორც ისლამის მტრებზე გამარჯვება და მას დიდებული ეპითეტებით ამკობდნენ, „ახალ ალექსანდრეს“, „ორრქიანს“, ასევე „სულთან სანჯარს“, „ალაჰის აჩრდილს დედამიწაზე“ უწოდებდნენ. თუმცა, ქუჩლუკის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი ყარა-ხატაელთა ახალი მმართველი, პირიქით, წარმატებით უმკლავდებოდა ხორეზმელთა მოძალებას შვიდმდინარეთის რეგიონში და აღმოსავლეთ თურქესტანიდან გამოდევნა კიდეც ისინი. ამიტომ, რაიმე ფორმით ამ ქალაქების საერთო მმართველობაზე საუბარი აქ არასწორია. მართალია, ამ კონფლიქტის დროს, მოწინააღმდეგეები საზავო პირობებზეც მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ, მაგრამ არც ხორეზმელები და არც ყარა-ხატაელები მავერანნაჰრს არ თმობდნენ უბრძოველად. თუმცა, უნდა აღინიშნოს ერთი ასპექტი, ჟაკ დე ვიტრის მიერ ამ საკითხის გარშემო არსებული ინფორმაციების გადმოცემისას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მემატიანე მრავალ მოვლენას ხშირ შემთხვევაში არასწორი ინტერპრეტაციებით გადმოგვცემს და ეტყობა მის აღწერილ ამბებს ძველი ლეგენდების, ზეპირსიტყვიერი გადმოცემების კვალი, მისი მაცნეები საკმაოდ ინფორმირებულები იყვნენ, თუ რა ხდებოდა აღნიშნულ რეგიონებში. ჟაკ დე ვიტრის ინფორმაციები იმიტომ არის ძვირფასი ჩვენი კვლევისათვის, რომ ნათლად ჩანს თუ როგორ აირეკლებოდა აღმოსავლეთის ისტორიული სინამდვილე შუა საუკუნეების ევროპელთა თვალში. ამ საკითხის გარშემო იხ. Бартольд, 1963; Бартольд, 1963, ст. 420-421; Гумилев, 1994, ст. 150-156; Буниятов, 1986, ст. 81-82; თვარაძე, 2008, გვ. 114-115.

[104] ხორასანი (ფრ. Chorasan) ისტორიული სპარსეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი. შუა საუკუნების გეოგრაფიული აღწერილობებში ამ ტერმინში იგულისხმებოდა ძველი პართია. ხორასნის დასავლეთის უკიდურესი საზღვარი ძველი მიდიის და პართიის გამყოფ ზოლს გასდევდა „კასპიის კარებამდე“, ჰირკანიის მთებში, მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში მისი დასავლეთის სასაზღვრო ზოლი დიდ ცვლილებებს განიცდიდა. ხორასნის აღმოსავლეთის საზღვარი მონღოლთა მმართველობის პერიოდში გადიოდა ამუ-დარიაზე, რომელიც იყო გამყოფი ზოლი ჰულაგუიანების და ჩაღათას ულუსის სახელმწიფოებს შორის. ალა ად-დინ მუჰამედმა, მას შემდეგ, რაც განიმტკიცა ხელისუფლება ხორეზმში, გადაწყვიტა საბოლოოდ დაემორჩილებინა ხორასანი და იქ ღურიდების გავლენა მოესპო. მან დაიკავა ხორასნის მთავარი ქალაქები მერვი და ნიშაბური. ბოლოს, ჰერათის აღების შემდეგ, საბოლოოდ მოსპო ღურიდთა ხელისუფლება და 1208 წლისათვის მან მთელი ხორასანი დაიმორჩილა. ხორეზმელთა მმართველობის პერიოდში, ბაღდადზე ლაშქრობის დროს, ხორეზმშაჰმა ამ რეგიონში თავი მოუყარა მნიშვნელოვან ძალებს და ჰამადანში მოაწყო დროებითი ბანაკი, საიდანაც დაიწყო ლაშქრობა ბაღდადისაკენ.

[105] არაში (ფრ. Arach) არახი, არაკი. საერთოდ ამ პუნქტის იდენტიფიკაცია და მისი გეოგრაფიული ლოკალიზაცია ძალიან ძნელია. ქვემოთ ჟაკ დე ვიტრის ეს გეოგრაფიული პუნქტი განმარტებული აქვს, როგორც „დიდი სამეფო“. რ. რორიხტი კი ამ „დიდ სამეფოს“ ქვეყანას, არრანში ათავსებს და მისი განმარტებიდან ჩანს, რომ არაკი, არახი, არრანის დამახინჯებული ლათინიზებული ფორმაა. როგორც აღვნიშნეთ, ჟაკ დე ვიტრი ქვევითაც იხსენიებს ამ გეოგრაფიულ ადგილს, საიდანაც ჩანს, რომ ჩვენი მემატიანესათვის ამ პუნქტს ერთი კონკრეტული ადგილმდებარეობა არ გააჩნია. უფრო სწორად, თვითონაც განმარტავს, რომ „Arach“ - არაკი, არახი, უბრალოდ დიდი თუ მცირე პროვინციები და „დიდი სამეფოა“. თუ მივყვებით დე ვიტრის აღწერილობის გეოგრაფიულ გეზს, დავინახავთ, რომ, ამ შემთხვევაში, აქ საუბარია ხორასნის დასავლეთით მიმართულებაზე – (აღსანიშნავია, რომ ქვემოთ მოცემული ეს გეოგრაფიული პუნქტი წერილში, დასახელებულია აზერბაიჯანის ქვეყნის შემდეგ და ამიტომ რ. რორიხტი ფიქრობს, რომ ეს შეიძლება იყოს არრანი, რადგან ისტორიული რეალობის გათვალისწინებით,

როცა მონღოლებმა გაიარეს უზბეკის ქვეყანა და გადმოლახეს არაქსი, არ-
რანის მხარეში შემოვიდნენ). ხორეზმშაჰმა, ხორასნზე გადასვლის შემდეგ,
გადალახა კუმისის და ბეიხაკის პროვინციები. ის სპარსეთის ერაყში, ქალაქ
ჰამადანში გაჩერდა და სალაშქროდ იქ მოემზადა. „ისლამის ენციკლოპედი-
ის“ თანახმად, არაკის გეოგრაფიული რეგიონი იდენტიფიცირდება ერაყთან.
ჯიბაილი წარმოდგება არაბული სიტყვა ჯაბალისგან (მთა ანდა გორაკი). ეს
სახელწოდება არაბულია და ამგვარად უწოდებდნენ რეგიონს, რომელიც
ადრე ცნობილი იყო, როგორც მიდია. ამ ადგილს ისინი უწოდებდნენ ერაყს,
რათა განესხვავებინათ არაბული ერაყისგან ანუ ქვემო მესოპოტამიისაგან.
სახელწოდება ჯიბაილი ამ პროვინციას დაერქვა იმიტომ, რომ იგი თითქმის
მთლიანად მთაგორიანია. The Encyclopaedia of Islam, 1991, p. 534

[106] დიარბეშენი (ფრ. Diarbechen). ამგვარი გეოგრაფიული სახელწოდების
პუნქტი ჟაკ დე ვიტრის მოცემული აქვს ქვემოთაც, კერძოდ, Diarbakan.
საეჭვოა, რომ აქ საუბარი იყოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში მდე-
ბარე ქალაქ დიარბექირზე, რომელიც მდებარეობდა ტიგროსის ნაპირებზე.
მისი უძველესი კვალი ხეთებსა და, ზოგადად, ანატოლიის მკვიდრთ უკავ-
შირდება და სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში
იყო მოქცეული. მანასკერტის ბრძოლის შემდგომ ქალაქი გადავიდა ოღუზი
თურქების მფლობელობაში, შემდგომ კი ართუკიანების დინასტიის მმართ-
ველობის ქვეშ.

[107] ბაღდადი (ფრ. Baldach).

[108] ალენანზერ ლენინდალა (ფრ: Alenanzer Lenidalla). ამ პერიოდში
ბაღდადის ხალიფა იყო აბულ-აბას აჰმად ალ-მუსთადი’ ან-ნასირ ლი-დინ
ალლჰ, რომელიც 1180-1225 წლებში იჯდა ტახტზე. ჟაკ დე ვიტრი „აღ-
მოსავლეთის ისტორიაში“ ხალიფას წოდებას ასე განმარტავს: Le pape des in-
fidèles – ურწმუნოთა პაპი, ვილჰელმ ტირელის ისტორიის უცნობი გამგრძე-
ლებელი კი ურწმუნოთა მოციქულს უწოდებს. უფრო ვრცელი განმარტება
ხალიფას შესახებ გვხვდება XIII საუკუნის გერმანელი მოგზაურის, მაგისტრ
თიტმარის მოგზაურობის წიგნში, რომელიც ასევე მას სარაცინების პაპს
უწოდებს. მისი გადმოცემით, ბაღდადში, რომელიც მდებარეობს ქალდეის,
იდუმეის და სპარსეთის საზღვარზე, ცხოვრობს ხალიფა, რომელიც ფლობს
სარაცინებს შორის უდიდეს სიმდიდრეს. ის არასდროს ჩნდება ხალხში
დღისით, მხოლოდ ღამით გამოდის, როცა მოესურვება. თუ ვინმე დაინახავს
მას ღამით მოსიარულეს და გამოააშკარავებს, სიკვდილი არ ასცდება. მისი
სასახლე სავსეა ქალწულებით, რომლებთანაც ატარებს დროს, როცა მოე-
სურვება. განსხვავებით ჩვენი პაპისგან, ამ პაპის ხელისუფლება დედამი-
წაზე დღემოკლეა, რადგან ყოვლისშემძლე უფლისკენ მიმავალი მათი გზები
დაშორებულია ერთმანეთისგან. Горелов, 2006, ст. 61.

[109] რომანზურ მოცადის ვაჟი (ფრ. Romanzur fils de Motsad), რომანზურ

– არაბულის ლათინიზებული ფორმა – აბუ-მანზური. Röhricht, 1894, s. 100.

[110] მას შემდეგ, რაც ალა ად-დინ მუჰამედმა, 1217 წლისათვის შექმნა
უზარმაზარი იმპერია, რომლის საზღვრები გადაჭიმული იყო სპარსეთის
ერაყიდან აღმოსავლეთით ინდოეთამდე, არალის ზღვიდან სამხრეთით ინ-
დოეთის ოკეანის სანაპიროებამდე, თავს მუსლიმურ სამყაროში უზენაეს
მბრძანებლად თვლიდა. ხორეზმშაჰმა ხალიფა ან-ნასირს მოსთხოვა, რომ
მის სახელზე ბაღდადში აღევლინათ ხუტბა. მან ამ საკითხზე საკუთარი
ელჩიც კი გააგზავნა ბაღდადში. ფაქტობრივად, ეს მოთხოვნა პირდაპირ
უკავშირდებოდა ხალიფას ხელისუფლებაზე ხორეზმელთა გავლენის გა-
ძლიერებას. ხალიფას და ხორეზმშაჰს შორის დიპლომატიური ურთიერთო-
ბები ჯერ კიდევ ალა ად-დინის მმართველობის პირველივე წლებიდან დაი-
წყო, რომელიც ურთიერთშორის ელჩების გაგზავნით, საპატიო ხალათების
და საჩუქრების გადაცემით გამოიხატებოდა. თუმცა, ეს ურთიერთობები
თავიდანვე დაძაბული იყო, რადგან ხალიფა გრძნობდა, რომ ალა ად-დინის
ელჩობებს გარკვეული მიზანი ჰქონდა, – ეღიარებინა მას ხორეზმელთა
მმართველი, როგორც უზენაესი მბრძანებელი მუსლიმურ სამყაროში. ან-
ნასავი ამ ელჩობების მიზანს ააშკარავებს კიდეც: როცა სულთნის [ხორეზმ-
შაჰის] ავტორიტეტი ძალიან გაიზარდა, მან მოსთხოვა ხალიფას, რომ ბაღ-
დადში მისი ისეთივე ძალაუფლება ეღიარებინათ, როგორიც ძველი დროიდან
სელჩუკთა გვარის წარმომადგენლებს ჰქონდათ. ამიტომ, მან არაერთხელ
გააგზავნა ბაღდადში მისიები ამ მოთხოვნით, მაგრამ სასურველი თანხმობა
საკითხზე ვერ მიიღო. 1210 წლის შემდეგ, როცა ხორეზმშაჰმა დაამარ-
ცხა თავისი მთავარი მოწინააღმდეგე, ყარა-ხატაელთა გურხანი, მან ელჩის
პირით გაუგზავნა ან-ნასირს მოთხოვნა, სადაც მოუწოდებდა: „მომეპყარი
ისე, როგორც შენი წინამორბედები აღიარებდნენ სელჩუკთა სულთნების
ალფ-არსლანის, მალიქ-შაჰის და ჩვენთვის ახლო დროის სულთან სანჯარის
ძალაუფლებას. ერაყის და ბაღდადის საქმეები მხოლოდ ჩემი გასარჩევია
და შენ ხოტბის გარდა არაფერი დაგრჩენია“. ეს პირდაპირი გამოწვევა იყო
მუსლიმთა უზენაესი მბრძანებლის, ამიტომ ხალიფამ მოუწოდა თავის ქვე-
შევრდომებს, რომ ხუტბიდან ამოეღოთ ხორეზმშაჰის სახელი, ხოლო მის
ელჩს განუცხადეს, რომ ხორეზმშაჰი დაკმაყოფილებულიყო იმ მიწებით,
რომელსაც ფლობდა და ბაღდადში არაფერი ესაქმებოდა. ხორეზმშაჰის
მოთმინების ფიალა აივსო მას შემდეგ, რაც ღაზნას აღების (1215 წ.) დროს
ხორეზმელებს ხელში ჩაუვარდათ ღურიდების მმართველების არქივი, სა-
დაც აღმოჩნდა ან-ნასირის წერილები ღურიდების და ყარა-ხატაელების
მეთაურებისადმი, რომელშიც მოუწოდებდა მათ მუჰამედის წინააღმდეგ.
ურწმუნოების (ყარა-ხატაელები) წაქეზებამ მართლმორწმუნე სულთნის
წინააღმდეგ გააღიზიანა ხორეზმშაჰი და მოუწოდა ყველა მუსლიმს, რომ
ამოეშალათ ხალიფას სახელი ხუტბიდან, მონეტებიდან და, საერთოდ, აბა-

სიანების დინასტიის დამხობისათვის ბრძოლას საღვთო ომის სახე მისცა. ალა ად-დინ მუჰამედმა გადმოლახა ხორასანი, ჰამადანში თავი მოუყარა უზარმაზარ ლაშქარს და დაიძრა ბაღდადისაკენ. ხალიფას საქმე, ფაქტობრივად, წასული იყო, რადგან მას არც რეალური ძალები გააჩნდა, რომ დაპირისპირებოდა შუა აზიის ძლევამოსილ მბრძანებელს და არც სხვა მუსლიმი ამირების იმედი ჰქონდა. ეს სწორედ ის დროა (1217 წ.), როცა ჯვაროსნები გადმოსხდნენ სირიაში და აიუბიანებს თავის გაჭირვება ჰქონდათ, მოეგერიებინათ დამასკოს მიმართულებით დაძრული ქრისტიანთა იერიში. თუმცა, ხალიფა ბედნიერმა შემთხვევამ გადაარჩინა. მუჰამედის ლაშქარი ქურთისტანის მთებში საშინელ თოვლში და ქარბუქში მოექცა, რამაც ხორეზმელთა არმია ძლიერ დააზარალა, ბევრი მეომარი, ცხენი და აქლემი დაიღუპა. ამავე დროს, მთებში მომწყვდეულ რაზმებს ქურთების პარტიზანული ჯგუფები ანადგურებდნენ. ამ ვითარებაში ხორეზმელთა სარდლებმა ლაშქრობა შეწყვიტეს და უკან გაბრუნდნენ სტიქიას გადარჩენილი ჯარის ნარჩენებით. Бартольд, 1963, ст. 437-440; Буниятов, 1986, ст. 82-87.

[111] ბარაში, ბარახი (ფრ. Barach). როგორც ჩანს, საუბარია ბაღდადის იმ შემოგარენზე, სადაც ცხოვრობდა ეს ნესტორიანელი კათალიკოსი, რადგან ჟაკ დე ვიტრი ქვევითაც აღნიშნავს, რომ მისი სახლი ბაღდადში იყო.

[112] იაფელეკი (ფრ. Iaphelec). ინდოეთის პატრიარქის სახელწოდების ქვეშ იგულისხმება ნესტორიანელი პატრიარქი, რომელიც ცხოვრობდა ბაღდადში. 987 წლიდან, აღმოსავლეთის ნესტორიანელთა კათალიკოსს ბაღდადის ხალიფა ამტკიცებდა. XI საუკუნიდან მერვეში იჯდა მართლმადიდებელი მიტროპოლიტი, ხოლო სამარყანდში ნესტორიანელი მიტროპოლიტი. ეს ცნობები იმაზე მიუთითებს, რომ შუა აზიის მუსლიმურ სამყაროში ქრისტიანთა თემები ჯერ კიდევ ძველი დროიდან გაჩნდა. VI საუკუნიდან ნესტორიანელობა სპარსეთიდან გავრცელდა აღმოსავლეთ აზიის რეგიონებში. VII საუკუნიდან კი ჩინეთში მოიკიდეს ფეხი ამ კონფესიის წარმომადგენლებმა. არაბების გამოჩენის დროიდან, აღმოსავლეთის ამ კონფესიებმა ახალი მფარველები შეიძინეს ბაღდადის ხალიფების სახით, რადგან ბიზანტიელებთან ომებში ნესტორიანელები არაბთა თვალში მოკავშირეებად აღიქმებოდნენ. 1072 წელს ხალიფამ მოთხოვა იაკობიტების და მელქიტების ეკლესიის მეთაურებს, რომ დამორჩილებოდნენ ნესტორიანელთა კათალიკოსს. Гумилев, 1994, ст. 97.

[113] სავარაუდოდ, აქ იგულისხმება ნაიმანთა მეთაური ქუჩლუკი, რომელიც იმ დროისათვის ხორეზმელთა გეგმებისათვის მთავარ საფრთხეს წარმოადგენდა. როგორც მემატიანეები (იბნ-ალასირი, სიბტ იბნ ალ-ჯაუზი, ან-ნასავი) გადმოგვცემენ, ხალიფამ, როგორც კი შეიტყო მუჰამედის არმიის ბაღდადზე დაძვრის შესახებ, ხორეზმშაჰთან ელჩი გააგზავნა, რომ დიპლომატიური გზებით მოეგვარებინა ეს კონფლიქტი, მაგრამ, როგორც ელჩი

გადმოგვცემს, როცა ის წარუდგა მას კარავში, მუჰამედმა არც კი შესთავაზა სავარძელი, ასე ფეხზე მდგარს მოუწია ხალიფას დანაბარების გადაცემა, რომ ან-ნასირი იყო მშვიდობის მომხრე და კეთილგანწყობილი ყველა მუსლიმის მიმართ და აბასიანების გვარს დიდი წვლილი მიუძღოდა ისლამის განმტკიცების საქმეში. ხორეზმშაჰმა კი თარჯიმანის პირით უპასუხა ელჩს: „უთხარი მას, რომ ვის ღირსებებზეც საუბრობს, ის ბაღდადში არ იმყოფება. აი, მე მივალ იქ და ასეთი ღირსეული კი იქ მალე დაიდგამს ტახტს“. იმ დროისათვის ქუჩლუკი უკვე ფლობდა ყარა-ხატაელთა მეთაურის ტიტულს და გამოხატავდა ამ სამეფოს წინა მმართველთა პრეტენზიებს რეგიონში. 1217 წლისათვის ჯერ კიდევ მონღოლები საბოლოო დაპყრობებს აწარმოებდნენ ჩინეთში. ქუჩლუკს საშუალება მიეცა განემტკიცებინა თავისი პოზიციები აღმოსავლეთ თურქესტანში და შესდგომოდა საბრძოლო მოქმედებებს მავერანნაჰრის მიწებზე. ჟაკ დე ვიტრის დავითის სახის ნიღაბქვეშ წერილის ამ მონაკვეთში, სავარაუდოდ, უნდა აღვიქვათ ამ ნესტორიანელი ხანის ისტორიული ფიგურა. ერთადერთი მოკავშირე იმ მომენტში ხალიფასათვის ქუჩლუკი იყო, რომელსაც შეეძლო ზურგიდან შეექმნა პრობლემები ალა ად-დინ მუჰამედისათვის და შეეფერხებინა მისი ლაშქრობა ბაღდადზე. ამიტომ ვფიქრობთ, როგორც ჟაკ დე ვიტრის და ასევე სხვა ლათინ მემატიანეთა რელაციაში, რომელიც ლეგენდარული დავითის ისტორიას შეეხება, ერთმანეთში აღრეულია ნესტორიანელთა ხანის და მონღოლთა მეთაურის ისტორიები. ლ. გუმილიოვი ფიქრობს, რომ ეს მითიური მოკავშირე უნდა ყოფილიყო სწორედ ქუჩლუკი, რომელთანაც ნესტორიანელმა პატრიარქმა 1217 წელს ხალიფას თხოვნით „მეფე დავითთან“ გააგზავნა ელჩობა დახმარების სათხოვნელად. მაგრამ, ამ დროისათვის, ქუჩლუკმა შეიცვალა რწმენა და თავისი ყარა-ხატაელი ცოლის ზეგავლენით მიიღო ბუდიზმი. ამჯერად მისი ინტერესები არა შუა აზიის მიმართულებით, არამედ უფრო აღმოსავლეთით, ჯუნგარიის [ისტორიული ცენტრალური აზიის სტეპები, ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთით] რეგიონისკენ იყო მიპყრობილი. თუმცა, ქუჩლუკის ნესტორიანელობამ და მისმა შეუპოვარმა ბრძოლამ მუსლიმების წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის გარდაცვლილი იყო, დამიეტასთან მდგარ ჯვაროსნებში გააცოცხლა მითიური პრესვიტერის ლეგენდა. Гумилев, 1994, ст. 154-155.

[114] როგორც ჩანს, ჟაკ დე ვიტრიც იცნობდა იმ გადმოცემას, რომელიც ხალიფას ღამის მოგზაურობის მისტერიებს შეეხებოდა.

[115] ხალიფას აშინებდა ხორეზმელთა გავლენის გავრცელება სპარსეთის ერაყში და აზერბაიჯანში, ამიტომ ხშირად დახმარებისათვის მიმართავდა სელჩუკიანთა და აიუბიანთა მმართველებს, რომ შეეკავებინათ მუჰამედისა და მისი წინაპრების ლტოლვა დასავლეთისაკენ. ჯერ კიდევ მუჰამედის მამის ალა ად-დინ თექეშის (1172-1200) დროს დაიძაბა ურთიერთობები

ხალიფასა და ხორეზმშაჰს შორის. მუჰამედმა ამ პერიოდში სერიოზულ წარმატებებს მიაღწია საკუთარი სახელმწიფოს საზღვრების გაფართოებისათვის ბრძოლაში. ჯერ კიდევ XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე მან პრეტენზიები გამოთქვა აზერბაიჯანის და არრანის მიწების დაუფლების საკითხში, სადაც შეეჯახა საქართველოს სამეფოს ინტერესებს. მოგვიანებით, 1217-1218 წლებში, ხორეზმშაჰმა დაიპყრო სპარსეთის ერაყი და აზერბაიჯანიც თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია. მას სურდა დაეპყრო თბილისი და ელჩის პირით მუქარაც კი შეუთვალა ქართველებს, რომ შეეწყვიტათ აზერბაიჯანის რბევა, რადგან ათაბაგი უზბეგი მისი ვასალი იყო. საქართველოზე ლაშქრობისათვის ხორეზმშაჰმა 50 000 არმიაც კი გაამზადა. მას კიდევ უფრო დიდი გეგმები ჰქონდა და საქართველოს დალაშქვრის შემდეგ აპირებდა სირიაზე და ეგვიპტეზე ლაშქრობას. როგორც აღვნიშნეთ, ბაღდადის ხალიფასთან კონფლიქტი გამოწვეული იყო მუსლიმთა სულიერი წინამძღოლის ანტიხორეზმული პოზიციით. რაც შეეხება, ჟაკ დე ვიტრის ცნობას, რომელიც მოგვითხრობს მისი თხოვნით ხორეზმშაჰთან დავითის მიერ ზავის დარღვევის შესახებ, ეს არ შეეფერება იმ დროის მოვლენების ისტორიულ სინამდვილეს. როგორც აღვნიშნეთ, ქუჩლუკი არ გამოხმაურებია ხალიფას თხოვნას, ხოლო ჩინგიზ-ხანსა და ალა ად-დინ მუჰამედს შორის ჯერ კიდევ არ იყო ზავი დადებული მხარეთა შორის ვაჭრობისათვის ხელშეწყობის შესახებ. როცა ეს ზავი დაირღვა მონღოლთა მბრძანებელს და ხორეზმშაჰს შორის, ამის მიზეზები სულ სხვა გარემოებები იყო. ასევე დე ვიტრის მიერ გადმოცემული ინფორმაცია, მეფე დავითის მიერ ხორეზმის მიწების დაპყრობის გამო ხორეზმშაჰის უკუქცევის შესახებ, არ შეეფერება სინამდვილეს. ეს არ მომხდარა 1217 წლისათვის. კერძოდ, ჩინგიზ-ხანის მიერ დაწყებული კამპანია 1218-1219 წლების პერიოდს ეხება. უბრალოდ, ჩვენს მემატიანეს ხორეზმელთა უკუქცევის მიზეზად ქრისტიანი დავითის ლაშქრობა მოჰყავს, რითაც ქრისტიანი დავითის ლაშქრობას ძლევამოსილი მუსლიმი მმართველის წინააღმდეგ ჯვაროსნულ ელფერს აძლევს. თუმცა, მუჰამედის გაბრუნების მიზეზი, მარტო კლიმატური პირობები არ ყოფილა. უკან დაბრუნებული ხორეზმშაჰი დედაქალაქ ურგენჩში არც მისულა, პირდაპირ გაემართა სამარყანდისკენ და იქ გამგზავრების მიზეზები იყო აღმოსავლეთიდან მოსული ამბები ძლევამოსილი მტრის მის სახელმწიფოს საზღვრებთან მოახლოების შესახებ. Гумилев, 1994, ст. 154-155, Буниятов, 1986, ст. 87.

[116] აქედან იწყება ჟაკ დე ვიტრის თხრობა მონღოლთა ხორასანში შემოჭრის შესახებ. რაც შეეხება ჩინგიზ-ხანის (დავითის) გამოჩენას ჯეოსის (ამუ-დარიის) ნაპირებთან, ეს ამბები ეხება 1220 წლის გაზაფხულის მოვლენებს, როცა მონღოლებმა დაასრულეს მავერანნაჰრის დაპყრობა, ჩინგიზ-ხანი მოადგა ამუ-დარიას და მონღოლთა მეთაურმა ახალი სამოქმედო გეგმა შეიმუშავა. რაც შეეხება დე ვიტრის მიერ ნახსენებ ამბავს დავითის მიერ ლაშქრობის დაწყების წინ ჯარის გაყოფის შესახებ, ჩინგიზ-ხანმა ჯერ კიდევ კამპანიის დასაწყისში, როცა ოთრართან იმყოფებოდა, მაშინ გამოყო თავისი ლაშქრიდან ათასეულები, ჩააბარა თავის შვილებს, სარდლებს და ხორეზმის სხვადასხვა მხარეში გააგზავნა კონკრეტული დავალებით. საინტერესოა ასევე, ქართველი მემატიანის ჟამთააღმწერლის ცნობა ჩინგიზ-ხანის მიერ ხორასანში ლაშქრობის წინ ჯარის გაყოფის თაობაზე. ეს კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ ჟაკ დე ვიტრის ცნობა სარწმუნო წყაროებით დასტურდება. ქართველი მემატიანის ცნობით, ჩინგიზ-ხანმა თავისი არმია ოთხ შვილს: ჯუჩის, ჩაღათას, ოქთაის და თულის გაუნაწილა და გააგზავნა ქვეყნიერების სხვადასხვა მხარეში. ამიტომ, შეიძლება, აღნიშნულ წყაროში მონღოლთა მეთაურის ამ საბრძოლო მოქმედებების გეგმის კვალიც იყოს ასე გააზრებული. 1220-1221 წლის ზამთარი ჩინგიზ-ხანმა ამუ-დარიის ნაპირებთან გაატარა, მაგრამ დროის ამ პერიოდში, მისმა სარდლებმა მრავალი რეიდი განახორციელეს ქვეყნის შუაგულში. თვითონ ჩინგიზ-ხანმა 1221 წლის გაზაფხულზე გადმოლახა ამუ-დარიის ნაპირები და დაიკავა ბალხი. აქედან უკვე მისი ბრძანებით უფლისწულები – თული გაგზავნილი იქნა ხორასანში, ხოლო ჩაღათაი და უგედეი კი ხორეზმში, ურგენჩის ასაღებად. ჟაკ დე ვიტრის მიერ ქვემოთ ჩამოთვლილი ხორასნის, ბალხის, ტოხარისტანის, მაზანდარანის და სხვა პროვინციების ქალაქების თუ ციხე-სიმაგრეთა იდენტიფიკაცია ისევე რთულია, როგორც ზემოთ მოცემული შუა აზიის გეოგრაფიული ტოპონიმებისა. ამ ჩამონათვალში გვხვდება ისეთი ტოპონიმებიც, რომელთა იდენტიფიკაცია არ წარმოადგენს სირთულეს, რადგან მათი დასახელებები არ არის დამახინჯებული ფორმით გადმოცემული. გვხვდება ასევე მცირედ შეცვლილი ვარიანტებიც, რომელთა შესახებ ვარაუდებია გამოთქმული. რიგ შემთხვევებში ზოგიერთი პუნქტის იდენტიფიკაცია რთულია და ანალოგები სხვა ავტორებთან, კერძოდ არაბ თუ სპარსელ გეოგრაფებთან და ისტორიკოსებთან არ გვხვდება. ამიტომ ასეთ პუნქტებზე მოკლე კომენტარით შემოვიფარგლებით, ან უბრალოდ გვერდს ვუვლით. ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ გეოგრაფიულ პუნქტებზე მსჯელობას ართულებს ის ფაქტი, რომ ჩვენი მემატიანის მონათხრობში არ არის დაცული მოვლენების ქრონოლოგიური თანამიმდევრობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ისტორიას ჟაკ დე ვიტრი ზეპირი გადმოცემების მიხედვით აღწერს, რასაც აღნიშნავს კიდეც რელაციოს დასასრულს. ჟ. ფ. მიშოს მოსაზრებით. მიუხედავად იმისა, რომ ჟაკ დე ვიტრის მიერ მოცემული გეოგრაფიული ნომენკლატურების იდენტიფიკაცია ხშირ შემთხვევაში ეჭვს ბადებს, მოგვიანო ხანის მოგზაურთა და ავტორთა ცნობებმა ბევრი ამ პუნქტის ისტორიული რეალობა დაადასტურა. „ქართლის ცხოვრება“, 1959, გვ. 181-182; Michaud, 1829, p. 178.

[117] ხოარისმანი (ფრ. Choarismen). შეიძლება ვიფიქროთ, რომ, ჟაკ დე ვიტრის აქ გააზრებული აქვს ხორასნის მთელი პროვინცია, რადგან აქედან იწყება თხრობა მონღოლთა მიერ ხორასნის რეგიონის დაპყრობის ისტორიის შესახებ, მაგრამ ქვემოთ უფრო დაზუსტებით იხსენიებს ამ რეგიონის სახელწოდებას „Chorasan". ამიტომ, ძნელია ამ გეოგრაფიული პუნქტის იდენტიფიკაცია.

[118] მოა (ფრ. Moa), ამო, ამული, გეოგრაფიული პუნქტი ამუ-დარიის ნაპირებთან. თუმცა ვ. ბარტოლდი ამ პუნქტის ლოკალიზაციას დღევანდელ მაზანადარანში ახდენს, რომელიც ადრე ტაბარისტანის მხარეში შედიოდა. ამული იმ დროისათვის წარმოადგენდა მაზანდარანის მთავარ ქალაქს. იგი მდებარეობდა კასპიის ზღვის პირას, მდინარე თალასის შენაკადთან, ტაბარისტანის და მაზანდარანის საზღვართან. ხორასანში არსებობდა ამავე სახელწოდების ქალაქი, მოგვიანო ჩარჯუი, ბალხთან და თერმეზთან ახლოს ამუ-დარიის ნაპირებთან. თუმცა, აქ საუბარია მაზანდარანის ამულზე, რომელიც ჯებეს მეთაურობით, მონღოლებმა მუჰამედის დევნის დროს აიღეს. Röhricht, 1894. s. 100; Бартольд, 1971, ст. 222-225.

[119] ბენდეი (ფრ. Bendei). ამ პუნქტის ლოკალიზება რთულია, რადგან მსგავსი დასახელების ტოპონიმი „ბენდ-ი ემირი" გვხვდება ბაქტრიის, ბალხის, ტოხარისტანის და ფარსის პროვინციებში.

[120] ტერხისი (ფრ. Techris). სავარაუდოდ, ტოხარისტანი. ამუ-დარიის სამხრეთით, ბალხის აღმოსავლეთით. სახელწოდება მოდის ტოხარების ტომებისგან. მას შემდეგ, რაც ჯალალ ად-დინი გამოექცა მონღოლებს ხორასნიდან, ხორეზმელმა უფლისწულმა ჰერათის, ღაზნის და ტოხარისტანის პროვინციებში შექმნა წინააღმდეგობის ცენტრები. პირველი წარმატება მან სწორედ ტოხარისტანის პროვინციაში, ვალიშტანის ციხესთან მოიპოვა.

[121] სარხესი (ფრ. Sarches), სერახსი. ეს ქალაქი მდებარეობდა ხორასანში, ჰერათიდან ჩრდილო-დასავლეთით, 5 დღის სავალზე. სერახსი შუა საუკუნეების ეპოქაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო მაგისტარალზე მდებარეობდა, რომელიც აერთებდა ბაღდადს ხორასნის და ხორეზმის უმნიშვნელოვანეს ცენტრებთან. სპარსეთიდან თურქესტანისკენ გზა გადიოდა ნიშაბურის, სერახსის, მერვის და ბალხის გავლით. მას შემდეგ, რაც 1221 წლის შუა ხანებში, ხორასანში გავრცელდა ცნობები ჯალალ ად-დინის სამხედრო წარმატებების შესახებ, როცა მან ფერვანის დაბლობზე სასტიკი დამარცხება მიაყენა მონღოლთა არმიას, სერახსში, მერვში და ჰერათში მოხდა აჯანყებები, მაგრამ მონღოლებმა სწრაფი რეაქცია მოახდინეს მიმდინარე პროცესებზე და უკვე 1222 წლის ზაფხულში ჩაახშვეს ეს გამოსვლები. Бартольд, 1963, ст. 515-516; Бартольд, 1971, ст. 65-68, 70-71.

[122] თუსი, ტუსი (ფრ. Thus) ქალაქი ხორასანში, ნიშაბურთან ახლოს. სახელწოდება თუსი X საუკუნეში აღნიშნავდა ასევე მის გარშემო არსებულ

მთელ პროვინციას. შუა საუკუნეებში ხორასნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკურ-კულტურული ცენტრი იყო. X საუკუნის არაბი გეოგრაფის მაკდისის ცნობით, თუსში ინახებოდა ნიშაბურის ხაზინა და ითვლებოდა რეგიონის ერთ-ერთ უმდიდრეს ქალაქად. თუსში არის დაკრძალული დიდი სპარსელი პოეტი ფირდოუსი. მას შემდეგ, რაც ალა ად-დინ მუჰამედმა დატოვა ნიშაბური, სუბუდაის და ჯებეს რაზმები გამოჩნდნენ აღნიშნულ მხარეებში. სუბუდაიმ ამ დევნის დროს დაარბია თუსი, დამგანი, რეი და ამული, მაგრამ სარდლები არ შეჩერებულან ამ ქალაქებში და გააგრძელეს დევნა. 1220 წელს კი ჩინგიზ-ხანის შვილის თულის მეთაურობით მონღოლები ხელახლა შემოესივნენ თუსის და დაანგრიეს. მოგვიანებით, უგედეის მმართველობის პერიოდში აღდგენილი იქნა და ჰულაგუიდების ხელისუფლების ერთ-ერთ ცენტრად გადაიქცა.

[123] ტარსისი (ფრ. Tarsis). შეიძლება მოვიაზროთ შუა საუკუნეებში ნიშაბურის მახლობლად მდებარე ქალაქი ტურშიზი, რომელიც პუშტის ოლქის ცენტრი იყო.

[124] დარგანი (ფრ. Dargan). ამ გეოგრაფიული პუნქტის ქვეშ, შეიძლება ვივარაუდოთ ხორასნის ქალაქი დამგანი, მონღოლებმა იგი მას შემდეგ დაიპყრეს, როცა თუსი იქნა აღებული. დამგანის შესახებ IX საუკუნის გეოგრაფი იაკუბი აღნიშნავს, რომ ეს ქალაქი პირველი პუნქტი იყო ხორასნის საზღვარზე. არ არის გამორიცხული, რომ დე ვიტრი სწორედ დამგანს მოიაზრებს, რადგან ეს ქალაქი ახლოს სემნანთან მდებარეობდა, რომელიც, დამგანთან და რეისთან ერთად, სუბუდაის რაზმებმა აიღეს მუჰამედის დევნის დროს ხორასანში. რაც შეეხება დე ვიტრის მიერ დასახელებული ამ სახელწოდების ქალაქს – „დარგანი", ის მდებარეობდა ხორასნის და ხორეზმის საზღვართან. XI საუკუნის გეოგრაფიულ აღწერებში დარგანი (ასევე იხსენიება, როგორც დარუგანი ან დარუგან-ატა) წარმოადგენდა ხორეზმის სამხრეთის საზღვრის ყველაზე უკიდურეს პუნქტს. შუა საუკუნეების დარგანი რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქალაქი იყო. დარგანზე ცნობებს გვაწვდის იაკუთი, რომელმაც მოინახულა ის მერვიდან ხორეზმისაკენ მიმავალ გზაზე. აღსანიშნავია, რომ ვ. ბარტოლდი, არაბი და სპარსელი გეოგრაფების მონაცემებზე დაყრდნობით, ხორასნის და ხორეზმის გეოგრაფიული აღწერების დროს ამ ორ ქალაქს ერთმანეთისგან განასხვავებს. გამომდინარე აქედან, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჟაკ დე ვიტრის აღრეული აქვს ამ ქალაქების სახელწოდებები. Бартольд, 1963, ст. 492; Бартольд, 1971, ст. 122, 128-129.

[125] ხორასანი (ფრ. Chorasan). ამ ქალაქების და მხარეების ჩამონათვალში, ზოგადად, უნდა მოვიაზროთ ხორასნის მიწები. აშკარაა, რომ აქ მოვლენები უკვე ეხება ხორასნის რეგიონს, რადგან ამუ-დარიის გადმოლახვის შემდეგ, მონღოლთა რაზმები მუჰამედის დევნის დროს ერთიმეორეს მიყოლე-

ბით იღებდნენ ხორასნის, აზერბაიჯანის, სპარსეთის ერაყის ქალაქებს. უფლისწულმა თულმა სამი თვის განმავლობაში თითქმის მთელი ხორასნის მიწები დაიმორჩილა და აიღო მისი უმნიშვნელოვანესი ცენტრები, მერვი, ნიშაბური და ჰერათი.

[126] ნიხაგარი, ნიშაგარი (ფრ. Nichagar). რ. რორიხტი ამ პუნქტის ლოკალიზაციას არრანის მხარეში ახდენს, არაქსის ჩრდილოეთ ნაპირებთან და რამდენიმე შესაძლო ვარიანტს ასახელებს ამ ტერმინის იდენტიფიკაციის დროს: Musahur, Misaurum, Nischavar. Röhricht, 1894. s. 100. ჩვენი აზრით, „ნიხაგარის“ ქვეშ შეიძლება ვივარაუდოთ ხორასნის უდიდესი ქალაქი ნიშაბური, რადგან ჟაკ დე ვიტრის აღწერილობა მიჰყვება ხორასნის ქალაქებს და მიუხედავად იმისა, აქ ჩამოთვლილი პუნქტების გეოგრაფიული აღრევებისა, ჯერ კიდევ შორია მის გადმოცემაში არრანის მიწებამდე. მაკდისის გადმოცემით აქ იყრიდა თავს ხორეზმიდან, ჯურჯანიდან, რეიდან, ფარსიდან და ქერმანიდან წამოსული ქარავნები. ქალაქის ფართობი ერთ ფარსახს უტოლდებოდა. ტახირიდების, საფარიდების, სამანიდების მმართველი დინასტიების დედაქალაქი. ღაზნევიდების და სელჩუკიანების მმართველობის პერიოდშიც რჩებოდა ამ რეგიონის მთავარ ცენტრად, მიუხედავად იმისა, რომ სელჩუკიანების პერიოდში მერვში ისხდნენ ამ დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლები. ლტოლვილი ალა ად-დინ მუჰამედი ნიშაბურში მოვიდა მცირე რაზმთან ერთად, რაც იმის ნათელი სურათი იყო, რომ დევნილ ხორეზმშაჰს, ფაქტობრივად, წინააღმდეგობის უნარი დაკარგული ჰქონდა და თავშესაფარს ეძებდა მონღოლთა მდევარი რაზმებისგან. ან-ნასავის ცნობით, „ის მხოლოდ რამდენიმე საათს გაჩერდა შიშის გამო, რომელიც ჩაბუდებულიყო მის გულში და როგორც კი გაიგო მდევარის მოახლოების შესახებ, მაშინვე გაეცალა ქალაქს“. 1220 წლის ნოემბერში ამ ქალაქის ალყის დროს დაიღუპა მონღოლთა ერთ-ერთი სარდალი, ჩინგიზ-ხანის სიძე თოღუჩარი. ამ ფაქტის გამო, უფლისწულმა თულმა არ შეისმინა მოსახლეობის მუდარა შეწყალების თაობაზე და 1221 წლის აპრილში ნიშაბურის აღების შემდეგ, დატყვევებული 400 ხელოსნის გარდა, მონღოლებმა მოსახლეობა მთლიანად ამოჟლიტეს, ხოლო ქალაქი მიწასთან გაასწორეს. ნიშაბურის განადგურების ისტორია ეხება მონღოლთა მიერ ხორასნის ქალაქების აჯანყებული მოსახლეობის ანგარიშსწორების ამბებს. ასეთივე ბედი ეწია ხორასნის მეორე დიდ ქალაქს მერვს. მონღოლებმა 1221 წლის თებერვალში აიღეს იგი და გაანადგურეს. ასევე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჟაკ დე ვიტრის ამ ქალაქების ჩამონათვალში არ აქვს მოხსენიებული მერვი. შეიძლება მის მიერ დასახელებული რომელიმე ჩვენ მიერ ამოუხსნელი გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდების ქვეშ იმალებოდეს მისი დამახინჯებული ლათინიზირებული ფორმა, მაგრამ რიგი გეოგრაფიული ნომენკლატურების იდენტიფიკაცია, როგორც აღვნიშნეთ, საერთოდ შეუძლებელია. რაც შეეხება ნიხაგარის ნიშაბურად აღქმას, ესეც ვარაუდებია, მაგრამ, სხვა მსგავსი დასახელების ისტორიულ-გეოგრაფიული პუნქტი იმ დროის რეალობაში არ გვხვდება, როცა მივყვებით მონღოლების ლაშქართა მარშუტებს ხორასნის მიმართულებით.

[127] თერმედე (ფრ. Termede). სავარაუდოდ, თერმეზი, ამუ-დარიის მარჯვენა ნაპირზე, რომელიც მონღოლებმა თერთმეტდღიანი ალყის შემდეგ აიღეს და დაანგრიეს.

[128] ნასა (ფრ. Nassa) იყო პირველი პუნქტი ხორასნის საზღვართან, რომელსაც მიადგნენ მონღოლები, როცა მოსდევდნენ ლტოლვილ ხორეზმშაჰს. მათ 15 დღიანი ალყის შემდეგ აიღეს იგი და სასტიკად გაანადგურეს. ნასას აღების დროს დაიღუპა ხორეზმელთა ერთ-ერთი გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწე შიჰაბ ად-დინ ალ-ხივაკი, რომელიც ყველაზე სნორ გეგმას სთავაზობდა მუჰამედს, რომ მოეხდინა ძალების სრული მობილიზაცია და მონღოლებს დახვედროდნენ სირ-დარიის ნაპირებთან. აქ ჩანს, რომ ჟაკ დე ვიტრის აღრეული აქვს მოვლენების ქრონოლოგია. Буниятов, 1986, ст. 153.

[129] ბასტემი (ფრ. Bastem), სავარაუდოდ, ბისტამი. ქალაქი კუმისის პროვინციაში, შაჰრუდის ჩრდილოეთით. მას შემდეგ, რაც ხორეზმშაჰმა მდევრის შიშით დატოვა ნიშაბური, დროებით თავი შეაფარა ბისტამს, მაგრამ არც იქ გაჩერებულა დიდხანს და ერთი პუნქტიდან მეორეში სწრაფად გადადიოდა, რადგან ადგილობრივი მმართველები თუ ციხისთავები ცივად ხვდებოდნენ. აღარავის სურდა ზედმეტი თავის ტკივილი, რადგან არ სურდათ, რომ მონღოლთა რაზმების ძალადობის მსხვერპლნი გამხდარიყვნენ. ბისტამში ალა ად-დინ მუჰამედმა ქალაქის ამირას ჩააბარა ძვირფასი თვლებით და სავსე ორი სკივრი, რომელსაც უბრძანა, რომ ეს განძი გადაემალა მიუვალ ციხე არდახანში, რომელსაც ან-ნასავი „დედამიწაზე ყველაზე ძლიერ და აუღებელ ციხეს“ უწოდებს. მოგვიანებით, ამ ციხეში გადაასვენეს ხორეზმშაჰის ცხედარი, რადგან ეშინოდათ მონღოლთა შურისძიების. თუმცა, როცა მონღოლები ამ ციხეს მიადგნენ, დიდი ხნის ალყის შემდეგ, გარნიზონი იძულებული გახდა დანებებულიყო და მტერს ეს განძი ხელში ჩაუვარდა, რომელიც საბოლოოდ ჩინგიზ-ხანს გაუგზავნეს. რაც შეეხება ალა ად-დინ მუჰამედის ცხედარს, მონღოლებმა ამოთხარეს მისი გვამი და გაუგზავნეს უგედეის, რომლის ბრძანებით ცეცხლში დაწვეს. Буниятов, 1986, ст.148.

[130] ედაბამაგანი (ფრ. Edabamagan). სავარაუდოდ, ბამიანი, ტოხარისტანის მხარეში. ბამიანის და ღაზნის მხარეში დიდი ბრძოლები იყო გამართული ჯალალ ად-დინსა და ჩინგიზ-ხანს შორის. ხორეზმშაჰის უფლისწულმა აქ პირველი წარმატებებიც მოიპოვა. 1221 წელს, ბამიანთან ალყის დროს დაიღუპა ჩინგიზ-ხანის საყვარელი შვილიშვილი, ჩაღათაის ძე მუტუგენი. ამის გამო, მონღოლებმა ქალაქის აღების შემდეგ მთელი მოსახლეობა გაწყვიტეს და ქალაქს „ცუდი ქალაქი“ უწოდეს. აქაც ჩანს, რომ ჟაკ დე ვი-

ტრის მიერ დასახელებული გეოგრაფიული პუნქტები ხშირად მოვლენების ქრონოლოგიის თანამიმდევრობით არ არის მოყვანილი ტექსტში, რაც მიანიშნებს ჩვენი მემატიანის ზეპირ წყაროებზე.

[131] ბოლხე (ფრ. Bolche). სავარაუდოდ, ბალხი, ძველი ბაქტრია, დაარსებული უძველეს დროში არიელების მიერ, ელინისტური ბაქტრიის მხარეში, ამუ-დარიის სამხრეთით. ბალხი ჩინგიზ-ხანის სარდლობით აიღეს 1221 წლის გაზაფხულზე, როცა მან გადმოლახა ამუ-დარია და ჯარები გააგზავნა ჯალალ ად-დინის წინააღმდეგ, რომელიც ხორასანში ცდილობდა ფეხის მოკიდებას და ნიშაბურის გამაგრებას. მონღოლებმა შემდგომში კიდევ რამდენჯერმე დაარბიეს ბალხი, რომელიც საბოლოოდ დაცარიელდა და XIV საუკუნეში გეოგრაფ იბნ-ბატუტას ცნობით ნანგრევებად იყო ქცეული.

[132] სეჯისტანი (ფრ. Segisten), სეისტანი. ამ რეგიონის სახელწოდება მოდის სკვითური წარმომავლობის საკების ტომებისგან, რომლებიც აქ დასახლდნენ პართელებთან ომების დროს. სეჯისტანს ირანის აღმოსავლეთის რეგიონებს მიაკუთვნებდნენ შუა საუკუნეების ავტორები, რომელიც აღმოსავლეთით ავღანეთის ბელუჯისტანს, ჰერათის მხარეს და დასავლეთით ხორასანს ესაზღვრებოდა. ეს რეგიონი გახდა ჯალალ ად-დინის მიერ ავღანეთში მონღოლთა წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების ერთ-ერთი მთავარი ცენტრი, რის გამოც 1222 წლისათვის ეს მხარე მეტად დაზარალდა. მონღოლებმა მისი სრული დაპყრობა მხოლოდ 1229 წლისათვის შეძლეს. Бартольд, 1963, ст. 505-506; Бартольд, 1971, ст. 84-87.

[133] საარისტანი (ფრ. Saarsitan). სავარაუდოდ, შარასტანი, ასევე სარხასტანი ან სარვისტანი. როგორც მას მუსლიმი მემატიანეები და გეოგრაფები უწოდებენ. ტაბარისტანის მხარეში, ქალაქ მაზიართან ახლოს. ტაბარისტანის ოლქში ასევე შუა საუკუნეებში არსებობდა ქალაქი სარი, რომელიც ამ რეგიონის მთავარი ქალაქი იყო არაბთა გამოჩენამდე. ამიტომ, საარსიტანის ტოპონიმის ქვეშ ეს არც ისტორიული ქალაქი სარიც არ უნდა გამოვრიცხოთ. Röhricht, 1894. s. 100. Бартольд, 1971, ст. 443.

[134] მესედალი (ფრ. Messedali). რ. რორიხტის აზრით, სავარაუდოდ, Messhed-ali, მეშჰედ-ალი. წერილის პირველ ქარტიაში მოიხსენიება, როგორც, Maumeria Dadli – „Die Moschee des Ali“, (ალის მეჩეთი). Röhricht, 1894. s. 100; შეიძლება ამ ტოპონიმის ქვეშ იგულიხმებოდეს ხორასანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქი მეშჰედი. იგი მდებარეობდა თუსისა და ნიშაბურის დამაკავშირებელ გზაზე. მეშჰედში არის დაკრძალული შიიტი მუსლიმების ერთ-ერთი უდიდესი წმინდანი, მერვე იმამი ალი იბნ მუსა არ-რიზა. გადმოცემით, მეშჰედის დაარსება IX საუკუნეში, შიიტთა ამ წმინდა ადგილთან არის დაკავშირებული. X საუკუნის არაბი გეოგრაფის იბნ-ჰაუკალის გადმოცემით, ამ წმინდა საფლავის გარშემო უკვე არსებობდა დასახლება, რომელიც გარშემორტყმული იყო მაღალი მტკიცე გალავნით.

XIV საუკუნიდან კი, ჰამდალლაჰ ყაზვინის ცნობით, მეშჰედი უკვე დიდი ქალაქი იყო და ალი იბნ მუსა არ-რიზას საფლავზე აშენებული იყო გუმბათოვანი მეჩეთი. იქვე, მისი საფლავის გვერდით, იმავე მეჩეთში განისვენებს ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდი. საერთოდ, მოგვიანო ხანაშიც, უშუალოდ ქალაქში მრავალი სასაფლაო არსებობდა და ეს დაკავშირებული იყო სწორედ ამ წმინდა ადგილთან, რადგან, შიიტებს სურდათ, რომ რაც შეიძლება ახლოს ყოფილიყო მათი განსასვენებელი წმინდა საფლავთან. სავარაუდოდ, ჟაკ დე ვიტრი ამ გეოგრაფიული პუნქტის დასახელებას, სწორედ ამ იმამის სახელს უკავშირებს „მესედალი“. რაც შეეხება მონღოლთა გამოჩენას მეშჰედის კედლებთან, იგი დარბეული იქნა თუსთან და ნიშაბურთან ერთად 1221 წელს ჩინგიზ-ხანის შვილის თულის რაზმების მიერ. Бартольд, 1971, ст. 114-117.

[135] შეში, ხეხი (ფრ. Chechi). სავარაუდოდ, შაში, მავერანნაჰრში. ამ სახელწოდების პროვინცია და ქალაქი სირ-დარიის მარჯვენა სანაპიროზე. პროვინციის მთავარი ქალაქი. ალა ად-დინ მუჰამედის და ქუჩლუკის ბრძოლების დროს შაშის და ფერღანის მხარეები ძლიერ დაზარალდა. 1214 წელს, ხორეზმშაჰმა ბრძანება გასცა, რომ ამ ქალაქებიდან და მისი მიმდებარე მიწებიდან მოსახლეობა გაეყვანათ და გადაესახლებინათ ქვეყნის შიდა რეგიონებში, უსაფრთხო ადგილებში, რადგან თვითონ ვერ ინარჩუნებდა აქ ხელისუფლებას. მას არ უნდოდა, რომ ეს მდიდარი მხარეები ჩავარდნოდა ყარა-ხატაელთა მეთაურს. ხორეზმელთა სამწუხაროდ, როცა, 1218 წლიდან აქ მონღოლთა შემოტევები დაიწყო, ფაქტობრივად, ეს პროვინციები დაცლილი იყო და, რადგან წინააღმდეგობის გაწევის უნარი ამ გაუკაცრიელებულ მხარეებში აღარავის ჰქონდა, ამიტომ მონღოლთა ხელში უბრძოლველად გადავიდა. Бартольд, 1963, ст. 219-223, 433.

[136] მეანი (ფრ. Mean). სავარაუდოდ, მიანა. ქალაქი აზერბაიჯანში (ადარბადაგანი). არდებილსა და მარაღას შორის 20 ფარსახის მანძილზე. ჩრდილოეთ სპარსეთის (აზერბაიჯანის) ქალაქები, მონღოლებმა უკვე მას შემდეგ დაარბიეს, როცა მუჰამედის გარდაცვალების ამბავი შეიტყვეს და გააგრძელეს რეიდი თავრიზის, ყაზვინის, არდებილის, მარაღის, მიანიას და სხვა დიდი თუ მცირე პუნქტების მიმართულებით.

[137] სეჰერი (ფრ. Seheri). დღევანდელ მაზანდარანში, კასპიის ზღვის სამხრეთით მდებარე დასახლებული პუნქტი.

[138] სონიარი (ფრ. Soniar). რ. რორიხტის აზრით, ეს მიწები მოიცავდა დიდი სულთნის ახმად სანჯარის მემკვიდრეობას. ჟაკ დე ვიტრი მას სონიარის (სანჯარის დამახინჯებული ლათინიზირებული ფორმა) სამეფოს უწოდებს. Röhricht, 1894. s. 100. რ. რორიხტის დაკვირვება ამ საკითხზე საყურადღებოა, რადგან მოქმედებები წერილის მიხედვით სწორედ ხორასანში მიმდინარეობს. სელჩუკთა დიდი სულთნის სანჯარის ძირითადი სამფლო-

ბელოები მოიცავდა ხორასანს, მისი სახელმწიფოს მთავარი ქალაქი იყო მერვი და მას წყაროები ხორასნის სულთანადაც მოიხსენიებდნენ. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მას დიდ სულთნად მოიხსენიებდნენ, მისი გავლენა არ ვრცელდებოდა რეის დასავლეთით, სპარსეთის ერაყზე.

[139] მუზაფარი (ფრ. Musahar). სავარაუდოდ, მუზაფფარ-კუხი, ციხე-სიმაგრე სეისტანის ოლქში, ჰერათიდან სამხრეთით, ყანდაარისკენ მიმავალ სავაჭრო მაგისტარლზე, ძველი საბა, რომლის დაარსებას ადგილობრივი გადმოცემებით, ალექსანდრე მაკედონელს მიაწერენ. Бартольд, 1971, ст. 84.

[140] დელბიკანი (ფრ. Delbikan), ტალეკანი, ტალკანი. (დღევანდელი ტალიხანი). ტოხარისტანის ოლქის მთავარი ქალაქი, მდებარეობდა ამუ-დარიის სამხრეთით, ბალხიდან აღმოსავლეთით. ტალკანის ციტადელი („ნუსრეთ კუხი“) ერთ-ერთ მიუვალ ციხედ ითვლებოდა და იბნ-ალასირის და რაშიდ ად-დინის ცნობით, როდესაც მონღოლებს მის ასაღებად დაახლოებით 10 თვე დასჭირდათ. Röhricht, 1894. s. 100; Бартольд, 1971, ст. 47, 51, 62.

[141] მარენდარანი (ფრ. Marendran). აქ, სავარაუდოდ, იგულისხმება მაზანდარანის მხარე, ისტორიული სპარსეთის კასპიის ზღვის სამხრეთი სანაპირო. X საუკუნის არაბი გეოგრაფები მაზანდარანს იცნობდნენ ტაბარისტანის სახელწოდებით. იაკუთი აღნიშნავს, რომ ამ რეგიონის ეს სახელწოდება ახალია, რადგან XIII საუკუნემდე, ადრინდელ წერილობით ძეგლებში მას არ შეხვედრია ამ პროვინციის ასეთი დასახელება. არაბი გეოგრაფების ცნობით, მაზანდარანის მხარე მოიცავდა გილანის მთებიდან გურგანამდე არსებული მიწებს. მონღოლთა შემოსევების დროს ეს მხარე საკმაოდ დაზარალდა და მისი ქალაქები ამული და ასტრაბადი აოხრდა. თუმცა, მოგვიანებით, ჰულაგუიანების პერიოდში ასტრაბადი (კასპიის ზღვის სანაპიროზე) ითვლებოდა მონღოლი უფლისწულების საზამთრო სადგურად და ამიტომ ქალაქმა კვლავ დაიბრუნა ძველი კეთილდღეობა. Бартольд, 1971, ст. 222-223.

[142] ტაგიელი, თაგიელი (ფრ. Tagiel). რ. რორიხტის აზრით, აქ საუბარი უნდა იყოს სელჩუკთა სულთნის თოღრულის სამეფოზე. ეს გეოგრაფიული ტოპონიმები, რომელიც ჩამოთვლილი აქვს დე ვიტრის, ლოკალიზდება ჩრდილოეთ სპარსეთში, აზერბაიჯანის რეგიონში. მონღოლთა შემოსევების დროისათვის სელჩუკიანთა ხელისუფლება აზერბაიჯანში აღარ არსებობდა. უკანასკნელი სელჩუკიანი მმართველი ამ მიწებისა იყო თოღრულ III, რომელიც 1194 წელს, რეისთან, ხორეზმელებთან ბრძოლაში დაიღუპა. თოღრულის დამარცხების შემდეგ, ხორეზმშაჰმა თექეშმა დაიკავა ჰამადანი და სპარსეთის ერაყის დიდი ნაწილი. მან გააუქმა სელჩუკთა სახელმწიფოს ადმინისტრაციული აპარატი, მიწები და ქალაქები დაურიგა თავის ამირებს და სპარსეთში არსებული სელჩუკიანი სულთნების უკანასკნელი სამფლობელოები შევიდა ხორეზმის სახელმწიფოს შემადგენლობაში. Röhricht, 1894. s. 100. Буниятов, 1986, ст. 53-54.

[143] არაკში უნდა მოიაზრებოდეს არანის მხარე, რადგან წყაროებში ხშირად არაკი გვხვდება არრანის მნიშვნელობით. Röhricht, 1894. s. 100. რ. რორიხტის ეს გამოთქმული ვარაუდი არაკის არრანთან იდენტიფიკაციის თაობაზე საინტერესოა, რადგან თუ ჩვენ დავუკვირდებით მონღოლთა რეიდის ვიტრისეულ მარშრუტებს, შეიძლება მივაქციოთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ არრანის გეოგრაფიული საზღვარი სპარსეთის ტერიტორიებს ესაზღვრებოდა. უბრალოდ, დე ვიტრის მიერ მოცემულ გეოგრაფიულ ნომენკლატურებზე დაყრდნობა მეტად საფრთხილოა, მაგრამ მის მიერ გადმოცემული მონღოლთა ლაშქრობის მარშრუტს თანდათან მივყავართ კავკასიაში, არრანის და საქართველოს საზღვრებისაკენ. ქართველებთან შებრძოლების ისტორიას კი მემატიანე სწორედ ამ რეგიონების აღწერის შემდეგ გვაძლევს, რაც ამბების ქრონოლოგიურ ჩარჩოებშიც ჯდება. თუმცა, ერთი რამ საეჭვოა. დე ვიტრის ამ ქვეყნის დედაქალაქად დასახელებული აქვს რაჰი, რომელიც ჩვენი აზრით, რეისთან, კუმისის პროვინციის დასავლეთით და მაზანდარანის სამხრეთით მდებარე ქალაქთან უნდა იყოს ასოცირებული. ასეთი მსგავსი გეოგრაფიული პუნქტი არრანის მხარეში არ გვხვდება.

[144] რაი (ფრ. Rahi) სავარაუდოდ, რეი. უძველესი ქალაქი, ძვ. წ. აღ. VI საუკუნეში იხსენიება, როგორც მიდიის ქალაქი. X საუკუნის არაბულ გეოგრაფიულ წყაროებში, ის მხოლოდ ნიშაბურს თუ ჩამორჩებოდა თავისი სიდიდით და სიმდიდრით. 1220 წელს მონღოლთა შემოსევების შემდეგ, აოხრდა და გაუკაცრიელდა. თუმცა, ყაზან ყაენის მმართველობის დროს, XIII საუკუნის ბოლოს ხელახლა განაახლეს. შემდგომში თემურ ლენგმა დაანგრია და რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობით, რომელმაც აქ 1404 წელს გაიარა, რეი ნანგრევებად იყო ქცეული. რაც შეეხება მონღოლთა გამოჩენას ქალაქის კედლებთან, ნიშაბურის აღების შემდეგ, ჯებემ და სუბუდაიმ თავიანთი რაზმები სხვადასხვა მიმართულებით გააგზავნეს. ჯუვეინის ცნობით, სუბუდაი ქალაქს მიადგა დამგანის და სემნანის აღების შემდეგ. ჯებეც თავისი რაზმით აქ მოვიდა მაზენდარანის ქალაქების დარბევის შემდეგ. ჯუვეინის გადმოცემით რეის მოსახლეობა ნებაყოფლობით დამორჩილდა. იბნ ალ-ასირის ცნობით, მონღოლები მოულოდნელად გაჩნდნენ ქალაქთან, რადგან ცნობა მიიღეს, რომ ხორეზმშაჰი რეიში იმყოფებოდა. რეიში მათ გაიგეს მუჰამედის ჰამადანში წასვლის შესახებ. მონღოლები გაემართნენ ჰამადანისკენ, მაგრამ იბნ ალ-ასირის ცნობით, ხორეზმშაჰმა მანამ დატოვა ქალაქი, სანამ მონღოლები მოაღწევდნენ. Бартольд, 1971, ст. 130-133. რაც შეეხება ჰამადანის აღების ამბებს, ჟაკ დე ვიტრის წერილის ამ ეგზემპლარში არ აქვს აღნიშნული. ჰამადანი იხსენიება რელაციოს მეორე ტექსტში.

[145] შარაი, შარე (ფრ. Scharrai). სავარაუდოდ, სარი. ტაბარისტანის (მაზანდარანის) ძველი დედაქალაქი. სამი ფარსახის მანძილზე კასპიის ზღვიდან. მონღოლთა გამოჩენის დროს რეგიონის სხვა ქალაქებთან ერთად

აღებული იქნა ჯებეს და სუბუდაის რაზმების მიერ.

[146] სემანანი (ფრ. Sehemanan). სავარაუდოდ, სემენჯანი, სემენგანი. ბალხთან ახლოს, ტოხარისტანის პროვინციაში. იხსენიება VII საუკუნეში ჩინურ წყაროებში. მდინარე ხულმას დაბლობზე, თვით ამავე სახელწოდების ქალაქთან ორი დღის სავალზე. შუა საუკუნეებში, ტაბარისტანის რეგიონში არსებობდა ქალაქი სემნანი, რომელიც XII საუკუნის ბოლოს, ხორეზმელებსა და სპარსეთ-ერაყის სელჩუკიანების დაპირისპირების ერთ-ერთი სტრატეგიული ცენტრი იყო, რეისთან, ყაზვინთან და ფირუზკუხთან ერთად. საბოლოოდ, სპარსეთ-ერაყის სელჩუკიანთა უკანასკნელი სულთნის თოღრულ III-ის დამარცხების შემდეგ გადავიდა ხორეზმელების ხელში. ჟაკ დე ვიტრის მიერ მოცემული ამ გეოგრაფიული ნომენკლატურის იდენტიფიკაცია საკმაოდ ძნელია. შეიძლება მის მიერ დასახელებულ სემანანში გავიაზროთ სემნანის ისტორიულ-გეოგრაფიული რეალიები, რადგან ტექსტის მიხედვით, ბრძოლები უკვე სპარსეთის ჩრდილო-დასავლეთ პროვინციებში მიმდინარეობდა, მაგრამ დარწმუნებით ამ კუთხით მსჯელობა მაინც საფრთხილოა, რადგან ტექსტში აშკარა აღრევები გვხვდება გეოგრაფიული პუნქტების ლოკალიზაციის თანამიმდევრობის კუთხით. რიგი ქალაქების ჩამონათვალში ერთმანეთის გვერდით, ერთმანეთისგან აშკარად დაშორებული პუნქტები გვხვდება, რაც, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო აძნელებს მათ იდენტიფიკაციას და ლოკალიზაციას. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე პუნქტის სახელწოდებაც ერთმანეთს ძალიან მიაგავს, სეხემენეხი, სემანანი, სენხანი, სეხნეჰანი. Бартольд, 1971, ст. 49-50; Буниятов, 1986, ст.80.

[147] ყაზვინი (ფრ. Casvin). ამ ქალაქის აღების შესახებ მემატიანე ქვემოთ უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს.

[148] ხამა (ფრ. Cham). სავარაუდოდ ხამა, ხამი. ვ. ბარტოლდი ამ დასახლებულ პუნქტს მავერანნაჰრის რეგიონში ათავსებს, ბუხარის მხარეში, თუმცა მის ლოკალიზაციას ვერ ახდენს. აღმოსავლეთ თურქესტანში არსებობდა ასევე ქალაქი ხამი. Бартольд, 1971, ст. 413; Бартольд, 1963, ст. 168. რაც შეეხება სირიის ცნობილ ქალაქს ხამას, რომელიც მდინარე ორონტის ნაპირებზე, ხომსიდან ჩრდილოეთით მდებარეობს, შეიძლება დაზუსტებით ითქვას, რომ აქ ამ გეოგრაფიულ პუნქტზე არ არის საუბარი. მონღოლები სირიაში მოგვიანებით გამოჩდნენ XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა ეომებოდნენ ეგვიპტის მმართველ მამელუქებს.

[149] ხაშანი (ფრ. Chaschan). სავარაუდოდ, ხაში, ხაშარტი, იგივე იასკარტი, სირ-დარიის ნაპირებთან.

[150] ამედანი (ფრ. Amedan). შეიძლება ჰამადანი, მაგრამ რელაციოს მეორე ვარიანტში პირდაპირ არის მითითებული Hamedan. რაც ეჭვს არ იწვევს, რომ საუბარია სწორედ ჰამადანზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რელაციოს პირველ ვარიანტში უცნაურია ისეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური

და ეკონომიკური ცენტრის მოუხსენიებლობა, როგორიც იმ დროისათვის ჰამადანი იყო, რადგან ტექსტში უამრავ მცირე, ნაკლებად მნიშვნელოვან პუნქტებსაც ვხვდებით. ამიტომ, გადავწყვიტეთ, რომ ჰამედანის ამბებზე კომენტარი აქ გაგვეკეთებინა. ჰამადანი, ძველსპარსულიდან – Hagmatāna. აქედან მოდის მისი ბერძნული ფორმა ეკბატანა, ’Αγβάταυα. ძველი მიდიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი. ეკბატანა მიდიის დაცემის შემდეგაც აქემენიანების პერიოდში კვლავ რჩებოდა სამეფო რეზიდენციად. შუა საუკუნეებში სპარსეთის ერაყის რეგიონში შედიოდა და არაბი გეოგრაფების, იბნ ალ-ფაკიხის და იბნ რუსტას მიხედვით ჰამადანი, რეისთან ერთად ამ ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ცენტრად ითვლებოდა. შუა საუკუნეების ევროპული კარტოგრაფია ჰამადანს ხშირად კვლავ ეკბატანას ფორმით იცნობდა. საინტერესოა, რომ იოანე პერსვიტერის ლეგენდის არქეტიპშიც (XII საუკუნის 40-იანი წლები) ჰამადანი ეკბატანას სახელით არის ნახსენები, რაც მიუთითებს ამ ქალაქის მნიშვნელობაზე ევროპელთა თვალში. რაც შეეხება მონღოლთა გამოჩენას მის კედლებთან, ან-ნასავის ცნობით, აქ შეტაკებაც კი მომხდარა ალა ად-დინ მუჰამედის რაზმებსა და მონღოლთა მდევარს შორის. ჯუვეინის ცნობით, მას შემდეგ, რაც მუჰამედმა დატოვა ჰამადანი და გაემართა ქარუნის ციხე-სიმაგრისაკენ, რომელიც ყაზვინის გზაზე მდებარეობდა, მონღოლები შეეჩეხნენ მის რაზმს, მაგრამ ვერ იცნეს ლტოლვილი ხორეზმშაჰი და მხოლოდ რამდენიმე ისარი მიაყოლეს გაქცეულ ამალას, რის შედეგად დაიჭრა კიდეც მუჰამედი, მაგრამ მან მაინც მშვიდობით მიაღწია ამ ციხეს. Бартольд, 1963, ст. 490-493; Бартольд, 1971, ст. 136-139.

[151] სანგუა (ფრ. Sanguhaa). რ. რორიხტის აზრით, სავარაუდოდ შირვანი. თუმცა რას ეფუძნება მისი დასკვანა, არ ჩანს ნაშრომში. Röhricht, 1894. s. 100.

[152] სენშეანი, სენჰეანი (ფრ. Senchehan), შესაძლებელია სენგ(ხ)ან-ახსეკი. იაკუთის მიხედვით, გურგანჯიდან შაჰრისტანისაკენ მიმავალ გზაზე არსებული პატარა დასახლებული პუნქტი. Бартольд, 1963, ст. 209.

[153] დიარბაქანი (ფრ. Diarbakan). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დე ვიტრის დასახელებული აქვს მსგავსი გეოგრაფიული პუნქტი, „დიარბეშენი“, რომლის სახელქვეშ შეიძლება ვივარაუდოთ დიარბექირის პროვინცია. მაგრამ, ეს მხარე იმ დროისათვის მონღოლთა ლაშქრობების არეალში არ მოქცეულა. ამავე დროს, ჟაკ დე ვიტრის მიერ ჩამოთვლილი ამ რეგიონის ქალაქების სიაში ნახსენებია „მერაღა“, ისტორიული აზერბაიჯანის ქალაქი მარაღა და არრანის ქალაქი ბაილაყანი, რომლებიც მონღოლებმა ამ ლაშქრობის დროს აიღეს. ასევე, საყურადღებოა ერთი გარემოება: წერილში, დიარბაქანის წინ დასახელებული პუნქტები, „კონინე“, „ამანია“ გვაეჭვებს, აქ საუბარი ხომ არ არის კონიაზე ან ამიდზე, მცირე აზიის ქალაქებზე, რომელთა გეოგრაფიულ ადგილმდებარეობა ახლოსაა დიარბაქირის ისტორიულ-გეოგრაფიულ რე-

გიონთან. საინტერესოა ერთი გარემოებაც, რომელიც შეიძლება უბრალო დამთხვევა იყოს, მაგრამ დიარბაქანის მხარეში სამასი ციხე-სიმაგრის შესახებ ინფორმაცია გვახსენებს ფრანგი რაინდის დე ბუას წერილის იმ ფრაგმენტს, რომელიც, ეპისტოლეს მიხედვით, დაახლოებით ამ მხარეში ქართველების მიერ სამასი ციხის დაპყრობას ეხებოდა. საერთოდ, როგორც ჟაკ დე ვიტრის, ისე დე ბუას ინფორმაციების წყარო ზეპირი გადმოცემები იყო, რომელიც სწორედ ჯვაროსნული მისტიციზმით იყო გაჯერებული. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ვარაუდებია, მაგრამ ჩვენი მემატიანის ინფორმაციებიც ხომ მიმდინარე მოვლენების გარშემო, უმეტესად, მოარული ხმების საფუძველზე იყო აგებული.

[154] ბელოშანი, ბელოხანი (ფრ. Bellochan). სავარაუდოდ, ბაილაყანი, არრანის მხარეში. მონღოლებმა ეს ქალაქი კავკასიაში ლაშქრობის დროს აიღეს და გაძარცვეს. იბნ-ალასირი გადმოგვცემს, რომ 1223 წელს ამ ქალაქს ქართველები დაესხნენ თავს და მის მცხოვრებლებს მონღოლებზე უარესად მოექცნენ.

[155] მერაღა (ფრ. Meraga). სავარაუდოდ, მარაღა, აზერბაიჯანში. ურმიის ტბასთან, თავრიზის სამხრეთ-აღმოსავლეთით. მონღოლებმა ეს ქალაქი აიღეს ადარბადაგანში შემოსვლის დროს. ან-ნასავის ცნობით, მოგვიანებით, 1225 წელს, როდესაც ჯალალ ად-დინი აზერბაიჯანში შემოვიდა, მარაღას მცხოვრებლებმა გადასცეს თხოვნა, რომ გაეთავისუფლებინა ისინი ქართველთა მძლავრობისაგან. შემდგომში, იგი სხვა მუსლიმ მმართველებს სწერდა, რომ მან მარაღა ქართველთა კლანჭებს გამოგლიჯა.

[156] აღსანიშნავია, რომ დე ვიტრის ამ ჩამონათვალში არ გვხვდება აზერბაიჯანის დედაქალაქი თავრიზი. მისი მმართველი უზბეკი დაემორჩილა მონღოლებს მხოლოდ 1221 წლის შემოდგომაზე, რაც გახდა მიზეზი, რომ ეს ქალაქი არ მოხვდა ამ სიაში. Хаутала, ст. 39

[157] ებიბეთი (ფრ. Ebibeth). ებიბეთის სამეფოს ქვეშ, რ. რორიხტი მოიაზრებს აზერბაიჯანის ათაბაგის, აბუ-ბაქრის ყოფილ საგამგეო მიწაწყალს. Röhricht, 1894. s. 101.

[158] ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ეს ქალაქი, დიდი და მცირე პროვინცია, რომლებსაც ჟაკ დე ვიტრი „თაჯის სულთნის სამეფოში, სპარსეთის საზღვართან“ ათავსებს, მდებარეობდა სპარსეთის ისტორიულ პროვინციებში, მაზანდარანში, გილი(ა)ნში, აზერბაიჯანში, არრანში. ეს მიწები იმდროისათვის ხორეზმის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა. ალა ად-დინ მუჰამედი თვით არანის და შირვანის მიწების უზენაეს გამგებლებად თვლიდა თავს, რადგან მას პრეტენზიები ჰქონდა ირანის სელჩუკების მემკვიდრეობაზე. ამიტომ, ხორეზმ-შაჰის სადიდებლად, ყველა ამ მხარეში მის სახელზე ხუტბას აღავლენდნენ. მონღოლთა გამოჩენამდე, XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე, არრანის, შირვანის და აზერბაიჯანის გამო ხორეზმელებს

კონფლიქტი ჰქონდათ ქართველებთან. 1210 წელს, ქართველთა სპარსეთში ლაშქრობის ერთ-რთ მიზანს, ამ რეგიონებში ხორეზმელთა გავლენის შესუსტებისადმი მიმართული ეს სამხედრო რეიდი წარმოადგენდა. მოგვიანებით, ჯალალ ად-დინის საქართველოზე გამოლაშქრების ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც სწორედ ამ დაპირისპირების კონტექსში მოიზრებოდა. ამ საკითხის გარშემო იხ. სტეფნაძე, 1977, გვ. 189-193; გოგოლაძე, 2012, გვ. 102-217. რაც შეეხება მონღოლთა გამოჩენას ამ მხარეებში, ეს იყო ჩინგიზ-ხანის დავალებით გამოგზავნილი სარდლების ჯებეს და სუბუდაის მდევარი რაზმების რეიდი, რომელიც მიზანმიმართული იყო, რომ მუჰამედი შეეპყროთ და საბოლოოდ გაენადგურებინათ ხორეზმის სამეფო. ამ რეიდის დროს მონღოლებმა ჩრდილოეთ სპარსეთის პროვინციები: ხორასანი, გულისტანი, მაზანდარანი, აზერბაიჯანი, ასევე არრანი და შირვანი დაარბიეს. სწორედ ამ პროვინციების და ქალაქების დამახინჯებული ლათინიზირებული ფორმები აქვს გადმოცემული ჟაკ დე ვიტრის.

[159] აქ გააზრებულია მონღოლთა პირველი გამოჩენა საქართველოში, შეტაკებები ქართველებთან, ქართველთა და მუსლიმთა კოალიციური სამზადისის ამბები მონღოლთა წინააღმდეგ. 1220 წელს, ჯებეს და სუბუდაის სარდლობით მონღოლთა რაზმები დაედევნენ ლტოლვილ ხორეზმ-შაჰს მუჰამედს. მათ გზად გაანადგურეს ხორასნის ქალაქები და აზერბაიჯანის მთავარ ქალაქს თავრიზს მიადგნენ. ათაბაგმა უზბეგმა მორჩილების პირობით აიცილა მტრის რისხვა და, ფაქტობრივად, გზა გაუხსნა სამხრეთ კავკასიისაკენ. რანისკენ მომავალმა მონღოლებმა, როგორც ჩანს გადმოკვეთეს საქართველოს საზღვარი და პირველი შეტაკება მოუწიათ ქართველთა რაზმებთან. მართალია, მტერი ქვეყნის სიღრმეში არ შემოსულა, რადგან გამოსაზამთრებლად მუღანს მიაშურა, მაგრამ ქართველთა სამეფო კარმა იგრძნო, რომ საფრთხე სერიოზული იყო, შეეცადა შეეკრა კოალიცია ხლათის და აზერბაიჯანის მმართველების მონაწილეობით. სამწუხაროდ, ეს ცდა მარცხით დამთავრდა, რადგან ალ-აშრაფმა უარი განუცხადა ამ კოალიციაში მონაწილეობაზე იმ მიზეზით, რომ აპირებდა ეგვიპტეში გამგზავრებას ალ-ქამილის დასახმარებლად ჯვაროსანთა წინააღმდეგ. მონღოლებმა, როგორც ჩანს შეიტყვეს ქართველთა გეგმების შესახებ და 1221 წლის იანვარში მოულოდნელად გამოილაშქრეს და საგიმის მინდორზე გადამწყვეტ ბრძოლაში სასტიკად დაამარცხეს გიორგი IV ლაშას მეთაურობით შეკრებილი ქართველთა დიდი ლაშქარი. ეს ინფორმაცია კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჟაკ დე ვიტრის და მის გარშემო მყოფებს ეჭვი არ ეპარებოდათ უცნობი და ნახევრად ლეგენდარული დავითის ქრისტიანობაში და ჯვაროსნული გეგმებისადმი მის ერთგულებაში, რადგან ჯვაროსანთა გუშინდელ მოკავშირე ქართველებს კიცხავს მუსლიმებთან ურთიერთობისათვის. რაც შეეხება ჟაკ დე ვიტრის ცნობას მონღოლთა მიერ ქართველთა ქვეყანაში

ორმოცი ციხის აღების შესახებ, ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. საერთოდ, დავითის ამ ლეგენდაში ვხედავთ გაზვიადებულ ცნობებს ათეულობით თუ ასეულობით აღებული ქალაქის და ციხე-სიმაგრის შესახებ. საერთოდ, შუა საუკუნეების ქრონიკებისათვის დამახასიათებელი იყო გარკვეული მოვლენების გაზვიადება. მართალია, ჩინგის-ხანის მიერ გამოგზავნილმა რაზმებმა შუა აზიაში, ავღანეთში, სპარსეთში, აზერბაიჯანსა და კავკასიაში მრავალი ქალაქი და ციხე აიღეს, მაგრამ, ჟაკ დე ვიტრის ცნობებში, დაპყრობილი პუნქტების რაოდენობა აშკარად გადაჭარბებულია. თვით მონღოლებს, რომლებიც საქართველოში და მის მოსაზღვრე მხარეებში თითქმის ერთი წლის განმავლობაში თარეშობდნენ, ამდენი პუნქტი არ დაუპყრიათ. მონღოლებმა ქვეყნის სიღრმეში შემოსვლაც კი არ სცადეს და 1221 წლის ბოლოსათვის გადავიდნენ კიდეც დარუბანდის გზით ჩრდილოეთ კავკასიაში. ჯავახიშვილი, 1966, გვ. 14-27; ჯაფარიძე, 1995, გვ. 176-180.

[160] არაბი ავტორის აზ-ზაჰაბის ცნობით, მონღოლთა სარდლებმა ბაღდადის ხალიფას გაუგზავნეს თავიანთი წარმოამადგენლები. სავარაუდოდ, ეს ელჩობა მიზნად ისახავდა ხალიფას საბრძოლო მზადყოფნის შემოწმებას. Хаутала, ст. 40.

[161] სავარაუდოდ, აქ შეიძლება გავიაზროთ ის წარმოდგენები, რომელიც მონღოლთა გამოჩენის პირველ ხანებში გავრცელდა ქრისტიანულ სამყაროში, მათი ქრისტიანობის შესახებ. ისტორიკოსები ამას ხსნიან იმ ფაქტით, რომ მონღოლების დროშების წვერზე დამაგრებული იყო ფრინველის ფრთები და ქრისტიანებს წარმოედგინათ, როგორც ჯვარი. სწორედ აქედან გავრცელდა ერთ-ერთი ყალბი ვერსია მათი ქრისტიანობის შესახებ.

[162] აქ მემატიანეს გააზრებული აქვს ის ამბავი, როცა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდში დამასკოს გამგებელმა ალ-მუ'აზზამმა დაანგრია იერუსალიმის კედლები და ქალაქში მყოფმა შეურაცხყვეს ქრისტიანთა წმინდა ადგილები მუსლიმებმა.

[163] ყაზვინი (ფრ. Casvin). ქალაქი მაზანდარანის და გილანის პროვინციების საზღვარზე, ჰამადანის ჩრდილო-აღმოსავლეთით. მისი დაარსება დაკავშირებულია სასანიანთა შაჰ შაბურთან. ყაზვინთან ახლოს მდებარეობდა შიიტი ასასინების მთავარი ციხე-სიმაგრეები, რუდბარი და ალამუთი, თუმცა ქალაქის მოსახლეობა ძირითადად სუნიტები იყვნენ და მუდმივი კონფლიქტი ჰქონდათ შიიტ-ისმაილიტებთან. ლტოლვილმა ხორეზმშაჰმა რეის გავლით მიაღწია ყაზვინს, სადაც მისი შვილი რუქნ ად-დინ გურშსანჯი საკმაოდ ძლიერი გარნიზონით (30 000 მეომარით) იდგა. ხორეზმშაჰს ახლა მაინც შეეძლო, რომ ძლიერი წინააღმდეგობა გაეწია ჯებეს და სუბუდაის მოქანცული რაზმებისათვის, მით უმეტეს, რომ ყაზვინი ძლიერ გამაგრებული იყო და მის მიმდებარე მიწებს მძლავრი სიმაგრეთა ქსელი იცავდა. მაგრამ მუჰამედმა არ ისარგებლა ამ ხელსაყრელი ვითარებით და კვლავ

უკუიქცა. რაც შეეხება ჟაკ დე ვიტრის ცნობას ყაზვინის მოსახლეობის აჯანყების შესახებ, როგორც ჩანს, მონღოლთა წინააღმდეგ გამოსვლებს მართალაც ჰქონდა ადგილი. საერთოდ, ხორეზმშაჰის დევნის გამო მონღოლთა სარდლებს ჯებეს და სუბუდაის ჩინგიზ-ხანისგან ნაბრძანები ჰქონდათ, რომ დიდხანს არ გაჩერებულიყვნენ ერთ ადგილზე და მორიდებოდნენ აღებული ქალაქების მოსახლეობის დაწიოკებას, რათა არ დაეკარგათ ძვირფასი დრო. მართლაც, მონღოლთა სარდლები, ხშირ შემთხვევაში, რიგ გამაგრებულ პუნქტებს გვერდს უვლიდნენ და ერიდებოდნენ მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტას. მაგრამ ხორასანის, მაზენდარანის და ფარსის ქალაქებში მაინც მოხდა გამოსვლები, რამაც მონღოლები აიძულა, რომ განსაკუთრებული სიმკაცრე გამოეჩინათ აჯანყებული მოსახლეობის მიმართ. ჟაკ დე ვიტრის მიერ მოთხრობილი ეს ამბავი, სწორედ ყაზვინის მოსახლეობის დასჯის ისტორიაა, რომელიც მონღოლებმა მოაწყვეს, როგორც ყაზვინში, ისე რეიში, ზენჯანში, არდებილსა და ჰამადანში. ნიშაბურის აღების შემდეგ, ჯებემ და სუბუდაიმ გაიყვეს დევნის მიმართულებები, რადგან ისინი უკვე კარგავდნენ ლტოლვილი ხორეზმშაჰის კვალს და მიუხედავად გამალებული ძიებისა, როგორც ჩანს, ჰამადანთან საბოლოოდ დაკარგეს კიდეც მისი კვალი. Бартольд, 1963, ст. 489-493.

[164] ბაიი (ფრ. Bailli). ბაიაჟის მეთაური, მეფის მოხელე, რომელიც მეფის სახელით ახორციელებდა სასამართლო და ადმინისტრაციულ ძალაუფლებას. ეს თანამდებობა შემოღებული იქნა XII საუკუნეში ფილიპ ოგიუსტის მიერ.

[165] ქვემოთ მოცემული ტექსტი სხვა ხელნაწერის თარგმანს წარმოადგენს. Lettres de Jacques de Vitry, 1998, p.191. აქ მოცემული ტექსტი, თავისი შინაარსით, წარმოადგენს ზემოთმოცემული თხზულების გამეორებას მცირე ცვლილებებით. შესაბამისად, ეს ტექსტი აქ მოგვაქვს კომენტარების გარეშე.

[166] ჰამედანი (ფრ. Hamedan), ჰამადანი. ამ ქალაქის აღების შესახებ იხილეთ ზემოთ.

[167] კალაფი (ფრ. Calaph). ხლათის აიუბიანთა სახელმწიფო, რომელის მმართველი იყო ეგვიპტის სულთნის ძმა ალ-აშრაფი.

[168] მოსა (ფრ. Mausa), მოსული. ქალაქი ტიგროსის ნაპირებთან.

[169] ბოემუნდ IV, ანტიოქიის პრინცი და ტრიპოლის გრაფი (1201 -1233);

[170] Eudes de Châtillon. ეს პიროვნება VI წერილში მოხსენიებულია ოდონ დე კასტილიონის სახელით.

[171] აღნიშნული პირების შესახებ ინფორმაციას ვხვდებით V და VI წერილებში.

[172] მას შემდეგ, რაც ქრისტიანთა ბანაკში გავრცელდა ხმა, რომ ფრიდრიხ II აპირებდა ჯვაროსანთა დახმარებას, ეგვიპტელები შეშინდნენ და საზავო მოლაპარაკებები წამოიწყეს. მას დაერთო ის მოარული ხმები, რაც დაკავშირებული იყო მონღოლების გამოჩენასთან და ქართველთა შესაძლო ჩართვაზე ამ კამპანიაში.

[173] ეფესელთა 6, 10.

[174] აქ საუბარია IX საუკუნის სპარსელი ნესტორიანელი მეცნიერის ჰუნაინ იბნ ისაკის წინასწარმეტყველების წიგნზე, რომელსაც პირობითად „ჰანანის წინასწარმეტყველებას“ უწოდებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაშრომის ისტორიული ნაწილი ძველია, მკვლევრები ვარაუდობენ, რომ ის წინასწარმეტყველების ფორმა, რომელმაც ფრანგული და ლათინური ვერსიების სახით ჩვენამდე მოაღწია, შექმნილია მოგვიანებით, დამიეტს აღების შემდგომ ახლო პერიოდში. მისი აქტუალური მონაკვეთები სწორედ დამიეტს აღების შემდეგ უნდა იყოს ჩამატებული, რადგან ეს წინასწარმეტყველება ემსახურებოდა ჯვაროსანთა შორის იდეოლოგიური და მორალური სულისკვეთების ამაღლებას და პაპის ლეგატის პელაგიუსის ავტორიტეტის გაზრდას. მკვლევართა აზრით, მისი ავტორი შეიძლება ყოფილიყო ჯვაროსანთა ბანაკში მყოფი, ვინმე ნესტორიანელი ბერი, რომელიც არაბულად წერდა ამ ტექსტებს და ასე გავრცელდა ჯვაროსანთა ბანაკში. ამის შესახებ მიანიშნებს კიდეც ჟაკ დე ვიტრი. ის, რომ ეს წიგნი მოლაშქრეთა შორის პელაგიუსის და საერთოდ ეკლესიის ავტორიტეტის ამაღლებას ემსახურებოდა, ჩანს მისი სხვა ხელნაწერებიდან, სადაც საუბარია ეგვიპტის დამპყრობ მაღალ, გამხდარ კაცზე, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მეფე არ იყო, ემორჩილებოდნენ სხვა მეფეები. ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ მოვიდოდა ორი მეფე, რომელთაგან ერთი, მთებს გაღმა მხრიდან გამოჩნდებოდა და დაიპყრობდა დამასკოს, ხოლო მეორე კი – მექას. საბოლოოდ ეს მეფეები იერუსალიმში შეხვდებოდნენ ერთმანეთს. ამის შემდეგ გამოჩნდებოდა ანტიქრისტე და დადგებოდა სამყაროს აღსასრული. ეს მოლოდინი მოცემულია მოციქულთა მოწაფის კლემენტის წიგნში, რომლის შესახებაც ქვემოთ საუბრობს ჟაკ დე ვიტრი. ამ მეფეების იდენტიფიკაცია რთულია, მაგრამ თუ გადავხედავთ იმ პერიოდის წყაროებს და ეპისტოლარულ მემკვიდრეობას, შეიძლება მთის გაღმა მხრიდან მოსულ მეფეში დავინახოთ ქართველთა მეფე გიორგი ლაშა, ხოლო სამხრეთიდან მომავალ მეფეში კი აბისინიის მეფე, მითიური იოანე პრესვიტერი. შესაძლოა, დამასკოს დამპყრობში დავინახოთ ქართველთა მეფე, რადგან იმ დროისათვის ჯვაროსანთა რიგებში გავრცელებული იყო ამბავი, 1219 წელს ქართველთა მუქარის შესახებ დამასკოს გამგებელის ალ-მუ‘აზზამისადმი და ამ ინფორმაციებს კიდეც ვხვდებით სხვა ლათინურ წყაროებში. თვარაძე, 2008 გვ. 99-102, Knefelkampf, 1986, s. 130-133, Richard, 1955. p. 233-236; Gogoladze, Tsitlanadze, 2009, p. 72-82.

[175] რიცხვთა 22,5.

[176] დანიელი 2, 31-36.

[177] დაბადება 41, 17-36.

[178] იოანეს სახარება 11, 49-52.

[179] რიცხვთა 22, 28. ძველი აღთქმის მიხედვით, ბალაამი იყო წინასწარმეტყველი ზემო ევფრატზე მდებარე ქალაქ ფეთორიდან. ბიბლიის თანახმად, რათა დაეცვა მეფე ბალაკს თავისი ხალხი ებრაელებისაგან, გადაწყვიტა დახმარებისათვის მიემართა ბალაამისათვის. მეფეს იმედი ჰქონდა, რომ ბალაამი დაწყევლიდა მის მტრებს. როდესაც ბაალამი გაემართა მეფისაკენ, მისმა სახედარმა იხილა ანგელოზი და დაელაპარაკა პატრონს. ამის შემდეგ ბაალამმა თვით იხილა ანგელოზი. ღმერთის ნებით მან უარი განაცხადა ებრაელთა დაწყევლაზე.

[180] სიბილა – ანტიკური კულტურის პერიოდის წინასწარმეტყველი ქალი.

[181] აქ საუბარია მოციქულთა მოწაფის კლემენტის წინასწარმეტყველებაზე, რომლის წიგნი დამიეტასთან, სავარაუდოდ, 1221 წლის იანვარში გამოჩნდა. მსგავსად ჰანანის წინასწარმეტყველებისა, ეს წიგნიც განსაზღვრული იყო ჯვაროსანთა სულიერად გასამხნევებლად, რადგან, როგორც ვიცით, დამიეტის აღების შემდეგ, მდგომარეობა მათ ბანაკში ძალიან მძიმე იყო. მოლაშქრეთა დიდი ნაწილის წასვლამ მნიშვნელოვანი მორალური დარტყმა მიაყენა დამიეტის კედლებთან დარჩენილებს. ჯვაროსანთა ხელმძღვანელობის გაუთავებელმა კინკლაობამ კატასტროფის წინაშე დააყენა მთლიანად ექსპედიციის ბედი. ამიტომ ამ წიგნების გამოჩენა, სწორედ აღნიშნულ მიზნებს ემსახურებოდა. კლემენტის წიგნიც, ფაქტობრივად, მოვლენების იმავე მონახაზს აკეთებს, რასაც ვხვდებით ჰანანის წინასწარმეტყველებაში. იმ განსხვავებით, რომ დამასკოსა და მექას დამპყრობლები თუ სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან მოდიოდნენ, ამჯერად ისლამის გამანადგურებლები დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან მოისწრაფვოდნენ წმინდა მიწაზე. თუ ჰანანის მეფეებში, ჩვენ შეიძლება ვივარაუდოთ ქართველთა და აბისინიის (ნუბიის) მეფეები, ამ შემთხვევაში, აქ გააზრებულია იმ პერიოდში ჯვაროსანთა რიგებში გავრცელებული მოსაზრებები დასავლეთიდან ფრიდრიხ II-ის და აღმოსავლეთიდან ლეგენდარული მეფე დავითის მოსვლის შესახებ, რომლებიც უნდა შეხვედროდენ წმინდა მიწაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორი მეფის შეხვედრის თაობაზე, როგორც ჩანს, ჯვაროსანთა ბანაკშიც არსებობდა მოლოდინი და ეს ჟაკ დე ვიტრისაც აქვს ამ წერილში ქვემოთ მოცემული.

[182] რომაელთა 11, 25.

[183] იოანეს სახარება 17, 12.

[184] ფილიპელთა 1, 6.: „და ამის მებრვე სასოებისათჳს, ვითარმედ რომელმან იწყოს თქუენ შორის საქმე კეთილისაჲ, აღასრულენ ვიდრე დღედმდე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“.

[185] ესაია 54, 2.

[186] II თესალონიკელთა 2, 8.

[187] I მეფეთა 2, 6-7.

[188] 1221 წლის 18 აპრილი.

SUMMARY

The book "Georgia and the Crusader East according to Jacques de Vitry" was created within the grant financed by Shota Rustaveli National Science Foundation. Its goal was to study the Crusader East of the 13th century and to show the place and role of Georgia in the Crusades.

Basically, the book highlights the letters of one of the active participants of the Fifth Crusade, the Bishop of Acre, Jacques de Vitry. However, the information provided in his epistolary inheritance is added by the facts described in other sources of that time ("Historia Orientalis" by Jacques de Vitry and "Historia Damiatina" [The Capture of Damietta] by Oliver Of Paderborn).

The book provides the translation of seven letters written by Jacques de Vitry. This is the first time those letters are completely translated in Georgian. The translation is based on the text edited by a French scholar R. Huygens (Lettres de Jacques de Vitry ed. R. B. C. Huygens. Traduit et présenté par G. Duchet-Suchaux, Brepols, 1998). There are some comments added to the translation, which explain the information provided in the source, on the one hand, and, on the other hand, discuss topical problems of history of that time. The book with its comments highlights the problems of political, military, religious, historical, geographical, social, economic and cultural life of the Crusader East in the 12th and 13th centuries. Besides, reconstruction of the picture of everyday life in Crusader the East of that time as well as realization of Georgia's role in the Crusade has a significant place in the book.

Great part of the book is devoted to:

a) The comparison of social structures of eastern and western cities of the Crusader period;

b) Various religious and ethnic minorities living in the Crusader East (Georgians, Armenians, Greeks, Jacobites, Syrians, Nestorians, Maronites, Jews) and the attitude of the Catholic Church to them;

c) The history of foundation and development of the Catholic Church on the Holy Land; the role of the papacy in preparation of the Fifth Crusade;

d) The analysis of the key moments of the Fifth Crusade according to the letters written by Jacques de Vitry (Damietta siege, an attack to the Fortress of Mansur);

e) The King David's Relatio (reincarnation of the Prester John's legend) and discovery and study of the Georgian trace in that context;

f) The relation of the Kingdom of Georgia to the Fifth Crusade that is evident in the correspondence between the kings of Georgia and Roman Curia.

The book contains an appendix of the names of historical figures and the toponyms mentioned in the letters of Jacques de Vitry, which will greatly help the reader to understand the text. Besides, there is a review of scientific literature devoted to that problem, which introduces the topical problems of history of the Crusader East to the reader.

წყაროები და ლიტერატურა

******

„ქართლის ცხოვრება“, ტ. I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნმაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955

„ქართლის ცხოვრება“, ტ. II, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნმაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959

ბიბლია (წიგნი მომზადდა საქართველოს საპატრიარქოს მიერ 2009 წელს გამოცემული „ბიბლიის” ტექსტის მიხედვით), თბილისი; გამომცემლობა „პალიტრა L”; 2013

Abbé C. Dehaisnes - Les Annales de Saint-Bertin et de Saint Vaast - Paris, 1871

Abulfaradsch, Historia Dinastiarum, Oxford, 1663.

Bibliothèque des croisades, par Mr. Michaud, Première partie. Chroniques de France. Paris, 1829.

Briefe des Jacobus de Vitriaco (1216-1221), herausgegeben von Reinhold Röhricht, Zeitschrift für Kirchengeschichte XIV, herausgegeben von D. Theodor Brieger und Lic. Bernhard Bress. XIV. Band, Gotha. Friedrich Andreas Perthes, 1894

Brundage, J. A. (trans. and preface) The Crusades, A Documentary Survey, The Marquette University Press, Wisconsin 1962

Christian Society and the Crusades 1198-1229, Sources in translation including The Capture of Damietta by Oliver of Paderborn, (ed.) Peters, Ed. University of Pennsylvania press, Philadelphia 1971

Chronica regia Colomensis, in Scriptores rerum Germanicarum in usum scholarum (Ed. Waitz G., Hanover, 1880

Chronique d'Ernoul et de Bernard le Tresior (Ed. L. de Mas Latrie), Paris, 1871

Claverie, P.V. Honorius III et l'Orient (1216–1227). Étude et publication de sources inédites des Archives vaticanes (ASV). Leiden, the Netherlands; Boston, MA: Brill Academic Publishers, 2013

Crusade and Christendom, Annotated Documents in Translation from Innocent III to the Fall of Acre, 1187 – 1291, (ed.) Bird, J. Peters, Edw. Powell, J. M. University of Pennsylvania Press, Philadelphia 2013

Emo, Chronicon (Ed. Weiland L.), MGH, SS., XXIII

Ex Thomae historia pontifuum Salonitanorum et Spadatinorum (Ed. L.von Heinemann, MGH, SS., XXIX, 569-598

Gesta Deiper Franc, (Hanover, x 611), I, 1-47-1124

Giovanni L., Mappamondo del 1453, riproduzione a colori dell'originale posseduto dall'American Geographical society di New-York, Venezia, 1954

Historia Damiatia ad Hoogeweg, H. Die Schriften des Kölner Domscholasters, späteren Bischofs von Paderborn und Kardinal-Bischofs von S. Sabina, Oliverus. Tübingen: Litterarischer Verein in Stuttgart, 1894

Huygens, R.B.C. Lettres de Jacques de Vitry (1160/1170 – 1240) évêque de Saint-Jean-d'Acre. Leiden, the Netherlands: Brill Academic Publishers, 1960

Il mappamondo di Fra Mauro Camaldolese, Venezia, 1806

Innocents' III epistolae, in PL, vols. CCXIVCCXVI and in RHGF, XIX; Gervasii Praemonstratensis Abbatis epp. Ad Innocentium et Honorium, in GHGF, XIX, 604-605, 618-620

Jacoues de Vitry, History of Jerusalem, Pilgrims' Text Society, London, 1896

Jacques de Vitry, Histoire orientale. Historia Orientalis / Donnadieu J. (ed.). Turnhout, Belgium: Brepols Publishers, 2008.

Jacques de Vitry. Lettres de la Cinquième Croisade, texte latin établi par R.B.C. Huygens / Duchet-Suchaux G. (ed.). Turnhout, Belgium: Brepols Publishers,1998

James of Vitry, Epistolae, 1216-1221, (Ed. Rohricht R.), Zeitschrift fur Kirchengeschichten- XIV [1892-1894], 97-118; XV [1894-1895], 568-587; XVI [1895-1896], 72-114

Jüdische Reisen im Mittelalter, Benjamin von Tudela. Aus dem Hebräischen übersetzt, mit Anmerkungen und einem Nachwort von Stefan Schreiner. Leipzig 1991

L'Estoire d'Eracles empereur (RHC, Occ., II)

La Carte de Walsperger (Zeitschr.Erdk.Berlin XXVI, Tafel X)

Matthew Paris, Chronica majora, (Ed. Luard H.R.), 7 vols, 1872-1873, Rolls Series, LVII

Migne, J. P. (Ed.) Patrologiae Cursus Completus. Series Latina, 221 vol., P., 1844-1864.

Palestine Pilgrims' Text Society, 14 Vols. London, 1896-1907

Pressutti, P. (ed.) Regesta Honorii papae III, 2 vols, Berlin, 1874-1875

Ricoldo da Montecroce, Itinerario ai paesi orientali di fra Ricoldo da Monte Croce, scritto del XIII secolo, misc. 1721.4. Firenze, 1793

Roger of Wendover, Flores Historiarum (Ed. Hewlett. H.G.) 3 vols., 1886-1889, Rolls Series, LXXXIV

Жан Жуанвиль, Книга благочествых речений и добрых деяний нашего святого короля Людовика, Санкт-петербург, Изд. «Евразия», 2012

Рашид ад-дин, Сборник летописей АН СССР, Т.I, кн.1, М., 1952

Усама Ибн Мункыз, Книга Назидания, XII век, перевод М.А. Салье, под редакцией, со вступительной статьей и примечаниями И.Ю. Крачковского. Государственное Издателство, Петербург-Москва, MCMXXII (1922)

******

ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან, თბ., 1989

ბადრიძე შ., ჯვაროსნული თქმულება დავით აღმაშენებელზე და დემეტრე პირველზე, კრბ. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1968

გელაშვილი გ., მგალობლიშვილი მ., პაიჭაძე გ., „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები ევროპულ ენებში“, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993

გოგოლაძე ა., ადარბადაგანის საკითხი საქართველო-ხორეზმის ურთიერთობებში, „ანალები“, N 8, თბ. 2012

გოგოლაძე ა., იოანე პრესვიტერის ლეგენდის ისტორიული და ბიბლიური საფუძვლების შესახებ, თბ., 2005

გოგოლაძე ა., მეფე ხუცესის ლეგენდის მონღოლური სემინისტინციები ქართულ წყაროებში, თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV. 2011.

თავაძე ლ., მითები და ლეგენდები დავით აღმაშენებლის შესახებ, კრბ. მიძღვნილი აკად. ლორთქიფანიძის დაბადების 85 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლისთავისადმი. თბ. 2007

თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ნამდვილის საბუთების შემოტანით და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. ტფილისი, 1902

თვარაძე ალ., ალექსანდრე მესამის 1177 წლის ეპისტოლე — პრესბიტერ იოანეს კომპლექსის დოკუმენტი, ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, IX, თბ., 2009

თვარაძე ალ., მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა და „მეფე დავითის რელაციო“, კრბ. „ანალები“ №3, თბ. 2008

თვარაძე ალ., საქართველო და კავკასია ვეროპულ წყაროებში, თბ., 2004

თოდუა მ., ქართულ-სპარსული ეტიუდები, III, თბ., 1979

მამისთვალიშვილი ელ., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, კრებ. „საქართველო და ჯვაროსნები“ N 4, გამომც. „საარი“, 2014

მეტრეველი ე., კიდევ ერთი ქართული ხელნაწერი ჯვაროსანთა მოსახსენებლებით, ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ., 1976

მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962

ნატროშვილი თ., მაშრიღით მაღრიბამდე, თბ., 1991

ნატროშვილი თ.,ჯაფარიძე გ., ცდა ერთი თარიღის დადგენისა. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, N2, თბ., 1974

პაპაშვილი მ., საქართველო-რომის ურთიერთობა, თბ., 1995

სალია კ., რამდენიმე ფურცელი საქართველოს ისტორიიდან, დავით აღმაშენებელი, მისი მეფე პრესვიტერ იოანესთან იგივეობის შესახებ, Bedi Kartlisa, „Revue de kartvelologie“, vol. XXVII, P., 1970

სტეფნაძე ჯ., ხორასანში ლაშქრობის საკითხისათვის, „საისტორიო კრებული“, VII, თბ. 1977

ტაბაღუა ილ., საქართველო ევროპის არქივებში და წიგნსაცავებში (XIII- XVI), თბ., 1984

ტარდი ლ., უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, თბ., 1980

ქიქოძე გ., გუილიომ რუბრუკი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, თარგმანი ფრანგულიდან გერონტი ქიქოძისა. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი V. თბ., 1942

შენგელია ნ., მცირე აზიის სელჩუკები და საქართველო XI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი-XIII საუკუნე., თბ., 2003

წერეთელი კ., „სირიელისა“ და „ასურელის“ აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976

წურწუმია მ., ჯვაროსანთა მოსახსენიებლები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ხელნაწერებში, ქართველოლოგია, 6, თბ., 2010

ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ. 1966

ჯაფარიძე გ., საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, თბ., 1995

A History of the Crusades, (gen. ed.) Setton, K. M. The Impact of the Crusades on the Near East, Volume V, ed. By N. Zacour and H.W. Hazard, The University of Wisconsin Press, Wisconsin, 1985

A History of the Crusades, (gen. ed.) Setton, K. M. The Art and Architecture of the Crusader States, Volume IV, The University of Wisconsin Press, Wisconsin, 1977

A History of the Crusades, (gen. ed.) Setton, K. M. The Later Crusades 1189-1311, Volume II, ed. By R.L. Wolff and H.W. Hazard The University of Wisconsin Press, Madison, Milwaukee, and London, 1969

A History of The Crusades, V. III, The Kingdom of Acre and The Later Crusades, by Runciman St., Cambridge University Press, 1951

Abulafia, D. The role of trade in Muslim-Christian contacts during the Middle Ages, in The Arab Influence in Medieval Europe, (ed. Agius D.A. and Hitchcock R. Reading, 1994

Atiyah, A.S. Crusade, Commerce and Culture, Bloomington and Oxford, 1962

Atiyah, A. The Crusades, Historiography and Bibliography, Bloomington, 1962

Balard, M. Etat et colonisation au Moyen Age et à la Renaissance, Éditeur : La Manufacture,1989

Balard, M. Genet, J. P. Rouche, M. Le Moyen Âge en occident, P., 1991

Balard, M. Les Croisades, P., 1988.

Balard, M. Les Latins en Orient XI-XV siècle, P., 200

Balard, M. le monde Byzantin, t.III: L'Empire grec et ses voisins XIII-XV siècle, P., 2011

Barber, M. Bate, K. Letters from the East. Crusaders, Pilgrims and Settlers in the 12th–13th centuries. Farnham, UK; Burlington, VT: Ashgate Publishing, 2010

Bauer, M. Die Tempelritter, Mythos und Wahrheit, München, 1997

Benton, J. F. "Qui étaient les parents de Jacques de Vitry ?", dans Le Moyen Âge, t. 70, 4e série, t. 19, 1964.

Berliere, U. "Jacques de Vitry. Ses relations avec les abbayes d'Aywières et de Doorezeele", dans Revue bénédictine, t. 25, 1905.

Bezzola, G. A. Die Mongolen in abendländischer sicht (1220-1270) München 1974

Biran, M. "Like a Mighty Wall": The Armies of the Qara Khitai // Jerusalem Studies in Arabic and Islam. Vol. 25. Jerusalem: Hebrew University of Jerusalem, Institute of Asian and African Studies, 2001

Bird, J. L. The Historia Orientalis of Jacques de Vitry: Vizual and Written Commentaries as Evidence of a Text's Audience, Reception, and Utilization, at Essays in Medieval Studies, Vol. 20, 2003

Bird, J.L. Crusade and Conversion after the Fourth Lateran Council (1215): Oliver of Paderborn and James of Vitry's Missions to Muslims Reconsidered// Essays in Medieval Studies. Vol. 21/1. Chicago: Illinois Medieval Association;Morgantown, WV: West Virginia University Press, 2005

Bordonove, G. Les Croisades et le Royaume de Jérusalem, P., 1992

Bretschneider, E. Mediaeval Researches from Eastern Asiatic Sources: Fragments towards the Knowledge of the Geography and History of Central and Western Asia from the 13th to the 17th century. 2 Vols. New York: Barnes&Noble, 1967.

Brosset, M. Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIXe siècle, v. 1-7, St-Pb, 1848-58

Burrow, J. A History of Histories, London, 2007

Cahen, C. L'islam, P., 1970

Cahen, C. Orient et Occident au temps des Croisades, P., 1992

Campbell, H. The Crusades: The World's Debate, Milwaukee: Bruce, 1937

Cannuyer, C. "La date de rédaction de l'Historia orientalis de Jacques de Vitry (1160/70-1240, évêque d'Acre", dans Revue d'histoire ecclésiastique, t. 38, 1983.

Cannuyer, C. "Les emblèmes sigillaires de Jacques de Vitry reproduits sur trois pièces du trésor d'Oignies", dans La Vie wallone, t. 58, 1984.

Cassidy-Welch, M. 'O Damietta': War Memory and Crusade in Thirteenth-Century Egypt, Journal of Medieval History, Vol. 40, No. 3, 346–360, 2014

Coens, M. "Jacques de Vitry", dans Biographie nationale publiée par l'Académie des Sciences, des Lettres et des Beaux-Arts de Belgique, t. 32 ; Suppl. t. 3, Bruxelles, 1962.

Collard F, Balard M., Pouvoirs et culture politique dans la France médiévale : Ve - XVe siècle, P., 1999

Croizy-Naquet, C. L'espace du culte dans deux récit de croisade des XII et XIII siècles, dans L'espaces d'échanges en Méditerranée, Presses Universitaires de Rennes, 2006

Dictionnaire d'histoire et de geographie ecclesiastique, P., 1913

Dodu, G. Histoire des institutions monarchiques dans le royaume latin de Jerusalem, 1099-1291, P., 1894

Dodu, G. Le Royaume latin de Jerusalem, Paris, 1914

Donovan, J.P. Pelagius and the Fifth Crusades, University of Pennsylvania Press, Philadelphia, 1950

Doresse, J. L'empire du prêtre Jean, t. II, Paris, 1957

Doresse, J. Marco Polo, Paris, 1955

Ducellier, A. Chrétiens d'Orient et Islam au Moyen Age VII –XV siècle, P., 1996

Ducellier, A., Micheau F. Les pays d'Islam, VIIe-XVe siècle, P., 2000

Ducellier, A. Balard, M. Constantinople, 1054-1261, P., 2008

Dussaud, R. Topographie Historique de la Syrie antiques et medieval, Paris, 1927

Encyclopedia of Islam, I-IV vols., Leiden and London, 1908-1938

Fedden, R. Crusader Castles. A Brief History in the Military Architecture of the Crusades, London, John Murray, 1950

Fischer, Th. Sammlung mittelalterlicher Welt-und Seekarten italienischen Ursprungs,Venedig, 1886;

Funk, Phil. Jakob von Vitry, Leben und Werke, Druck und verlag von B.G. Teubner, Leipzig und Berlin, 1909

Gogoladze, A., Tsitlanadze, T. Ein Legendäres Königreich in den europäischen Chroniken und Karten des Mittelalters. Georgica, Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaikasiens, Aachen, N 32, 2009

Gosman, M. La légende du prêtre Jean et la propagande auprès des croisés devant Damiette (1218–1221) // La croisade: realites et fictions. Actes du Colloque d'Amiens 18–22 mars 1987 / Buschinger D. (ed.). Göppingen: Kümmerle Verlag, 1989

Grousset, R. Les Croisades, P.,1994
Grousset, R. L'Empire des Steppes. Attila. Gengis-khan. Tamerlan. Paris: Payot, 1965.
Grousset, R. L'épopée des Croisades, P., 1991
Grousset, R. Histoire de Croisades et du Royaume France de Jérusalem,P., 1991
Guizot, F. Histoire des croisades par Jacques de Vitry , "Collection des mémoires relatifs à l'histoire de France", t. 22, P., 1825
Halleberg, I. L'extrême orient dans la litterature et la cartographie de l'Occident des XIII, XIV et XV siècles, etude sur l'histoire de la Geographie, Göteborg, 1906;
Hamilton, B. The Latin Church in the Crusader States, The Secular Church, London, 1980
Hampel E, Untersuchungen űber das lateinisches Patriarchat von Jerusalem (1099 bis 1118), Breslau, 1899
Hennig, R. „Das Christentum im mittelalterlichen Asien und sein Einflus auf die Sage vom Priester Johannes", in: HV 29, 1935
Hillenbrand, C. The Crusades – Islamic Perspectives, Edinburgh, 2006
Holt, P.M. The Age of the Crusades, London, 1981
Hotzelt, W. „Kirchliche Organisation und religiöses Leben in Palästina während der Kreuzzugzeit," Das Heilige Land (Palästinahefte des Deutschen Palästina-Vereins), II, Cologne 1940
Hotzelt, W. Kirchengeschichte Palästinas in Zeitalter der Kreuzzűge 1099-1291, Cologne, 1940
Humphreys, R.S. Ayyubids, Mamluks and the Latin East in the thirteenth Century, Mamluk Studies Review, 2, 1998
Humphreys, R.S. Politics and Architectural Patronage in Ayyubid Damascus, in the Islamic World from Classical to Modern Times, ed. Bosworth C.E., Princeton, 1989
Hurlet, F. Capdetrey, L. Bührer-Thierry, G. Balard, M. Les Empires : Antiquité et Moyen Age, Analyse comparée, Presses universitaires de Rennes, 2008
Ibn al-Athir, Al-Kamil fi'l-tarikh, (Ed. Tornberg, C.J.), Leiden and Uppsala, 12 vols, 1851-76
Irwin, R. „Orientalism and the Development of Crusader Studies", in the Experience of Crusading, ii, Defining the Crusader Kingdom, (ed. P. Edbury and J. Philips), Cambridge, 2003
Irwin, R. For Lust of Knowing: Orientalists and their Enemies, London, 2006
Jackson, P. Prester John Redivivus: A Review Article // Journal of the Royal Asiatic Society. Vol. 3. Cambridge, UK: Cambridge University Press, 1997
Jackson, P. The Mongols and the West, 1221–1410. Harlow, UK: Pearson Longman Publishing, 2005

Jones, T. and Ereira, A. The Crusades, Harmondsworth, 1994
Kennedy, H. Crusader Castles, Cambridge, 1994
Klopprogge, Ax. Ursprung und Ausprägung des abendländischen Mongolenbildes im 13 Jahrhundert. Ein Versuch zur Ideengeschichte des Mittelalters, Wiesbaden, 1993
Knefelkampf, Ul. Die Suche nach dem Reich des Priesterkönigs Iohannes. Dargestellt anhand von Reiseberichten und anderen ethnographischen Quellen des 12 bis 17 Iahrhunderts, Gelsenkirchen, 1986
LaMonte, J.L. Feudal Monarchy in the Latin Kingdom of Jerusalem, 1100-1291, Cambridge, Mass., Medieval academy of America, 1932
Lewis, B. The Sources of the History of the Syrian Assasins, Speculum, XXVII, 1952
Longere, J. Oeuvres oratoires de maîtres parisiens au XIIe siècle. Etude historique et doctrinale, 2 vol., t. 1, Paris, 1975
Loutchitsky, S. L'espace sacré en Terre sainte au cours des croisades: les controversies islamo-chrétiennes relatives aux images, dans L'espaces d'échanges en Méditerranée, Presses Universitaires de Rennes, 2006
Lyons, M.C. and Jackson, D.E.P. Saladin: The Politics of the Holy War, Cambridge, 1982
Maalouf , A. The Crusades Through Arab Eyes, London, 1984
Mayer, H. E. Bibliographie zur Geschichte der Kreuzzüge, Hanovre, 1960
Medieval and Middle Eastern Studies, ed. by Hanna S.A, Leiden, 1972
Miller, K. Die ältesten Weltkarten, en 5 volumes, Stuttgart, 1895-96; Mandeville Jean, Voyage autour de la terre, Paris, 1993;
Minorski, V. Studies in Caucasian History, London: Taylor's Foreign Press, 1953
Morgan, D.O. Prester John and the Mongols // Prester John, the Mongols and the Ten Lost Tribes / Beckingham Ch.F., Hamilton B., (eds.). Aldershot, UK; Burlington, VT: Ashgate/Variorum, 1996
Murray, A. V. (ed.) From Clermont to Jerusalem, The Crusades and Crusader Societies 1095-1500, International Medieval Research, Selected Proceedings of the International Medieval Congress University of Leeds 10-13 July 1995, Turnout, 1998
Nikuradze, Al. "Skandinavier und Georgier auf der Pontisch-Baltischen Landsbrucke, Bedi Kartlisa, Revue der karthvelologie N 30-31, Paris, 1959
Norman, P. Hazard Z., (Ed.) A History of The Crusades, The University of Wisconsim Press 1985
O'Doherty, M. The Indies and the Medieval West. Thought, Report, Imagination, Turnhout, Belgium: Brepols Publishers, 2013
Oppert, G. "Der Presbyter Johannes in Sage und Geschichte", Berlin, 1864

Otto Bischof von Freising, „Chronicon sive historia de duabus civitatibus“, Chronik oder die Geschichte der zwei Staaten. Übersetzt von Adolf Schmidt, hrsg. Von Walter Lammers. Ausgewählte Quellen zur deutschen Geschichte des Mittelalters 16, Darmstadt 1960

Peradze, G. An Account of the Georgian Monks and Monasteries in Palestine as Revealed in the Writings of Non-Georgian Piligrims, Georgica. A Journal of Georgian and Caucasian Studies. Nos 4 and 5, 1937

Phillips, J.R.S. The Medieval Expansion of Europe. Oxford, New York:Oxford University Press, 1988

Powell, J.A. Anatomy of a Crusade, 1213–1221. Philadelphia, PA: University of Pennsylvania Press, 1986

Powell, J.M. Muslims under Latin Rule 1100-1300, Princeton, 1990

Pubblici, L. Dal Caucaso al Mar d'Azov. L'impatto dell'invasione Mongola in Caucasia fra nomadismo e società sedentaria (1204–1295). Firenze:Firenze University Press, 2007

Rey, E.G. Les Colonies Franques de Syrie aux XIIme et XIIIme siecles, Paris: A. picard, 1883

Richard, J. Croisés, missionnaires et voyageurs, London, 1983.

Richard, J. La papauté et les missions d'orient au moyen age (XIII-XV siècles, Rome,1977

Richard, J. L'Extrème-Orient légendaire au Moyen Âge: roi David et prêtre Jean“, Anales d'Ethiopie, t.1, Paris, 1955);

Richard, J. Orient et Occident au Moyen Age: contacts et relations (XII–XV), London, 1976

Richard, J. Au-delà de la Perse et de l'Arménie. L'Orient latin et la découverte de l'Asie intérieure. Quelques textes inégalement connus aux origins de l'alliance entre Francs et Mongols, 1145–1262. Turnhout, Belgium: BrepolsPubl., 2005

Richard, J. L'Extrème-Orient légendaire au Moyen Âge: roi David et prêtre Jean“, Anales d'Ethiopie, t.1, Paris, 1955;

Richard, J. La croisade: l'évolution des conceptions et des stratégies //From Clermont to Jerusalem. The Crusades and Crusader Societies, 1095–1500.Selected Proceedings of the International Medieval Congress, University of Leeds, 10–13 July 1995 / Murray A.V. (ed.). Turnhout, Belgium: Brepols Publ., 1998

Richard, J. The Relatio de Davide as a Source for Mongol History and the Legend of Prester John. Prester John, the Mongols, and the Ten Lost Tribes. Beckingham Ch.F., Hamilton B. (eds.). Aldershot, UK; Burlington, VT: Ashgate/Variorum, 1996

Riley-Smith, J. Atlas des croisades, P., 1999

Riley-Smith, J. The Crusades, London, 2002

Riley-Smith, J. (ed.) The Crusades, Oxford University Press, 1999

Riley-Smith, J. „the Crusading Movement and the Historians'' in the Oxford Illustrated History of the Crusades, (Ed. J. Riley-Smith), Oxford, 1995

Riley-Smith, L. and J. The Crusades: idea and Reality 1095- 1274, London, 1981

Rohricht, R. Gescvhichte des Konigreichs Jerusalem 1110-1291, Insbruck, 1898

Röhricht, R. Studien zur Geschichte des Fünften Kreutzzuges, Innsbruck, 1891

Rosental, F. A History of Muslim Historiography, Leiden, 1952

Runciman, Sir S. A. A History of the Crusades, Cambridge Univ. Press, 3 vols., Cambridge, 1951-1954

Runciman, Sir S. A. The Eastern Schism, Oxford, Clarendon Press, 1965

Sandor, M. The Popular Preaching of Jacques de Vitry, thèse de l'Université de Toronto, Ontario, Canada, 1993.

Schöndorfer, I. Orient und Okzident nach den Hauptwerken des Jakob von Vitry. Peter Lang Gmbh, Europäischer Verlag der Wissenschaften, Frankfurt am Main, 1997;

Shatzmiller, M. Crusades and Muslims in Twelfth-Century Syria, Leiden-New York-Köln, 1993

Sinor, D. Orientalism and History, Cambridge, 1954

Spieser, J-M., Balard, M. Lefort, J. Jevtic, I. Karpov, S. Congourdeau M-H, Bozilov I., Le monde Byzantin, tome 3 : L'empire grec et ses voisins XIIIe-XVe siècle, P., 2011

Stambouili, R. Les clefs de Jérusalem Deux croisades françaises en Egypte (1200-1250), Paris, 1991

Sybel, H. von. The History and Literature of the Crusades, (ed. And trans.by Gordon L.D.) London 1861

The Americal Historical Association's Guide to Historical Literature, New York: Macmillan, 1961

The New Cambridge Medieval History, (Ed.) Abulafia B.D., McKitterick R., Brett M., Powell E., Keynes S., Shepard J., Linehan P., Spufford P., Cambridge Histories Online, Cambridge University Press, 2008

Throop, P.A. „Criticism of Papal Crusade Policy in Old French and Provencal'' in Speculum, XII, 1938

Tolan, J. l'Europe latin et le monde arabe au Moyen Âge, Rennes, 2009

Tsitlanadze, T. Karchava, T. Gogoladze, A. Silagadze, N. The Diplomatic Activities of Georgian Royal Court on Holy Land in the Second Half of 12th century: A Short Overview, International Journal of Arts and Sciences, Rhode Island, USA, (ISSN: 2156-6992), Volume 04, Number 04, 2014

Tsitlanadze, T. Gogoladze, A. „Relationship between Georgia and the Crusaders according to the Information Provided by Jacques de Vitry“, International Journal of Arts and Sciences, Rhode Island, USA, (ISSN:1943-6114),Volume 05, Number

01, 2012

Tvaradze, A. Der Westfeldzug von 1219–1221: Die “Mongolenerwartung” im Kreuzfahrerlager von Damiette und im christlichen Kaukasus. Caucasus during the Mongol Period – Der Kaukasus in der Mongolenzeit / Tübach J., Vashalomidze S.G., Zimmer M. (eds.). Wiesbaden, Reichert Verlag, 2012

Tyerman, C. God’s War: A New History of the Crusades, London, 2006

Tyerman, Ch. The Debate On The Crusades, Manchester University Press, Manchester and NY, 2011

Vauchez, A. “Prosélytisme et action antihérétique en milieu féminin au XIIIe siècle : la Vie de Marie d’Oignies (1213) par Jacques de Vitry”, dans Propagande et contre-propagande religieuses, Bruxelles, 1987.

Witzel, H.J. Le Probleme de l’auteur des Gesta Francorum et aliorum Hierosolymitanorum, Le Moyen Age, LXI, 1955

Zarnke, Fr. “Der Piester Iohannes”, in: Adhabdlungen der philologisch-historischen Classe fer Königlich-Sächsischen Gesellschaft der Wissenschaften, Leipzig, 1879

Zarnke, Fr. Der Priester Iohannes, Capitel IV, Der Priester Johannes als Vorfahr des sog. König David, des Mongolen Dschingiskhan, Abhandlungen der philologisch-historischen Classe der Königl. Sächsischen Gesellchaft der wissenschaften, Band VII und VIII. Leipzig, 1879

Zarnke, Fr. Über Olivers Historia damiatina und das sogenannte dritte Buch der Historia Orientalis des Jacob von Vitry. Berichte über die Verhandlungen der Königlichen Sächsischen Gesellschaft der Wissenschaft zu Leipzig, Philologisch-historische Classe, N27, 1875

Бартольд, В.В. История Туркестана, Ташкент, 1922

Бартольд, В.В. Очерки истории Семиречья, Сочинения, т. II, Москва, 1963

Бартольд, В.В. Работы по исторической географии и истории Ирана, Сочинения, т. VII, Москва, 1971

Бартольд, В.В. Туркестан в эпоху Монгольского нашествия, Сочинения, т. I, Москва, 1963;

Беннет, М. Бредбери, Дж. Де-Фрай, К. Дикки, Й. Джестайс, Ф. Войны и сражения Средневековья 500-1500, М., 2008

Брун, Ф. О странствованіяхъ царя-пресвитера Иоанна, Изъ Записокъ Императорского Новороссійского университета, Одесса, 1870

Буниятов, З. М. Государство Хорезмшахов Ануштегинидов, 1097-1231, Москва, 1986

Виймар, П. Крестовые походы. Миф и реалность священной войны, Санкт-Петербург, 2008

Горелов, Н. Царствие небесное, Легенды крестоносцев XII-XIII веков. Санкт-Петербург, 2006

Гумилев, Л. В поисках вымышленного царства, Санкт-Петербург, 1994;

Гуревич А. Я. Средневековая Европа глазами современников и источников, часть III, М., 1994

История средних веков, Крестовые походы (1096-1291 гг.), составитель М.М. Стасюлевич. Изд. Полигон, Санкт-Петербург – Москва, 2001

Куглер, Б. История Крестовых походов, Изд. Феникс, Ростов-на Дону, 1995

Мишо, Г. Извлеченіе изъ двухъ писемъ Гонорія III, о денежных суммахъ, данныхъ этимъ Папою для Крестоваго похода. Исторія крестовыхъ походовъ, Часть третія, Повъствованіе о четвертомъ, пятомъ и шестомъ крестовыхъ походахъ, томъ третій, перевелъ съ Французскаго Иванъ Бутовскій, Изданіе второе, Печатано въ Военной Типографіи, Санкт-Петербургъ, 1841

Мишо, Г. Исторія крестовыхъ походовъ, Часть третія, Повъствованіе о четвертомъ, пятомъ и шестомъ крестовыхъ походахъ, томъ третій, перевелъ съ Французскаго Иванъ Бутовскій, Изданіе второе, Печатано въ Военной Типографіи, Санкт-Петербургъ, 1841

Мишо, Г. Письмо Патріарха Александрійскаго Николая къ Папе Гонорію III, Исторія крестовыхъ походовъ, Часть третія, Повъствованіе о четвертомъ, пятомъ и шестомъ крестовыхъ походахъ, томъ третій, перевелъ съ Французскаго Иванъ Бутовскій, Изданіе второе, Печатано въ Военной Типографіи, Санкт-Петербургъ, 1841

Эпоха крестовых походов. (под ред.) Лависс, Э. и Рамбо ,А., Перевод М. Гершензона. Санкт-Петербург, 1999

Ришар, Ж. Латино-Иерусалимское Королевство, Санкт-Петербург, 2002

Райт, Дж. К. Географические представления в эпоху крестовых походов, Исследование средневековой науки и традиции в Западной Европе, Москва,1988

Хаутала, Р. История деяний Давида, царя Индии (1221): Латинский текст, перевод и комментарии. Журнал Золотоординское Обозрение №4 (6), 2014

Хеннинг, Р. Неведомые земли. Т. 1-2 / Краснокутская Е.К., Райхштейн А.Д. (ред.). М. Издательство иностранной литературы, 1961

Хенниг, Р. Неведомые земли, ,, Иностранная литература“, т. III, М., 1962

Хилленбранд, К. Крестовые походы, взгляд с востока, мусулманская перспектива, Москва-Санкт-Петербург, Изд. «Диля», 2008

Хомем, Д. Карта Индийского океана 1558 г. (А. Г. Юрченко, Книга Камней), СПБ, 2007;

საკუთარ სახელთა საძიებელი

ალენანზერ ლენიდალა – 239
ალექსანდრე (რობერტ კურსონელის ძმისშვილი) – 82, 166
ანდრე დ'ეპუასი – 192, 211, 244
ანდრე დე ნანტუელი – 192, 211
ბაბილონის სულთანი (ეგვიპტის სულთანი) – 137,231, 233, 244
ბეგრიხარი (სულთანი) – 242
ბულგაბოგა – 236
გიომ დიუპონ დე ლ'არში – 82
გოტიე (საფრანგეთის მეფის კამერგერი) – 192, 211
გოტიე დე ტურნე – 166
დავითი (ინდოეთის ლეგენდარული მეფე) – 236-244, 246
დონ მატიე (ფრანცისკანელი) – 213
დონ რენიე (სენ-მიშელის წინამჯღოლი, ფრანცისკანელი) – 213
ეიუდ დე შატილიონი – 244
ელუ დე ბოვე – 244
ემირ ბობერი – 243
ეტიენი (პარიზის უნივერსიტეტის დეკანი) – 230
ვალტერი (უტრეხტიდან) – 230
ვიკონტ დე ბომონი – 192, 211, 244
თეორ დელბარახი (სულთანი) – 243
თომა (ნუაიონის კანცლერი) – 166
იერუსალიმის მეფე (ჟან დე ბრიენი) – 135, 136, 231
იერუსალიმის პატრიარქი (რაულ დე მერენკური) – 188,209
იკონიუმის სულთანი (ქეიქავუს I) – 190
ინოკენტი (იგულისხმება ინოკენტი III) – 61
კვიპროსის მეფე (ჰიუგ I დე ლუზინიანი) – 93, 135, 136
კლემენტი (მოციქულთა მოწაფე) – 246
კოლინუს ანგელიკუსი (ფრანცისკანელი) – 213
კონრადინი – 189, 190, 233, 235, 244
კონსტანტ დე დუაშო – 166
ლეონიუსი (თეოლოგი აკრაში) – 166
ლეოპოლდი (ავსტრიის ჰერცოგი) – 230
ლიუტგარდ ტონგრელი – 82
მარი დე უანიე – 60
მატიე (სიცილიის გრაფი) – 231
მახემოთი (სულთანი) – 242

მეტრ მიშელი (ფრანცისკანელი) – 213
მეფის და (მელიზანდა დე ლუზინიანი) – 136
მღვდელი ჟანი (იოანე პრესვიტერი) – 95, 236
ნაბუქოდონოსორი – 245
ნიკოლასი (ფრანცისკანელთა ორდენის პროვინციალი) – 63
ო. დე დინანი – 213
ოდონ დე კასტილიონი – 211
ოლივიე, კიოლნის კანონიკოსი (ოლივიუსი) – 136
პარიზის ეპისკოპოსი – (პიერ დე ლა შაჰელი) – 188
პელაჟი (პელაგიუსი) – 161
პიერ ჰანიბალი – 161
ჟაკი (იგულისხმება ჟაკ დე ვიტრი) – 59, 82, 160, 185, 206, 230
ჟან დ'არში – 192, 211, 244
ჟან დე კამბრე (აკრის ეკლესიის კაპელანი) – 95, 166
ჟან დე კამბრე (უმცროსი, კაპელან ჟან დე კამბრეს ძმისშვილი) – 166
ჟან დე ნიველი – 206, 230
რაულ დე ნამიური – 82
რენიე (სენ-მიშელის ტაძრის პასტორი) – 166, 213
რენო დე ბარბაშონი (აკრის ეკლესიის განძეულის მცველი) – 166
რობერ დე კურსონი – 188
რომანზურ მოცადის ძე – 239
სალადინი – 207, 245
სალადინის ვაჟი (ალ-აფდალი) – 190
სალადინის ძმა (ალ-'ადილი) – 166
სარდახანი (სულთანი) – 243
სენეხა (სულთანი) – 243
სერაფი – 233, 236
სომხეთის მეფე (ლეონ I) – 190
ტრიპოლის გრაფი და ანტიოქიის მთავარი (ბოემუნდ IV) – 92, 136, 244
უნგრეთის მეფე (ანდრაშ II) – 135
ფილიპი (ნუაიონის არქიდიაკვანი) – 82
ფილიპი (პარიზის უნივერსიტეტის კანცლერი) – 230
ფრიდრიხი (საღვთო რომის იმპერატორი ფრიდრიხ I) – 244, 246
ხავარასმისანი – 239-241
ხანხანა – 236-238
ჰონორიუსი (პაპი ჰონორიუს III) – 61, 135, 160, 185, 206, 230

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

აივიერი – 82, 206
აკრა – 85
ალბი – 187-188
ალეპო – 243, 244
ალექსანდრია – 161, 189, 232, 245
ანჟერი – 211
ანტარადა – 92
ანტიოქია – 88, 92, 135, 244
აპულია – 63
არვადი (კუნძული) – 92
ბაბილონი (კაირო) – 88, 136, 161-162, 189, 213, 245
ბეირუთი – 88
ბელინა (ცეზარეა დე ფილიპი) – 135, 207
ბელფორი – 135
ბიბლოსი – 91
ბოვე – 192
ბოფორი – 207
გენუა – 63-64
დამასკო – 135, 165, 190, 243-245
დამიეტა – 136, 162, 166-167, 186, 190, 209-210, 212, 231, 233-235, 244-246
დეტრუა – 165
ეგვიპტე – 162-163, 189, 235, 245
ევფრატი – 189
ვენეცია – 86
თაბორის მთა – 165, 207
თანისი – 162, 186, 210, 230
იაფა – 88
იერუსალიმი – 93, 135-136, 160-161, 165, 192, 207, 242
იორდანე – 91
ისრაელი – 162, 246
იუდეა – 192
კარმელის მთა – 89
კასტელ ბლანი – 88, 92
კვიპროსი – 85, 93, 231, 234-235
კრაკი – 88, 207

კრეტა – 84
ლიბანის მთა – 90
ლიეჟი – 61
ლომბარდია – 60, 63
მალტა – 85
მარგათი – 92
მილანი – 60
მონ-რუაიალი – 207
ნაზარეთი – 89
ნილოსი – 162-163, 185-187, 189, 209, 235
ნუაიონი – 82, 166
პარიზი – 230
პერუზა – 61
პიზა – 86
ჟიბელე – 88, 165
ჟიონი – 209
სარდინია – 83
საფეტი – 207
სიდონი – 90-91
სიცილია – 63, 82
ტირი – 88, 207
ტორონი – 207, 235
ტორტოზა – 88
ტოსკანა – 63
ტრიპოლი – 88, 91-93, 135, 234
შავი მთა – 93
ცეზარეა დე პალესტინა – 136, 160, 165
ცელიუსის მთა – 188
ხოარისმანი – 240

სარჩევი

შესავალი 3
მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის წინაპირობები 24
წერილი პირველი 59
წერილი მეორე 82
წერილი მესამე 135
წერილი მეოთხე 160
წერილი მეხუთე 185
წერილი მეექვსე 206
წერილი მეშვიდე 230
SUMMARY 332
წყაროები და ლიტერატურა 334
საკუთარ სახელთა საძიებელი 346
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი 348

კომპ. უზრუნველყოფა თამარ სტეფნაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ. №47
E – mail: meridiani777@gmail.com ტ. 239-15-22